ISSN 0132—599 X
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

1

1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 63-ე № 1 იანვარი, 1988 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

თამაზ ჩხენკელი — ლექსები . . . . . . . . . . . . . 3
ოტია იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე. რომანი. წიგნი IV . . . . . . . 7
ეკა ბაქრაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . 60
ელდარ კერძევაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . 64
სოლომონ სამხარაული — ფრენა დილისთვის გადაიდო. ნოველა. . . . . . . 67
მიკა ალექსიძე — ნოსტალგია. პოემა. . . . . . . . . . . . . 96
უილიამ ფოლკნერი — იყო. ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა 107

### პუბლიცისტიკა

ნიკო იაშვილი — ნიადაგი (მიწა) და ადამიანი . . . . . . . . 120

### კრიტიკა

თედო ბექიშვილი — ღიმილიანი, გულგახსნილი . . . . . . . . 130
ლია არჩვაძე — ოტია პაჭკორია . . . . . . . . . . 132
გიორგი მარგველაშვილი — ორი ფრაგმენტი . . . . . . . . 139

### მეცნიერება

მერი ინაძე — ეშერის ბერძნული წარწერის გაგებისათვის . . . . . . . . 147

### ფაქტები, მოგონებანი

გიორგი ლომთათიძე — ექსპედიცია ხვამლის კვაბულებში . . . . . . . 156

იხ. მეორე გვერდი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წიგნების მიმოხილვა

ნუგზარ მგელაძე — აფხაზი ხალხის სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან — „აბიფარა" . . . . . . . . . . 168
ელდარ ნადირაძე — ნაშრომი სამეურნეო ცხოვრებაზე . . . . . . . . 171
ტრისტან მახაური — ყინულის ქალი და სიყვარულის უკვდავება . . . . . 175

---

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჩხენკელი

## ძველი დრამა

ოტია პაჭკორიას

გაგრა —
ყურეზე დაშვებული ამფითეატრი.
აქ ანტიკური სახიობით სუნთქავს ნაპირი
და ბრინჯაოსფრად გარუჯული
კოლხი ატრიდი
ისევ იმ ძველი ტრაგედიის თამაშს აპირებს.

ნილბებს ურჩევენ მზიურ ნესტანს,
ცივ ბეატრიჩეს,
სიცხეში თვალი ეპარებათ გმირებს მთებისკენ,
მაგრამ ამაოდ,
ჯერ ადრეა.
ამფითეატრი
სულგანაბული ელოდება ცბიერ ეგისთეს.

პროტაგონისტი ჯერ არა ჩანს.
უნდა დაღამდეს,
ხალხით გაივსოს რესტორანი,
აინთოს ბისტრო...
და უკვირს ბებერ ჰერაკლიტეს:
ნუ თუ აქამდე
გრძელდება დრამა დაწყებული ჯერ კიდევ მის დროს.

## გაგრის ბაზილიკა

სურო ჭამს გაგრის ბაზილიკას. ველური ხავსი
ხარბი სიცოფით ჩაფრენია ქვათა ნაოჭებს
(გადაუშლია ყოფნისა და არყოფნის ზღვარი);

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ მნახველებს, ეკლესიის კარიბჭის თავზე,
ულამაზესი სიმეტრიით დღემდე აოცებს
შტანდარტი ძველი იბერიის —
რვაკუთხა ჯვარი.

## თერსიტე

ამბოხებული
წინ გამოიჭრა თავხედი თერსიტე,
ტოლს არ უდებს რჩეულ ვაჟკაცებს.
აგამემნონს ედავება —
წილი უნდა დაიჩემოს ალაფიდან.
ბოლმით ცახცახებს,
იგინება ყიამყრალი...
ვილაცამ ჭკუა დაარიგა:
რაც ბედმა მოგცა ის იუბნეო,
მაგრამ — არა,
არ ჯერდება თავის არჩივს ავყია მონა,
უფრო ავდება.
მაშინ წამოდგა ოდისევსი,
დაჰკრა მუშტი და ყბა მიუნგრია თავგასულ ყბედს.
წიხლისცემით მიასიკვდილა...
ამხანაგებმა გაათრიეს სამშვიდობოზე.

## სხდომაზე

ვიწრო დარბაზი.
საიმედოდ ჩაკეტილ ფანჯრებს
დატყვევებული ფრინველივით აწყდება გული
და ძირს ვარდება (მერამდენედ!);
მძიმე ჰაერში
თვლემს და ამთქნარებს და ისევ თვლემს
ცოცხალი აზრი...

გარეთ კი გვიან შემოდგომის
მზიანი დღეა,
კრიალა სივრცით მოგარსული,
დიდფოთლიანი,
და ეს დღე ყვითლად დაწინწკლული
ისე ხტის გულში,
როგორც რიყეზე მოფართხალე
სველი კალმახი.

. . .

ო, ღმერთო, მიხსენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკუნეთის ბნელ ჯურღმულისგან,
შენი მზიანი,
შენი წმინდა ჰაერი მასვი!

* * *

რაღაცნაირი ფუყე ძახილი,
აყალმაყალი, ზუზუნი, ჩხუბი,
მოისმის ხოლმე ჩემი ბაღიდან...
ისე კი ძალიან დამდგარი დროის
გაქვავებული და მძიმე ხუფი
ახურავს ყოველს... და ძველი ტროის
მოლოდინსა ჰგავს ეს უდროობა,
გამოფიტული ეს მყუდროება.

* * *

მრუშ და უდიერ სიცილხარხარში, —
გამძლარს ლაშების პოხიერ მძორით, —
ამ ქონმორეულ, ლოყებლაყლაყა
და ლაბაბოსან დიაცთა შორის,

მაწვება გულზე და არ მავიწყებს, —
რაღაც (— სასმენად მოუსმინარი) —
შენს საწყალ ღიმილს, გამხდარ ლავიწებს
და უზარმაზარ თვალთა სინანულს.

დგახარ შენ მათზე კარგიც და ცუდიც,
მტკივნეულ ნერვად ჩემში შთენილი,
ვერარაისგან წარხოცილ წუთით
დალუპულიც და გადარჩენილიც...

## სიზმარი

მე დამესიზმრა —
გლოვისა გამო
წვერმოშვებული ვიყავი ვითომ,
მაგრამ არ მახსოვს რასა ვგლოვობდი,
რა დამეკარგა ასეთი ხვითო.

ელდანაცემი
და დაზაფრული
კრიჭაშეკრული ვიდექი კართან,
ველოდებოდი ვიღაცის მოსვლას,
მაგრამ მომსვლელი არავინ ჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცოდი, სიტყვას ვერვინ მეტყოდა,
ვერ გაბედავდა
ნუგეშის ტირილს,
ისეთი მქონდა მე საწუხარი,
თავს დამტეხოდა ისეთი ჭირი.

აღარ მშველოდა აწ არაფერი,
არც უხმო ლოცვა,
არც გულმაგრობა,
სიკვდილშიც აღარ იყო საშველი,
მერჩივნა ქვეყნით სრული გაქრობა.

და მაინც იმ ერთს ველოდებოდი,
ის ერთი მაინც, ვფიქრობდი, მოვა...
მაგრამ არ მახსოვს ვინ იყო იგი,
ან რაზე მქონდა სიზმარში გლოვა.

* * *

უნდა გამოჩნდე შველად, — დაღლილთა
შველად და სასოდ — მაშვრალთა სასოდ,
გარდამოხვიდე უნდა მაღლიდან
ნუგეშინით და წყალობით სავსე.

უნდა გამოჩნდე რისხვად, — მზაკვართა
რისხვად, — მძვინვარე გრიგალის მსგავსი,
შურის მახვილი უნდა აღმართო
და მეხისტეხით დაატყდე თავზე.

უნდა გამოჩნდე — მართალი მრუდად
რომ არ გვეჩვენოს, ნათელი ბნელად
რომ არ გადიქცეს, — უფალო, უნდა
გამოეცხადო ქვეყანას მხსნელად!..

* * *

კი, ეს ასეა,
მაგრამ თუა ნუგეში რამე?
თუ სამუდამო უკუნეთით წარგვხოცავს ღამე?

კი, ეს ასეა,
მაგრამ არ ჩანს რამე იმედი,
რომ ესალბუნოს შეძრწუნებულ გულს რაიმეთი?

უფალო, ნუთუ განიზრახე ასე იმთავითვე:
აღარც ხსნა იყოს,
არც ნუგეში არავითარი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტია იოსელიანი

# შავი და ცისფერი მდინარე

## რომანი

## წიგნი IV

## თავი პირველი

### I

სამი წლის სისხლისმღვრელმა ომმა ყველას, ჯარისკაციდან მთავარსარდლამდე, ბევრი ასწავლა.

ფრონტებსა და არმიებს კი არა, ასეულსა და ათეულს თავისი მეთაური ჰყავს, სანგრებში კი სხვადასხვა ჯარისკაცებია ჩასაფრებული და ყველას თავისი ბრძოლის უნარი, ძალა, იარაღი, ჭკუა და გული აქვს.

დიიიახ, მებრძოლსაც გული აქვს და აქედან უნდა დაიწყოს უკან დახევისა თუ შეტაკებისთვის მზადება. უგულოდ დაქუხებულ ზარბაზანს რწმენით გასროლილი ქვა სჯობია. ადამიანი ისეთივე მშიშარაა, როგორც მამაცი და ისეთივე მხდალი, როგორც ჩაუქი — გააჩნია, რომელ გულს უპოვი. მეომარს ყოველი ნაბიჯი სიცოცხლის ფასად უჯდება და ჩაცმულ-დახურული და მძიმედ შეიარაღებული, თუ არ გადააგდე, ასე ხელის წამოკვრით მორევში არ გადახტება. ძალად გადაგდებული და წყალს გატანებული ერთია. მართალია, ეს ომი იარაღისა და ტექნიკის ულმობელი მუსვრა იყო და ვინც შორიდან დამიზნებულმა ტყვიამ, ბომბმა თუ ნაღმმა სიცოცხლეს გამოასალმა, იმათ ვერც ჭკუა-გონება იხსნიდა და ვერც უგულობას დააბრალებ, მაგრამ ვინც გადარჩა და იბრძოდა, ისევ და ისევ გული სჭირდებოდა.

ეს უკვე იქაც გაიგეს, სადაც ჯარისკაცებს ათასობითა და ასი ათასობით ითვლიდნენ და ავთანდილ ბოკერიამ, (თვითონ ჯარისკაცმა), პირველი ტყვიის გასროლიდანვე იცოდა, არც მტერზე მეტი იარაღი ჰქონდა, არც მტერზე ჭკვიანი უფროსობა ჰყოლია, არც უკეთესად გაწვრთნილი და საზრიანი მებრძოლები, მაგრამ თუ მაინც სისხლის ფასად გაუმარჯვია, ალბათ იმით, რომ ჯარისკაცის გული უპოვია. მეომრისთვის არც უკან დახევაა უცხო და არც თავზეხალალებული შეტევა. გმირობას, ზოგჯერ, რწმენის დაკარგვა და სიცოცხლის გაუფასურებაც ჩაგადენინებს, ისევე, როგორც, — თუ გადარჩენის შანსი აღარაა — განგაიარაღებს და დაგაბეჩავებს.

ომის თეორია, ტაქტიკა და ფილოსოფია თუ ბოკერიასთვის მაინც უცხო ხილი იყო, პრაქტიკა და ცხვირწინ დან-

თებული ცეცხლის შეფასება, თუნდაც გამოუვალ მდგომარეობაში გამოსავლის ძიება და მიგნება (ზოგჯერ მოჩვენებითისაც კი), მისი ხელობა იყო. თავისი მებრძოლები რით სუნთქავდნენ, იცოდა, სანამ თვითონაც სული ედგა და კაცი ერქვა, სანამ მის ყოფას მეომრის გაუსაძლისი, მაგრამ მაინც სიცოცხლე ერქვა.

მოწინააღმდეგე დარტყმას სადაც ყველაზე ნაკლებად ელის, მისი სუსტი ადგილიც იქაა. ეს მტერმაც იცის, მოყვარემაც და მაინც ასეა. ყველა სანგარს ერთნაირად ვერ გაამაგრებ, ყველა ზღუდეს ერთნაირად მიუვალს ვერ აქცევ, მითუმეტეს იმას, საიდანაც შემოტევას არ ელი, იცი, რაიმე ბუნებრივი თუ საბრძოლო რთული პირობები უშლის ხელს მტრის იერიშს და დაიმედებული ხარ; რაც შეგიძლია იმ პოზიციებს ამაგრებ, საიდანაც ცეცხლის წაკიდების მუქარაა.

სისხლზე დაგეშილი ბოკერია, საბრძოლო ტყვია-წამალი და საჭურველი სად გროვდებოდა, ღრმად ჩათხრილ ტრანშეებიდანაც ხედავდა და ქუხილი თოფ-ზარბაზნის გასროლამდე ესმოდა. ვაი, რომ ყოველივე ამას და ყველაფერ ამქვეყნიურს აზრი და მიზანი აღარ ჰქონდა. ამოდენა ომმა ხომ მილიონობით ჯარისკაცი და არაჯარისკაცი იმსხვერპლა, მაგრამ მას მაინც ყველაზე მეტი წაართვა. იმ მომცრო ნალმის (საუბედუროდ, წელამდეც რომ არ მიწვდენია) ფეხებში აფეთქებამ წელსქვევით რბილობები დაუცხავა, თორემ ძვლებიც კი მთელი დაუტოვა. ერთი შეხედვით ავთო ავთოდ დარჩა, მაგრამ გული, არსად რომ არ გაუკაწრავს, მთლიანად ამოაცალა. კაცი არაკაცად, ნაკაცარად აქცია და სიკვდილი სანატრელი გაუხადა.

მიზანი, ალბათ, მკვდარსაც აქვს, ყოველ შემთხვევაში, რაც სიცოცხლისაგან სამარეში ჩაჰყვება, ის მაინც. ავთანდილს აღარც ის გააჩნდა. რაც ოდესმე ვინმეს ტყვია უსვრია, ყოველდღე მას ხვდებოდა და ყველაფერ ამას თავისი თვალით ხედავდა, ყოფა მან აღარ იცოდა და საფლავი [illegible] ზე ვუიო, რომ იტყვიან, ის სჭირდა — ცეცხლზე ნავთს უსხამდა, სიყვარულის ვნებაწაკიდებული ვარია კუდრიაშოვა და რომელიც დივიზიის პოლიტხელმა — ჩაჩავამ, ყირიმის ნახევარკუნძულზე გადასროლილ, ზღვაში გადაყრილ დესანტის მეთაურ ბოკერიას „ჯილდოდ" მოუვლინა.

ბედი რომ გაგწირავს, ყოველნაირად გაგწირავს. ვარია იმაზე ულალატო და თავდადებული აღმოჩნდა, ვინემ საერთოდ ქალს შეუძლია. ამ უკიდეგანო ომში, ყველა გმირობაზე დიდი გმირობა მოინდომა და იმ ცვედანის სამარადჟამო ერთგულება მოიწადინა, რომელიც უძლები ვნებისთვის უყვარდა, ეგონა. ალბათ, ზედ გადაგებას არც მაშინ აპირებდა, ავთანდილის კაცობას რომ მისხალი არ მოჰკლებოდა, ომის შემდეგაც რომ ერთ ჭერქვეშ ეცხოვრათ და ყოველღამ ისეთი გატაცებით გაეშიშვლებინა, როგორც ერთ დროს ჰოსპიტლის სარდაფის საკუჭნაოში, ჭუჭყიანი თეთრეულის ზვინში ჩაფლულს რომ ეუფლებოდა.

ვარიამ თავისი ვნებისა და ცრემლის ტბა უანგარობის ზღვად აქცია. ხმელ ხეს მერეც ვერ შეელია, როცა უნაყოფოს ფოთოლიც დასცვივდა და გულამომპალი დაფუტუროვდა.

ავთანდილმა ქვეცნობიერად თუ ცხოველური ალღოთი ამ ქალის ერთადერთობა ხომ არ შეიცნო და როცა ნამდვილი გრძნობა უაზრობა იყო, სიყვარული მაშინ იმიტომ მოევლინა? თუ, სადაც ბნელა — ნათელიც იქ ჩანს და სადაც ბოროტება ბატონობს, სიკეთე იქ ფასობს?

ადამიანი ანგარების შვილია და იმდენად თავკერძა, რომ ყოველნაირ მშვენიერებას იმეტებს, თავს მსხვერპლადაც კი სწირავს გამორჩენის წადილს და პატივმოყვარეობას. ვარია, არავითარ სარგებელს რომ აღარ ელოდა, არაადამიანად იქცა და ნაკაცარი სასოწარკვეთამდე შეიყვარა. ეს უძვირფასესის საფლავში ცოცხლად ჩა-

ყოლაზე მეტი იყო. უფრო შემაძრწუნებელი, ვინემ თვალწარმტაცი. და არა შესაშური, არამედ შემზარავი.

ყველანაირი ზნეობრივის გაუფასურება-გაქარწყლებამ და გაუტანლობა-დაუნდობლობამ შურისგება ხომ არ მოინდომა და ხომ არ შვა მახინჯი ერთგულება, უსახური დანდობა და ჯოჯო მშვენიერება?

## II

დასავლეთის ფრონტზე მსხვილი შენაერთების თავმოყრა დაიწყო. საბრძოლო საჭურველი, საწვავ-საცხები, საკვები და ფურაჟი, გამოცდილი მეთაურები, ნასვენი და სარეზერვო ჯარები იქითკენ დაიძრნენ. გადაჰყავდათ საჰაერო, სატანკო, მექანიზებული და საკავალერიო კორპუსებიც კი. ამას ბოკერიას მებრძოლებიც ხედავდნენ, რადგან მათი დივიზიის მომარაგებას მოაკლდა ის, რაც, ამ ბოლო დროს, თითქოს სამყოფად ჰქონდათ.

ავთანდილმა მიწის მგელივით იყნოსა, რომ ბელორუსიის გაუვალ ჭაობებსა და ჩამპალ ულრანებში, სადაც მოწინააღმდეგე ყველაზე ნაკლებად მოელოდა, ჯერ არნახული შეტევა მზადდებოდა.

დღე-დღეზე, ვინც ყირიმის ბრძოლებს გადაურჩა, ალბათ იმათაც იქით გადაისროდნენ. ჯერხნობით კი არაფერი ისმოდა, იდგნენ და სულს იბრუნებდნენ.

ვარია კუდრიაშოვა სანნაწილის მთავარ ექიმს — ლუბა ვორობიოვას სამდღიან მივლინებაში გაჰყვა. ცრემლებით დაილუმპა გულისპირი, ასე ხანმოკლე განშორებაც ისე ეძნელებოდა. ავთანდილი იმლამესვე, ამერიკული „ჯიპით“, არმიის შტაბში გაჩნდა და გენერალ ასტახოვს შეხვდა.

ლაბაბმოშვებულმა, ულვაშა, ქალალდებში საცოდავად ჩაფლულმა ასტახოვმა კალამი ყურზე ჩამოიდო და ხელები გულზე დაიკრიფა — შენ აგაშენა ღმერთმა, ამ უთავბოლობას რომ ერთხანს მაინც გადამარჩინე! ზედიზედ უბოდიშოდ დაამთქნარა, მაგრამ ეს უდიერობითა და „სხვის[illegible]ის" კეთებით უფრო დაემართა, ვინემ სიზარმაცითა და დალლილობით. ასაკითა და ჩინით კი, მაგრამ ასტახოვი მაინც არ ჰგავდა იმ „ბოკერია-ბაკერია“ გენერალს, ვისაც ავთანდილი თავდაპირველად, ჯარში გაწვევისთანავე შეხვდა. იმის ბრიყვული თავდაჯერება და თვითკმაყოფილება ამ ჩოფურა ულვაშას, სამწლიან ომში, ჯერაც არ გასჩენოდა. ამან იცის — რაც გადახდა, ის ახალ ბრძოლაში ვერ იხსნის და როცა სძინავს, მაშინაც არ უნდა ეძინოს. მზადაა, ამ უდროო დროსაც მიილოს პოლკის მეთაური და, თუ საქმე მოითხოვს, მთელი ღამეც გატეხოს. ამიტომაც თუ იყო, რომ ნაადრევად წამოჰპარვოდა ლაყლაყა სიბერე თუ წითელი ჭკნობა, შეშუპებულ თვალის უპეებში სევდა რომ ლილისფრად ჩაჰლვროდა და ასევე ლილადაკრულ, დასვრეტილ, ჭარხალივით ცხვირს ხელის ზურგით რომ იულვლემდა.

— მე თქვენ გისმენთ, ამხანაგო ბოკერია... და, რა თქმა უნდა, გიცნობთ... თუმცა, თქვენ... — აღარ დაამთავრა, გადაიფერდა და სადღაც ფეხებიდან უიარლიყო ბოთლი გამოაძვრინა. ბევრი არ აკლდა.

„როგორ მიცნობს, როგორც ჯარისკაცს თუ როგორც საჭურისს?.. თუნდაც ამიტომ უნდა წავიდე იქ, სადაც არცერთნაირად არ მიცნობენ...“

— თხოვნა მაქვს, თუ შეიძლება...

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, თხოვნა და ყველაფერი... კი... მახსოვს... ახლახან კიდევ რომელი ორდენი?.. თქვენ, ქართველებმა, გრძელი სადღეგრძელოები... ეს მერე, ომის შემდეგ... ჯანმრთელად ვიყოთ...

ავთანდილმა ცარიელი ჭიქა ხელში დაიჭირა.

— დასავლეთის ფრონტზე მინდა გადასვლა... ვიცი, ყველგან ომია და ყველგან საჭირო ვართ, მაგრამ უნდა დამეხმაროთ...

გენერალმა წვრილი, ამღვრეული

თვალები კარს მიაცივა, მერე, შეშფოთებულმა, კუთხე-მიდამო მოათვალიერა.

— თქვენ!... საიდან?!.

— არა, ამხანაგო გენერალო, არავის უთქვამს და მე ეს არც მჭირდება... ფრონტს ისე კარგად ვიცნობ, დენთი სად გროვდება სუნით ვგრძნობ...

— ხო-ხო-ხო! — აგრუხუნდა ბეხლეწი ულვაშა და აფორაჯებული, დაღარული შუბლი მუშტით მოისრესა: ვითომ, პოლკის მეთაურს ალღო და გუმანი მოუწონა იმით ნაამებმა, რომ სამხედრო საიდუმლოს ჩემი ხელიდან არ გაუქონავსო.

— გადამიყვანეთ. ვიცი, ეს შეიძლება... ჩვენი შტაბის მეთაური და...

— კი, მაგრამ, ეს თქვენ... საიდან?!..

— შტაბის მეთაური რომ შეიცვალა, ეს საიდუმლოა?!

— ხო-ხო-ხო... შეიცვალა, ეს ვინ არ იცის, რომ შეიცვალა... — გენერალმა ახლა შუბლზე მოხრილი შუა თითი მიაკაკუნა — თქვენ წარმოიდგინეთ... მაგრამ მეც ხომ ვიბრძვი, მეც ხომ რეზერვი არა ვარ... თქვენ კიდევ, იქ გმირობა და სხვადასხვა... გასაგებია, მაგრამ რატომ ჩვენ არა... ჩვენთან არა... თუ იქ უფრო დიდ თანამდებობას ელოდებით...

— რა დიდ თანამდებობას, ამხანაგო გენერალო?!.

— ვთქვათ, ბრიგადის მეთაურობას, ან კიდევ უკეთესს...

— თუნდაც ისევ პოლკი იყოს. მე ომი რიგით ჯარისკაცად დავიწყე და მაიორის ჩინიც მყოფნის... საბრძოლო ჯილდოებიც...

— ხოოო... ასე უნდა ვთქვათ... ასე ვლაპარაკობთ... არადა, გვინდა... ვერც გაგამტყუნებთ. თქვენს ასაკში... და, საერთოდ, ჩვენ ჯარისკაცები ვართ...

— მე და გმირი ამაღლობელი ერთად...

— ამაღლობელი?... ხო-ხო, გმირი! როგორ არა, ვიცი, ძალიან კარგად ვიცი... 'ახლა დივიზიაში გმირები... კი, არმიის სარდლობა მოითხოვს... „ძველი, ნაცადიო"... რა გითხრა, ყველას ურჩევნია, მაგრამ მეც ხომ ვიბრძვი, მეც ხომ რეზერვი და მუქთა-ხორა არა ვარ...

— მე მყავს კარგი მოადგილე. კოზლოვი...

— კოზლოვი და ბარანოვი... რა თქმა უნდა, კოზლოვი, ეს ხომ ვიცით... მაგრამ ჩვენც ვიბრძვით...

— გამეჭირდებოდა რეკომენდაციის მიცემა, რომ მისი დიდი იმედი არ მქონდეს.

— და აძლევთ.... ადგილს უცვლით და აძლევთ?!.

— მოადგილედ ის ცოდვაა...

— რაიმე უხიამოვნება, ქიშპობა და ამის მაგვარი?.. ჯარისკაცები კი, მაგრამ ადამიანები ადამიანებია, მაგრამ სანამ ვიბრძვით...

— არა, ამდენი ჯერ არ მოგვისწრია, ახალია. არიან ადამიანები, მოადგილეებად რომ იბადებიან, მარჯვენა ხელად. ისინი სიკვდილის მოადგილედაც გამოდგებიან, მაგრამ დამოუკიდებლად ოცმეთაურად არ ივარგებენ, „თავისი" ცოტა აქვთ. კოზლოვი და მე ერთად არ გამოვდგებით...

— ესე იგი, ინტრიგა!.. და, ხომ გითხარით, სანამ ვიბრძვით?!.

— არა, ამხანაგო გენერალო! ამას ჩვენ არ ვიკადრებთ...

— ეს შენ?

— არც ის, თორემ ასეთ კაცს არ ვუშუამდგომლებდი. კოზლოვს საკუთარი თავი აქვს...

— თავისი თავი... კარგია, მაგრამ ჩვენ...

— თქვენ — თქვენი... და კოზლოვი თავზე მაღლაც არ ახტება...

— ხო-ხო-ხო-ხო! შენ ძალიან ყოჩაღი... არა, ძალიან... — მაგრამ რა იყო ეს „ძალიან", ვერ გაიხსენა და შუბლი მუშტით ისევ მოიჯეგა.

ბოკერია და ამაღლობელი მეორე საღამოს არმიის შტაბის განკარგულებაში იყვნენ და თანამებრძოლები ისე დატოვეს, რომ პოლკში კოზლოვისა და პოლიტხელის გარდა, არავის არაფერი გაუგია.

III

ფეხებში ნაღმის აფეთქებისთანავე გაეთიშა ავთანდილ ბოკერია გარემო ცოცხალ სამყაროს. იმ დღიდან ადამიანები საგნებად იქცნენ, გაუმჭვირვალე აჩრდილებად, რომელთაც არც გარეგნობა შეცვლიათ, არც ფერ-ხორცი, მაგრამ ერთიანად დაწყდა მათთან დამაკავშირებელი ყოველი ძარღვი და ნერვი.

უკვე აღარც არავინ სძულდა და არც არავინ უყვარდა. ტკიოდა, როცა ბარძაყების დაძონძილ რბილობებს უხსნიდნენ და უხვევდნენ, მაგრამ არ წუხდა: არ ადარდებდა—კატაკომბების ბნელსა და მტვერში — ჭრილობები პირს შეიკრავდა თუ წყლულები თან გადაიყოლებდა; სულ ერთი იყო უკუნეთში, მხრჩოლავი ჭრაქის სინათლეზე, ცრემლებით თვალებდატბორილი ვარია მკურნალობდა თუ ლენინგრადელი გულგრილი ქირურგი ფრიდმანი; მამუკა ამაღლობელის ძმა, ლეონი, გერმანელებმა ამ ჯურღმულში ტყვიით მოკლეს თუ გაზით გაგუდეს... მისი ჯარისკაცებიდან რამდენი დაიღუპა და ვის კიდევ ცოცხალი ეთქმოდა; ამ უკუნეთს მალე ისევ მტერი დაეპატრონებოდა თუ მოყვარე...

გაუგებარ, გაუცნობიერებელ მოგონებად იქცა თვით ვარია კუდრიაშოვაც. ამ ქალის მიახლოება და, მით უმეტეს, ხელის შეხება ადრე რატომ იყო ისე ცხელი და დამთუთქველი, როცა ქირურგზე თბილი ხელები არ ჰქონია და, მით უმეტეს, სნეულის წამლობა მასზე უკეთესად არ შეძლებია. ყოვლად აუხსნელი და გაურკვეველი გახდა, რატომ იკრავდა ამ ქალს გულში ისე სასოებით: კოცნიდა, კოცნიდა და ვერ ძღებოდა. ახლა კი, როცა ვარია ტუჩზე ტუჩით დაეწაფება, სული ეხუთება. რა თბილ-მლაშე, გულისამრევი გემო აქვს ცრემლს!... ამონასუნთქი?... და, საერთოდ, სუნი?.. თამთამა ოფლისა და მწვირის გულსაყრელ ყროლითაა გაჯერებული! გული ელევა; როგორმე მის სიახლოვეს თავი დააღწიოს, რომ პირს არ ასაქმოს. მკერდიდან მჟავე ცხიმისა თუ ახალმოგებული, სვ[illegible] ორწოს ოხშივარი აუდ[illegible] ჭრაქს სულს წაუბერავს და ქვაბის ლუსკუმში ავთანდილს უბეშეხსნილი დაემხობა.

უკვე გაუგებარი ეს კი აღარაა, რომ ქალი ჩახუტებით, კოცნითა და ცრემლით გუდავს და ახრჩობს; წინანდელი ასეთნაირი ურთიერთობა და ხვევნა-ალერსი ნეტარება რატომ იყო?!. რატომ იყო მაშინ სრულქმნილი ბედნიერება და რატომაა დღეს სულისშემხუთველი უბედურება?!.

და რატომ, რატომ არ უნდა აგრძნობინოს, რომ ეს აუტანელია?! შეუძლებელია: გაბოროტებული, გაანჩხლებული მდედრი ცხელი, უამური კურცხლებით გმდულრავდეს, თვალთაგან ლორწოს გწოვდეს და პირიდან ნერწყვს. ძუძუს კლერტებს კბილებში გჩრიდეს და სულს გიხუთავდეს...

რა მოკლე იყო, ერთ დროს, ამ ქალთან გათეული ღამე და რა უსასრულო გახდა იმ ჯურღმულში, დაჭრილების გვერდით, ბრეზენტით გადაკედლილ ხვრელში ვარიასაგან ნაპარავი ხუთწუთიანი ხვევნა-ალერსი.

ამაო იყო თავის მტვრევა იმის ასახსნელად, რატომ აშიშვლებდა ქალი და შიშვლდებოდა, რატომ აწვა მკერდზე, ან გულზე რად იწვენდა. რა უმღვრევდა სისხლს, რა ათრობდა და აბრუებდა? თავისივე მჟავე ოფლი, ზინზლი და გაქონილი სხეული?! ახლანდელი კი არა, ადრინდელიც გაუგებრობად იქცა — რატომ ლოკავდნენ ერთმანეთს, სრესდნენ, ჯიჯგნიდნენ და რატომ დალურჯებამდე ეთელვინებოდნენ?! რა იყო, ისე სულწასულად რომ მოარბენინებდა მასთან და განშორება სიკვდილს ანატრებდა; მისი გახსენება რომ თანგავდა და ძილში თუ ღვიძილში მასთან სიახლოვის ერთადერთი სურვილი რომ აწამებდა...

უყვარდა?..

იქნება ახლაც უყვარს, იქნება ახლაც უნდა მასთან იყოს, რაკი მარტოობა ახლა ისეთი გულისმომწყვლელია,

როგორც არასდროს, სულს რომ იმ ნალმივით ფლეთს, ძიძგნის და სისხლისაგან წრეტს. ადრე?.. მანამდე ავთანდილი არასდროს არ იყო მარტო. მისი ბუნების ადამიანს მარტოობისთვის სად ეცალა — ომამდეც მუდამ ვილაცით გატაცებული და ვინმეზე, ახლობელზე თუ მეზობელზე, გადაგებული. დაიწყო ეს უბედურება და მაშინვე მისი ათეული... კრუხივით იყო გადაფოფრილი თავის ბიჭებზე... და თვალგაუწვდენელი მდინარის გაღმელ გოგოებზე „შეყვარებული"... მერე ცეცხლის ხაზებზე ხოცვა-ჟლეტა და ოცეულის მეთაურობა... ასეული... და თავის თავზე საფიქრალად სად ეცალა. ჰოსპიტალში საიქიოდან დაბრუნება და თვალის გახელისთანავე — ვარია კუდრიაშოვა. მთელი ღამეები მისი ცრემლები და ალერსი. განშორება. ისევ ფრონტი, სადაც მასთან მთელი პოლკი იყო — ათასი კაცი. დღედაღამ ისევ ომი, ხოცვა-ჟლეტა, ათი ათასი დავიდარაბა და ვითომ მუდამ შეყვარებული ბიჭისთვის ახალი, გამოუცნობი, ქარიშხალივით წამლეკი გრძნობა — ნამდვილი სიყვარული. უკვე უვარიოდ გაძლება აღარ შეეძლო, ტყვიის ქარცეცხლშიც მისი ნდომის წყურვილი ახლდა. ვერაფერი და ვერავინ მას ვერ ავიწყებდა.

დღეს ასე გულგამოჭმულ მარტოსულს სჭირდება თუ სჭირდება ნუგეში და თანაგრძნობა; როგორც უმწეოს — შემწე, უქომაგოს — ქომაგი, უპოვარს — გამკითხავი, როგორც სიცარიელეს — ავსება. გაცნობის წუთიდან ვარია რატომ იყო ყველაფერი და ყველაფრის სათავე, საწყისი და სასრული? რა იყო ის უმძაფრესი ენერგია, რამაც ისინი ერთმანეთზე გადააჯაჭვა? ადრე არასდროს არ ჩნდებოდა ეს კითხვა, თითქოს ეს თავისთავადი იყო, ბუნებრივი. რატომ იყო „ის" ასე აუცილებელი, როცა ვარიასთან ახლაც შეიძლება ურთიერთობა, თანადგომა, მეგობრობა და ერთად ბრძოლაც კი. მაგრამ რა იყო სხეულის სხეულისაკენ ლტოლვა და ერთმანეთის ხვევნა-ალერსით უძლომლობა — დღეს გაუგებარია, აუხსნელი. სხეული ხომ მაინც ძვალი და ხორცია და რატომ უნდა ეკვროდეს ერთმანეთს და ერწყმოდეს, თითქოს [illegible]თლიანებისათვის, როცა ისინი ცალცალკეც დასრულებული და მთლიანი იყვნენ? თითქოს ოთხი ხელი და ოთხი ფეხი ყოფილიყო აუცილებელი, ვითომ ერთმანეთის თვალები და ყურები უნდა გამოესხათ, თორემ ვერაფერს დაინახავდნენ და მოისმენდნენ.

და ეს, აუხსნელი და დაუჯერებელი, მაშინ კი არ უკვირდა — ახლა აოცებს, როცა, თითქოს საკუთარი სხეულიდან გამოვიდა და ყველაფერს სულივით ზევიდან დასცქერის. ახლა ის და ადამიანები სხვადასხვა არიან, რაკი მან უაზრო, გაუცნობიერებელი, ცხოველური მოიცილა და, ალბათ, ყველაფერს უნდა დაბრუნებოდა თავისი ნამდვილი ფასი, დარქმეოდა თავისი სახელი: მეგობარს რაღაც განსაკუთრებული და გამორჩეული კი არ უნდა რქმეოდა არამედ ზოგადად — კაცი, რაკი იგი, როგორც სხვა, ისეთივე მოკვდავია. ქალს — სატრფო, სიყვარული, საყვარელი და თავდავიწყება კი არა — ქალი, ადამიანი. ერთი ვინმე სხვაზე უკეთესი რატომ უნდა გვგონებოდა და მასთან სიახლოვე — ერთადერთი მიზანი და წადილი; ან მასზე ფიქრით რისთვის უნდა გვღამებინა და გვთენებინა; მისი გამოჩენა მზის ამოსვლად რად უნდა მოგვჩვენებოდა, ხელის შეხება — ციებცხელებად და ხვევნა-კოცნა — საწყისსასრულად?! რად არ უნდა დაგვენახა ისე, როგორც სხვა ასი და ათასი?

მაგრამ ახლა, როცა ეს ასეა, რა გამოვიდა? თურმე, ნუ იტყვი, ის „უაზრო" აძლევდა ყველაფერს აზრსა და მიზანს. თურმე, ის „ცხოველური" ადებდა ფასს ადამიანურს და არქმევდა თავთავიანთ სახელებს. თურმე, ერთს რომ აღმერთებდე, მეორე უნდა გძულდეს. ყველა და ყველაფერი თუ გიყვარს, არავის სიყვარული არ შეგძლებია. თუ გამორჩეული მეგობარი არა გყავს, მეგობრობა არ ძალგიძს. თუ ქალი მზედ არ მიგაჩნია, თვით მზეც აღარ მზეობს...

„რაზომც ნათობ მნათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია“.

IV

ყირიმი როცა მტრისაგან გაწმინდეს, ავთანდილმა ჭრილობებსა და კატაკომბების ჯურღმულებს თავი დააღწია, მაგრამ არაფერი შეცვლილა: დღის ბრწყინვალებაც ის იყო, რაც უკუნეთი, და ვარია კუდრიაშოვაც ეს — რაც, საერთოდ, ასი და ათასი...

ავთანდილ ბოკერიას უკვე მამუკა ამაღლობელიც კი სჯობდა, როგორც მკვდარს ცოცხალი. მამუკას დაწყვეტილ-დანაწევრებული გრძნებიდან, თუ თვითონ ვერა, შენ (ჯარისკაცი ხომ იყო და იყო): გინდა შვილებმა და მოხმობდი, გინდა ძმასა და მეგობარს, გინდა სატრფოსა და მამაკაცს... (ავთანდილს ვარია, ჭრილობების მკურნალობასთან ერთად, ვნების ალმურში ჰხვევდა, მაგრამ, როგორც ღველფში ჩაგდებულ ლოდს — ცეცხლი არ წასდებია). მამუკას თავისი ალარაფერი გააჩნდა, ელექტრონათურასავით მხოლოდ სხვისი მუხტით შეეძლო ანთება, მაგრამ ამ უბედურების თაობაზე არაფერი იცოდა. თავისი დაღუპვისა და განადგურებისა არაფერი გაეგებოდა. ავთანდილი კი თვითონ ადგა ჭირისუფლად თავისსავე დაუმარხავ ლეშს, რომლის მიწის მიყრა და გამოტირება-გამოგლოვა, სხვა უამრავი დაულეტილი თანამებრძოლივით, არ შეიძლებოდა. სამი წლის წინ ისე ულვთოდ, უსახელოდ, განუკითხავად დაწყვეტილი და უსაფლავოდ დაყრილი ბიჭების: ლადოს, ნოშრევანის, ლიოვას, ჰასანასა და ნურადილის ბედი შესაშური ჰქონდა. ისინი ერთხელ დაიბადნენ და ერთხელ დაიხოცნენ.

ბოკერია და ამაღლობელი ტრამალებში გაჭრილ, აქოთქოთებულ მატარებელს ჩრდილოეთით, დასავლეთის ფრონტის სარდლობის განკარგულებაში გადასაბარებლად მიჰყავდა და გულგრილად შორდებოდნენ: ყირიმს, თანამებრძოლებს, მკვდრებს, [illegible], ვარიას... ყველაფერს, რითაც ყველაზე იცხოვრეს, რისთვისაც სისხლი ღვარეს და სძულდათ თუ უყვარდათ.

სძულდათ ან უყვარდათ?!.

რატომ სძულდათ? რატომ უყვარდათ?..

ამ კუპეშიცაა ვილაცა ორი ოფიცერი. ერთი, ეტყობა, ახალი „გამომცხვარია“. მეორე?.. მეორე: ნაბრძოლი, დაჭრილი, ნაწვალევი და მაინც იმედის სხივჩაუმქრალი. სულ ცდილობს თანამგზავრებთან ურთიერთობა დაამყაროს, დაივიწყოს რა გადახდა და ხვალ რა ელოდება. იმ ახალბედას მეტი კი ვერავინ აიყოლია. რად უნდა ამ გზაში გაცნობილ ვიგინდარებთან დაახლოება? იმ არაყსა და ძეხვს ისე ვერ მოერევა? ხვალ ხომ ერთმანეთს უნდა დაშორდნენ?... ან ეს „ახალგამომცხვარი“ რას ეტორლიალება იმ უშნო, უტიფარ გამცილებელ ქალს, სახე თითქოს შარდის წვეთებით რომ აქვს დაჭორფლილი და აბზეკილი ცხვირის ნესტოებში ლორწო უჩანს. რას არ მოიგონებს, რომ კუპეში შემოძვრეს, და ჯარისკაცებს როცა შესცინებს, ჭროლა თვალები უწყლიანდება, ემღვრევა. შემოსვლისას ისე არ იგრძნობა ის გულისამრევი, მძუნე ოფლის სუნი, როგორც მაშინ, როცა გადის და ტოვებს. არავის აწუხებს ეს, არც მამუკას... აწუხებთ კი არა, სახე უნათდებათ და ცისგახსნასავით შეჰფოფინებენ...

ნუთუ ავთანდილიც ასე იყო... ახსოვს, როგორ არ ახსოვს... მაგრამ საკვირველია, შეეძლო ეს ქალი გულზე მიეხუტებინა?! ტუჩებით ტუჩებში ჩაფრენოდა, როცა ლაპარაკის დროს ლაშებიდან წინწკლები სცვივა და შეყვითლებული კბილები გადმოცვენაზე აქვს?!.

ავთანდილს ეს წყლის ჭიქაც კი გულს ურევს, რომ წარმოიდგენს, ამ დედაკაცს ამით ოდესმე წყალი აქვს დანალევი...

ახალბედა ამ ძუკნაზე უმცროსიცაა და ბევრად უფრო სახიერიც... და, ესეც

რომ არა... თუმცა ავთანდილი ადრე... ან უფრო ადრე, ვარიამდე, ასეთ ვინმეს რომ გადაჰყროდა?.. ასეთ ვინმეს, ალბათ, არასოდეს, თორემ როგორ იქნებოდა გული მისვლოდა?!.

...თუმცა, როგორ არა, რამდენჯერ... ის კი არადა, ულამაზო, მახინჯი ქალი არც ახსოვს, მაგრამ ახლა ეს იმდენად წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, არ ჰგონია, რომ შეიძლებოდა მომხდარიყო... და გახსენებაც სხვის ნაამბობს ჰგავს, ვინმე უემური გულისამრევ სიბინძურეს რომ წამოტორტლავს.

ჯარისკაცებს კუპირებულ ვაგონებში ახლაც ცხვირს არავინ შეაყოფინებს... მოსკოვის კარიბჭესთან რომ მტერი იდგა, ჯარით დატენილი ეშელონები ეშელონებს აწყდებოდნენ. ოფიცრებიც კი ვაგონების კიბეებზე ეკიდნენ და სახურავებზე დახოხავდნენ.

სახელდახელოდ, ფაცაფუცით წამოუსვეს ბოკერიას ნაწილს ხელი და ღია პლატფორმებზე თივასავით დაზვინეს. ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა, მთელი ღამე ლიანდაგიდან ლიანდაგში დაბორიალებდნენ აწიოკებული მატარებლები, რომ როგორმე სადგურიდან სადგურამდე გზა ეშოვათ.

ჭრელი ბრეზენტებით შესუდრულ ქვემეხებსა და ჯავშნოსნებში ჩატენილი ჯარისკაცებით დაყურსულ შემადგენლობას დღისით ვინ დაძრავდა. ბნელში, საზენიტო ტყვიამფრქვევებითა და ქვემეხებით, გზას ძლივს მიიკვლევდნენ. თავზე ყვავებივით დასტრიალებდნენ გერმანული თვითმფრინავები.

ეშელონი ჩიხიდან გამოათრიეს და სადგურის ლიანდაგებში შემოაბორძიკეს, სადაც ისევე თვალში თითს ვერ მიიტანდი, როგორც ულრან ტყეში. ავთანდილი ქვემეხის ბორბლებს შორის იწვა. ერთი ილლია თივაც იშოვა და კარგად მოეწყო. მაზარაზე ლაბადა ჰქონდა გადაცმული და თბილ ქუდზე — კაპიუშონი; როცა დაიძვრებოდნენ და ყინვა აბაბანდებოდა, ცხვირ-პირს პირსახოცით აიხვევდა, ქვემეხის ბორბლების ფერსოებსა და სოლებში მოსირსილე, ტყვიასავით გამჭოლ ქარს დილამდე უნდა გამკლავებოდა. მატარებელი დაძვრას აპირებდა და ვაგონებს [illegible]ინა, რომ გადასაბმელის დაჭიმული ჯაჭვები შეებოშებინა, ერთბაშად წალების ძალა რომ არ შესწევდა, წელისწყვეტით იქნებ თითო-თითოდ აეთრია. ამ ჯაჯგურჯახუნსა და ქოთქოთში ქალის ხმა მოესმა. ავთანდილის მაშინდელ უებრო სმენასა და ალღოს თუ შეეძლო ის ხმა შექეიფიანებული მამაკაცის ბუხუნა ხმისაგან გამოერჩია, თორემ ჯარისკაცები, როგორც კალოზე ბზე, ისე ეყარნენ, მაგრამ არავის ყური არ შეუბერტყავს.

— ბიჭებო, ჩემო ლამაზო ბიჭებო, ღვთის გულისათვის!.. — ვიღაცა გულისმომწყვლელად იხვეწებოდა, მაგრამ გამგონი სად იყო. — ღვთის გულისათვის, როგორმე წამიყვანეთ... ვილუპები, მიშველეთ, იწამეთ ღმერთი, წამიყვანეთ!

ამ წარღვნაში ისეთ ღვთისმოსავს ვის უხმობდა, მისი გაჭირვება ყურად ელო, ან აქედან იქით სად მიდიოდა. თუ, იქიდან აქეთ გამორბოდა?!

— არავინა ხართ მირონცხებული, მადლიანი? — ეძახდა გამკითხავს განუკითხავი. — ავადმყოფი ვარ, ლტოლვილი.

ქალის ხმადაც რომ შეეცნოთ, ვის ჰქონდა ამის სურვილი ან უფლება, ბოკერიას გარდა, აზრად მოსვლოდა ფრონტისკენ მიმავალ ეშელონზე ლტოლვილის მიპატიჟება.

ავთანდილმა რომ ორსაფეხურიან კიბეზე ბორბალივით ქალი ამოაგორა და ბრეზენტის ქვეშ, ქვემეხის ბორბლებში შეაგორა, ქვემეხის მოდარაჯე გათოშილმა ჯარისკაცმა პირის დაღებაღა შესძლო და უკვე დაძრული მატარებლის თავზე გადაქროლილმა მსუსხავმა ქარმა ხმის ამოღებაც არ აცალა, ფილტვები აუწვა.

ქალისადმი მოწიწება და გურგური მაშინდელ ავთანდილს არ აკლდა, მაგრამ სტუმარი, მაღალ ბორბლებზე შემდგარი ქვემეხის ქვეშა „დარბაზში“ დათოხილი უნდა მიეღო. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამაზე უთქვამთ. მდედ-

რზე სულწასული ჯარისკაცისთვის საქმე სანახევროდ მოხელკეთებული იყო. „ოთახში“ სტუმარი ხოხვით შემოვიდა და პირდაპირ ლოგინზე აღმოჩნდა. თან ამისთანა გულუხვი და ხელგაშლილი მიღებისათვის ხმა ხელს არ უწყობდა, თორემ თაფლად დაიღვარა. ორთქლმავლის ბაქი-ბუქში, ვაგონების ლიწინსა და ქარის ქშუტუნში, თავისი ბუხუნა ჩურჩულის არც ერთი სიტყვის გაცუდება არ უნდოდა და მასპინძლის კაპიუშონში ჩარგული ცხვირ-პირით ყურთან ცხელი ოხშივარი დააყენა. მაშინდელ ავთანდილს სტუმრის დაკარგული ქვეყნის საძებრად ამ მატარებლით გამგზავრებაზე, სხვათა განუკითხაობასა და ამ ღვთისნიერ „ოქროს ბიჭზე“ ცამდე აღვლენილი ღაღადისის არსი არ ესმოდა. ამ გამთოშავ ქარს გატანებულ ღია ბაქანზე, ბომბისა და ჭურვის ჩამოცვენას რომ ელოდა, სასწაულმა იმისთანა ჩათქვირებული არსება ჩამოუგდო, ამის ნახევარზე ოცნებას რომ ვერ გაბედავდა. ზარბაზნის ქვეშ აკანკალებულს ბუნაგი ჰარამხანად ექცა. ქალის ტუჩ-პირიდან ყურის ძირში დანთებული ცეცხლი სხეულზე ერთბაშად წაეკიდა და მართლა შეუძლებელი მოხდა თუ ახლა, აქედან, შორიდან ჩანს ასე, მსმენელის გასაოცებლად მოგონილივით: გარედან ყინვა წვავდა, შიგნიდან — ცეცხლი.

ქალი არც კაცის უნახავი ჩანდა და არც დანებებაზე უარის მთქმელი, მაგრამ თვით დანებების მომხიბვლელობას თუ იხსენებდა ნაგვალავ მიწასავით, მოხვნამდე არ უნდოდა ბელტებად დაშლილიყო, რაღაცას უარობდა, იმიზეზებდა: — „ნუ მკოცნი, ავად ვარ, ტუჩები მაქვს დამზრალი და დახეთქილი. კბილები ჩამტვრეული, გერმანელმა რევოლვერი ჩამარტყაო“...—წუხდა, გმინავდა, ჰქლუცობდა თუ თავს იფასებდა.

„გერმანელმა ჩაარტყა, ესე იგი მტერს არ დანებდა“ — კიდევ უფრო მიეძალა ჯარისკაცი და ნაკბილარში ჩავარდნილ ტუჩის კუთხეს ტუჩით დააცხრა...

ფანჯრის მიღმა ბნელს ჩაშტერებულ ავთანდილს ზიზღმა სტომაქში ახლა დაუარა, გულისზიდება აუტყდა.

ბიბლიოთეკა

— აჰ, კარგი ვინმეა!.. — ამბობს უმცროსი ლეიტენანტი, როცა მეორე ნახევარ ჭიქა არაყს ცლის და კარს ღიად სტოვებს, გამცილებელმა ისე არ ჩაიაროს, რომ ვერ დაინახოს. — ქალი, საერთოდ, კარგი გამოგონებაა...

— რაღა თქმა უნდა, ქალი, ჯარისკაცისთვის, ყველა მშვენიერია... — კვერს უკრავს თანამეინახე და ჩანთიდან მეორე ბოთლ არაყს აძვრენს, ხსნის და აქეთ იყურება.

— ძალიან კარგია, ძალიან!.. — თვალები უბრწყინავს მამუკას და ჭიქას უწვდის, მაგრამ ავთანდილის მზერას აწყდება და ხელს უკან სწევს. — ავთო, ჩვენც ხომ გვაქვს...

— გვაქვს...

— გვაქვს, გვაქვს! — ზამბარასავით იმართება და უმალ მაღლიდან ჩანთა ჩამოაქვს. არა, ისევ უკან დებს და ბოთლს იღებს.

— ჯერ ეს დავლიოთ, მოვესწრებით. — მხრებს იჩეჩს უფროსი ლეიტნანტი. — მე მიტია მქვია, დიმიტრი ვასილიჩი...

— ავთო, მიტია ჰქვია, დიმიტრი ვასილიჩი!

— ჰო, კარგი, დაჯექი! — თავს უქნევს და ფანჯრიდან ისევ ბნელს გასცქერის.

— მაიორი არ სვამს? — კითხულობს დიმიტრი და ბოთლი ვერც მაგიდაზე ჩამოუდგამს და ვერც უმცროსი ლეიტენანტისთვის გაუმეტებია.

— ავთო, არ სვამ?! — კითხულობს მამუკა, დაბარებულს რომ ვინმეს უემოციოდ გადასცემ, ისე.

— არ ვიცი... რატომ... კი, კი, ალბათ...

— არ იცის რატომ... კი, კი! — და მამუკაც თავისთვის იმდენს ისხამს, რამდენზეც დიმიტრიმ ავთანდილის ჭიქა მოყარა.

— მე, ჟენია ვესელსკი ვარ, ევგენი ტროფიმოვიჩი...

— ჩვენი გაცნობისა იყოს... — ამ-

ბობს უფროსი ლეიტენანტი და სვამს.

— გაუმარჯოს! — ქართულად წამოიძახა მამუკამ და დაცალა. მერე, სანამ ჭიქას დადგამდა, ავთოს შეაჩერდა — არ დალევ?..

— დავლევ...

— დალევს! — ახარა თანამეინახეებს და ნაამებ-ნაწყენივით თავის კუთხეში მიიყუჟა.

ევგენიმ, სანამ გადაჰკრავდა, თავი კარებში გაჰყო და გულდაწყვეტილმა მერე შესვა. მიტიას ძეხვი ხელში შეატეხა, მაგრამ უცებ ტყავგაუცლელი ლუკმა პირში იტაკა და ხელი კარს იქით გაიწვდინა, გამცილებელ ქალს სქელი, გაქონილი, ლურჯი კაბის ქობაში სწვდა. შემცბარმა ქალმა ჟინიანად გადაიროხროხა. ეს შეცბუნებაც მოგონილი იყო თუ მოლოდინის ახდენით სასიამოვნო შეჩქვიფება, კაცი ვერ გაიგებდა.

— ფრონტზე მიდის, სულელი ბიჭი!.. გამიშვი, როგორ არა გრცხვენია! — დაიხარა, ხელით ხელი დაუჭირა.

— მრცხვენია... როგორ არა მრცხვენია...

— უყურე, მაიორი როგორ სერიოზულია... შენ რა ღმერთი გიწყრება?!

— მაიორს, მკერდზე არ ეტევა, იმდენი ორდენი აქვს... მე, შენ უნდა დამაჯილდოო.

— გამიშვი, სულელიკო...

— ვერ გაგიშვებ, სახელი მაინც თუ არ მითხარი...

— ვერ გაგიშვებს... რა გქვია?.. — აჭყლოპინდა მამუკაც და მაშინვე ნაუცბადევად დაიმორცხვა.

— ჯანდაბას შენი თავი, ტონია მქვია, გამიშვი, რომ გელაპარაკები!

— ანტონინა!.. — ამოიგმინა უმცროსმა ლეიტენანტმა. გულისტკივილით დაუმატა, — მე, ჟენია...

— ამას, ევგენი ტროფიმოვიჩი. — ისევ წამოისროლა მამუკამ და კვლავ შეცბა, მოერიდა.

— ნუ, ჟენია, გეყოფა... — ქალი გაიწია და თავი იოლად გაითავისუფლა.

— რატომ არ აყენებ?.. — ჩაილიმა დიმიტრი ვასილიჩმა.

— მართლაც და რატომ არ აყენებს, — უკვირს მამუკას. ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვაყენებ... — ქირქილებს ჟენია .— ხელზე ხელს მიჭერდა და ვერ გავუშვი... ოხ, ქალები, ქალები!.. პირდაპირ, გადასარევი გამოგონებაა ეს ქალები!

— ხელზე ხელს უჭერდა, როგორ გაეშვა? გადასარევი გამოგონებაა!.. — ახსნა მამუკამაც.

— შენ დაინახე? — ჩაიჩურჩულა ავთანდილმა.

— არა, ავთო... ხომ თქვა.

— ჰო, კარგი, გაჩუმდი!

— გავჩუმდები. — ყურები ჩამოყარა და წინ დადგმულ ბოთლს ჩააშტერდა.

— ჰო, მართლა, დაუსხი!..

— მე?

— და შენც დაისხი, მაგრამ ცოტა.

— მეც დავისხამ, ცოტას...

...ლაჭე, ბამბიანი ჯუბა ქარყინვას გაეხეშეშებინა. ქალის ღაბაბიან ყელთან, შაურიანის სიფართე ფოლაქზე გადაცმული ზონარის კილოს გამოხსნა გაჭირდა, მაგრამ მერე რომ უბეში ცხვირი ჩარგო, თხლეზე გადაუღებელ, ახალი ღვინის ჭურს რომ მოხდი, ისე შეუშხუნა, მჟავე შხეფებივით შემოენთო სახეზე სქელი ჯუბის შიგნით დატბორებული მდედრის ქოტური, მწუთხე ვნება. — „რა დროს ესაა, ღმერთო ჩემო... როგორ შეიძლება, ჩემო ბიჭო! ავადმყოფი ვარ, ჭუჭყიანი..." — კისერზე, კაპიუშონს შიგნით, თათმანებიან ხელებს ხვევდა და უბეში ჩამძრომ „ჩემო ბიჭოს" იმდენად უშლიდა, რომ არც გადაფიქრების საშუალება მიეცა. ჯუბის შიგნით კაბის კბენია, უხეში შალის გულისპირი მსხვილი ქინძისთავით დამაგრებული დახვდა. იოლად გახსნა, მაგრამ ათრთოლებული თითებით წვერი ველარ შეუნახა, რაკი ცხელი თავდავიწყების ოხშივარმა გააბრუა. ამის შიგნით ჯარისკაცის დაშამრული, ცივი ხელი არ უნდა ჩამძვრალიყო — იქაურ სათუთ, წანწალა, დამთრგუნავ ხვატს ქარივით წალეკავ-

და. სადაფის წვრილ ღილს კბილით დააცხრა და სამაგრი ძაფი გაკვნიტა...

მიქროდა მატარებელი. ნახშირის ჰვარტლსა და ბოლს ქარ-ყინვაში ურევდა და ღია ვაგონებს აყრიდა. ხათქუნობდა რკინის მძიმე ბორბლები რელსის დაშორიშორებულ ბმულებში. ქვემეხის დაშვებულ ლულაზე და მაღალ ბორბლებზე დაჭიმულ ბრეზენტში დილამდე ქშუოდა თოში. ამოდენა ეშელონზე დალეხილ ჯარისკაცებში მარტო ავთანდილ ბოკერია იწვა თავდაღმა, უხედარი ულაყივით, დილამდე ძოვდა ზაფხულის აყვავებულ, ლურჯი ბალახით ათოთინებულ კორდს...

ომში ჯარისკაცის ღამე თუ არა, ქალი მაინც უკანასკნელია და მთელი სიცოცხლის ვნება და სურვილი ერთბაშად უნდა დახარჯო. ხვალ ადვილად შეიძლება გულგანგმირული ზეზეურად გაიხრწნე და რად გინდა, საფლავიც კი არ გექნება, რომ ჩაიყოლო.

ცისიერზე ძლივს დაცხრა და დადო ზავი. ეშელონიც რომელიღაც კედლებდაბზარულ სადგურში შეიპარა. „სტუმარმა“ პერანგის გულისპირზე აწყვეტილი ღილები მოიძებნა. ავთანდილმა რომ აფუებული მკერდიდან სვებედნიერი თავი აიღო, ცხვირით ნეკნებამდე ჩაჭყლეტილი, სიყვითლეშეპარული ხორცი ისევე ჩაღრუნტული დარჩა. ქალს შეშუპებულ თვალის უპეებში სილურჯე ჩადგომოდა და თავისივე მომცრო ძონძების ფუთაზე თავგადაგდებულს, ღაბაბის ნაკეცებში დალექერტებული სისხლისფერი ჩადგომოდა. შუბლიც კი ფუტკრის ნაკბენივით დაფიჟვინებოდა და ყურის ბიბილოებიც ალუბლებივით დამრგვალებოდა. ღია, უფერული თვალებით ალმა, ქვემეხის ღერძს მიშტერებოდა და კბილებჩაცვენილი ბოდიშობდა:

— ავადმყოფი ვარ მე, ავადმყოფი, გითხარი...

ღმერთო, სასწაულმოქმედო, რა იყო „ის“, რამაც ავთანდილს ზეზეურად გახრწნილი ლეში სამოთხედ უქცია და იმ განწირულ ქალში ვნებიანი სიცოცხლე დააბრუნა?!.



სულ ერთია, ავთანდილს ეს უპირისლებინებო გულისზიდება ემსხვერპლებს. აუტანელია არა მარტო [illegible] ხედავს და განიცდის, წარსულის გახსენებაც და წარსულის ახლანდელივით მწვავე აღქმაც.

რა არის „ის“, რამაც მამუკა ამაღლობელს სული მოუკლა და ვნება კი ვერ წაართვა? მაგრამ ამ ვნების, როგორც საკუთარი თავის, პატრონი თვითონ არაა. გვერდით მყოფ ადამიანს შეუძლია ისე მართოს, უცხოსათვის მისი სიცარიელე შეუმჩნეველიც კი დარჩეს. ქალი, ალბათ, მისგან მამაკაცსაც გაიჩენს. რა თქმა უნდა, ქალს გააჩნია... ხომ არიან ცოლები, რომლებსაც ქმრები მუჭში უჭირავთ და თავიანთ ნებასურვილზე დაატარებენ. რა განსხვავებაა ისეთ მამაკაცსა და მამუკას შორის? ალბათ უკეთესიც კი იქნება, როგორც უკეთესი ჯარისკაცია. ის ქალაჩუნა ქმრები ცოლებმა მაინც წელზე ბაწრით გამობმული უნდა იყოლიონ. ეს უთოკოდ და უჯაჭვოდაც დაბმულია... თუმცა, ამ „დონჟუან“ უმცროსი ლეიტენანტივით უტიფრებმაც შეიძლება აიყოლიონ და მექანიკურად აცდუნონ... ან სხვა ქალმა, თუ პირველი ნაბიჯი თვითონ გადმოდგა...

გარეთ კი, ფანჯრის მიღმა თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ყოვლად უსახური, ბნელი ღამე.

— ამ მატარებელმა თუ ასე გაუტია, ხვალ, ალბათ, ადგილზე ვიქნებით. — წამოდგა ევგენი ტროფიმოვიჩი, ცარიელი ჭიქა მაგიდაზე ჩამოდგა, ხელები კისერზე შემოიდო და იდაყვებით კარებში გაეხიდა.

— ა, ეს ცარიელი ბოთლები წაუღე ანტონინას, არ ვიცი რა ვუყო-თქო. — დაარიგა დიმიტრიმ და თარო-საწოლზე შეხტა. ნაჭრილობევმა, ეტყობოდა, თავი შეახსენა და მაღლა ამძვრალი ერთხანს მოიკუნტა.

— მართლაც, ფანჯრიდან ხომ ვერ გადავყრით?.. — ჰკითხა ევგენიმ მამუკასაც, ცარიელი ბოთლი რომ ორივე ხელით ეჭირა.

— ვერ გადავყრით!.. — იმწამსვე კვერი დაუკრა და მიაწოდა.

— ანტონინა!.. — გაიძახა დერეფანში გასულმა ვესელსკიმ იქვე, ფანჯარაზე მიტუზული მგზავრების გასაგონად, და ქალის ღირსების დასაცავად დაუმატა, — ანტონინა ბატკევნა, აი ჭურჭელი, ჭურჭელი ჩაიბარე! — კარი გაიხურა.

თარო-საწოლზე გულაღმა გაშხლართულმა ლეიტენანტმა მამუკას დაღლა და ძილი მოაგონა.

— ავთო, დავწვები?..

— დაწექი.

წამოიწია ცივად, მოსხლეტილად. ხელები თარო-საწოლის დამჭერ რკინას უწვდინა და ტანი მაღლა ისე შეისროლა, თითქოს სხვას, ხელის ერთი წამოკვრით, აეგდოს.

— ჩანთა დაიდე და დაიძინე! — შეახსენა ავთანდილმა.

— კარგი, მასე ვიზამ, ავთო. — ძილმღვიძარესავით ჩაიწუწკუნა და თვალები მაშინვე მილულა.

უკვე გვიან იყო. ჯარისკაცებით დატვირთული მატარებელი ფრონტის ხაზს უახლოვდებოდა.

## V

შეთხელებული გვარდიული პოლკი, რომელიც შესავსებად უკან გაიწვიეს და მაიორ ბოკერიას ახალმა, მსროლელთა პოლკმა შეცვალა, იმ უსიერი, ჭაობიანი ტყეების პირზე მდგარა, სადაც რაიმე გზა და ბილიკი არც იქაურებს ახსოვდათ და, ამდენად, შიგ ცხვირი არც გერმანელებს შეუყვიათ. ალბათ, თვითმფრინავით თუ გადაუფრენიათ ამ ჩამპალი ულრანების თავზე; ისიც, როცა პარტიზანები ზამთრობით თავს აიშვებდნენ.

პარტიზანული ბრძოლა და რეგულარული არმიის ომი სხვადასხვაა. პარტიზანი იმას აკეთებს, რაც შეუძლია. მტერს კბილის მატლივით გუნებაგანწყობილებას უფუჭებს, თორემ კბილებს ვერ დათხრის. ხიდს დაუნგრევს, რკინიგზას აუყრის, მატარებელს გადაუბრუნებს, საწყობს აუფეთქებს, რაღაცას წაართმევს, წაჰგლეჯს, მოჰპარავს და წაადუნძულებს მიუვალ ადგილებში, მოყვარემაც რომ მოინდომოს, ვერ მიაგნებს. იგი დამპყრობელის ხელშია და რაიმე სოფლის ან დაბის ალებგანთავისუფლება კიდეც რომ შეძლოს, სად წაიღოს, ვის მამულს მიამატოს და როგორ უპატრონოს. ზის ტყეში თავისიანებისა და მტრის კმაყოფაზე. იარაღითაც იმან უნდა მოამარაგოს, ვისაც ებრძვის, და, სანახევროდ — ჩასაცმელ-დასახურითაც. ტექნიკაც, თუ რაიმე მოიხელთა და უსიერში შეათრია, მტრისეულია. შენ მოსკოვიდან კი უცაცხანებ და უწყრები: მოწინააღმდეგის ფრონტის ხაზი ეშელონებით რომ მარაგდება, მანდ რას უზიხარ და ლაჯებსშუა მახათს რატომ იყრიო! მაგრამ რა მიეცი და რას თხოვ? შენ რომ რეგულარული, შეიარაღებული არმიებით ვერ გაუმკლავდი, უკან მოცოცხე და ღვთის ანაბარა მიატოვე... ევაკუაციაზე ფიქრიც ვერ მოასწარი და იმდენი გვამები დატოვე, მას აქეთია საფლავების გათხრას ვერ აუდიან... თავზარდაცემულმა ჯერ შენ აუფეთქე და გადაუწვი, თუ რაიმე ებადათ, მერე მომხვდურმა დაანთო ცეცხლი და ითბო ხელები: დახვრიტა, ჩამოახრჩო, გარყვნა, წაბილწა, დაამათხოვრა... ვინც თვალში მოუვიდა — ვაგონები დატენა და ზოგი სამუშაოდ, ზოგი საკონცენტრაციო ბანაკებში მოსაშთობად და დასაფერფლად ზურგში გადაგზავნა. ვინც დატოვა, აქ არბევს და დედის რძეს ცხვირიდან ძმრად ადენს...

ადგა ეს, შენგან უძუძური ბატკანივით მგლის ხახაში ჩატოვებული, უსაშველოგაჩენილი და იმისთანა ტყესა და ჭაობში დურთა თავი, სადაც მანამდე თვითონაც ფეხი არ დაუდგამს (რამდენი ჭაობმა ცოცხლად ჩაყლაპა, ვინ მოთვლის!). ხის ძირას გამოთხარა წყლით გაჟღენთილი მიწა, ჩაყუნტდა შიგ, ყურები კურდღელივით ეზრდება და შენ კიდევ ფეხებს უბაკუნებ: ნებივრობ, გულზე ხელები დაგიმჭყვლევია და მიცდი, რო-

დის მოვალ და გამარჯვებას მოგართმევო!

აბა რა ჰქნას? ვის ელოდოს? ერთი აგერაა და მეორე შენ ხარ.

„ხელი გაანძრიე, მომხვდურს ყელში კბილით სწვდი და გამოღადრე. ფრჩხილით, ბრჭყალით, ქვით, კეტით, ბარით, ცელით იბრძოლე და, სანამ პირში სული გიდგას, მუხლი არ ჩახაროო!“ — კი ბრძანებ, მაგრამ იმ კაცს გულზე გაძეძგილი ავტომატი ჰკიდია, წელზე — დამბაჩა, ქარქაშში — დანა; ჯავშნოსანი ტრანსპორტით დადის, თვითმფრინავით დაფრინავს და შენ საკბილოდ, ბარით თავგასახეთქად ან ცელით მოსათიბად მიგიკარებს?

„წაართვი იარაღი, შეუბრუნე და მისცხეო!“ — არიგებ ჭკუას, მაგრამ შიშველი ხელით იარაღს წაართმევ და ესვრი, როცა იმ კაცს ჩახმახზე თითის დადების მეტი არაფერი სჭირდება?

„არადა, მანდ რომ მოვალ, არ დამხვდე, რაც მაგან დაგაკლო, მე მოგისართავო!“

კი, ბატონო, თუ ცემა, ტყეპა, ხოცვა, ქლეტა, ძარცვა, გლეჯა, შიმშილი, წყურვილი, გარყვნა, გათახსირება და, საერთოდ, რაიმე სიგლახე დააკლო... ფილთა თოფით და თითო-ოროლა, შენ რომ გარბოდი და შაშხანა ხელიდან გაგივარდა, იმის ამარამ შეაფარა ულრანს თავი. საბნად მოქურუხებული ცა ეხურა და ლეიბად ჰქონდა ჰყო.

მართალია, ნაკლებს მეტი სჯობს. სულაც რომ გერმანიიდან დაძრული დივიზიები ფრონტის ხაზამდე გაანადგურონ, რაღა თქმა უნდა, შენ დიდად გეშველავათება, მაგრამ არც მომხდური ზის აქ გულხელდაკრეფილი და უცდის, როდის შეუდებ ლიანდაგებში ნაღმს და კარგად გაწვრთნილ, კბილებამდე შეიარაღებულ ჯარებით დატიკნილ მატარებლებს აუყირავებ. ზოგჯერ იმდენი კაცის სიცოცხლედ ჯდება ეს აფეთქება და გადაყირავება, რამდენიც იმ ვაგონებში ზის. მართლა ასე კი არაა — დაუდო და ააფეთქო. „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“. სხვას რომ თავი დავანებოთ, ძალლი ჰყავს იმ შობელძაღლს იმისთანა ჯიშის გამოყვანილი და დაგეშილი, ჩვენებური მეძებარი ისე კურდღლის ნაფეხურებს არ გაჰყვება, როგორც ის ბალანდასაწვავი პარტიზანის კვალს. მერედა, მეძებარი ნადირს პირს რავა ახლებს. ის ჯილაგგასაწყვეტი კი კაციშვილს — პატრონის ალიკვალს, გბდღვნის და ცოცხლად გჭამს. ტყვიას ვინ გაღირსებს, თორემ ბედს რავა დაემდურები. იგი რომ განწირულს ფელიკა-ფელიკა ხორცს აგლეჯს, თუ სადმე პარტიზანია ჩასაფრებული და ამას ხედავს, ტყვიას ძაღლსაც უშენს და თავის მოძმესაც, რომ „უშველოს“ და სიკვდილი აღირსოს. ცოცხლად თუ ხელში ჩაიგდო, ტყვეს იმისთანა წამება და ჯვარცმა ელოდება, ოღონდ დამხვრიტე და შენზე ვილოცებო — ეხვეწება. ბოლოს, საფლავს თავისი ხელით რომ გაათხრევინებს და ტყვიას გამოზომილად ესვრის, ბედკრული უნდა ეცადოს, თავისი წილი არ ასცდეს, თორემ, ხომ არ გგონია მოუნაცვლებს და კიდევ დააყრის. შენი კუთვნილი მიღებული გაქვსო და, ცოცხლად დამარხავს. მთელ სოფელს აყურებინებს: დედ-მამას, და-ძმას, ცოლსა და შვილს, მეგობრებსა და მეზობლებს; იმ ქალს, დასახვრეტს რომ უყვარდა და ახლა თვითონ მტერს გვერდში უწევს. აბა, გაბედოს ვინმემ და ცრემლი გადმოაგდოს...

პარტიზანი!

იოლი სალაპარაკოა: დაჯექი ტყეში, სუფთა ჰაერზე, კრიფე მარწყვი და სოკო; ინადირე, ითევზავე, დაანთე ცეცხლი (მე შენ გეტყვი, შეშა არ გეშოვება), შეიწვი მწვადი, მოხარშე ყაურმა და, უსაქმურს ძალიან რომ მოგეწყინება, დაუდე მატარებელს თავდალმართში ბომბი, წამოწექი მდელოზე და უყურე, — ვაგონები ერთმანეთს ვაცებივით როგორ ახტებიან და ცეცხლმოკიდებულნი უფსკრულში როგორ გარბიან...

პარტიზანი!

პარტიზანი მგლის ხროვაში მიტოვებული თიკანია, რომელსაც განმკითხავი არავინა ჰყავს და ბევრიც რომ იპე-

ტელოს, ხმას ვერავის მიაწვდენს. თვითონ უნდა ეძიოს საძოვარიცა და ღამის გასათევი ფულუროც... ხროვა, როცა მოისურვებს, მაშინ გაგლეჯს. რაღაცა ხესა და ბუჩქს თუ იფარებს და ერთხანს თავს ამით გადაირჩენს, თორემ, თუ მგლის წინ კუნტრუში გაბედა!..

პარტიზანმა ყველა და ყოველნაირ ჯარისკაცზე უკეთესად უნდა იცოდეს მტრის გუნება-განწყობილება. რეგულარულ არმიას თუ შეუძლია მტრის დედა-ბუდიანად გაწყვეტა და გაწყვეტს — გამარჯვებაა! არმიას თუ ძალი შესწევს და მტრის ბარობაზე ქვას ქვაზე არ დატოვებს — დიდებამოსილია! აბა, პარტიზანებმა დაარბიონ და მიწასთან გაასწორონ მტრის ის ქვეგანაყოფი, რომელიც ამა თუ იმ დაპყრობილ ტერიტორიაზე ბინადრობს, და დაინახავენ, მეორე დღეს თუ ორი იმდენი არ მოადგეთ... ყოველი გერმანელის სიცოცხლე ორმოცდაათი ადგილობრივი კაცითაა შეფასებული... მოდგებიან და: მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს ამოწყვეტენ. იმათაც ტყე-ტყე ხომ არ ათრევ და გადამალავ?

ვის? სად?..

არ გამწარდეს და თავზე ხელი არ აიღოს, თორემ, სოფელსაც გადაწვავს, ტყესაც და მინდორსაც. სადაც მანქანით ვერ გავა, ცხენით გაივლის. ცხენით თუ არა, მართლადა, თავს არ გიყადრებს, თორემ, არც სიარული იცი! შენზე ნაკლები და არც სირბილი. ტანკითა და ჯავშნოსნით თუ უსიერში და საფლობში ვერ შევა, მე შენ გეტყვი, თვითმფრინავი არა ჰყავს და ბომბი არ ეშოვება.

თუ ზურგში მართლა ფრონტი გაუხსენი და უსაშველო დამართე, თუ არც ერთი მატარებელი და ეშელონი წინ აღარ გაუშვი, სანამ შენ აგიფეთქებია და გადაგიწვავს, გააჩერებს იმ დაძეძგილ ვაგონებს, ჩამოცლის და შენ მოგისევს...

სანამ მას ჰგონია, ჩიტი ბდღვნად არ ღირხარ, ისე, — გამოზოგვითა და ანგარიშიანად — რაღაცა მონძრეულ კბილს ჩამოაგლეჯ, თორემ, [illegible]ძირზე თავის მოჭრა დაუპირე, შენ [illegible]მაგრდები?

სანამ ფიქრობს: „ირბინე, ირბინე მაგ ჩამპალ ტყეებში, აგერ, გავიმარჯვებ და მერე საით გაიქცევი, იმასაც ვნახავო!“ თორემ, თუ დაიჯერა — დამარცხებასა და დაქცევას უპირებ, იმას, ვინც მის ხელში ხარ — გაბოგინებს?

იცის, კბილის ჭია ჰყავხარ, ტვინს უბურღავ, გულს უწყალებ და როგორ შეიძლება არ იცოდეს, მაგრამ ისიც მოეხსენება, რომ მომაკვდინებელი ძალა არა გაქვს და ამ გაწამაწიაში შენთვის ვერ იცლის, უფრო დიდი სატკივარი აქვს საწამებელი. შენ რომ მოგიშოროს, კბილიანად უნდა მოგიშოროს და ისიც ტკივილისა და სისხლის ფასად დაუჯდება.

პარტიზანს, რისი ძალაც შესწევს, ვერც იმას გააკეთებს და რამდენის განადგურება და დანგრევა შეუძლია, ვერც იმდენს დაარბევს. აგერ, ამ ლიანდაგს რომ მიდგე, უწყო ბომბები და ყარო და ყარო ეშელონები, ასე ყოველდღე კი აღარ გამოგიგზავნის და გაჟლეტინებს ჯარს, გამსხვრევინებს ტექნიკასა და იარაღს. ან შენ მოგსპობს ან სხვა გზასა და საშუალებას გამოძებნის. აგერ, დღეს რომ აქ გაადენ სისხლს, მაშინვე თვალები უნდა დაითხარო და გადაიკარგო. ერთხანს უნდა აცალო, თუ არ შეუხორცდება, ჭრილობამ პირი მაინც უნდა შეიკრას. მერე, შენი სამყოფელიდან შორს, სულ რომ არ ელის, იქ უნდა უჩხვლიტო და ისევ თავს უნდა უშველო, — სანამ სისხლი ქონავს, ტკივილი არ აძინებს და ფხიზლადაა. ამასობაში შენ უნდა წაიძინო და უცადო, სანამ ნაიარევზე მალამოს დაიდებს და ჩათვლემს...

პარტიზანი...

„...მათთა შემბმელთა დახოცენ,
მართ ცეცხლად მოედებიან“.

VI

...გულგრილობა — უსულგულო, გამოთშავი, უშომავლო, რომელიც ავთანდილს ამ შავბნელ კატაკომბების ჯურღმულებიდან ამოჰყვა, მასაქეთია სდევდა, მაგრამ ახალმა პოლკმა, ახალმა თანამებრძოლებმა და გრანდიოზული შეტევის დაუიდარაბამ მასში ცივი, ავი, დაუნდობელი მეთაური მაინც გაალვიძა. ადრე, რასაც ქინით, რწმენით თუ სიცოცხლის წყურვილით აკეთებდა, ახლა, ამ უგულო გულითაც, თითქოს, იმის მოწადინე გახდა იმ გაბოროტებული შურისმაძიებელივით, რომელიც დაკარგულს ვერ დაიბრუნებს, მაგრამ იმ დაუბრუნებლისათვის გაზღვევინებს; გაზღვევინებს შეუბრალებლად, მუხანათურად, ულვთოდ და ვერაფერი არაადამიანური თვალზე ცრემლს ვერ მოადენს, როგორც ხმელ ხეს ნაჯახის დაკვრით წყალი არ გაუონავს.

„წესი არის მამაცისა მოჰირვება, ჭირთა
თმენა.
არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა
გარდავლენა“.

პოლკს თმამოშვებული და წვერგაუპარსავი ნაპარტიზანელებიც შემოერთებოდნენ. დადგა დრო, თავისიანებს მიკედლებოდნენ, რომ ორ ცეცხლს შუა არ გამოსრესილიყვნენ.

პოლკის მეთაურის მოადგილეს, იპოლიტ სოტნიკს, ბლინდაჟი მართლაც კოპწიად მოეწყო. სადღაც რკინის საწოლიც ეშოვა და თუნუქის ღუმელიც გაემართა. მიწაში შეთხრილ თაროზე ორიოდე წიგნიც კი იდო, გარეცხილ-გაკრიალებული ოთხი თეფში და ორი ჭიქა.

— მე აქ, კაცო, საავარაკოდ კი არ ჩამოვსულვარ! — ბოკერიამ, მადლობის მაგიერ, შეუჯაჯღანა და მაღალ პალოებზე გადაჭედებული, გაურანდავი ფიცრების მაგიდაზე ქუდი დაახეთქა.

მოადგილეს, გაოცებისაგან, პირი პირს შერჩა და ხელი ხელს: „რა უნდა აბა, ამ შობელძაღლს, საიდან გადმოაგდეს ასე მგლად ქცეული!..“ — ალრინდა გუნებაში და მეთაურსაც წარბგაუხსნელად აუხსნა:

— მაგას რა უნდა, ახლა [illegible] მაგ ღუმელსა და საწოლს მინდორში!..

— მოისვრი და მოისროლე!.. სადაა ის, ვიღაცა ოხერია?

— პარტიზანი?..

— ვინცაა.

— თქვენი თანამემამულეა, ხაჩიძე...

— არ მაინტერესებს ვისი რაა! რა უნდა?..

სოტნიკს ეგონა, ამ ხემეთაურს გულს ამით მაინც მოულბობდა. ·ქართველები თუ სხვა ეროვნების შვილები, რაც მას ამ ომში ენახა, თავისიანებს სანთლით ეძებდნენ და ჭირისუფლობდნენ. აკი, თვითონაც თავისი გმირი თანამემამულე ორდინარეცად ჩამოიყოლა!

— პარტიზანია, ოცეულის მეთაური...

— რა იქნება, კაცო, მაგათი ოცეული, დაშალეთ და თითო-ოროლა გადაანაწილეთ!... დაუძახე!

— არის დავუძახო, ამხანაგო პოლკის მეთაურო!

ხაჩიძე მიწურის საძრომ ჩარჩოში ძლივს გამოეტია და ჭერის ძელებს თავმიბჯენილმა გაიღიმა. ცხენივით ჩამოგრძელებულ თავ-პირზე ახლად განაპარსი, წვერით ნაჩრდილავი, თეთრი და ქარ-შიშხათით დაშაშრული ქერქისფერი სახე მხრებზე ორი სხვადასხვა კაცის თავებივით ადგა.

— ამსიგრძე ორთავიანი პარტიზანი ამდენ ხანს ლემენცს რაფერ დაემალე, კაცო! — უთხრა და ღუმელთან დამხობილ ჭურვების ცარიელა ყუთზე მიუთითა: სტუმართმოყვარეობას მოუკვდა პატრონი, მარა, რომ გელაპარაკები, სულ ჭერში რაფერ ვიყურო. ან რომელ ერთს გელაპარაკოო. — დაჯექი აგერ!

— მე, ვალიკო ხაჩიძე ვარ... — ჩაილაპარაკა და ფეხი ისე მოირთხა, განაყოფი ძმის ოჯახში რომ ძმა გაიშინაურებს.

— მერე!..

— ვალიკო ვარ-მეთქი...

— მერე, მერე!..

ამ „მერე, მერემ“ „ძმა“ ერთბაშად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააბნია, დააფრთხო და ისევ ფეხზე წამოახტუნა. სახე, მართლა ორი კაცივით, ორაზროვნად დაელმიჭა: ერთი რომ იცინოდა, მეორე — ტირილს აპირებდა.

ამის მაყურებელმა სოტნიკმა დაიჯერა: „ერთმანეთთან ძველი მტრობა ჰქონიათ, დავილუპე, ამ ცოფიანს ეს ვინ მოვუყვანეო!“ და მიწურიდან ისე შეუმჩნევლად გაძვრა, თვითონაც გაუკვირდა. გარეთ, ბნელში რომ თავი დაიმარტოხელა ეგონა, რჯულზე შეიგინა და იქვე მიყურადებულ ამალლობელს გადააწყდა.

— გმირი?!. — წამოცდა იპოლიტს მოულოდნელობისაგან. ვითომ, ამისთანა უმსგავსობას გმირისაგან კი არა, დამსმენისგანაც არ მოველოდიო.

— გმირი!.. — უაზრო სიხარულით ჩაიჩურჩულა ორდინარეცმა.

სოტნიკს შეზარა: ახლა მაინც დაერცხვინა, ასეთ უნამუსობაზე წავასწარიო. — „უეჭველად იმ ნადირს ჩაუკაკლავს, ან ვინმე იმაზე „უარესსო“, ესლა ჰკითხა:

— რა დაემართა?!..

— რა დაემართა?.. — კითხვითვე რომ მოუბრუნდა, იპოლიტმა პირი იბრუნა: „ესენი ხელიდან ისე წასულან, ამათ ასავალ-დასავალს ადამიანი ვერაფერს გაუგებსო“. და მტრის პოზიციიდან რომ შუშხუნა ავარდა, შარვლის ღილების შეხსნა დაიწყო, სანგარს გაუყვა, თვალს მიეფარა.

— რა გინდა, კაცო, მაგით რომ თქვა, ხაჩიძე ხარ თუ... — გულისობდა მიწურში ბოკერია.

— ხაჩიძე ვარ, ბატონო, ვალიკო ხაჩიძე... ამ დასაქცევ ტყეებში ქართულიც კი დამავიწყდა.

— სულ ერთია, რუსულად ილაპარაკე. თუ გინდა ბელორუსულად...

— ეეუ! — აღმოხდა ხაჩიძეს და, ამჯერად, კი არ დაჯდა, მუხლებში ძალაგამოცლილი ჩაიკეცა.

ავთანდილს არც ერთი ნერვი არ შეტოკებია, ისე შეჰღრინა:

— რა გინდოდა... შენ ის თქვი!

— რაღა არ მინდოდა... — ამობოღმა პარტიზანმა და თავი ჩაკიდა. — მაინც არ ყოფილა საშვე[illegible]

— რა საშველს ელ[illegible]

— რა ვიცი... მართლა აღარაფერი ვართ? მთლად დავკარგეთ ყველაფერი?... მაშინ რატომ ვიბრძვით, რატომ გაიწირა იმდენი კაცის სიცოცხლე... ან ჩვენ რაღაიზა გადავრჩით და რას ვაპირებთ.

— ვინ თქვა გადავრჩითო? ომია, ხაჩიძე, და უნდა იბრძოლო, მეტი მე არაფერი ვიცი...

— კი, მარა, რისთვის? ბოლოს და ბოლოს, ადამიანი რომ გადავარჩინოთ, ხომ?.. რაღაცა... სიკეთე თუ...

— მაგი არ ვიცი მე!... და შენ „ის“ თქვი!..

— ის?!.

— ჰო, ჰო „ის“, რაც გინდოდა გეთქვა.

— თუ ყორიფელს ერთი ფასი აქვს...

— გააჩნია რას იტყვი.

— ის, რომ...

— ჰო, ჰო, ამოშაქრე. მე, აქ მთელი პოლკი მაბარია და, ჯერ კაცმა არ იცის, მართლა პოლკია თუ რა ოხრობაა.

— ის მინდოდა მეთქვა, ამ ტყეებში და ჭაობებში...

— რომელ ტყეებში და ჭაობებში, აქ მის მეტი რაა...

— ჰოდა, ყველა... რაცაა, თავიდან ბოლომდე, მე და ჩემმა ბიჭებმა ხელისგულივით ვიცით.

— არ გადამრიო, კაცო, მე შენ! ამბობენ, ისეთი გაუვალი უღრანებიაო, აქ დაბადებულსა და დაბერებულს არაფერი გაეგებაო. რუკა მაქვს აგერ, მარტო ჩვენი კი არა, გერმანულიც და აქაც ძაღლი პატრონს ვერ იცნობს!..

— ამიტომ მინდოდა...

— რა გინდოდა, ხაჩიძე, ძაღლი რომ პატრონს ვერ ცნობს?!

— ...ვერ ცნობს და, მე ვიცი-მეთქი.

— შენ იცი?!

— ორი წელიწადი, მთელი ღამე ერთი ხის ძირში არ გამითევია. აგერ რომ ვიძინებდი, ეგერ, ცხრა მთას იქით ვიღვიძებდი...

— რა, მთვარეული ხარ, კაცო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რავა იმასავით მელაპარაკები!.. მთვარეულები იქ ბრუნდებიან, საიდანაც დგებიან. მე იქ ვინ მიმაშავებდა, საიდანაც წამომაგდებდნენ?

— ჰო მარა, იმასაც ამბობენ, იმისთანა ბნელი ულრანები და უფსკერო საფლობებია, თურმე, ზოგიერთ მიკარგულ სოფლებში გერმანელებს ჯერ ფეხი არ დაუდგამთო?

— ალბათ არის... თუ მტერს არ შეაწუხებ და არაფერს დაუშავებ, ისიც თვალს ხუჭავს.

— თვალს ხუჭავს კი არა, კაცო, მიუვალიაო. შენ მართლა დაგავიწყდა ქართული თუ რა გჭირს?!

— მიუვალი რომ იყოს, სოფელი და ქალაქი ციდან ჩამოფრინდა?

— კარგი და, მართალი მითხარი, ამ „გაუვალ-მიუვალის" რაიმე ნამდვილად გაგეგება?

— ნაფოტი სად აგდია, ის ვიცი.

— ომამდე რას აკეთებდი?

— საინჟინრო დავამთავრე. ენერგეტიკოსი ვარ. ოცდაცხრამეტში გამიწვიეს.

— ქვეითში?

— მე ინჟინერი ვარ...

— ინჟინერი ხარ... — ბოკერია ჩაფიქრდა, გაითიშა თუ თავის თავში ჩაიძირა, შუბლი ერთბაშად დაუნაოჭდა, თვალსა და ხელს შუა გატყდა, დაძაბუნდა.

„ამ რეგვენში ადამიანი გავალვიძეო' — იმედი გაუჩნდა ხაჩიძეს.

— კაცო, ეს ინჟინრები და, რა ჰქვია... ბომბებს და ნაღმებს რომ აკეთებენ...

— მე ბომბები არ მიკეთებია. სასაზღვროში ვიყავი, ომამდე, საინჟინრო ნაწილში... მერე, პირველი დღიდანვე... ახლაც არ ვიცი როგორ გადავრჩი...

— მაგი არავინ იცის... მაგრამ, კაცო, ვინმე ხომ აკეთებს...

— ვინმე...

— ვინმე, კაცო, აბა, მართლა, ციდან ხომ არ ცვივა და მიწიდან თავისით არ ამოდის...

ხაჩიძე დაიბნა, ისევ ვერაფერი გაიგო, ამ შერეკილმა საით გაუტია.

— რას აკეთებს, ამხანაგო მაიორო, ვინ რას აკეთებს?

— ბომბებს, კაცო, ნაღმებს და ყველაფერ ამ უბედურებას...

— ტყეებში, ბომბს კი არა...

— ტყეებში ვინ გითხრა, შე შობელძაღლო! საერთოდ, სადაც აკეთებენ, ინჟინრები და მეცნიერებია, აბა ვინ იგონებს და ამზადებს...

„მე მაბრალებს, თუ რა ჯანდაბა აცოფებს?! ამას ვის გადავეყარე!"

— ამხანაგო მეთაურო, თუ შეიძლება...

— მოიცა, კაცო!.. ჰო, მამუკა ხარ?

მამუკამ ფიცრულ კარში თავი შემოყო.

— გისმენთ, ამხანაგო... ავთო!..

— მაქ იდექი და იცოდე, არავინ მომაკარო. ამელამ, მე და ხაჩიძემ, დილამდე რომ გავათიოთ, მაინც...

— არის!... ავთო...

— რა მინდა გითხრა, კაცო, მე შენ იცი?.. — უეცრად, როგორც წელან, ეს რიხითა და შეუვალობით გატენილი ცივი მეთაური გალღვა და ღველფზე წყალდასხმულივით დაინაცრა. — მამუკა! რაღაცა, არაყი მაინც მოგვიტანე.

ხაჩიძემ შუბლს ქვევიდან გამოხედა:

— მე, ამ სამი წლის მანძილზე, იმდენი რამ გადამხდა...

— ვიცი!.. — ვალიკოს ნაუცბათევად გააწყვეტინა და მკლავები ისე გამოიწვდინა, თითქოს პირზე ხელის აფარებაც კი მოუნდომა, — მის მეტი რა გვინახავს, მარა... ამას მაინც მერე გეტყვი... ამას კი არა, „იმას", ვიღაცა აკეთებს... ესე იგი, ეს ტყეები კარგად იცი, არა?

— კი. — დაეთანხმა ხაჩიძე უგულოდ, რაკი მიხვდა, ახლა ეს ტყე და ჭაობი ამ შეშლილს სულაც არ აფიქრებდა.

— მამუკა! სადა ხარ, კაცო, ამდენ ხანს. შე უბედურო, მამაშენის — ფარნა ამაღლობელის მარანში კი არ გამიშვიხარ...

მამუკა მალე გამოჩნდა. რაღაც, სანავთე ბიდონის მსგავსი თუნუქის ჭუ-

რჭელი შემოარბენინა, მაგიდაზე შემოდგა და ჭიქებშიც თვალისდახამხამებაში ჩამოასხა.

— დალიე, თუ გინდა, და წადი.

ორდინარეცმა უხმოდ, უმალ გადაჰკრა, ისევ დაასხა და გაუჩინარდა.

„რა ხალხია ეს ხალხი?! — ამდენის მნახველმა პარტიზანმა ვერაფერი მოიწამა. — ამნაირი ქართველებიᲘ?!. ასე, კაცს კი არა, ძაღლს არ გააგდებს ადამიანი. ნუთუ რეგულარული არმია ჯარისკაცებს ასე ამახინჯებს?!.“

— დალიე, დალიე, შენც დალიე! — ახლა ხაჩიძეს უბრძანა და „სანავთეს“ ხელი წამოავლო, ჭიქები ბოლომდე აავსო.

ვალიკო არ განძრეულა, ისე შეაჩერდა.

— მარტო მე?!

— ჰო,.. კაცო, ჩვენ მარტო ხომ არ ვსვამთ... — გაახსენდა და სასმისი მიიჩოჩა.

„აბა, წეღან მხოლოდ იმ ბიჭს რომ ჩააცეცხლა?!.“

— იცი რას გეტყვი? მოვეშვათ ახლა იმ მამა-პაპურ სადღეგრძელოებს და... ჩვენ გაცნობას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს...

— კიდევ ერთი და... იცი რას გეტყვი? ეს ულრანები, ჭენჭყო და საფლობები რომ კარგად იცი, ეს გამოგვადგება, უსათუოდ გამოგვადგება... სადა ხარ, ვის ებრძვი და რით ებრძვი, ეს თუ არ იცი... მაგის მეტი რა ვისწავლე, აბა, რიკ-ტაფელას კი არ ვთამაშობდით, მარა... კიდევ დავლიოთ თითო-თითო... აჰ, რავა ატყობ? თუ მაგანაც არ გვიშველოს, კიდევ აგერ არაა?

— ჰო, აგერაა,.. მარა რა უნდა გვიშველოს...

— არა, რამ გამახსენა იცი? ან, მე უბედურს, რა დამავიწყებს... მოიცა, კაცო, ეს არაა შენი საქმე... იმან, რომ ინჟინერი ვარო, და ეს ინჟინრებია და ამისთანა ძაღლი და მამაძაღლები...

— მე, ახლა, აღარც ინჟინერი ვარ და აღარც რა...

— ვიცი, შენ კი არა, ის, ვინც ზის და აკეთებს... მაგრამ, შე მკვდარძაღლო, ხომ ფიქრობ, ხომ [illegible] კაცო, ადამიანი არა ხარ?.. და, თუ ადამიანი არ ხარ... ძაღლი?.. ძაღლი ხომ ხარ... ცოფიანი... დაკარგე ჭკუა, გონება, სახე... არც დედა გყოლია, არც მამა... არც ძმა იცი, არც კაციშვილი. ულმერთო ხარ! უხატო, მაგრამ კაცი რომ ხარ?! თუ არა ხარ, ხომ იყავი... არა, მკვლელი ხარ, ადამიანის ხორცის მჭამელი... კი, კი ბატონო, ხარ და იყავი. ჯანდაბამდე და ჯარხანამდე გზა გქონია. კი, კაცის სისხლისმსმელი, მხეცი, გველი... რაც გინდა... ქალს კლავ, ბავშვს, ბებერს... ყველაფერს, რასაც სული უდგას და, რა ვიცი, რას არა; მაგრამ, მე შენი დედ-მამის სული... მოკალი, მოკალი, შენი გამჩენის... მოკალი, კაცო... მოკალი, შენ მოგიკვდა პატრონ-მყვარებელი, და გაათავე!.. რა გინდა, შენი ავი და კარგი... მეტი?! მეტი რაღა გინდა... ხომ არ მითქვამს, არ მოკლა-მეთქი! რაც გინდა, როგორც გინდა... დახვრიტე, დაცხრილე, ააფეთქე, დაგლიჯე, ჩამოახრჩვე... თუ გინდა, სულ ლუკმა-ლუკმა დაფლითე!.. კიდევ უარესს გეტყვი — დაწვი. დაასხი ნავთი და წაუკიდე, ცოცხლად დაწვი, ჩააგდე მდუღარეში და ხარშე. დაკიდე ფეხით და შეუნთე ცეცხლი... რაც გინდა, მაგრამ მოსპე და მოათავე...

— არ დავლიოთ? — ერთბაშად გამოუნელდა ხაჩიძეს ამდენი ხმელა გადაკრული არაყი და პირი გაუშრა.

— მოიცა, კაცო, რა გასმევს... — კვარივით ანთებული პოლკის მეთაური თვალსა და ხელს შუა იფერფლებოდა. იწვოდა და იფერფლებოდა. — ე, ბიჭო, შე შობელმოთხრებულო!.. — წამოიკივლა და უცებ ხმა ჩაუწყდა, ახავხავდა. დაპატარავდა, დაჩიავდა, მოილეკვა, გასაცოდავდა და მუქარიდან ხვეწნაზე, მუდარაზე, წკავწკავზე გადავიდა: — მოკალი, შენ რა გითხარი მე, შენ... იწამე ღმერთი, იწამე ადამიანობა, კაცობა, სინდისი, ნამუსი; მოიღე მოწყალება, შეიბრალე, შეივრდომე, ქენი სიკეთე და მოკალი, მოკალი, მო-

კალი და გაათავე... კაცი არა ხარ, კაცო!... მოკალი, მოსპე, გააცამტვერე... აღირსე... ე, ბიჭო, რას გეუბნები, რას გეხვეწები და გევედრები, არ გესმის?

ხაჩიძეს ჭიქა ხელში შეაცივდა, თავი მხრებში ჩაუვარდა.

„ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცაღა ვიყო ცნობასა“.

## VII

ყირიმის განთავისუფლებას ქართული დივიზია მთლიანად შეეწირა: ბოკერიასთან ერთად სრუტეზე გადასხმულ დესანტთაგან ასიდან ერთი თუ გადარჩა, ან თითო-ოროლა დაჭრილი ჯარისკაცი, ვინც მანამდე ნაწილს ჩამორჩა.

ზღვა სისხლის ფასად ნახევარკუნძული რომ გათავისუფლდა, წელს ქვევით დაცხავებულ-დასახიჩრებულს თავის პოლკში რაღა უნდოდა, მაგრამ ან პოლკი სადღა იყო, ან დივიზია. სამი წლის მანძილზე რა დარბევა არ უნახავს, მაგრამ მაინც არ ეგონა, თუ ამოდენა შენაერთის ასე პირწმინდად განადგურება შეიძლებოდა, რომ არსებობა შეეწყვიტა.

წინსვლა უფრო ძვირი დაჯდა, ვინემ უკან დახევა. ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო. სად ის, რომ ჩასანგრებულს მოწინააღმდეგე თავს გესხმის და სად ის, როცა რკინა-ბეტონის ღრმა მიწურებსა და თხრილებში თოფმომარჯვებული გელოდება. სანგრიდან თუ არ ამოხვედი, შეტევა არ იქნება. ამოხვალ და, ჩასაფრებულის სანიშნე ხდები.

მადლობა ღმერთს, ის დრო აღარაა, ჯიბეში რომ დათვლილი შაშხანის ვაზნები ეყარათ და ავტომატი სანატრელი ჰქონდათ. მძიმე არტილერიას „კატიუშები“ რომ ჩაუდგება და ჯგროდ აფრქვევს ცეცხლწაკიდებულ, მანათობელ ჭურვებს, მტრის პოზიციებზე: მიწას, ქვას, რკინას და ბეტონს შეშასავით წვავს. ავიაციაც რაღაცას ჰგავს. ის აღარაა ომის დასაწყისიდან შარშანდლამდე ჰაერში ძლივს რომ დაფაფხურობდნენ და სვასტიკიანი ურჩხულების ლუკმა ხდებოდნენ.

შეტევები, არტმომზადებისა და საავიაციო დაბომბვის შემდეგ, ახლა სატანკო ნაწილებითა და ჯავშნოსნებით იწყება. ისინი არღვევენ მოწინავე ზღუდეებს და მტრის განლაგებებში დერეფნები გაჰყავთ. ანგრევენ, თელავენ, ასრგალებენ წინა ხაზებს, მკვდარსა და ცოცხალს ერთად მარხავენ. მიწას, რკინას, ნაცარს, სისხლსა და ხორცს მუხლუხოებით ზელენ — ნაკვალევზე მეწამულ ბილიკებს სტოვებენ. ამითაა, რომ ქალაქები და სოფლები ზედიზედ თავისუფლდება, მაგრამ ჩვენს იარაღს და საჭურველს მოემატა, თორემ მტრისას თითქმის არაფერი მოჰკლებია. ყოველი გარღვევა ან თითოეული დასახლების აღება იმაზე მეტი ჯდება, ვინემ, ერთ დროს, მისი დატოვება და თავის შველა. თავგანწირულად სანგარს ჩაფრენილი მოწინააღმდეგის პირდაპირი იერიშით განადგურება უმოწყალო მსხვერპლს მოითხოვს; ყოველი მტკაველი მიწა ჯარისკაცის სიცოცხლედ ჯდება. იმდენად ძვირი, რომ გამარჯვება დამარცხებას უდრის. ამდენი დახოცილების ცალ-ცალკე დამარხვის ან დრო სადაა, ან სამარხი, და უკან ასეულობით ერთმანეთში გარდიგარდმო ჩაწყობილი ბიჭების საძმო საფლავები რჩება.

ბოკერიასთვის სიკვდილი ის აღარ იყო, რაც ადრე ეგონა და დაღუპულ თავის მებრძოლებს რა ხანია აღარ დასტიროდა. მაგრამ წინ ჯერ კიდევ დიდი საბრძოლო გზა იდო და ყოველ გადადგმულ ნაბიჯს ისევ და ისევ ჯარისკაცი სჭირდებოდა.

პოლკი რომ მუდამ ბრძოლისუნარიანი იყოს და წინსვლას წინსვლა მოჰყვეს, მეომარს უნდა გაუფრთხილდე. ათი სოფლისა და ერთი ქალაქის განთავისუფლება ვითომ პატარა საქმე არაა, მაგრამ ამოდენა ფრონტისათვის მაინც ზღვაში წვეთია. ბერლინამდე იმდენი სოფელ-ქალაქია გადასალახავი და ყოველ დასახლებაში რომ თითო კაცი დაგრჩეს, იქამდე მებრძოლი მაინც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგწვდება. სიცოცხლეს მომჭირნედ უნდა ხარჯვა, რომ გამარჯვება დამარცხებად არ აქციო. იარაღიც რომ გქონდეს — პატრონი უნდა. თუ ტყვიას ზუსტად არ დაუმიზნებ, თოფ-ზარბაზნის ცარიელა ქუხილით — სამი წელიწადი რომ მეტი არაფერი გაუგონია, — იმისთანა მოწინააღმდეგეს ვერ დააფრთხობ.

არტილერიის ცეცხლითა და ავიაციის ბომბებით რომ მოწინავე პოზიციებს დაანგრევენ და ნაცარ-ტუტად აქცევენ, მიწაში ჩამძვრალ, დაზაფრულ-დაყრუებულ-დაბრმავებულ ნაცისტებს გაქცევის ილაჯიც აღარა აქვთ, მაგრამ თავზე რომ გადაადგები, ავტომატს მაინც ინსტინქტით გიმიზნებს და ტყვიას გაყრის; რომ კითხო, იქნებ ისიც აღარ იცის, რას აკეთებს, ვის იცავს და ვის ებრძვის. თითქოს, უკვე რაღა აზრი აქვს სროლასა და ბრძოლას, როცა ტანკებმა და ჯავშნოსნებმა გადათელეს, სიმაგრე-თავშესაფარი თავზე დაამსხვრიეს და ზურგში მოექცნენ. მათმა უფროსობამ, ვინც გადარჩა, რა ხანია თავს უშველა, მაგრამ ისეა გათიშული, იმდენჯერ დაეცა თავში ბომბი და იმდენი სიკვდილი გაათავა, აღარ იცის თუ სული კიდევ უდგას, მაგრამ სროლით კი ისვრის. ისვრის, რაკი თითქოს სიკვდილის შემდეგაც ეს უნდა ეკეთებინა. იმდენჯერ უტენეს თავში: „ესროლე, მოკალი!“ „დაუშინე, ესროლე, მოკალიო!“ და იმდენჯერ აკეთებინეს ერთი და იგივე: დღისით, ღამით გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, ძილში და ცხადში, მიწაზე, წყალში და ჰაერში, ყოველგვარი აზრი და არსი გამოაცალეს, მანქანად აქციეს და, როცა ქვეყანა თავზე დაალეწეს, დაარეტიანეს, დააყრუეს და გამოალენჩეს, — აღარც გამარჯვებისა გაეგება რაიმე, აღარც დამარცხებისა — ამ იარაღს მაინც ორივე ხელითაა ჩაფრენილი. გიშენს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ არ გნებდება, სძულხარ, ვინმეს ერთგულებს ან ვინმე უყვარს... ყველაფერი ეს, — იმოდენა ბომბმა და ჭურვმა, ტანკმა და ჯავშნოსანმა, საათობით რომ ურტყამდა, მარხავდა, მუხლუხოებით გადადიოდა და [illegible] — ერთიანად გამოუ[illegible]ფრქვევიდან და გამოარეტეს. მაგრამ, სანამ ჩახმახზე თითის დადება შეუძლია, სროლას არ იშლის. თუ ზედ არ მიასიკვდილე, არ იფიქრო: ბრძოლა წაგებული აქვს, გონს მოვა, ტყუილუბრალოდ არც თავს გაიმეტებს და არც სხვას დაღუპავსო. არც ის გეგონოს, იმდენი თანამებრძოლი რომ დაუხოცეს, დაშინდა — მეც მათი ბედი მელის, თუ ცეცხლს არ შევწყვეტო. სიკვდილს ისე მიეჩვია, დაღუპულ მეგობარს, სანგრის წინ რომ დაეცა, პირში შერჩენილ პაპიროსს ულებს, თვითონ აბოლებს და ზედ ისე გადმოდებს თოფის ლულას, როგორც მიწაყრილზე ან ჯირკზე და ისევ და ისევ ისვრის.

## VIII

ქვეყნის სამხედრო მანქანად ქცევამ, იარაღისა და ტყვია-წამლის გაჩენამ, ამერიკული ლორის კონსერვებმა და კვერცხის ფხვნილმა, თავდაცვით ბრძოლებში დაოსტატებამ და ცოდნამ — მტერს დიდი მსხვერპლის ფასად შეიძლება გაუძლო და არაა აუცილებელი ყოველთვის ზურგი უჩვენოო (ბოლოს და ბოლოს, სანამდე ირბენ, როცა უკან დახევაც და სირბილიც სისხლის ფასად ჯდება), ჯარისკაცი დააჯერა — რაკი ტყვია არ აგცდება, ასეც და ისეც განწირული ხარ, ბარემ ლაჩრის სიკვდილი მაინც აიცდინო — გირჩევნია... და ყოველივე ამას მთავარსარდლობის უმკაცრესი ბრძანება ემატება:

„არც ერთი ნაბიჯი უკან!!!“

შემოტევის ციებ-ცხელებით დაზაფრულ ჯარისკაცს ტანში გამჯდარ სიკვდილის შიშს, ალბათ, სიკვდილისავე შიშით თუ გამოუბერტყავს. მანამდე ეგონა: დამარცხება გარდაუვალია, ბარემ თავს დროზე ვუშველოო და ისე მაინც გავიქცე, რომ არ წავიქცე და

მოწინააღმდეგის ჩექმებმა არ გამთელოსო, ახლა — მტერს რომ გავექცე, მოყვარეს ვერსად წავუვალო. უკან გზა აღარაა! წინ თუ წახვალ, ასიდან ათი მაინც გადარჩება, უკან დახეული — ასიდან ასივე დაისჯება. უკვე უთოფო და უიარაღოც აღარ გეთქმის. ტყვია-წამალი დათვლილი გაქვს, თორემ — გაქვს.

აიღეს და არმიას ის, ვერც თუ დიდად ნასახელები „პეტლიცები“ და საყელოზე მიწებებული წოდებრივი ნიშნებიც შეუცვალეს. არმია ახალ, ცინცხალ სამხრეებში გამოჰიმეს, რა თქმა უნდა იმათ, ვისაც გამბედაობა და სამხედრო ნიჭი არ ჰქონდა, ახალი სამხრეები ბევრს ვერაფერს ჰმატებდა, მაგრამ იმ უკან-უკან მარბენალი ჯარის გარეგნობაში მაინც რაღაცა შეიცვალა. თუ წინსვლას ვერ გაიძულებდა, უკან დახევას — მტრის დაცაცხანებისთანავე — მაინც გიკრძალავდა.

თანდათანობით, ჯერ ორგანიზაციულმა თავდაცვითმა ბრძოლამ, დაშინებული ჯარისკაცი დაარწმუნა: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა ლბილისაო“, მერე, ნუ იტყვი და, თუ ჯავშანგამტანი იარაღი გაქვს ან ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, თურმე, არც ფოლადის ურჩხულია შეუვალი. რა ვუყოთ, რომ ლობე, კედელი, უგზოობა, ორმო, ყინვა და თოვლი ვერ აკავებს. ამ მოთარეშე ფოლადის ციხესიმაგრესაც ჰქონია სუსტი ადგილი და მედგარი, შეუპოვარი ცეცხლი, თურმე, რკინასაც სწვავს.

მთავარია, არ გაიქცე და წინ კურდღელივით არ გაგიგდოს. პირიქით, თვითონ გაუშვი, გაატარე და გვერდიდან ან უკნიდან მოექეცი. უმჯობესია, მაგარ შუბლში თუ საერთოდ არ დაჰკრავ. თხრილის თავზეც რომ გადაგიაროს, ნუ აცახცახდები, გაიმაგრე გული და ზურგს რომ „გიჩვენებს“, მაშინ ივაჟკაცე. როგორმე, როგორმე მის გამთანგავ ხროტინსა და ზარდამცემ ქოთქოთს გაუძელი, მორალურად ნუ წახდები და დანახვისთანავე შარვალს ნუ ჩაისველებ. შორიდან ის უფრო კარგად ხედავს და უფრო საშიშია, თუ ახლოს მოუშვებ — „ბრმავდება“ და ვერც კი გამჩნევს. რომ გგონია, შორიდან ქვეყანას აქცევს, ახლოს რაღას დამმართებსო, თურმე, ყველაფერი პირიქითაა — რამდენად გიახლოვდება, იმდენად „სუსტდება“ და შენი იარაღი კი ზუსტი და ღონიერი ხდება. მოახლოებისას იმდენი უნდა მოახერხო, მაინცდამაინც „ფეხებში“ არ გაებლანდო და ზურგში „დანის“ ჩაცემა ბევრად უფრო იოლია, ვინემ გულში განგმირვა.

მადლობა ღმერთს, ამ ომში მუხანათური მიპარვისა და ვერაგული მკვლელობისათვის არავინ დაგძრახავს. რა ხანია კაცობრიობამ დაივიწყა ტოლფარდობისა და ტოლფერობის, ერთნაირი იარაღისა და მკლავის ძალის ვაჟკაცური რომანტიკა, მოწინააღმდეგე მხოლოდ მკერდში რომ უნდა დაგეჭრა და, თუ ხმალი ხელიდან გაუვარდებოდა — უნდა მიგეწოდებინა; წაქცეული წამოგეყენებინა და გაქცეულის გამომკიდებელი გაქცეულზე მეტ დიდ სირცხვილს ჭამდა.

ახლანდელ უნამუსო ომებში ჯიქურ წამოსულ მტერს რომ შუბლით შეასკდე და დაამარცხო კიდეც, შეიძლება ამისთვის ტყავიც კი გაგაძრონ: ათასი ფანდი და მამაძაღლობა უნდა გეხმარაო; სამხედრო ტაქტიკის არცოდნა და უგუნურებაც კი დაგწამონ — ჭკვიანად ვერ მოქცეულხარ, მტრისთვის შუბლი მიგიშვერია, რომ გაეხვრიტა, ახი იყოო.

შეიცვალა დრო და წუთისოფელი. განვითარდა, განათლდა ადამიანი. რაც ერთ დროს საძრახისი და თავსაჭრელი ეგონათ, ახლა ისაა საამაყო და თავმოსაწონებელი. დღეს ხელში რამდენად გრძელ დაშნას დაიჭერ და რამდენად შორსმსროლელ თოფს გამოამეცნიერებ, იმდენად უკეთესი „ვაჟკაცი“ ხარ. თუ გინდა შხამით მოწამლე, დაწვი, დამდუღრე, მძინარეს ყელი გამოღადრე... ოღონდ მოკალი და არავინ მოგკითხავს, როგორ და რა მანქანებით. ყოველი საომარი წვრთნა, თეორია და პრაქტიკა, კურსები, სასწავლებლები, უმაღლესები და აკადემიები იმისთვი-

საა, გასწავლონ, ვინ რა ფანდი და მამაძაღლობა გამოიყენა, როგორ მოიფიქრა ისეთი სისაძაგლე და ვერაგობა, რაც მტერს თავში არ მოსვლია და მოწინააღმდეგე ისე მუხანათურად გამოასალმა ქვეყანას. მათი ყველა მუხთლობა უნდა შეისწავლო და მერე მათზე უკუღმართი და ვერაგი გახდე. თვალი მტრის ადამიანურ და ტექნიკურ სისუსტეებზე უნდა გეჭიროს. თუ ჩათვლიმა, მაშინ უნდა დაახრჩო, თუ დაღლილია და სასომიხდილი — მაშინ უნდა უყელო, ხმალი თუ გაუვარდა — მაშინ მაშინ უნდა ჩასცე, თუ ტყვია გაუთავდა — მაშინ უნდა დაუშინო და გააცამტვერო.

არც ავთანდილ ბოკერიას შეეძლო მის წინ მკვიდრად ჩასანგრებულ მტერს ბეტონის შუბლში ხელაღებით დაძგერებოდა. თავი უნდა ემტვრია: ეთვალთმაქცა, დაეზვერა, მოენეები დაეჭირა, გველის ხვრელში გამძვრალიყო, სადღაციდან მოევლო, რაღაცა ეღონა, რომ ზურგში მოქცეოდა ან ფერდში მაინც ჩაეცა...

პოზიცია, რომელიც უკან დახეულ მოწინააღმდეგეს კარგა ხანია ეჭირა, უკვე შეუვალად ექცია. პირდაპირი იერიშის მიტანა, თუნდაც დიდი ტექნიკისა და საომარი საჭურველის იმედით, მაინც უზარმაზარ მსხვერპლს შეიწირავდა.

როცა ტყეს ჭრიან, ნაფოტი ცვივა, მაგრამ ხე მთლად ნაფოტებად არ უნდა აქციო.

ახლანდელი თავდაცვითი ბრძოლებიც უკვე დაგეგმილი, მოწესრიგებული სამხედრო სტრატეგიით ხდებოდა და გრანდიოზული შეტევითი ოპერაციები ხომ ყოველ წვრილმანამდე გააზრებული და გაანგარიშებული იყო.

დათვლილია ჯარისკაცი, ტყვია-წამალი, ტანკი, თვითმფრინავი, პური და არაყი, მაგრამ ბოკერიამ, ივანოვმა, პავლენკომ და პეტროსიანმა ფეხი სად დადგან, რომ ნაღმი არ აუფეთქდეთ, ამას ვერავინ გიანგარიშებს და ბილიკს ვერ გაგიწალდავს. ნაბრძანებია: ბოკერიას პოლკმა მარჯვნიდან შეუტიოს, ივანოვისამ და პავლენკოსამ — პირდაპირ, პეტროსიანმა — მარცხნიდან! ჰა, შენ, რაც ამ საქმისთვის დაგჭირდება და ფრონტს რაც გააჩნია, მაგრამ დანარჩენი, რაკი პოლკი ჩაგაბარეს, შენ იცი. თუ ათას მზაკვრობასა და მამაძაღლობას არ ჩაიდენ, თუ მუხანათურად არ გაძვრები და ბრძოლას ნაკლები დანაკარგით არ მოიგებ, პოლკსაც დაღუპავ და თავსაც მიაკარგავ. როცა ამოდენა ოპერაცია იგეგმება, იქ შენი ბრძოლისუნარიანობა და გამჭრიახობა იქნებ გადამწყვეტი არ იყოს. განადგურდები და შენ გზაზე სხვა, ახალი პოლკი, დივიზია, კორპუსი და შენაერთი გადაივლის — წინსვლა გაგრძელდება, მაგრამ შენ აღარ იქნები, შეტევას გიგეგმავენ, მაგრამ წინსვლას როგორ და რა ჭკუა-გონებით, რა ხერხითა და გაიძვერობით შეძლებ, ეს შენ იცი. თუ გაიმარჯვებ და ამ გამარჯვებას დაესწრები, შენს სამხედრო ნიჭზე და უნარზეა. აგერ, ბატონო, ორდენი და მაგ სამხრეების მომსხო ვარსკვლავს ერთი კიდევ მიემატება. რომ იყავი, ორჯერ მეტი ჩინის პატრონი ხდები. ჯილდო ჯილდოს მიემატება და, ვინ იცის — ოქროც...

არა და... თავს დააბრალე. მადლობა ღმერთს, ახლა ის დრო აღარაა, დახოცილი ჯარისკაცები რომ ბრძოლის ველზე რჩებოდნენ და მიწის დამყრელი არავინ იყო. ყოველი შეტევის შემდეგ, წინწაწეული არმია მტრის გვამებს არ ტოვებს დაუმარხავს და თავისიანს ხომ — სამხედრო პატივით ასამარებს. ტყვია-წამალიც კი ისე აღარ ჭირს, საძმო საფლავში ჩასვენებულებს თოფების ზალპით არ გამოეთხოვონ.

ამოცანა აგიხსნეს, მიზანი ნათელია... ახლა, პოლკის მეთაურებს, სათვალთვალო-საკომანდო მიწურებში სარდლები და მთავარსარდლები ვერ ჩაგისხდებიან და რა მოხდება — კიდეც რომ იცოდნენ — ვერ გიკარნახებენ: ემანდ, მტრის დიდი დაჯგუფებაა ან — მაგარი რკინა-ბეტონია და შუბლით არ მიასკდეო. შუბლს შიგნით თუ რაიმე გაქვს, უნდა იცოდე — რაა შენ წინ

და ვინაა, რომ გიმიზნებს. თვითონ უნდა დაინახო, წინ რა გელობება და ფეხქვეშ რა ნაღმი და ბომბი გიდევს, თორემ აქ მთელი შუბლი უფრო უკვირთ, ვინემ გახვრეტილი. იმიტომ ხარ შენ მეთაური და ამდენი ჯარისკაცის სიკვდილ-სიცოცხლეზე პასუხისმგებელი, რომ ამას ხედავდე, თორემ ის, ვინც ამ შეტევას გეგმავს, მაგიც რომ იმან იცოდეს და ამ ჯარს მარტო ბრძანება და დაცაცხანება შველოდეს, ამასაც ის გააკეთებდა და შენ აქ არ დაგსვამდა, ჩინ-მედლებს არ ჩამოგკიდებდა. მუდამ იმის ცდაშია, რა პატივი გცეს. მარტო შალის გალიფე და მუნდირი რა უჯდება, კაცმა არ იცის, შენთვის ტყავის ჩექმები ცალკე აქვს და თითოეულის მაზარა. სხვანაირს გასმევს და გაჭმევს. წელზე პისტოლეტს გკიდებს და კოკარდიან, კანტიან ქუდს გაახურავს. გამორჩეული ჰყავხარ, შენი სიტყვა კანონია. რომ ბრძანო, ათასი კაცი უფსკრულში გადაეშვება და ერთიც კი თქმას ვერ გაბედავს: ამ ჯურღმულებში რომ გვყრი, პრასი ხო არა ვართ, ხელახლა ამოვიყაროთო. ბოსტანში ოხრახუშს არავინ მოგაჭრევინებს ისე უანგარიშოდ, როგორც შენ ჯარისკაცის სიცოცხლე შეგიძლია გააპარტახო. ასიდან ათი კაცი რომ დაგრჩეს, გაარღვიო და გახვიდე, იმ ოთხმოცდაათს არავინ მოგკითხავს, მაგრამ ასიდან ასივე რომ ისევ ცოცხალი გყავდეს და ადგილიდან ფეხი არ მოიცვალო, იქვე დარჩები აწ და მარადის...

ომია, ბატონო ავთანდილ, ომი (მაგი, შენ თუ არ იცი, ვინ იცის) და არავის აწუხებს შენ უკვე გინდა ეს თუ არა, გიჭირს თუ გილხინს, დედა მოგენატრა თუ ქვეყანას შენთვის ჩალის ფასი აქვს, რწმენა დაკარგე თუ კაცობა... შენ რაცა გაქვს გასაკეთებელი — შენს წინაა. წითელი ფანქრითაა გამოხაზული აგერ. მაგიდაზე რომ გაშლილი რუკა გიდევს. ა, მოწინავე პოზიცია, აგერ ნეიტრალური ხაზი და იქვე მტრის თავდაცვის ზოლი. როგორც გინდა, საიდანაც გინდა, როგორც შენმა ჭკუამ და გონებამ გაგიჭრას, ისე გაანგრიე და გადი. მხოლოდ უნდა გახვიდე, აქ ორი აზრი არ არსებობს. მოკვდა ის დრო, უკან რომ უთავბოლოდ გარბოდი. „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ — მორჩა და გათავდა! ახლა ყოველი ნაბიჯი წინ და მხოლოდ წინ!

მსოფლიო გაოცებულია: რა გჭირდა, რა დღე დაგაწია, რას გაუძელი და ახლა შეუძლებელი შესძელი — რაც დაგმართა, იმითვე უხდი, დამრბევს პირიქით არბევ. აწი რომ სადმე წაიფორხილო და მუხლი ჩახარო, აღარავინ დაგიჯერებს. შენზეა მოჩერებული ინგლის-ამერიკა: ამან გერმანიას კისერი მართლა ისე არ მოუგრიხოს, ჩვენ წილი ვერაფერში დავიდოთო. ამდენ ხანს იმის იმედი ჰქონდათ, — იქნება ფაშისტებმა და კომუნისტებმა ერთმანეთი ამოწყვიტონ და მათ დანთებულ ცეცხლზე ხელები ვითბოთო. თუ შენი ხსნისთვის ომში ჩაბმას აპირებდნენ, როცა გიჭირდა, მაშინ უნდა ეშველათ. არ დაიჯერო, შენთვის შუბლს არავინ გაიცხელებს, მაგრამ თუ დაიჯერეს, რომ გერმანია განწირულია — „მოგეშველებიან“, რომ გამარჯვებაში წილდაუდებელნი არ დარჩნენ. რას იზამ, ასეთია კაცის ბუნება. რამდენად ცოტას დაკარგავ, იმდენად დიდია გამარჯვება. რომ იცოდე, შენ საქმეს სხვა გააკეთებს, ამ ჩაბეტონებულ-ჩასანგრებულ მტერს სხვა ამოწყვეტს, ხელს რავა გაანძრევ: მაგრამ, როცა იცი, მხოლოდ შენი სისხლი უნდა დაიღვაროს, ერთი რამეღა გრჩება: როგორმე, რამენაირად... ჭკუა უნდა გაიხვრიტო, დღედაღამე გაასწორო და შენზე ეშმაკსა და გაიძვერას იმისთანა კვანტი დაუდო, რომ არ ელის, და სანამ შენ სულს ამოგხდიდეს, მანამდე ამოწვალო.

„პირის-პირ ომი არ ძალ-გვიც, არ ქამი საკვეხარია“.

IX

— აპა, მე გეტყვი შენ: ვერც ერთმაგ თქვენს ვარაუდს ვერ დავეთანხმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი. არ არის ეს თანამედროვე შემტევი საბრძოლო გეგმა!

— გეგმა... ვითომ რატომ არაა?! შტაბი...

— დივიზიის შტაბის უფროსსაც ამას ვეტყვი და, თუ გინდა, კაცო, არმიის შტაბისაც. რაო, იშოვეთ იარაღი?...

— ვითომ რა, არ უნდა გვეშოვა? — შტაბის უფროსის დიდთავა მოადგილემ, პეტრენკომ — ეს პოლკის მეთაური როგორ მელაპარაკებაო! — ქუდს ცერი აჰკრა და კინკრიხოზე მოიგდო. დაელმებული თვალებით აჰხედა რუკაზე ალმაცერად დამყურე ბოკერიას.

— ახლა კი არა, სამი წლის წინაც უნდა „გვეშოვა"... მაგრამ მაშინ უთოფოდ ვიჟლიტებოდით; ახლა იარაღი გვაქვს და მაინც უნდა გავწყდეთ? ამას არ მასწავლიდნენ მე არც ბოჟენკო და არც შავლეგიშვილი...

— არ ვიცი, რომელი მხედართმთავრები იყვნენ ეგ თქვენი ბოჟენკოები და ვილაც-ვილაცები და თქვენ, ამხანაგო პოლკის მეთაურო, რომელი აკადემია დაამთავრეთ?

— მე ყველაზე დიდი აკადემია დავამთავრე და ყველაზე კარგი მხედართმთავრები გვასწავლიდნენ მეც და ჩემს მასწავლებლებსაც — გერმანელთა კარგად გაწვრთნილი პოლკები და დივიზიები, მათი გენერლები და ფელდმარშლები.

— ეგ ახლადმოვლენილი მაიორი შემოგზავნილი ხომ არაა? — შესცინა პეტრენკომ შტაბის დაზვერვის უფროსს, პისარევს, მაგიდის თავში რომ ყვინთავდა და გენერლებისა და ფელდმარშლების ხსენებაზე თვალები ჭყიტა.

— ჰო, „შემოგზავნილი" ვარ და ვიცი ვისთან მაქვს საქმე.

— მე, სტალინგრადის ოპერაციების... — პეტრენკომ თავი უამურად გააქნია. — როგორ არ მიყვარს ასეთი რამეები, ვინაა ამ ომში რომ გულხელდაკრეფილი მჯდარიყოს...

— რა თქმა უნდა, კირილ კირილიჩ, რა თქმა უნდა... — უსულგულოდ დაეთანხმა პისარევი და ჩაწითლებული თვალები ისევ დაუწვ[illegible]

— შტაბი...

— ამხანაგო პოლკის მეთაურო... — არ აცალა შტაბის უფროსის მოადგილემ, ცხვირწინ ქაღალდებს დახედა, დივიზიის საველე გაზეთის „წითელი მებრძოლის" ყურზე მიწერილ ავთანდილის გვარს ჩააჩერდა — ბო... ბაკერია.

— როგორც გიწერიათ, ისე წაიკითხეთ: „ო", ბო-კე-რი-ა! ქართულად, როგორც იკითხება, ისე იწერება.

— ამ, ყველაფერში „დამნაშავე" შტაბმა ესეც ხომ არ უნდა იცოდეს, ქართველები როგორ წერენ და კითხულობენ? — ცინიკურად ჩაეცინა პეტრენკოს...

— უნდა იცოდეს! ყველაფერი უნდა იცოდეს. კარგმა მწყემსმა მარტო ის კი არ იცის, რამდენი ცხვარი ჰყავს, ისიც — რა ჯიშისა და ჯილაგის, რომელი რა ხმაზე პეტელობს, რა უჭირს და ულხინს.

შტაბის ნაცად ოფიცერს პირველად არ ესმოდა მოწინავე ცეცხლის ხაზებზე გამომწვარი მეთაურებისაგან ასეთი ჭოჭმანი და ყური შეჩვეული ჰქონდა. ხვალ-ზეგ ისევ ტყვიის ქარ-ცეცხლში გასაწირ მეომრებს ამნაირი „ცოდვები" მიეტევებოდათ. ომის „ჭკუა-გონება" — შტაბის შედგენილი გეგმა, ლარი და ხაზი, ბოლოს და ბოლოს, „ბაკერიების" სისხლის ფასად უნდა განხორციელებულიყო.

— გაძლიერებული არტილერია, ავიაცია... ავიაცია კი არა, არწივებია, ამხანაგო... აღარაა ის დრო, შენ რომ გახსოვს და, თუნდაც აგერ, გუშინ ყირიმის ამბები რომ იყო... იქ მტერმა დიდძალ ტექნიკასა და ცოცხალ ძალას მოუყარა თავი, თანაც თქვენზე ბევრად უკეთესი... რა შედარებაა, განსაკუთრებული პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, არც უკან დასახევი გზა გააჩნდა...

— რასაც ჩვენი დივიზია მთლიანად შეეწირა...

— სულ... მთლიანად?! — მხრები

ყურებამდე აიტანა შტაბის საიდუმლო განყოფილების უფროსმა კაპიტანმა, ფეხიფეხზე გადადებული რომ თავის კარგად მორგებულ ახალი ჩექმის ჭვინტს ჩასჩერებოდა.

— მთლიანად... — დედაბუდიანად!..

— მაშინ თქვენ?.. — თავი არ აუღია კაპიტანს, ჩექმის ჭვინტს უთხრა. — თქვენ და თქვენი ორდინარეცი, გმირი?..

— ალბათ, მხოლოდ თქვენს ქართულ დივიზიაში ჰყავდათ გმირები ორდინარეცებად... — ისევ ჩაეცინა პეტრენკოს. და, ამჯერადაც, უბოროტო ირონიას თავი მაინც ვერ დააღწია.

— მე და გმირი ამაღლობელი შტაბის ცხელ ღუმელთან ვისხედით და ლაჯებს ვითბობდით...

— ყველას ჩვენ ჩვენი უბედურება გვყოფნის. — თითქოს მუდარით ახედა პისარევმა ბოკერიას. — ვიცით, რომ დესანტად გადახვედით... ჩვენ, პოლკის მეთაურად კი არა, მზარეულად არავის ვუშვებთ, თუ არ ვიცით... რად გვინდა ამაზე თავის მტვრევა. შენ დივიზიის მეთაურის მოადგილედაც კი გვინდოდი სამწყობრო დარგში. მარჯვენა ხელი დავკარგეო, მოგტიროდა შენი კორპუსის მეთაური, გენერალი ასტახოვი...

— ეს ჩემი სურვილი იყო.

— ახლა ჩვენიცაა. მაგრამ, თუ ერთმანეთს არ გავუგეთ... შტაბის უფროსიც რომ ასე სახელდახელოდ არ გაეწვიათ... მოგეხსენებათ, დიდი ოპერაცია მზადდება... ეს საიდუმლო აღარაა.

— რა საიდუმლო?!. — ისევ ჭყიტა გამოცარიელებული თვალები დაზვერვის უფროსმა.

— ა, ფოტოები... არ გითხარი? ჩვენი მფრინავები ის ხომ არ გგონია... მაგრამ, არც მტერს სძინავს.

— არ სძინავს!.. — თავი გაიქნია, ძილი ისევ და ისევ მოიგერია მზვერავთა უფროსმა, — ძინავს კი არა...

— გავარღვევთ... — კირილ კირილიჩმა თავი იმედიანად დააქნია. — სატანკო ქვეგანაყოფი გეყოლებათ... „ტიგრები“ და „ფერდინანდები“ ვერ შეგვაშინებენ. „იოსებ სტალინებს“ ჩავუყენებთ ჩვენს „ტრიცადჩეტვერტკებს“.

— თქვენ იცით, მტერი დასავლეთში რომ ხსნის დივიზიებს და აღმოსავლეთით გადმოჰყავს?

— შენ გგონია, ეს დალხინებით სჭირს?

— დალხინებით სჭირს თუ გაჭირვებით, მე რომ მომადგება, ავაფარო თქვენი დახაზული გეგმა?

— არც ჩვენ გვაქვს ზურგი ცარიელი...

— რა თქმა უნდა, მაგრამ, როცა მე გამსრესს...

— ჩვენ შენს პოლკსაც გავაძლიერებთ. განსაკუთრებით ტექნიკით... ვიცით, ვისი იარაღიც ძლიერია — ის გაიმარჯვებს.

— მაგრამ, ომს ჯარისკაცი იგებს. კატეგორიულად მოვითხოვ ყველა სახეობის იარაღით მომარაგებას, რომელიც მხარს უჭერს შემტევ ქვეით ჯარს. არტილერიამ და ავიაციამ მტრის თავდაცვის ზღუდეები ნაცარტუტად რომ აქციონ, ჩემს ქვეითებს იქ იმდენი მაინც დახვდება, ასიდან ათმა ვერ გააღწიოს. მე არ ვიზამ, ჩემი ჯარისკაცების გვამებზე გადაიაროს თუნდაც მაშველმა, ახალ-ახალმა ნაწილებმა და გამარჯვებას ჩემი მებრძოლებიც არ დაესწრონ.

— რას ერჩი! — ჩაიბუზღუნა საიდუმლო ნაწილის უფროსმა და ფეხი ფეხიდან ჩამოიღო.

— იმ, ჩემს ზურგში ჩამომდგარი პოლკების ყველა ჯურის ახლო მანძილზე მსროლელი ოცეულები და დივიზიონები ახლავე ჩემს განკარგულებაში გადმოიყვანეთ.

— გგონია, შენს წინა ხაზზე დაატევ?

— თავში ნუ აგვივარდა... არც ისე გავსუქებულვართ, ქონმა დაგვახრჩოს!

— ტანკებს უნდა დაასწროთ, ჯობია ჩვენმა ჯავშნოსნებმა როგორმე გზა გაგიკვალონ.

— ჩვენმა ჯავშნოსნებმა რომ გამიკვალონ, ამიტომ... ჯერ იმათ შემოვუშვებ და გვერდებიდან ჩასაფრებული

ჯავშანგამტანები და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები დაუშენენ. ცეცხლწამკიდებლები კი ზურგში დაარტყამენ.

— და ცხვირწინ დაუნალმავ დერეფნებს დაუტოვებ?!

— აბა, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს თუ წააწყდნენ, როგორღა შემოვიტყუებ? ორი-სამიც რომ აფეთქდეს, დანარჩენები უკან დაიხევენ და ჩვენს ჯავშნოსნებს თავის გამაგრებულ ზღუდეებთან დაელოდებიან? მე ცხვირწინ ტანკების ორთაბრძოლას ვუცქირო თუ შეტევა დავიწყო?.. ამასობაში მეომრებს ხომ გადასხამს წინა ხაზიდან მეორე ეშელონში და ჩასანგრებას მოასწრებს. გარღვეული და აღებული ხელახლა გასარღვევი და ასაღები გამიხდება... ერთს რომ გადავურჩე, მეორე მაინც ბოლოს მომიღებს.

— ახალ-ახალ ნაწილებს მოგაშველებთ, მარტო შენ ხომ არ აპირებ გერმანიის დამარცხებას.

— მიაშველებთ, როცა ჩემი პოლკი განადგურდება... პოზიციას ახლები დაიკავებენ, მაგრამ ხომ გითხარით..

— ჰო... ვიცი, ვიცი, გინდა გამარჯვებას შენი ჯარისკაცებიც დაესწრონ. მე, ჩემ მხრივ და შტაბშიც, შენთანა ვართ... სარდლობასაც ასე მოვახსენებ...

— რა თქმა უნდა, კირილ კირილიჩ, შენ და ჩვენც... — მზვერავთა მეთაურმა თავი მკლავებში ჩარგო.

— რას ერჩი... — მრავალმნიშვნელოვნად დააკანტურა თავი „საიდუმლო ნაწილმა“. — გამარჯვებას უნდა დაესწროს... ასე ურჩევნია...

„ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით
მქმნელია“.

X

— არ ვიცი მე მაგი!

— რა არ იცი, მტრის დაჯგუფება, განლაგება და, რა ჯანდაბა ჰქვია... არ გინდა იცოდე?! — ნერვიულად ცმუკავდა პოლიტნაწილის უფროსი აფანასი კოვაჩი: „ეს, ვიღაც ოხერია, მთლად არ გაგიჟდეს, ისედაც ჰკუაზე არაა!“

— არ ვიცი და არც [illegible]

— შეტევა მტრის [illegible]ლდა, რა ჯანდაბა ჰქვია... რა ჯანდაბა ჰქვია, შეუსწავლელად?!.

— ვთქვათ, დავზვერე, შევისწავლე და ვიცი, ჩემ ძალ-ღონეს აღემატება, რა ვქნა, როგორ მოვიქცე? ეს შეტევა ჩვენი პოლკის, ჩემი, შენი და ჩვენი შტაბის ნებაყოფლობით, ლარითა და ხაზით არ ხდება. დაგეგმილია ეე, იქ! — ბოკერიამ თითი მიწურის თავზე, ჭრელი არყის ხის მორს ატაკა. — მათ იციან: აქ პოლკი დგას, ჩვენს უკან, აქეთ და იქით, — სხვა და სხვა... მათ ისიც იციან დაახლოებით, მტერმა ამ პოზიციაზე რა ძალებს მოუყარა თავი და ისიც, რა ძალა დაუპირისპირონ. ჩვენ ასიდან ერთი ვართ. ასიდან ერთი კი არა, ორმოცდაათი მაინც უნდა დაიღუპოს, მაგრამ მეორე ორმოცდაათმა და ოპერაციამ უნდა გაიმარჯვოს. წინსვლა ჩვენ უნდა დავიწყოთ. რა წინააღმდეგობაც უნდა შეგხვდეს, უნდა შევუტიოთ. არავინ ფიქრობს, ვინც დაიწყებს, ბოლოშიც ის გავა. გასავალს ის გააღწევს, ვინც აქ, უკან, ბოლოში დგას. წინ ერთი პოლკის დასამარცხებელი მტერი რომ იდგეს, გულხელდაკრეფით ამდენ ხანსაც არავინ დაგვაჯენდა. ჩვენი ძალები მოწინააღმდეგეს სამჯერ აღემატება და ოპერაცია გამარჯვებით დამთავრდება. ერთი თუ ვერ გაარღვევს, მეორე, მესამე, მეოთხე მიაწვება და გაანგრევს, მაგრამ ჩვენ... ჩვენ აღარ ვიქნებით.

— ამხანაგო მაიორო... — კაპიტან სოტნიკს ერთიანად შეაძაგძაგა. — მერე, ვინმემ გვითხრა ამის თაობაზე?

— ამას ჩაგვიკაკლავენ და წერილობით ახსნა-განმარტებას მოგვცემენ? ვისა აქვს მაგის უფლება. გვიბრძანებენ: ამა და ამ დღეს, ამ საათზე და ამ წუთზე ბრძოლა იწყება და შეუტიე, მტრის მოწინავე პოზიციები გაარღვიე და დაიკავეო! დანარჩენს მე და შენ ვინ გვკითხავს... დაასხი მაგი, რაღაცა ეშმაკია. ხელები რომ გიკანკალებს! ხომ ხედავ,

სასმელი და საჭმელი არ გვაკლია... ესეც რას ნიშნავს, ხომ იცი?

— ვითომ, მთლად განწირული ვართ და იმიტომ? — კოვაჩს სულ დაავიწყდა პოლკში რა პოსტი ეჭირა და აძ წყალშემდგარ მიწურში მარტო ის და ბოკერია არ იყვნენ.

— არა ხარ განწირული, კოვაჩ, თუ თავს გაანძრევ. — მეთაური პოლკის საბჭოს ასე სასოწარკვეთილს ვერ დატოვებდა, თორემ დიდი იმედის მოცემა არ შეეძლო და აღარც ის იყო, ერთ დროს, ზღვაზე რომ ხიდის აშენებას ახერხებდა. — ამაღლობელო!.. ამაღლობელი სადაა?

— აქა ვარ, ამხა...

— მოიტა, ის ამერიკული „ტუშონკაა“ თუ ბუს კვერცხები...

— რა გვეჭმება და გვესმება, თუ...

— სწორედ რომ შენთან გვაქვს საქმე, ხაჩიძე, ამიტომაც ხარ ამ საბჭოზე მოწვეული.

— მე ვიხსნი დაღუპულ პოლკს?

— არა, ბიჭო, მთავარსარდალი ჩამოვა, იმ შენს კაციჭამია ჭაობებში ჩადგება და გაგვიძღვება მტრის ზურგში დასარტყმელად, ამ რკინა-ბეტონის მიუვალ ბასტიონებს რომ არ შევაწყდეთ.

— ამ ჭაობებში გასვლა, გაზაფხულის პირზე კი არა, იანვარშიც რომ არ ხერხდებოდა, იმიტომ მოვიტანეთ თავი პარტიზანებმა თქვენამდე.

— რაა ამისთანა! ჭაობი და წუმპე არ მინახავს კოლხ კაცს, თუ რით გინდა გამაკვირვო? მე, შენ, პროსპექტზე გაზრდილი „დედიკოს ბიჭი“ ხომ არ გგონივარ... — ამ, მექანიკურად წამოსროლილმა, სიტყვა „ბიჭმა“ ისე შეზარა და დათრგუნა, პირისაკენ წაღებული ხელი ლუკმიანად ჩამოუვარდა და ერთწამში ისე მოიშხამა, ეს შემართული ჯარისკაცი წყალწყალად იქცა.

— რა იყო, ამხანაგო... რა ვთქვი ისეთი... — შეცბა ხაჩიძე, როცა ყველა იქ მყოფმა თვალი, რატომღაც, მას მიაშტერა. რაკი სხვა მიზეზი მეთაურის ნირის წახდენისა ვერაფერი მოიწამა.

— გაუვალი რომაა ბელორუსიის ჭაობები, ჯერ არ გაგიგონიათ?! აქაურებსაც ჰკითხეთ... სხვა პარტიზანებსაც...

— წამოიწყო ვალიკომ, ვითომ ახსნა-განმარტებას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად მაინც პირზე ბოქლომი დაიდო. მეთაურს რაღაც სხვა სჭირდა, ეს პირველი შეხვედრისთანავე შენიშნა და ლაპარაკი საჭიროდ აღარ ჩათვალა.

— მე გისმენთ, ამხანაგო პოლკის მეთაურო... — ყრუდ, მორჩილად დაასრულა.

ბოკერიამ შუბლში გაქონილი ხელი იტკიცა, გონმიხდილს რომ გამოსაფხიზლებლად შემოჰკრავენ.

— არ ვიცი მე მაგი... პარტიზანები პარტიზანებად უნდა დარჩნენ.

— თქვენ თვითონ ბრძანეთ, გადაანაწილეთო.

— არა, არ გამოვა!

— არის!.. — დაეთანხმა ხაჩიძე, თუმცა ვერაფერი გაიგო, რას ნიშნავდა რეგულარულ არმიაში „პარტიზანების პარტიზანებად დარჩენა“.

— ა!.. — წინ გაშლილ რუკაზე თითი დაუდო.

ხაჩიძემ თვალი გადაავლო და უბიდან უკეთესი, ტკიცინა, გერმანული რუკა ამოაძვრინა, იქვე ჩამოდო და თავი ჯიუტად გაიქნია. — არც ერთი არ მჭირდება მაგი მე...

ოპერატიული განყოფილების უფროსმა უტკინმა ორივე მიიჩოჩა და მზვერავთა ოცეულის უფროსს, სვირიდოვს „გაუყო“.

— თუ არ გჭირდება, მაგას რა ჯობია! აგერ, შენ, მთელი საინჟინრო და მენაღმეთა გაძლიერებული ქვეგანაყოფები... — მიწურში თავმოყრილ საბჭოს წევრებს მიუბრუნდა, მაგრამ არავის დასტურისთვის არ დაუცდია, — ყველაფერს მე ვუხელმძღვანელებ... და, ხაჩიძე, შენ რომ იცი, ჩვენც გვინდა ვიცოდეთ!.. — უტკინს რუკები გამოგლიჯა და პარტიზანს ისევ წინ დაუყარა. — რა არის აქ ამისთანა, რომ გზა და ხიდი არ გაიდება?!

პარტიზანმა ხელები უმწეოდ ჩამოყარა:

— გეტყობათ, თქვენ ჩემზე მეტი იცით.

— არ ვიცი, არაფერი ვიცით და მოილეთ მოწყალება!..

ხაჩიძემ რუკაზე თითით გრძელი ხაზი „გაავლო“.

— ეს ის გაუვალი ჭაობებია, თქვენს მობრძანებამდე რომ ჩვენ მტრისაგან გვიცავდა.

— დიდი „მადლობა“ ჭაობებს, მაგრამ ახლა ჩვენც უნდა „დაგვიცვას“.

— დაგვიცავს, ამ მხრიდან საიმედო კედელია. სულიერი ვერავინ შემოაღწევს. აქედან ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

— ლემენციც ასევე უშიშრად იქნება?

— ამის იმედითაა, რომ თავდაცვის ზღუდეები ამ მხარეზე არ ააგო...

— და, ჰგონია, ერთი ფრთა მაინც მიუვალი აქვს?

— გერმანელებზე უკეთესად ჩვენ ახლა ვიცით ეს ტერიტორია, თორემ, თავიდან იმათ ჩვენზე უკეთესად ჰქონდათ შესწავლილი, სადაც უნდა ებატონათ. აი, ნახეთ. — ისევ „თავის“ რუკას დააბჯინა თითი.

— და, ჩვენ რომ ჭაობის მხრიდან დავარტყათ...

— უნდა გადავფრინდეთ... — გააწყვეტინა პარტიზანმა და ხელები გადმოაბრუნა. — ფრთები უნდა გამოვისხათ.

— თუ გამოვისხამთ... ხომ ზურგში მოვექცევით.

— თუ გადავფრინდებით, სადაც მოვისურვებთ, გაუმაგრებელ პოზიციებს იქ გავარღვევთ. ორჯერ ორი — ოთხია.

— ჩვენ შევდივართ ტყეში! — ისარი დასვა რუკაზე ბოკერიამ.

— ჭაობში... — გაუ[illegible]რა პარტიზანმა.

— ჯერ ტყეში, ჭაობების ნაპირებზე, და ვჩეხავთ, ვჭრით. მერე ნაწილი აქეთ მოგვაქვს, ახალ თავდაცვით ძელმიწურებსა და სანგრებს ვაშენებთ...

— ჩვენ, შეტევაზე მივდივართ თუ, თავდაცვას ვაპირებთ?! — ამოხედა უტკინმა, მაგრამ ენას კბილი დროზე დააჭირა.

— აბა, მტერს ის [illegible]ჭაობებში გზა გაგვყავს, მოვდივართ და მაგრად დაგვხვდითო!

— ხე-ტყის დიდ ნაწილს კი იმ გაუვალში შევზიდავთ...

— ზღვაში ხიდი გაიდება?! — ვერაფერი გაიგო ხაჩიძემ.

— გაიდება! არ გაგიჭირდეს, ჩემო ვალიკო, თორემ გაიდება... არ გაიდება და, რაც ამ ულრანებიდან ტყავი გამოიტანე, აქ დატოვებ!

— მე რომ არ მინახავს...

— რომ არ გინახავს... მაშინ არჩევანი შენზე იყო. კატის არ იყოს, სადაც ულვაშები არ გაგეტეოდა, არც შეხვიდოდი; უკან დასახევს დაიტოვებდი. ერთი საცალფეხო ბილიკი ან ამ ჭაობებში ჭოკით საპოვნელი ცალი ფეხის დასადგმელი წინდაწინ გეცოდინებოდა. დღეს ჩვენთვის ასარჩევი, უკეთესი და უარესი გზა არ არსებობს. ამ უფსკრულში უნდა გავიდეთ და იქ აღმოვჩნდეთ, სადაც მტერი ყველაზე ნაკლებად გველოდება... სულ არ გველის.

— სასწაული?..

— სასწაულის ჩამდენი და შეუძლებლის შემძლებელი იმარჯვებს, თორემ პოზიციურ ბრძოლას და იარაღის ხმარებას, მე და შენ, ლემენცს ვერ ვასწავლით. ჭაობებით მივედი მე ყირიმამდე...

— იქაური ჭაობი მუხლამდე წყალტალახია და მეტი არაფერი.

— ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს ახვედრებდაო. ეს გჭირს, კაცო, შენ! ვიცი, ის სხვა იყო და ეს სხვაა, მარა აქ მართლა შარაგზასა და ხიდს კი არ ვაშენებ, ზედ ტანკები და ქვემეხები კი არ მინდა შევაყენო. ხეები მინდა ჩავყარო, სადაც მართლა ასე ფეხდაუდგმელი, უფსკერო ჭენჭყოა და ზედ გადამჯდარი გადავახოხდე...

ხაჩიძემ ხელები გაასავსავა და უკან გადგა.

ხმა არც სხვებს ამოუღიათ.

XI

გაზაფხულის მზემ ზეგნებზე და შემაღლებებზე თოვლი აადნო, სანგრებში ტბორი ჩადგა. დაბურულ, გულჩახვეულ ტყეებში ყინვა დაცხრა, მაგრამ თოვლი ულრანებშიც და ჭაობებზეც ჯერ ისევ იდო, უკვე შემლხვალი და შელანძლული; ისედაც გაუვალ-გაულწეველ საფლობებს აუარესებდა...

დღედაღამ ნოტიო, ძვალსა და რბილში გამჭოლი სიცივეები დაიჭირა. შეუსვენებლად უნდა გემუშავა, წყალშემდგარ, ნოყო მიწაზე მუხლს ვერსად ჩახრიდი. ნაჯახები მოლესეს და ბირდაბირებს კბილი ხელახლა გადაუყარეს, რომ ნედლ, ფისიან ნაძვსა და ჭრელ არყისხეში არ გაჭედილიყო.

, ჭრა იქ დაიწყეს, სადაც ფები დაიდგმებოდა და მოყვარეს კი არა, მტრის მზვერავ „ჩარჩოებსაც“ შეეძლოთ დაენახათ. წაქცეულ ხეს ტოტებს აცლიდნენ და წყლით გაყეყილი, მთელ სიგრძეზე გაშვლეპილი ნაძვი, ფიჭვი, არყი და მურყანი დალაფულ ჯარისკაცებს ულრანში შეჰქონდათ. იქ, ნაწილს მორებად ხერხავდნენ და სანგრებისკენ მოათრევდნენ... დაუჭრელ, სიგრძის, შხვართალა სანთლებივით ხეებს კი ჭაობებისკენ ეზიდებოდნენ და წელამდე ჭენჭყოში ჰყრიდნენ. წყალტალახში და საფლობებში უშვებდნენ. თითქოს, ჭაობის ფუყე, ხავსიან და ბუყბუყა ყროლ წყალზე მძიმე თვითონ მორი ყოფილიყოს, თითქმის შიგ იძირებოდა. ზედ გავლა არ ხერხდებოდა, ფსკერზე არ იძირებოდა, მაგრამ ზევითაც ძლივს ტივტივებდა. ნედლ, ჭაობის წუმპითა და თონთხლო ლაყაპოთი გაზინზლულ ხეზე რომ ფეხით შემდგარიყავი, გადაგიბრუნდებოდა და მხარზე გადებული უსაშველოდ მძიმე ტვირთი ქვეშ მოგიყოლებდა. არც უმისობა იყო და ცივ, აშმორებულ ტლაპოში ჩავარდნილს ხე ზედ ეცემოდა: ჟეჟავდა, აშავებდა, ამტვრევდა.

პოლკის მეთაური, გმირ ადიუტანტთან ერთად, ჭაობის პირზე, გაშლაპულ თოვლში ჩაჩოქილი, გაბრიალებული ხერხით მარჯვედ უსვამდა და რომელი მოადგილე, ათისთავი და [illegible] ეყუდებოდა უქმად. ჯ[illegible] მუშას არავითარი შრომა და წვალება ისე არ ღლის და გულს არ უცრუებს, როგორც თავზე დამდგარი, გულხელდაკრეფილი ზედამხედველი თუ თავმდგმური. უფროსმა რომ მისი ნახევარი გააკეთოს და გასავათდეს, იგი ორჯერ მეტს იზამს და დაღლას ვერ იგრძნობს.

ბელორუსიის ჭაობებს იმსისქე ხავსი აქვს გადაკრული, ზედ გავლისას ჩაიზნიქება, თორემ ადამიანსაც კი დაიჭერს. ამდენად, იგი ცბიერი და ვერაგია, წყალ-ტალახსა და აშმორებულ უძირო წუმპეს ნიღბავს. ალაგ-ალაგ, თხელხავსგადაკრული „პირი“ აქვს ღიად და ცდუნებულს ფეხი რომ ჩაუცდება, ვერაფრით თავს ვერ დაიხსნის, ჩაითრევს და ცოცხლად ჩაყლაპავს.

ხავსის სისქე ზოგჯერ იმოდენაა, წინა წლების ჩამპალ ფენაზე ფენაგადაკრული, ჭენჭყოზე თავისი მოტივტივე „მიწა“ აქვს. ზედ ბალახ-ბულახი, კენკროვნები და ყვავილები იზრდება. ზოგჯერ, ამ „მიწაზე“, დაკნინებული არყის ხეები და წიწვოვნებიც კი აღმოცენდებიან. ადამიანის მიახლოებისას, ხავსის სქელი საფარი დაიწევს, ხე იხრება და შიშის ზარს დასცემს, ეგონება: დედამიწა თონთხლო მასად იქცა და რაც მის ზურგზეა, ყველაფერს საყრდენი უნდა გამოეცალოსო!

„წყალწალებული ხავსს ეკიდებოდაო...“ ხავსზე გარჩენილ ბოკერიას ბიჭებს რაღაც ფეხის დასადგმელი ან ხელჩასაჭიდი უნდა ესაშველათ, რომ საუკუნეების მანძილზე ჩამღრძვალ, ჩამძაღლებულ ყროლს არ ჩაეთრია, შიგ არ ჩაეხრჩო და ის საძმო საფლავიც სანატრელი არ გახდომოდათ.

ხავსის მინდორზე მაინც მორების განდაგან, მიჯრით ჩაწყობა არჩიეს. ჯარს უწყვეტ ნაკადად შეჰქონდა დაჭრილი ხე-ტყე და აგებდა გზას, რომელსაც არც ბურჯი ჰქონდა, არც ფუძე-საძირკველი და არც რაიმე საყრდენი.

სხვებს კი არა, თვით ავთანდილსაც არ სჯეროდა ამ საქმიდან რაიმე გამო-

ვაო. მაგრამ ყოველნაირად უსაშველოგაჩენილსა და წყალწაღებულს არაფრით გულხელდაკრეფილი ჯდომა არ შეეძლო, როცა იცოდა პოლკს განადგურება ელოდა.

რამდენსაც ჯახირითა და წამებით წინ მიიწევდნენ, ხავსის რბილი, თამთამა მინდორი იმდენად წუხდა თავის ხელშეუხებლობას, მარადიული სიდამპლისა და სიმყაყის ფეხდაუდგმელობას. სიმყრალის, მხუთრი გაზისა და შმორის უფერული ამოფრქვევით ფშვინავდა და მარადიული ძილის დამფრთხობთ ურჩხულის გამოღვიძებით ემუქრებოდა.

საინჟინრო ნაწილებს გააჩნდათ მდინარეებისა და წყალსატევების სახელდახელო ხიდებად, ბოგირებად თუ ტივებად გასადები მოწყობილობანი, მაგრამ მდინარეს განი აქვს და წყალსატევს — ყელი. ამ ჭაობებს დასაწყისი რომ არ ჰქონდა, სად უნდა დასრულებულიყო! ამ უსიერ ტყეში რა ნავ-ტივები უნდა შემოგეზიდა და რამდენი? ან ეს ვინ დაგიგეგმა: აქ, სადაც თავიდან ბოლომდე ბაყაყსა და გველს არ გაუღწევიათ, — შენ შეიარაღებული ჯარი გადასხიო?

ჯარი შეტევისთვის საკმარისზე მეტი იყო. ტექნიკას ყოველდღე აყრიდნენ. ვინც ამ უზარმაზარ ოპერაციას გეგმავდა, იმან უკვე ისიც იცოდა, საბანი რამდენზე გასწვდებოდა. ის დრო წავიდა: მოდი, შეუტიე და, თუ ვერ გაარღვევ და გააღწევ, მოწინააღმდეგის იერიშებს მაინც ჩაფუშავ, მტერს შეათხელებ და ტყვია-წამალს დაახარჯვინებო. ეს უკვე პოზიციური შეტაკებები და კინკლაობა აღარ იყო, რომ ძირისკიდემდე გამიზნული და გაანგარიშებული არ ყოფილიყო. ახლა წინდაწინ იცოდნენ რის ფასად რა ციხესიმაგრე უნდა აეღოთ. ბოკერიას პოლკს სისხლით რამდენი მტკაველი უნდა მოერწყა, ის ფართობიც გამოზომილი და გამოხაზული ექნებოდათ და ასეთი ერთეულის შესაძლებლობა — აწონილ-დაწონილი. იმას იქით საქმეს ვინ გააგრძელებდა, ისიც იქვე უდგათ, ავთანდილის ზურგში. ალბათ, მეტისმეტსა და შეუძლებელს არავინ ელოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაობებში ჩაიხრჩვებით — არ უთქვამთ. ამას ავთანდილი ცდილობს: მგელი ისე გაატყაოს, თავისი დაფლეთილი ტყავი და სული ტყავად და სულად დაიტოვოს, რომ ჭრილობის მოშუშება ოდესმე მაინც შეძლოს. თუ არ დაიშლი და შეუძლებელს შეძლებ, მადლობა ღმერთს, არავინ გიშლის, მაგრამ შესაძლებელი მისხალ-მისხალაა გამოთვლილი და არაფერი დააკლო.

— ხაჩიძე, კაცო, შენი ბიჭები სადაა? — წამოდგა ბოკერია, როცა მოხერხილი, თვალუწვდენელი ხე მიწაზე ხვნეშით დაეშვა და მეთაური სველი მუხლისთავების ზელას შეუდგა, რაც მისმა ადიუტანტმა აჩრდილივით გაიმეორა.

— აქა ვარ, ამხანაგო მეთაურო! — გამოსძახა ნაჯახშემართულმა ვალიკომ, ჩაშვავებული ხის მსხვილ ტოტებსაც რომ ერთი მოქნევით ირიბად სხეპავდა.

— სადაა შენი პარტიზანები?

— აქაა, იმის გარდა, ვისაც ჭაობში დაეცა და მუხლი ამოიგდო.

— რაო! მერედა, ვერ უშველეთ? სადაა ექიმი? სანნაწილი აქ უნდა იყოს!..

— ჩაუგდეს, ვითომ... პარტიზანი თვითონაა ექიმი და დასტაქარი...

— კარგია, კაცო, თქვენ აქ, გეტყობათ, ტყუილა არ მჯდარხართ. ტყის ჭრა და ამოქნა მართლა გეხერხებათ.

— მაგრამ, უფსკერო ჭაობების გადალახვა...

— მოიცა, თქვენ რა გენაღვლებოდათ, თვითონ იყავით გენშტაბიცა და მთავარსარდლობაც. საითაც გინდოდათ, პირს იქით იზამდით. ჩვენ ერთადერთი გზა გვაქვს... ბერლინის გზა ქვია მაგას, რომ იცოდე შენ, და იგი, მაინცდამაინც, ამ გაუვალში გადის, თუ გინდა შენი თვალით ნახო რა ქალაქია ის დასაქცევი.

— გავძლებდი მაგის უნახავი... — თავი გადააქნია ხაჩიძემ. უკვე მზედაკრულ, ახალგაპარსულ სახეზე გატალახიანებული ხელის ზურგით ოფლი მოიწურა...

— შენ თუ მაგას ამბობ, მე მთლად ფეხებზე მკიდია ის ბერლინიცა და რაიხსტაგიც, მაგრამ იქ ერთი „მოკეთე“ კაცი მყავს სანახავი და იმისთვისაა, რომ წელებზე ფეხს ვიდგამ.

ხაჩიძემ თვალნათლივ დაინახა რა ნაღველჩაქცეული ბოღმით თქვა მეთაურმა, „მოკეთე“ მყავსო“.

— რა გითხრა, იცით?..

— ბრძანეთ.

— შენ ინჟინერი კაცი ხარ...

— ეჰ, რაღა ვარ...

— ჩვენი ინჟინერი სად ჯანდაბაშია.

— ალბათ იქ, ჭაობებთან, სადაც „გზა“ გაჰყავთ.

— ჰოდა, იქ მივიდეთ...

ხაჩიძემ ნაჯახი მორს ჩაარჭო.

— კაცო, მართლა მთლად უფსკერო ხომ არ იქნება ეს დასაქცევი.

— რას გაიგებ, კაცის სიმაღლეზე ვინც ჩავარდნილა, გადაგვირჩენია და ვინც იმაზე ღრმად... იმისთვის აღარაფერი გვიკითხავს. სადაც ხავსის სქელი ფენაა, ალბათ მაინც შეიძლება მორებზე ბორძიკი, მაგრამ სადაც ღია ჭაობის სარკეა...

— სადაც ღიაა,.. რომ ავიღოთ და ხე ჩავაყუდოთ!..

— ხიმინჯად?

— ჰო, კაცო, ბარჯგად. დავიჯეროთ, ამოდენა თვალუწვდენელი ხე დაიმალება?

— რომ არ დაიმალოს, დააყუდებ, მაგრამ ხომ ვერ ჩაასობ, ზედ რომ მორის თავი დაამაგრო და საყრდენად გამოგადგეს.

— მივუჭედოთ და, რა მხარეზეც გადაიხრება, მეორე იქიდან ჩავუშვათ, შემოვუბიჯგოთ და იმ გვერდზე მივამაგროთ. მსხვილი მავთულითაც მივაკრათ, ჩავჩანგლოთ...

— და ზედ გაყრილ ამოდენა მორებს დაიჭერს?.. და ამისთანა... გზა ჰქვია მაგას თუ ხიდი, ხეების გადასატანად გამოდგება?!

— არა, კაცო, ამ წყლით გაყეყილ ნედლი ხის ბეწვის ხიდზე გადატანა კი არა, აგერ, მიწაზე ყოველ ნაბიჯში უდგანან ბიჭები და მუხლამდე ეფლობიან. პირდაპირ ჩავყრით და გვერდიდან, წყალ-წყალ ვაცურებთ, რომ [illegible] მე წინ გავითრიოთ, „გზას“ წინიდან მოვადგათ და გადავაბათ, დავაჭედოთ, ბაწრითა და ბაგირით შევკრათ.

— ჯოჯოხეთია! არ შეიძლება ვინმე ჭაობმა არ წაგვართვას... ბევრი დაგვეღუპება.

— მაგი რომ მინდოდეს, დღეს-ხვალ შეტევა დაიწყება და მაგას ვინ დამამადლის...

— ვინც ამ საფლობებში გვეყოლება, წელზე უნდა გამოვიბათ.

— ჰო, კაცო, ჰო, ალპინისტები სულელები კი არ არიან!... .

„ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა
ძმა და თვისი“.

XII

დივიზიის მეთაური, ქდანეცი, ტყიდან მორების მზიდავთა მიერ აჩიჩხალებულ ბილიკს ჩადგომოდა და ჭაობის პირას, მუხლამდე ტბორში ჩაფლულ ბოკერიას წამოეპარა.

დაბალი კაცი იყო, მკვრივი. გრძელი მაზარა ამოეკალთებინა, შტაბის უფროს — მაიორ სტასოვივით, უგზოობას არ ეპუებოდა. სტასოვი, ვითომ, ნაძვის ტოტებს ეპოტინებოდა და მაღალზე წახერხილ ხის ძირებზე ან ნასხეპებზე დახტუნავდა და, მართლაც ჩექმები კოჭებს ზევით სუფთად გადაერჩინა.

ოლექსა დიომიდოვიჩი ნაბრძოლი კაცი იყო. ნახევარი ყბა მონგრეული ჰქონდა და მოქანჯულ ნიკაპს სქელი, შექალალებული წვერი უფარავდა. არც მარცხენა ხელი უვარგოდა — მკერდს ზევით ვერ სწევდა. ბოხი ხმა ჰქონდა, მყიფე. ან ჩურჩულით ლაპარაკობდა, ან გრგვინავდა. ეტყობოდა, განრისხებული წამოვიდა, მაგრამ ავთანდილი რომ ასეთ დღეში ნახა, ერთხანს კრინტი არ დაუძრავს, დაიბნა. თითქოს თავიდანვე იცოდა, რომელი ხმით დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ ლაფში ჩამდგარ პოლკის უფროსს, რომელიც ბორძიკით

მტოპავ, ვეება ხეების ქვეშ გასრესილ ჯარისკაცებს მხარს აშველებდა, ტბორიდან მობრუნებულს ჩურჩულით მიესალმა.

— ახრჩობს, ალექსანდრ დიომიდოვიჩ, ჭაობში ახრჩობს ჯარისკაცებს! — წინასწარ მოფიქრებული სათქმელი პირში ვერ დაიტია სტასოვმა, თორემ დივიზიის მეთაურის დამყვავებლურ, წრიპინა ხმაზე მიხვდა, ახლა მის ბრალდებას მხარს არავინ აუბამდა.

— ვახრჩობ!.. — დაეთანხმა ბოკერია და ტალახიანი ხელი მკლავში ჩაავლო, აჩირხალებულ გზაწვერიდან თოვლიან მდელოზე გაიყვანა, წელში გათანგული ჯარისკაცების სავალი გაანთავისუფლებინა.

ყდანეცი მორებზე შედგა, როცა მზიდავებმა გაიარეს და ჭაობის სიღრმეში შეტოპეს. ავთანდილმა კეტი მიაწოდა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, რაღაცა თუ არ დაიბიჯგეთ, ფეხი დაგიცდებათ...

— მორების ცალ მხარეზე რომ მაინც ხიმინჯები ჩაგვესო და ზედ რაღაც სახელურის მსგავსი მიგვემაგრებინა...

— იქ სად ჩაასობ, ალექსანდრ დიომიდოვიჩ?! — გაასავსავა ხელები მდელოზე დარჩენილმა შტაბის უფროსმა. — ეს, მანდ... ჯერ ჭაობიც არ ეთქმის, მუხლამდეა...

— ბოლოს და ბოლოს, ეს უპატრონო, უფსკერო ხომ არ იქნება?.. — მორებზე გაბორძიკებულ დივიზიის მეთაურს მიჰყვა ბოკერია.

— ჩაასობ... აქაურ ჭაობში ჩაასობ... და ზედ ჯარი გაივლის?! — წიაქობდა სტასოვი: ვითომ, ეს ოხერი, აქაურობა თქვენ არ იცით და მცოდნეს არაფერს ეკითხებითო. — ე, თქვენი თვალით დაინახეთ, ალექსანდრ დიომიდოვიჩ, დაინახეთ და დარწმუნდით!..

წინიდან ჯარისკაცებს მთლიანად წუმპეში ამოვლებული ბიჭი გამოჰყავდათ. ცხვირ-პირიც კი არ უჩანდა, როცა მათ გვერდით ჩაატარეს და ჭენჭყოს გამოარიდეს, ვითომ ნამშრალ მდელოზე დაუშვეს და თოვლით დაუწყეს ხელ-პირის ჩამობანა.

— არაყი!.. — იყვირა პოლკოვნიკმა — კასრით დადგით აქვე... არყით დაზილეთ... ცეცხლი დაანთეთ! — მორებზე გაბორძიკებული კეტს ორივე ხელით დაეყრდნო, მუშტებზე მოქანჯული ნიკაპი ჩამოდო და პოლკის მეთაურს ჭროლა თვალები ჩააცივა. — აი, რას გეტყვი... — ახლა საიდუმლოდ აჩურჩულდა. — თუ მტერს ეგონება, ჩვენ აქ ტყეს ვჭრით და თავდაცვის ხაზს ვამაგრებთ, ეგონოს...

— მეც ასე ვფიქრობ. — თავი მადლობით დაუქნია ავთანდილმა.

— თუ აქედან გავედით... — ჭაობზე მოტორტმანე „გზას“ თვალს უშტერებდა ყდანეცი. — ავტომატით, მცირეკალიბრიანი ნაღმსატყორცნებითა და ხელისტყვიამფრქვევით...

— ჯავშანგამტანიც...

— სულ ეს იქნება... მაგრამ შეგვიძლია მთელი დღელამე არ შევწყვიტოთ დესანტის გადასხმა?

— აქედან არავინ მოგველის და, ამდენად, არც არავინ დაგვიშენს... ერთი ასეული რომ გადავიყვანო,.. თუმცა, მეტიც მინდა.

— რამდენსაც გადასხამ, იმდენ რეზერვს მოგცემ...

— აქეთა, ულრანის მხარე სრულიად გაუმაგრებელია... კიდეც რომ შეგვნიშნონ, არავინ დაიჯერებს... დიომიდოვიჩ, თქვენ იცოდეთ...

დივიზიის უფროსი აკვანივით დარწეულ მორების ბილიკზე მობოგინე ჯარისკაცებს დააჩერდა. მერე პოლკის მეთაურს თვალი თვალში გაუყარა:

— შენ თვითონ უხელმძღვანელებ?

— მე თვითონ.

— მაშინ, მე შენს ბლინდაჟში ჩავჯდები და რაციას პირადად მივილებ...

— გმადლობ, დიომიდოვიჩ. იერიშს მოწინაალმდეგის საკომანდო პუნქტზე და შტაბზე მივიტან, ავიაციისა და არტმომზადების შეწყვეტისთანავე. მანამდე იმათ გაუმაგრებელ ფრთას ცეცხლი მოარიდეთ.

— ეგ ასეც იქნება. იქ, სადაც მო-

წინააღმდეგეს არც ერთი სანგარი არა აქვს, ბომბი და ჭურვი არ დაეცემა.

— და, ეს დასაქცევი, თუ მართლა უფსკეროა, საინჟინრო ნაწილმა ცოტა ნამშრალი მასალა მოგვაწოდოს, სადაც უხავსო, ღია წუმპეებია, იქნებ ტივებად ჩავაწყოთ, — წყალში თავისი თავი რომ ზიდონ და ორიოდე ჯარისკაცი დაიმაგრონ. ეს ნედლი ხე, რომელზეც დგახართ, და წყლის წონა ერთნაირია. ჯარისკაცები თუ აქ ჩავტოვე, რაღა მგელს შევუჭამივარ და რაღა მგლისფერ ძაღლს.

— არც უმისობა იქნება... — თავი სინანულით გადააქნია დივიზიის მეთაურმა. — მაგრამ, ალბათ, მაინც ნაკლებს დავკარგავთ.

— ამ ჭაობებში არავის დავღუპავ! — მტკიცედ თქვა ბოკერიამ. — თოკით წელზე გამოვიბამ, დაზღვევის გარეშე არავის შევუშვებ... ჩვენ, აქ, პარტიზანების ჯგუფი გვყავს. ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი იჭერს.

— ღმერთმა ჰქნას.

— ზევიდან რა ისმის?

— შეტევის ჯერ არაფერი... გრანდიოზული ოპერაცია მზადდება... ის წყეულებიც დიდ ძალებს უყრიან თავს...

„უგზოსა ვლიდეს ლაშქარნი, არ გაივლიდეს გზობასა“.

## XIII

ღამღამობით მაინც ჰყინავდა და დილით ერთიანად აზრობდა გაწამებულ ჯარისკაცებს. ხელის მოსათბობად არავის ეცალა, მაგრამ რომი და არაყი თავისას შვრებოდა, წყალსა და წუმპეში ყელამდე ჩამდგარ ბიჭებს მაინც ცეცხლი ეკიდათ.

ხაჩიძეს შიში და ჭოჭმანი სიმხდალით არ სჭირდა. მართლა გაუვალ-გაუღწეველი და უნდო გამოდგა აქაური კაციჭამია ჭაობები. ამიტომაც იყო, ალბათ, უამრავმა პარტიზანმა და მეამბოხემ დამპყრობელსაც ანგარიში უსწორა და თავიც გადაირჩინა. სარდლობა შეტევას იქ გეგმავს, სადაც პოზიციური ბრძოლები ხერხდება, [illegible] წყალ-ტალახში მოწანწალე ჯარისკაცებს გადამწყვეტ ბრძოლებს ვერ შესთავაზებ. თვალუწვდენელზე გადაჭიმული ფრონტი, თოფის ამარა, ასი და ორასი კაცის ტყესა და ჭენჭყოში გაძრომ-გამოძრომით შორს ვერ წავა. ფრონტები დივიზიებით, კორპუსებითა და არმიებითაა დაკომპლექტებული, ას-ორას კაცს სათვალავში არავინ აგდებს. არადა, ყოველი ჯარისკაცი ერთადერთი და მსოფლიოს ტოლა სამყაროა. ასი განწირულიდან რომ ერთი გადაარჩინო — ერთ ქვეყანას გადაარჩენ.

ჯარისკაცმა შეუძლებელი უნდა შეძლოს — გაიმარჯვოს და როგორმე, როგორმე თავიც გაიტანოს. „ა, მტერი შენ ცხვირწინაა და უნდა მოსპო!“ ასეთივე დავალება აქვს მოწინააღმდეგესაც, უნდა გაგანადგუროს. არ მოკლავ—მოგკლავს. აქ არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ არსებობს. უნდა მოსპო — თუ გინდა გადარჩე. შენმა პატრონმა და ბატონმა ყველაფერი გააკეთა, გაიანგარიშა, რა გჭირდებოდა, და რაც გააჩნდა — მოგცა, შენ წინ ჩასაფრებული კაცის მიწასთან გასასწორებლად. მაგრამ იგივე გააკეთა მისმა მბრძანებელმაც შენს წინააღმდეგ. ახლა შენ იცი და იმან, ამ ერთადერთ თავს, — შენს ქვეყანას სად შემალავ ისე, რომ ამდენი დამიზნებული იარაღების ცეცხლი აიცდინო, უკვე შენა ხარ შენი მეუფე. არ გაითხრი ორმოს, არ ჩაყვინთავ წყალში, არ შეძვრები ხვრელში, არ დაისველებ ფეხს ჭაობში და წუმპეში? აიღებ თავს და შუბლს მიუშვერ? შენი ლანდის გამოჩენა და აღსასრული ერთია. ამისთვის ყველაფერი გაკეთებულია. ჯარისკაცს ვინ დაგზოგავს, როცა მიწასთანაა გასწორებული სოფლები და ქალაქები: გადამწვარია და გადაბუგული, ნანგრევებში და ნაცარტუტაში ჰყრია დაუმარხავი მოხუცები, ქალები და ბავშვები. აგერ, ამასწინათ, მზვერავებმა ოთხი წლის გოგონა მოიყვანეს, თავლის ნანგრევებში ეპოვათ, ცხენის ნალიან ჩლიქს ორივე ხელით

ჩაფრენოდა და მერეც ვერ გამოგლიჯეს ხელიდან, პურით, კონსერვითა და ძეხვით რომ დააპურეს...

ავთანდილს გული ჩასწყდა: ჩემი აწმყო და მომავალი დაღუპულია, სად წავიყვანო, სიკვდილი საძებარი მაქვს, თორემ ამ ბავშვს ავიხუტებდი და ქვეყნის დასასრულამდე ვივლიდიო... ომი ამისთანა, თუნდაც განწირული კაცის, უიმედო იმედის ნებასაც არ იძლევა.

— „მამა!“ — სიოდა უმწეო.

ავთანდილმა როგორ არ იცოდა, ბავშვი თავის დედას მისტიროდა, ხელებს კი მეთაურისკენ იშვერდა, რაკი ბალღური გუმანით გრძნობდა, მას მიუყვანეს და მისი ბრძანებით ასვეს, აჭამეს, გაათბეს და უძიძავეს; ახლაც მის განკარგულებას უცდიდნენ, სად წაეყვანათ... და ავთანდილს მაინც პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდა „მამა“. „მე მამას არავინ დამიძახებს და ბარემ ამ ბალღიდან გავიგონოო“. ამაღლობელიც კი, ამ უდღეურს, უბეში უპირებდა ჩასმას, რაკი პატარას ყველა თვალებში შესციცინებდა, როგორც თავის გაჩენილ და გასაჩენ შვილსა და მომავალს. მაგრამ უმწეო მაინც უფროსისკენ ილტვოდა... „თვითონ ამქვეყნად არ მედგომება, ბავშვის ცოდვა არ დავიდოო“ და იჯღავლა:

— წაიყვანეთ, აქედან მომაცილეთ! — გული გამისკდებაო, ეგონა, საბრალოს თუ კიდევ მიწურში გააჩერებდნენ.

ჩვილს რომ დედას წაართმევენ, ისე სიოდა და ისე იწყვეტდა გულს „მამაზე“. წაიყვანეს, მაგრამ შორიდანაც ისმოდა აქეთ ხელებგამოწვდილი ბალღის სივილი.

ნაშუაღამევს, თავი რომ დაიმარტოხელა, სიბნელეში, მარტო რომ დავრჩები, ვიტირებო, ეგონა. მაგრამ, თურმე, ცრემლი იმას შველის და ის გოდებს, ვისაც საგლოვი აქვს და იცის — გამოგლოვას შეძლებს, ვინც იმოთქმებს, ითავცემებს და ოდესმე მაინც გაიცინებს. ვისაც მთელი სიცოცხლე სატირალი აქვს და ღიმილს ვერასოდეს ეღირსება, იმას ცრემლი, თურმე, შვებას ვერ აგრძნობინებს.

ამ ბოლო დროს [illegible]დაივიწყა. რაც შეეძლო იმაზე მეტი გააკეთა: გამოექცა, გამოეპარა, მიატოვა, რომ ქალს ეწუხა, ეტირა, ეტანჯა, მაგრამ თავი დაეღწია ერთგულებისა და ულალატობისათვის, როგორც დაღუპულის შეყვარებულს, როგორც დამარხულის ქვრივსა და ოხერს. იმათ მსგავსად, ვინც აქ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ყრია და ისევე სწამდათ და უყვარდათ, როგორც ვარიას ავთანდილი; ისე, როგორც მათზე მლოცველთ და მაღმერთებელთ უნდა გამოეგლოვათ, ისევე ვარიას უნდა შეეძლო შეუძლებელი და დაევიწყა ის, ვისიც არდავიწყება და ღალატი აღარ შეეძლო. უნდა სწყენოდა, უნდა სტკენოდა, უნდა გამწარებულიყო ავთანდილის ორგულობაზე და ხელის კვრაზე. ასე ქურდულად, ლაჩრულად, დედლურად გამოქცევაზე.

„დედალი ვარ, ვარია, დედალი! დედალი... რა სიყვარული, ვისი სიყვარული... რისთვის, ვისთვის... რად მინდა შენი თავგანწირვა და თანადგომა... მდედრი კი არა, ისე, როგორც შენ — დედალი ვარ, კაცი დედალი... მხდალი კი არა, — დადედლებული... ყვერული... ტირილი მაინც შემეძლოს, ქალი მაინც ვიყო და ვიმოთქმო... არც ერთი აღარა ვარ... აღარც კაცი, აღარც ქალი, აღარც არარაობა...“

გარეთ თოვლ-ჭყაპით სველი ქარი წრიალებს, ფიცრულ კარს ასკდება, ქშუის და ზლუქუნებს. ძელმიწურის კედლებიდან წყალი ჟონავს, მოტირის. ჭერიდან წვეთავს, წკაპუნებს, იცრემლება...

...და ამოსკდა, ამოვარდა, ამოირღვა მიწიდან დედა... თავიდან ფეხამდე შავითა და ბნელით მოსილი... კუნაპეტი, შემოუქობავი ხამის ძაძით დაყურსული. თვალგამშრალი, უსახო, უტყვი, უფერული, ჩაფერფლილი, ჩამქრალი, უწარსულო და უმომავლო კოლხი ქალი. ჭაობივით ჩამხრჩვალი, დატბორილი და მდუმარე. უძრავი, დამყაყებული და ქუფრი, როგორც ნამკვდრევი.

როგორც დარდი გამოუგლოვებელი, როგორც უამინდობა — გამოუდარებელი, როგორც ღრუბელი უმზეო, როგორც ბალახი — უგაზაფხულო, უყვავილო, უთესლო... როგორც ველი უსათიბოდ, როგორც ყანა დაქცეული, როგორც მთა უტყეო, კლდე უხავსო, მწვერვალი უთოვლო...

დედა ავთანდილს გაჯარისკაცებიდან თან ახლდა, მაგრამ უჩუმრად, უალერსოდ, მოუხმობლად, როგორც თვითონ იყო — არავის შემწუხებელი ქვრივი და არავის ხელებში შემყურე. ალერსს დანატრებული, გამეტებული და არავის გამმეტებელი.

კოლექტივიზაციის დროს არასმქონებელი, არტელის მოთავე მამანტი ბოკერია, ცხენის ქურდებისაგან გატაცებული და სადადიანო გორდის უსიერ ტყეში მოკლული, უგზო-უკვლოდ გამქრალი, კლდიდან გადასროლილი თუ წყვარამში გადაჩეხილი. მკვდარიცა და ცოცხალიც დაღუპული და დაკარგული. უარაფრო, დაუტირებელი და უსაფლავო; ობოლი, გაშვილებული ძმის პატრონი და ერთი შვილის შემყურე ცოლის დამქვრივებელი.

„არავის არ უნდა ეს კოლექტივი და რაღა მაგან ინდომა!? — წუხდა სოფელი.

„საქონელი რომ გააერთიანონ, კოლექტივს აბრაგები რაღას გამორჩებიან, ისედაც უჭირთ, თითო ცხენის ამარა გლეხების გაქურდვაო“ — საყვედურობდნენ მეზობლები ძაბულის. ვითომ ცოლი ყოფილიყო მოჩიჩინე და კოლექტივის მომიმედე. კაცმა რომ თქვას, არც მოძულე და უნდომელი — თუ არაფერს გამოვრჩებით, რას დავკარგავთო. იმ ფარლალალა, სოხანიან, ისლით დახურულ ჯარგვალში ქარს მართლაც რომ რაიმე მოეტანა, გატანაწალება შერცხვებოდა. ჩელტზე თივის ლეიბი ეგოთ და სასთუმლად ლაქაშის მუთაქა ედოთ. ერთი თხელი საბნის ამარა ცოლ-ქმარი ზამთრის ჭენჭყოიან გამჭოლ შიშხათში ერთმანეთს ეხურხლებოდნენ.

ძაბული, მართალია, მამანტი ბოკერიამ ნაჩაფრალი, კაცისმკვლელი ბიძის სამადლო ლუკმას გამოს[illegible] ერთი კვირის თავზე გა[illegible] მევინა: — შენი დიდი სიყვარული მქონდა და მიტომ, თვარა... ჩემი ძმა შელიების ქალს მირიგებდა და ბუმბულში ვიგორავებდი. ეს უნდა იცოდე შენ!

გაოცებულმა ცოლმა თავი დაუქნია.

— და კარგად უნდა დაიმახსოვრო ეს შენ!

ძაბული ხედავდა, თავის ლოგინზე ზამთრის გრძელი ღამე წოლა მართლაც გაჭირდა და ხამის პერანგის ამარა ქალი რომ ქმარს ეკვროდა, მისდაგასაოცრად, იმ დღის მერე ველარ ათბობდა.

ხმა ამოსაღები არ ჰქონდა და არც კრინტს სძრავდა, მაგრამ დუმილი ყოველთვის თანხმობას არ ნიშნავს. მადლობა ღმერთს, მარტვილის ეკლესია შორს არ იყო, მაგრამ, რატომღაც მისთვის ესეც დაენანათ და ათეისტებმა დარბევა და გაძარცვა რომ არ აკმარეს, ბერდანკები დაუშინეს, ღმერთის იმედიც გაუცრუეს. თვითონ გალლეტილი და ტყვიანაკრავი მაცხოვარი ძაბულის რა სულიერ თავშესაფარს მისცემდა. მთლად უღმერთოდ და უკაცოდ შთენილს მუცელი ენძრა — ბიჭი, ავთანდილ ბოკერია — და არარაობა დედად აქცია. ქმარსაც ყველაფერი აპატია და იმ მარტვილის ძეგლისთვის ბერდანკების დამშენ ანტიქრისტეებსაც. არც მეტი შვილი ინდომა და არც სხვა სიხარული. ვაჟიშვილი ყველაფრად კმაროდა. ქმრის დაღუპვაც არ ყოფილა ძაბულისთვის ისეთი ქვეყნის ჩამოქცევა, რომ თვალები დაეთხარა და საიქიოს გაჰყოლოდა. ქალი იყო — დედა, და შვილი ეკუთვნოდა. შვილი იყო ყველაფრის: ობლობის, კაცისმკვლელი ბიძისა და ლუკმისდამთვლელი ბიცოლის სამოწყალოდ გდების, ქმრის ყვედრების, დამადლებული სიყვარულისა და მერე ასე, უღმერთოდ და უსაფლავოდ დაკარგვის საფასური. შიმშილის, სიცივის, სიტიტვლის, უსაგებოდ და უსაბნოდ ყოფნის, დღედაღამ შრომისა და ჯაფის, მზეგაუცინარობისა და მთვარეს

შეტირებული ძაღლური ცხოვრების საზღაური. ყველაფერს ავიწყებდა და ყველაფრით ამდიდრებდა შვილი. ავადმყოფური, აუტანელი, სიმახინჯემდე არაადამიანური ვნებითა და ცეცხლით ავსებდა ერთადერთი მოსწრება... და თუ ქმრის დაღუპვის შემდეგ მამაკაცზე არ უფიქრია, მარტო იმიტომ კი არა, რომ მეუღლის ხსოვნას ვერ შეელია, — თითქოს შვილს უღალატებდა, თუ სხვის სიყვარულზე იფიქრებდა. სიყვარული, თითქოს, სხვადასხვაგვარია და ერთი მეორის წილში წილს არ დებს, მაგრამ ძაბულისთვის ყველაფერი ერთ ღარში მიედინებოდა და წყალს მხოლოდ მემკვიდრის წისქვილზე ასხამდა.

დედაზე ავთანდილი არ ფიქრობდა. დედა მასში იყო განივთებული, მასთან განუყოფლად და არ შეიძლება სხეულის რომელიმე ნაწილზე ცალკე იფიქრო: არ ენატრებოდა, რაკი შეუძლებელია, რაც დღედაღამ შენთანაა, მოგენატროს; არ უყვარდა, რაკი არ შეიძლება გული გიყვარდეს, ან თვალი და ყური. თუმცა გულით ცოცხლობ, თვალით იხედები და ყურით ისმენ. შეუძლებელია ჰაერი გიყვარდეს, რითაც სუნთქავ...

კატაკომბების ხვრელთან აფეთქებულმა ნაღმმა მოგლიჯა იგი განუყოფელს. თითქოს მანამდე დედისგან არც შობილა... იქ დანაწევრდნენ, დაშორიშორდნენ, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე შეულეველს და შეთვისებულს აქამდე შერჩა. შერჩა, როგორც გამხმარი ხელი სხეულს, როგორც დავსებული თვალი — ფოსოს...

ავთანდილს ახლა, ამ ნაშუაღამევს უსაზღვროდ მოენატრა დედა: დაღლილი და მუხლჩაუხრელი, მუდამ შესაძლებელზე მეტი ტვირთის ქვეშ მკუთავი, პირმოკუმული იმდენად, რომ ბაგეები არ უჩანდა, ერთად შეწნული, კოლხური უმთვარო ღამისფერი შოლით თმა წელზე რომ მძიმედ სცემდა; წვივებამდე ნარმის კაბით, ეკალსა და ქაცვს რომ ძაფებად გამოჰქონდა, და დაბალქუსლიანი, ქუსლჩათელილი ტალახიანი ჯღანები, თუ შინ იყო, კარის ზღურბლთან რომ ტოვებდა სახელდახელოდ ფეხებიდან წაყ[illegible]

დედას თაფლ-სამსა[illegible], მაყვლისფერი თვალები აქვს. დიდხანს, დიდხანს უნდა უცქირო, როგორც მიტოვებულ, გვიმდანგრეულ ჭაში, რომ შიგ რაიმე დაინახო.

დედა...

„რა ჭირნი დათმნა, ვერ იტყვის აწ ენა
ენა ხელისა,
ჰკლავს სურვილი და ვერ-ჭვრეტა მისისა
დამმარხველისა".

XIV

დიდ გომ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდა. ვერც სახმელეთო და საჰაერო დაზვერვა, ვერც ძალისძალად მორთმეული და ნაცემ-ნაგვემი მოენე, ვერც, თუნდაც, შენს მხარეზე გადმოსული და გულწრფელი ცნობების ჩამკაკლავი ვერ შექმნის მოწინააღმდეგის საბრძოლო ძლიერების უტყუარ სურათს. ცალკეული დანაყოფებისა და ნაწილების თუნდაც კარგი ცოდნა საერთო, ათეულ და ასეულ კილომეტრებზე გადაჭიმული ფრონტის მასშტაბებზე და ბრძოლისუნარიანობაზე მაინც საალბათო ვარაუდია. წინდაწინ თვით ომის ღმერთიც ვერ გიწინასწარმეტყველებს ბრძოლა რით დასრულდება. ბომბები რომ ჭაობებში ჩაყარო და გეგონოს მტრის პოზიციები დავანგრიეო, ან საარტილერიო ცეცხლი მოწინავე ხაზის სანგრებს ათიოდე მეტრით გადააშორ-გადმოაშორო, ტყუილი, უმაქნისი ბათქაბუთქია. ტანკები და ჯავშნოსნებიც არაა ყოვლისშემძლე და დაუმარცხებელი, ღრუბლებში უჩინარ თვითმფრინავსაც პოულობს ტყვია...

მტრის გეგმებზე და ზრახვებზე ხელიც რომ მიგიწვდეს და იცოდე რა დაუპირისპირო, ყოველთვის არ ხერხდება იმ ტექნიკისა და ცოცხალი ძალების გადასროლ-გადმოსროლა-მანევრირება, გამიზნული რომ გქონდა და გულითაც გეწადა. ხშირად თვით მო-

წინაამდეგესაც არა აქვს თავისი ზემდგომებისაგან სწორი ინფორმაცია. ცდება ან იცის, მაგრამ შეგნებულად არ უმხელს. საიდუმლო, რამდენად ცოტამ იცის, მით უფრო საიმედოა. ისიც ხომ გითვალთვალებს რას აკეთებ და ყურს იყრუებს, თვალს ხუჭავს, რომ გეგონოს იოლად მოერევი. მერე ბევრიც რომ იძახო, ჩემს ცხვირწინ მტერმა მოულოდნელად დიდ ძალებს თავი მოუყარა და არიქა, მიშველეთ, ჯარი და ტყვია-წამალი მომაშველეთო! არის იმწუთას ამის საშუალება და შესაძლებლობა? მაგრამ არავინ გეტყვის: ვერაფერს დაგეხმარები, აიღე ტყვია და შუბლში დაიმინეო. პირიქით, რამდენი უჭირს, იმდენი რიხითა და იმედით აგავსებს: „შენ დასცხე, მაგის დარდი ნუ გაქვს, ერთის ადგილზე ორს მოგაშველებ, გული არ გაიტეხო, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებო!“ შენც, რომ ვინმემ გკითხოს, რაც გითხრეს იმას ეტყვი, მაგრამ სიმართლე იქნება?

ყველა დიდი საბრძოლო ოპერაცია იგეგმება, შეტევითი იქნება ეს თუ თავდაცვითი, ცენტრალიზებულია და ერთი თავი განაგებს. იმ თავზე კი ბევრი რამეა დამოკიდებული — შესწევს უნარი, მდგომარეობა ყოველმხრივ შეაფასოს? არც მტერს დაუკარგოს თავისი და არც თავისას დააკლოს ან მიუმატოს?

ჯარისკაცი ბრძენთა ბრძენი ვერ იქნება. ღმერთს იგი ჭკუით დაყურსულიც რომ გაეჩინა, მას საამისო არც პირობები აქვს და არც განსწავლულობა. მისი განათლება, ცოდნა და პრაქტიკა ცალმხრივია და ვიწრო. „თუ ჯარისკაცი გენერლობაზე არ ოცნებობს, ჯარისკაცი არააო“ — სამხედრო ჭეშმარიტებაა. მაგრამ, ვისაც ჩინზე, დიდებაზე და ძალაუფლებაზე თვალი რჩება, მოაზროვნე არაა. არც ერთი გენერალი არ გამიგონია, ბრძოლა მოეგოს, გაემარჯვოს და ომის დამთავრების შემდეგ ლამპასებიანი შარვალი გაეძროს, მოსირმული სამხრეები გადაეყაროს, დაეხუროს ნაბდის ქუდი და დეზებიანი, გაპრიალებული ჩექმების ნაცვლად ქალამნები ჩაეცვას, მტერს ანგარიში გავუსწორე და ახლა ქვეყანას ხვნასა და სამკალში ვჭირდებიო. ვითომ ეს ელემენტარული სიბრძნეა, მაგრამ აბა ამის მქნელი მოიძიეთ? და, რაკი ბრძენი არაა, ვერც მისი დიდებისმოყვარული ჭკუა და გონება იქნება ვითარების სწორად შემფასებელი. თავდაჯერება, გულდიდობა არც მას უქადის კარგს და, მით უმეტეს, მის ხელქვეითებს.

ომის დროს მსხვერპლი გარდაუვალია, მაგრამ თუ „ამ“ ბრძოლაში გამარჯვება ასი კაცის დაღუპვას მოითხოვს და ასერთი დასჭირდა, ბრძოლა წაგებულია და კაცის სიცოცხლე ცოდვად გაწევს. მეთაურს ამას ვერავინ გამოურწყავს, რაკი ამის წინდაწინ მცოდნე არავინაა. შენ უნდა იცოდე, მაგრამ ან შენ რა იცი? ერთი რამ, რაც მეთაურს მოეთხოვება, ისაა — ტყუილუბრალოდ ჯარისკაცი არ გაწიროს. უძნელესი, უსასტიკესი, გაუვალი და გაუმართლებელი გზა აირჩიოს, მაგრამ სჯეროდეს, რომ მებრძოლი დახეულ ტყავს მაინც გაიტანს და გავა. იფიქროს, იკითხოს, ითავცემოს, ეძიოს და ათი კი არა, ასი გასაძრომ-გასავალი იპოვოს და ამ ასიდან ყველაზე ნაკლებ სახიფათოს დაადგეს. ჯარისკაცი რამდენად შეზღუდულია და მეთაურის ბრძანება მისთვის სიტყვაშეუბრუნებელი, განუსჯელი კანონია, იმდენად ბევრს ავალებს და უსასტიკეს მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს ამ განკარგულების გამცემს.

მებრძოლს იქნებ შენი ფიქრი, ვარაუდი და ანალიზი ვერ ჩაუკაკლო, მაგრამ უნდა სჯეროდეს, რომ რაც ზევიდან გითხრეს: „აბა“, „ურა“, მიუსიე ჯარი და მიდიო!“ შენ ამ განკარგულებას უჭკუოდ და უგულოდ არ გაიმეორებ. მებრძოლმა იცის, რომ იმოდენა ოპერაციას შენ ხუშტურზე ვერ დაიწყებ და ვერც დაამთავრებ, მაგრამ რეგვენს რომ ერთი გზა ჰგონია, მართლა თუ ათი და ასი არა, ორი-სამი ბილიკი მაინც მოიძებნება, რომ მეომარი დამი-

ზნებულ ცეცხლს ღველფში და ღადარში გაუძვრეს: გაუხვიოს, აუქციოს, მოუაროს... ბოლოს და ბოლოს, დაიხიოს, რომ მოწინააღმდეგე შემოიტყუოს და ზურგში დაჰკრას. შეიძლება ტყვია არ მოჰხვდეს და ისე წაიქცეს: გადარჩეს და თავი მოიმკვდარუნოს, დაიჭრეს, დასახიჩრდეს, მოკვდეს და მაინც იცოცხლოს...

ავთანდილ ბოკერიაზე უკეთესად ვინ იცოდა ჭაობების დაუნდობლობა და კაციჭამიობა. ამ თოვლ-ჭყაპში ჯარისკაცს, წყალ-ტალახში გდება და დამქანცავი შრომა, შეტევამდე დამართებდა იმას, რაც ცეცხლითა და მახვილით მოელოდა. ორი დღის წუთისოფელი ჯარისკაცისთვის სიცოცხლეა. მის ნებაზე რომ მიუშვა, დაწვება ამ ორ დღეს გულაღმა და ინებივრებს. მებრძოლი დილიდან დილას თუ შეხვდება, არ ჰგონია. ალიონიდან დაბინდებას შემასწარიო და დაღამებიდან განთიადი მაღირსეო — ღმერთს ამას ეხვეწება. ჰგონია, განგებას ერთად რამოდენიმე დღის სიცოცხლე რომ შეევედროს, სულსწრაფობისა და მეტისმეტობისათვის დაისჯება. ახლა, ისე არ ჭირს, რაღაც გადასაკრავი ვერ იშოვოს და დასაყოლებელი ვერ გაახეროს. უკვე თავისი ულუფაცა აქვს, თუ ბრეზენტის ქამარს არ მოუშვებს, არც ზომაზე მეტად გაჭერა დასჭირდება.

ჯარისკაცმა იცის, შეტევამდე იცოცხლებს. მერე რა იქნება, არაფერი უწყის და უნდა ეს ორიოდე დღე სანგარში ჩამძვრალი მოასვენო. ძილი ენატრება, სიზმარში დედას ნახავს. შეიძლება „ის“ გოგოც გამოეცხადოს... ძილ-მღვიძარე იფიქრებს, იოცნებებს, ინებივრებს: თავისიანებს მიივლ-მოივლის, სამოქალაქო შარვალს ჩაიცვამს და თეთრი პერანგით, გულმოღეღილი ივლის. ამ ტილების ხოცვას, ფხანა-ქექვას ერთხანს მაინც გადარჩება. თუ რაიმე იშოვა — შეჭამს, შესვამს, გაიშხლართება და ცას შეაშტერდება. ღრუბლების ნახატებს წაიკითხავს. თუ მზე იქნა, მანამდე გაუშტერებს თვალს, სანამ ცრემლებით არ აევსება. სხივს გათოშილ სულში შეუშვებს, გალხვება, მზეს ჩაიტოვებს თვალებში და ორი დღის მერე, თუ მისი ხილვა [illegible]-დის ცრემლებივით საძმო საფლავში ჩაიტანს. ნათელის გარეშე, მარადიულ ბნელში ყოფნა ცხრამეტი-ოცი წლის ბიჭისთვის ძნელია.

ღამით, ღრუბლებში მთვარის ცურვას უყურებს და რაღაც-რაღაცეებს დაუბარებს „იმ“ გოგოსთვის გადასაცემად, თუ ორი დღის მერე აღარ იქნება. ახლა რომ მიწეროს და მერე გადარჩეს... ცოცხალი კაცის სათქმელი სხვაა და დაღუპულისა — სხვა. თუ მოგკლეს, შიში ბუნებრივია და გეპატიება, მაგრამ თუ სული შიშით წინდაწინ გაგეპარა, რაღა მკვდარი და რაღა ცოცხალი.

და ამ ორ დღესაც რომ არ ანებებს, ასეთ მეთაურს დედ-მამის სულს აგინებს: — „დაღუპვამდე გვხოცავს, ღდინს გვაცლის, მტერზე უარესს გვმართებს!“ — „მშრალ მიწაზე, სიკვდილის წინ, ცას მაინც დავინახავთ და მტერი ან მოყვარე საფლავს მაინც გაგვითხრის. ჭაობი ცოცხლად ჩაგვყლაპავს, გაზი გაგვგუდავს ან დამპალი შმორი დაგვახრჩობს!“ — „ბაყაყებისა და ქვეწარმავლების ლუკმა გავხდებით!“ — „თავის გამოჩენა უნდა, ჯარისკაცობიდან მაიორობამდე ისე მიუღწევია, რაღაც კურსების მეტი არაფერი გაუვლია!“ — „ჯილდოებით მკერდი გაძეძგილი აქვს, ადიუტანტიც გმირი ჰყავს, ოქროს ვარსკვლავი აკლია. ამისთვისაა, რომ თავს არ ინდობს და არც ჩვენ გვზოგავსო!..“

ავთანდილმა იცის, ვინ რას ფიქრობს და ვინ რას ამბობს: გაწამებული ჯარისკაცი ილანძღება, იგინება, ზურგს უკან აფურთხებს; ხელქვეით მეთაურებსაც, რამდენად თვალში შემოსცინებენ, იმდენად სძულთ, მაგრამ ისიც აფიქრებთ: ერთი ცხვრისკენ და მეორე მგლისკენ — რატომაა, რომ თვითონაც მებრძოლების გვერდითაა და იხრჩობა ამ წუმპესა და გაუვალში? ალბათ რაღაცის იმედი აქვს: „ჯანდაბამდე გზა ჰქონია, ჯილდოცა და ჩინ-მედალიც

თავში იხალოს, ოღონდ მთლად ნუ გაგ-ვკუჟავს..." — „და, ეს რომ უნდოდეს, ამისთვის რატომ ეწამებოდა და ჩვენც სისხლს რად გაგვიშრობდათ?.."

და აკეთებენ სიმწრით, ვაებით. გამ-ჩენის მაწყევარნი და მეთაურის დედ-მამის მაგინებელნი. აკეთებენ, წვალო-ბენ, ჯახირობენ, ითათხებიან, იფურთ-ხებიან და ჯოჯოხეთში გაჰყავთ ბეწვის ხიდი, რომელმაც განკითხვის დღეს, ვინც კუპრში არ ჩაცვივდება, სააქაოს უნდა დააბრუნოს.

ბოკერიამაც არ იცის ამ საქმეს რა მოჰყვება. როგორც სხვები, ისიც ღვთის ანაბარაა, თუმცა გულხელდაკრეფილი არ ზის, სიკვდილამდე სიკვდილს არ ნე-ბდება. მართალია თვალნათლივ არა-ფერი ჩანს, მაგრამ, გულუბრყვილო მოიმედესავით, იმის დანახვა შეუძლია, რომ გაამართლოს და აქედან მართლა რაიმე სასიკეთო გამოვიდეს. ახალბე-დების გარდა ყველას გამოუცდია და იციან, ბრძოლაში რას ნიშნავს მოუ-ლოდნელობა. როგორ დაგზაფრავს და განგაიარაღებს იქიდან თავზე დასხმუ-ლი მტერი, საიდანაც არ ელი; არც ის იცი, თავს რა უბედურება დაგატყდა და არც ის, რით და რა ხერხით ებრ-ძოლო. წინიდან წამოსული ასი ტყვია არაა ისე გამანადგურებელი, როგორც ზურგში ერთი ვერაგი თოფის გასრო-ლა. მომხდური უძლეველიც რომ იყოს, ზურგის იმედით უმკლავდები. შენს ბედში მყოფი შენიანების თანადგომით, მხარში დგომის რწმენით. შენი ცეცხ-ლი და სისხლი თუ მტერს ვერ შეაკა-ვებს — ისინი დაუშენენ. გადარჩები თუ დაილუპები, პატრონი გყავს. დაიჭ-რები და სამშვიდობოს გაგიყვანენ. შე-გცვლიან და შენს სისხლს არ შეარჩე-ნენ... მაგრამ, თუ მაინც უსაშველო გაჩნდა, ბოლოსდაბოლოს, დაიხევ. ორი-ვე თვალით რომ წინ იხედები, „მესა-მეთი" უკან გაქვს ათვალთვალებული გზა და სორო, საით გაიქცე და თავი სად შემალო.

მაგრამ რა ზურგითაც იბრძვი, რისი ძალისხმევითაც ფეხზე დგახარ, თუ იქიდან დაგარტყეს? რა მთის იმედიცა გაქვს — თუ თავზე დაგექცა, თოფი ხელიდან მანამდე გაგივარდება, ვიდრე ვინმე გაგაგლებინებდეს და სული მა-ნამდე გხდება, ვინემ ამოგხდიდნენ. გა-მოცდილმა ჯარისკაცებმა იციან რას ნიშნავს ზურგში ჩარტყმული დანა და, მით უმეტეს, თუ ამ მუხანათურ მახ-ვილს იმ მეთაურს ჩასცემ, ვინც იმ საბრძოლო მანქანას მართავს. იგი უბ-რალო ათისთავი ან ოცისთავიც რომ იყოს, ის ათეული და ოცეული დაჩ-ლუნგდება, რომელთაც მისი ბრძანე-ბით უნდა ემოქმედათ. მით უმეტეს, თუ ასეულებისა და ათასეულების სულის-ჩამდგმელ ოფიცერს მიპარვით სულს გააფრთხობინებ ან სამეთაურო-საკო-მანდოს და შტაბის განადგურებას შე-ძლებ, ეს გამარჯვებას უდრის...

„არიან მეტად მუხთალნი, —
ჩვენ ერთხელ კვლავცა ვნახენით,
არამცა მოგკლეს ლალატად,
არამცა ვივაგლახენით!" .

## XV

ზედ მოწინავემდე მოეღწია კარგა მსხვილი საოლქო გაზეთის საგანგებო კორესპონდენტს, ვინმე აფანასი იაკო-ვლევიჩ შაპოვალოვს. ჩასუქებული, ავადმყოფური ტიპი ჩანდა, ტანსაცმე-ლი შემოლანძღოდა და ქუდის მუყაო-დამტვრეულ წინაფრას, მებრძოლებთან მისალმებისას, ცერით მაღლა იწევდა. ცოტა გადაკრულშიც იყო, ალბათ, ფრონტის ხაზთან მიახლოებისას რომ მხნეობა შერჩენოდა. მშვენიერი, მწყა-ზარი, ჩაპუტკუნებული ლიტმუშაკიც ახლდა. ალბათ რედაქციას ევარაუდა: ამისთანა ლამაზმანი ამორძალით მებრ-ძოლებს ალვაფრთოვანებთ, მტრისადმი შურისგებით განვაწყობთო. ამორძალს, ასეთი ამინდის პირობებზე, შილიფად ეცვა, გახუნებული კაბის გულისპირიც კი ჩაეხსნა და მოცისფრო თვალებს მომხიბვლელად აჟუჟუნებდა — ყო-ველ ჯარისკაცს სიყვარულსა და ერთ-გულებას უშურველად სთავაზობდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოღროჩოღრო გზას ხელგაშლილი, კეკლუცი წიოკობით მისდევდა და ზედმიცვებულ, ალტყინებულ მეომრებს ისეთი ღაუფარავი ვნებით შეტრფოდა და შეფოფინებდა, თვითონ — ქალზე დამშეულ, თავზეხელაღებულ — მებრძოლს თავს ახრევინებდა, დაშაშრულ, გარუჯულ სახეზე ცეცხლს უკიდებდა. შემოფეთებული არმიელის წინ წამით ცალ ფეხზე შედგებოდა და სქელი პომადით ალმოდებულ ტუჩებზე ისეთ სანდომიან ღიმილს გადაიფენდა: „ამ ომს შენ მალე ბოლო მოუღე, რაც ჩვენ გვაშორებს, და შენი პატივისცემა მე ვიციო“ — და მაშინვე მოქლურტულე ფაცაფუცით კორესპონდენტს გამოუდგებოდა. ალბათ ბევრ გამოუცდელ, ქალის უნახავ საცოდავ ბიჭს იმ ღამეს ძილი გაუტყდებოდა და ომის დამთავრებაზე ისედაც სულწასულს შეტევის დილამდე დაწყებას ანატრებდა.

— საჩივრებია, ამხანაგო დივიზიის... პოლკის მეთაურო... ეს დივიზია რას დავიჩემე... იქიდან რახანია წამოვედით და ესაა... შტაბში არ გემადლიერებიან. — გამოტყდა მიწურში შემომძვრალი, გულაჩქარებული საგანგებო კორესპონდენტი და თვალებზე აფარებულ სათვალეს ჯიბეებში დაუწყო ძებნა. თან, მელამ თავის კუდიო... ისე დაიმოწმა თანამგზავრი, — ასე არაა, ელიზავეტა ლვოვნა?

— დიახ, დიახ, აფანასი იაკოვლევიჩ, თითქმის... — ორაზროვნად, თუ მთლად უაზროდ დაეთანხმა ლიტმუშაკი, რომელსაც ამაღლობელისათვის თვალის თვალში გამონასკვა მოესწრო და ყვრიმალთან უამური ნაჭრილობევის მიუხედავად, გმირზე, დანახვისთანავე გული „შევარდნოდა“.

„ამ უბედურმა, ოქროს ვარსკვლავი კი, მაგრამ გაპარსვა როგორ მოასწრო!“ — გაოცდა ავთანდილი. მამუკა ქალის მზერას იმწამსვე დაეთრგუნა და ქამანდით ეჭირა.

— წადი, პოლიტნაწილის უფროსს დამიძახე!

— არის, ამხ. მაიორო! — მაშინვე ზამბარაასავით გაიჭიმა და ისვდაც „მოხიბლული“ ელიზავეტა ლვოვნა ერთობ ალტაცებაში მოიყვანა. იქაურობას გაეცალა თუ არა, ამორძალმა მომნუსხველი თვალების ცეცხლი ახლა მეთაურს დაუმიზნა, რაკი გმირი ამიტომ „გააძევეს“, ეგონა: მაიორს, ეტყობა, ქალებში მოცილე არ უყვარსო. უცქეროდა და ნამდვილ ალტაცებას ვერ ფარავდა, ამისთანა ვაჟკაცს მოკრძალებული ქალიც კი მზერას ვერ მოსწყვეტდა... მოულოდნელობისაგან ისე შეჩქვიფდა და შეაციცინდა, ვითომ ამდენ დარჩეულ ახალგაზრდებში ამისთანა ჯერ არაფერი ენახოს. ცვილივით გადნა, მაგრამ რაც თავისი მომხიბვლელი თავი ახსოვდა, პირველად დაალცილა მიზანს და ისიც სად?! სადაც ქალის ნაკაბარიც მზეთუნახავად ფასობს. კედელზე შეყრილი ცერცვივით დაიბნა.

— შენ ის თქვი, რას მიჩივიან?! — გამომწვევად დაუბღვირა პოლკის მეთაურმა ნირწამხდარს.

— მე, არაფერი... ჰო, ეს რაღაც კი... მაგრამ ეს ისეთი... ღმერთო მომკალი, გაწყენინეთ?!.

— მაწყენინე არა... რაო, მაინც რაო?

— ეს, მე... ავ... — კორესპონდენტმა თითჩადებული ბლოკნოტი გაშალა და ჩააჩერდა, — ავტანდილ მამ... მამანტოვიჩ, მაგრამ ეს საჩივრები მერე... მთავარია ჯარისკაცებში, საერთოდ... საერთო განწყობილება როგორია... რა სულისკვეთება სუფევს...

ავთანდილი ასეთ „ღონისძიებებს“ კარგად იცნობდა და იცოდა, რა უნდა ეთქვა... უფრო სწორად, გაზეთს რა სჭირდებოდა.

— სულისკვეთება ძალზე მაღალია, საბრძოლო... მე მგონია, დამეთანხმებით...

— დიახ, მამანტოვიჩ! — აღფრთოვანდა ელიზავეტა ლვოვნა და თვალებიდან პირდაპირ ამურის ოქროს ისრები სტყორცნა „მაღალ საბრძოლო სულისკვეთებიან“ მშვენიერ მეთაურს. ამაოდ, სალ კლდეს შეხეთქებული შუბებივით დაემსხვრა ათასგზის ნაცადი

„იარაღი“ და განადგურებულმა, გაქექილ ხელჩანთაში ცხვირსახოცს დაუწყო ძებნა.

„რა საძაგლად იწმაწნება“ — შეზარა ავთანდილს და წამოვარდა.

— იცით რა? მე ახალი ვარ. ჩემი მოადგილე მოვა და ის გეტყვით... ის აქ, ამ პოლკში დამხვდა, მან ჩემზე მეტი იცის...

— სიმართლე თუ გნებავთ!.. — წამოენთო კორესპონდენტი, ცერით ქუდი მაღლა აიტანა. — არც დივიზიის შტაბი გიჭერთ მხარს... თუ, მგონი, გითხარით...

— რაში არ მიჭერს მხარს?!

— თუნდაც იმაში, რომ თვითნებობთ... ჯარისკაცებს სტანჯავთ, ჯალათივით იქცევით, ჭაობებში „ახრჩობთ“...

— გულზე ქვას ვკიდებ და ვახრჩობ...

— არა... ეს აქ წერია, მაგრამ აი, თუნდაც... მოითმინეთ, ამხანაგო! მე, თქვენი დივიზიის ფარატინა გაზეთიდან კი არა ვარ! და არც ეს... ელიზავეტა ლვოვნა... ეს ამბავი როგორ გავიგოთ?

— გაიგეთ ისე, როგორც მანდ წერია. მე ვადასტურებ.

— კი მაგრამ, რა დავარქვათ ამ ამბავს, ელიზავეტა ლვოვნა?!. — საგანგებო კორესპონდენტს არ ახსოვდა, ამოდენა სამხედრო გაზეთი ამისთანა მაიორებს კი არა, გენერლებს ოდესმე აბუჩად აეგდოთ.

— აი, სამწყობრო დარგში მოადგილე! აგერ, კიდევ, ოპერატიული განყოფილების უფროსი... გაარკვიეთ ჩვენი დანაშაული და გადაგვეცით ტრიბუნალს. შეიძლება ამისთვის ჩვენ მოწინავე ხაზიც კი მოგვისაჯონ.

— აბა, თუ შეიძლებოდეს, სად ვიმყოფებით ჩვენ, აჰ, ელიზავეტა ლვოვნა!.. ეს მოწინავე არაა?

— დიახ, და დღესდღეობით ჩვენში ამაზე დიდი სასჯელი არ არსებობს... თქვენი და ამ მშვენიერი არსების მონამორჩილი, უტკინი! — გამოუჭიმ სტუმრებს ოპერატიული განყოფილების უფროსი, როცა ბოკერიამ კარიდანვე გააბრუნა ამალლობელი და თვითონაც თან გაჰყვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## XVI

ჭაობი და ჭაობის მონაპირე ტყის ზოლი პირდაპირ ფრონტის ხაზში იჭრებოდა და ნეიტრალურში მოქცეულ ნაჯიჯგნ, დაორწოხებულ ნაყანევებამდე აღწევდა. ხავსგადაკრულ წუმპეებიდან გაღწეულ მებრძოლებს მტრის ზურგში უმეთვალყურო ტყისპირი ხვდებოდა. ტყისპირს ნასოფლარი ეკვროდა, სადაც დიდი ხანია აღარც დამხვდურს და აღარც მომხვდურს აღარაფერი ესაქმებოდა. ღამით, ნამოსახლარებში უხილავად თავის შეფარებაც მოხერხდებოდა და მიწასთან გასწორებულ, სახურავჩამოფხავებულ ქოხმახებში დღისით სულგანაბული წოლაც შეიძლებოდა.

გაზაფხული მოძალდა, მზე მარტო თავისთვის არ ანათებდა. სითბომ სიღრმეში თუ ვერ ჩააღწია, სქელი ხავსის საფარი გაალხო და ჭაობი მძინარე გველეშაპივით შეიშმუშნა.

გადასვლა უნდა დაწყებულიყო. გაუვალ საფლობებში ჩაყრილი მორების გზა-ხიდი ფრონტის ხაზს იმდენზე იყო დაშორებული, მტერს ბინოკლითაც თვალი ვერ უნდა მიეწვდინა და ციდან „ჩარჩოების“ გამოჩენისთანავე ზედ მიმბობლავ მებრძოლებს მიწა უნდა გაეთხარათ, მახრჩობელა წუმპეში უნდა ჩაეყვინთათ, რომ მოწინააღმდეგეს არაფერი ეაზრა.

ჭაობის ხავსის საფარი სადაც პირლია ან ჩახეულია, მორიდან რომ ფეხი ჩაგიცდეს, ვერავინ დაგიხსნის. სიღრმეში ჩამყაყებულ-ჩაშავებული ტბორი და ძთლად თავლია, აშმორებული გუბეები უნდა გადაელახათ, გვერდის აქცევა და შემოვლა რომ არ უხერხდებოდა. ლაგაზი კუპრის წუმპეში ჩამდგარ მებრძოლებს საცალფეხო „ბილიკები“ თითო-თითოს თუ დაიმაგრებს. წყლის წონა ხეები ძლივს ტივტივებენ, ერთი გოჯი ზურგილა უჩანთ. მხარიღლივ გადაკიდებული ახვეული მაზარითა და

შამხანით დამძიმებულ ჯარისკაცებს ჩამპალი ლაქაშის, ლელის, ხავსის, გაზებითა და ორგანული და არაორგანული ნივთიერებათა ხრწნის შმორით დარეტიანებულთ, მორის მოპოტინება და ამოსუნთქვა თუ შეეძლოთ, რომ ისევ ლპობის ყროლში და წყალმცენარეების ბადეში ლოქოსავით გაბმულებს ეფხარკალათ და ეჯახირათ, რათა ოდნავ წინ წაწეულიყვნენ.

გადასხმა, თუ ამინდი იქნებოდა, ნაშუადღევს უნდა დაწყებულიყო, რომ წუმპე იმდენად შემთბარიყო — ჭაობის ხახაში ჩაცვენილ ჯარისკაცებისთვის სიცივეს ხელ-ფეხიც არ შეეკრა.

რაიმე მძიმე იარაღის გადატანაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. ხელის ტყვიამფრქვევისა და ჯავშანგამტანი თოფების გადათრევასაც მარჯვე ბიჭებს თუ ანდობდი, რომ უფსკრულს თავის იარაღიანად ფსკერზე არ წაეღო. ოდნავ მეტი ტვირთი ან ახლო-მახლო მიდევნებული ჯარისკაცები და... ერთმანეთზე გადაბმული ხეები სიღრმეში წავიდოდა, ზედჩაფრენილ მებრძოლებს ჩაიტანდა. ამიტომ, ჯარისკაცი ტლაპოს ზევით ცხვირს თუ ამოჰყოფდა და ცალი ხელით ტანს წინ თუ უბიძგებდა, ვინემ ხეს ეყრდნობოდა.

მსმელსაც და არამსმელსაც გაუვალში შესვლამდე უნდა დაელია, რომ ცივ წუმპეს მსხვერპლი არ დაეკრუნჩხა და დაეწმახნა.

პირველად „პარტიზანების“ ოცეული გაიწირა, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ბიჭები, ბრეხო და ანტიპი გაუძღვნენ ხაჩიძის მეთაურობით. სპირტითა და ჭაობის გაზით გაბრუებულები წალიკწალიკ, სვენებ-სვენებით ერთმანეთს კვალდაკვალ მიჰყვნენ. არც მიახლოება შეიძლებოდა, არც ჩამორჩენა. ავტომატებმა და ხელყუმბარებმა ისე გაუჭირათ საქმე, კინაღამ ხელიდან გაყარეს, მაგრამ მაინც იმდენი ქნეს, ჭაობისთვის მსხვერპლი არ დაუთმიათ. სვირიდოვის მზვერავთა ოცეული კი რაციის გადატანამ გადაიყოლა. რაცია ერთი კაცისთვის მძიმე აღმოჩნდა, ორ-სამს კი „ბილიკი“ არ იმაგრებდა. ლია ტბორებზე გადებული გრძივი ხეები გადაბმულში ირყეოდა. ჯარ[illegible]ერთმანეთზე თოკით გადაბ[illegible]ხდა, თუ ვინმე ფსკერზე წავიდოდა, სხვებსაც ჩაითრევდა. ურაციოდ გადასულიყვნენ და, ვინც გააღწევდა — მერე არავინ იცის რა მოხდებოდა; ძირითადი შეტევის გარეშე, მტრის ზურგში გადასხმულები რას გახდებოდნენ? მართალია არტმომზადება და საავიაციო დაბომბვა, თავისთავად, ბრძოლის დაწყების ნიშანი იყო, მაგრამ ეს რომ რაღაც პოზიციური შეტაკებები ყოფილიყო, კიდევ ჰო, ამოდენა, ასკილომეტრიანი წინსვლისთვის დაძრული პოლკები, დივიზიები და კორპუსები ერთმანეთში აირევა, შენი და მტრის უამრავი იარაღით დანთებულ ცეცხლში ოცეულები და ასეულები შეიძლება ისე გაითელოს და გაისრისოს, ვერავინ ვერაფერი გაიგოს.

შეტევამდე ორი დღე რჩებოდა და პირველი დღის ნაშუადღევიდან დაღამებამდე ორი ოცეულის გადასხმა ძლივს მოხერხდა. ისიც არავინ იცოდა, ყველამ გააღწია თუ არა.

იმ ღამეს ავთანდილი დივიზიის მეთაურს დაუკავშირდა. ოლექსა ქდანეცს ისიც გაუკვირდა — ორი ოცეული გადავსხით, რომ მოახსენა. ხვალ მეც თქვენთან ვარო და ბოკერიას მართლა უთენია დაადგა თავზე. მიწურის საძრომში შეფეთებულ, უაზროდ თვალებდაცეცებულ ამაღლობელზე იკითხა: „ამ შენს გმირ ადიუტანტს რა სჭირსო?!“ მაგრამ პასუხისთვის არ დაუცდია, პოლკის მეთაურს ორივე ხელი მაგრად ჩამოართვა და ერთხანს ასე ეჭირა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, არც რაცია გვექნება და არც... თუნდაც, მცირე კალიბრის ნაღმსატყორცნები.

— ეს ცუდია... — დაჯდა, მოქცეული ღრანჭი პეშვში მოიქცია, — ცუდია, ცუდია, ცუდია!.. შენ ამ ჭაობების მიღმა, ტყისპირზე გადიხარ და საფრდები...

— კი. ტყეში და ნასოფლარში.

— ჩვენ შორიდან ვერაფერს დავინახავთ, რა გიჭირს და რა გილხინს.

— სანამ გარღვევა არ დამთავრდება და აქედან ღრმად არ შემოიჭრებით, ჩვენ ერთმანეთისას ვერაფერს გავიგებთ.

— ვერაფერს, ვერაფერს, ვერაფერს... ესეც ცუდია...

— მე, მანამდე, ფლანგიდან შემოვალ და ზურგში მოვექცევი...

— მაგრამ არც ის იქნება, არტილერიამ ან ავიაციამ იმ ზონაში, სადაც ჩვენ ვიქნებით მტრის მყუდროება არ დაარღვიოს. მოწინააღმდეგემ არაფერი იაზროს, მთელი დღე დაბზუილობდნენ გუშინ „ჩარჩოები". წუხელ მათმა მზვერავებმა საზღვარი ორჯერ დაარღვიეს. არავინ გავატანეთ, მაგრამ ვერც იმათი ჩავიგდეთ ხელში.

— რა თქმა უნდა, შუბი ხალთაში არ დაიმალება. რა თქმა უნდა... — ნერვიულობდა ქდანეცი, მოქცეულ ღრანჭს ძალუმად ისრესდა, თითქოს გასწორებას უპირებდა.

— ვითომ დესანტის გადასხმისა არაფერი?..

— თვითმფრინავები სალამოს გამოჩნდნენ ჭაობის თავზე, მაგრამ არ ვიცი... არ ვიცი ვერაფერი გაარჩიეს, თუ — ვერ დაიჯერეს...

— ეს, რაც თქვენ გააკეთეთ, იმათ ჯერ არ გაუგონიათ. მე აქაური კაცი ვარ და — არც მე.ადამიანს ჭაობის თანდაყოლილი შიში აქვს... — მაშინვე გარეთ გამოიჭრა, ზურგს უკან ხელი დაიქნია: მომყევიო, და ძელმიწურს მოურბინა, მიწაყრილის თავზე დადგა. დილის სუსხს იმდენი ექნა, თხელი, მოთბო თრთვილი მაინც დაედო. გაცრეცილ ღრუბლებს, ალბათ, მზე გაფანტავდა. ამინდს, ვითომ, საავდრო პირი არ უჩანდა.

— როგორმე ცეცხლი უნდა აგარიდოთ და თქვენთვის დერეფანი დავტოვოთ... მაგრამ მტერი უკან დაიხევს თუ წინ წამოვა?..

— წინ რა უნდა, კაცო! — ისე შეუყვირა ბოკერიამ, თითქოს თავის ხელქვეითებს ელაპარაკებოდა.

— მაგრამ აქ, ამ ჩვენს პოზიციაში, მათი ტანკები ხომ უნდა შემოუშვათ?

— ტანკები უნდა შემოვუშვათ... მაგრამ ეს მანევრია, ამხანაგო პოლკოვნიკო. ჯავშნოსნებთან ბრძოლა რომ გაგვიადვილდეს. გვერდიდან რომ დავარტყათ.

— მაგრამ, ამიტომ უნდა დავიხიოთ...

— არა, პანიკა და არევ-დარევა არ მოხდება, ჩვენებს ეცოდინებათ, რომ შემოვიტყუეთ. პოზიცია კი არ გაარღვიეს — ჩვენ შემოვუშვით... და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები თავის საქმეს გააკეთებენ...

— კარგი, კარგი, კარგი! ეს ხომ ვიცით... ახლა ეს ვთქვათ, მოწინააღმდეგის ზურგში, შენს შემოსასვლელ ზოლში ცეცხლი როგორ აგარიდოთ...

— ის დრო აღარაა, ამხანაგო პოლკოვნიკო, მტერი მხოლოდ წინა ხაზს რომ ამაგრებდა ეპიზოდური შეტევების მოსაგერიებლად. ახლა ყოველი შემაღლება, ხრამი და ლარტაფი მიუვალ სიმაგრედ აქვს ქცეული და არა ერთი და ორი „წინა ხაზი" აქვს. ერთს რომ დათმობს, მეორეს არ დაგანებებს.

— ამიტომაა თქვენი ზურგიდან შემოჭრა დიდი იმედი. ამხანაგო მაიორო, გახსოვდეს, ეს გარღვევა მთელი ფრონტის ბედს სწყვეტს. არმიის სარდლობამ ყველაფერი კარგად იცის და ყველაფერს გააკეთებს...

— წინა პოზიციების დაბომბვის შემდეგ ცეცხლი რომ სიღრმეში გადაინაცვლებს, მე, ჩემი ბიჭებით, იმათი მეორე ეშელონის ზურგში ვიქნები. და მანამდე ავილებთ, სანამ თქვენ წინა ხაზს გაარღვევდეთ. აქედან უკუგდებული გამაგრებას, შევსებას ვერ მიიღებს და რომ აიშლება, დასახევი გზა გადალობილი ექნება, ორ ცეცხლს შუა მოვიმწყვდევთ.

— კი... კი. კი... ასე იქნება! — ხელები ასწია ქდანეცმა და ღიმილისაგან ისედაც მოქცეული ღრანჭი სულ დაემანჭა და სანამ შეტრიალდებოდა, ისევ ორივე ხელი ჩამოართვა...

„მიმართლებს... — ეამა ბოკერიას, — მეთაურები ყოველთვის კარგი მყავდა... — მაგრამ სიმწრისაგან მაშინვე

შუბლი დაელარა. — მე რომ მიმართლებს“...

XVII

მეორე დღეს, უკვე გაძლიერებული ასეულის გადასხმა იმდენად გაჭირდა და იმდენად საფაციფუცო გახდა, ორი ჯარისკაცი ჭაობმა მაინც ჩაითრია.

ერთი, მეოთხე ოცეულის გასაცოდავებული ბიჭი იყო — ძუძუნაწყვეტი კრავივით თვინიერი და მაჩანჩალა, მაგრამ თავისი წილის არდამთბობი; სუსტი, მშიშარა და მაინც თავისნათქვამა. სანგრებში ავტომატის თრევა უჭირდა (მიშზე მუხლები უკანკალებდა) და ჭაობზე ხელის ტყვიამფრქვევის გადათრევა ეტვირთა (ალბათ ბიჭებმა დასცინეს), შუა გზამდე ვერ მიაღწია, მძიმე იარაღიანად უფსკრულს ჩაეთრია.

გალმაგაღწეულ ასმეთაურ ბოდროვს ეს ამბავი მაშინ გაეგო, როცა მეორე ოცეულის მწითური ათმეთაური, უკვე თვალსაწიერზე მოახლოებული, საფლობში ჩაუვარდა. ბოდროვი წინა დღით გამოსულ „პარტიზანებს“ სცემია — მიშველეთო. იმათ კი იცოდნენ, კაციჭამია ჭენჭყო რომ უკან არავის აბრუნებს, მაგრამ ფრონტზე მეთაური ბრძანებას ერთხელ იძლევა. მსხვერპლს ხაჩიძის ბიჭები ჩაშველებოდნენ, რაკი ზუსტად იცოდნენ სად ჩაიძირა, და ნაპირიდანაც შორს არ იყო — ჭოკით ეპოვნათ. კუპრის ტბორში ჭრელი გველივით მოსანსალე ანტიპი სიღრმეში კეტს ჩაჰყოლია, რომელსაც მორზე გადამჯდარი ბრეხო ზემოდან იჭერდა. ამოლუფხული რვაფეხა ურჩხულივით ამოუთრევიათ წყალმცენარეებით გადახლართული მკვდარი და ცოცხალი. ერთმანეთისაგან ძლივს დაუშორებიათ — ანტიპისთვის სული მაშინვე ჩაუბრუნებიათ, მაგრამ მეორეს ჩაძირვისთანავე გული გახეთქოდა. ბოდროვს რომ თავში ხელი წაუშენია, ისიც მოუხსენებიათ: ამაზე ადრე, შუა გზაში, ტყვიამფრქვევი და ჯარისკაცი დავკარგეთო.

ავთანდილი თვითონაც ჭაობის შავ ხახაში ჩავარდა და უკვე [illegible]ულ მორებზე პოტინითა [illegible]ნამ შებინდებისას როგორღაც არ გააღწია, მანამდე არაფერი იცოდა. ხავსსა და ლაქაშებში ამოწურული წუმპით განბანილი მიცვალებული ტყისპირში, დამპალ ნეშოზე და წიწვზე დაესვენებინათ. შავი ლაფით დალუმპული თავისივე მაზარა წაეხურათ. თავთან ჩაჩოქილ, ამოლუფხულ ასმეთაურს სიცხისაგან ოხშივარი ასდიოდა, პოლკის მეთაურს ხელებში აცახცახებული შეჰყურებდა — შუბლში ტყვიას მესვრისო, ეგონა. მეორე ჯარისკაცის დალუპვა ცეცხლს ჩაშტერებული, კრიჭაშეკრული პოლკის მეთაურისთვის იმ ღამეს არ უთქვამთ.

ტყეში ჯგუფ-ჯგუფად მიმოფანტული ჯარისკაცებიც უენოდ „საუბრობდნენ“ და აკეთებდნენ იმას, რასაც სხვა დროს განკარგულებები და ჩოჩქოლი სჭირდებოდა. თითქოს, ბრძოლის დროს დახოცილები „ჩვეულებრივია“ და ვერ იგლოვებ. იქ, ვითომ მოსახდენი — „კანონიერი“ ხდება. ხვალ უთენია შეტევა დაიწყება და ამ შეტევისწინა მზადებით ფეხათრეული სიკვდილი სიცოცხლეს ისევ ჩალის ფასად გახდის. ამ ჭენჭყოიან არყნარში, მდელოზე, ნოტიო სამარეში დამარხულის ბედს უმრავლესობა გაიზიარებს. იციან ეს, მაგრამ ბრმა ტყვია რომ კაცს იმსხვერპლებს, ხელყუმბარა აუფეთქდება, ჭაობი ჩაყლაპავს თუ ხევში ჩაიჩეხება — მაინც სადარდებელი ხდება, თითქოს ზღვას უნდა დაეხრჩო და არა ცვარს.

ნაშუაღამევს, ვითომ შეშრობა და შეთბობა რომ მოასწრეს, ცივი წვიმა წამოვიდა და უკვე დანაკვერჩხლებული ცეცხლი ჩააქრო, მაგრამ მანამდე ჭირისუფლის ფეხზე წათვლემა მოასწრეს. ტყისპირა ნასოფლარი ხაჩიძის მზვერავებს ფეხდაფეხ ჰქონდათ დავლილი და სად რა სორო და ხვრელი იყო, იცოდნენ. ვინც დარბეულ ქოხმახებში უნდა ჩასაფრებულიყო, სჯობდა, ალიონს იქ დალოდებოდა.

გამთენიის ხანს ზამთარმა თითქოს

ფეხმოდგმულ გაზაფხულზე მოიქნია კუდი და წვიმაში უფერული, ცრიატი, წვრილი ფიფქები შეურია. რიყრაყზე ცერის სიფართე ფანტელებიც წამოუშინა, მაგრამ წინა დღეებში მაინც გულშემთბარმა და წყლით მაძღარმა ნიადაგმა თოვლი აღარ წაიკარა. თოვდა, მაგრამ მხოლოდ მიწამდე თოვდა. ქვევით ისევ ტალახი და ტალახისფერი იყო.

სოფელი, როგორც არ უნდა დაიქცეს, თითო-ოროლა უფანჯრო ქოხი მაინც ფეხზე დგას და თუ მთლად ცეცხლი არ წაეკიდა — სახურავსაც შეირჩენს.

კარები, ალბათ, ჩაქცეულ-ჩახერგილი იყო, რაკი მზვერავებმა ბოკერია ჩარჩოებჩალეწილ ფანჯარასთან მიაცილეს. შიგნით რომ ჩახტა, სოხანე მშრალი იყო. იქვე, დაბალ მაგიდას წამოედო და ზედ ჩამოჯდა. ასმეთაურმა, რომელიც კვალში მოსდევდა გარეთ, კედელთან, ლაფაროში ჩაიმუხლა.

რიბირაბოში, პირველი ჭურვი რომ გასკდა და ცისა და მიწის ცეცხლის წამკიდებელი ათასი ჯურის მრისხანე იარაღი აგრიალდა, ტყისპირას და ნასოფლარში უკვე ისე ბარდნიდა, ოც მეტრში თვალს ვერ გაატანდი. შემთბარი მიწა ხშირი ფიფქების მონელებას ვერ ასწრებდა, ისე რუხ-თეთრად იბრძოდნენ ზამთარი და გაზაფხული.

ოდნავ შემაღლებულ, გრძელი ზეგნებს გადაღმა (ახლა რომ ლარაფერი ჩანდა), იცოდნენ, ხევი თუ ფლატე იყო, მაგრამ ამ ბუნებრივ ჩადაბლებაამაღლებას მოწინააღმდეგე უსათუოდ გამოიყენებდა თავდაცვითი ზღუდეების გასამაგრებლად. ამდენად, იქ ჩასვლა და იმ პირმოროლვეული ხევის საფარად გამოყენება არ მოხერხდებოდა. თავიანთი არტილერია იქიდან სადამდეც უშენდა — ჭურვების გავლებულ ზოლს უნდა გაჰყოლოდნენ: თოვლი, აფეთქებების ცეცხლი, კვამლი, ბოლი და ამოროლვეული მიწის მტვერი ესაფრით და წინ ისე გაჭრილიყვნენ. მაშინვე აყეფდა იქვე, ნასოფლარის მიღმა, გერმანელთა არტილერიაც. ისეთი ცოდვის განუკითხაობა დატრიალდა, მტერი კი არა, მოყვარეს რომ მიწვეული ჰყოლოდი — ის ვერ გიცნობდა [illegible] მაინც წინ წასულ ან უკან დახეულ [illegible]მე დაჯგუფებას, ქვედანაყოფს გადაეყრებოდნენ და შეტაკება მოუხდებოდათ, აქ ავტომატის ტკაცანი და ხელის ტყვიამფრქვევის კაკანი ისე არავის გააკვირვებდა, როგორც გრიგალში — ფიჩხის გატეხვა.

ბოკერიას მებრძოლები სიღრმეში შეჭრისთანავე, თავისიანებისკენ პირმიქცეულნი, ოცეულებად უნდა გამწკრივებულიყვნენ; უკან ბოდროვის ასეული გამოებმებოდათ და კარგა გრძელ, ორმაგ შარას გაშლიდნენ. ბოდროვს მტრის ზურგში ზურგი უნდა შეექმნა და მოსალოდნელი ადგილობრივი თავდასხმები მოეგერიებინა, თუ გერმანელები, ამ ქვეყნის ჩამოქცევაში, თავისიანებიდან გამოარჩევდნენ.

თოვლს მიწაზე ფეხის მოკიდება უჭირდა, თორემ მაზარებზე ნოტიო ფანტელები მძიმედ ასხდებოდნენ და ეკვროდნენ. ამდენად, შენსას და სხვისას ერთბაშად ვერ გამოიცნობდი.

ფრონტის ხაზის გასწვრივ. — რასაც გასწვდებოდნენ — უნდა გაწელილიყვნენ და თავიანთი არტილერიის ცეცხლი თუ, სულ ცოტა, ასი-ორასი მეტრით გადაიწევდა — ორივე ხაზი შარით მტრის ზურგიდან თავისიანებისკენ დაძრულიყო და შეეტია. იქიდან შევიწროვებულ და აქეთ, თავისი ზურგის მოიმედე გერმანელებს, ასეთ წარღვნაში, ვერც უნდა გაერჩიათ უკანიდანაც მტერი უშენდა თუ მოყვარე. წინა რიგები რომ შეუთხელდებოდა, ახალ ცოცხალ ძალას მიაშველებდნენ, რომელიც ბასოვს უნდა მოეგერიებინა, რომ მტერს გამაგრება არ მიელო. ორმხრივი იერიში მოწინააღმდეგეს მალე გატეხავდა, მაგრამ მერე იქიდან დაძრული შენიანების უნდა გშინებოდა, რომ მტერს გადარჩენილი მოყვარეს არ ამოეწყვიტე. ტანკები წინ იქნებოდნენ წაწეული, ფრონტის ხაზთან განლაგებული, მაგრამ თუ კიდევ რაიმე დამატებით ტექნიკას გადმოისროდნენ, უნდა გაეტარებინათ და, რაც ჯავშან-

გამტანი თოფები გააჩნდათ — ზურგში დაეშინათ.

წინ გასწრებული ოცმეთაური ჰასანზადე მოვარდა წელში წახრილი. ახლაც, ამ მტრის ხახაში მოქცეულმაც მოახერხა ღიმილით მოეხსენებინა:

— ამხანაგო მაიორო!.. — უცებ ენას კბილი დააჭირა და ისევ გაიღიმა.

— გაგიჟდი, შე შობელძაღლო?! — რა აცინებსო, გაღაირია ბოკერია.

— იქ მიწურები უნდა იყოს, ამხანაგო პოლკის მეთაურო, ბორცვებიდან კვამლი ამოდის...

— ახლა აქ კვამლი და ცეცხლი საძებარია?!

— საკვამურებია, იოლდაშ... ამხანაგო მაიორო! — ახსნა და ისევ ღიმილი მოინდომა.

„მინდლეჩი ვერ გაიგებ: ამას როდის ეშინია, როდის წყინს და როდის უხარია".

— შენი ბიჭები იქ არიან?

— მიწას ჰამენ...

— აქ დარჩი, ჩემ ადგილზე და, როგორც კი ცეცხლი ზურგში გაიწევა, მერე მომყევი; ორივე მხარეზე იცქირე, არავინ ჩამოგრჩეს და არავის გაუსწრო!

— ეგ არ იცის ჰასანზადემ?!.

— არ ვიცი, რა იცის ჰასანზადემ!.. — წახრილი გავარდა, არტილერიის ჭურვებით ამორღვეულ ძაბრებს ჩაურბინა და მალე, მართლაც მიწისმჭამელებივით, თოვლ-შვლაპში გართხმულ ჯარისკაცებს კინაღამ წიხლით შეადგა. იქვე ჩაიჩოქა. ხელოვნური ბორცვების თავზე, სადაც ჯერ ბომბი არ დაცემულიყო, მართლა, წყალდასხმული ცეცხლი რომ ახრჩოლებდა, ისეთი კვამლი ამოდიოდა.

— ბიჭებო, მომყევით! — იჯლავლა ბოკერიამ და ისევ გაიქცა. ჩექმებზე აყოლილ ტალახს წელში წახრილ, ადევნებულ მებრძოლებს სახეში აყრიდა. ახლოს რომ მიეჭრა, მაშინ შეამჩნია — მიწურის საკვამლე მილთან, მიწაყრილის წინ, ტელესკოპს თავი გველივით ამოეყო, მაგრამ ამ თოვლსა და დელგმაში, ეტყობოდა, ვერაფერს ხედავდა, რაკი უძრავად გაშეშებული [illegible]

მიწურს მარჯვნიდან [illegible]ტილი საძრომთან მისასვლელი ბილიკი, რაშიც მუზარადზე თოვლდადებული, მობუნძლული გერმანელები ჩაყუნცულიყვნენ. ალბათ, საარტილერიო ცეცხლის მათ თავზე გადმოტანას ყოველ წამს ელოდნენ და იდაყვებში ამოჩრილი ავტომატები უკანკალებდათ.

ბოკერიამ შეჩერება ძლივს მოასწრო, რომ თავისი მებრძოლები აქეთ-იქიდან მოაცვივდნენ და ავტომატები თხრილში ჩაცალეს. მუგუზალივით შავმა სერჟანტმა, ავთანდილი რომ ჩახტომას აპირებდა, ხელი ჰკრა და წააქცია. თვითონ ჩავარდა, მეავტომატეებიც ჩაიყოლა და მიწურის კარები შეგლიჯეს.

„ახლა აქ არავინ დაგნებდება, იციან, ფრონტი შორსაა და ხელჩართული ბრძოლა ატყდება, — გაიფიქრა და ტალახში ამოთხვრილმა წამოიჩოქა, — „იმ სერჟანტს მე „ისეთი" ვინმე ვგონივარ, ან, მეთაურები რომ ჯარს წინ უძღოდნენ, ის დრო აღარააო"... — იშვირა ფეხი და თვითონაც ქვევით ჩახტა, მაგრამ მიწურში ავტომატები ტკაცანებდნენ და ის, ბოშასავით შავი ბიჭი, კარში შემოეფეთა.

— კაპუტ! ამხანაგო მაიორო! — მოახსენა და თვალი ჩაუკრა: „წელან რომ ხელი გკარი და წაგაქციე, ვიცოდი ვინც იყავი — გიფრთხილდებოდი"-ო.

— არავინ გკითხავს, ვირიშვილო! — შეუბღვირა და მიწურში მაინც შეიხედა.

მეავტომატეები მაგიდაზე მიმობნეულ საუზმის ნარჩენებს უბეში იყრიდნენ, იქვე დამხობილ გერმანელს ხელში შეციებული „შნაპსი" გამოგლიჯეს და გარეთ გაცვივდნენ. ორი ოფიცერი მაგიდის ქვეშ ეგდო, მესამეს ლუმელი წაექცია და ზედ აწვა. კვამლის, დენთისა და არყის მახრჩობელა სუნი იდგა. აქ სავსე ბოთლს რომ გახსნი და პირზე მოიყუდებ, არავინ იცის ბოლომდე ვინ გამოცლის, პაპიროსს რომ მოუკიდებ — ვინ მოწევს.

გამობრუნდა, რომ მოთარეშე, თავში

სისხლავარდნილ ბიჭებს გაჰყოლოდა. ახლომახლო ისევ მიწური უნდა ყოფილიყო. არტილერიას ცეცხლი მათ თავზე გადაჰქონდა და სანამ დარბეულ „დამუშავებულ“ ზოლში აფეთქებების კვამლი და მტვერი ფუთფუთებდა, ამ თვალგაუღწეველში წინსვლა სჯობდა.

როცა ომის მანქანა მთლიანად ამუშავდება და ყველა ჯურის იარაღი ბრძოლაში ებმება: გასროლის, ნგრევის, მსხვრევის, ცისა და მიწის განმგმირავი გუგუნ-ზანზარი იმ დროს სიკვდილის შიშს გავიწყებს, გთიშავს, იარაღად გაქცევს.

უწყვეტ ნაკადად ზიოდა „კატიუშების“ ჯგროდ ნატყორცნი ჭურვები და მეორე გამოტყორცნამდე, თვითმფრინავების გრუხუნში და ბომბების სტვენა-გნიასში, იმდენი ქვემეხი და ზარბაზანი ასწრებდა დაყეფებას, მხოლოდ ავთანდილის მახვილ სმენას თუ შეეძლო, ზოგჯერ მაინც, თავისიანების ავტომატების ტკაცანი გამოერჩია.

გულამოგლეჯილი, დაფლეთილი მიწა გმინვით იწვოდა, იძროდა, ხრუკის კვამლში ინავლებოდა. ყოველი ფეხის ნაბიჯზე ორმოებად იყო ამორღვეული და ბელტითა და გოროხით მოფარული. გიზგიზებდა, ირუჯებოდა, ხრჩოლავდა: მორი, ჩირგვი, ბალახი, ქვა, რკინა, რეზინი, საწვავი, საპოხი, ტყე, ნაყანევი, სოფელი, ნასოფლარი, რისი დაფერფვლაც შეიძლებოდა და რაც საერთოდ არ იწვოდა.

სანამ მტერი თვალდათხრილი და დაყრუებული იყო, უნდა მოგესწრო და გერბინა ტანკების, ჯავშნოსნების, საწევრების, ქვემეხების მუხლუხოების და საბურავების გადანაჯგეზე. რაც ქვეშ მოჰყოლოდათ, — სულიერი და უსული — ყველაფერი რომ ჩაესრისათ და ჩაეჭიხნათ, ფერფლი და ნანგრევი აემტუტებინათ, მკვდარი დაეფლითათ, სანგარი ჩაენგრიათ, მიწურები ჩაექციათ და ვისაც ტყვია აცდენოდა, — ცოცხლად დაესამარებინათ.

— დაწექით! დაწექით, თქვენი პატრონის ქვეყანა! — იკივლა ბოკერიამ, როცა ცეცხლმა და კვამლმა ტყვიები გამოცრა და ხელმარჯვნივ, გაწრფობული მეავტომატე ჯარისკ[illegible]ლმა დაეცა. მალე, ალბათ, მტრის სანგარს გადააწყდებოდნენ და სახელდახელოდ უნდა აელოთ, რომ იქიდან დაძრული თავიანთი პოლკისთვის გზა გაეხსნათ. მოიერიშეებს რომ ეს ზღუდეები მაშინვე ვერ გაერღვიათ, ნაღმსატყორცნებს დაუშენდნენ და მერე შიგ შეჭრას აზრი არ ჰქონდა — მტერს რომ გადარჩენოდნენ, თავისიანების ნაღმების წერა გახდებოდნენ. ის მეავტომატეც, კაცმა არ იცის, ვისი ხელით დაიღუპა.

ავთანდილმა ამ ზათქსა და ქუფრში ძლივს დალანდა — წინ ჯავშნოსანი იწვოდა. როცა მიუახლოვდა, საწვავისა და რეზინის სქელი, კვამლიანი ალის კუპრში ისევ ვერაფერი გაარჩია. დაოთხილმა ისე ახლოს ჩაუარა, კინაღამ ცეცხლი წაედო. სწრაფად გაცდა და ჩაემხო. ორივე მხარეზე ავტომატების ტკაცანი გაიგონა და მიწაზე გართხმულ კვამლში თვალი რომ გაატანა, სანგარი გაარჩია. ჯავშნოსნის ასე ახლოს აფეთქებასა და აგიზგიზებას ჩასანგრებულნი დაეფრთხო, წინ არავინ ჩანდა. გახოხდა, შიგ გადაყირავდა და ჩამოშლილ ორმოში წამოიჩოქა. თხრილის თავს ცეცხლწაკიდებული ჯავშნოსნის მოფუთფუთე, ლაგაზი წითელი ენა ლოკავდა, მაგრამ მებრძოლები მაინც ფეხდაფეხ მოჰყვნენ და მარჯვნივ სანგრებში ჩამოცვივდნენ. დაოთხილი ბოკერია წამოიწია, ორმოს საპირისპირო, მარცხენა მხარეზე გადაინაცვლა. წამწამები შერუჯვოდა და ქუთუთოები ეწვოდა. სანამ მუშტით თვალების მოფშვნეტას მოასწრებდა, ჩამოშვავებული სანგრის კედელზე მიმხობილ გერმანელის ჩექმებს მიაწყდა. დამხვდურს ლულა ფეხებში შემომძვრალისთვის დაეღერებინა, მაგრამ მტერს იგი წინიდან ელოდა და მის ლაჯებში ცეცხლმა გადმოისროლა თუ მიწიდან ამოძვრა — ვერაფერი გაეგო, დაბნეულს იარაღისთვის ჩახმახის გამოშლა ვერ მოეწამებინა.

არაფერი უფიქრია, თვალისდახამხამებაში ჩექმებში თავი გაჰყო, მკლავებით ყბებზე მიისრისა, წამოვარდა და

ასწია, კაცი თავზე გადაიგდო, მაგრამ თვითონაც გადაჰყვა. ზურგს უკან გასროლილმა ავტომატმა აიძულა თავი გერმანელის ლაჯებიდან ამოეგლიჯა, მარწუხებივით რომ უჭერდა. ქუდი ქუდად და ყურებიც თან გაატანა, ეგონა. გერმანელმა, რაკი დამიზნება ვერ მოახერხა, მუხლებიდან თავწართმეულს კონდახის ჩარტყმა მოუნდომა. შემართული იარაღის დაშვებამდე მსხვერპლი წამოხტომას ვერ მოასწრებდა, მაგრამ გულზე დაემხო, და კონდახი ზურგზე დაეცა. ხერხემალი ჩაემტვრა, ეგონა, მაგრამ იმის შიშით, მომინაცვლებს და გამათავებსო, — ხელახლა დარტყმამდე — მოასწრო ქვეშმოქცეულის მკერდზე წაჩოჩება. კვინიხი ნიკაპში აძგერა და მიწიდან თავწამოწეული ისევ მიწას გააკრა. მეორე დარტყმა წელანდელ ჩამტვრეულ მალებს ასცდა, უფრო ქვევით, კუდუსუნის ძვალთან იგრძნო, მაგრამ ეს, პირვანდელთან შედარებით, უმტკივნეულო მოეჩვენა. გერმანელს იარაღი მესამედ აღარ აღუმართავს, აზრდაბნეულმა ხელი წელზე იტაცა, სადაც დანა ეგულებოდა, მაგრამ მოძალადემ მარჯვენა მარცხენათი მიწაზე დაუკრა, დააწვა და გაწყვეტილი წელი წამოსწია. დახრჩობა მოუნდომა, მაგრამ ამას ორივე ხელი სჭირდებოდა. მარჯვენათი მაინც სწვდა, მაგრამ განწირულმა მარცხენა მაჯაში უტაცა და მკლავი ჰაერში გაუჩერა, ავთანდილმა სახეში შუბლი დაარტყა. გერმანელს ბეჭები ჩამონაშვავ ბელტებზე და გოროხებზე ედო და ცხვირპირიდან სისხლწახეთქილს თავი ქვევით რომ გადაუვარდა, ყელში მაღალი ხვანჩი ცერა თითივით ამოუხტა. დაძაგრულმა, როგორღაც ნიკაპი მაინც მკერდზე დაიბჯინა, თითქოს იაზრა — ყრონტში არ მწვდესო. ბოკერიამ მარჯვენა ვერ წაართვა, მაგრამ გვერდზე გადააწვინა და დამანჭულ-დორბლმომდგარს შუბლი ისევ ცხვირ-პირში ჩასცა. გერმანელმა მოასწრო და კბილებით ეცა, ნახევარი წარბი მოაჭამა, თავი გადაუვარდა და ცერის სიმსხო ხვანჩი კვლავ ამოუხტა...

კბილებში ხორხის შემზარავმა ტკაცუნმა ბოკერიას ყბა [illegible]გამოჭმულის ხროტინმა [illegible]ხზე დააყენა. წითლად შეღებილ მეთაურს ბედად ის ავტომატშემართული სერჟანტი წამოდგომოდა, მიწაზე აფართხალებულს ტყვია დააყარა და ზეზეურად გახევებულ მაიორს ისევ მხარი ჰკრა, სანგარში ჩაკეცა. წინიდან ტანკები უახლოვდებოდნენ, რომელთაც ფრთებში შეფარებული მათი პოლკის მოიერიშე მებრძოლები მოსდევდნენ.

XVIII

საღამომდე მტერმა იმდენზე დაიხია, რომ იქამდე, სადაც დილით ბრძოლა დაიწყო, ზარბაზნების ქუხილი ძლივს აღწევდა. გაპარტახებულ ქვეყანას სანბატი დაეპატრონა და ნახევარ წარბმოჭმული, წელგათრეული პოლკის მეთაური საკაცით თავისივე საკომანდო მიწურში გადაიყვანეს.

სისხლით მორწყულ სანიტარულ მანქანებს ხელფეხდაწყვეტილი, გულმუცელჩანგრეული, ყბამოგლეჯილი და თვალებდათხრილი თუ დაყრუებულ-დადამბლავებულ-დამწვარი მომაკვდავები გადაჰყავდათ. მიწურიც დაჭრილებითა და დახოცილებით ამოევსოთ. პოლკის მეთაური, სისხლიანი საკაციდან თავისივე ფიცრულ მაგიდაზე — მედიკამენტები გადახვეტეს და — გულაღმა დააწვინეს, აქაურ სანინსტრუქტორებს გადააბარეს.

თავის თავშესაფარს დაუბრუნდა? წელგაწყვეტილი, წარბმოჭმული და ნერვებდაგლეჯილი, კაცის ხორცნაჭამი კიდევ გადარჩა?.. თუ დაღუპული კიდევ ერთხელ დაიღუპა... კარგი ქნეს, რომ თავის მიწურში დააბრუნეს. ამას იქით თრევა და წვალება აღარც უნდა. აქ მამუკა მაინც იქნება, დივიზიის მეთაურმა რომ დაიტოვა: — ამისი, ბრძოლა კი არა, ჯარში დატოვება ვინ გაბედაო? — გაგიჟდა ქდანეცი. შეტევის ციებ-ცხელება რომ არა, მაშინვე ზურგში გადაგზავნა დაუპირა. — ოპერა-

ცის დამთავრებამდე მიწურიდან ფეხი არ გაადგასო!..

...და მამუკაა, ახლა რომ ავთანდილს თავზე აცხრება?.. თუ, ღმერთო, ძლიერო და სასწაულმოქმედო!.. ვარია კუდრიაშოვა?!

რა თქმა უნდა, ის ცალი, აუხვეველი თვალიც არ გაუხელია, მაგრამ ისეთი ცხელი ცრემლებით, ლაწვებსა და გადაქლექილ ყელ-კისერს რომ უწვავდა და უმდუღრავდა, ქვეყნად მისი დამტირებელი სხვა ვინ უნდა ყოფილიყო.

მამუკაც?!.

მამუკაა.. ახვეულ ყურთან რომ ფლიქვინებს!

მამუკაც და ვარიაც?..

„დივიზიის მეთაური, როცა შეტევა წარმატებით განვითარდა და ბუდეაშლილი მტერი დაძრეს, აქ ვერ დაჯდებოდა, მაგრამ პოლკის მეთაურის შეშლილი ადიუტანტი აქვე დაუტოვებია!.. თუ ომში რაიმე უნდა ინატრო — კარგი მეთაური!

ავთანდილს, უკვე, შინდაბრუნებულ ომგადახდილსავით, აღარაფერი უნდოდა: აღარც წარსული და აღარც მომავალი, აღარც სიზმარი და აღარც სინამდვილე, არც ძილი და ღვიძილი... თუ... ძილი, მხოლოდ ძილი... ან რა ჰქვია იმას, რომ არაფრის გაგონება არ ძალგიძს და არ ისმენ. აღარც მოჭმული წარბი გაწუხებს და, რაკი არ ინძრევი, არც — წელი. არ გშია და გწყურია, არ გცივა და გცხელა. აღარც მტერი გყავს... აქაური დაჭრილ-დაჩეხილების გმინვა და გოდებაც ხელს არ გიშლის შენიანებთან, შენს საყვარელ ადამიანებთან, ერთგულებთან, პატრონთან, მოყვასთან დაბრუნებულს...

მადლობა ღმერთს, უკვე აღარც მეთაური იყო და აღარც ჯარისკაცი... უსულგულო, უვნებო, უდრტვინველი... თავზე ევლებოდნენ, კოცნიდნენ, ცხელი ცრემლით ბანდნენ: დანაწვავს, რუჯს, კვამლს, ჭაობის ლეყერტს, ლაფს, თავისას და ყელგამოჭმულ გერმანელის სისხლს...

და ყველაფერი მრუმე, სქელ, თვალგაულწეველ ნისლში ეხვევა... [illegible]ხევადი ბინდი არსებობს?..

ძილი იყო ეს თუ მიძინება, უგრძნობლობა, ტანჯვა-სიამე, წამება-დავანება, გვემულის დანდობა, ჯვარცმულის გარდამოხსნა, თუ — დედა?..

დე-და?!.

დედა იყო ვარია? მამუკაც დედა იყო და ამდენი დაჭრილ-დასახიჩრებულიც? ეს მიწურიც და ზარბაზნების ქუხილიც?..

დედა იყო ყველაფერი, ყველაფრის ცვილად დნობა, დედად ქმნა... უკან დაბრუნება და დედად, საწყისად ქცევა.

. . . . . . . . . . . . . . .

„რა არის ეს უგრძნობლობა, დედა... დედა, ხომ უნდა გიგრძნო და მიხაროდეს, დედა?.. ან სიხარული მენატრებოდეს?“

„არ გიხარია, შენ სიხარული აღარ იცი, შვილო, და არ შეიძლება ინატრო ის, რასაც არ იცნობ“..

„აღარც შენ, დედა... არც შენ...“

„მე ისედაც შენთან ვარ და არ შეიძლება მოგენატროს, ვინც ყოველთვის შენთანაა...“

„შენ მაშინაც ჩემთან იყავი, როცა მე მე ვიყავი?..“

„მაშინ მე საწყისი ვიყავი“.

„ახლა, დედა!“

„ახლა საწყისიც მე ვარ და სასრულიც“.

„ამიტომ დაგიბრუნდი? ამიტომაა უკვე, ყველა გზა რომ შენკენ მოდის?“

„ფრინველი, რომელიც ვერ ფრენს, ბუდეში რჩება“.

„რატომ არ მოვაკვლევინე თავი იმ უბედურს და ფრჩხილითა და კბილით რატომ გამოვღადრე ყელი, დედა?“

„სიცოცხლე, შვილო, მაშინაც შეულეველია, როცა ჩალის ფასადაც არა ჰღირს. ეს ჩემსავით არავინ იცის...“

„აუწეველ ტვირთს, დედა, ზეცა რომ თავზე გენგრეოდეს — მარტოდმარტო რაფერ უნდა უდგე?“

„მარტოდმარტო, ვერავინ გიშველის, დედაც კი ვერაფერს გახდება“.

„და ამიტომ, დედა?! იმ ბედკრულის გადარჩენა ხომ უფრო სწორი იყო.

ეროვნული

იმას ხომ მაინც კაცი ერქვა... მე, ახლა, კაცის ხორცისმჭამელიც ვარ“.

„ისიც, შვილო. შენც და ისიც... მაგრამ ის მტერი იყო... მისგან გჭირს, რაც გჭირს და სიმართლე შენს მხარეზეა...“

„დედა! დედები ასე არ ლაპარაკობენ, მათ მტრობა არ იციან. შენ, მამაჩემის მკვლელებზე სიტყვა არ დაგცდენია, გეშინოდა, შურისძიება გულში არ ჩამედო...“

„შურისძიებაც ბოროტებაა, შვილო, სიკეთე ძიობს შურს ბოროტებაზე“.

„მერე, მე სიკეთე ჩავიდინე?“

„სიკეთე“.

„ადამიანი შესაჭმელად გავწირე!..“

„კაცის ყოველდღე სასიკვდილოდ გამწირველი უნდა გაიწიროს... იგი მზის საყურებლად ვერ ივლის — ცოდვაა“.

„მაშინ, მამაჩემის მკვლელები?..“

„ისინი რა მკვლელებია, ლაჩრები! მამაშენი ხრამში მიპარვით გადაჩეხეს. ისიც არ ეგონათ, თუ მოჰკლავდნენ. მამანტი მათ მიწას, სახლს, ცხენს, ხარსა და ცოლს ართმევდა — ეგონათ. მამაშენს კი არ მტრობდნენ, ვინც მათ გალატაკებას და ნამუსის ახდას უპირებდა — გზიდან ის ჩამოიშორეს, მის მიწას, მის ცხენსა და მის ცოლს ვინც ართმევდა... ეს ყველაფერი მათი ქვეყანაა...“

„ამასაც ხომ ეგონა, რომ თავისი ქვეყნის, ცოლ-შვილისა და თავის გადარჩენისთვის იბრძოდა“.

„არ შეიძლება თავისი ქვეყნისთვის ბელორუსიის ჭაობებში იბრძოდეს, არ შეიძლება — თავისი შვილებისთვის აქაურ ბავშვებს ჟლეტდეს, არ შეიძლება — ცოლის ნამუსის დასაცავად, კატაკომბებში თავის შესაფარებლად მივარდნილს გასაჭურისებდეს“.

„დედა, რომ მოვეკალი, ხომ მისთვისაც სჯობდა და ჩემთვისაც. თვითონაც გადარჩებოდა და მეც მიხსნიდა“.

„ჰო, შვილო, მაგრამ ეს შენ ჩაიდინე — გადაარჩინე და გადარჩი“.

„ვინც მოვკალი?“

„ისიც და შენი თავიც...“

„ჩემი თავი... ჩემი გადარჩენა შეიძლება?!.“

„ახლა კი არა, მაშინ, [illegible] კატაკომბებს უახლოვდებოდი და სანამ ის ნალმი აგიფეთქდებოდა, სანამ ვარიას სიყვარული შეგეძლო და მამუკაც შენზე უბედური იყო. მამაშენის მკვლელზე შურისძიებით მამაშენს ველარ გადაარჩენდი. იმით დამთავრდა მათი მკვლელობაც და კაცობაც. იმათზე მამაშენი ძიობდა ისედაც შურს, რომ კაცისმკვლელები იყვნენ. შენც რომ მათზე ხელი აღგემართა — უსამართლობას ჩაიდენდი. მაგრამ ვინც შენ კატაკომბებთან ნალმი ჩაგიდო, ის დღემდე დაუსჯელი დადიოდა. იმ ნალმს შენ სულაც რომ არ წამოდებოდი და, საერთოდ, არავინაც არ გაეკაწრა — ამისთანა რამ ვისაც თავში მოუვიდა, მარტო ამისთვის იყო კბილით ყელგამოსაჭრელი და არა დანით. ტყვია ხომ — არამია და არამი“.

„შური არ მიძიებია, დედა, მე კატაკომბებთან მომკლეს და მკვდარს ნაცვალგება არ შემეძლო“.

„არა, შვილო...“

„მე ხომ არ ვარსებობ, დედა, და არარსებული ვერც ცოდვას დაიდებს და ვერც მადლს მოისხამს“.

„ცოდვას ვერა, მაგრამ დღეს მადლი მოისხი, რაკი ის უბუდური ხვალ ან ამაღამვე ისევ ჩადებდა იმ ნალმს და შენ, ხვალ რომ მტერი გამოგენთებოდა და კატაკომბებს თავშესაფარებლად მიაშურებდი — ისევ აგიფეთქდებოდა, რა თქმა უნდა, მანამდე, სანამ დასაჭურისდებოდი და მზე დაგიბნელდებოდა“.

„ვერა, დედა... მე იქ დავიღუპე — კატაკომბებთან. მას აქეთია ცისიერი აღარ დამინახავს“.

„ჰო, შვილო, ადამიანი ერთხელ კვდება...“

„და უკვე ველარავის ველარ მოვაკვდინებდი...“

„არა, ის დღეს უნდა დაღუპულიყო, აღარ უნდა ეარსება, რომ მისი ჯიში და ჯილაგი არ მომრავლებულიყო... შენ კი არ მოჰკალი, გადაარჩინე და იხსენი

მისი შთამომავლობა... შენ დაასწარი, კატაკომბების შესასვლელში სანამ ნაღმს ჩაფლობდა და მანამ გამოჭამე ყელი, სანამ შენ ფეხებში აგიფეთქდებოდა..."

— დედა!

— ჰო, მშობლიურო... ძვირფასო, ჩემო! ჰო, სიხარულო, ჩემო! ერთადერთო! — და ეფრქვევა ცრემლებად: — განუმეორებელო, დაუვიწყარო, გაუმეტებელო, შეულეველო!..

„ისევ დედაა?.. არა, ვარიაა... დედაა?.. ვარიაა?.. უკვე სულ ერთია, მაგრამ მაინც, ვარია და არა დედა?.."

ავთანდილი გონმიხდილია თუ ისე სძინავს, კოშმარებსა და მოჩვენებებს ნებდება? მაგრამ — უარესის უარესი, მისი სხარტი, ნათელი გონება, მუდამ ცხადს რომ ხედავდა, ახლაც სინამდვილეს უცქერის. აწმყო, როგორი მძიმე და შავბნელიც არ უნდა ყოფილიყო, თვალს უსწორებდა და ყოველთვის პოულობდა საშველსა და სახსნელს. ახლაც, ამ ლუსკუმს ხედავს, რომელიც არასოდეს გათენდება და არასოდეს ნათელი არ ეღირსება? სადაც ვარიას მწვანე-ცისფერი თვალების შუქი ვერასოდეს შემოაღწევს?..

მაგრამ ის ვიღაა, ასევე წამებული და მშობელს უხმობს?.. ვარია? მამუკა?.. მამუკა, ჰო, რასაც სხვა აკეთებს — ისიც იმას იზამს, მაგრამ ის — „დედა, მიშველე, მიხსენიო!" — რომ გმინავს, სხვაა, სხვებია... აგერ ვარიაცაა, მამუკაც და იქვე, კიდევ მესამე და მეოთხე. აქეთაც, იქითაც... ყოველ კუთხე-კუნჭულში.- ვინაა ამდენი სასოწარკვეთილი, რომ, ხსნას ივედრება?..

დედა მარტო დედა არაა? ყველაფერია, რაც ამ ქვეყანასთან გაკავშირებს? რასაც სიცოცხლე ჰქვია? რასაც სული უდგას და მზეს უცქერის?..

კი... კი, კი, მაგრამ ავთანდილი რატომ... ავთანდილს ხომ აღარაფერი ესაქმება ქვეყანასთან და სიცოცხლესთან? მაშინ რატომ?.. დედა, დალუპულისთვისაც დედაა?.. ხომ ყველაფერს ერქვა თავისი სახელი, ან ამ ერთმა სიტყვამ ამდენი როგორ დაიტიოს?!.

. . . . . . . . . . . . . . . . .

ავთანდილი თავგაბეზრ[illegible]ყო დედის სიყვარულით... [illegible] გონარია, შეუძლებელი, მაგრამ გამონაკლისთა შორის გამონაკლისი... თურმე, უსაზღვროებასაც კი შეუძლია საზღვარი დაიდოს და თვით უკიდეგანობა — უსაშველობამ მოითხოვოს კიდეგანი და საშველ-სახსნელი. სიყვარულმა სიძულვილი შვას, ერთგულებამ — ღალატი...

დედის სიყვარულმა და ერთგულებამ?!

არა, არა და მაინც... ყველაფერმა ეჭვმიუტანელმა და უერთგულესმა... რისი გატეხვისაც არ გეშინია, შეიძლება ხელიდან უდიერად გააგდო. რაშიც არასოდეს არავინ შეგეცილება, ვერავინ წაგართმევს და, რომ მოინდომო, ვერც ვერავის მისცემ. რასაც ვერ გაჰყიდი, მასზე ფასის დადება გაგიჭირდება. თუ ყელამდე წყალში დგახარ, მწყურვალი რაა არ გეცოდინება.

— დედა!..

— აქა ვარ, მშობლიურო! აქა, მე უბედური...

— დედა — ვარია?..

— აგერ ვარ, ავთანდილ...

— მანდ ვინაა, ვისთან ხარ?..

— აგერ, მკლავმოგლეჯილი იცლება სისხლისგან... ყელში დაჭრილი იგუდებოდა და მივეშველე... აგერ... რა ეშველება, ამის გადაყვანაც არ შეიძლება! ჭრილობა გაეხსნება და დაიხრჩობა.

— ყელში, რატომ?..

— ჩემო... აბა, რას გაიგებ ტყვია ვის სად წამოეწევა.

— ტყვია?! ტყვიით?..

— ტყვიით, ხიშტით, ნამსხვრევით... რა ვიცი, რას გაიგებ...

— ტყვიით კარგია... ტყვიით რა უშავს...

— როგორ რა უშავს, მაგრამ... — ტირის. — ხელსაც ვერ გადაიბან, სახვევიც აღარაფერია... სანინსტრუქტორი მანქანას გაჰყვა... იქნებ რაიმე სახვევი ეშოვნა... — აყივლებული მოდის, სისხლის სუნიც კი არ აწლავს, ეტყობა ისეა გაჯერებული მიწური, ავთის

გაფაქიზებული ყნოსვაც დაუჩლუნგებია.

— ვილაც დედას რომ გაგინებს?..

— ეჰ, მომაკვდავია... სანბატში არ გადაჰყავთ... — ჩურჩულებს ვარია ყურთან და იმდულრება: — „დილამდე თუ გაატანს, მერე ვნახოთო“, მაგინებს, მეტი რაღა დარჩენია...

— მამუკა?..

— სძინავს. ვუთხარი, დაიძინე-თქო და სძინავს. დივიზიის მეთაურმა: „თვალისჩინივით გაუფრთხილდითო... მერე თვითონ გავარკვევ, აქ რად აჩერებენო?!“

— აბა, სად გავუშვა?!

— სახლში, სახლში, ჩემო ავთანდილ, „ასეთი ავადმყოფი აქ როგორ შეიძლებაო!“

— სახლში?.. მე არა?.. ჰო, მე არა... ვინაა, რომ ხროტინებს, ისევ ის ყელში დაჭრილი?

— არა, ეს სხვაა, ფილტვი აქვს გაჭრილი და სისხლი ექცევა.

— დივიზიის მეთაური აქ დაგხვდა?

— გუშინ ძლივს მოვალწიე, ჩემო ერთადერთო, შენ როცა ჭაობზე დესანტს გაჰყევი. რომ მომესწრო...

— ნუ ტირი!

— არ ვტირი, დივიზიის მეთაური ნაშუაღამევს მოვიდა, შეტევის წინ... აქ ვიჯექი, მამუკასთან და გელოდი. შტაბში ვერავის ვერაფერი გავაგებინე...

— ვინ გაიგებს, რომ შეიძლება ქალმა ფრონტიდან ფრონტზე იხეტიალოს...

— შენმა მეთაურმა კი გაიგო. რომ ვუთხარი: ფრონტზე მაგის გულისთვის წამოვედი და სადაც ის არ არის, იქ რა მესაქმება-მეთქი, — „ვიცნობო“ — დამეთანხმა — „და, ქალი რომ ვყოფილიყავი, მეც ასე მოვიქცეოდიო. დაელოდე, აუცილებლად მოვაო. აქვე, სანნაწილში ჩაგრიცხავო“.

— საიდან, ვარია... როგორ?..

— საიდან... სადაც დამტოვე, იქიდან.

— როგორ, რატომ?

— როგორ, შტაბმა არ იცოდა საით წამოდი?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ ტირი...

— არ ვტირი და არ გსაყვედურობ... შენ რატომ... როცა შენ...

— მერე, ასე?.. ასე, შენს ნებაზე?..

— მე შენთვის ვარ... ამქვეყნად, შენთვის... და აქაც ხომ ფრონტზე ვარ... აქაც ისა ვარ... მე ქალი ვარ, მოხალისე, ჩემით... ჩემი სურვილით... აქაც ისა ვარ და აქაც იმას ვაკეთებ...

— გაჩუმდი... ვილაცა გეძახის... მე არა მიშავს... ცრემლები პირში ჩამდის და მახრჩობს...

— რატომ, რატომ, ჩემო... რატომ გახრჩობს ჩემი ცრემლი?!. რა გვჭირს, რომ მე უშენოდ მკლავს და შენ ჩემი სიახლოვით?..

— არა, შენი სიახლოვე კი არა... წადი, მიხედე!

— წავალ, თუ რაიმე შემიძლია, აბა რას ვიზამ... — გარბის, მადლობა ღმერთს, ტოვებს და სხვების საშველად ეშურება.

„რატომ ვერ ვეუბნები, რომ შეუძლებელი მოახდინა, მისმა გამოჩენამ სასწაული მომივლინა. სააქაოს მომახედა და მაინც სიკვდილი მირჩევნია? რაც მემართება, ხომ უნდა მეთქვა? ვუფრთხილდები, რომ არ დავკარგო და რაც მისი სიახლოვით მჭირს, არ განვერიდო? რატომ მინდა ჩემთან იყოს, ჩემი იყოს და ახლოს არ გამეკაროს?“

„რაკი გამოვეპარე, წამოვედი, გამოვექეცი და ჩემგან გავანთავისუფლე — სინდისიც დავიმშვიდე? და ახლა მიხარია, რომ არავისთვის საჭირო, დედისთვისაც მძიმე, უსულო ტვირთი, ხე — უნაყოფო, ხე — ხმელი არ ვეთმობი?

„მინდა ჩემი უმძიმესი, უნუგეშო ხვედრი გაიზიაროს? ვიცი, ამის გაზიარება არ შეიძლება და მაინც, დასახრჩობად განწირული რომ მშველელს ჩააფრინდება და მორევში ითრევს, — ქვა ქვაზე არ დარჩენილა, თუ მე არ ვიქნებიო?“

ადრე პირიქით, დედის უმადური იყო, რაკი შვილს თავის წილ ტკივილს, სევდასა და დარდს არ ანებებდა. გა-

ჭირვება-უქონლობას უმალავდა, მამას არ ახსენებდა. თუ მაინც, ათასში ერთხელ, აუცილებლობა აიძულებდა, ჰგოდებდა: იგი სადარდებელი არაა, თავის თავს ყველაფერი თვითონ უყოს! არტელის თავკაცობა რომ შეაჩეჩეს, შეიშნო, არავის შეეპუა. ის კი არ თქვა — მე არაფერი გამეგება, არაფერს გართმევთ, ვინც მაიძულებს და მაკეთებინებს, იმას მოჰკითხეთო. ყველაფერი თავზე აილო... ბრბო მამანტის ხედავდა, ეგონა მისი ჩამოშორება იხსნიდა...

მარტოხელა ქალი წამოზრდილ ბიჭს დილიდან საღამომდე თხებს არ აშწყემსინებდა მაშინ, როცა დედმამიანი მისი ტოლები მთაში ჯოგებთან ათენებდნენ და აღამებდნენ. თუ საჭმელი აკლდათ, დედა უმადობას უჩიოდა, თუ ღამის სათევი საქმე იყო — უძილობას...

დედამ ყოველნაირი დარდი და ურვა თვითონ ზიდა, არ დაანება ობლობის ვარამს და თავისი გაუხარჯავი ხალისი, ღიმილი, ცხოვრებით ტკბობა შვილს გადასცა. ჯაფით და წელისწყვეტით მემკვიდრის უდარდელობა, თნევა, სიცილი აღზარდა და ამით ცხოვრება შეძლო. ახლა ვარიაც ისევე, გაორგულებულ წუთისოფელს ჯიბრში უდგას და ერთგულებს ავთანდილს, ვისაც არ სჭირდება? წყალწაღებულს და ზღვას გატანებულს ჩაფრენია და უფსკრულში მიჰყვება?

ნუთუ ისე გადაეგება კაცობრიობა, რომ ქალი გამოუცნობელ სამყაროდ დარჩება?

...და, შეიძლება მამუკასაც უერთგულონ? ამიტომ ხომ არ იყო, იმ პატარა, თავისივე ვნებით ცდუნებულმა გოგომ, დაღესტნის მთებშიც რომ ჩამოაღწია და ახლად გარდაცვლილი დედის დარდით თვალებდათხრილმა მამუკა ისევ ისეთი დაინახა, როგორიც უყვარდა? ტყუილად ხომ არ შეშინდა ავთანდილი, რაკი ეგონა, თუ ისეთ სიცარიელე-სიმახინჯეს იხილავდა, როგორადაც ომმა მამუკა აქცია, სატრფო ხელს ჰკრავდა?

რატომ ეგონა, იქაურობიდან ჩქარა უნდა მოეშორებინა, რომ თვითონაც არ შეყვარებოდა. მაშინ ამას თავსაც ვერ გაუმხელდა, მაგრამ ახლა, როგორც ბრძენთა ბრძენი, ყველაფერს ხედავს. რატომ დაათრევდა აქამდე ავთანდილი ამ შეშლილ ჯარისკაცს ომის ქარ-ცეცხლში და ცოდვას ცოდვაზე იდებდა. ამით იმ პატარა, ცეცხლოვან არსებას ხომ არ იფარავდა? რად ვერ იმეტებდა და ეკრძალვოდა, რატომ ეგონა იმისთანა ბრმა სიყვარული კარგს არ მოასწავებდა? ომში ამის მეტი რა ნახა, არ იცოდა, რომ ადამიანი ყველაფერს ეგუება?.. ეგუება, მაგრამ ყველა არა და, მაინცდამაინც, ის კოცონივით ბრიალა გოგო იქნებოდა გამონაკლისი? ანდა, ვიღაცა თუ უნდა იყოს, ის უნდა ყოფილიყო? დედამ და თეკლამ ხომ არ შექმნა ავთანდილის ცნობიერებაში ქალის მოდელი, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა და იმ ათიოდე წიგნმა, რაც მას სკოლაში შეასწავლეს? და ქალის ვნებანი, ხორციელი სიყვარული ამან ხომ არ უქცია იმად, რითაც მერე ვარია შექმნა. და ვარიასაც: დედად, მამად, დად, სახლად, ეზოდ და მთელ სამყაროდ მოუვლინა, იმ ვარიას, ახლა რომ მამაკაცს შეელია, მაგრამ მთელ ქვეყნიერებას ერთად ვერ სწირავს? ჩვენ, ადამიანები ხომ არ ვქმნით ერთმანეთს? და, სიცოცხლის ვნებიანი წყურვილით დაბრმავებულებს, უვნებობა თვალებს ხომ არ გვიხელს? ყოფნა-არყოფნის არსში წვდომის უნარს მერე ხომ არ გვანიჭებს?

„...ანუ აგრე რამ დაგლია,
ანუ პირველ რამ გაგავსო?
. . . . . . .
ღმერთმა მისგან ანთებული
სანთელიმცა რად დაგავსო?“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკა ბაქრაძე

## ანარეკლი

უცხო ქალში
ვიხედები,
როგორც სარკეში...
სადაც თითქმის
ყოველგვარ წვრილმანს
მახვილი თვალი კარგად ალნუსხავს...
უცხო ქალაქში დავეხეტები...
და ყოველ შემხვედრს ვაკვირდები
საგულდაგულოდ,
და როგორც რაღაც მნიშვნელოვანს,
ვაზუსტებ დასკვნას...
რომ მცირე ხნით,
მეც შევყოვნდები
უცხო ქალაქში...

როგორც სარკეში ანარეკლი...
საკუთარ თავს შევავლებ თვალს და
მერე ისევ ჩემი გზით წავალ...
და როცა განცდა, უჩვეულო და
შემპარავი,
ვილაცის გამჭოლ მზერასავით
უკან მიმახედებს,
— მე დავრწმუნდები,
რომ რაღაც, ძალზე მნიშვნელოვანი,
ზოგჯერ მართლაც ილვიძებს ჩვენში.
როცა პირისპირ ვრჩები ხოლმე
საკუთარ თავთან,
როგორც სარკეში,
ან სრულიად უცხო ქალაქში...

* * *

რომ არ დაგერლვეთ,
ასე წვეთ-წვეთად
ნაგროვები ღირსების გრძნობა,
თქვენ ღიმილის ბარიკადა შეაკოწიწეთ...
და ვერც კი მიხვდით,
რა უხერხულად ჩახერგეთ გზა —
ჭეშმარიტი ღირსებისაკენ...

## ჩანახატი

ზღვა იყო მშვიდი...
სანაპიროსთან
რძისფერი ქაფი დუღდა და დუღდა...
ვილაცა წვიმით ივსებდა პეშვებს,
ვილაც წვიმებზე ხმამაღლა წუხდა...
ცა წვრილად ცრიდა...

სანაპიროდან,
წასვლას კი მაინც
არვინ ჩქარობდა...
მე კი ცხადია ეს ყველაფერი
სიმშვიდეს მგვრიდა,
და მიხაროდა...
ზღვა ნებივრობდა
და თბილ წვიმაში,
მზეზე გარუჯულ ტანს ისველებდა...
ხალხი ღელავდა სანაპიროზე,
სანაპიროსთან — ზღვა ისვენებდა...

მე მომეჩვენა, რომ ზღვა სუნთქავდა,
და სულს ითქვამდა ცის [illegible]
სხვა ყველაფერი,
— მათ შორის წვიმაც,
მრავალმოტივთა იყო მოტივი...
ზღვა იყო ცივი — ზედმეტად მკაცრი...
წასვლას კი მაინც არვინ ჩქარობდა,
მე კი რატომღაც ეს ყველაფერი:
მართობდა
მღლიდა...
და მიხაროდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მთვარე ფეხდაფეხ შემოჰყვა ღამეს...
აქ ყველაფერი ისევ ისეა...
ვარსკვლავები ძველებურად
უთვალთვალებენ
ზეცის კარიბჭეს,
საიდანაც უმიზეზოდ და უხმაუროდ
აღარც კი ახსოვთ,
როდის და რატომ
გავიდა დრო...
გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა...
უფრო მეტიც — აღარავის უნახავს იგი
ძეხორციელს არ მოუკრავს თვალი...
ისე კი ყველგან კარგად ცნობენ
მის მძიმე სუნთქვას და ყრუ ნაბიჯებს...
და ვინ იცის, რაღას აღარ ლაპარაკობენ:
დრო ყველაფრის მმუსვრელიაო...
ვისთვის თვალსა და ხელსშუა ქრება,
ვისთვის არა და აღარ გადისო...
ის კი — ბატონი უჩინმაჩინი...
(უცნაურია, მაგრამ ფაქტია)
არცა ცდილობს კვალის დაფარვას...
და მიდის უკანმოუხედავად...
მიდის და მიდის...
მოლოდინის აღსასრულამდე...

* * *

არის რაღაცა,
რაც ერთბაშად, სიტყვით არ ითქმის...
რადგან უბრალოდ,
არ ხერხდება გამოხატვა
ძალიან წრფელის...
ასე გულდაგულ,
სახლის გასაღებს ვინახავთ ხოლმე..
და ვუფრთხილდებით...
ასე ფაქიზად,
ქოთნის ყვავილებს ვიცავთ
ჭარბი სინათლისაგან...
ან სულაც, ხსოვნის
ძვირფას ნაწილებს...
— ერთ მშვენიერ დღეს,
ყველაფრის მიღმა
რომ არ აღმოვჩნდეთ!!!
ასე წვეთ-წვეთად,
და ნაბიჯ-ნაბიჯ
საკუთარ თავთან
მიმავალ ბილიკს
ვუახლოვდებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზოგიერთი ადამიანივით

არ იკბინება ზღარბუნია,
მაგრამ რად გინდა...
ერთს ისეთს გიჩხვლეტს
თავს სამუდამოდ დაგამახსოვრებს...

* * *

მე დავდუმდები...
და გულისწამლებ სიჩუმეში,
როცა ზრიალით დაიმსხვრევიან
საპნის ბუშტივით გამჭვირვალე
სულის მინები,
მე დავბრუნდები!!!
და გავბრუვდები...
იმ საოცარი ალორძინებით,
როგორც ბრუვდება გაზაფხული.
შესაბამისად: — იასამნებით,
ენძელებით, გეორგინებით...
და ჩემი სულის მოზაიკა
ათასფერად მოისარკება...
და ჩემი სულის ცისარტყელა
ცის სილურჯეში ჩაიქარგება...
ჩემი ღიმილი, მზის გუგებ'ში ჩაიკარგება...
და გავწვიმდები...
მე დავბრუნდები!!!
გაზაფხულის ჭრელი წინდებით...
ან გავფრინდები...
ავმაღლდები და დავმშვიდდები...
მე დავბრუნდები!!!
გაზაფხულის ცინცხალ ფერებად:
ცისარტყელებად, ენძელებად,
ქრიზანთემებად...
დაიმსხვრევიან ვარდისფერი სულის
მინები,
შენი მერცხლებით, შენი მზით და
გეორგინებით...
და ავენთები...
გავბრუვდები...
და დავდუმდები...
მე დავბრუნდები!!!
გაზაფხულის ცით დავბრუნდები!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრუხი

უბეში ქულა წიწილა მიზის
ტკბილად ქვიტინებს და მეჩვენება,
რომ ნუგეში მართლაც დიდია...
ჩემი პაწაწა ისე მშვიდია,
ისეთი ციცქნა და სასაცილო,
რომ უბრალოდ,
არ მაქვს უფლება —
ვიყო გულგრილი...
წარმატებით ვასრულებ როლს და...
ცოტა არ იყოს მეუცხოება:
კრუხივით ვაკაკუნებ ფიცარზე
ვკრიახებ და...
და ვინ იცის კიდევ მერამდენედ,
ვათვალიერებ შესაბამის
ლიტერატურას...
რომ რაიმე არ გამომეპაროს,
ჩემმა პაწაწამ არ მოიწყინოს
სადმე ხიფათს არ გადაეყაროს...
დედა ხომ უფრო განუგეშებდა?!
მე კი ძლივს ვხვდები,
როდის რა გიჭირს,
თუმცა ცხადია:
ადამიანის სითბო გჭირდება
შენ ხომ არასდროს გყოლია დედა...
არაფერია, მე შეგიფარებ,
თავის დროზე,
მეც შემიფარეს...
მე მესმის შენი სიცოცხლის სევდა...
ქულა წიწილა მიზის უბეში
არა აქვს ბოლო ზრუნვას და წუხილს.
ვარ ერთადერთი შენი ნუგეში
ქვეყნად ყველაზე ერთგული კრუხი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელდარ კერძევაძე

## გეფერები

დგახარ სიბრძნის დაუნჯებით,
სულის ცისკენ შეღერებით, —
გეხვეწები,
გეაჯები,
გენუკვი და გეფერები.
სულ იბრწყინებს
სხვათა თანა
შუქი შენი შედევრების,
ჟამი მოდგა შენი ფიქრის
შენს საქმესთან შეჯერების
ჰოდა, ფრთხილად!
ფრთხილად,
ფრთხილად! —
გყვანან ქვეგამხედველებიც,
შენს ნაკრძალში ხორხოცებენ
უცხო თესლის ეგერები,
ამიტომაც გაფხიზლებ და
ამიტომაც გეფერები.
რა თქმა უნდა,
წავალ მალე, —
ცას ვერ გამოვეკერები...
იმ წასვლამდე —
წასვლის მერეც
გენუკვი და გეფერები...

## ქება სიცრუისა

ძმაო, სიმართლევ,
ასე სანამ უნდა იარო,
ამდენი ხალხი
    სანამ უნდა ალიზიანო...
ხედავ,
    სიცრუე როგორ ლაღობს,
როგორ ბრჭყვიალებს, —
შენზე ლამაზი,
შენზე კოხტა,
შენზე ჭკვიანი...

## ერთმა ქალმა

ერთმა ქალმა
ამას წინათ
გულიანად გამაცინა, —
არც აცხელა,
არც აცივა —
ჭირი მომაჩვენა ლხინად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამავიწყა ასაკი და
რაც მომაგეს წლებმა წინად...
დაიფიცა,
დამიფიცა,
მაკოცა და
მეკოცნინა.
ცივი ნაზამთრალი ზეცა
გაათბო და გააბრწყინა.

„სიყვარულისა მალვა უნდ
წამოსვლისას გამოფო
ვუპასუხე:
— საყვარელო,
ნუ შემიცვლი ლხინსა ჭირად.
ნამალავი სიყვარული
არდარა ღირს არცა ჩირად!..
არაფერი მიპასუხა,
დაფიქრდა და გაეცინა..

## მარტოსულის აღსარება

მარტო ვიყავი:
გადავყევ —
დანგრეულ სახლის შენებას...
კაცი თუ იქაც მარტოა,
რაი ვქნა,
რა მეშველება...

* * *

მადლობა —
აქაურობას, —
სიცილ-ტირილით გამართო,
სალამი —,
იქაურობას, —
მარადისს,
და ულალატოს.

## განწყობილება

ცა დამძიმდა,
სადაცაა მოთოვს,
ეჰ, დღეები მიდიან და მოდიან...
ვზივარ მარტო
და ვიგონებ ოტოს,
ჩვენს საყვარელ —
პაჭკორია ოტიას...
ზიზღსა ჰგვრიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატრაბაზთა აბრა.
გულზე მუდამ აჩნდა ერთი ბზარი,
ბევრ რამეში ფიცხი იყო, მაგრამ
არ იცოდა სიყვარული ჩქარი...
როგორც სწამდა
ისე წერდა სწორედ,
არ უყვარდა მოდერნი და მოდა.
მტრის ჯინაზე იდგა ყინჩად, თორემ
შინაგანად ფოთოლივით თრთოდა...
ახლა ვზივარ
და ვიგონებ ოტოს...
მოგონების მეტი რა შემიძლია...
სადაცაა,
სადაცაა მოთოვს,
ოჰ, დღეები მოდიან და მიდიან...

* * *

ნუ მემალები,
გამოდი მეთქი,
ვერ გავწვდი მარტო
ამ წყეულ ფიქრებს...

მეც მომაკითხე
ათასში ერთხელ, —
იქნებ ღირსი ვარ,
ღირსი ვარ იქნებ...

## რამაზ პატარიძეს

წიგნით
„ქართული ასომთავრულით“
და ნიჭიერი კაცის სინათლით,
ხარ ფრესკებიდან ჩამოპარული
სული და ხორცი
დიდი წინაპრის.
მათთან შეკრული
ამაყი ფიცით
გასცქერი წარსულს —
მტევანს შეფერილს,
რა უნდა გითხრა, —
შენ უკეთ იცი —
ამაოების არ ხარ მძებნელი.
ღმერთმა უწყოდეს —
შენი არმცნობის,
ყველა ორგულის
და მოღალატის...
ნიშნად მადლობის
და ჩვენი ძმობის
მიიღე ესე
ლექსი-ბარათი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ სამხარაული

# ფრენა დილისთვის გადაიდო

## ნოველა

ქალებს აკრძალული ხილის წადილი — მოგეხსენებათ, ევადან მოსდგამთ. მათ რომ უკიდურესობა სჩვევიათ და გულის კარნახს აყოლილებს მუდამ რაღაც არაჩვეულებრივის, უცნაურის ჩადენის, დაუკრეფავში გადასვლის სურვილი უტრიალებთ თავში — ეს ცნობილია. სიყვარული ხშირად უეცრად, ანგარიშმიუცემლად მოედებათ და მაშინ რომ ბევრი მათგანი მეტად გაბედული და თავქარიანი ბრძანდება — ესეც ხომ ყველასათვის ნათელია, მაგრამ თუ ქალი უცაბედად ასეთ რამეს მოიპრიანებდა, ასეთ რამეს გაბედავდა, რაც ამ ოციოდე წლის წინ ჩაიდინა — ჩემთვის წარმოუდგენელი იყო და დღესაც მაოცებს.

* * *

მთელი ჩემი ახალგაზრდობა საჯიხვეებში ასვლაზე ვოცნებობდი. ზამთარ თუ ზაფხულ, ცხადში თუ სიზმარში სხვათა და სხვათა ნაამბობის, კინოში ნანახი კადრების, თვითმფრინავიდან დანახული თუ საკუთარი წარმოსახვის მიხედვით ერთთავად ქიუხები, თეთრი ათინათით მოკიაფე ჩანჩქერები, მურთხის საგანგაშო სტვენა, აბობოქრებული ზვავები, არწივთა ყამყამი, ჯიხვზე მიპარებული ჯიქის მოსხლეტა და ამდაგვარი რაღაც-რაღაცეები მეზმანებოდა.

მოსწავლეობის დროს იქ ვინ გამიშვებდა. მაშინ მომავლის იმედი მასულდგმულებდა — სტუდენტი გავხდები და არდადეგებზე წინ არაფერი დამიდგება-მეთქი. ეშმაკმა, იმ ხუთმა წელმაც ისე ჩაიარა — გულის წადილი ვერც მაშინ ავისრულე. მერე და მერე კი საქმე-საზრუნავი მომემატა: ოჯახი, სამსახური. ხან შვებულება ვერ ავიღე დროზე, ხან ამინდები არვარგოდა... ერთი სიტყვით, მიზეზ-საბაბი არ დაილია. როგორც ვიფიქრებდი ახლა კი ნატვრას ავისრულებ-მეთქი, ზოგჯერ რა გამომიტყვრებოდა, ზოგჯერ რა და წასვლა ისევ ერთი წლით გადაიდებოდა. სწრაფვასაც თავი რომ დავანებოთ, ახლა იმისი მრცხვენოდა, ჩემი გვარის კაცისად გაბედნილო კავკასიონის ქედი მოვლილი კი არა, ახლო ნანახიც არა მაქვს-მეთქი. ბედნავსობას ისიც ემატებოდა — მარტო ვერ წავიდოდი. ერთი კაცის, თანაც უვალის, გამოუცდელის, მთაში ხეტიალი ძნელია. ან რა ეშხი აქვს, თუ გვერდში გულხმიერი, შენი ჭკუის, შენნაირი გატაცების ძმაკაცი არა გყავს და მოულოდნელობებით სავსე თავგადასავალს, წარმატების სიხარულს თუ გაჭირვების ნაღველს მასთან არ იზიარებ. მეგობართან გაჭირვებასაც იოლად გადაიტან, სამხიარულოც სულ სხვანაირად გაგიღებს სამოთხის კარს.

საჯიხვეებში მონადირეს ვერავის ვი-

ცნობდი. ისევ ტოლ-ამხანაგებიდან უნდა შევთქმულიყავ ისეთთან, ვისაც ჩემნაირი ჭია უღიტინებდა. მერე, ივნისის მეორე ნახევრიდან — ავდარი რომ გადაივლიდა — აგვისტოს მეორე ნახევრამდე — მთაში ყლმურტლების დაწყებამდე, ორივეს ერთდროულად უნდა შეგვწყობოდა ხელი წასასვლელად. დიდი ლოდინის, ოცნების, მზადების და ამაზე ლაილაით ყურების გადაჭმის შემდეგ, როგორც იქნა, ეს დროც დადგა და როგორც გითხარით, ამ ოციოდე წლის წინ, საჭმელ-სასმელით, თოფ-იარაღით, კინო და ფოტო აპარატებით, მაგნიტოფონით, კარვითა და სხვა აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილები გასაფრენად გავემზადეთ. და ის იყო აეროდრომზე უნდა წავსულიყავით — ყიული სამსახურში გამოიძახეს. წარმოიდგინეთ რა გუნებაზე დავდგებოდით, ლანა პირს აღარ გვიხსნიდა, გახევებული ვიდექით, ხან ერთიმეორეს შევხედავდით, ხან ჩალიბრულ მთებს და ხან საგულდაგულოდ ჩალაგებულ ბარგს.

— ერთი დღითაც რომ გადავდოთ, წასვლა ჩაგვეშლება, — მითხრა ყიულიმ, — რაკი გზას დავადექით, წადი, დიკლოში დამელოდე, ბორძაის დახვდი, თუ შემაგვიანდა, ცოტა მოაცდევინე, უსიკვდილოდ ამოვალ.

გავფრინდი. შვეულმფრენი დინჯად აუყვა სერის ფხას. ავიდა, ავიდა, ალპურ მდელოებს რომ გაუსწორდა, უკვე სხვა ჰაერმა დაუბერა და გუნებაც გამოკეთდა. ბარში ხვატი იდგა. აქ კი ჩრდილებსა და ღელოებში ჯერ ისევ ბამბის ფთილებივით ეყარა ნაბუქები. თეთრი, ქათქათა ნაკადულები სათოკედ ასორსლილ, დაუძახავი ნართივით ჩაკიდულ-ჩაგმანულიყვნენ ხეობებში. მოტორის რუხრუხზე ქანჩახებიდან ჯიხვებისა თუ ფსიტების ჯოგი დაფრთხა, დაფეთებული გადაცვივდნენ გორის უკან და თან კორიანტელის მძიმე ღრუბელი გადაიყოლეს. მწვანედ მოხასხასე მდელოებზე აქა-იქ გვირილიანივით მოჩანდა ცხვრის ფარები. ალაგ-ალაგ ლაქებივით ეყარა დეკიანები და ნამალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების სიდიადით მოხიბლული აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს, მეგონა უკვე ყოველივე თვალსანახავ მქონდა, რაზედაც ამდენ ხანს ვოცნებობდი, მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ! აი, ციმციმ გადავინარნარეთ ულელტეხილი, გავეკიდეთ ხეობის თავს და გავოგნდი: სწორედ რომ ზღაპარში ვიყავი, მფრინავი ხალიჩით მივფარფატებდი, ზევიდან დავყურებდი დევების სამფლობელოს და აღარ ვიცოდი საით გამეხედა, რა დამენახა, რით მეამა, რით მენეტარა, რით დამეოკებინა ცნობის წადილი. თვალს მტაცებდა ფერთა თამაში. შავ კლდეებშორის მოქცეული სპეტაკი ზვავი და ჩანჩქერები, ყვითელი ფლატეებს ჩაბინდული ფიჭვნარი სცვლიდა, ვაკე ველებს უძირო უფსკრულები, ტევრში ამოყელყელავებული კლდის შიშველი სვეტები, ხევის ძირში ჩაყუჟული მდინარეები და მწვერვალებზე წამომდგარი გადახრიოკებული, რუხი ქანჩახები, ძირზე მოვლებული ხასხასა მდელოები... რა ჩამოთვლის. ამასობაში უკან მოვიტოვეთ მთების ბაწარი და ვეება ედემის ქვაბულში ჩავეშვით. აღქმას ველარ ვასწრებდი, ერთიმეორის მოყოლებით დაჩნდა ფერდობებზე მიყუჟული ბილიკაბალახებული, მიტოვებული სოფლები, ჟამგადასული, ხავსმოდებული, ქუფრი სიპით ნაგებ-ნახური, უსიხარულოდ მიშავბნელებული სახლები. ჩავუარეთ ხახაბოს, ომალოს, თუშეთისა და პირიქითის ალაზნების შესაყარს, სონეხის მთას, გორის თავზე ლაღად წამომდგარ გუმბათოვანი ეკლესიის გარშემო შეფენილ შენაქოს, შევედით ფიჭვნარით ჩაბინდულ ფერდობებშუა ტაფობში და დიკლოს ბოლოში დავჯექით. გადმოვედით თვითმფრინავიდან, ბარგი იქვე, ყორისძირას დავაწყე და ნეტარებით მივიხედ-მოვიხედე. ვინც კი პირველად აქ მოხვდება, ალბათ, არ შეიძლება თვალი არ დარჩეს ტაფობის გვერდით, ხავერდივით გაფენილ სამოდ მობიბინე მდელოზე. დავაცქერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი. დავაცქერდი და ყინშა მოძრაობა ბოლოს მივსულიყავი, შევხებოდი, ზედ წამოვგორებულიყავი. ჩავყევი გზას. გზის მარცხნივ ბალახებში ჩაფლული, კამკამა ნაკადული მოთანთანებდა. მდელო წყალგალმა სიგრძივ ჩასდევდა ფერდობს. ზემოდან შავი ფიჭვის ტევრი ზღუდავდა. ველობზედაც სამი თუ ოთხი განცალკევებული ფიჭვი იდგა. ჩავცდი ბექობს, გადავხტი ნაკადულზე და ლორწოლა მოლს შევერიე. ჩავყევი, ჩავყევი და ღმერთო მიშველე, გუნება წამიხდა: მართალია, ველობი აბლოდანაც გულმახარა იყო, მეტადრე გვალვისაგან ფერნაცვალი შემოგარენის ფონზე მართლაც საამოდ ბიბინებდა, მაგრამ შეხება და წამოგორებაზე რა მოგახსენოთ, თურმე მოლს ტყიდან ჩამონაშალი, ნაგური წყლით გაჯირჯვებული, აფუმფულებული მჟავე წიწვი ალვივებდა. იქაურობა ისე იყო დაჭაობებული, ნაფეხურებში ისე ჭუპჭუპებდა აწუწწუხებული წყალი — მიკორებამაც კი შემზარა.

გამოვბრუნდი. ამ დროს შვეულმფრენის ხმაში წივილი შეეპარა. აგრეგენდა, აბრუქა, აიწია, აიწია, შემოტრიალდა, ის იყო ცხვირი დაღუნა და შენაქოსაკენ დაეშვა — სოფლის ბოლოში ერთი კივილ-ჭყივილი ატყდა. წინ ბავშვები მორბოდნენ, უკან შვიდი თუ რვა ქალი და კაცი დაჩნდა. ხელს იქნევდნენ, ყვიროდნენ, ეტყობოდათ, გაყოლა უნდოდათ, მფრინავს ეძახდნენ, მაგრამ ვერ გააგებინეს. შვეულმფრენმა თავზე გადაუქროლა და გადასახედს გადაეფარა. სოფლის ბოლოში კიდევ რამდენიმე ქალი მიემატათ. ხმამაღლა ყაყანებდნენ, იცინოდნენ. მერე გარმონი დაუკრეს, აცეკვეს ბოლოს, დიდი ხვევნა კოცნის, ხელის რამდენჯერმე ჩამორთმევის შემდეგ, სამი ქალი და ორი კაცი გამოეყოთ და ფეხით დაუყვნენ ბილიკს. უკან კიდევ ერთი კაცი მოჰყვათ სამი, ერთიმეორეზე გადაბმული, შეკაზმული ცხენით. ქალები წინ მოდიოდნენ. ერთი, შუალა, თეთრებში იყო მორთული, თავზე მინდვრის ყვავილების გვირგვინი ედგა. კოხტა ტანი ჰქონდა. გრძელი კაბა მ[illegible]და. ალბათ იმ. კოჭებამდე [illegible] ბოლოგანიერი კაბის ბრალი თუ იყო — ჯერ ასაკოვანი მომეჩვენა. თუმცა შორიდანვე ემჩნეოდა, თვალადაც მშვენიერი უნდა ყოფილიყო. მეორე, მარცხნივ მომავალი — გარმონის დაკვრით მოლაღობდა. წითელი, ლაღლაღა, ყვავილებიანი მანდილის ბოლოს ნიავი უფრიალებდა.

კაცები ნასვამები ჩანდნენ. უკანა, ცხენებს რომ მოუძღოდა, ჩქარ-ჩქარა მარჯვენა, მათრახიან ხელს ზევით ასწევდა, იიი! — დაიკივლებდა და დედას გიტირებთო! — მუქარით დაიყოლებდა.

მომიახლოვდნენ. გვირგვინიანი, ალბათ პატარძალი, მართლაც ლამაზი, თვალმეცეცხლია აღმოჩნდა. გაფურჩქვნის რომ იტყვიან, სრული მშვენების ლივლის ასაკში იდგა. შავი, ყორნის ფრთასავით შავი თმა-წარბ-წამწამი და ცისფერი, ოდნავ მომწვანო, იდუმალი გზნებით ანთებული თვალები ჰქონდა. მარჯვნივ შეღერებული გოგონა მოჰყვებოდა. იმას ჯერ ისევ ბავშვური, ხორცშეუსხამი ფეხები და მიამიტური გამოხედვა შემორჩენოდა. პატარძლის მარჯვენა ხელი მომცრო ბორცვებიან გულში ჩაეკრა და სახეგაბადრული შესცინცინებდა.

იმ ორი კაციდან, ქალებს რომ მოჰყვებოდნენ, ერთმა, ქალაქურად კოხტად გამოწყობილმა, მოყვანილი, სპორტული აღნაგობის ჯეილმა, გვერდზე რომ ჩამიარეს, მეორეს, ქამარ მოჩოლფოტებულს, კუშტად უპასუხა:

— ნაღდად ვერ დამინახა, თორემ ჩემთან მაგეთ რამეს ვერ გაბედავენ — ეტყობოდა მფრინავზე ლაპარაკობდნენ. მერე მედიდურად დასძინა — მაგას დავადგენ და...

— იიი! — ცხენებიანმა მუშტი ასწია და ისევ ვიღაცას უხსენა დედა. მერე მე დამაცქერდა. გამარჯობათ! — ხმამაღლა დამძახა და ხელი გამომიწოდა. გვარი და სადაურობა მკითხა. ჩვენი ყოფილხართ, ერთი ამხედ-დამხედა და ისევ კივილით გაუყვა გზას.

ავედი სოფელში. ყურადღებიანი ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიია თუშები. მაშინვე მიდგნენ-მოდგნენ, გაიკითხ-გამოიკითხეს. სად შეიძლებოდა ჩემი დაბინავება და ერთ გამოკეტილ სახლს რაზე ამიხსნეს. მესამე დღეს, როგორც დათქმული გვქონდა, ბოლძარი ცხენებით მოვიდა. ერთი დღეღამე ელოდა. ყიული რაკი არ ჩანდა — მეტი დრო არა მაქვსო — მითხრა, ხომ იცი, პირუტყვს არ ელოდება. ბინას მივხედო უნდა. თუ ამოვა, სამი დღის შემდეგ ჩვენები ყველს ჩამოიტანენ და იმათ გამოჰყევიო — მომიბოდიშა და წავიდა. სამი დღის შემდეგ ის ყველის ჩამომტანებიც გაბრუნდნენ, ყიული ჯერაც არ ჩანდა. იმის შემდეგ კიდევ ორი დღე ველოდე და მესამე დილით მომიტანეს მისი დანაბარები — ვერ მოვდივარო. გული დამწყდა. აქამდე მიყვანილი საქმე ისევ ჩაიშალა. რაკი ამდენი დაიგვიანა — ისედაც ველოდი, იმედის გადაწურვა მაინც ძნელი იყო: ხალისი დავკარგე, გუნება წამიხდა. თუმცა თავს ვინუგეშებდი — რაც ვნახე ერთი ამოსვლისთვის ესეც კმარა. მთავარია, თარსი გავტეხე. ყველაფერს ერთად ვერც განვიცდი, ვერ აღვიქვამ-მეთქი. მართლაც რამდენი რამ დავათვალიერე. ეს დღეები, ლოდინი რომ არა, ნეტარებაში გავატარე. მარტო დიკლოს შემოგარენი რად ღირდა, ასეთი სილამაზე ძნელია სადმე იხილოს კაცმა, მაგრამ ამდენი ხნის ნაინანატრი ჩანაფიქრი ბოლომდე რომ ვერ ავისრულე, მაინც გული მეტკინა. უკან წამოსვლა გადავწყვიტე და აი, უიღბლობა: თურმე მე რომ ამოვედი, მეორე დღეს უღელტეხილი დაიკეტა და ფრენა შეწყდა. ორი დღე გამოდარებას ველოდე. მერე მირჩიეს ომალოში გადავსულიყავი. იქ ზოგჯერ ბორბალოზე გადმოსული განსაკუთრებული დანიშნულების შვეულმფრენები ჯდებიან და შეიძლება გაგაყოლონ — ხანდახან დილით, სანამ ღრუბელი აიმლება, ერთ რეისს ასწრებენ, ყოველ შემთხვევაში, გზა თუ გაიხსნება, პირველ რიგში ომალოდან დაიწყებენ მგზავრების გადაყვანას და იქ დალოდება გირჩევიათ. მგზავრობა რომ გაჭირდა, წამოსვლის სურვილი [illegible] გული აღარ მიჩეოდებოდა [illegible]ლით, ადრიან. ნიადაგი [illegible] აგკიდეთ ჩემი ავლა-დიდება და ომალოში გადმოვედით, სანამ იმ უბნით, მოკუანა ბილიკებიან პიროქითის ალაზნის ხეობიდან ამოვედით. მზის შემოღლებისა ცხელოდა, თუშეთში თუ სადმე მზის მცხუნვარება შეიძლება იგრძნო, ეს ომალოს მისადგომებით, გაგონილი მქონდა აქ დღე და ღამე მკვეთრად განსხვავდება დღისით, მზის გულზე, სიცხეა, ზოგჯერ დაცხება კიდეც. ღამე კი, ჩადი თუ არა მზე, ისეთი სუსხი წამოვა, განსაკუთრებით გამთენიისას, დღის ნაფიქრალზე აზრი შეგეცვლება. ავედით ვრცელ ზეგანზე, აეროდრომში ომალოს დაბლა. გორის ძირზე მოწყობილი. მისი მთავარი ნაგებობა, გრძელი, ღია ფარდული, ველის ბოლოში გაჭიმული. მის წინ დასახდომი მოედანია, უკან. მიწაში მკვეთრად ჩაბეტონებულ სამ რკინის კავზე ჯაჭვებით დაბმული. ძველებური თახფრთიანი თვითმფრინავი იდგა. მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინ ასეთი თვითმფრინავები დაფრინავდნენ ხოლმე თუშეთში. აფრინდებოდნენ თელავის აეროდრომიდან, ჯერ ალაზნის ველზე დატრიალდებოდნენ, აიღებდნენ სიმაღლეს და მერე გაუტევდნენ გადასასვლელისკენ. ფარდულის გასწვრივ ერთსართულიანი ქვიტკირის შენობა და კოხტად ამოლტილი არყის ხე იდგა. მათ ცოტა მოშორებით, ბექობის თავზე, რადიოსადგურის მუშაბანდიანი ჯიხური და აეროდრომის განუყოფელი ფლიუგერი მოეთავსებინათ. გორის თავზე სოფლის განაპირა შენობები ჩანდა. ფარდულსა და სახდომ მოედანზე, საითაც გაიხედავდით, ბარგი ეწყო. ზოგან ღიად, ერთიმეორეზე ეყარა ტომრები, ხურჯინები, ჩემოდნები, ზურგჩანთები, გუდები, ნაბდები, და კიდევ ვინ იცის რა. ზოგს, მზე-წვიმისგან დასაცავად, ზედ თექები ან მუშამბა გადაეჭიმნა. დიდძალ მგზავრს მოეყარა თავი. ზოგს კარვები დაედგა, ზოგი ფარდულში დაბინავებულიყო. ვე-

[illegible] ალაგ-ალაგ ბავშვები თამაშობდნენ. ერთი ყრიამული გაჰქონდათ, ჩრდილებში მიმსხდარი ქალები მკვეთრად განსხვავდებოდნენ ურთიერთისგან: ხნიერები თალხი ტანსაცმლითა და თავშლებით გამოირჩეოდნენ. ახალგაზრდები ლალანა, წითელ-ყვითელი მანდილებითა და ქალაღაიებით. კაცები ცოტანი ჩანდნენ.

ჩემი ზურგჩანთები ფარდულის კუთხეში დავაწყეთ. ნოდარმა ცხენებს პირიდან ლაგამი გამოართვა, საბალახოდ გაუშვა, ჩაილიმა და ტუჩების ცმაცუნით მიმიპატიჟა — კოსმოსში შევილიველივოთო. ეჭვით შევხედე. ის დინჯად მოწესრიგდა: ტანსაცმელი ჩამოიბერტყა, გაისწორა, თმა გადაივარცხნა, ისევ აუთამაშდა სახეზე ღიმილი, ირიბად გამომხედა და იმ ერთსართულიან, ქვიტკირის შენობისკენ გამიძღვა. სახლის მარჯვენა მხარეს, ცალფრთა, შებოლილი კარის თავზე ორი დიდი მანჭვალით მიკრულ ფანერაზე ვიღაცას მართლაც გაუწაფავი ხელით, დიდ-პატარა, მიღრეცილ-მოღრეცილი ასოებით მიეწერნა: „კოსმოსი“. კარი ოდნავ იყო შეღებული. შიგნიდან ისეთი გუგუნი ისმოდა, როგორც სკიდან ფუტკრის ნაყარისა.

— კარგ ხინკალს აკეთებენ, ალვნიდან იმოა ამოსული, — თვალი ჩამიკრა ნოდარმა, კარი მიძალებით შეაღო, ზღურბლზე ამაყად გადააბოტა, ორი ნაბიჯი წადგა. მეც რომ შევსულიყავი, აქა მშვიდობაო! — თქვა ომახიანად და იქაურობას თვალი ისე გადაავლო, თითქოს უკვირს, ეს ხალხი უჩემოდ აქ რამ შეყარაო. პურისმჭამელები ჯერ ერთბაშად ჩაჩუმდნენ, ყველამ ჩვენსკენ მოაბრუნა თავი, მარჯვნივ, კედლის ძირას ჩამწკრივებულ მაგიდებთან ახალგაზრდები ფეხზე წამოდგნენ, მარცხნივ, წაშჭვარტლულ ფიცრის ტიხრის ბჭეებიდან ასაკოვნებმა წამოყინწეს თავები და ერთბაშად აყაყანდნენ:

— ოო, ნოდარო! მოდით. დაგვეწვიეთ, დაგვლოცეთ! — ყველა თავთავიანთკენ გვეპატიჟებოდა. ნოდარი ჯერ ღირსებით უქნევდა თავს, მისალმების თუ მადლობის ნიშნად, [illegible]/სახეზე ნათელი გადაეფინა, [illegible]-ბოდიშით, სტუმარს ეჩქარება, [illegible]-კე აჯობებს, სახელდახელოდ წავიხემსებთო.

ეჩქარებაო! — თუშებმა სიცილი დაგვაყარეს. სად ეჩქარება, მთაში მიდის თუ ბარშიო. რომ გაიგეს ბარშიო — კიდევ უფრო მოვიდნენ ქილიკის გუნებაზე, უცბათ არ გაფრინდეს, ცუდმა ნიავმა არ დაჰკრასო. ბოლოს დინჯად, შეგონებით გვირჩიეს — აქ ამოსულ კაცს აჩქარება არ ეგებისო, სათბილობლებსა და თექის უსახელოებში ჩაფუთნულმა ხნიერებმა მიიწ-მოიწიეს, ადგილები გაგვინთავისუფლეს და თავიანთთან დაგვსხეს.

დარბაზში წარამარა შემოათამთამებდნენ ოხშივარავარდნილ ხონჩებს. ახლად ამოყრილი ხინკალი ჯერ ისევ თრთოდა და ცმუკავდა. ორთქლის ბული ხან ერთ მაგიდაზე ავარდებოდა, ხან მეორეზე. კარგახანს ვისხედით. ზოგი მთისას ყვებოდა, ზოგი ბარისას. ვისაც გულზე რა ება, იმის სადღეგრძელოს სვამდა. ვწრუპავდით ქიპიტაურსა და ახლად დაყენებულ თუშურ ლუდს ვაყოლებდით.

„კოსმოსი“ ზიმზიმებდა. წარამარა ჭრიალებდა ფიცრის კარი. რიგი მოდიოდა, რიგი ბარგანით გადიოდა. მშვიდი პურობა იციან თუშებმა. არც სასმელში ჩაიკლავენ თავს, არც წარამარა აყალ-მაყალს ატეხენ. ეგ იყო, ზოგიერთი შეკაიფებული დრო და დრო ეშხზე რომ მოვიდოდა, ხელს ზევით ასწევდა, იიი! — დაიკივლებდა და ვილაც იდუმალ მტერს შეუკურთხებდა, თავს შეახსენებდა.

— ოო, ქუჯის გაუმარჯოს, ქუჯის სიცოცხლე! — გაისმა მეზობელ კუპიდან. — მობრძანდი, დაგვეწვიე! გავიხედე. დარბაზში, დახლთან, ჩვენგან მხარშექცევით, ზორბა ტანის, უზადო აღნაგობის ახალგაზრდა კაცი იდგა.

— მადლობთ, მარტო არა ვარ. — თავაზიანად მიუღიმილათ მან. ხმაში რიგიანობა ეტყობოდა. ნაცნობი სახე

ჰქონდა, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე ვინ იყო.

— მოიყვანე, ვინ გახლავს, რაცა გვაქვს, გავიზიაროთ! — არ ეშვებოდნენ მოპატიჟეები.

— ქალებიც არიან, საცოლე გამოვატარე, სჯობია გარეთ დავსხდეთ. — ჭიქა აილო, სუფრა დაულოცათ. მერე სამზარეულოში შეიხედა და შნოიანად შესძახა: — იბო, ვაჟკაცურად, შენ რომ იცი, ისეთი პური გვაჭამე.

ქალების შემოყვანა ალარავის დაუძალებია. ამ ჩახუთულ სუნსა და კვამლში ჯდომას ცხადია, გარეთ, სუფთა ჰაერზე თვალგულსალოლიაო გარემოში სჯობდა, მადლობა მოუხადათ, შემობრუნდა და აჰა, ვიცანი: ეს ის ჯეილი იყო, დიკლოდან შვეულმფრენმა რომ გაასწრო. ახლა, სამგზავროდ, უცხოურ ჯინსებში იყო გამოწყობილი და აქამდე, ალბათ, მაგიტომ ვერ მოვიგონე.

ცოტა ხნის შემდეგ მეზობელ მაგიდაზე, ჩვენს პირისპირ მჯდარმა, წვერგაუპარსავმა, ყიპიტაურით ჩაბუჟბუჟებულმა ჭარმაგმა მაგიდას მუშტი დაჰკრა, გვერდში მჯდომს ხელი გადაჰხვია, წამოდგა, „თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ“-ო დასჭექა, სხვებიც აიყოლია და ჟრიამულით გარეთ გაიკრიფნენ.

— ეგ „მაგრამ“ გვიშლის ხელს, ეს სატიალო, — ჩაილიმა ნოდარმა, მერე ახლოს მოიწია და წამოშჩურჩულა: — ბოლოს, ახმახი რომ მიდიოდა, მაგათაც დალესტნის მთებში დაუდით ცხვარი, ჯერის წასაღებად იქნება ჩამოსული, თუ გინდა ვეტყვი და გაჰყევი.

ავფორიაქდი. რაღა ფიცი და ჭდე უნდოდა, მაგისთვის ვიყავი ამოსული და ბარში ხელმოცარულს დაბრუნება გულზე არ მეხატებოდა. მართალია უმეგობროდ ის ხალისი არ ექნებოდა, მაგრამ თვალი ერთხელ მაინც შემედგა ჯიხვთა ბილიკებისთვის, ერთხელ მაინც მომესმინა ნიამორების სტვენა. მიდი, სთხოვე-მეთქი, შევაგულიანე. ჩქარა ჩვენც ავიშალენით, აეროდრომზე, ამასობაში, ხალხი და ბარგი კიდევ უფრო მომრავლებულიყო. ახმახი ფარდულში დახვავებულ ტომრებზე გადაფარჩებულ თექაზე იწვა [illegible] დით ჩამოუჯდა, კარგახანს [illegible]ს, იბუტბუტეს, როდის როდის გამობრუნდა. უკმაყოფილო ჩანდა, პასუხის თქმა უჭირდა. რა თქვა-მეთქი, შორიახლოდანვე გავუქნიე თავი. მან ცხვირი გვერდზე წაიღო. იდგა, იდგა, მერე ხელი ჩაიქნია და არა ღირსო — თქვა. ჯუცხვირპირო კაცია, — წაიბუზღუნა მოგვიანებით. — მაგისგან ვერაფერს გაიგებ. არა თქვა როდის მიდის, წაგიყვანს თუ არა. თვითმფრინავს უნდა დაველოდოო, ორ ცხენზე მეტი არა მყავსო, ბარგი მაქვსო... ერთი სიტყვით, არ ღირს. გულაყრილმა გავხედე, მის შუბლზე ჩამოშლილი, დაუდევრად შეკრეჭილი თმა, გამხდარ, მოგრძო სახეზე ამოჩრილი ყვრიმალები და ლოყისთავები, კეხიანი ცხვირი თვალში ალარ მომდიოდა.

შევეშვით. ასეთ უჟმურთან ყოფნა არც ღირდა. გადაწყდა, აქაობას არ მოვცილებოდი და პირველსავე მარჯვე შემთხვევაში ბარში გავფრენილიყავი. ნოდარი ხეობის ჩასასვლელამდე გადავაცილე და ფარდულში დავბრუნდი. ჯერ იქაობა ვათვალიერე, ხალხის ლაპარაკს ვუსმენდი. მერე წიგნი ამოვილე, ზურგჩანთაზე ჩამოვჯექი და კითხვა დავიწყე. დარელს ვკითხულობდი, მიყვარს მისი წიგნები, თავგადასავლები, ცხოველებთან ურთიერთობა, მაგრამ ამჯერად გული ვერ დავუდე. გონება სხვაგან გამირბოდა, თვითმფრინავის ლოდინში ერთთავად აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალს.

პირმოუპარსავ ჭარმაგს შეკმანძული ცხენი მოჰგვარეს. მან გარსაკრავები შეამოწმა, დაჭიმა, ცოცხლად, გადაახტა, ჰჰმ! შე სამგლეო! დასჭყივლა, სადავე მიუშვა და ომალოსკენ გააჭენა. ქუჯა თავისი მეინახეებით არყის ხის ქვეშ იჯდა. უკვე შექეიფიანებულნი ჩანდნენ — ხმამაღლა, ალტყინებით ლაპარაკობდნენ. ექვსნი იყვნენ. ორი ქალი ახლდათ: საცოლე, როგორც თვითონ თქვა, და ის, ჯერ კიდევ კანჭწვრილი გოგო, დიკლოდან რომ გამოჰყვათ. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლე, როგორც წესი, მარცხნივ ეჯდა. ხელი მხარზე გადაეხვივნა, ნდომით იკრავდა მკერდზე და ისიც, საპატარძლო, ბედნიერი, ნეტარებით მომლიმარე, მწყერივით ინაბებოდა მისი მსხვილი თათის ქვეშ.

მოუსვენრობა თანდათან მომეძალა. ადგილზე ვეღარ ვისვენებდი, გავლა მინდოდა. ზემოთ, წიწვიანი გორის მელოტ თავზე, ვეება, ტანგრეხილი ფიჭვი იდგა. ერთი სული მქონდა ავსულიყავი და იმ სანიაოდან შემოგარენისთვის გადამევლო თვალი, მაგრამ შორს წასვლა არ ივარგებდა, მოულოდნელად შვეულმფრენი რომ გამოჩენილიყო, ჩამოსვლას ვერ მოვასწრებდი. იმ ხანად თუშეთით ბევრი დაინტერესდა. გეოლოგები, ტურისტები, მკვლევარები... ჩემს იქ ყოფნაში კინოსტუდიიდან ორი ჯგუფი იყო ამოსული გადაღებაზე. მათ თუ ვინმე მოაკითხავდა, რაკი მარტო ვიყავი და ბარგიც ბევრი არ მქონდა, შეიძლება ვისმე გავეყოლებინე. ულელტეხილები ღრუბელს დაებურნა და ამის იმედი, მაინცა და მაინც, არა მქონდა, მაგრამ წყალწაღებულისა არ იყოს — ხავსებს ვეკიდებოდი, ვიჯექი და წარამარა ცას შევყურებდი. ირგვლივ მთების ჯაჭვი ისე შემოგვჯაროდა, თავი ორმოში მომწყვდეული მეგონა. ვატყობდი, მარტო მე კი არა, ყველას თვალ-გული ულელტეხილისკენ ჰქონდა. მახსოვს პირველ დღეს რა კარგად მოჩანდა გადმოსასვლელი. მაღლა, თხემის ზოლის ერთგან ჩადაბლებულ ვაკობს შუაზე დაბალი, მომრგვალებული გორი აქვს ამობურცული. შვეულმფრენი ხან გორის მარცხნივ დაჩნდებოდა, ხან მარჯვნივ. ჯერ ბუზისტოლი, შავ წერტილად გამოილანდებოდა, დაეშვებოდა, გაიზრდებოდა, გაიზრდებოდა. ხმა ჯერ ჩემამდე არ აღწევდა, ამიტომ დიდი ფრინველივით მოლივლივებდა. აეროდრომს რომ მოაღწევდა, მხოლოდ მაშინ გავიგებდი ყრუ ზუზუნს.

— მოდის! მოდის! — ფარდულიდან გაცვივდნენ ბავშვები. თვალებზე ხელს იჩრდილავდნენ და გაფაციცებულნი ხან ცას გახედავდნენ, ხან თვ[illegible]ებს. ხალხი წამოიშალა. ყველა[illegible]ნ ჰქონდა თვალ-ყური მი[illegible] მნა ერთი გადაძახილ-გადმოძახილი, ფაციფუცი, სირბილი, აქეთ ათვალიერეს, იქით ათვალიერეს — შვეულმფრენი არსად ჩანდა, არც საიდანმე ხმა ისმოდა. უფროსები ბავშვებს გაუწყრნენ. აქაურ ბავშვებს სიცრუე არ სჩვევიათ, ალალად ირწმუნებოდნენ, ხმა გავიგეთო. რა გულით უნდოდათ თავიანთი სიმართლის დადასტურება, რა დაჟინებით აცეცებდნენ თვალებს, კისრები რომ მოსწყდათ ზევით ცქერით, თავს ხელით იკავებდნენ, სმენად იყვნენ ქცეული, მაგრამ შვეულმფრენის სამხილი არსად იყო, თანდათან დაიშალნენ და ისევ თამაშში გაახურეს.

მთელ ქედზე ღრუბელი იწვა, მკვრივი, რუხი ღრუბელი. აქამდე არასდროს შემიმჩნევია, რომ ასე მომაბეზრებელი, ასე გაჭიანურებული მოღრუბლვა იცოდა მთებმა, არასდროს მომსვლია აზრად, რომ ის ასე შეავიწროებდა, ასე გააწვალებდა ადამიანებს. თითქოს ჯიბრზე, მზის ჩასვლის წინ, როცა ფრენის დრო აღარ იყო, ეს ამოდენა ქულები ისე აიკრიფებოდა, ის გაუჩინარდებოდა — მათ ნასახს ვეღარსად დაინახავდით. მოიწმინდებოდა ცა, დაკრიალდებოდა. ლურჯად ახასხასდებოდა ალპური მდელოები, გამოანათებდა პიტალოები, ამოვიდოდა მთვარე და მთელი ღამე ჩალიბრულ, დაკამკამებულ ქედს ნათელი ედგა. იმედი მოგვეცემოდა, ხვალ უღრუბლო, საფრენი ამინდი იქნებაო. მართლაც შუქიანი დილა გათენდებოდა, როგორც კი მზე ამოანათებდა, ხეობებიდან ჯერ თხელი ნისლი ამოიწვერებოდა, მერე მოჰყვებოდა და მოჰყვებოდა, თანდათან გახშირდებოდა, შესქელდებოდა, დაბურავდა ფერდობებს, ნელ-ნელა აიწევდა, აზოზინდებოდა, კალთები კი გადაიწმინდებოდა, მაგრამ აგროვდებოდა თხემზე, გაწვებოდა, ჩაიქუფრებოდა და გაუნძრევლად ეგდო მთელი დღე. გულის გასახეთქად, დაეწვერებოდა მზე და გადაიკარებოდა, თითქოს განგებ აკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებდა ასე, რომ შვეულმფრენი არ გადმოეშვა. არა და ჩვენი იმედი, ბარში მიმოსვლის ერთადერთი საშუალება — შვეულმფრენი იყო. იმ ძველი, საცალფეხო ბილიკებით ისევაც გადადიოდნენ, მაგრამ ყველას ხელი როდი მიუწვდებოდა. ჯერ ერთი, სულ მცირე, სამი დღის სავალი იყო. ცხენიც რომ გყოლოდათ, იმ თვალშეუდგამ, ციცაბო, ხიფათიან ბილიკებზე სიარული ყველას არ შეეძლო. რაც თუშეთი დაცარიელდა, ცხენს ვერ იშოვიდით საქიროვებლად, ფეხით, ბარგმოკიდებულის ბობღვა კი იოლი არ გახლდათ და, რაც მთავარია, ყველაფერში ჩვენი თანდაყოლილი უბედურება გვიშლის ხოლმე ხელს ადამიანებს — ყოყმანი. ველური ცხოველები გაცილებით გვჯობნიან; ისინი რა მიზანსაც დაისახავენ, მის შესასრულებლად მთელ თავიანთ უნარს, ძალას, შესაძლებლობას ყოველგვარი მერყეობის გარეშე გამოიყენებენ. ჩვენ კი იმის გაკეთებასაც გვიან გავბედავთ, რის უნარიც უეჭველად შეგვწევს. ათასნაირი აზრი მოგვივა, ათასნაირად წარმოვიდგენთ, წარმოვსახავთ რა მოხდება, რა შეიძლება ამას მოჰყვეს, დავუწყებთ ძებნას სხვადასხვა საშუალებებს და ეს ეჭვი, ჭოჭმანი, სჯა, ხელ-ფეხს გვიბორკავს. ამონდონა ხალხი, ალბათ ყველა, იმის იმედით ვიყავით, რომ იმ სამ-ოთხ დღეში, რომელიც გადასვლისთვის იყო საჭირო, აუცილებლად გაიდარებდა, გაიხსნებოდა გზა, ჩავსხდებოდით შვეულმფრენში და მოსვენებით, ოცდახუთ-ოცდაათ წუთში ბარში მოვექცეოდით. იმედი მართლაც მაცდუნებელი იყო, მაგრამ, როგორც იქ თქვეს, ასეთ ლოდინში ზოგჯერ თვეზე მეტი უყურყუტიათ.

კარგი ნერვები აქვთ ამათ, ჩემმა მზემ,— გავიფიქრე გუნებაში და გვერდით, ფარდულის ჩრდილში შეფარებულ ხალხს გადავხედე. — გენებით მოსდგამთ სიდინჯე, ლოდინის დიდი მოთმინება. ტყუილად კი არ მითხრეს „კოსმოსში" — აქ ამოსულ კაცს აჩქარება არ ეგებისო. მართლაც, აქ აჩქარება არსად გარგებს. თუ [illegible] ადიხარ — აჩქარება არ [illegible] ახვალ, ჩამოდიხარ — [illegible]ლება, გადაიჩეხები. სწრაფად აქაური წყლის დალევაც არ შეიძლება—ეჰ. რა მადლია სამანქანე გზა. — თითქოს ჩემს გულში იჯდა, ამოიოხრა ბოძის ძირას ჩამომჯდარმა თალხიანმა დედაბერმა.

— ვისა აქვს ჩვენი ჯავრი, — გაეპასუხა ახალგაზრდა, ლოყებდაბრაწული ხელწინდიანი ქალი და გაჩვეული ხელით სხარტად გამოცვალა ჩჩვილი. სიწითლე მაინცა და მაინც არ უხდება ადამიანს, მაგრამ ამ ქალს საკმაოდ შვენოდა, არ ვიცი, ეს ფერი წითელი ვარდებიანი მანდილისგან ირეკლებოდა თუ მზისგან გამაძღარი, გატკეცილი კანი ბზინავდა — საამო ნათელი ედგა სახეზე.

— ამბობენ, გზას ჩქარა გაიყვანენ, ამ ჩვენს ალაზანს დააგუბებენ და საროწყავად კახეთში გადაუშვებენო. — იმედიანად თქვა ნაბადზე წამოწოლილმა თავმოტვლეპილმა კაცმა.

— ტელევიზორიც უნდა გამოგვიყვანოთ, შუქიკო, — დაემოწმა პატარა ბიჭი.

— ეჰა, ვისაც რაახარებს, — ჩაიცინეს ქალებმა.

— აცა ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე ენძელის სათივე უნდა დაგიდგაო, — ჩაიქირქილა თალხიანმა დედაბერმა. — დრო-დროთი, თორე, როდისღაც რაღაცა იქნება, ცხადია.

— გზა იყოს, გზა, სხვას მოითმენს კაცი, — ხმას აუწია მელოტმა. გზა იყოს, ხელ-ფეხი გაგვეხსნას. რამდენს ვცდებით, რამდენი საქმე გვრჩება უკან...

იმათმა საუბარმა უფრო მაგრძნობინა მთებშორის დამწყვდევის უსიამოვნება. გავყურებდი მთის უბეში დაყურსებულ, ღრატეებიან ხეობას, ალაზანგალმა რომ ედო თავი, კუდები კი ზევით, უღელტეხილის ძირობაზე ჩაემჭიდვნა, შერეული ტყეებით დაბურულ ფერდობებს, მოხასხასე, ალპურ მდელოებს, გვერდებჩამოშვავებულ, ქარაფიან პიტალოებს და სადღა იყო ის

ნეტარება. ის აღტაცება, პირველმოსვლისას რომ მაოგნებდა. პირიქით, თითქოს მტრად გამიხდნენ, შემკრეს, შემბოჭეს... გამოკეტვა თურმე სულ ერთი ყოფილა. დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია, ოთახში გამოგამწყვდევენ თუ უკიდეგანო არემარეზე. მთების ეს ჯაჭვი, სადღაც შორს, ცის სავალზე გვერტყა, მაგრამ სივიწროვისგან სული მაინც მეხუთებოდა. ამდენმა უძილო ლოდინმა ოცნებები გამიქარწყლა. ოღონდაც ახლა შინ, შინ კი არა, სადმე, სადაც გინდა, წამიყვანა და მთაში წამოსვლას აღარც ვახსენებ-მეთქი — გავიფიქრე გუნებაში.

ახმახი საუბარში არ ერეოდა. პირქვე ეგდო გაშხლართული, მარცხენა ხელი ჯიბეში ჩაეყო, დამუშტული მარჯვენა ნიკაპქვეშ ამოედო. ვერ გაიგებდით ეძინა თუ ეღვიძა. თვალები ღია ჰქონდა, თითქოს რაღაცას მიშტერებოდა. თავზე მზე მისდგომოდა, სახე ოფლით დანამოდა, ბუზები ეხვეოდნენ, მაგრამ, ეტყობა, ვერა გრძნობდა, არც ჩრდილში გადაინაცვლა, არც ბუზებისთვის ხელი გაუქნევია. ეგ იყო, ბოლოს რომ დააჯდა, ალბათ უკბინა, ისე მკვირცხლად და ძალუმად მოუქნია მუშტი — ლამის გადაყირავდა. სხვები, ვინც წაუძინა, ზოგი ცხენებს შეკაზმავდა და მთისკენ ან რომელიმე სოფლისკენ დაადგებოდა გზას, ზოგი, დასიცხული ცხვარივით „კოსმოსისკენ" წარაცრაცდებოდა, მეტი რა ეკეთებინათ, და შეაჭრიალებდნენ წაბლილ ფიცრის კარს. ახმახი კი რაკი დაწვა — დაწვა, თავიც არ წამოუწევია.

ისევ ცას მოვავლე თვალი და წარმოვიდგინე, შვეულფრენი რომ მოფრენილიყო, რა ამბავი დატრიალდებოდა. გულს ისიც მიწყურავდა — გზაც რომ გახსნილიყო, თუ რაღაც შემთხვევა არა, ჯერ ვერ წავიდოდი: მომცრო თვითმფრინავები დაფრინავდნენ. ერთ გაფრენაზე ოთხ-ხუთ კაცზე მეტს ვერ წაიყვანდნენ. მართალია, დიკლოში მეც ველოდე, მაგრამ ის არ მეთვლებოდა, აქ, ზოგი, მე რომ მოვფრინდი, მაშინდელიდან ელოდებოდა. ვინ იცის ვის როგორ ეჩქარება, ვის რა საქმე აქვს ბარში, წინ ხომ ვერ ჩავე[illegible]მცა. ეჰ, ოღონდ გ[illegible], ოღონდაც იმედი გაჩენილიყო და რაც იქნებოდა იქნებოდა. ეს გაურკვევლობა ამძიმებდა გულს.

ნეტა ისევ სამხედროებს თხოვონ დიდი თვითმფრინავი. — ნატრობდნენ წელან ქალები. ეს ნატვრა მეც ამეკვიატა და ჩქარჩქარა, ჩემდა უნებლიედ გავიფიქრებ: ნეტა დიდი თვითმფრინავი მოფრინდეს... თუ არა და ერთი შვეულმფრენი მარტო ამათ არ ეყოფათ — გავხედე ქუჯის მდადე-ნეფიონს. ისინი უკვე ფეხზე წამომდგარიყვნენ. ქუჯი რაღაც სადღეგრძელოს სვამდა. სიტყვები არ ისმოდა, ბოხი, ლომივით ბდღვინვა მოდიოდა მხოლოდ. ჭიქიანი მარჯვენა პირის სისწვრივ ეჭირა, იდაყვი ოდნავ მაღლა აეწია, ისე, რომ მხარი ჰორიზონტალურად ეკავა და სხვა სიკეთეს — თავდაჭერილობას, თვალტანადობას, ვაჟკაცურ მიმოხვრას, დახვეწილ საუბარს, ისიც თავისებურ შნოს აძლევდა. ეს ისეთი ამაყი და შეუპოვარი ჩანს, ვის რას დაუთმობს, პირველსავე თვითმფრინავს თვითონ დაეპატრონება — გავიფიქრე გუნებაში. ეტყობოდა, პურობას ამთავრებდნენ, მზე მისდგომოდათ, მაგრამ მაგიდა ჩრდილში აღარ გადადგეს. აქამდე არც შემიმჩნევია, კიდევ ერთი, მოსხლეტილი ტანის, ახალგაზრდა მიმატებოდათ. მართლაც ჩქარა დაიშალნენ. სამი კაცი იქვე გამოემშვიდობა და წავიდა, გოგო და ახალგაზრდა ვაჟი ფარდულში შემოჰყვნენ. გასაშლელი საწოლების გამართვაში მიეხმარნენ, მერე საიდანღაც შეშა მოიტანეს და თვითონაც ჩრდილში ჩამოსხდნენ. ქუჯის არ დაუძინია, საწოლზე წამოგორდა, ნებივრობდა.

შუა დღე გადავიდა: დასავლეთის ნიავმა დაუბერა და საამოდ აგრილდა. სოფლის ბოლოში, ძირის გორაზე, ცხენების ჯოგი გადმოჩნდა. წინ წითელთავსაფრიანი ქალი მოუძღოდა. მეწინავე, კვიციანი ცხენის სადავე უკან გაწვდილ მარცხენა ხელში ეჭირა და მოკლე-მოკლე ნაბიჯებით კოხტად მოგო-

გმანებდა. ჯოგს უკან კისერზე მოლტ-გადაკიდებული კაცი მოსდევდა. სათ-ბილობელი ილლიაში ამოეჩარნა, წვივ-საკრავები ჩაჩაროდა, ქალამნიანი ფე-ხების ტყაპუნით მოამტვერებდა ბი-ლიკს. ვეება კეხიანი ცხვირი, ბრტყელი ყურები ჰქონდა და სახემოქურუხე-ბული არწივივით გადმოგვყურებდა. დასაპალნებული ცხენები დაწალიკებით ჩამოდიოდნენ. ჭრელ-ჭრელი, თალხ-ფერმოჭარბებულ ხურჯინებით, წყილ-წყვილად გადაბმული გუდებით და ტომრებით ზურგები ჩაზნექოდათ. გვე-რდით ორი კვიცი და ერთიც შეკმან-ძული, საჯდომი ზერდაგი ულაყი მო-ხალვათობდა. ქალმა მოკლეზე დაუხვია და მეწინავე ახმახის გვერდით, კუთ-ხესთან მოაყენა. დანარჩენი, გაოფლი-ლი ცხენებიც მოქუჩდნენ და ბალახს ქიშვა-ქოშინით დაუწყეს წიწკნა. კაცი წინ წამოვიდა, სათბილობელი და მო-ლტი ბოძის ძირში მიყარა, მოდი, ხელი ამიკარით უთხრა იქვე, ტომარაზე ქე-შად მიწოლილ ბიჭს და სახალთები გახსნა. ხურჯინის ცალი თვალი ასწია, მეორეს ბიჭი შეუდგა, მაგრამ ეტყობა მძიმე იყო, — გაუჭირდა. დიდცხვირამ მიიხედ-მოიხედა.

— მოდი, მომეხმარე, რას წამოწო-ლილხარ! — დაჰყვირა ახმახს. ახმახმა ვერ გაიგო, ისევ მიწას ჩაშტერებოდა. დიდცხვირა ახლო მივიდა. — ეფრო, კაცო, ხო ხედავ, ე ბალღი ვერ მიწევს, ადე, მომეხმარე!

ეფრომ აიხედა, ჯერ გაკვირვებული მიაცქერდა, უყურა, უყურა, მერე მი-იხედ-მოიხედა და დატვირთული ცხე-ნები რომ დაინახა, ეტყობა, მაშინ მი-ხვდა რასაც ეუბნებოდნენ; ზლაზვნით წამოდგა. ჯერ ცხენთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა. ცხენი დაელურსა, მან მაინც ალერსიანად მოუთათუნა ფაფა-რზე, დააწყნარა, წიხლი რომ არ გაექ-ნია, დაარწმუნა, რომ სამტროდ არ მი-დიოდა. მერე ბიჭის მხარეს მიიზლაზნა, მარცხენა ხელი ჯიბიდან არ ამოუღია, მარჯვენა ხურჯინს ყურში ჩაავლო, ციმ-ციმ ასწია, მეორე თვალი ცხვირამ აი-ტაცა, ცხენს ზურგზე გადუტარეს და ფარდულში დადგეს. გუდები და ტომ-რები დაწვენით იყო [illegible]ლი, პირზე მოჭიდებით ვ[illegible]ი-დან მარცხენა მაინც არ ამოუღია, ისევ ცალ, ვეება მარჯვენას ამოსდებდა ქვე-ვიდან, ვითომც არაფერი, მსუბუქად აიღებდა, წამოიღებდნენ და ფროთხი-ლად დადგამდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნათხოვარი ხომ არა აქვს ის ხელი, — ჩაიცინეს ქალებმა.

საპატარძლომ და მისმა თანმხლებმა გოგომაც ჩაიღიმეს. სასიძომ თავი წა-მოყო, დამცინავად, წარბების აჭიმვით ახედა ახმახს და ისევ წამოგორდა.

— ალბათ სტკივა, — თქვა თალხი-ანმა დედაბერმა და ჰკითხა: რა გაქვს ხელზე, რად არ ხმარობ?

ეფრომ არაფერი უპასუხა, ისევ ტო-მრის მოსატანად გაბრუნდა. ფარდულ-ში რომ დადგეს, დედაბერმა კითხვა გა-უმეორა — რადა გტკივა, წამალი ხომ არ გინდა დაგადოთო? მან მაინც არა-ფერი თქვა, მხოლოდ დაუდევრად ჩაიქ-ქნია ხელი.

— მარჯვენა კი როგორი ტორივითა აქვს, — ჩაილაპარაკა ლოყებდაწით-ლებულმა, — ალბათ სულ იმას ხმა-რობს და იმიტომ.

ბარგის მოხსნა-დაბინავებას რომ მო-რჩნენ, დიდცხვირამ ცხენებს ალკაზმუ-ლობა მოხსნა, ფარდულის იქით გადა-რეკა, „კოსმოსიდან" ცოლს საჭმელი გამოუტანა და ეფროს სთხოვა, შევუ-დეთ, ღმერთი ვახსენოთო. ახმახი უა-რობდა, მაგრამ დაიყოლია.

ცხენებმა თვითმფრინავის საჯდომ მოედანზე არ მოძოვეს. ისუნსულეს, ისუნსულეს და არყნარისკენ გაუტიეს. იქ, ჭალისპირას, ექვსი ცხენი სძოვდა. ამათ დანახვაზე ერთი, შავრა აჯილღა გამოეყოთ, თავი ასწია, ყურები დაც-ქვიტა, მჭახედ დაიჭიხვინა და მეწინავე ფაშატთან მოვარდა. აქედან ზერდაგი გაეგება, მერანი გამოდგა, კეთილმოსი-არული, ისე მიქივქივებდა, ზურგზე წყლით სავსე ჭიქა რომ დგმოდა, ალ-ბათ, წვეთი არ დაიღვრებოდა, კისერი გაშმაგებით მოიღერა, გაბრაზებით და-იჭიხვინა და ქანი აიღო. აქ ვერ შევამ-

ჩნია, თუ ასეთი უნაკლო იყო. მხოლოდ ტყირპი ამდაბლებდა, მისი ფაყვავი ჩვენამდე აღწევდა ხუთ-ექვს ნაბიჯზე რომ დაუახლოვდნენ, ორივემ ოთხივე ფეხი წადგა, მიწა ათხარეს, მტვერი აადინეს, ერთიმეორეს მკერდით დაეტაკნენ, ჯერ საკბენად მიიწიეს, მაგრამ პირი ვერ მიატანეს, მაშინ ყალყზე შედგნენ და ფლოქვები დასცხეს. სწრაფად დაეშვნენ ოთხზე, მკვირცხლად შეტრიალდნენ, დაიჭიხვინეს და ახლა წიხლები დაუშინეს. ზერდაგმა იმარჯვა. სიმართლე მისკენ იყო და თავგანწირვაც მას უფრო ეტყობოდა. შავრა აოტა, წინ გაიგდო, ნეკნებთან ისევ წაატანა პირი საკბენლად, ორმოციოდე ნაბიჯზე გააცილა, შემობრუნდა, აფორიაქებულ ფაშატებსა და კვიცებს შემოუარბინა, თავი აწია, ნიკაპი მკერდისკენ მოჭიმა და ღირსებით აღვსილმა მიუხვიხვინა.

კაცს უნდა ჰყავდეს მუხლმაგარი ბედაური — ვფიქრობდი გუნებაში. — დააკარ ტატაზე კარგი ნაბადი, მოახტი, არც არავის ხვეწნა დაგჭირდება, არც არავის ლოდინი. ვერც ლრუბელი შეგიკრავს გზას და ვერც ავდარი. თუნდა მთისკენ გაუტიე, თუნდა ბარისკენ. იმ წუთში იმ გუნებაზე დავდექი, არაფერს დაგიდევდით, მომეპარნა რომელიმე მარდი, ფრთიანი ცხენი და უთენია შევკიდებოდი ბილიკს, მაგრამ სად წახვალ. მაშინვე მოკლეებზე გადაგიჭრიან გზას, ასეთი ცქვიტი ცხენიც არ დაემორჩილება უცხოს.

ცხენები ხომ არ გიშოვოთო? — ჰკითხა ქუჯის ვაჟმა, ულაყების ბრძოლამ გაახსენა ალბათ. ქუჯიმ საცოლეს შეხედა. ქალს სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა, თვალები აენთო და თანხმობის ნიშნად თავი კრძალვით დაუქნია. სასიძო დაფიქრდა, მთებისკენ გაიხედა. ეტყობოდა, გუნებას ერჩეოდა. ქალი გატვრენილი ელოდა, თვალებით ელაციცებოდა.

ყურები ვცქვიტე, თუ ესენი წავლენ, ეგებ მეც ვიშოვო ცხენი, შეიძლება თითონვე დამეხმარონ, მგზავრი ხომ უნდაა შეიქნა. სასიძომ იფიქრა, იფიქრა, ბოლოს ლმობით, რაღაცნაირი მოწყალებით გაუღიმა სა[illegible] ხელი გადაუსვა და [illegible] არ იცი იქ სიარული რა არის. ოთხი დღე იმ საჯანჯველში ვერ შესძლებთ.

— შევძლებ, ცხენით არ ვივლი? — შეჰბედა ქალმა.

— ცხენით! — ჩაიცინა. — ყველგან ცხენით ვერ ივლით. არი და მის ზღაპრულში კისერი მოგწყდება.

ქალმა რაღაც უჩურჩულა, მანაც ხმადაბლა უპასუხა.

— იორლაზე მევსვათ, — გამოუცხარჩლა ვაჟი.

— არა, არა, — უკვე სიმკაცრე ჩაუდგა ხმაში სასიძოს. — დროზე უნდა ჩავიდე, ათასი საქმე მაქვს. ისედაც ამდენს გავცდი — თუმცა მაინც მერყეობდა.

ბრძენს უთქვამს ადამიანს მერყეობაში უფრო ნაკლები უჯდება, ვიდრე სიმტკიცეო, რას გაიგებ...

ქალს აშკარად შეეტყო, რომ გული დასწყდა, თვალებში შუქი მიებჩუტა.

მეც ცივი წყალი გადამესხა. მოწყენილი გავცქეროდი ჩაქუფრულ, მიმკვდარებულ ღრუბლებს და ბრაზი მომდიოდა. ისევ ფიქრებმა წამიღო. არ ვიცი რამ გამახსენა, გულისხმას რომ მოვედი ვაშის ლექს ჩავკირკიტებდი. ეს თქმულება დიდი ხნის წინ მქონდა გაგონილი და ზეროქვეყრედ მახსოვდა:

„ვაში ვერ უცნავ დედასა
სხვა ვაში ჰგონებიაო...

მერე:

სამთვე ზვავის ქვეშ ვატარე
მარტი, აპრილი, მაისი.
დათვი ტყავითურთ შევჭამე,
რას შეგყოფოდი მე ისი...

ვაშის თავგადამხდარი რაღაც-რაღაცეები მაგონდებოდა, ამ ვითარებაში კი თანდათან უფრო სრულად წარმოვიდგინე: ვაში დათვს კვალში ჩაუდგა. დათვი კოჭლობდა, თათში იყო დაკოდილი. მარჯვედ ვერ გაეცალა, საწკივარი არ უშვებდა, ვერსაით გიპარა, ვერც სადმე დაემალა. ვერც კვალი აურია. გაავებულმა ჩასაფრებაც სცადა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მარყუჟი“ გაუკეთა: ბექობს შემოუარა და თავისი ნაკვალევის სიახლოვეს, სამი-ოთხი ნახტომის მანძილზე ჩასაფრდა. მაგრამ ვაში გამოცდილი იყო, ესეც გაუგო. კვალს კი აღარ მიჰყვა, ზურგიდან მოუარა. მაშინ დევნილმა უკანასკნელი ღონე იხმარა: თავი საფრთხეში ჩაიგდო. თვითონაც ეწამა, მდევნელიც დატანჯა. ქეო-ღრანტეებში ბორდღვით და მოსასხლეტად დამსკდარ-ანაოჭებულ ზვავის მისადგომებთან აიყვანა ძიომაზე. საქან ღარტაფში რომ შეიტყუა, მაშინ მოუბრუნდა:

— რას დამდევ, ადამიანო, რა დაგიშავე? შენთვის საქონი არ დამიზარალებია და ყანა. მე ჩემი წილი მზე მყოფნის, რას მერჩი, მხედავ ნატყვიარი მჭირს, რა ვაჟკაცობაა იარალიანისგან დაჯაბნილი მეტოქის დაბრიყვება. ნუ მომკლავ, თორემ ცოდვა დაგლუპავს — უთხრა და თვალი ალმაცერად გააპარა ზვავისკენ. იმედოვნებდა, ადამიანი აქ თოფს არ გაისროდა. მაგრამ მოტყუვდა. მას წარმოდგენა არა ჰქონდა ადამის მოდგმის დიდ სენზე — პატივმოყვარეობაზე, რომ ის ნადირივით ფრთხილი კი არა, თვით სტიქიის წინაშეც ბრიყვია და წინდაუხედავია. მას სისხლში აქვს გადაჭარბებული წარმოდგენები თავის სიძლიერეზე, ყოვლის შემძლეობაზე. კაცის მოდგმასთან შედარებით ყველაფერი უბადრუკი ჰგონია, ფიქრობს, რომ ამ ქვეყნად ყოველივე მხოლოდ მისთვის, მის საგამგებლოდ არის გაჩენილი.

ვაშიმ ჩაიცინა. თოფი შემართა და ესროლა. დათვი დაიჭრა, დაგორდა, ამ დროს, თითქოს თოფის ქუხილს გაეპასუხაო — სიპიანმა ფერდამაც იჭექა, ზვავი დაქანდა. თოვლი დაგუბებული წყალივით მოზღვავდა, შემზარავად აშიშინდა, ბუქი ცაში აისროლა, მზე დააბნელა, აგუგუნდა, ჩაიქცა და ორივენი თან ჩაიტანა. ზვავის ძლევამოსილებამ ადამიანსა და დათვს შორის მტრობა წუთით გააქრო. ერთი ხვედრის, ერთნაირ გაჭირვებაში მყოფნი ღვიძლი ძმებივით იბრძოდნენ თავის დასახსნელად, ბედად ცოცხალნი გადარჩნენ. გადაიქუხა შემოუსვენელმა ბობოქრობამ, გონს მო[illegible] ზარმა და ისევ ქიშპი — სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იმართება. ახლა უკვე ერთის გადარჩენას მეორის გაწირვა სჭირდებოდა.

ვცდილობდი თვალნათლივ წარმომედგინა მათი შერკინება, მართლაც საარსებო, ყოფნა-არყოფნისა როგორი საქმეა ზვავიდან თავის დაღწევა. ერთიმეორეში აირია შიში ბნელ-უკუნეთის, მომწყვდევა-შებოჭვის. შიმშილ-სიცივის, ბოლოს იმის მიმართ, ვინც ამ დღეში ჩააყენა, ბოლოს იმის მიმართ, ვინც მის პატივმოყვარეობას კლანჭი გაჰკრა. ახლა ყოველივე სიმარჯვეზე ეკიდა... კაცმა სძლია, დათვი მოკლა. ტყავიანურთ შევჭამეო — აქი ამბობს, მეტი გზა არც ჰქონდა, სამი თვე ამ თეთრ საპყრობილეში იმით ირჩინა თავი, ცოცხალი დარჩა. მაგრამ როგორი გასაძლები იქნებოდა სამი თვე უიმედო ლოდინში, შებოჭილი, თეთრ, სვეტაკ საბურველში. მაგრამ უსინათლოდ, დათვის უმი, ბალნიანი ლეშის ჭამაში. ამაოდ ელოდა ხალვათობას. უფრო და უფრო მკვრივდებოდა, ანთოლი ხდებოდა თოვლი. კაცს თავისუფლება ისე მოსურვებია, ისე მოსურვებია, ისე მონატრებია — სასწაული გამოუწვევია, გული ანთებია, აგიზგიზებია, ზვავი დაუდნია, ნათელი დასდგომია, ხელფეხი გახსნია, განთავისუფლებულა.

შინ რომ მოსულა „ვაში ვერ უცნავ დედასა, სხვა ვაში ჰგონებიაო“... ამის მომდევნო სტრიქონები ველარ გავიხსენე. არ ვიცი მეხსიერებას რამე შემოჩა თუ ალლო მკარნახობდა, ისე წარმომესახა, რომ დედას თავისი ბედდამწვარი, ნატანჯი შვილი სულეთიდან მოსული ეგონა, რადგან მას თავისი სულდგმა ცეცხლად გაეხარჯნა. სხეული დასდნობოდა, ტყავ-ჩონჩხად ქცეულიყო, ხოლო ავარდნილ ალს თმა-წვერი გადაებუგა. დედა, მგონია, თვალს არიდებდა ამ მოჩვენებას. ღვთის გულისთვის, მოწყალება მაინც გაულია, მიუპატიჟნია, ცეცხლი დაუნთია, გაუთბია, უსმევ-უჭმევია. მშობლიური სითბოთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულაჩუყებულ შვილს, ბოლოს ველარ მოუთმენია, შენი ვაში ვარო, გაუმხელია. დედას ელდა ცემია, იქვე გათავებულა. ველარც ვაშის უმაგრია. იმდენ ხანს თოვლ-ყინულში დამზრალი ცეცხლს გაულღვია და დალვენთილა...

მახსოვს, როცა ეს მთქმელმა, მიხეილ ლიქოკელმა მიამბო, ჯერ შემახსენა, ნამცივნი კაცი ცეცხლთან არ უნდა მიიყვანოო, მერე დაფიქრდა, ეტყობოდა, მისი გონება ვაშის დასტრიალებდა, კარგა ხანს იჯდა გარინდებული. არ ვიცი ვაში მან გულანთებული წარმოიდგინა თუ ცეცხლთან მიფიცხებული, მოგვიანებით ხელი ასწია და მტკიცედ, თან ნაღვლიანად დასძინა: — ამ დროს ცეცხლი საშიშია!

„ვაში ვერ უცნავ დედასა"...

— იიი! — „კოსმოსის" კართან კივილი გაისმა. დიდცხვირა იყო. ქუდი მოიხადა, მაღლა ასწია. — ჰაიტ, დედასა! — ახმახს ხელი მოხვია, ბარგანბარგანით წამოვიდნენ. ქალებს რომ მიუახლოვდნენ, ხელები ისე გაშალა, თითქოს ყველა ერთნაირად უნდა გულში ჩაიკრასო და „თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარო", რიხიანად დასძინა. ეფრო ისევ ყურებჩამოყრილი იყო, არავისთვის შეუხედავს, შემოვიდნენ ჩრდილში, დაწვნენ და დაიძინეს. ცოტა ხნის შემდეგ ეფრო ისევ მიქადლებული იწვა — თავწამოწეული, ფიქრით შენალონები. მარჯვენა იდაყვი ხურჯინზე დაეყრდნო, ხელი თავქვეშ ამოედო და კვლავ თვალებღია თვლემდა.

მზე დაეწვერა. ის დრო იყო, სიცხესიცივე მიმოქცევის გაცვლას აპირებდა. ბუნება ერთხანს გაირინდა, ფოთოლიც აღარ ტოკავდა. ხელახლა წამოიშალნენ ყურებდაცქვეტილი ბავშვები. გაცვივდნენ ფარდულიდან. უფროსებთან რომ არ შერცხვენილიყვნენ, ჯერ გაცქნაფულნი, სმენად ქცეულნი აცეცებდნენ ულელტეხილისაკენ თვალებს, მაგრამ ლოდინით გაწამებულ ხალხს რას გამოაპარებდნენ, ქალი და კაცი ერთბაშად წამოიშალა, აყაყანდნენ, ცას მიაჩერდნენ... მაშინ ბავშვებიც აყივყივდნენ და მტკიცებას მოჰყვნენ. ნამდვილად გავიგეთ, ჩვენი ყუ[illegible]ნეთ, თვითმფრინავის [illegible].

— ტყუილად ელოდებით, დღეს აღარ მოფრინდება! — თავისებურად, თავდაჯერებულად თქვა სასიძომ და მხარი იცვალა.

ნათქვამი უსიამოდ მომხვდა ყურში. განსაკუთრებით ის შეუვალი ტონი არ მომეწონა, ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ ქალებს უყვარდეთ. — გამკრა გუნებაში.

— საიდან იცი? — შეესიტყვა საცოლე.

— ვიცი. მზე რომ ჩავა, ფრენის უფლება აღარა აქვთ.

— მზის ჩასვლამდე ჯერ დროა.

— ჯერ გზაც არ გახსნილა.

ქალი ჩაფიქრდა. მერე, ალბათ, რაღაც გაახსენდა, ნაჩქარევად შეედავა.

— ეგენი ზოგჯერ მუალამისასაც დაფრინავენ ხოლმე.

— რასაც ვამბობ ვიცი კიდეც და რატომ მედავები? აქ მთა არის, — საქმროს ხმაში ისევ ის მკაცრი, მედიდური ტონი ხმიერებდა.

— სხვას მაინც არ უნდა გაუტეხო გული. — ჩაილაპარაკა ქალმა და გაჩუმდა.

აქ ჯდომას უკვე ველარ ვიტანდი. მინდოდა სადმე წავსულიყავი, ამ ლოდინს გავცლოდი, მაგრამ სად? თანაც რაღაცის იმედი მაინც მბორკავდა. ვგრძნობდი, მართლაც, აღარაფერი მოფრინდებოდა, მაგრამ ფეხი ვერ გავადგი.

უწინდებურად, მზე რომ მიუახლოვდა, ღრუბლებმა დაშრეტა დაიწყო. მნათობი ნელ-ნელა, ნარნარად ეშვებოდა და ქედის ზემოთ, ასე ოთხი თითის დადებაზე რომ დაბრძანდა, ღრუბლის ნატამალი აღარსად იყო. თუმცა აღარც თვითმფრინავის მოფრენის დრო რჩებოდა. ვილაც თმახოტორა, გულგადაღეღილი ბიჭი არყის ზროზე აცოცდა, ფეხები და ცალი ხელი მჭიდროდ შემოხვია, მეორე ხელი პირთან რუპორივით დაიჭირა და ვაგზლის დიქტორივით ლექსით გადმოგვძახა:

— მოქალაქე მგზავრებო, ფრენა დილისთვის გადაიდო! — გაიკრიჭა და მოწხლეტით ჩამოცურდა.

სასიძომ ნიშნისგებით მიუღიმილა საცოლეს და თვალი ჩაუკრა. — ეგეც შენ, ხომ გითხარიო.

ქალს სიწითლემ გადაჰკრა. წამოდგა. გავისეირნებთო — უთხრა და თანმხლებ გოგოს მხარზე დაადო ხელი. სასიძომ ისე გაშალა მკლავები, სხვას არაფერს ნიშნავდა — მიბრძანდით ნება თქვენიაო.

დილამდე მშვიდად შემეძლო ყოფნა, თითქოს ლოდი მომეხსნა. გავლა მეც მინდოდა, მაგრამ ზურგჩანთაზე მივესვენე. გულიდან უქმური გადამყროდა.

ქალებმა ცოტა შეიგვიანეს. ველტყიანში ხან გამოჩნდებოდნენ, ხან თვალს მიეფარებოდნენ, რაღაცას ეძებდნენ. სასიძოს ერთთავად მათკენ ჰქონდა თვალი. შუქი ჩართეს, ბინდი იპარებოდა, როცა მოვიდნენ. საპატარძლოს ორივე ხელში სოკოები აეგროვებინა.

— ნახე რამდენი სოკო ვიპოვეთ! — შორიახლოდან მოუღიმილა საქმროს.

— სოკო?! — ფეხზე წამოდგა სასიძო. — მოაშორე თუ ღმერთი გწამს, სოკოს ენდობი, თანაც მიწისას!

— ქამა სოკოა, იცი რა გემრიელია! ისე საყვარლად იყო ამობუთქული, დამწვარი თეთრი კირქვები გეგონებოდა. ნახე კანი როგორა აქვს დამსკდარ-გარუხებული. ზოგი ბალახებში, განაბულიყო.

— გადაყარე, თვალით არ დამანახო. მე რომ მაგის ამბავი ვიცი, ხელები კარგად დაიბანე!

ქალს ღიმილი ჩაუქრა. აღარც გადასაყრელად ემეტებოდა, ვეღარც საქმროს წინ წასულიყო. გაწბილებული იდგა.

— მოგვეცი, ჩვენ მოგვეცი, — უთხრა ახმახმა და წამოდგა. ქალმა ჯერ მისვლა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, შენ რაღად უნდა მოგწამლოსო, დაიმორცხვა.

— მოგვწამლოს, — თვალების ფშვნეტით წამოხტა დიდცხვირა. ქალმა ისევ დაიუარა, მაგრამ გამოართვა, ნაბდის კალთაზე დაუყარ[illegible]ლის ანთებას შეუდგა. ის [illegible]ი დიდხანს ელიჯინა ახალ ყოილებს — დარჩით, ჩვენთან წავიდეთ, სათევზაოდ გავიაროთ, ილიურთაში დღეობაა, გზა რომ გაიხსნება, მაშინ ჩამოვიდეთო. სასიძო მტკიცე უარზე დადგა, სადა მცალია, ათასი საქმე მაქვსო. რაკი ვერ დაიყოლია, ვაჟმა გოგო განზე გაიხმო და ახლა იმას ებუტბუტა. გოგო უარის ნიშნად თავს აქნევდა. ბოლოს ვაჟი ტიტველა ცხენზე გადაჯდა და წავიდა. ხალხიც ნელ-ნელა გაიკრიფა. დანარჩენები ფარდულში, თითქმის მთელ სიგრძეში გაიშალნენ. ვინც როგორ მოითავხელა, ისე მოეწყო. ღია ცის ქვეშ არავინ დაწოლილა — ცვარს არ დაენამა.

მთვარეს უკვე ძალა მიეცა, არემარეს მკრთალი ნათელი მოჰფინა. ნელ-ნელა ავედი გორზე, ბუსნოზე წამოვწექი და დიდხანს, დიდხანს გავცქეროდი მთების ღამეულ, თვალმაქც სახებას.

ფარდულში ცეცხლი ციმციმებდა. ხან აპრიალდებოდა, ხან ბჟუტავდა. უკან რომ დავბრუნდი, ყველას ეძინა, მხოლოდ ახმახი და დიდცხვირა ისხდნენ ცეცხლაპირას, წინ ტილო გაეფინათ, ზედ პური, ყველის ნაფხვენი და შემწვარი სოკო გაეშალნათ. ერთი ბოთლი ქიპიტაური გამოეცალნათ და მეორეს შებმოდნენ. ახმახი რაღაცას ყვებოდა, რომ მოვედი, გაჩუმდა. მიმიწვიეს. გვიანია, დავიძინებ-მეთქი — მადლობა მოვუხადე. მაშინ დაგვლოცეო — ჭიქა მომაწოდეს. დავლოცე. ცხვირამ ნაკორჩხლებიდან სოკოები ამოყარა და ახლა ის შემომთავაზეს. გავსინჯე. მართლაც გემრიელი იყო, თუმცა რაკი მოწამვლა ითქვა, ეჭვით დავიგემოვე. ღამე მშვიდობისა ვუსურვე, საძილე ტომარაში ჩავძვერი, თავით ზურგჩანთა ამოვიდე და მივწექი. ცხვირამ შეშა შეუკეთა, ახმახმა განაგრძო:

— ესე, რო წელიწადში ორჯერ ვნახულობდი, შირაქში ჩავლისას და ამოვლისას. სწორებში წინ წამოდგებოდა,

ცხვარს უყურებდა, დრო და დრო, ბატკანი რომ მოეწონებოდა, სტაცებდა ხელს, ლოყაზე მიიხუტებდა და მაშინვე გაუშვებდა. ვგრძნობდი, თვალქვეშ ვყავდი, მაგრამ პირდაპირ არ შემომხედავდა. მე ელეთმელეთი დამემართებოდა, ფეხები მებმოდა. ახლოს რომ მოვიდოდი, მაშინ შემომანათებდა თვალებს, დამორცხვით ჩაიღიმებდა, გაიქცეოდა და დაიმალებოდა. აი, ეს ღიმილი და შემოხედვა თითქმის ნახევარი წელი მყოფნიდა. ბევრჯერ ჩემ თავზე ვბრაზობდი — მაშ ვერ უნდა დავლაპარაკებოდი, მეთქვა რამე, ხმა მაინც გამეგო-მეთქი. ან სახელი მეკითხა ან წყალი მეთხოვა...

ჩამძინებოდა. რომ გამომეღვიძა, ისევ ბუტბუტებდნენ. რაში ენაღვლებოდათ; დილით იძინეს, ახლა, სიგრილეში მყუდროდ ისხდნენ და გულის ჭიას იკლავდნენ. უცბათ თვითმფრინავის ხმა შემომესმა და მაშინვე მიყუჩდა. სმენა დავძაბე. ჩქარ-ჩქარა აზუზუნდებოდა — მიჩუმდებოდა, აზუზუნდებოდა — მიჩუმდებოდა. წამოვწიე თავი, იქაობა მოვათვალიერე და რას ვხედავ: ფიცრების გროვასთან მიდგმულ ჭუჭყიან მინის ქილაში ფუტკარი ჩასულა და ველარ ამოდიოდა. დღეს რამდენჯერ აგვაფორიაქა-მეთქი, გამეცინა. ამასობაში გამოვფხიზლდი.

— ვერ გაძლებ-მეთქი, ვუთხარი. — ძილის წინ, მეზღაპრეს ნაუბარივით ჩამესმა ახმახის ხმა. — საშიშია, სადმე არ გადავარდე დაგორდე, ან ნადირისა არ შეგეშინდეს, ან ჭექა-ქუხილისა, რა ვიცი. შენთან რისა უნდა შემეშინდესო. ეგ ძალიან კარგი, მაგრამ მოგწყინდება-მეთქი. მე ცხვარს უნდა ვდიო. შენ დამლაპარაკებელი ხომ გინდა, ვინმე ხომ უნდა გყავდეს გვერდში... არა შენთან რა მომაწყენსო. აქ, ლოდინი უფრო გაუსაძლისი იქნება. სულ შენზე უნდა ვიფიქრო, ვინაღვლო, იქ, ის მაინც მეცოდინება, საღამოს ჩემთან მოხვალ, ჩემთან იქნები, მე მეტი არა მინდარაო. ხომ იცი, თუ ქალმა გაიწია... მეც გამიხარდა, კეთილი და პატიოსანი, წამოვიდეს, ჩემთვისაც სჯობია-მეთქი. ფერმის გამგეს ვუთხარი. [illegible]-ეგროვა ჩემი საქმე და ბატკნები [illegible] ვი. ახლა სხვამ [illegible] ხელები. ხვთის წინაშე, უარი არ ამითქვამს. გამიშვა, კარგი, მუხლიანი ოროლა მყავდა. ჭკვიანი. იგეთი დინჯი იყო, ვიწროებში რო გადიოდა მათრახი დაგეკრა ან იქვე მგელს დაეყმუვლნა — არ შეფრთხვებოდა. შევსვი და წავიყვანე. დავარჩიეთ ბატკანი. ორი ძაღლი გავიყოლე. ერთი მე, მეორე ხვადი, ბოლოვეროს ვეძახდი. და ბალახს ნელნელა ავყევით. ბალღივით ხარობდა. ძალიან მოსწონდა მთები. გადასახედი ან რომელიმე ადგილი განსაკუთრებით რომელიც მოეწონებოდა — სამოთხის კარი გაეხსნებოდა. საათობით იდგა და უყურებდა. შეფოფინებდა, გული ზედ შევარდებოდა. ხან ბატკნებს ესაყვარლებოდა, ხან ცხენს სამურველით ჩა[illegible] მოწკეპავდა, ფაფარს დაუწნავდა. დაჰკრეფდა მთის ყვავილებს, ნაირ-ნაირ თაიგულებს შეჰკრავდა. ბალახისაგან დაწნავდა ბეჭედს და ყვავილს თვალს ისე ჩაუსვამდა, ნამდვილი ოსტატის ნაკეთები გეგონებოდა. დაწნავდა საქორწინო გვირგვინებს. სადაც ლამაზ ხეს ან კლდეს ვნახავდით, დამაჩოქებდა, დაიჩოქებდა, დავადგამდი გვირგვინს, დავიდგამდი მეც. და ვინ იცის მერამდენჯერ, ვითომ ჯვარს ვიწერდით, ნაზი, წკრიალა ხმით აღუღუნდებოდა:

— ღმერთო, აბედნიერე მონა შენი ეფრო და მხევალი შენი ანანო, მოუტევე რამე თუ ცოდვა...—ისე ტკბილად გალობდა, თავი სადმე წმინდა ადგილზე სასუფეველში მეგონა ხოლმე. მერე ბალახის ბეჭდებით დავნიშნავდით ერთიმეორეს, ჯერ მე, მერე ის, და ნაზად, როგორც ღვთის წინაშე მავედრებელ ახალშეუღლებულებს შეჰფერით.

— ვეამბორებოდით. ჯერ დაიმორცხვებდა, თავს კდემით დახრიდა, მერე უცბათ აკისკისდებოდა, გადაირეოდა, დაივიწყებდა ყველაფერს, აცეტდებოდა, შემინთებდა ცეცხლს, გადამრევდა მეც, ამოდენა კაცს ლამის მომახრჩობდა. მერე უცბათ გამისხლტებოდა, გამექცეოდა. გავედევნებოდი, მეშინოდა

ფეხი არ დაუცდეს, არსად დამიგორდეს, არაფერი იმზნიოს. მაგრამ როგორც ნიამორი, ისე დაქროდა. გეგონებოდა, აქ დაბადებულა და გაზრდილაო. აბა, იქ ვინა გვხედავდა, თუმცა, ხომ იცი, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, მოფარებულ, მყუდრო ადგილზე მოვიმწყვდევდი, დავიჭერდი და იმ ათრთოლებულ, ჩიტივით გულაფრთხალებულს რომ ჩავიკრავდი, თითქოს პირველად ეხლა შევეხეო, იგრე დამესიზმრდა თავბრუ.

ხო იცი, ბატკანს ერთი კვირა უჭირს, სანამ დედას გადაეჩვევა. დარბოდნენ, ბღაოდნენ, დედას ეძებდნენ — იმათი ცოდვით აღარ ვიყავი. შეჰკუჩდებოდნენ ერთად, ჯგლეთავდნენ, ლამის ერთიმეორეს ჰყლეტავდნენ, მერე რომელიმეს რაღაცა მოეჩვენებოდა, გაიქცეოდა ბღავილით, გაცვივდებოდნენ სხვებიც იქით და იყო ერთი რია-რია. ანანო რო არა, ამ ცოდვის ტრიალს ვერ გავუძლებდი. იმან გადაგვატანინა. არ ვიცი ქალი რო იყო, დედას ამსგავსებდნენ, დედის სუნი უდიოდა თუ რა, შემოეხვეოდნენ, ლოკავდნენ, შესტიროდნენ, ეფოფინებოდნენ. ისიც ეფერებოდა, მარილს ალოკებდა, ქეჩოს ფხანდა... მუდამ მათ უკან ხო ვერ ივლიდა, ზოგჯერ გავგზავნიდი. ვეტყოდი, ბილიკბილიკ იარე და, გორს რომ გადახვალ შემაღლებულზე სადმე დამელოდე-მეთქი. ფერდას მოვატარებდი, ნელ-ნელა გადავყვებოდი; ზოგჯერ გავსხლეტავდი, გავანაწილებდი, ერთიმეორეს მიმხედვარე რო არ ერბინათ, და აი, დავიგულებდი — გემრიელად ჭამდნენ, ანანოსკენ ფრთხილად გავეპარებოდი. რა ფრთხილად. გავიხედავდი, როგორც კი ამიცდენდნენ თვალს, ჩემზე წინ ისინი გარბოდნენ. ვინლა მისმენდა. ერთი ბღავილითა და ალიაქოთით მიქროდნენ, გავიქცეოდი მეცა და, ვინ წინა და ვინ უკან, მისწრებაზე ვიყავით. დაგვინახავდა და; ის თავის მხრივ გაიხარებდა, გაცოცხლდებოდა, გაშლიდა ხელებს, გამოიქცეოდა, იცინოდა, კუჭკუჭდებოდა... ძაღლებიც მოცვივოდნენ, აცმუტდებოდნენ, ელაქუცებოდნენ. ეკუდმეტუნებოდნენ. დავეხვეოდით.

ეფრომ თხრობა უეცრად შეწყვიტა. ერთხანს ჩაფიქრებული ჩაჰყურებდა ცეცხლს, მერე ლუდი მოსვა და დინჯად, ხმადაბლა ჰკითხა: მგონია ფიქრობ, რამ გამოასულელა ეს კაცი, რომდის იყო ცოლზე ეგეთ რამეებს ლაპარაკობდნენო. ეს ვაჟკაცის წესი არ არის, მაგრამ მისხის-მისხად იმიტომ გიყვები, მინდა ყველაფერი როგორც იყო, ისე იცოდე, რა მოხდა, როგორ მოხდა. ეგებ რამე მირჩიო, გზაზე დამაყენო, თორემ გავთავდი კაცი, ლამის ჭკუიდან გადავიდე.

— თქვი, კაცო, თქვი გულზე მოგეშვება. — ალალად შეაგულიანა დიდცხვირამ. ჩემთან რა გეთაკილება!

ახმახი მაინც დიდხანს ჰოჭმანობდა. ალბათ გუნებას ერჩოდა, რა ეთქვა, რა არა, რით დაეწყო. ბოლოს, როგორც იქნა, მოხსნა პირი: — კვირის თავზე საბატკნეებს მივაღწიეთ. ზვავიან გორზე, პირიმზის მხარეს, ფრიალოების თავზე ეხია. იმაში დავბინავდით. იმ სატიალოში თავიდანვე არ მიმწევდა გული. თვალუწვდენელი ფრიალო სულ რაღაც თვრამეტ-ოც ნაბიჯზეა და მეშინოდა არ გადმოვარდეს მეთქი. არადა იმაზე უკეთესი ადგილი იქ ახლომახლო არ არის. იქიდან რო გაიხედგამოიხედავ, თვალ-გული გაგეხსნება. ზევით მწვერვალები, ქვევით ხეობები — ხელის გულივით ჩანს. ქარი ნაკლებად იცის, ნიავი მუდმივად უქროქროლებს, ამიტომ ბუზი არ არის. წყარო ახლო, იქვე ზვავი, რასაც გინდა შეინახავ, არ გაგიფუჭდება... სიფრთხილეს თავი არა სტკივა-მეთქი, ლატნები ამოვზიდე, ნაპირიდან ორი ნაბიჯის მოშორებით, ვინიცობაა წასწყვეტებოდა, მანძილი ჰქონოდა. მანები ჩავარჭე და წნელებით მაგრად შევკარი.

— გადახირხლე.

— ჰო, გადავხირხლე. აკი გეუბნები, ამეკვიატა შიში, ღამე, ბნელაში, მხარი არ მოექცეს ან ფეხი არ დაუსხლტეს, ან ქარმა არ დააბარგანოს.. ხო იცი, ცუდ ამინდში რა ამბავია ხოლმე. ბნე-

ლაში ლატნები რო კარგად გამოჩენილიყო — გადავქერქე, სულ თეთრად ბრიალებდა. ეხი პატარა იყო, რაც ერთი კაცი მოთავსდებოდა. მივადექი, გამოვთხარე, გავაფართოე. ცუდი სათხრელი იყო, ნამცეც-ნამცეც გამოვიდე. ისიც მეხმარებოდა, ძალიან მოიწადინა. მე რო ვთხრიდი, ის ბატკანს მწყემსავდა. ბატკანს რომ გავლალავდი — ის თხრიდა. ეხი კარგია, ეგ დალოცვილი, ავდარია, შენია, ცივა თუ ცხელა — ყოველთვის კარგია. იქ კიდე, აბა, ერთთავად შექა-ქუხილია. ხან სეტყვა დაუშენდა. ხან თოვლს წამოყრიდა... ამოვზიდე არყის რბილი, სწორი სარები. მაღლიანი, განიერი ტახტი მოვაწყე. ნეშო ბლომად დავფინე — იმაზე წოლა-ალერსს არაფერი სჯობდა. თუმცა, მე როგორც მიჩვეული ვიყავი, მწყემსურად, მიწაზე მერჩივნა წოლა. — ეფრომ ირიბად გახედა ცხვირას და ჩაიღიმა. — მყარად რო ხარ, სულ სხვაა. ტახტზე ერთთავად იმისი უნდა გეშინოდეს, ან ეხლა ჩამენგრევა, ან ეხლაო. სოლცარი ის იყო, იმ კაი ქალს, ერთ გუნებაზე ვერ ნახავდი. ამ წუთს რომ იცინოდა, მეორე წუთს რაღაც შარს მომიდებდა. ხან იმაზე გამებუტებოდა, გულით არ მომეფერეო. ახლა იმაზე გამიბრაზდებოდა, აღარ მასვენებ, დავიღალე, დამამძინეო. შეხედავდი — დარბაისელი იყო, გვერდზე გახედვას ვერ მოასწრებდი — იგრე გასულელდებოდა, აგრე მოიმხიარულებდა — გადამრევდა. ზოგჯერ გულთან მიმქონდა იმისი ხუნდრუკები, მართალი მეგონა, გავეხვეოდი ნაბადში და მივწვებოდი მიწაზე. ის სამილე ტომარას ბოლომდე შეიკრავდა, წაიბურავდა თავზე და ზურგს შემომიქცევდა. ჯერ ჩაძინებული არ ვიყავი, აჩუჩუნდებოდა, ჩააჩხველებდა, რაღაცას ჩამოაგდებდა ან ფეხს წაჰკრავდა ტაახმაურებდა და გძინავს? — შემეკითხებოდა. ხმას რომ არ გავცემდი, შემიჩნდებოდა გძინავს? გძინავს? და თან ხელს წამკრავდა, შემანჯღრევდა რა დამაძინებდა. ხან ვითომ რაღაც ხმა შემოესმა და შეეშინდა. რა არი? რა იყო? — იკითხავდა. მე თავს მოვიმძინარებდი. ნელ-ნელა გახსნიდა სამილე ტომარას [illegible]ბოდა და ნაბადქვეშ [illegible]. მაშინაც, ეგეთ დროსაც, ერთხელ ნამოქმედარს აღარ გაიმეორებდა. ერთხელ რომ ფეხაკრეფით მომეპარებოდა, მეორეთ ფოცხვერივით დამახტებოდა. ხან თონესავით ცხელი იყო, ხან, ალბათ წინასწარ გადაიხდიდა,—ყინულივით ცივი. ახლა იმაზე მომდებდა შარს—ნაბადი უხეშია, ვერ ავიტანე, მცივაო, ფეხი ვერ გავშალეო და იმდენს იზამდა, იმდენს, ისევ ტახტზე გადამიყვანდა. ცისკარი რო ამოყოფდა თავს — გამექცეოდა, სირცხვილია, ერთად მწოლიარე არ დაგვინახოსო. მაშინღა წავთვლემდი. როგორც კი ინათებდა, ფრთხილად გამოვიდოდი და ბატკანს გავუდილავებდი.

ეხლა რო ვფიქრობ, ეგრე იმიტომ იქცეოდა, ჩვენი ერთად ყოფნა მოსაწყენი არ გამხდარიყო, დღე დღეს არ დამსგავსებოდა. ალბათ მაგის წყალობით ვიყავით ბედნიერები, ცხოვრებას ზევიდან, ღმერთების საბრძანებლიდან დავყურებდით...

ალაზნის ხეობის მხრიდან რაღაც ხმები ისმოდა. მივაყურადე. თითქოს მამლის ყივილს გავდა, თითქოს ადამიანის ძახილს — ვერ ვარჩევდი. მერე გორის ფერდიდან მკვეთრად გაისმა: — თევდორე! თევდორე!

აჰ, თილილი, მეჩიამოვნა, თითქოს მისმა შეწუხებულმა ძახილმა ტანში დამზარზარა. დედალი უხმობდა გულისტოლს. — თევდორე, თევდორე! თევდორე არ პასუხობდა. ეტყობა ასცდნენ ერთიმეორეს, ვინ იცის რა დაემართა. მდედრი კი სასოწარკვეთილი, მონატრებული უხმობდა. ხან აქ გაისმოდა ძახილი, ხან იქ. პასუხად ღამის რომელიღაც ფრინველმა მჭახედ, ზედიზედ დაიკივლა:

— კია, კია, კია! — ბოლოს შეძახილი ისე უცბათ მიჩუმდა, სადღაც სიღრმიდან ისე გაისმა — თითქოს უფსკრულში ჩავშვათ. არ ვიცი ახმახიც ფრინველებს უგდებდა ყურს თუ რამე ისეთი გაახსენდა — გაჩუმდა. კარ-

[illegible]

განანს მდუმარედ იყო. ან, ეგებ, იმ ბედნიერების წუთებს იგონებდა. ადამიანები ხომ ასეთები ვართ — ბედნიერებას თავის დროზე სრულად ვერ აღვიქვამთ, ეს ჩვეულებრივი ხვედრი გვგონია, უფრო მეტიც უკეთესსაც მოველით. როცა დავკარგავთ — მაშინ მივხვდებით რა საუნჯე გვქონია. მხოლოდ გონებას შემორჩება ყველაზე ძვირფასი, საუკვარი მოგონებანი. მოგონებანი, რომელსაც თანდათან შევალამაზებთ, გავაბრჭყვიალებთ. ახმახი, ლაპარაკზე ეტყობოდა, დაკარგულ ბედნიერებას მისტიროდა, თავი უბედურად მიაჩნდა. თუმცა, ადამიანი, ალბათ მაშინაც ბედნიერია, როცა ტკბილად მოსაგონარი გააჩნია, რადგან სიცოცხლის ცარიელ, უმოქმედო, უშინაარსო წუთებს მასზე საამო ოცნებით ავსებს. ეფროს დღევანდელი ძილ-ღვიძილი, მე რომ უაზროდ და უგუნურებად მიმაჩნდა — შინაარსიანი გამოდგა. თურმე კაცი იმ დაკარგულ, მაგრამ კეთილად საგონარით სულდგუმლობდა, ნეტარ სახსენებელ ფიქრებში ყოფილა, და რა განსხვავებაა ცხოვრებისეულ, რეალურ სიამოვნებასა და ოცნებისას განცდილს შორის? ალბათ არაფერი. და აი, თითქოს ჩემს ნაფიქრალს მიმიხვდა — თვითონაც უთხრა ცხვირას:

— ცხოვრებაში უკეთესი, უფრო ტკბილად გასახსენებელი არაფერი მაქვს, არაფერი მინახავს... ე, ტიალი სასმელიც შემიჯდა, ამაჭიკჭიკა და, კაცურად, ნუ დამძრახავ თუ რამე წამოვროშე.

— სიყვარულზე მეტი ჭირი და ლხინი ღმერთს არ გაუჩენიაო, ვაჟამ თქვა — პირი ყურებამდე გაეხსნა ცხვირას. — საინტერესოა. მაგათგანა გვჭირს ყველაფერი.

— ეჰ, მოსასმენად შეიძლება საინტერესოა, თავზე გადახდაა ძნელი. ჩემი გული არ დამცინის — რასაც გეუბნები, სიმართლეა. არც არაფერს ვალამაზებ, არც არაფერს ვამატებ.

— მაგას რად მეუბნები, რა ისეთი კაცი მნახე, ვერ გაგიგო.

— ჰოოდა, ბატკანი, ხო იცი, ბალღივით მოსავლელია. ძნელი შე[illegible]ფერებელი ბალახი უნდა შეუ[illegible]არი მოუნახო. რა ქნას, [illegible]ქოს ეტანება. პირში რბილად რო ხვდება — ის მოსწონს. ის კი კუჭს უშლის, ალუბებს. დაბალი, მკვრივი ბალახი უნდა შემერჩივნა, ჩემი ცხოვრება სულ ცხვარში არა ვარ, მაგრამ ბატკანს სხვა ხელი სდომნია. ხაროობდნენ, გარბოდნენ, ბალახს თელავდნენ: ამიტომ სულ თან დავდევდი, წინები მეყენებინა, გამეშალნა, ჩამორჩენილები მომერეკნა. მაგათთვის იმასაც კი დიდი მნიშვნელობა ჰქონია — მზე საიდან ანათებს. წინიდან, თვალებში აჭყეტავთ — გემრიელად ვერა ძოვენ. ქარი როდის საიდან უბერავს — იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რო არ შეგიცივდეს, ან თუ გაგრილებაა საჭირო. ერთი სიტყვით, თითქოს ანანოსთვის არ მეცალა, მაგრამ ის თვითონ ნახულობდა სახსარს, რაღაც საშუალებას გამონახავდა, თუ ერთად ვერ ვიქნებოდით, ერთიმეორე თვალქვეშ მაინცა გვყოლოდა. გათენდებოდა და ალმოსავლეთი ვარდის ფრად რო აალანდებოდა, მყინვარები თვალისმომჭრელად აზზინდებოდა — შეტოკდებოდა ეხის ფარდა და ანანო მზეს დაასწრებდა გამონათებას. თავს გამოყოფდა თუ არა, ეცეცებოდა, რო დავენახე. როგორც კი მომკრავდა თვალს, ხელს აიწევდა, გამიქნევდა და გამომძახებდა:

— ე, ჰე, ჰე ბიჭავ!

— ო, ჰო, ჰო, ქალავ! — მეც გავძახებდი. ეს იყო ჩვენი მისალმება. — ჰე, მამაძაღლისა, რამდენ სითბოს, ალერსს, ნუგეშს იტევდა ეს ალალი დაძახილი. ეს როცა კარგი ამინდი იყო და ფერდაზე მყავდა შეფენილი. ცუდ ამინდებში მაღლა, ფერდობებზე არ დამიდიოდა. ფეხით აფუჭებდნენ, სველზე ადვილად გორდებოდნენ. ნოტიებად დავყოფდი და დაბლა, ხევებშორის პატარ-პატარა ქვიშნარ ველობებზე დავანაწილებდი. იქ, ზოგჯერ, მაშინვე ვერ დამინახავდა. უნდა გენახა, ნიამორის უდედოდ დარჩენილი ნუკრივით ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით. შემოირბენ-

და გორის თავს და გვეძებდა. ხანდახან განგებ დავემალებოდი, ჩუმ-ჩუმად ვუთვალთვალებდი რას იზამდა. ჰეე — უცბათ მოირბენდა იქაობას, შემასწრებდა თვალს, მიმიხვდებოდა თინს, გაიხარებდა, გაიცინებდა და იმ პატარა მუშტს მომიღერებდა. ყველაფერს ხო თავისი ლაზათი აქვს: ისე გემრიელად გაიცინებდა, ისე კოხტად დამიქნევდა მუშტს, გულზე მალამოსავით რაღაც მომეცხებოდა. ხან პირიქით, თვითონ დამემალებოდა, და მე ვეძებდი. მომეპარებოდა და დათვივით დაიწყებდა ბურტყუნს, ფოცხვერივით კრინავდა. ზოგჯერ კი, მაშინვე საქმეს დაუტრიალდებოდა. სიპების სალეცხლიდან კვამლი ავიდოდა. რუხი-მოლურჯო კვამლი ჯერ სწორედ აისვეტებოდა, თითქმის მწვერვალების სიმაღლემდე აიჭიმებოდა, იქ ერთბაშად გაიშლებოდა და ცის სილაჟვარდეში გაიქნებოდა.

უყურებდი, როგორ დაფუსფუსებდა ეზის წინ ჩემი ერთა. რეცხდა, ფენდა, წყაროზე ჩადიოდა, ზვავიდან ხორცი გადმოჰქონდა... გააკეთებდა საჭმელს, გადმოდგებოდა და გამომძახებდა.

— ვაჟაუუ, ჩამოდ, გეშიების!

მეც მაშინვე სირბილით დავეშვებოდი. მშიოდა, საჭმელიც რო არ მდომნოდა, რაღაც მშიოდა, მასთან ყოფნის სურვილი არ მასვენებდა.

იქაური ამინდების ამბავი იცი, მიიხედავ — მშვენიერი, წყნარი, მზიანი დარი დგა, მოიხედავ — ქარი დაუქროლებს, წამოვა ჯანღი, წვიმა, თოვლი. რა დიდი მანძილია მთავარ ბინასა და საბატკნეებს შორის, მაგრამ ამინდი ძალიან განსხვავდებოდა. ზოგჯერ ისეთი ჭექა-ქუხილი ატყდებოდა, იფიქრებდი ეგ არი, დედამიწა დაინგრაო. რაც არ უნდა მაგარი გული გქონდეს, მაინც შეგზარავს. მით უმეტეს ქალს. მაშინვე იმისკენ გავიქცეოდი, არ შეშინებოდა. ვაფრთხილებდი ხოლმე, ჭექა-ქუხილის დროს ლია, მაღალ ადგილზე არ გამოხვიდე, თუნდა შემაგვიანდეს — არ გამომხედო, არ დაგმეხოსმეთქი. თუმცა გარეთ რა გამოახედებდა. შიშისაგან ეზის კუთხეში მიიკუნჭებოდი. რო დამინახავდა, [illegible]ი შუქი ჩაუდგებოდა, მომ[illegible] ვაიმე, მიშველე ეფრო! — აძაგძაგებული შემომენუკვებოდა. მაშინ ისე უმწეო და სათუთი იყო — ჩახუტება ალარ მყოფნიდა, მინდოდა გულის სიღრმეში სადმე მიმემალა, იქ დამეფარნა. ამ დროს როგორღაც სიამაყით, ღმერთკაცური დიდებით ვივსებოდი. შიშს, თვით სიკვდილს ზურგზე ბოლს ვადენდი, სხვისი ნუგეშითა და მფარველობით ძლევამოსილი...

ეფრო შეყოვნდა, როგორც ჩანდა, პირი გაუშრა, ლუდი დაისხა და მოსვა. დიდცხვირამ დრო იხელთა, ქიპიტაური აიღო და გრძნობა აშლილმა დაიწყო:

— მოდი, ამით სიყვარულს გაუმარჯოს. ჰმმ, ტიალი, როცა ვინმე გიყვარს — მარტო ის კი არა, მთელი ქვეყანა გიყვარს. წუთისოფელი მოგწონს, რაღაცნაირი დამთმობი, ყურადღებიანი, ლმობიერი ხდები. ყველაფერი ლამაზი და კეთილი გეჩვენება, სიცოცხლე გიხარია, ყველას კარგად ყოფნა გინდა. მოკლეთ, სიყვარულს გაუმარჯოს, რაც მე ვერა ვთქვი, შენ გაალამაზე.

— გაუმარჯოს... ჭიქა ასწია ეფრომაც, თვალებდახუჭული გაირინდა. ალბათ გულში სადღეგრძელოდ თავისი ცხოვრების ნეტარ წუთებს ირჩევდა — გაუმარჯოს. გაიმეორა და გამოცალა.

— აბა, გისმენ, გისმენ, განაგრძე. — უთხრა ცხვირამ და სოკოს ფართლი წაიჩქმიტა.

— მაგონდება, ერთი ხანობა, ეგრე, ეხლანდელივით შეგვაწუხა ღრუბელმა. დილა მშვენიერი, ნათელი იდგა. მერე თანდათან ამოიკრიფებოდა ხევებიდან, დაგვებურებოდა და მთელი დღე უქმურში ვიყავით გახვეული. რა რეგვენებივით ვაჭმევინებთ გულსაო — მითხრა ერთ დღეს ანანომ და ქვემოთ, ალადლადებულ ფოშფოშაში გორის თავზე მიმანიშნა. იქა გუშინაც მზე იდგა, ჩავიდეთ, ხვლიკი იპოვის ხოლმე მზის გულს და ჩვენ რაღა დაგვემართაო. ჩასვლა ამოსვლა არ გვინდა, გა-

ნა ცოტა მანძილია — ვუთხარი. თანაც ბუტკანს მაღლა ყოფნა უხდება-მეთქი. ცარიელია ხალისი იყო ის შეჩვენებული. ჩამკიდა ხელი, გამაქანა. მოიცა, მე ოჯახ აშენებულო, ბატკანი მაინც დავაბრუნო — ვეუბნები. არ უნდა, თვითონ მოგვნახავენო. ფლატე რო ჩავათავეთ, მოვიხედე და ეე, მართლაც თავპირისმტვრევით მორბიან და უკან ძაღლები მოსდევენ. იმის შემდეგ ღრუბელს აღარ შეუწუხებივართ. დილით ჩავიდოდით და საღამოს, აკრეფას რო დაიწყებდა, ეხისკენ ავუყვებოდით. დრო-დრო, პირიქით, ღრუბელი დაბლა დაწვებოდა. რომ იტყვიან, ჩვენს ფერხთით გაერთხმებოდა. თეთრი, ქათქათა, ფუმფულა ქულები ხმელეთს ერთიანად დაფარავდა, გეგონება ზღვა დადგაო. აქა-იქ კუნძულებივით ამოზიდული მწვერვალები ჩანდნენ მხოლოდ. ამქვეყნიური ამაოება, სიცრუე, ავი და ბოროტება წაილეკებოდა, ღრუბლების ფსკერზე დაილექებოდა. აი, ამ უკაცრიელ, განწმენდილ კუნძულებზე, მზის ქვეშ, დედამიწასა და მზეს შორის, მხოლოდ ჩვენ ორნი ვარსებობდით ადამ და ევასავით. სულ სხვა იყო ხოლმე მაშინ რაღაც უცნაური გუნებ-განწყობილება გვეუფლებოდა. თითქოს უფრო მძაფრად ვგრძნობდით ერთიმეორეს, რომ ერთიმეორეს ვეკუთვნოდით, მაშინ უფრო გვჭირდებოდა და გვესურვილებოდა ერთად ყოფნა. არსად ჩანდა გადასავარდნი, არსად იყო ჩრდილი, ირგვლივ იმყოფებოდნენ მხოლოდ მეგობარი ძაღლები, ბატკნები და მათსავით უბიწო ჯიხვის დურაღები, შურთხნი და როჭონი ნამდვილ სიყვარულის მწვერვალზე ვნეტარებდით.

ბედნიერები ვიყავით, მაგრამ ოხერი, ის აკვიატებული შიში ვერ დავთრგუნე, ვერ ამოვიღე გულიდან. ეგებ შენ მაინც მითხრა ეს საიდან მოდიოდა, რანაირი წინათგრძნობა იყო, რა დოზანა იყო. სიზმარშიც კი მელანდებოდა. თითქოს ცხადშიაო, ისე ვხედავდი, როგორ გადაეშვებოდა ფრიალოზე, როგორ მიქროდა, დაენარცხებოდა კოდის შვერილებზე, გატყვრებოდა [illegible] ყოფ ბასტანი. წამით შეჩერდებ[illegible]ალ-ტრიალით ისევ ჩა[illegible]ან-ჯებოდა. მოჩვენებები მაწამებდა. მანები დავამატე, გავამაგრე, მეორე პირი ლატნები გავაკარი და კიდევ შევეხვეწე, ახლოს არ გაეკარო, არ ენდო-მეთქი. იმას ჯერ სიცილად არ ჰყოფნიდა, რო დავუყვინე აქედან გადავბინავდეთ-მეთქი, გამინაწყენდა, რას აიჩემე, ბავშვი ხო არა გგონივარ, აქაც მშვენივრადა ვარო.

ერთი რამე დამრჩა საოცრად: ბევრჯერ ჩვენი თავისა თვითონ არ ვიცით, როდის რა გვიხარია, რა გვწყინს. კაცი ხან ამ გუნებაზეა, ხან იმ გუნებაზე და იმის მიხედვით ამ წუთში რო რაღაცა მოსწონს, მეორე წუთს მეორე უჯდება ჭკუაში, დღეს რო რაღაცაზე გიჟდება, ხვალ პირიქით, იმას ველარ იტანს. სხვამ როგორ გაიგოს, როდის რა გვეპიტნავება, რა ისის, მაგრამ იმ დალოცვილს ისეთნაირი თილისმა ჰქონდა, იმდენ რამეს ხვდებოდა როდის რა იყო საჭირო, როდის რით გამახარებდა — გულთმისანი გეგონებოდა. კეკლუცობა უყვარდა. ზოგის კეკლუცობა უბადრუკია, შეიძლება უბრალოდ თვალში არ მოგივიდეს, თავიც კი შეგაჯავროს, მაგრამ შენი გულის სწორისა, როცა მისი ყველაფერი მოგწონს, გხიბლავს, გულაცრუებას არ გაგრძნობინებს, პირიქით, წადილს გიღვივებს, გიხანგრძლივებს.

ჯანღიანი ამინდი რო იყო, მაშინ უფრო ჭრელჭრულებში, რაღაც ჰოჰოედ გამოიპრანჭებოდა, ბუნება როცა ცდილობს მოგვაწყინოს — მაშინ უფრო უნდა მოილხინოო. მართლაც, მაშინ უფრო ალერსიანი იყო, მხიარული, რაღაც სასაცილოს გაიხსენებდა, ან თვითონ შეთხზავდა, იცინებდა და მაცინებდა.

ყოველთვის ცდილობდა მორთულ-მოკაზმული დამხვედროდა. კარგი თმა ჰქონდა ხშირი, ბუბულა, ხან როგორ დაიყენებდა, ხან როგორ შეტრიალდებოდა, შემოტრიალდებოდა, ვატყობდი, რაღაც უნდოდა, რაღაცას მოელოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემგან. მე ხშირად ვერ ვამჩნევდი, თურმე სხვანაირი ვარცხნილობა აქვს ან კაბა გადაიკეთა სხვანაირად, რა ვიცი მაგეებისა ბევრი არაფერი გამეგებოდა. მაშინ თვითონ მკითხავდა, ეს როგორ მიხდება, ის როგორ მოგწონსო. ან გამიბრაზდებოდა, რატომ ვერ შემამჩნიეო, კარგსა და ავს ვერ არჩევო, იმიტომ არ მეუბნები, არ გინდა გამახაროო. შარია, არ ვიცი, კაცო, ვერ ვარჩევდი, ყველაფერი უხდებოდა. რაც მომეწონებოდა თუ ყველაფერი უნდა მეთქვა, ეგეც არ ვიცოდი. ან იმდენ ლაპარაკს რაღა ფასი ექნებოდა. მერე თვითონვე მომილაქუცებდა; ქალი სულელია, იმის ლაკლაკს კი არ უნდა აჰყვე, როცა მაქებ გულს უხარია, როცა სიტყვაძუნწი ხარ — გულის გულსაო. — მეტყოდა. იმისი ლანდი სულ თან დამდევდა, თანაც სულ სხვადასხვანაირი, სწორედ ისეთი, როგორსაც ბოლოს ვნახავდი ან როგორიც ყველაზე მეტად მომეწონებოდა. განა მარტო მე, ძაღლები? ძაღლები უნდა გენახათ. ერთხელ გამომიცხადა მე თქვენი ძებნისა და ძახილის თავი აღარა მაქვს. საჭმელს რომ გავამზადებ წითელ მანდილს გამოვფენ, კეთილი ინებეთ და ჩამოდითო. მე თუნდა მოფარებულში ვყოფილიყავი, ძაღლებს მაინც თვალი იქითა ჰქონდათ და როგორც კი ჩხაზე წითელი მანდილი გამოჩნდებოდა — ფხაჭა-გლეჯით მირბოდნენ.

ბატკნები? როცა ვმკურნალობდი, ან უნდა დამება, ან მაგრად დამეჭირნა, რო როგორმე გამეჩერებინა. იმას ხელის წაკიდებაც არ უნდოდა. იგრე მშვიდად იწვნენ, იგრე გაყუჩდებოდნენ. ამოუწმენდავდა ჭრილობებს, უწამლებდა, მოტეხილობას გაუსწორებდა, არტაშანს იგრე დაადებდა, ფეხს არ გაიქნევდნენ. გავიხედავდი — კონწოხებში ფსიტებს დასდევდა. ისინიც კი იგრე რიგად არ გაურბოდნენ, ჩოჭოს წიწილებიც კი არ უფრთხოდნენ.

დილით, როცა ვნახავდი სამყურას ყვავილი არ იშლებოდა — რაღა გამოცნობა უნდოდა, ცუდი დარი დგებოდა. ვიცოდი, ამ დროს ჩემი გოგოც მოიწყენდა, შალწამოსხმული [illegible]-სასვლელში მოიბუზებოდა, [illegible]-და და ნაღვლიანად ჩემ გზას დაუწყებდა ყურებას. მეც მაშინვე გავსხლეტდი ფარას, მასთან ჩავირბენდი, ახლა თავად მოვიგონებდი რამეს, ტყუილს, მართალს, სისულელეს. ვეტყოდი ახალი ამბავი გავიგე მეთქი, ხო იცი, ქალებს ახალი ამბავი ძალიან უყვართ. ამაზე სიცილი აუტყდებოდა, ვისგან გაიგე, აქ ადამის სულს რა უნდაო. ბოლოს-ბოლოს მოვამხიარულებდი, მოვეფერებოდი, გათბებოდა და სამყურას ყვავილისა არ იყოს — ისიც გაიშლებოდა.

— ერთ დღეს... — რაღაც სხვა ხმაზე დაიწყო ეფრომ და გაჩუმდა. დიდცხვირა პირში მისჩერებოდა. ახმახმა რამდენჯერმე დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ კრინტი ვერ დაძრა. წელან გუნებაში გავიფიქრე, ეხლა კი ნამეტანი გაახურა-მეთქი, მაგრამ ისე თქვა ერთ დღესო — როგორც ჩანდა, სწორედ ის დღე უნდა ყოფილიყო საბედისწერო, სწორედ იმ დღემ დააჩნია გულზე ჭრილობა. ვგრძნობდი რაღაც უცნაური, ცუდი ბოლო უნდა ჰქონოდა ამ ბედნიერებას და სულგანაბული ველოდი, რას იტყოდა. რატომღაც მეგონა სხვებიც უსმენდნენ, ყოველ შემთხვევაში ისინი, ვინც ახლო-მახლო იწვა, თუმცა არავის საამისო არაფერი ეტყობოდა. მხოლოდ სასიძომ იცვალა მხარი და რაღაცა წაიბურტყუნა. ისიც ვერ გავიგე, სიზმარში იყო თუ უკმაყოფილო იყო, არ მაძინებენო.

შორეული გრუხუნი გაისმა. ვერ გავარჩიე თვითმფრინავის ხმა იყო თუ სადმე ქუხდა.

— თითოც დავლიოთ. — შესთავაზა ცხვირამ და ახლა სიხარულის სადღეგრძელო დალია. ვისაც რა გვახარებს, რაც გულზე მოგვჭიდებია, რაც საამოდ გაგვახსენდება, იმას გაუმარჯოს — ხელი ჩაიქნია და დაამატა: რაც მომავალში გაგვახარებს — იმასაც გაუმარჯოს.

— ესე იყოს. — კვერი დაუკრა ეფ-

რომ. ქაპიტაური ცოტა მოწრუპა. ლუდი კი ჯერ ერთი ჭიქა გამოცალა, დაიგემოვა და მეორეც ზედვე მიაყოლა. ყელი რომ ჩაისველა, ლაპარაკს რიხი მიეცა.

— ერთ დილას ჩვენი სიპის მაგიდასთან ვისხედით და ვსაუზმობდით. კარგი ამინდი იდგა, მზე ათბუნებდა. მზე რო ძალას მოიდგამდა და დათბებოდა — ნიავი ადგებოდა და გააგრილებდა ჰაერს. ანანომ ჩემი პირველი ლაპარაკება გაიხსენა. მაჯავრებდა, ენა ესე დაგებაო, ფერი წაგივიდა, ნიკაპი ასე გიცახცახებდაო, ზოგს მართალს ამბობდა, ზოგს ტყუილს უმატებდა და ვიცინოდით. უცბათ შეკრთა და ის ვინ მოდისო? — მკითხა. გავიხედე, გორის ძირს მართლაც ვიღაც კაცი შემოუდგა, დავაკვირდი, ჩვენი მწყემსი არ ჩანდა.

— ვინც გინდა იყოს, სტუმარი ხვთისაა. — გავუღიმე, მაგრამ ის მაინც რაღაც არა სასიამოვნო გუნებაზე დადგა. ბარის ამბავს რასმე გვეტყვის, მოვიდეს, — ვთქვი ნაყიმად.

— ხო. — თავი დამიქნია და ოდნავ გაიღიმა კიდეც, მაგრამ ნაძალადევი, შიშნეული ღიმილი იყო.

მგზავრი ნელ-ნელა, პირდაპირ ჩვენსკენ ამოდიოდა.

— ნახე, თვალებს როგორ აცეცებს, კარგი კაცი არ უნდა იყოს. — წამჩურჩულა ანანომ.

— კარგი ერთი, აქედან იქ ცუდი კაცობისას რას ატყობ. — ვცადე აზრი შემეცვლევინებინა. — ალბათ ძაღლებისა ეშინია.

— ერთ რამესა ვარ დაკვირვებული. ეფრომ ხელი ასწია და თვალებში მიაჩერდა დიდცხვირას. — როცა რამე ისეთი უნდა მოხდეს, უცნაურად აეწყობა ხოლმე ყველაფერი, თითქოს წინასწარ იყოს გაიზრებული, მოწყობილი. არ ვიცი, იქნებ მართლაც მოწყობილი იყო, მაშ რაღა მაშინ მოხდა, რომ ძაღლები იქ არ მყავდა? წინა დღეს ჩვენი მთავარი ბინის მხარეს რამდენიმეჯერ გავარდა თოფი, ძაღლებს ხო არ უყვართ თოფის ხმა, გავიხედე და ბინის ძაღლები ჩემთან ამოვიდნენ. არაფერი, ერთი კი დავუცაცხანე, სად მოდიხართ, გაბრუნდით-მეთქი, მაგრამ არ წავიდნენ და მეც [illegible]ვარ. საღამოს, კარგად რო შეღამდა, ბინაზე ხმაური ატყდა. ეჭვი არ იყო, ნადირი დაეცათ: ყვიროდნენ, თოფს ისროდნენ გადავრეკე გადასახედზე ძაღლები, ხმა ესმით — არ მიდიან. ხან დავკივლე, ხან წავუქსიე, მაინც არ მიდიან. მაშინ დავუძახე ბოლვერას და აბა, ეცი, გაუძეხი-მეთქი. მართლაც დაეშვნენ ჩემი ძაღლები და გაიყოლიეს დანარჩენები. იმ ღამეს იქ დარჩნენ. ჰო და, ჯერაც არ იყვნენ ამოსული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი წყაროს ბილიკს ამოჰყვა. ერთხანს ბექობს ეფარებოდა, მერე ნამეწყრალთან ამოყო თავი. საშუალო ტანისა, ჩაფსკვნილი, მკვირცხლად ამოდიოდა. მონადირე არ ჩანდა, არც მწყემსი უნდა ყოფილიყო. იღლიაში საწვიმარი ამოეჩარნა, სატევარი ეკიდა, მარჯვენა მხარეს აკეცილი თოკი ჩაეჩარნა ქამარში.

— თოკი რაღად უნდა? — მკითხა ანანომ.

— ალბათ რამე დაკარგა.

უცნობი ვაკობის ბოლოში მოდგა და შორიახლოდან, მართლაც, ცხენები ხომ არ დაგინახიათო? — გვკითხა. არამეთქი. რაც იქ ვიყავით, ახლო-მახლო ცხენი არ დამინახია.

— მობრძანდი, დაგვეწვიე, გვითხარი რამე! — შევპატიჟე, ფეხათრევით მოდიოდა და წავახალისე. ანანო ადგა, გულამოღებული კაბა ეცვა და სხვა გადაიცვა. კერძი ცეცხლზე დადგა და გაგვერიდა. ის მოვიდა, ანანოს სიპზე დაჯდა. ვინაობა ვკითხე. რაღაც სოფელი თქვა — იქიდანა ვარო. სახელიც მითხრა, არ დამახსოვდა. ერთი ბოთლი არაყი მქონდა გადანახული, ის გამოვიტანე. არ ვსვამო. მე მაინც დავლიე, ეგებ მორცხვობს-მეთქი. მაინც არ დალია. არ ვიცი რა ჭია შემიძვრა, ხომ ვნახე ის არა სვამდა, მე რაღატომ ვსვამდი არ ვიცი. ანანომ კერძი მოგვიტანა და ეხში შევიდა. კარგახანს ვისხედით. ხან რა ვკითხე, ხან რა, ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერს ც წყვეტილი ვიყავით, ახალი რა ხდებოდა — მეინტერესებოდა. ისეთი ვერაფერი ვათქმევინე, რაღაცას წაილუღლუღებდა და საჭმელს დააცხრებოდა. წესიერად ვერა ლაპარაკობდა. ბატკანი აიშალა. იმანაც, როგორც იქნა, ჰოამთავრა ღმურძვლა და ის იყო წამოვიწიე — თვალებში მომაჩერდა, ამათვალ-ჩამათვალიერა და მეჭიდეო — მითხრა. პირველად ყურებს არ დავუჯერე. ეგეთი რამე არც გადამხედია და არც ვისგანმე გამიგია, რო სტუმარი მასპინძელს საჭიდაოდ იწვევდეს.

— რა თქვი? — შევეკითხე.

— მეჭიდე! — გამიმეორა.

ჩამეცინა. ჯერ რა საკადრისია — უცხო მოსულა ჩემს ოჯახში და იმას ვეჭიდო, მერე ტანმორჩილია. ამოდონა კაცმა ხელი რო დავავლო, წიწილასავით მოვჭყუნავ. ხუმრობს-მეთქი — გამეღიმა.

— რას იცინი? — მუქარაზეა. ტანი ხო არ გატყუებს?

ვუთხარი, ძმაო, გამანებე თავი. თუ შარზე ხარ — თქვი. თუ არა, შენ შენი გზა ნახე. მე არაფერი მატყუებს. გინდა თუ არა, უნდა მეჭიდოო — ჯიბრზე დამიდგა. ვეუბნები: მე მოჭიდავე არა ვარ. სტუმრად მიმიღიხარ, როგორც წესია დაგხვდი, პატივი გეცი. მოდი, შემეშვი. აბა! ადგა, გადავიდა ყამირზე, მოიხსნა სატევარი, მანის ძირში მიაგდო. თოკი მაღლიდან დაადო და გადმოდიო — თავისაზე დგას. აღარ ვიცი რა ვქნა. ცალკე სტუმარ-მასპინძლობისა მრცხვენია, ცალკე ანანოსი. თან ეგრე რომ მოგაყინდება — გინდა არ გინდა, შიშია, სიფრთხილეა თუ რა ვიცი რა არი, ეჭვი გბორკავს. რა იცი რა უდევს გუნებაში. მუშტით თუნდა ხარს წავაქცევ, მაგრამ ხო არ დავკრავ, სტუმარია. ანანო ეხიდან გამოვიდა, გაკვირვებული მიყურებს. ვატყობ, თან სასმელი მომედო, მოვითენთე. ვფიქრობ, კაცო, ამოდონა ოქლაქი რო წამაქციოს, რაღა პირით შევხედო ამ ქალს, რაღა იმედი უნდა ჰქონდეს ჩემი, პატივი აშეყრება და ეგ არი. არ ვეჭიდო — მშიშარა ყოფილაო, მაინც დავფოლდები. ვიფიქრე, რახან [illegible] ეგრეა, დავავლებ ხელს, მოვსმუ[illegible]ვაგდებ-მეთქი. გადავედი [illegible] ხელის [illegible]ლებაც ვერ მოვასწარი, დამეძგერა, გამომკრა სარმა და ბურთივით დამცა. წამოვხტი. ანანო გაოცებული მიყურებს. გავიღიმე, მაგრამ ვაი იმ ღიმილს. თვალი ამარიდა, ეხში შევიდა. ცეცხლი მომეკიდა — შენ ეგრე არ გინდა-მეთქი. დავეტაკე. ვტაცე ქეჩოში ხელი, დავაწექი, ჩავფეხვე, მაინც ფხლაკუნობს. დავუჭირე ხელ-ფეხი და მოვკუმშე. ვაი, რას ჩადიო — ამოიკვნესა და გავუშვი ხელი, ემანდ ხერხემალი არ გადაემტვრეს-მეთქი. გავუშვი, მანჭვით წამოდგა, გასწორდა უცბათ ისევ მეცა, ფეხებში შემიძვრა და ბეჭებზე დამცა. ბაგვანი გამომცვივდა და ის კი ვიგრძენი, თავი რაღაც მაგარს დავკარი, მერე აღარაფერი მახსოვს. ეტყობა, მალე მოვედი გონს, ჩემი დამჯაბნი იქვე იდგა, ღრმად სუნთქავდა და ზევიდან ირიბად დამყურებდა. წამოვიწიე, მაგრამ ვერ ავდექი, ხელ-ფეხი არ დამემორჩილა. ერთბაშად აზრზე ვერ მოვედი, რა მემართებოდა, ჩემს უმწეობაზე სინანულით ჩამეცინა, ძალა მოვიკრიბე, გამგელებულმა წამოვიწიე და ეჰე, ხელ-ფეხი შეკრული მაქვს.

— მოდი, შემხსენით, რას მახხრობთ! — წავუტიე.

ანანო წამოვიდა, მაგრამ ის წინ გადაუდგა, რაღაცას ელუღლუღებოდა. ანანომ თვალები შეუბლატუნა, გამოიწია. მან ხელი სტაცა, დაიწყეს ჯაჯგური. აბა, ის რას გაუძალიანდებოდა, დაავლო ხელი და დასცა.

— ეფრო, მიშველე! — დაიყვირა ანანომ.

ვაი შენს დღეს, ეფრო. ისეთი გავხდი, თოფი რომ დაეცათ, წვეთი სისხლი არ გამვარდებოდა. ვიბრძვი, ვეწევი, ხან ფეხებით, ხან ხელით, ლამის ძვლები დავიმტვრიო, მაგრამ ძვრას ვერ ვუჩადი, თოკი ვერც გავგლიჯე, ვერც გავხსენი, ოდნავადაც ვერ მოვიფონე. რა ვილონო — აღარ ვიცი, ცეცხლში ვიწვი. ეს უკეთური სტუმრად მოვიდა და ჩემს სახლში, ჩემ ცოლთან

ძალადობს. ტანზე აფლეთავს ყველაფერს. ქალი კივის, შველასა მთხოვს, მე კი უმწეო ვარ, ხელსაც ვერ ვატოკებ — ახმახმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, სათბილობელი გადაიღეო და კალთა მკერდზე დაინიავა, მერე შეშები გადმოიღო და ცეცხლს დააყარა — რას ჩადი, კაცი არა ხარ! — დავუძახე. დედას გიტირებ, სად წამიხვალ, ქვესკნელში რო ჩახვიდე, გიპოვი და ასო-ასო აგკუწავ! ვინ გისმენს, ვითომ ძაღლს უყეფია, ჩემს მუქარას აინუნში არ აგდებს, ქალს ებრძვის გაფოთებული.

— მიშველეთ! — ყვირის ანანო, მაგრამ ვის გააგონებს, ვინ მიეშველება, იქ ვინ არი.

— მიშველე, ეფრო! — დამიძახებს ისევ მე. სიმწრისაგან ბალღივით ავღრიალდი პირი სადმე რომ მიმეწვდინა ხორცს მოვიჭამდი. ულაჯობაზე ძნელი არაფერი ყოფილა. ვგდივარ კუნძივით და შევყურებ, როგორ იბრძვის უმწეო ქალი. თუმცა, უმწეო კი არა, კატასავით იგერიებდა. ვერაფრით ვერ მოითავხელა. აკაწრიდა, თითებში ჩაავლებდა ხელს, გასაქანს აღარ აძლევდა. ძლივს, დიდი წვალებით წაართმევდა თითს, ისევ სტაცებდა. დაქანცა, არაქათი გააცალა. მაინც რომ ვერა და ვერ მოიცილა, როგორც ჩანდა, ახლა უკბინა. იმ ლაგამაყრილმა ერთი იღრიალა, ხელი გამოჰგლიჯა და ტუჩებში ჩასცხო. ანანოს სისხლი წასკდა. არ ვიცი დარეტიანდა თუ ეშმაკა — სახე ხელებში ჩარგო და გაირინდა. იმ წყეულმაც ხელი გაუშვა, რაკი ძალით ვერაფერს გახდა, ალბათ, დაყვავება უნდოდა, თან შეისვენა. ანანომ ამით დრო იხელთა, უცბათ გაუსხლტა და ქარაფისკენ გაენთო. ჯერ მეგონა, სატევარს წამოუვლებდა ხელს, იმედმა გამკრა, მაგრამ ლატნებს გადაახტა.

— რას ჩადი! — ვიღრიალე, თვალთ დამიბნელდა. ბედად ის უკეთური ჰაერში გაფრინდა, როგორ მოასწრო არ ვიცი, ფეხზე სტაცა ხელი, ზედ ნაპრალზე გადაკიდებული დაიჭირა, გამოათრია და ისევ დააცხრა.

უცბათ გონება გამინათლდა: თურმე დახსნა შეიძლებოდა, მე კი [illegible]ტივითა ვგდივარ-მეთქი [illegible] მინდოდა ჩემივე ხო[illegible]. თუმცა დრო კიდევ იყო. ვიხოხე, ვიხოხე, როგორც იყო მივცოცდი, მივცოცდი და ზურგით ცეცხლზე გადავწექი — თოკი დამეწვა. ხელები შეწვება, მაგრამ მაგის ჯავრი ვისა აქვს. ვჩქარობ, მინდა ჩქარა წაეკიდოს, მაგრამ — ის ვერანა თოკს კი არა, ჯერ ხელზე წამეკიდა. მარჯვენას ვარიდებ, რამენაირად ის გადავირჩინო, მარცხენას აღარ დავეძებ. როგორც იქნა, ქონის მქისე კვამლს თოკის ტრუსის სუნი შეერია. ვეწევი, ვექაჩები, ვჩქარობ, აბა, ბა, ბა, არა და არ ეღირსა იმ ოხერს გადაწყვეტა. თან მეშინია დამწვრის სუნზე არ შემიტყოს, — ეფრომ ამოიქშინა და ისევ მოიწურა ოფლი. — ქალი მაინც უტეხია, ტყუილად კი არ არის ნათქვამი: თუ ქალმა გაიწია, ცხრა უღელი ხარი ვერ დაიჭერსო. ისევ წამოუხტა. ვერ კი გაექცა, დასტაცა კლავში ხელი იმ არაკაცმა წამოიღო კისრულზე და დაანარცხა. ქალმა სიმწრით ამოიკვნესა, ტკივილისაგან კისერი გადააგდო, მაგრამ ერთიმეორეზე ჩახლართული ფეხები მაინც ვერ გაახსნევინა. მაშინ მარცხენა ძუძუზე დაჰკრა მუშტი. ქალი ტკივილისაგან დაიკრუნჩხა და გონება დაკარგა. გაცოფებულმა გავიწიე და აჰა, გაიგლიჯა. წამოვხტი მივვარდი და ვეცი ფეხზე ხელი იმ უწმინდურს, მოვიქნიე და ფრიალოსკენ გავკარი. ხელ-ფეხ გაფარჩხული ტრიალით გადაევლო ლატნებს და უფსკრულში ჩაეშო.

— აა! ყრუდ წამოიკივლა ანანომ და ტყვიანაკრავივით წამოხტა. ერთიმეორეს თვალებში მივშტერებოდით, ყური კი, ეტყობა, ორივეს უფსკრულისკენ გვქონდა. გავიდა რამდენიმე გრძელი წამი და გაღმა ფერდიდან ყრუ ბაგანი გაისმა. — ეს იმ კლდის შვერილებზე დაცემის ექო იყო. ზედაც ნაშალის ხრიალი მოჰყვა და ჩქარა ისიც მიჩუმდა. ხელზე ისევ ცეცხლი მეკიდა. — ახმახმა მარცხენა ხელი ჯიბიდან ამოიღო და შუქზე გაიტანა. შემ-

ზარი. მტევანი მთლად მოხრუკულიყო. თითების მაგიერ აქეთ-იქით გაბარჯღული, როკების მსგავსი შვერილები დარჩენოდა, ზოგი ერთიმეორეზე მიდუღებული, ზოგი ძირკვივით ამომჯდარი. ნაოჭებად ჩამდნარი ხორცი ალაგ წითლად, ალაგ თეთრად ლაპლაპებდა ცეცხლის შუქზე. — შიშხინით, წინწკლების სროლით იწვოდა. — განაგრძო დინჯად. — მაგრამ ტკივილს ვერა ვგრძნობდი. წყალში წავყავი. ჩავაქრე. ხელის ტკივილს მაინც ვერა ვგრძნობდი. ეგ იყო, თანდათან გულზე მომედო ალი. ანანო ისევ ისე იდგა. გაშტერებული, გეგონებოდა გაყინულიაო. რაღაცნაირად მომაჩერდა. კაცი ვერ გაიგებდა იცინოდა თუ ტიროდა, წუხდა, უხაროდა, ვეზიზღებოდი, მესიყვარულებოდა, ვებრალებოდი თუ დამცინოდა. თვალი ვეღარ გავუსწორე. ეროხანს ბრმად დავყურებდი დაბუგულ ხელს, მერე ეზში შევედი. დამწვარზე ზეთი დავისხი. ეხლავე მოვალ-მეთქი, ვუთხარი და დუქნისკენ წაველი. ის ისევ გაოგნებული იყო, არაფერი უთქვამს, მგონია, ჩემი ნათქვამი არც გაუგია, ისევ ისე გაცივებული თვალებით იყურებოდა. რა უნდა მეთქვა, რა მეთქმოდა. თანაც ხელმა ტეხვა დამიწყო და ვჩქარობდი. დუქნის ბოლოში როჭოს ბუდე მეგულებოდა, კვერცხის გული დავიდე, რამდენიმე კვერცხი თან წამოვიღე. ასვლა ჩამოსვლას ესე, თხუთმეტი, ძლიან-ძლიან, ოცი წუთი დამჭირდებოდა. რო ჩაველი იქ აღარ დამხვდა. ეზში არ იყო, ზვავთან არ იყო, წყაროზე არ იყო. აქეთ ვეცი, იქით ვეცი, ვეძახე, გადასახედიდან ვათვალიერე— თვალი ვერ მოვკარი. გულში მეკბინა, თვითონაც ხომ არ გადავარდა-მეთქი. ავყე-ჩავყე ნაპრალს, ვიყურე უფსკრულში — არაფერი ჩანდა. ქვევიდან წამოუარე, ხეობიდან. ფლატეზე ჩავცურდი, კინაღამ დავილეწე, ჩაველი უფსკრულში, რამდენიც ვუახლოვდებოდი ძირს, იმდენი გული მეთანაღრებოდა — ნამდვილად გადმოვარდა-მეთქი, მაგრამ არც იქ იყო. ვერც რამე ნიშანი ვნახე. მხოლოდ იმ ჩემი ცოდვით სავსის ნაფლეთები ეყარა. ბინისკენ ამოვიარე, — [illegible] წუხდნენ. ვეძებეთ. ყველა [illegible] ბუჩქი თუ რა მოვიკვლიეთ, ქვა არ დაგვიტოვია უნახავი — ვერსად მივაგენით. ყველაფერი მივატოვე, მთელი თვე ვეძებე. დავდიოდი, ნადირივით ვღრიალებდი, ვერც კვალს წავაწყდი სადმე, ვერც მნახველს. ბარშიც ჩაველი. სადაც კი ეჭვი მქონდა, სულ მოვიარე, მაგრამ მიწამ უყო პირი თუ ცამ — ვერ გავიგე. წავიდა და წავიდა. აღარაფერს დავეძებ, თუ კი ჩემთან აღარ უნდოდა, ჯანდაბას ჩემი თავი, ის მაინც ვიცოდე, ცოცხალია; მკვდარია — გაჩუმდა. გულმკვდარი მიაჩერდა სიბნელეს, სახე ისე მიებნიდა, თითქოს სისხლი გაუშრაო. მეინახე პირდაღებული შეჰყურებდა. ითმინა, ითმინა, ბოლოს მაინც ჰკითხა:

— მაშ ვერაფერი გაიგე, ეხლაც არაფერი იცი?

ახმახმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. დიდხანს აქანავებდა იმის ნიშნად, რომ მართლა არაფერი იცოდა.

— როგორც კაცი. — ჩაილაპარაკა დასტურად. მერე გაიმეორა: — წავიდა და წავიდა.

გუდების გროვის გვერდით ნაბადში გახვეული მელოტი ხვრინავდა, აქამდე არ ხვრინავდა თუ იმ ლაპარაკში არ შესმოდა — არ ვიცი. ეხლა კი, ამ სევდიან, მწუხარე ღამეში მომაბეზრებლად ისმოდა მისი უდარდელი, გულხალვათი ხრიალი. ფარდულის გვერდით, თვითმფრინავის საჯდომ მოედანზე ცხენები მოქუჩებულიყვნენ და პირის გამალებული ხრამუნით ბღლვნიდნენ ბალახს. ცხვირა წამოდგა და შოლტს წამოავლო ხელი.

— ჰაიტ, თქვენ სამგლეებო! წელან პირი არ დააკარეთ, ეხლა გაგიტკბათ! — დაუტია ხმადაბლა, შოლტი გაატყლაშუნა, მოშორებით გარეკა, ისევ თავის ადგილზე დაჯდა და ქიპიტაური დაასხა. ეფრომ ქიპიტაური არ ისურვა, მაგარი დამისხი, მინდა გული მომეწვასო.

— სადაც არის, როგორც არის, იგრე გაუმარჯოს. — თქვა ცხვირამ.

ახმახმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია. მერე ხმას არც ერთი აღარ იღებდა, დუმილი დიდხანს გაგრძელდა. როდის-როდის ცხვირამ წაიბუტბუტა, — აღარც სხვა შეგირთავს?

ეფრომ ისევ თავი იქნია უარის ნიშნად.

— არც მდომებია. — თქვა მოგვიანებით.

— ნუთუ თავი მოიკლა, სად უნდა წასულიყო?!

— მკვდარი სადღა წავიდა? — თვალი გაუშტერა ეფრომ.

მეინახემ იფიქრა, იფიქრა — ვერაფერი უპასუხა.

— მე მისი ის ცივი, უცნაური ყურება რომ გამახსენდება, რაღაც მემართება. ამდენი ხანი გავიდა, მაგრამ თვალებიდან არ ამოდის. ყოველ გახსენებაზე ხელახლა მეხსნება გულის იარა. აი, ჩვენთვისა ვთქვათ — მას ხო ვუყვარდი? ეგებ არ ვუყვარდი და ყველაფერი მოჩვენებითი იყო? დაწვრილებით იმიტომ მოგიყევი — ამაზე გაგეცა პასუხი. განა უსიყვარულოდ ქალს ეგეთი რამე შეუძლია?

ცხვირა დაფიქრდა, წარბები აჭიმა, თავი გადააქნ-გადმოაქნია.

— არა, არა მგონია. — თქვა ბოლოს — თვალთმაქცობით სიყვარული არ იქნება.

— ერთი რამე უნდა გავარჩიოთ. — თითი ასწია ეფრომ. — სიყვარული სხვა არის, შეყვარება სხვა. ზოგჯერ გვინდა ვინმე შევიყვაროთ, გვგონია კიდეც რო გიყვარს, მაგრამ სინამდვილეში გძულს. ეგებ ვძულდი?

— ეგ როგორ! — გაიკვირვა ცხვირამ.

— კარგად მომისმინე: ვიღაცა მოგწონს, გინდა შეიყვარო, იმასთან ცოლქმრობა ხელს გაძლევს, მაგრამ გულის გულში გძულს. ამას კარგად გრძნობ, მაგრამ შენ თავს არ უტყდები, უმალავ. უფრო მეტიც — მის მიჩქმალვას, დათრგუნვას ცდილობ, მაგრამ როცა საქმე-საქმეზე მივა, ის მიჩქმალული სიძულვილი თავს წამოყოფს. [illegible]ცილებლად როდისმე იფეთქებ[illegible] არ მოხდა-მეთქი, ხან ამა[illegible]ან ხო შეიძლება, პირიქით, ის ვიღაცა უყვარდა, მაგრამ მათ შორის რაღაცა მოხდა. ან იმან არ წაიყვანა, ან იმის გაყოლა თვითონ ხელს არ აძლევდა, რა აძლევდა, რა ვიცი... როგორც მოიქცა, ესეთ კაცთან ქალი ესე მოიქცევა: ვითომ ვერც იცნობს, არც აინტერესებდა და ესეთები. აქ თავმოყვარეობის საქმეა. ჩემთან, რა თქმა უნდა, არაფერს არ გაამჟღავნებდა, შეიძლება იმან რო წამაქცია — გაუხარდა კიდეც, ვერ გაიგებ ქალს გუნებაში რა უდევს. შეიძლება ჩემი გამარჯვებაც უნდოდა, ეგეც თავმოყვარეობის ამბავია, მე ხო უკვე იმის ქმარი ვიყავი, მაგრამ როცა დაინახა, მე ის სასიკვდილოდ გავწირე — უკვე იმ სიძულვილმა, გულის გულში რომ ჰქონდა იფეთქა. — ცხვირას თვალებში დააცქერდა. თითქოს იქ უნდოდა პასუხი ამოეკითხა. უყურა, უყურა და თვითონვე უარჰყო ეს ვერსია:

— ის მურტალი ჩვენებური არ იყო. იქაური იყო, — მთებისკენ გაიშვირა ხელი — საიდან უნდა სცნობოდა, საიდან უნდა შეჰყვარებოდა... თუმცა რა ვიცი, რას გაიგებს კაცი.

— ეგ უკვე ეჭვებია. კაცი მერე ათას რამეს წარმოიდგენს, ათას რაღაცას შეთხზავს. მე გირჩევ, მაგეებს ნუ აჰყვები, გულს ნუ შეაჭმევინებ ბოლმას. სად წავა, როცა იქნება გამოჩნდება, სიმართლეს გაიგებ და ნახავ, რო ამეებზე ფიქრით ტყუილად იტანჯავდი თავს.

— მართალი ხარ, მაგრამ სანამ არ გავარკვევ, ვერ მოვისვენებ. სინამდვილე რო მეცოდინება, თუ ვტყუივარ — ვაღიარებ ვტყუივარ-მეთქი და მოვრჩება. თუ ის ტყუის და აღიარებს, შევუნდობ და, რა ვიცი, როგორც საჭირო იქნება, ისე მოვიქცევი. ეს გაურკვევლობა მტანჯავს. ეგებ იმისი შეუპოვრობა მოეწონა. ქალს, აკი წელანაც გითხარი, მაგათსას რას გაიგებ, ზოგჯერ უხეშობა უფრო მოსწონს. რასაც, სა-

ერთოდ ბრიყვობად ვთვლი, ზოგს ის ვაჟკაცობად მიაჩნია და მოსწონს. თუ ვუყვარდი — ნათქვამია საყვარელ ადამიანს ყველაფერს აპატიებენო, რატო იმან ცოტა მაინც არ მაპატია? მე ხო არ ვიცოდი, ის წყეული ასეთი ვერაგი იქნებოდა? კაცს სტუმრად ეწვიო, იმასთან პური გატეხო და მერე ეგეთი რამე გააკეთო! იქნებ გადაყოლილი მასპინძლობაც ვიცით, მაგრამ არა, ჩემმა მზემ, ამის გააზრება ძნელია. შენ თავს ამის გაფიქრების უფლებასაც ვერ მისცემ ჰო, ჰო, პურის მადლმა. — პურს დაადო ხელი. — ესეთ რამეს კაცისგან ვერ იფიქრებ და ეს რატო არ უნდა ეპატიებინა, რატო არ უნდა გაეგო, რო ამას ვერ მოვიაზრებდი? ეგრე რო მცოდნოდა, გვერდში კი არ მოვისვამდი, შუაზე გავგლეჯდი, მაგრამ საიდან უნდა მცოდნოდა? უყურებ — კაცია, და სანამ ცუდს არ ჩაიდენს საიდან უნდა მცოდნოდა — ის ამას იკისრებდა? ამიტომ ზიზღის ღირსი არ ვიყავი, ზიზღის ღირსი არ უნდა გავეხადნე. ეს მაგიჟებს. იმედი გაუცრუვდა მართალია, დაბდურად მოვიქეცი, მაგრამ ხო ნახა იმან იმუხთლა. თუ არა და, მარტო ჭიდაობა ხო არ არი. ვინც ფანდები არ იცის, კაცი არ არის? სამაგიეროდ თავი ხო არ დამიზოგია. ხო ნახა იმის გულისთვის რა გავაკეთე. დავსახიჩრდი, ნახევარი კაციღა ვარ. ეს ხო მისმა სიყვარულმა ჩამადენინა. — ჩაფიქრდა, მერე დინჯად, სიტყვების მკვეთრი გამოთქმით დაუმატა: — კაცმა მართალი უნდა თქვას. მარტო სიყვარულმა არა, თავმოყვარეობამაც გამაკეთებინა. ჰო, — დაუდასტურა თავის თავს. — ჰო, კაცი ვარ, თავზე ლაფს ხო არ დავასხმევინებდი, მაგრამ მაინც სიყვარულმა მომცა ძალა, თავმოყვარეობისთვის, ალბათ, ამდენზე არ წავა კაცი, მაინც იმის გულისთვის გავაკეთე და მაშ რა ეწყინა, რატო არ მაპატია, რატო გამწირა?

ვინ იცის ამაზე რამდენი იფიქრა, რამდენნაირად განსაჯა, გაზომა და რაკი აქამდე თვითონ ვერ გასცა პასუხი, ცხვირასთვისაც ძნელი იყო რამის თქმა. ამიტომ ღრმად ჩაფიქრებული ხელს გადაიქნევდა, გადმოიქნევდა, კიდევ და კიდევ გადაიქნევდა, გადმოიქნევდა.

— ან ის ძაღლები რაღა მაშინ გავრეკე? — იკითხა მოგვიანებით. — თუ მაშინ მიყელთა, როცა ძაღლები იქ არ მყავდა? ეგებ მომიწყო? ჩემი ბოლვერა რო იქა ყოფილიყო, რას ამბობ, ახლოს როგორ მოუშვებდა, როგორც კი ხელს წამკიდებდა, ეგრევე ეცემოდა. ხელებს ხო არა და არ შეაკვრევინებდა, არც ანანოს მიაკარებდა.

ხან ის მაეჭვებს: პირველად რომ წამაქცია — ანანომ გაკვირვებულმა შემომხედა და ეხში შევიდა. იმიტო ხო არ ამერიდა — შევებრალე?

— უყვარდი, ცოლია და შეებრალებოდი, რა თქმა უნდა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს.

— მნიშვნელობაო! ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მე ეს ჩემი ყმაწვილკაცობიდან ვიცი: სადაც სიბრალულია — იქ სიყვარული ველარ იბოგინებს. ძალიან ცდება ის ჭაბუკი, რომელიც ცდილობს საყვარელ გოგოს თავი შეაბრალოს. ამით, პირიქით, თავს აძულებს. თუ გოგონაში სიყვარულის ნიშანწყალია — იმასაც წირვას გამოუყვანს.

— ეჰ, ქალის ხუსტურებს ვერ გაიგებ. მე მაინც იმაზე ვდგავარ, ფიქრითა და ეჭვებით თავს ნუ დაიტანჯავ. არ მომხდარიყო — კარგი იყო. რაც მოხდა — მოხდა. რომც გამოჩნდეს, იმ ბედნიერებას ველარ დაიბრუნებ. ამიტომ მე გირჩევ ახალ ოჯახს მოჰკიდო ხელი. შვილი გინდა.

— ჰო, მაგრამ — აღარ დააცადა ახმახმა. — რაკი გამექცა, გამოდის შევძულდი. ბოლოს და ბოლოს, ხო უნდა ვიცოდე, ხო უნდა გავარკვიო რისთვის, რატო?

თვალი მოვკარ, საპატარძლომ თავი წამოსწია, საქმროს ზემოდან გადმოხედა. თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ უბრადვე ჩაღუნა და შალი წაიფარა.

აი თურმე რა ფიქრები, რა ბოლმა

აწუხებს კაცს, მე კი მეწყინა რატო წესიერი პასუხი არ მოგვცა-მეთქი. უემური და ირონიგული კი არა საზრიანი, გონებაგახსნილი მბჭობელი ყოფილა. თუმცა, გულწრფელად უნდა ვაღიარო, რატომღაც ეჭვი მეპარებოდა, კიდევ უყვარდა თუ არა ანანო. ზოგჯერ ხომ სიყვარულის დაკარგვის სინანული, მისი ხსოვნა უფრო მწვავეა, ვიდრე თვით სიყვარული. თვითონვე ხომ აღიარა სადაც სიბრალულია იქ სიყვარული ვერ იბოგინებსო. მე კი, ვაი სულო ცოდვილო, ასე მომეჩვენა — სადაც პატივმოყვარეობაა, ვერც იქ იბოგინებს სიყვარული. ეეხ, ასეთებივართ ადამიანები: რასაც დავკარგავთ, ის მერე გაგვიტკბება.

ანანოს უცნაურმა საქციელმა მეც დამაფიქრა. მართლაც რა მოხდა მასში? ეფროს თქმისა არ იყოს — ცხადია, რაკი გაიქცა, აღარ უყვარდა ქმარი. მაგრამ, ეგებ, სწორედ სიყვარულმა გააქცია? მას ის წმინდა, შეუბღალავი სიყვარული სწადდა და რაკი ის შებილწეს — აღარ ინდომა? ხომ შეიძლება დღესაც წრფელი სიყვარულით იწვის? თუ ასეა მაშ რატომ არ გამოუჩნდება? ქალებს ხომ ხელეწიფებათ თავის კვალზე დააყენონ კაცები?

თავი და თავი კითხვა, რითაც უნდა დამეწყო, ალბათ, ის არის — ნამდვილად უყვარდათ თუ არა ერთიმეორე? ეს თაფლობის თვის ხიბლი ხომ არ იყო, მარტოობისა და ბუნების სიდიადის გრძნებით შეკრული?

ერთი რამე იყო გასათვალისწინებელი: როცა კაცი თავის თავგადასავალს ჰყვება, ნებით თუ უნებლიედ სათავისოდ ალამაზებს. განსაკუთრებით, როცა ვისთანმე ურთიერთობას ეხება, აუცილებლად გონებაში გამოიმუშავებს აზრს მასთან ისეთ ურთიერთობაზე, რომლითაც თავის მოქმედებას ასე თუ ისე ამართლებს და ამას საუბრისას ინტონაციით, რაღაცის გამოკლებით, რაღაცის დამატებით, რაღაცის შერბილებით თუ რაღაც-რაღაცა საშუალებებით თავისკენ ითლის. უფრო სარწმუნოდ ჰყვებოდა, ზოგჯერ თავის საქციელსაც იწონებდა, მაგრამ მე მაინც [illegible] მიმაჩნდა, რომ თავისკენ [illegible] ნაფოტს აგდებინებდა. [illegible]ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკი არ უნდა, თვითონაც ტყუოდა. მთაში ხარ, შე კაი კაცო, უკაცრიელ ადგილას. ქომაგი კი არა, უბრალო გამომსარჩლებელიც არავინა გყავს. აქ შენა ხარ კაცი. ყველას მფარველი: ცოლისაც, ბატკნისაც, ბინისაც. შენს იმედზეა ყველა. ამიტომ თავს ცოტა მეტი უნდა მოსთხოვო, მეტი გამჭრიახობა, მეტი სიფხიზლე გმართებს. კარგია რომ კაცს კაცურად ხვდები, მაგრამ ისიც ხომ უნდა გახსოვდეს — ზოგჯერ ადამიანი ადამიანისთვის მგელია.

პირველ რიგში, როგორც თვითონვე აღიარა, სასმელს არ უნდა მისძალებოდა. ხედავ მოსული არა სვამს, შენ რალამ დაგაქიმითა. არა და სწორედ ამ დალევამ გააფუჭა ყველაფერი: გონებაც მოუდუნა და კუნთებიც.

ყოველი დიდი, ავიცა და კარგიც, პატარიდან იწყება. ეს უნდა გაეთვალისწინებინა და სტუმრისგან საჭიდაოდ გადათხოვნა, ეს არ არის კაი კაცობის ნიშანი. და, წვრილმანად არ უნდა ჩაეთვალა. კიდევ არის იქ რაღაც-რაღაცები, მაგრამ იმათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, რამაც ეს ყველაფერი გამოიწვია — ალბათ ანანოს მარტოდ დატოვება იყო. ეფრო რომ გამწარებული იქნებოდა — ეს აშკარაა. კვერცხებისთვის რომ წავიდა, რა მეთქმოდა, რა უნდა მეთქვაო, — თქვა, იმ მდგომარეობაში თითქოს მართლაც ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი, მაგრამ ალბათ აუცილებელი იყო რამის თქმა. ანანოს სულიერი ტკივილი ეფროს ფიზიკურ ტკივილზე ნაკლები არ იქნებოდა, ეს კაცია, მეტი მოეთხოვებოდა. თუ თავისი ხელის ტკივილის განელებაზე ზრუნავდა — იმისი გულის მტკივნეულობაც უნდა გაეთვისებინა. რაღაც ისეთი უნდა ეთქვა, ქალს შვება მისცემოდა. თუმცა ვინ იცის რა ზღვა აღელდა ანანოს გულში. ერთი კია, სადაც ადამიანია — იქ შეცდომაც არის. შეეშალა, რატომ არ უნდა ეპატიებინა ეს ქალს? თუ კი უყვარდა, ალბათ, უნ-

და ეპატიებინა. აქაც ის ვერაგი პატივმოყვარეობა ხომ არ აფათურებს ხელებს?

ვცადე წარმომედგინა, რომ ეფრომ იპოვა ანანო. რა მოხდებოდა? როგორ შეხვდებოდნენ ერთმანეთს? ვთქვათ შერიგდნენ, როგორი იქნებოდა მათი ურთიერთობა? ცხვირას თქმისა არ იყოს, რაკი ფურჩი შეეპარა, თავისთავად ცხადია, რაც იყო ის აღარ განმეორდებოდა. არ ვიცი ვინ რა აზრისაა, მე კი ვფიქრობ, რაკი ქალი გაიქცა, ამის საფუძველი ჰქონდა თუ არა, რაკი მან ასე გადაწყვიტა, იმის დაბრუნება აღარ ღირს. თუ ჭეშმარიტი სიყვარული იყო, დაე, ის ტკბილ სახსოვრად დარჩეს, ვინემ ჭიამ ღრღნას, ხოლო, თუ ის მხოლოდ ხიბლი იყო, დაე, ისიც კეთილმოსაგონრად დარჩეს, ვიდრე მკაცრმა სინამდვილემ რწმენა წაგვიხდინოს, გული გვატკინოს...

ამ ფიქრებში ჩამძინებოდა. ჩოჩქოლმა გამომაღვიძა. დილაბნელი ტყდებოდა. აეროდრომზე ერთი ხორხორი იდგა. მივიხედ-მოვიხედე. ცეცხლი ჩამქრალიყო, თუმცა მუგუზლის ნამწვები ისე ბოლავდა. ახმახი, ცხვირა და მისი ცოლი მოვინახულისე. აღარც ნეფე-პატარძალი ჩანდა. წამოვდექი, „კოსმოსის" იქით ვილაც ბობოქრობდა, რალაცას იმუქრებოდა, მუშტს იქნევდა. დავაკვირდი, ქუჯი იყო.

— ისე როგორ წავიდნენ, ვერ გავიგე! — გაიკვირვა თალხიანმა დედაბერმა.

— რა მოხდა? — ვკითხე წითელმანდილიანს.

— იმ ცალხელამ, — ახმახზე მიითხრა. — პატარძალი გაიტაცა.

— კი არ გაიტაცა, გაჰყვა. — შეუსწორა დედაბერმა.

განრისხებული ნეფე ჩვენსკენ წამოვიდა. სასწრაფოდ თოფი გავმართე, ჯიბეებში ვაზნები ჩავიყარე. ვერ გეტყვით ვის მივემხრობოდი, მაგრამ მდევარის დაძახებაზე მზად ვიყავი, რომელი ცხენიც თვალში მომივიდოდა, შევხტომოდი და გავდევნებოდი.

ნეფე ფარდულში შემოვიდა. გადაფითრებული იყო. თვალებს ისე აბრიალებდა — ვაი, შენ საწყალო ცალხელავ-მეთქი. — გავიფიქრე. წამი-წამს ველოდი დაიძახებდა: აბა, მხარს ვინ მიჭერსო! ღელვისაგან უკვე ვთრთოდი. მან კი უსუსური მზერა მოავლო წამოშლილ ხალხს და უკვე დათრგუნულმა, ბედსშერიგებულმა, ეტყობა, ახმახს გამოაჯავრა: წავიდა და წავიდა! ჰო, წავიდა და წავიდა! — წამოიყვირა ნიშნის მოგებით და კიდევ მოავლო ხალხს თვალი.

— ერიჰა! — გავიფიქრე გუნებაში და თოფი ზურგჩანთაზე მივაგდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიკა ალექსიძე

## ნოსტალგია

მე არ გელოდი ამ შუადღეს,
თეთრჩაჩიანო პატარა კაცო.
რა ვნება გქონდა, ეს მიშლამული
დროთა წყლები რომ გამოტოპე...
ან ის სავალი...
რაც ულიმლამოდ გაწბილებულ ღამეებში დავინაწევრეთ.
მომწვანო გუბე ჩვენი ბალღობის,
მთელი სამყარო მგონია ახლაც.
ყველგან სარკეა, ყველგან, სადაც ფეხი დაგვიდგამს
და ვუთვალთვალებთ ერთმანეთის კეფაზე ჩუმად,
დროისაგან აკეცილ ნაოჭს...
უცნაურია!
მაინც ვილაც გეუბნება: „იძინე მშვიდად".
მასკარადების ქარავანი კი სარკეებში მიდის და მიდის
და შენ გინდა, ერთო ცადავ, აქლემად იქცე,
იქნებ იტვირთო სარკეთა სევდა,
ბრჭყვიალა სევდა გაპრანჭულ ბრბოთა,
ბრბოთა ლაშლაში —
მარაგი ყვითელ უდაბნოთა ყასიდი თრთოლვის.
შენივე სუნთქვით შენს ბეჭებზე ამოივსო,
ამობერო სიყვარულის გლუვი კუზები
და სარკეებში დალიო სული.
თეთრჩაჩიანო მარადიულო მესაათევ,
მაჩვენე შენი ცრემლიანი, წვრილი თვალები,
დროს რომ აღნიშნავს ჩემი სამყაროს მომწვანო ფსკერზე,
ან ჩამოჰკარი ბალღივით ეჟვნებს,
მაგ მშვენიერ ყელს რომ შეაბეს,
დამსხვრეული, ძველის-ძველი საათის ნაცვლად...
სამწუხაროა, გვითვალთვალებენ!
სახეები აკვარიუმის თევზებივით მიკვრიან შუშებს,
აფახულებენ ბრჭყვიალა და ხასხასა თვალებს
და დაეძებენ იმ ბალღობის ერთ ციდა ფსკერზე,
თუ რამე დაგვრჩა.
სამწუხაროა ძმობილო, რომ აქლემობისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ცილა ხარ,
არადა მაინც შენი სულის ყველა საცეცით,
ცდილობ როგორმე გადამირჩინო
გუშინდელი დღე.
მოხვედი ჩუმად დროთა წყლებიდან,
და ერთი პეშვი, ვეებერთელა სინამდვილე შემომაძლიე,
მომაგონე პირველი ქალი —
— ეს უცაბედი, უსაზღვრო მიწა:
ორომტრიალი უცნობი ქვეყნის,
რომელშიაც მიდიხარ და აღარ მთავრდება.
პირველი ქალი, თოვლივით ფაფუკ საფეხურებად
რომ იქცა უცებ და დამძრა ცისკენ.
მომღიმარი რომ შეეხო ჩემს ბალღურ წვივებს,
რომელთაც ჯერაც ნედლი თიხის
სურნელი ჰქონდათ.
გამიყო ღამე,
შემაჩვია იმ ჩემს ნახევარს,
რომელსაც მხოლოდ ბუნდოვნად ვგრძნობდი
და მითხრა ფრთხილად „მიდი, იარე!“
მე ახლაც ვხედავ ამ ქალის პროფილს
აბაჟურიდან არეკლილი, შეხლილი კედელს,
თავის თავს რომ ველარაფრით უბრუნდებოდა
და ცახცახებდა ორ თითს შორის,
ჩემგან წაგლეჯილ სიგარეტის მომწვანო კვამლი,
ერთად-ერთი სახსოვარი რაც ჩემგან დარჩა —
— შეშუპებული ტუჩების ჩრდილი...
და მაშინ მივხვდი რა ცოტა რამ მქონია თურმე,
დიდი ხსოვნისთვის.
ამასაც ალბათ შენ მიმახვედრე,
თეთრჩაჩიანო პატარა კაცო!
სადღაც სულ ახლოს, ჩემს ღამეში
რომ იდექ ჩუმად,
და მკარნახობდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავ,
როცა წვივებზე თიხას მაცლიდნენ.
ჩემთვის არავის უსწავლებია, რა არის ცეცხლი,
ანდა მდინარე,
ჩემთან არავის დასცდენია
სულ ერთი სიტყვაც სიკვდილის გამო,
რომ შეიძლება, ჩემშიც ოდესმე
რაღაცა მოკვდეს.
ჩემთვის არავის მოუცლია, რომ შთაენერგა
ფიქრის სურვილი საკუთარი სისხლის შესახებ,
და ამიტომაც ასე დავიწვი,
ვიხრჩობოდი ასე მალიმალ,
ასე ვიწექი სხვათა სიკვდილში
ასე ვზიდავდი საკუთარ კუბოს,
რომელშიც თურმე სხვები ესვენა.
და სისხლიც ასე უფიქრებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიოდა ჩემიდან გარეთ.
ესეც ბედია!
მარტო შენ რომ მრჩები მარადის.
რამდენჯერ ვცადე შენი მოკვლა,
რა უმოწყალოდ, უამრავჯერ აგახრჩოტინეს
ჩემმა ხელებმა,
მაგ მომხიბლავ ყელში რომ წაგწვდი,
როცა მეგონა მომაბეზრე უზომოდ თავი.
შენ კი ბოდიშებს იხდიდი უხმოდ,
აფახულებდი ცრემლიან თვალებს
და მიღიმოდი...
რადგან იცოდი, რომ შენი გზა ღმერთისკენ მიდის,
ჩემი წარსული ისე უბრალოდ უნდა გაგევლო,
რომ გეთქვა მერე:
„— შენი ბავშვობა — შენი ერთადერთი სამშობლო“ —
რომელზეც მხოლოდ ჩვენ უნდა მოვყვეთ,
და ალბათ ისევ ჩვენი თავისთვის.
შენ სულგრძელი ხარ!
უპატრონოდ რომ არ სტოვებ ამხელა სევდას.
ჯერ კიდევ გწამს სასწაულების,
დროთა წყლებმა ასე შმაგად
რომ ჩაიტყუეს ფსკერთა ფსკერისკენ.
ახლა ყველაფერს თავის კუთვნილ
ალაგს უძებნი და მეც თუ მისვამ კითხვის ნიშნებს,
უბრალოდ რაღაც მართალს მაგონებ,
და პასუხს არ მთხოვ,
რადგანაც იცი, აბა რა უნდა გიპასუხო
ათას წლის წინათ მოვარდნილი ქარის შესახებ.
მე შემიძლია ვიგრძნო მხოლოდ
ღმერთისა და შენი წყალობით,
რომ იყო ქარი, რომ არის ქარი,
რომ არის რაღაც მარადი ქარში,
და რაც არ უნდა დავიმალო, გადავიხვეწო,
დავიხშო სმენა,
ასე იქნება უკუნითი უკუნისამდე!
რადგანაც ქარი, მოვარდნილი
ათასწლის წინათ — ბედისწერაა...
ჩემი სიცოცხლის გერბი და ჰიმნი,
(გაოცებული შიშნარევი თვალები ბალღის)
რომელმაც ქარი, სისხლივით უნდა ზიდოს ბოლომდე.
ჩვენს შორის ახლა კლოუნების ოაზისია...
რა ხდება, ღმერთო!
კაცი, რომელიც ასე მიყვარდა,
კეფაში მიმზერს.
კაცს, რომელსაც ქონდა თვალები,
ქონდა სახლი, თავისი ქუჩა, თავის ქალაქი,
თვალების ნაცვლად, გაოცებული
უსასრულო ღრმულებით მხედავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ქალა კი ვილაც უცნობის,
ჩემს ოთახში დროთა შფოთით შემოტანილი,
თაროზე რომ დევს ნებიერად, ისე მიღიმის,
ისე ბაძავს მამაჩემის უჩუმარ ღიმილს,
ლამის ვირწმუნო, რომ ამ ღიმილს
ჩემი სისხლის სურნელი ასდის.
სამწუხაროა, გვითვალთვალებენ!
და უსაზომო სიყვარულის სურვილის შემდეგ
ვაპურებთ მგლების უძღებ ხროვას
ჩვენი სულის მცირედი თრთოლვით გაზულუქებულთ...
ეს მგლების ხროვა მოიწევს ჩვენსკენ
ცარიელი ბუნაგის გეშით, ნადავლის გეშით,
მარტოობის შებღალვის გეშით,
გაუცხოების მიწა ხარ მათთვის,
აბა, სად უნდა მოიკალათონ.
მადლობა უფალს, მხოლოდ და მხოლოდ
ჩემში ნადირობთ და სხვასთან მხოლოდ
სტუმრად მიდიხართ, უკვე მაძღარნი
და სათნონი მგლური სიმაძღრით.
თქვენც სარკეებში სიკვდილი გელით.
თქვენც ჩვენსავით გითვალთვალებენ
და ვეღარასდროს ვერ გააღწევთ
ამ სარკეების სარკოფაგიდან.
არადა ხშირად მენატრება
დაგუდული თქვენი ყმუილი,
სადღაც ჩემს შიგნით, ასე მძაფრად, მტკივნეულად
რომ ვიგრძენი თავდაპირველად,
მე მივეჩვიე თქვენს არსებობას,
ვეღარ უარვყოფთ. დრომ უხმაუროდ გაგვათანაბრა
და ეს პატარა თეთრჩაჩა კაცი
გვახსენებს მხოლოდ ჟამიდან-ჟამს,
რომ იყო რაღაც საოცრად ნაზი,
გულუბრყვილო და მომხიბვლელი
მაგ თქვენს ყმუილშიც...
ეს სულ სხვა არის, სულ სხვა ქვეყანა,
დროთა წყლებში დაძირული,
ჩემი ბალღობის მომწვანო ფსკერზე.
ოკრობოკროდ დასახლებული,
რაზეც ვერავინ ვერ იტყვის ახლა
„არასწორია“!
ან დარღვეული პროპორციები
მიამიტი წყალქვეშა ქვეყნის
არ აატკივებს არავის თვალებს.
რასაც დაარქმევს სხვა ვინმე ალბათ
(ამ მცირე ნაგლეჯს სინანულების)
ქვეყანას მხოლოდ ერთი კაცისთვის.
ეს მარტოოდენ შენ თუ გესმის,
თეთრჩაჩიანო მარადიულო მესაათევ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინანულები აღმოჩენებს ჰგვანან ხანდახან,
ამიტომაც არაფერი გაეგებათ
იმ „უზუსტესი“ სიმეტრიების,
„სწორად“ მცხოვრები კაცთა მოდგმა
რომ ქმნის ფარულად,
დროთა წყლების მაღლა რომ დარჩნენ...
სინანულებმა არ იციან „ზუსტი“ ცნებები,
არ იციან სიტყვა „სისწორე“.
სინანულები ერთი ციდა ხომალდებს ჰგვანან
დროთა წყლებით რომ ივსებიან.
სინანულები ქმნიან ქალაქებს,
ქმნიან ქვეყნებს, წყალქვეშა ტაძრებს,
უცაბედსა და ენით აუხსნელს.
სინანულები მაღლდებიან მოკვდავთა დროზე
და თხზავენ თავის ერთი ციდა,
დროისაგან თავისუფალ ეპოქებს და საუკუნეებს.
სინანულები — ჩვენი სულის მშვენიერი საქანელები
ტაატ-ტაატით მიგვიძღვის წყალქვეშ...
თეთრჩაჩიანო პატარა კაცო!
ჩვენ ხომ ოდესღაც „გვასწავლიდნენ“,
რომ სამშობლო უნდა გვიყვარდეს
და გვაჩრიდნენ პატარა და სათნო ხელებში
იმხელა რუკებს, რომ უმწიფარნი,
შეშფოთებით აქეთ-იქით ვაცეცებდით შიშიან თვალებს.
მაშინ მიწასთან არაფერი არა გვქონდა თურმე საერთო.
სასაცილოა!
მიწა ძერე ჩვენ თვითონვე აღმოვაჩინეთ.
და ვიღლებოდით კედელზე გაკრულ „სამშობლოს“ ჭვრეტით.
მე იმ კედლიდან დამრჩა მხოლოდ
მწვანე, ყვითელი და სისხლისფერი...
და არაფერი ამაზე მეტი...?!
დაბლობების, უდაბნოების, მაღლობების აბსტრაქციები.
და ლურჯი ზოლი, თურმე მდინარე!
(ბავშვობაში მდინარეებს არ ივიწყებენ).
გასაკვირია!
სხვათა შადრევნებს ვუშვერდით გზნებით
ფერკმრთალსა და მორჩილ სახეებს
და ვეღარ ვგრძნობდით, რომ იყო წვიმა
აქვე სულ ახლოს, ფანჯრის გაღაღმა,
ასე საამო და შინაური
და კიდევ მიწა!
მიწა — შენი უნაღდესი ბიოგრაფია,
(დაბნეული თვალების ძირში.)
სამწუხაროა, ძალზედ გვიან აღმოვაჩინეთ
ამდენი თითის სასტიკ კაკუნში.
იდგნენ თითების ვეებერთელა, ხშირი ტყეები
და შუბებივით ზედ იხევდნენ
გულუბრყვილო ცნობიერებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ვხვდებოდით საზღვარსა და საზღვარს შორის
დატანებულ მიწურ საკნებში,
სადაც ჭერი არ უშვებს კისერს,
ცისკენ გაიდეს.
ნამდვილი ცისკენ,
რომელსაც ნამდვილი სახელი ჰქვია — ცა!
მშვენიერი და ერთად-ერთი,
და არა ცნება „მაღლა და მაღლა“.
ამიტომაც სიკვდილებზე ასხლეტილი მოლოდინი მარგუნა ღმერთმა...
აკვარიუმის ბაცად მომწვანო ღამეებში,
ძვირფასი მკვდრები დაწამლული თევზებივით
მიტორტმანებენ...
ეხლებიან ჩემი წყალქვეშა სამეფოს
მინის ტიხარებს... და ვიცი,
მათთან უფრო მეტი რომ მაქვს საერთო,
მაგრამ შუალედი ბავშობასა და სიკვდილს შორის
ვერ ამოვავსე, ტყუილად დავშვრი!
ვეღარც სახეებს ვერ ვუბრუნებ
იმ ტრაგიკულად დახვეწილ ფორმებს,
ახლა აქედან უფაქიზესად ნაპატრონებ
ნიღბებს რომ ჰგვანან.
მშვენიერ ნიღბებს — მარადიულ ალტერნატივას!
ახლა ისინი აქვარიუმის ღამეებში,
დროის წყლების უკანასკნელი ხიზნებივით
მიტორტმანებენ.
მე ჩემს თვალებს ვეღარ ვენდობი,
როცა ვუმზერ ამ მწვანე ფსკერზე —
— ჩემი ბავშობის,
უახლოეს კაცთ-თევზათ დიდებულ
და ნაცნობ ქარავანს
რომელიც ასე ულმობელად მახსენებს ისევ
რა იყო ზევით...
არ ვიცი მართლაც,
თეთრჩაჩიანო ჩემო დუმილო,
ვიცი, რომ იყო შეცდომებიც,
იყო შენდობაც! —
როცა ვცხოვრობდით ერთი ნისლებით.
ახლა სხვადასხვა წყლებშიღა ვცხოვრობთ,
ასე ისურვა ბედისწერამ...
მე ამ მომწვანო აქვარიუმს
ვერ ვტოვებ ჯერაც, ისინი კი
დიდი ცოდნით დაწამლულნი
სადღაც მიდიან...
ერთდროულად ყველგან და არსად.
დიდი ცოდნისგან ირონიულნი
უკანასკნელ, უსულგულო გამცილებლად
რომ მთვლიდნენ ალბათ, როცა მხედავდნენ
აქვარიუმის სქელ მინაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაოცებული თვალებით აკრულს.
მე მშურდა მათი ანკარა წყლების
ალალად მშურდა, ოღონდ ამ შურს
კეთილსა და მოსიყვარულეს,
ისინი ხომ ველარ ამჩნევდნენ.
მათ არ ესმოდათ უკვე იმის,
რაც კაცთ სჩვევიათ,
ეზარებოდათ უკან მოხედვა...
როგორ გავდა რაღაცით ახლა
მათი ზურგებით დატოვებულ
მღვრიე დუმილში
პირველი ქალი — პირველ სიკვდილს!
ორნივე ფრთხილად, რუდუნებით გვაცლიან თიხას,
შემკრთალსა და ათრთოლებულ კაცურ წვივებზე.
ორივესათვის უმწიფარნი ვართ.
ორივე ფრთხილად, სევდიანად ამბობს უჩუმრად:
„მიდი, იარე“!
ორივემ იცის, რომ იმ პირველს
არასოდეს უბრუნდებიან, თუ გასცდნენ ერთხელ...
და ამავე დროს, ის პირველი
არსებობს ყველგან,
ის პირველი არის ჩვენი თავიც და ბოლოც.
მერე უკვე ძველებურად აღარ კვდებიან.
და აღარც ქალის თითებს მოსდევს,
თავის ქალიდან ტერფებამდე
შენს სხეულში გაუღწეველ ნისლის ტბაში —
უკვე ცახცახი, გახსენებისას ყოველ დროში
უცნაურად რომ აგაწითლებს...
ძველებურად აღარასდროს არ წითლდებიან...
მერე უკვე, სულ უფრო ხშირად, გინდება ხოლმე,
იმ მოტორტმანე, სევდიანი თევზებიდან
გადმოხატო საკუთარი ავტოპორტრეტი...
და გამოტოვო ყველაფერი,
გამოტოვო ყველა წვრილმანი,
რაც იყო ირგვლივ.
ჯანდაბას, დარჩეს ნამარდი დანა,
შენი ბეჭის ქვეშ რომ გაიყვანს იმხელა გვირაბს,
შეგეშინდება საკუთარ ტანში მარტო დარჩენის,
შეეცდები და ველარ გააღწევ.
ეს იქნება „სასაცილო“, „მხიარული“, მარადი „ხვალე“...
დღეს კი ფსკერიდან უთვალთვალებ
გაწბილებული, მოკლე ღიმილით
თითის კარნახით „ნასწავლ სამშობლოს“
და არასოდეს არ დავივიწყებ იმათ სახეებს
ესოდენ ფრთხილს, ან ის თვალები
რამ დამავიწყოს... ჰალსტუხიდან რომ იწყებოდნენ
და შიშისაგან ცოცვა-ცოცვით გადადიოდნენ
სადღაც კეფისკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის ქალაზე ბილიკივით რომ სტოვებდნენ
ათიათასჯერ გაყიდულ და შეძენილ ღიმილს.
სამწუხაროა, გვიან მივხვდი
თავის ქალებზე ამ ღიმილით
ასე ულვთოდ გადასერილ ტყეს,
გველივით რომ მისრიალებდა,
და გვიქმნიდა უსაშინლეს უწონადობას,
ყველაზე ნაღდი სამშობლო ერქვა.
არადა როგორ გვრჩებოდა დამღად
იმ „ერთგულად გასხვისებულ“ მოძღვართა
ყვითელ თავის ქალებზე
მოხაზული ტრაექტორია — „აპოკალიფსური მზე“
გაუძლისი ლანდების ტყეში...
სწორედ ამიტომ მთელი სიცოცხლე
სამშობლოსკენ მოვდივართ თითქოს,
მოვდივართ და ვერკი ვბრუნდებით...
და იმ ნამარდი „ხვალის“, ნამარდი „ხელის“
იმედად რჩება ჩვენი ბეჭები
ის განიერი „სასაცილო“ მზე რომ მარხია.
სამწუხაროა, ამ შუადღეს თუ არ გელოდი,
თეთრჩაჩიანო პატარა კაცო.
ახლა ხომ ხედავ, დროთა წყლებმა
როგორ ერთბაშად მომაწოდეს
თავის ქვეყანა,
ქვეყანა მხოლოდ ერთი კაცისთვის,
ცინიკური რიბი-რაბო ჩემი ბალღობის.
რაც არ ეკუთვნის აღარც ერთ წესრიგს,
აღარც ერთ კანონს, რომლისთვისაც
შეიძლება ტყვია გესროლონ,
მაგრამ დილეგში ვერ დაგამწყვდევენ.
რაღა აზრი აქვს?!
ესეც ჩემი ერთი ციდა თავისუფლება,
უამრავი დამცირების შემდეგ რომ მერგო!
ვუმზერ იმ ჩექმებს,
ფერდებში რომ მცემდნენ ძალუმად
და მოუთმენლად მოელოდნენ
სუნთქვასა და სუნთქვას შორის
ამოხეთქილ შადრევანს სისხლის.
წყალქვეშ ისინიც გამსუბუქდნენ,
ახლა ნაძვის ხის მოსართავად
მუყაოსაგან გამოჭრილს გვანან.
შენც გიკვირს, ალბათ, თეთრჩაჩიანო ჩემო დუმილო,
ხედავ? ძველ დროებს როგორ ვუზოგავ,
ჩემი სამყაროს ერთგულ ბინადართ,
სამუდამოდ მაძღარნი რომ შემომცქეროდნენ,
რომ აქ, წყალქვეშაც არ მომაბეზრონ
შიმშილით თავი.
შიმშილი ხომ რაღაცით გავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათების გაბმულ ჟღარუნს
მიძინებულ საპყრობილეში,
ძილს, ამ ერთადერთ ნეტარებასაც, რომ გეცილება...
და მიდიან შენი სულის დერეფნებში
კლიტეების ჟღარუნით ისევ,
ვიღაცის მძიმე ნაბიჯები,
ურიტმო და ამავე დროს საოცრად ზუსტი...
მიდიან და აღარ ჰყოფნით
ერთი დღე-ღამე,
ერთი სრული წრე ციფერბლატზე,
ასე „გულუხვად" ბოძებული მოკვდავთათვის —
— დარდისათვის, მონატრებისთვის, სიყვარულისთვის,
ყველაფრისათვის, რისთვისაც ღირდა ვგონებ გაჩენა.
ისევ მიდიან... ძველებურად მძიმედ და ზუსტად,
ოცდაოთხი საათის იქით.
აჟღარუნებენ ჩემი სულის დერეფნებში
კლიტეების ვეება ასხმებს.
დღე-ღამის იქით,
დამცინავად, გადამსხვრეულ ღიმილს მაჩრიან
და მახსენებენ,
რომ მე მათგან განსხვავებით
ციფერბლატის შიგნით და ირგვლივ
უსასრულოდ უნდა ვიარო...
საოცარია, ვინც კი გაჩნდა დიდი სუნთქვისთვის
ყველა დამარცხდა.
მე ვხედავ რიგებს დონკიხოტების,
როგორ ამწყვდევენ ხსოვნის ყუთებში.
მე კი ველოდი...
თეთრჩაჩიანო პატარა კაცო!
ველოდი მხოლოდ.
ღმერთმა შემინდოს ჩემი ცოდვა მოლოდინების!
ახლა აქედან ყველაფერი ფართფატა და მსუბუქი მოჩანს.
ყველაფერი, რასაც მცირედით მაინც ვუყვარდი,
დროთა ფსკერზე მომინახულებს.
ჩემი ოთახი... ჩემი მაგიდა... ჩემი ჭალები...
ჩემი მშვენიერი პატარა ძაღლი...
ყველა ჩემი სიყვარულების
და წუხილების მემატიანე
(უთუოდ ახსოვთ ალბათ იმ ქალებს,
გაშიშვლებულ ბარძაყებზე სიამაყით რომ ახტებოდა!)
რამდენ ფერმკრთალ ტანს ჩაუვლია
ამ ჩემს ოთახში და არ უგრძვნია
ჩემი ბალღობის მომწვანო ფსკერი.
ისინი გრძნობდნენ, რომ აქ რაღაც
მსუბუქად ხდება,
მსუბუქი ხდება სხეულიც და ალიაქოთიც,
აქ არის წუთი, რომელსაც ალბათ
ვერასოდეს ვერ გაასხვისებ, შენია მხოლოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მიგაქვს ასე ხელებგაწვდილს
უსაშველოდ დიდი ძლევნივით,
ის, რაც ჩვენს შორის ითქვა თუნდაც
გაორებული, გაასებული, სიმეტრიებდარღვეული
ხმებითა და მოძრაობებით.
ღმერთმა შემინდოს!
მე მენატრება ყველა მათგანი.
ყველამ რაღაც დიდი დატოვა.
მე ვენდობი მათ გრძელსა და
ჯიშისაგან ძველისძველ ფეხებს,
ყველა წყლებში ფერუცვლელად, გამძლედ რომ დგანან,
მომთხოვნად რომ ირეკლებიან...
მე დავანახებ
ჩემი წყალქვეშა სამეუფოს მშვენიერ სტუმრებს
აქედან როგორ მოჩანს ზეცა!
ვათხოვებ თვალებს, რომ იხილონ
ამ მოჭედილი ვარსკვლავების
რიტუალურად ალმავალი სასოწარკვეთა,
სულ სხვა მთვარე — ესოდენ მწვანე და უსუსური.
ჩემს აღმოჩენებს გავანდობ ისევ
ეჭვით და სევდით, რომ მითხრან ჩუმი ალტაცებით
„დავიძრათ ცისკენ, დავბრუნდეთ ცისკენ,
ამომდე შენი მძლავრი მკლავები,
ამაცურე სევდიდან ზევით,
ამ წყალქვეშა ცას, მინდა, რომ ფრთხილად ნაძერწი
უჩვეული მკერდით შევეხო“.
შემინდოს ღმერთმა!
ეს წყალქვეშა ცა, მარადიული მესაათევ,
არავისთვის არ მემეტება...
მე მარტოსული ამაყი ვარ საკუთარი აღმოჩენებით,
ხედავ? ზევით ვერაფერს ვტოვებ.
მასკარადების ულიმლამო გლადიატორი
ამ სევდათა ჰაერბურთებს
დუმილით ვუმზერ.
ვიხსენებ ხშირად, რა ადვილი ყოფილა თურმე,
ოდესღაც ფრენა.
და თუ მაინც უყოყმანოდ მეახლებიან
ისინი, ვინც მცირედით მიძმო,
ჩვენ განვლაგდებით წყალქვეშ ისე,
ყველას ჩვენ ჩვენი ზეცა გვქონდეს,
ჩვენი სავალი.
და შევქმნით ასე ამ წყალქვეშა სამეუფოში
„უპრეტენზიო კაცების კვარტალს“...
მანამდე კი სულ უცნობის თავისქალა
ჩემს ოთახში დროთა შფოთით შემოტანილი
(თაროზე, რომ იდო ნეტარად),
მომსდევს ლეკვივით მწვანე ფსკერისკენ,
ტაატ-ტაატით მოაღიცლიცებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც დასტურს სისხლისა და შინაურობის,
მამაჩემის გაცრეცილ ღიმილს...
(უმაღლესი არტისტიზმის უდავო ნიმუშს,
ასე ვერავინ ვერ მიბაძავს ამხელა ტკივილს!)
რა დამრჩენია...
სარკეებში მასკარადების ქარავანი მიდის და მიდის.
ყველგან თვალია, სადაც ოდესმე
ფეხი დაგვიდგამს, სადაც ოდესმე
დაუნახავთ შენი იერი, ყველგან ჩაგძახეს
„იძინე მშვიდად“.
სასაცილოა...
შენ მაინც გსურს, უცნაურო, აქლემად იქცე,
იქნებ იტვირთო სარკეთა სევდა...

და გულუბრყვილოდ აფახულებ
გადამალულ ცრემლიან თვალებს.

მე არ გელოდი ამ შუადღეს,
თეთრჩაჩიანო მარადიულო მესაათევ ჩემი ბალღობის,

უნდა შემინდო, თუ ასეთი დაბნეული ვარ.
სამწუხაროა, ძველებურად გვითვალთვალებენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უილიამ ფოლკნერი

# იყო

აიზეკ მაკქასლინი, ძია აიკი — სამოცდაათს გადაცილებული და ოთხმოცს იმაზე მეტად მიტანებული, ვიდრე თვითონ ირწმუნებოდა, ქვრივი გახლდათ, ნახევარი ოლქის ბიძა იყო, მამა კი — არავისი.

ამ ამბავს თვითონ არ შესწრებია, მაკქასლინ ედმონდსს გადახდა თავს, მამიდამისის შვილიშვილს, ქალის შტოს შთამომავალს, ვისაც თითქოს არავითარი უფლება არ უნდა ჰქონოდა მაკქასლინთა მემკვიდრეობაზე, მაგრამ მაინც ფლობდა იმას, რაც — როგორც ზოგნი ფიქრობდნენ და ზოგნი ახლაც ფიქრობენ — აიზეკისა უნდა ყოფილიყო, რადგან აიზეკი გახლდათ იმ გვარისა, ვისაც პირველად გადაეცა ინდიელთაგან მიწის მფლობელობის ხელწერილი; აქი მათი მონების შთამომავალნი ჯერაც მაკქასლინს ირქმევდნენ, მაგრამ აიზეკი სხვებს არა ჰგავდა — ოცი წლის ასაკში დაქვრივებულს, მთელი ცხოვრების მანძილზე არაფერი ებადა გარდა იმისა, რაც ზედ ეცვა, ხელში ეჭირა და ჯიბეში ედო. ლითონის დასაკეცი საწოლი და თხელი ლეიბი ღამის გასათევად სჭირდებოდა ტყეში, სადაც ირემზე, დათვზე სანადიროდ, სათევზაოდ ან, სულაც, ტყის სიყვარულით დადიოდა. არაფერი ეკუთვნოდა და არც დასაკუთრებას ცდილოდა, რადგან მიწა ერთი კაცისა კი არა, კაცებისა გახლდათ, ისევე, როგორც სინათლე, ჰაერი ან ამინდი. ჯერაც ჯეფერსონის იმ ფარღალალა ბუნგალოში ცხოვრობდა, სიმამრმა რომ აჩუქა ნეფე-პატარძალს ქორწილის დღეს და სიკვდილის წინ ცოლმა რომ უანდერძა. ამასაც მომაკვდავი მეუღლის დასამშვიდებლად დაყაბულდა, წასვლა გაუადვილა, თორემ ნაანდერძევი იქნებოდა, უძრავი ქონება თუ სხვა რამ, მისი ცოლისდისა და დისშვილებისა უფრო იყო, რომლებიც მისი ცოლის სიკვდილის შემდეგ აქ ცხოვრობდნენ, თვითონ კი ერთ ოთახში იდგა, როგორც ცოლის სიცოცხლეში, ან თვით მისი ცოლი თავის დროზე, ან ცოლისდა და ბავშვები მისი სიცოცხლის ბოლომდე და შემდგომ.

თვითონ არც მოსწრებია და არც თავს გადახდენია, თავის მამიდაშვილ მაკქასლინისაგან ჰქონდა გაგონილი, იმისგან, 1850 წელს რომ დაიბადა და მასზე თექვსმეტი წლით უფროსი, ძმა უფრო იყო, ვიდრე მამიდაშვილი, და მამა უფრო, ვიდრე სხვა რამ. აიზეკის მამა სამოცდაათს იქნებოდა მიღწეული, ერთადერთი ვაჟი რომ შეეძინა; ეს იყო დიდი ხნის წინათ, ოდესღაც.

II

ძია ბაკი და მაკქასლინი შინისკენ გარბოდნენ, ტომის ტერლი ისევ გაქცეულიყო; ის იყო კიდეც მიატანეს სახლს, რომ სამზარეულოდან ძია ბადის გინება და ღრიალი მოესმათ; სამზარეულოს კარიდან მელია და ძაღლები გამოცვივდნენ, ჰოლი გაირბინეს და ძაღლების ოთახში შევარდნენ; ისმოდა, როგორ დაჯირითობდნენ ქასისა და ძია ბაკის ოთახში, მერე ისევ ჰოლში შემოვარდნენ, ძია ბადის ოთახი გაირბინეს და კვლავ სამზარეულოში შეცვივდნენ; ამჯერად ისეთი გრგვინვა მოისმა, თითქოს ბუხარი ჩამოიქცაო და ძია ბადიმაც იქუხა, ორთქლის გემივით ბღაოდა, სამზარეულოდან ხუთი თუ ექვსი შეშის ნაპობი გამოფრინდა, მერე მელია და ძაღლები გამოიჭრნენ, მათ შუა მოქცეული ძია ბადი კი ჯოხს იქნევდა და მარჯვნივ თუ მარცხნივ უბათქუნებდა. კაი რბოლა იყო.

მელია უკვე ფარდაზე ამძვრალიყო საათის უკან, როცა ქასი და ძია ბაკი ოთახში შევიდნენ ძია ბაკის ყელსახვევის ასაღებად. ძია ბაკმა ჯერ ყელსახვევი გამოიღო კარადიდან, ძაღლები გააპანჩურა, მელია კისრით ჩამოათრია და კვლავ გალიაში უკრა თავი საწოლის ქვეშ, მერე კი სამზარეულოს კარი შეაღეს; აქ ძია ბადი საუზმეს ჰკრეფდა ნაცრიდან და წინსაფრით წმენდდა. „ვითომ რა ეშმაკად შეუშვი მელია ძაღლებთან?“ იკითხა მან, „დაიქცა სახლი“.

„ჯანდაბას მელია“, მიუგო ძია ბაკმა, „ტომის ტერლი ისევ გაქცეულა. მე და ქასი სასწრაფოდ წავგახემსე, იქნებ გზა მოვუჭრათ, ვიდრე იქამდე მიაღწევდეს“.

კარგად იცოდნენ, საითაც წავიდოდა ტომის ტერლი; ყოველთვის, როცა გაპარვას მოახერხებდა. დაახლოებით წელიწადში ორჯერ, იქით მიდიოდა, პირდაპირ მისტერ ჰუბერტ ბიუჩემის მამულს მიაშურებდა ხოლმე, ზედ შტატის საზღვართან. მისტერ ჰუბერტის და, მისს სოფონსიბა (მისტერ ჰუბერტიც ძია ბაკისა და ძია [illegible]-ლო გახლდათ), ჯერ კიდევ ცდილობდა ხალხს ამ ადგილისათვის უორვიკი ეწოდებინა ინგლისის იმ კუთხის მიხედვით, რომლის გრაფიც ოდესღაც თითქოს მისტერ ჰუბერტი ყოფილიყოს, თვით მისტერ ჰუბერტს არასოდეს ჰქონია იმდენი პატივმოყვარეობა, ენერგიაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ ძველი უფლებების აღსადგენად თავი შეეწუხებინა. ტომის ტერლი აქ მისტერ ჰუბერტის გოგოსთან, ტენისთან, საარშიყოდ მოდიოდა ხოლმე და მანამდე რჩებოდა, სანამ უკან არ წაიყვანდნენ. მისი სახლში დაბმა შეუძლებელი ხდებოდა. ტენის ვერ ყიდულობდნენ, რადგან, ძია ბაკის თქმით, უკვე იმდენი ზანგი ჰყავდათ, მათ მამულში ნემსი ვერ ჩავარდებოდა. ვერც ტომის ტერლის მიჰყიდდნენ მისტერ ჰუბერტს, რადგან ამბობდა, არამცთუ არ ვიყიდი ამ წყეულ ნახევრად თეთრსა და ნახევრად მაკქასლინს, ჩემს მამულში მაშინაც არ გავაჩერებ, რომ მაჩუქონ ან ქირა მიხადონ მისი შენახვისათვისო. თუკი ტომის ტერლის დასაბრუნებლად მაშინვე არ წავიდოდა ვინმე, მისტერ ჰუბერტი მას თავისი ხელით მოიყვანდა და თან მისს სოფონსიბასაც მოიყოლებდა. მერე ერთ კვირას დარჩებოდნენ ან უფრო მეტს. მისს სოფონსიბა ძია ბადის ოთახში დაბინავდებოდა, ხოლო ძია ბადი სულაც მიდიოდა შინიდან და ერთ-ერთ იმ ქოხთაგანში იდებდა ბინას, ქასის პაპერას დროს ზანგები რომ ცხოვრობდნენ. მისი გარდაცვალების მერე ძია ბაკმა და ძია ბადიმ ყველა ზანგი იმ დიდ სახლში გადაიყვანეს, ქასის პაპერას დასამთავრებელი რომ დარჩა. ძია ბადი საჭმლის მომზადებაზეც იღებდა ხელს და სახლსაც აღარ ეკარებოდა, მხოლოდ აივნის წინ იჯდა ხოლმე ნავახშმევს სიბნელეში ძია ბაკსა და მისტერ ჰუბერტს შორის, ვიდრე მისტერ ჰუბერტი არ დაიღლებოდა და არ გაათავებდა იმაზე ლაპარაკს, თუ როგორ გამზითვავდა

მისს სოფონსიბას, რამდენ ზანგსა და აკრ მიწას დაუმატებდა, და ვიდრე არ დაიძინებდნენ. შარშან ზაფხულს კი ერთხელ, შუაღამისას, უნებლიედ ძილგამფრთხალმა ძია ბადიმ გაიგონა, როგორ გამოჰყავდა მისტერ ჰუბერტს ცხენი საჩიხიდან. მან დროზე გააღვიძა ყველა,ააყენეს მისს სოფონსიბა, ჩააცვეს, ცხენები ფორანში შეაბეს და გამთენიისას წამოეწივნენ მისტერ ჰუბერტს. ჰო, ტომის ტერლის მოსაყვანად ქასი და ძია ბაკი მიდიოდნენ ხოლმე, ძია ბადი არსად დადიოდა, არც ქალაქში და არც ტომის ტერლის დასაბრუნებლად, თუმცა ყველამ იცოდა, რომ იგი ათჯერ გაბედავდა იქ, სადაც ძია ბაკი ამდენჯერვე შეყოყმანდებოდა.

საჩქაროდ ისაუზმეს და ცხენების დასაჭერად გაიქცნენ, ძია ბაკი გზადაგზა ყელსახვევს ირგებდა, ტომის ტერლის მოსაყვანად რომ მიდიოდნენ, ყელსახვევს მაშინ ინასკვავდა ხოლმე; მას მერე, რაც შარშან ზაფხულს ძია ბადიმ შუაღამისას გააღვიძა და უთხრა, „ჯანდაბა, ახლავე ადექითო“, დღემდე კარადიდან აღარც გამოუღია. ძია ბადის კი სულაც არ ჰქონია ყელსახვევი. ძია ბაკი ამბობდა, ყელსახვევი ჯარშიც ეჯავრებოდაო, იქ კი, მადლობა ღმერთს, ქალები ისე იშვიათია, კაცმა შეიძლება მთელი დღეები გზებზე აჭენო ცხენი და თავის დაძვრენა არავისგან დაგჭირდეს. ქასის დიდედა (ძია ბაკისა და ძია ბადის და, ქასს დედის სიკვდილის მერე ის ზრდიდა, მანვე დაანათლა ქრისტიანული სახელი: მაკქასლინი, ქაროთერს მაკქასლინ ედმონდსი) ამბობდა, ძმებს ყელსახვევი იმისთვის სჭირდებათ, ისინი ერთმანეთში რომ არავის აერიოსო: რადგან ახლაც კი, სამოცი წლისანი, ჩხუბს აუტეხდნენ ყველას, ვინც გაბედავდა და ეტყოდა, თქვენი გარჩევა მიჭირსო; ამის პასუხად ერთხელ ქასის მამას უთქვამს, ვისაც ერთხელ მაინც უთამაშია პოკერი ბადისთან, არავიში აღარ შეეშლებაო.

იონას ორი ცხენი შეეკაზმა და ელოდიდა. ძია ბაკი სამოცს იყო მიტანებული, მაგრამ გაჩერებულ ცხენზე მაინც არ ჯდებოდა; გამხდარი იყო და კუნთსავით მოქნილი; მრგვალი თავი, მოკლედ შეკრეჭილი თეთრი თმა, მკვეთრი, ნაცრისფერი თვალები და თეთრი, მოკლე ნიკაპი ჰქონდა: ცალი ფეხი გაჰყო უზანგში და უკვე აძრული ცხენი ღია ჭიშკარში რომ გადიოდა, მაშინღა დაეშვა უნაგირზე, ქასი სწრაფად, იონას დაუხმარებლად, ამხედრდა თავის პატარა პონიზე, ქუსლები შემოსცხო და მოუქნელი, წყვეტილი ჩორთით მიჰყვა ძია ბაკს, უეცრად ძია ბადი (მანამდე რომ არც შეუნიშნავს) ჭიშკართან გადაუდგა და წუთით შეაჩერა, „თვალყური ადევნე“, თქვა ძია ბადიმ, „თეოფილუსს ადევნე თვალყური. მოგეჩვენოს თუ არა, საქმე ცუდად არისო, უკან გამოაჭენე და მე მომძებნე, გესმის?“

„დიახ, სერ“, მიუგო ქასმა, „ახლა კი გამიშვით, თორემ ძია ბაკს ველარ დავეწევი, ტომის ტერლი კი —“

ძია ბაკი ბლეკ ჯონზე იჯდა და ტომის ტერლი თუნდ ერთი მილის დაშორებით დაენახა მისტერ ჰუბერტის მამულიდან, ბლეკ ჯონი მას ორ წუთში დაეწეოდა. მინდორზე რომ გამოვიდნენ, მისტერ ჰუბერტის მამულამდე სამიოდე მილიღა რჩებოდა, ტომის ტერლიც დაინახეს, ჯორ ჯეიკზე ამხედრებულიყო და მათგან ერთი მილის დაშორებით მიაჭენებდა. ძია ბაკმა ალვირი მოქაჩა, მკლავი უკან გაიქნია და წაიხარა, პატარა, მრგვალი თავი და უხეში, ოთხკუთხა კისერი მელიასავით წაიგრძელა. „გაიპარე“, წაიჩურჩულა მან, „უკან დარჩი, არ დაგინახოს და არ დაფრთხეს. მე ტყიდან მოვუვლი და წყაროს ფონთან გამოვიჭერთ“.

ქასმა დაიცადა, ვიდრე ძია ბაკი ტყეში გაუჩინარდებოდა, მერე კვლავ დაიძრა და ტომის ტერლიმ თვალი ჰკიდა. ქასმა იჩქარა; შესაძლოა შეეშინდა, ვერ მივუსწრებ და გამოჭერას ვერა ვნახავო. ეს იყო საუკეთესო რბოლა,

რაც მას უხილავს. ბებერმა ჯეიკმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა, ისე მიჰქროდა, ტომის ტერლისგანაც მოულოდნელი გახლდათ ასეთი ჰენება — იგი ყოველთვის დინჯი იყო, თუნდაც ჯორზე ამხედრებული. ძია ბაკმა ერთი შეუძახა და ბლეკ ჯონი ტყიდან გამოვრინდა, თანდათან უმატებდა სისწრაფეს შევარდენივით გასწორებული და მიმართული. ძია ბაკიც გაჭიმულიყო, მისი თავი ცხენის ყურებს შორის მოჩანდა, გაუჩერებლივ ყვიროდა, შორიდან გეგონებოდათ, დიდ, შავ შევარდენს ზურგზე ბელურა შესჯდომიაო. ერთი მინდორი გადაჭრეს, ხრამს გადაახტნენ და მეორე მინდორიც გადასერეს; თვითონაც მიაჭენებდა; მისი ფაშატი მანამდე დაიძრა, სანამ ქასი გაფიქრებას მოასწრებდა, ქასიც ყვიროდა. ტომის ტერლი ზანგი გახლდათ და თეთრების დანახვაზე, შესაძლოა, ჯორი მიეტოვებინა და ფეხით გაქცეულიყო, მაგრამ არა, ამდენ გაპარვა-გამოპარვაში თეთრი კაცივით გაქცევა ესწავლა. ტომის ტერლის ჩვეულ ნაბიჯს თითქოს ბებერი ჯეიკის უჩვეულო სისწრაფე დამატებოდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ძია ბაკისთვის ფონამდე მიესწროთ. როცა ქასმა თავისი პონით იქამდე მიაღწია, ძია ბაკი გაქაფულ ბლეკ ჯონს დასასვენებლად დაატარებდა. მისტერ ჰუბერტის მამულამდე ერთი მილი დარჩენილიყო, იქიდან გარკვევით ისმოდა სადილობის მაუწყებელი საყვირის ხმა.

მერე გამოირკვა, რომ ტომის ტერლი არც იქ იყო. მისტერ ჰუბერტის ეზოს ჭიშკარი ორადორი ბოძისგან შედგებოდა, ერთ-ერთზე ქასის კბილა ზანგის ბიჭი შემომჯდარიყო და მელიაზე სანადირო რქას აყვირებდა; ამ ადგილს, როგორც მისს სოფონსიბა უჩიჩინებდა ხალხს, უორვიკი ერქვა; დიდი ხანია ყველამ იცოდა, რომ მისს სოფონსიბას ასე სურდა და თუ ვინმე ამ ადგილს უორვიკად არ მოიხსენიებდა, მისს სოფონსიბა თითქოს ვერც კი იგებდა, რის თაობაზე იყო ლაპარაკი, და ისე გამოდიოდა, თითქოს იგი და მისტერ ჰუბერტი ორ სხვადასხვა პლანეტას ფლობდნენ, მიწის ერთ [illegible] განლაგებულს, ერთს ქვემოდან და ერთს ზემოდან. მისტერ ჰუბერტი საგაზაფხულო სახლში იჯდა, ფეხთ გაეხადა, შიშველი ფეხები წყალში ჩაეყარა და ტოდს ყლურწავდა. ტომის ტერლის მნახველი არ ჩანდა; თავიდან მისტერ ჰუბერტმა თითქოს ვერც გაიგო, ვისზე ლაპარაკობდა ძია ბაკი. „აჰ, ის ზანგი“, თქვა ბოლოს, „ნასადილევს ვიპოვნით“.

სადილობას კი რაღაც არავინ ეპირებოდა. მისტერ ჰუბერტმა და ძია ბაკმა ტოდი დალიეს. მერე მისტერ ჰუბერტმა, როგორც იქნა, ვიღაც გაგზავნა ბოძზე შემომჯდარ ბიჭთან, საყვირში ბერვა რომ შეეწყვიტა, მერე კიდევ დალიეს ტოდი და ძია ბაკმა კვლავ გაიმეორა, „მე მხოლოდ ჩემი ზანგი მინდა, მერე შინ უნდა დავბრუნდეთ“.

„ნასადილევს“, თქვა მისტერ ჰუბერტმა, „თუ სამზარეულოსთან არ წავასწარით, ძაღლებს მივუშვებ კვალზე და დავიჭერთ, თუ მისი დაჭერა უბრალო მწევრებს შეუძლიათ“.

ბოლოსდაბოლოს, მეორე სართულის დარაბის ნაბზარიდან გამოჩნდა ხელი, რომელიც ცხვირსახოცს თუ რაღაც თეთრ ნაჭერს იქნევდა, ისინი შინ შევიდნენ, უკანა დარბაზი გადაჰკვეთეს, მისტერ ჰუბერტი ჩვეულებისამებრ აფრთხილებდა, დამპალ იატაკს მოერიდეთ, ჯერ არ შემიკეთებიაო. მერე ჰოლში იდგნენ, ვიდრე ბრახუნი და შრიალი არ მოისმა და უმარილის სუნი არ დატრიალდა. თმებს დაწნული ქუდი უფარავდა, საკვირაო კაბა ეცვა და სამკაულებიც აესხა, ყელზე წითელი ლენტი ეხვია, მოსდევდა პატარა ზანგის გოგო, რომელსაც მარაო მოჰქონდა, ქასი წყნარად იდგა ძია ბაკის ზურგს უკან და ქალს ტუჩებში შეჰყურებდა, ტუჩები გაიხსნებოდა და თვალს მოჰკრავდა ჩაშავებულ-ჩალურჯებულ კბილს, ასეთი კბილი არსად ენახა. გაახსენდა, ერთხელ როგორ უთხრა დიდედამ მამას,

მაშინ ისინი ძია ბაკსა და ძია ბადიზე საუბრობდნენ, მისს სოფონსიბა ერთდროს ლამაზ ქალად ითვლებოდაო. შესაძლოა ითვლებოდა, ქასი რას გაიგებდა, მაშინ მხოლოდ ცხრა წლისა იყო.

„ოჰო, მისტერ თეოფილუს“, თქვა ქალმა, „და მაკქასლინ“. დაუმატა მან. მისს სოფონსიბას არასოდეს მიუქცევია ყურადღება ქასისთვის, არც არასოდეს დალაპარაკებია. ქასმა ეს იცოდა, მაგრამ მაინც ძია ბაკს მიბაძა და ქუსლის ქუსლზე მისარტყმელად მოემზადა. „კეთილი იყოს თქვენი ფეხი უორვიკში“.

ქასმა და ძია ბაკმა ქუსლი ქუსლს მიარტყეს. „მე მხოლოდ ჩემი ზანგის წასაყვანად გეახელით“, თქვა ძია ბაკმა, „მერე შინ უნდა გავბრუნდეთ“.

მერე მისს სოფონსიბამ კელა ახსენა, ქასს აღარ ახსოვს, რატომ ახსენა მისს სოფონსიბამ კელა, რადგან ყველაფერი ერთმანეთში არეულიყო: მისს სოფონსიბას ჩქარი ლაპარაკი, საყურეებისა და მძივის ჩხარუნ-წკრიალი, რაც ფეხშეკრული ჯორის ჩაქჩაქს აგონებდა, ოღონდ სათამაშო ჯორისა, და სუნამოს მძაფრი სუნი, რასაც თითქოს მოჩხრიალე სამკაულები ასხურებდნენ აქეთ-იქით. ქასი შავ-ლურჯ კბილს მისჩერებოდა, წამდაუწუმ რომ გამოაჭიატებდა ტუჩის მიღმიდან; ჰო, ძია ბაკი შეადარა ფუტკარს, ყვავილებს რომ დაჰბზუის თავზე, დიდხანს არსად ჩერდება და მთელ ნაგროვებ ნუგბარს ძია ბადისთან ერთად მოწყენილობაში ფლანგავს; ძია ბადის მისტერ ამედეოსს უწოდებდა ისევე, როგორც ძია ბაკს — მისტერ თეოფილუსს; ან იქნებ მთელ თაფლს დედოფლისათვის ინახავენო, ეს ბედნიერი დედოფალი ვინღაა ან როდის გამოჩნდებაო, კითხულობდა. „მემ?“ თქვა ძია ბაკმა. აქ მისტერ ჰუბერტი ჩაერია.

„ჰა, ფუტკარიო. მე მგონი, იმ ზანგს თავი კრაზანა ჰგონია, რადგან დასაჭერად დასდევენ. მაგრამ ვიცი, რომ ახლა ბაკის ფიქრი დაჰბზუის კაი საწებლიან ხორცს, ბისკვიტსა და ფინჯან ყავას და ჩემი ფიქრიც [illegible]

სასადილო ოთახში შევიდნენ და სადილად დასხდნენ. მისს სოფონსიბამ თქვა, ერთი დღის სავალზე მცხოვრები მეზობლები სახლს უმიზეზოდ არ უნდა სტოვებდნენო, და ძია ბაკმა თქვა, დიახო. მერე მისს სოფონსიბამ თქვა, ძია ბაკს ცალად ცხოვრება აკვნიდან დაჰყვაო, და ახლა ძია ბაკმა ლეჭვაც კი შეწყვიტა, აიხედა და თქვა, დიახ, მემ, მართლაც ასეა და ამის შეცვლა უკვე დაგვიანებულია, მაინც მადლობელი ვარ ღვთისა, რომ არცერთი ქალი არ გაიზიარებს ჩემთან და ძია ბადისთან ცხოვრების ჭირვარამსო, და მისს სოფონსიბამ თქვა, ალბათ ძია ბაკს ჯერ არ შეხვედრია ქალი, ვინც არამარტო ამ ჭირვარამს, როგორც ძია ბაკმა უწოდა, გაიზიარებდა, არამედ ძია ბაკს იმასაც დაარწმუნებდა, რომ მის თავისუფლებას ბევრი არა დააკლდებოდა რაო, და ძია ბაკმა თქვა, არა, ჯერ არაო.

მერე ქასი, მისტერ ჰუბერტი და ძია ბაკი წინა გალერეაში გავიდნენ და დასხდნენ. მისტერ ჰუბერტს ჯერ ფეხზეც არ გაეხადა და არც ძია ბაკისათვის შეუთავაზებია მისთვის მიებაძა, რომ კარებში მისს სოფონსიბა გამოჩნდა ლანგრით ხელში, რომელზეც ტოდით სავსე დოქი იდგა. „რა ჯანდაბაა, სიბი“, თქვა მისტერ ჰუბერტმა, „გამაძღარია, დალევა რაღად უნდა“. მაგრამ მისს სოფონსიბას მისი ნათქვამი აინუნში არ ჩაუგდია, იდგა, შავ-ლურჯი კბილი ჯერ არ მოუჩანდა, რადგან ხმას არ იღებდა და ძია ბაკს ტოდს აწოდებდა, მერე ბრძანა, მამაჩემი ამბობდა ხოლმე, მისისიპურ ტოდს ისე არაფერი ატკბობს, როგორც მისისიპელი ლედის ტუჩიო, და ხომ არ ინებებთ, გასინჯოთ, როგორ დაგიტკბეთ მამაჩემის საყვარელი ტოდიო. მის სოფონსიბამ ასწია დოქი, ოდნავ მოსვა და ძია ბაკს მიაწოდა, ძია ბაკმა ამჯერად გამოართვა, ფეხები გაჭიმა, ტოდი დალია და თქვა, თუ მისტერ ჰუბერტი დაწოლას აპირებს, მეც ცოტა ხანს წამოვწვები ,რადგან, რო-

გორც ჩანს, ტომის ტერლი თავგადაკლულ ჭენებას აპირებს, თუ თქვენი ძაღლები თავს ძალიან არ გამოიდებენო.

მისტერ ჰუბერტი და ძია ბაკი შინ შევიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ქასიც წამოდგა და უკანა ეზოში გავიდა, რათა მათთვის იქ დაეცადა. ეზოში გასვლისთანავე თვალი ჰკიდა, რომ ცოცხალი ღობის ზემოთ ტომის ტერლის თავი მოცურავდა. ეზო გადაჭრა და თავს დაუარა, ტომის ტერლი არ გაქცეულა. ბუჩქის უკან ჩაცუცქულიყო, უკანა კარსა და მეორე სართულის ფანჯრებს უთვალთვალებდა. „ეხლა რას აკეთებენ?“ ხმამაღლა არ უთქვამს, მაგრამ არც დაუჩურჩულია.

„თვალს ატყუებენ“, თქვა ქასმა, „მაგრამ ის არ გეგონოს, ადგებიან თუ არა, ძაღლებს მოუშვებენ შენს კვალზე“.

„ჰა, ნურც შენ გგონია, ეხლა მე მფარველი მყავს, მარტო ის უნდა ვქნა, რო ბებერმა ბაკმა არ ჩამავლოს, სანამ სიტყვას მომცემენ“, თქვა ტომის ტერლიმ.

„რა სიტყვა“, იკითხა ქასმა, „ვინ უნდა მოგცეს სიტყვა? მისტერ ჰუბერტი ყიდვას ხომ არ გპირებს?“

„ჰა, მე უკეთესი მფარველი მყავს, ვიდრე თითონ მისტერ ჰუბერტია“, ტომის ტერლი ფეხზე წამოდგა, „ერთ რამეს გითხრამ, დაიხსომე; როცა რამე გინდა გააკეთო, თოხნა იქნება თუ ცოლის მოყვანა, ქალებს დაავალე, შენ კი დაჯექ და დაელოდე. დაიხსომე“.

მერე ტომის ტერლი წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ქასიც შინ შევიდა. აქ კი მხოლოდ ხვრინვა ისმოდა იმ ოთახიდან, სადაც ძია ბაკსა და მისტერ ჰუბერტს ეძინათ, და ცოტა უფრო ნაზი ხვრინვა — ზემოდან. იგი საგაზაფხულო სახლისაკენ წავიდა, დაჯდა და მისტერ ჰუბერტივით ფეხები წყალში ჩაჰყო, მალე აგრილდებოდა და გამოდევნება გაადვილდებოდა. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ მისტერ ჰუბერტი და ძია ბაკი უკანა დარბაზში გამოვიდნენ, მათ მისს სოფონსიბა მოსდევდათ, ხელში ლანგარი და ტოდი ეჭირა; ოღონდ ახლა ძია ბაკმა დაასწრო და მანამ დალია თავისი წილი, სანამ მისს სოფონსიბა დაატკბობდა. მისს სოფონსიბამ სთხოვა, მალე დაბრუნდითო, რადგან ძია ბაკმ· უორვიკზე მხოლოდ ის იცოდა, რაც ზანგებს ან ძაღლებს შეეხებოდა და ახლა, ბარემ აქ იყო და მისს სოფონსიბას სურდა, ეჩვენებინა მისთვის თავისი ბაღი, სადაც მხოლოდ მისტერ ჰუბერტს ჰქონდა შესვლის ნება და სხვას არავის. „დიახ“, თქვა ძია ბაკმა, „მე მხოლოდ ჩემი ზანგის დაჭერა მინდა. მერე შინ უნდა დავბრუნდეთ“.

ოთხმა თუ ხუთმა ზანგმა სამი ცხენი მოიყვანა. ბილიკზე წყვილწყვილად მდგარი ძაღლების ყეფა ისმოდა. ისინი ამხედრდნენ და ბინებისაკენ დაეშვნენ, ძია ბაკი დაწინაურდა, ძაღლებსაც კი გაასწრო. ისე მოხდა, რომ ქასმა ვერც კი გაიგო, სად წამოაგდეს ტომის ტერლი, ერთ-ერთი ქოხიდან გამოსხლტა თუ რა მოხდა. ბლექ ჯონზე ამხედრებული ძია ბაკი წინ მიდიოდა და ჯერ ძაღლებიც არ მიეშვათ, რომ იღრიალა: „გაიქცა, ღმერთო ჩემო, წაგვივიდა“. და ბლექ ჯონის ფლოქვებმა დამბაჩის სროლასავით ოთხჯერ გაიჭახუნა. ცხენი გაქანდა და ძია ბაკიანად ისე გადაეშვა გორაკის მიღმა, თითქოს დედამიწის ზღვარს მიაღწიეს და უსასრულობაში შთაინთქნენო. მისტერ ჰუბერტიც ყვიროდა, წაგვივიდა, დაეწიეთო. ყველა გორაკზე აცვივდა და მინდვრის ბოლოს, ლამის ტყესთან დაინახეს კიდეც ტომის ტერლი, ძაღლებს უკვე გორაკის ბოლომდე ჩაეღწიათ და მინდორზე გარბოდნენ, ერთი კი დაიყეფეს, როცა ტომას ტერლის წამოეწივნენ და გარს შემოერტყნენ, ისე ჩანდა, თითქოს მაღლა ახტომასა და მისი სახის გალოკვას ცდილობდნენ, ტომის ტერლიმ კი სვლა შეანელა და ძაღლებთან ერთად ნელი ნაბიჯით შევიდა ტყეში. გეგონებოდათ, კურდღლებზე უნადირიათ და ახლა დაღლილები შინ ბრუნდებიანო. ძია ბაკს რომ წამოეწივნენ ტყეში, აღარც ტომის ტერლი ჩანდა არსად და აღარც

ძაღლები, მხოლოდ ბუჩქნარში დაბმული ბებერი ჯეიკი იპოვნეს ნახევარი საათის შემდეგ, ზურგზე უნაგირის ნაცვლად ტომის ტერლის ქურთუკი ჰქონდა დაკრული და გარშემო მისტერ ჰუბერტის მამულიდან მოპარული ნახევარ ბუშელამდე შვრია ეყარა, ჯეიკს კი შვრიის მიწიდან ახვეტისა და გადმოფურთხების თავიც აღარ ჰქონდა. რბოლა სრულებითაც არ ყოფილა.

„სამაგიეროდ ამაღამ დავიჭერთ", თქვა მისტერ ჰუბერტმა, „მახე დავუგოთ, ზანგები და ძაღლები ტენის სახლს შემოვარტყათ და დავიჭერთ".

„ჯანდაბას ღამე", თქვა ძია ბაკმა, „მე, ქასი და ეგ ზანგი შებინდებისას შუა გზაზე უნდა ვიდგეთ. შენს ზანგებში ფინია ხომ არავის ეყოლება ან რამე ამგვარი, ძაღლებს რომ მიაგნოს?"

„და შუაღამემდე ტყეში ვიწანწალოთ?" თქვა მისტერ ჰუბერტმა, „ხუთას დოლარზე დაგენიძლავები, რომ მაგ ზანგის დასაჭერად შეღამებულზე ტენის ქოხთან მისვლა და დაძახებაღა დაგჭირდება".

„ხუთასი დოლარი?" თქვა ძია ბაკმა, „ეგრე იყოს, რადგან ეგ ზანგი ისევე არ აპირებს შეღამებულზე ტენის ქოხთან მისვლას, როგორც მე". მან და მისტერ ჰუბერტმა ერთმანეთს შეხედეს.

„კეთილი", თქვა მისტერ ჰუბერტმა.

მერე იცდიდნენ, ვიდრე მისტერ ჰუბერტის ბრძანებით, ბებერ ჯეიკზე ამხედრებული ზანგი შინ დაბრუნდებოდა, ნახევარ საათში პატარა, კუდმოჭრილ, შავ ფინიას მოიყვანდა და ვისკით სავსე ბოთლს მოიყოლებდა. ზანგი მოსვლისთანავე ძია ბაკს მიუახლოვდა და ქაღალდში გახვეული რაღაც მიაწოდა. „რა არის?" იკითხა ძია ბაკმა.

„თქვენთან გამომატანეს", თქვა ზანგმა, ძია ბაკმა ქაღალდი ჩამოართვა, გაშალა და ხელთ წითელი ბაფთის ნაჭერი შერჩა, მისს სოფონსიბას რომ ჰქონდა ხოლმე ყელზე მოხვეული. ძია ბაკი ისე გაშეშდა, თითქოს პატარა წყლის გველი სჭეროდეს, მაგრამ არავისთვის უგრძნობინებია, შემეშინდაო. ზანგს შესცქეროდა და თვალებს ახამხამებდა, მერე ხამხამი შე[illegible]

„რისთვის?" იკითხა [illegible]

„იმან გამომატანა", თქვა ზანგმა, „თან დამაბარა, მეთქვა, წარმატება".

„რა დაგაბარა?" იკითხა ძია ბაკმა.

„რა ვიცი, სერ", მიუგო ზანგმა, „მარტო ესა თქვა, წარმატებაო".

„ოჰ", ამოიოხრა ძია ბაკმა. ფინიამ ძაღლებს მალე მიაგნო. მათ ჯერ ყეფა მოესმათ შორიდან. მზის ჩასვლის ჟამი იყო, ეტყობა ძაღლები არაფერს მისდევდნენ, ისე ყეფდნენ, თითქოს საიდანმე თავის დაღწევას ცდილობდნენ. მალე ათი კვადრატული ფუტის სიდიდე ბამბის საწყობში მიაგნეს, ტრიალ მინდორში, მისტერ ჰუბერტის სახლიდან ორ მილზე. თერთმეტივე ძაღლი შიგ იმყოფებოდა. კარი ხის ნაპობით იყო გამაგრებული. ერთმა ზანგმა კარი გაალო და ძაღლები ხროვად გამოცვივდნენ, მისტერ ჰუბერტი ცხენზე იჯდა და ძია ბაკს სადღაც კისერთან უყურებდა.

„კარგი, კარგი", თქვა მისტერ ჰუბერტმა, „ასეა თუ ისე, მათ კიდევ გამოიყენებ. მგონი, მაგათ უფრო გააწვალეს შენი ზანგი, ვიდრე იმან ეგენი".

„არც ისე", თქვა ძია ბაკმა, „არც იმას გაუწვალებია და არც ამათ, ფინია მირჩევნია".

„კარგი", თქვა მისტერ ჰუბერტმა, მერე კი, „ჯანდაბას, ფაილუს, წამო, ვივახშმოთ. ხომ გითხარი, მაგ ზანგის დასაჭერად მარტო — "

„ხუთასი დოლარი", თქვა ძია ბაკმა.

„რაო?" იკითხა მისტერ ჰუბერტმა. ერთმანეთს დააშტერდნენ, თვალებს არ აბრიალებდნენ, მაგრამ აღარც ხუმრობდნენ. მწუხრი დგებოდა, ცხენებზე ისხდნენ და ერთმანეთს მისჩერებოდნენ, თვალებს ოდნავ ახამხამებდნენ. „რა ხუთასი დოლარი?" თქვა მისტერ ჰუბერტმა, „რომ შუაღამისას ტენის ქოხში ვერ დაიჭერ?"

„რომ არცერთი ჩვენგანი, არც მე და არც ის ზანგი, არავის სახლში ყოფნას

არ ვაპირებთ, გარდა ჩვენი სახლისა". ახლა კი დაუბღვირეს ერთმანეთს.

„ხუთასი დოლარი", თქვა მისტერ ჰუბერტმა, „მოვიდა".

„მოვიდა", თქვა ძია ბაკმა.

„მოდის", თქვა მისტერ ჰუბერტმა.

„მოდის", თქვა ძია ბაკმა.

მისტერ ჰუბერტმა ზანგები და ძაღლები გაირეკა და შინ გაბრუნდა. ქასმა და ძია ბაკმა ზანგთან ერთად, რომელსაც ცალი ხელით ბებერი ჯეიკი მოჰყავდა და მეორეთი ფინიას კისერზე მიბმული თოკი ეჭირა (გუთნის დახრულდაძენძილი საბელი იყო), განაგრძეს გზა. ძია ბაკმა ფინიას ტომის ტერლის პალტოზე ასუნებინა, ფინიამ თითქოს გეში აილო და ის იყო დააპირეს, თოკი შეეხსნათ და კვალს მიჰყოლოდნენ, რომ სწორედ ამ დროს ზანგის ბიჭმა სახლში ვახშმობის მაუწყებელი საყვირი დასცხო და მოერიდნენ.

სიბნელე ჩამოწვა. მერე კი — ქასს აღარ ახსოვს, რა დრო იყო ან სად იმყოფებოდნენ, რა მანძილით დასცილდნენ სახლს: ბნელოდა, ისინი კვლავ მიდიოდნენ, ძია ბაკი დროდადრო იხრებოდა და ფინიას ტომის ტერლის პალტოს ასუნებინებდა ან ვისკის სვამდა ბოთლიდან. უცებ ტომის ტერლის ნაკვალევი აირია და დიდი წრის შემოვლა იწყო სახლის მიმართულებით. ღმერთმანი დავიჭირეთ, თქვა ძია ბაკმა, სახლამდე გზას მოვუჭრით, ვიდრე მიწაში ჩაძვრებოდეს. ზანგს უბრძანეს, ფინია მიეშვა და ბებერ ჯეიკზე შემჯდარი მიჰყოლოდათ, თვითონ კი მისტერ ჰუბერტის სახლისაკენ გაეშურნენ, ბორცვებზე ჩერდებოდნენ, ცხენებს ასვენებდნენ და ფინიას აყურადებდნენ, ყეფა ზემოდან ისმოდა, სადაც ჯერ კიდევ ტრიალებდა ტომის ტერლი.

მაინც ვერ დაიჭირეს. ზანგების ქოხმახები ჩაბნელებულიყო; მისტერ ჰუბერტის სახლში ჯერაც ენთო სინათლე, ვიღაცა საყვირს აყვირებდა, ზანგის ბიჭი არ უნდა ყოფილიყო, ქასს მანამ არასდროს გაეგონა ასეთი გაშმაგებული ხმები, იგი და ძია ბაკი ფერდობზე დაეშვნენ და ტენის ქოხის წინ დასცილდნენ ერთმანეთს. მერე ფინიის ხმაც მოესმათ ერთი მილის [illegible] ჩალაცას ეტანებოდა. მალე ზანგის ხმაც გაიგონეს და მიხვდნენ, მცდარი კვალი აუღიათ. ორივე ნაპირი საათზე მეტხანს ჩხრიკეს, მაგრამ ტომის ტერლი არსად წამოუგდიათ. ბოლოს ძია ბაკმა ხელი ჩაიქნია და სახლისაკენ გაემართნენ, ფინია ზანგს ჯორზე შემოესვა და წინ მიდიოდა. ის იყო ქოხმახებისაკენ მიმავალი ბილიკი აათავეს, ქედს იქით მისტერ ჰუბერტის ახლა უკვე ჩაბნელებული სახლიც გამოჩნდა, რომ ფინიამ უცბად დაიყეფა და ძირს ჩახტა, მირბოდა და ყოველ ნახტომზე ყეფდა, ძია ბაკიც უკვე ძირს იყო და ვიდრე ქასი უზანგებიდან ფეხს გამოიღებდა, პონიდან გადმოითრია, ფინიას მიჰყვნენ და ერთ-ერთი ქოხის წინ ამოჰყვეს თავი. დავიჭირეთ, თქვა ძია ბაკმა, უკნიდან მოუარე, არ დაუძახო, ჯოხი აიღე და მაგრად დააკაკუნე.

მერელა მიხვდა ძია ბაკი თავის შეცდომას. დაავიწყდა ის, რაც ბავშვსაც კი ეხსომებოდა: რომ ზანგს, ვისიც ოდნავ მაინც გეშინია, არც წინ უნდა დაუდგე, არც უკან, არამედ გვერდიდან უნდა მოუარო. ძია ბაკს ეს დავიწყებოდა. იგი პირდაპირ მისჩერებოდა კარს, მის წინ კი ფინია იდგა და ყოველი ამოსუნთქვის მერე ყეფით იჭაჭებოდა. ჯერ ფინიამ დაიწკავწკავა და ტომის ტერლიც ჩემს წინ გაჩნდა, კარი როგორ გაიღო, არც დამინახავსო, იძახდა ძია ბაკი; მხოლოდ ფინიამ დაიწკმუტუნა, ფეხებში გაუძვრა და ტომის ტერლიც ეძგერა ძია ბაკს. შეუჩერებლივ დაარტყა და ვიდრე დაეცემოდა, დაიჭირა კიდეც, არც შეჩერებულა, მკლავქვეშ ამოიჩარა და ლამის ათ ფუტზე წაათრია, „მიფრთხილდი, ბებერო ბაკ, მიფრთხილდი", თქვა, ვიდრე მიწაზე დაახეთქებდა, და გაიქცა. ამ დროს ფინიას ხმა აღარც კი ესმოდათ.

ძია ბაკს არაფერი სტკენია, ერთი კი დააბოყინა მიწაზე დაზღერთებისას, მაგრამ უკანა ჯიბეში ვისკის ბოთლი

ედო — ბოლო ყლუპს ინახავდა ტომის ტერლის დაჭერის აღსანიშნავად — და მანამდე არ განძრეულა, სანამ არ დარწმუნდა, ვისკით ვარ სველი და არა სისხლითო. ცალ გვერდზე იწვა და მუხლებზე დაჩოქილი ქასი კი ფრთხილად აცლიდა ბოთლის ნამსხვრევებს, მერე სახლისაკენ დაადგნენ გზას, ფეხით მიდიოდნენ, ზანგმა ცხენები კი მოჰგვარათ, მაგრამ ძია ბაკისათვის არავის შეუთავაზებია ამხედრება. ახლა ფინიას ხმა სულ აღარ ესმოდა. „სწრაფად კი გარბოდა“, თქვა ძია ბაკმა, „მაგრამ, არა მგონია, იმ ფინიას დაჭერა შეძლოს, ღმერთო, რა წყვდიადია“.

„ხვალე დავიჭერთ“, თქვა ქასმა.

„ხვალე ეშმაკისაა“, თქვა ძია ბაკმა, „ხვალ შინ უნდა ვიყოთ; ოხ, ერთი ჩემს მიწაზე მაჩვენა ან ჰუბერტ ბიუჩემი ან ეს ზანგი და იმწუთშივე დავაჭერინებ საზღვრის დარღვევისა და მაწანწალობისათვის“.

სახლში ბნელოდა. მისტერ ჰუბერტის ხვრინვა მკაფიოდ ესმოდათ. ზემო სართულიდან ჩამი-ჩუმი არ მოდიოდა. ჰოლში შევიდნენ და კიბეს მიადგნენ. „მისი ოთახი სახლის უკანა მხარეს უნდა იყოს“, თქვა ძია ბაკმა, „რათა სამზარეულოში მოურთავად შეეძლოს შესვლა, ამას გარდა, გაუთხოვარი ქალი თავისი ოთახის კარს მაგრად ჩაკეტავდა, როცა სახლში უცხო მამაკაცია“. ძია ბაკმა თავი დაიმშვიდა და კიბის პირველ საფეხურზე ჩამოჯდა. ქასი დაიხარა და ჩექმები გახადა, მერე თვითონაც გაიხადა და კედელთან მიაწყო. მერე იგი და ძია ბაკი კიბეს შეუყვნენ ზემო სართულისაკენ; ბნელოდა, სიჩუმეს მხოლოდ მისტერ ჰუბერტის ხვრინვა არღვევდა. მეორე სართულზე ავიდნენ და დერეფანს გაუყვნენ სახლის წინა მხრისაკენ, ვიდრე კარს არ მიადგნენ. კარს იქით ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, ძია ბაკმა სახელური მოსწია და კარი გაიღო. „კარგია“, წაიჩურჩულა მან, „წყნარად იყავი“. ბუნდოვნად მოჩანდა საწოლის მოხაზულობა და კოლოების საწინააღმდეგო ბადე. ძია ბაკმა მაშველები მოიხსნა, შარვლის ღილები შეიხსნა. საწოლთან მივიდა [illegible]ზე ჩამოჯდა. ქასი კვლავ [illegible]შვა, ძია ბაკს შარვალი გახადა და თავისასაც იხდიდა, როცა ძია ბაკმა ბადე ასწია და ლოგინში შეძვრა. სწორედ მაშინ წამოჰყო თავი მისს სოფონსიბამ და დაიკივლა.

III.

მეორე დღეს შინ რომ მიაღწია, უკვე სადილობის დრო იყო. დაქანცულობისაგან ფეხზე ძლივს იდგა, ჭამის თავი არ ჰქონდა, თუმცა ძია ბადის სადილის თადარიგი არც დაუჭერია; პონიზე ვეღარ შეჯდებოდა, საძილედ სწყდებოდა კისერი. ალბათ მაშინ თუ ჩაეძინა, ძია ბადის მომხდარს რომ უამბობდა, და ნაშუადღევსღა გამოეღვიძა, ჯანჯღარა ფორანში იწვა, სახელდახელოდ გამართულ თავის საწოლზე, ძია ბადი კოფოზე იჯდა მის თავს ზემოთ და აქაც ისევე მოკალათებულიყო, როგორც ცხენზე ან ბუხრის წინ საჭმლის კეთებისას, შოლტიც ისევე მოემარჯვებინა, როგორც კოვზი ან ჩანგალი, როცა კერძს ურევდა ან გემოს უსინჯავდა. მერე ქასი ფორანში იჯდა, პურსა და ხორცს მიირთმევდა და დოს აყოლებდა, რაც ძია ბადის ნესტიან ფუთაში გაეხვია და თან წამოეღო. უნდა ეჩქარათ, მისტერ ჰუბერტის სახლამდე ორი მილიღა რჩებოდა. ძია ბადიმ ჭამა დააცადა და მერე უთხრა, აბა, თავიდან მომიყევიო. და იგი კვლავ მოჰყვა, თუ როგორ იპოვნეს, ბოლოსდაბოლოს, მან და ძია ბაკმა ოთახი, სადაც არავინ ეგულებოდათ, თუ როგორ იჯდა მერე ძია ბაკი საწოლის კიდეზე და წამდაუწუმ იმეორებდა, „ოჰ, ღმერთო ჩემო, ქას, ოჰ, ღმერთო ჩემო, ქას“. მერე მისტერ ჰუბერტის ნაბიჯების ხმა მოესმათ კიბეზე, დერეფანი განათდა, მისტერ ჰუბერტი ღამის პერანგისამარა შემოვიდა, ოთახი გადაკვეთა და სანთელი მაგიდაზე დადგა. იქვე გაჩერდა და ძია ბაკს მიაჩერდა.

„ესეც ასე, ფაილუს“, თქვა მან, „როგორც იქნა, გამოგიჭირა“.

„უნებლიედ მოხდა“, თქვა ძია ბაკმა, „ღმერთმანი — “

„ეე“, თქვა მისტერ ჰუბერტმა, „ეგ იმას უთხარი“.

„უკვე ვუთხარი“, თქვა ძია ბაკმა, „ღმერთმანი, ვუთხარი — “

„ჩუ“, თქვა მისტერ ჰუბერტმა, „ყური მიუგდე“. ისინი წუთით გაჩუმდნენ. ქასს უკვე კარგა ხანია ესმოდა ქალის ფეხის ხმა, მერე ხმა მინელდა. ქალი აღარ იძროდა. „იქნებ დაბრუნებულიყავი და ერთხელ კიდევ გეთქვა, რომ უნებლიედ მოგივიდა, არაფერი გქონია განზრახული. რათა გაპატიოს და დაივიწყოს, რაც მოხდა? ჰა, წახვალ?“

„ჰა“, წამოიძახა ძია ბაკმა.

„მიდი და გაუმეორე“, თქვა მისტერ ჰუბერტმა.

ძია ბაკმა წუთით შეხედა მისტერ ჰუბერტს, მერე სწრაფად დაახამხამა თვალები.

„მერე უკან მოვბრუნდე და შენ გითხრა?“ თქვა მან.

„მე?“ იკითხა მისტერ ჰუბერტმა, „მაგ საქენქს მე არ ავკენკავ. წახვალ?“ ძია ბაკმა კვლავ შეხედა მისტერ ჰუბერტს, თვალებს ისევ ახამხამებდა, მერე შეწყვიტა ხამხამი და თქვა, „მოიცა, აბა, დაფიქრდი, ვთქვათ, შევედი ლედისთან საწოლ ოთახში, თუნდაც მისს სოფონსიბასთან, ვთქვათ, იგი ერთადერთი ქალია მსოფლიოში, მაგალითისათვის ვამბობ, ჰოდა, შევედი მის ოთახში, რათა ლოგინში ჩავწოლოდი, თან ცხრა წლის ბალღსაც ხომ არ წავიყოლებდი?“

„მე სხვაგვარად ვფიქრობ“, თქვა მისტერ ჰუბერტმა, „დათვის ბუნაგში შენი ნებით შეძვერი. გამოცდილი კაცი ხარ, იცოდი, რომ დათვის ბუნაგი იყო, ისიც იცოდი, სად შესასვლელია და სად გამოსასვლელი. შენ ბედი სცადე. მაგრამ არა, ბუნაგში შეძვერი და იცოდი თუ არა დათვის იქ ყოფნა, მნიშვნელობა აღარა აქვს. და თუ მაგ ბუნაგიდან უვნებელი გამოხვალ, მაშინ მე დაუფიქრებელი კი არა, მტკნარი სულელი ვიქნები. ბოლოს[illegible]ლოს, მეც მინდა მშვიდი [illegible]ხლა ხელში მივარდება. დიახ, სერ, გამოჭერილი ხარ, ფაილუს, და შენც კარგად იცი. კაი რბოლა იყო და კარგადაც დაამთავრე, მაგრამ ნამეტანი მოგივიდა“.

„ჰო“, თქვა ძია ბაკმა, ერთხელ ჩაისუნთქვა და ამოსუნთქვა, არც ისე ხმამაღლა, მაგრამ კაცი გაიგონებდა. „კარგი“, თქვა მან, „ვფიქრობ, მაშ შემიძლია ბედი ვცადო“.

„შენ უკვე სცადე ბედი“, თქვა მისტერ ჰუბერტმა, „აქ რომ მოხვედი, მაშინ უკვე სცადე“. მერე ისიც გაჩერდა, თვალები ექვსიოდეჯერ დაახამხამა. მერე შეწყვიტა ხამხამი და ერთი წუთით ძია ბაკს შეხედა. „ბედი სცადო?“ იკითხა მან.

„ის ხუთასი დოლარი“, თქვა ძია ბაკმა.

„რა ხუთასი დოლარი?“ იკითხა მისტერ ჰუბერტმა. მან და ძია ბაკმა ერთმანეთს შეხედეს. ახლა უკვე მისტერ ჰუბერტი ახამხამებდა თვალებს, მერე ხამხამი შეწყვიტა. „მეგონა, მას ტენის ოთახში მიაგენი“.

„მივაგენი“, თქვა ძია ბაკმა, „შენ დამენიძლავე, დაიჭერო, იქ კი ათი ბაკი რომ ყოფილიყო, მაინც გაგვიძვრებოდა“. მისტერ ჰუბერტმა დინჯად ჩაუკრა თვალი ძია ბაკს.

„შენ გინდა იმ სულელური სანაძლეოთი დამაბა?“ ჰკითხა მან.

„შენ შენსას ეცადე“, თქვა ძია ბაკმა, მისტერ ჰუბერტმა კვლავ ჩაუკრა თვალი, ერთხანს შეყოვნდა, მერე მაგიდიდან სანთელი აიღო და გავიდა. ისინი საწოლის კიდეზე ისხდნენ, ხედავდნენ თუ როგორ ჩადიოდა სინათლე კიბეზე და მისტერ ჰუბერტის ფეხის ხმა ესმოდათ. ცოტა ხნის მერე სინათლე კვლავ გამოჩნდა, ფეხის ხმაც მოისმა. მისტერ ჰუბერტი კიბეზე ამოდიოდა, ოთახში შემოვიდა, მაგიდას მიუახლოვდა და ზედ სანთელი და ბანქოს შეკვრა დასდო.

„ერთი ხელი“, თქვა მან, „აიღე, შენ

აურიე, მე გავჭრი, ამ ბიჭმა დაარიგოს... ხუთასი დოლარი სიბის წინააღმდეგ. ბოლოსდაბოლოს, ზანგების საქმეც მოვაგვაროთ. თუ მოიგე, ტენის ყიდულობ, თუ მოვიგე, იმ შენს ბიჭს ვიყიდი. ფასი ორსავ შემთხვევაში სამასი დოლარი იყოს".

„ეს როგორ?" იკითხა ძია ბაქმა, „მოგებული ზანგებს იყიდის?"

„სიბიზე გეუბნები, ეშმაკმა დალახვროს", თქვა მისტერ ჰუბერტმა, „სიბიზე, მაშ რა ჯანდაბად ვსხედვართ შუაღამემდე და ვდავობთ? წაგებული იგებს სიბის და ყიდულობს ზანგებს".

„კეთილი", თქვა ძია ბაქმა, „ვიყიდი იმ წყეულ გოგოს და მოვრჩეთ ამ სისულელეს".

„ჰე", თქვა მისტერ ჰუბერტმა, „ეს ყველაზე სერიოზული სისულელეა, რაც ცხოვრებაში შეგხვედრია. არა, ხომ თქვი, ბედსა ვცდიო, ინებე, აი, მაგიდაზე დევს და გელოდება".

ძია ბაქმა აურია კარტი და მისტერ ჰუბერტმა გაჭრა, მერე ქასმა აიღო და ორივეს ხუთ-ხუთი დაურიგა. ძია ბაქი დიდხანს ჩასჩერებოდა ხელებში მომწყვდეულ ქაღალდს, მერე ორი მოითხოვა და მან ორი კარტი მისცა. მისტერ ჰუბერტმა სწრაფად გადაავლო თვალი თავის კარტს. მანაც ორი მოითხოვა, თავისი გამოცვლილი კარტი ძია ბაქისას შეურია, ახალი ხელში ჩაიცურა, მერე ერთიანად გაშალა, თვალი გადაავლო, დახურა, ძია ბაქს შეხედა და თქვა:

„რაო, სამს ორი მიაშველე?"

„ვერა", თქვა ძია ბაქმა.

„მე კი მივაშველე", თქვა მისტერ ჰუბერტმა და კარტი მაგიდაზე დაჰყარა. ქაღალდები გადმობრუნებული დაეცა ძია ბაქის წინ. ეს იყო სამი ერთიანი და ორი ხუთიანი. „ღმერთმანი, ბაქ მაქქასლინ, ბოლოსდაბოლოს, შეგხვდა ღირსეული მოწინააღმდეგე", დაუმატა მან.

„სულ ეს იყო?" იკითხა ძია ბადიმ, ეს უკვე მზის ჩასვლისას, მისტერ ჰუბერტის სახლიდან თხუთმეტი წუთის სავალზე.

„დიახ, სერ", თქვა ქასმა და მოუყვა, თუ როგორ გაალვიძა [illegible] ბაქმა, როგორ გადმოძვრა [illegible] ფანჯრიდან, პონიზე შეჯდა და გამოექანა. ძია ბაქის ის დანაბარებიც გადასცა, თუ ძალიან შემავიწროვებენ, წყალსადენის მილს ჩამოვყვები და ბადის მოსვლამდე ტყეში დავიმალებიო.

„აჰა", თქვა ძია ბადიმ, „ტომის ტერლი იქ იყო?"

„დიახ, სერ", თქვა ქასმა, „საჯინიბოში იყო, როცა პონის გამოსაყვანად შევედი".

„არ მორჩნენ?" მკითხა.

„შენ რა უპასუხე?" თქვა ძია ბადიმ.

„ვუთხარი, ძია ბაქი თითქოს მორჩა, მაგრამ ძია ბადი ჯერ არ მოსულამეთქი".

„ჰო", თქვა ძია ბადიმ.

ამის მერე ხმა აღარ გაუღია, ვიდრე სახლს არ მიადგნენ. ძია ბაქი შესაძლოა შორიდან ადევნებდა თვალს, მაგრამ არ გამოჩენილა. მის სოფონსიბაც არსად ჩანდა. ასე რომ, ძია ბაქი ჯერ საბოლოოდ არ დანებებულიყო ან ჯერჯერობით ხელი მაინც არ ეთხოვა. ძია ბადიმ და მისტერ ჰუბერტმა ივახშმეს, სამზარეულოდან გამოვიდნენ, ოთახში მაგიდა გადაწმინდეს, ზედ მხოლოდ ლამპა და კარტი დატოვეს. მერე ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც წინა ღამეს, ძია ბადის ყელსახვევი არ ეკეთა და მისტერ ჰუბერტს ღამის პერანგის ნაცვლად ტანსაცმელი ეცვა, იქაურობასაც სანთლის მაგივრად ჭვარტლიანი ლამპა ანათებდა. მისტერ ჰუბერტი მაგიდის ბოლოს იჯდა და კარტის კუთხეებს ცერა თითებით ასწორებდა. მერე კარტი მაგიდის შუაგულში დასდო, ლამპის ქვეშ, ხელები მაგიდის კუთხეებს მოავლო, ახლოს მიიწია, თან ძია ბადის უთვალთვალებდა. ძია ბადი იჯდა, ხელები კალთაში ჩაეწყო, მთლად ნაცრისფერი ძია ბადი ნაშალ კლდეს ან ხავსმოდებულ ჯირკვს მოგაგონებდათ. ძია ბაქივით თეთრი, მრგვალი თავი ჰქონდა, მაგრამ თვალებს მასავით არ ახამხამებდა და უფრო მსუ-

ქანიც იყო. ალბათ ჯდომისა და საჭმლის მზადებისაგან თუ მოემატა ხორცი და ფერიც ფქვილისა და საჭმლისა დასდებოდა.

„დაწყებამდე ტოდს ხომ არ მიირთმევ?“ თქვა მისტერ ჰუბერტმა.

„არა ვსვამ“, თქვა ძია ბადიმ.

„სწორადაც იქცევი“, თქვა მისტერ ჰუბერტმა, „აი, მე ვიცოდი, რომ ფაილუსს ქალის გარდა სხვა სისუსტეც აზასიათებდა. მაგრამ სულ ერთია“. მან ორჯერ ჩაუკრა თვალი ძია ბადის. „ბაკ მაკქასლინი მიწისა და იმ ზანგების წინააღმდეგ, რომლებიც — შენც გაგეგონება — სოფონსიბასათვის უნდა მიმეცა მზითვად. თუ მოიგებ, ფაილუსი ერთავს სიბის უმზითვოდ, თუ მომიგებ, ფაილუსი შენია, მაგრამ ის სამასი დოლარი, რაც ფაილუსს ტენისათვის მართებს, მე დამრჩება, ხომ სწორეა?“

„სწორეა“, თქვა ძია ბადიმ.

„ერთი ხელი“, თქვა მისტერ ჰუბერტმა, „შენ აურიე, მე გავჭრი, ამ ბიჭმა დაარიგოს“.

„არა“, თქვა ძია ბადიმ, „ქასმა არა, ჯერ ბავშვია, არ მინდა აზარტულ თამაშში ჩაერიოს“.

„ოჰო“, თქვა მისტერ ჰუბერტმა, „ისე კი ამბობენ, ამედეოს მაკქასლინთან მოთამაშეს აზარტულ თამაშთან არაფერი ესაქმებაო. ეგრე იყოს, სულ ერთია“. იგი ძია ბადის შეჰყურებდა და თავმოუბრუნებლად თქვა, „წადი, უკანა კარით გადი და დაიძახე, ვინც პირველი გამოგეპასუხოს, მოიყვანე, გინდ ჯორი იყოს, გინდ სხვა ცხოველი და, თუნდაც, ადამიანი, ოღონდ ათი კარტის დარიგება შეეძლოს“.

ქასი უკანა კარით გავიდა, მაგრამ დაძახება არ დასჭირებია, ტომის ტერლი იქვე აჰყუდებოდა კედელს. ისინი შემობრუნდნენ სასადილო ოთახში, სადაც მისტერ ჰუბერტი და ძია ბადი ისხდნენ, მისტერ ჰუბერტს მაგიდაზე დაეყრდნო ხელები, ძია ბადის კი კალთაში ჩაეწყო, მაგიდაზე ლამპის ქვეშ პირქვე იდო კარტი. არცერთს თავი არ აუწევია. „აურიე“. თქვა მისტერ ჰუბერტმა, ძია ბადიმ აუ[illegible] კარტი კვლავ ლამპის ქვეშ [illegible] ხელები ისევ კალთაში ჩაიწყო, მისტერ ჰუბერტმა გაჭრა და ხელები კვლავ მაგიდის კიდეებს შემოაწყო. „დაარიგე“, თქვა მან. არცერთს თავი არ აუწევია, გაუნძრევლად ისხდნენ. ტომის ტერლის ფერადზურგიანი ხელი გამოჩნდა სინათლეში, კარტი აიღო და დაარიგა. ერთი პირქვე დაუდო მისტერ ჰუბერტს და ერთიც ასევე — ძია ბადის, ერთი პირალმა მისტერ ჰუბერტს და ეს იყო მეფე, ერთიც პირალმა ძია ბადის და ეს იყო ექვსიანი. „ბაკ მაკქასლინი სიბის მზითევის წინააღმდეგ“, თქვა მისტერ ჰუბერტმა, „დაარიგე!“ მერე ხელმა მისტერ ჰუბერტს სამიანი მისცა და ძია ბადის — ოთხიანი. მისტერ ჰუბერტმა ძია ბადის შეხედა, ძია ბადიმ ცერით დააკაკუნა მაგიდაზე.

„დაარიგე“, თქვა მისტერ ჰუბერტმა და ხელმა მას კიდევ ერთი სამიანი მისცა და ძია ბადის — ორიანი. მისტერ ჰუბერტმა ძია ბადის კარტს დახედა, მერე ძია ბადის მიაპყრო მზერა, ძია ბადიმ ისევ დააკაკუნა მაგიდაზე ცერით.

„დაარიგე“, თქვა მისტერ ჰუბერტმა და ხელმა მას ტუზი მისცა და ძია ბადის — ხუთიანი. მისტერ ჰუბერტი წყნარად იჯდა, არაფერს უყურებდა, არ ინძრეოდა. მან დაინახა, როგორ ასწია ძია ბადიმ ხელი, ეს უკვე მეორედ, პირველად კარტის არევისას იყო, პირქვედადებულ კარტს კუთხე აუწია, შეხედა და ხელი კვლავ კალთაში ჩაიდო. „გახსენი“, თქვა მისტერ ჰუბერტმა.

„იმ ორ ზანგს ჩამოვდივარ“, თქვა ძია ბადიმ. ისიც გაუნძრევლად იჯდა, ისე, როგორც ფორანზე, სარწეველა სკამზე ან სადილის მომზადებისას სჩვეოდა ჯდომა.

„რის სანაცვლოდ?“ იკითხა მისტერ ჰუბერტმა.

„იმ სამასი დოლარის სანაცვლოდ, თეოფილუსს რომ მართებს ტენისათ-

ვის და იმ სამასის სანაცვლოდაც, ტომის ტერლისათვის რომ შეთანხმდით", თქვა ძია ბადიმ.

„ოჰო", თქვა მისტერ ჰუბერტმა, ოღონდ ახლა უფრო ხმადაბლა. „ოჰო, ოჰო", გაიმეორა ჩურჩულით. მერე კი, „კარგი, კარგი, კარგი", თქვა მერე, „ესე იგი, როგორ? თუ მოვიგე, სიბი მიგყავთ უმზითვოდ და მე ფაილუსისა არაფერი მმართებს, თუ მოიგე —"

„თეოფილუსს მოეშვები და სამასი დოლარი გემართება ტომის ტერლისათვის", თქვა ძია ბადიმ.

„ეს მაშინ, თუ მეც გამოვაცხადე", თქვა მისტერ ჰუბერტმა, „თუკი არ გამოვაცხადებ, ფაილუსს არაფერი ემართება ჩემი და მეც მისი ვალი აღარ მექნება, ვიდრე არ ვიყიდი იმ ზანგს, რომელსაც — უკვე რამდენიმე წელია ორივეს გიხსნით — ჩემს მიწაზე ვერ გავაჭაჭანებ-მეთქი. ჩვენ კი იქ დავბრუნდებით, სადაც ეს სისულელე დაიწყო იმ შემთხვევის გარდა. ისე რომ, ან უნდა გავყიდო ზანგი, ანდა ვიყიდო ის, ვისაც — უკვე გიმტკიცებდით — შინ ვერ შემოვუშვებ". მერე გაჩუმდა. მან და ძია ბადიმ თითქოს წუთით ჩაყვინთეს. მერე მისტერ ჰუბერტმა პირქვედადებული კარტი აიღო და გადმოაბრუნა. ეს იყო კიდევ ერთი სამიანი და მისტერ ჰუბერტი აღარაფერს უყურებდა, იჯდა და თითებს მაგიდას უკაკუნებდა. „ჰმ", თქვა მან, „შენ სამიანი გჭირდება, სამიანი კი კარტში მხოლოდ ოთხია, მე უკვე სამი მაქვს. შენ ხომ აურიე; მერე მე გავჭერი, და თუ მეც გამოვაცხადებ, იმ ზანგის ყიდვა მომიხდება. ვინ დაარიგა ეს კარტი, ამედეოს?" მას პასუხისათვის აღარ დაუცდია, ისე გადასწია ლამპის თავსარქმელი, სინათლე ტომის ტერლისმკლავებს აჰყვა — რომლებიც შავი უნდა ყოფილიყო და არც გახლდათ თეთრი — მისი საკვირაო ხალათისაკენ — რომელიც თეთრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინცდამაინც არც ისე თეთრი გახლდათ, ყოველთვის ამ ხალათს იცმევდა, როცა გა[illegible] ვე, როგორც ძია ბაკი ინასკვავდა ყელსახვევს, როცა მის დასაბრუნებლად მიდიოდა — და სახეზე შეჩერდა; მისტერ ჰუბერტი იჯდა, და ხელი ლამპის თავსარქმელზე ედო და ტომის ტერლის მისჩერებოდა. მერე თავსარქმელი გაასწორა, თავისი კარტი აკრიფა, პირქვე გადააბრუნა და მაგიდის შუაგულისაკენ გადაყარა. „მე პას, ამედეოს", თქვა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ცხენზე ვერ შეჯდებოდა, ისევ საძილედ სწყდებოდა კისერი, ძია ბადისთან და ტენისთან ერთად იჯდა ფორანში. ტომის ტერლი ბებერ ჯეიკზე შემჯდარიყო და პონი სადავით მოჰყავდა. შინ რომ დაბრუნდნენ, უკვე კარგად გათენებულიყო, ძია ბადის კი საუზმის მომზადება ჯერაც არ დაეწყო და მელიაც ისევ გალიაში იყო გამომწყვდეული, ძაღლები გარს შემოხვეოდნენ, ბებერ მოსეს გალიაში შეეყო თავი და მელია კუთხეში მიეკუნჭა. მაგრამ მელიამ მაინც მოასწრო გამოძრომა, როცა ძია ბადიმ კარი შეაღო, ბებერი მოსე კისრით გაჭედილიყო გალიაში და ძია ბაკმა ფეხის კვრით გამოაძრო; ერთი კი გადაჰკვეთეს შესასვლელი და სახლსაც შემოურბინეს, მერე ესმოდათ როგორი ფხაჭა-ფხუჭით მიძვრებოდა მელია სახურავის საყრდენ ბოძზე — კარგი რბოლა იყო, მაგრამ ხეებამდე მალე მიცვივდნენ და გათავდა კიდეც.

„რა ეშმაკად დაამწყვდიე ის დაწყევლილი ძაღლებთან ერთად ოთახში?" თქვა ძია ბადიმ.

„ჯანდაბას მელია", თქვა ძია ბაკმა, „წადი, საუზმე მოამზადე, ისე მგონია, თითქოს ერთი თვეა შინ არ ვყოფილვარ".

ინგლისურიდან თარგმნეს

**პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკო იაშვილი

# ნიადაგი (მიწა) და ადამიანი

*თვალისჩინივით დაიცავით და შეინახეთ მიწა...*

ვ. ი. ლენინი

საუკუნეების მანძილზე ადამიანები უმოწყალოდ არჩანაგებენ პლანეტის უძვირფასეს საუნჯეს. რასაკვირველია, რაც უფრო მაღლა ადის ადამიანი ცივილიზაციის საფეხურზე, მით უფრო იზრდება მოთხოვნილებანი. ადამიანი ისე გაიტაცა ტექნიზაციის პროცესმა, რომ იგი ნაკლებად ფიქრობს ხოლმე იმაზე, უხსოვარ დროში თუ რატომ ალიგავა ზოგიერთი სახელმწიფო პირისაგან მიწისა. რატომ არის მათი ქალაქები ამჟამად დაფარული უდაბნოს ქვიშით და დღეს მხოლოდ არარაობას წარმოადგენს. მკაცრად უხდის სამაგიეროს ბუნება ადამიანებს უგუნური მოპყრობისათვის. ამის არა ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ.

ქანაანის მიწა ძველი ებრაელების „აღთქმული ქვეყანა“ იყო, შემდეგ იგი მწირი და უდაბური გახდა. აზიასა და აფრიკაში (არაბეთი, ეგვიპტე) ბევრგან ხდებოდა ანალოგიური მოვლენები.

შუა აზიის მრავალ კუთხეში ოდესღაც ყვაოდა სოფლის მეურნეობა. იქ იყო ხალხმრავალი მდიდარი სოფელ-ქალაქები; საზოგადოების კლასებად დაყოფამ და ამ ნიადაგზე ერთა, ადამიანთა შორის ატეხილმა შფოთმა, შურმა და მტრობამ ააოხრა სოფელ-ქალაქები, დაანგრია სარწყავი სისტემები; ამით იქაურ სამეურნეო ცხოვრებას საფუძველი გამოეცალა და განვითარების გზა მოეჭრა.

პლანეტის სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების ყურადღება (იქნებიან ისინი გეოლოგები თუ ლიტერატორები, იქტიოლოგები თუ იურისტები, აგრონომები თუ ისტორიკოსები), როგორც პრაქტიკულ, ისე სამეცნიერო შემოქმედებაში, მიპყრობილია საზოგადოებისა და გარემოს ურთიერთზემოქმედების საკითხზე.

თავისი არსებობის გარიჟრაჟზე თუ კი ადამიანებს, შეიარაღებულებს პრიმიტიული საშუალებებით, შეეძლოთ გაენადგურებინათ, როგორც ამას მეცნიერები ფიქრობდნენ, მამონტები, ანდა გადაეწვათ წიწვოვანი და არყის ძვირფასი ტყეები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ახლა ადამიანი, შეიარაღებული კოლოსალური ძალის იარაღებით, ახდენს „რევოლუციას“ ბუნებაში.

ძვ. წ. პირველ საუკუნეში დედამიწის მოსახლეობა 100-200 მილიონს შეადგენდა, ჩვ. წ. დასაწყისში იგი 300 მილიონს აღწევდა; XVII საუკუნეში ამ რიცხვმა 545 მილიონს მიაღწია, XVIII საუკუნის განმავლობაში იგი გაორკეცდა, ხოლო 1900 წელს უდრიდა 1.570 მილიონს. XX საუკუნის პირველ ნახევარში იგი კვლავ გაიზარდა ერთნახევარზე მეტად და 1951 წელს შეადგენდა 2.854 მილიონს; ამჟამად დედამიწაზე მოსახლეობა 3,7 მილიარდ კაცს შეადგენს. თუ მოსახლეობის ზრდა XX საუკ. ამ ტემპით გაგრძელდება (ე. ი. 2 პროცენტით წელიწადში) მაშინ 700 წლის შემდეგ პლანეტაზე იმდენად მჭიდრო დასახლება იქნება, რომ ყოველ კვადრატულ მეტრზე მოვა 1 კაცი.

საქმეს ისიც ამძიმებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სურსათის წარმოება ძალზე დაბალი ტე-

მპით იზრდება (აზიისა, აფრიკისა და ზოგი სხვა), იქ მოსახლეობა გაცილებით სწრაფი ტემპით მრავლდება.

ამრიგად, კაცობრიობის წინაშე წამოჭრილია უდიდესი და უძნელესი ამოცანა — ასეთი კატასტროფული ტემპით მზარდი მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათით და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ცნობილია, რომ მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა ყოველთვის რთულ პრობლემას წარმოადგენდა.

მზარდი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხი კვლავაც თანამედროვეობის ნომერ პირველ პრობლემად რჩება. იწვევს განგაშს!..

• • •

ზუა საუკუნეობრივი, მანამდელი თუ მერმინდელი ულმობელი დამპყრობლები სხვა ტომებისა და ეროვნების ხალხის დასამორჩილებლად მუდამ ცდილობდნენ ეკონომიკურად დაეკნინებინათ ისინი და ამით თავიანთი პოლიტიკური ბატონობა განემტკიცებინათ. ამ მიზნით მოძალადე ბრძანებდა მოესპოთ ხანგრძლივი შრომით შექმნილი დოვლათი, გაეკაფათ ბაღ-ვენახები, დაენგრიათ სარწყავი არხები, გზები, ხიდები და ნაგებობანი. გადაეწვათ ტყეები...

თბილისის აღმოსავლეთით — სამგორ-გარდაბან-სოღანლუღის მისადგომებზე, ისტორიულად ბარაქიანი სოფლის მეურნეობა ყვაოდა. მურვან ყრუს, ბუღა-თურქის, ჩინგის ხანის, ჯალალედინის, ბათო ყაენის, თემურ ლენგის, შაჰ-აბაზის, აღა-მაჰმადხანის და სხვა დამპყრობელთა ბარბაროსობამ გააუკაცრიელა და უდაბნოდ აქცია ეს ზიდამოები.

ჰუმუსის შემადგენლობა და რაოდენობა უდიდეს გავლენას ახდენს ნიადაგის ნაყოფიერებაზე. ჰუმუსის რაოდენობა სხვადასხვა ნიადაგშინაირგვარია, რაც მხარის ბუნებრივ პირობებსა და მცენარეული საფარის ხასიათზეა დამოკიდებული.

საგულისხმოა, რომ 250-300 წლის განმავლობაში ბუნებას შესწევს უნარი დააგროვოს მხოლოდ 5 სანტიმეტრამდე ჰუმუსის (ნეშომპალას) ფენა. ამ ხნის განმავლობაში შეიძლება გამოიზარდოს ყველაზე ნელი განვითარების მქონე ფიჭვის ტყე, მოიჭრას იგი, როდესაც მიაღწევს სრულ სიმწიფეს და ხელახლა გაიზარდოს.

ხუთი სანტიმეტრი 250-300 წლის განმავლობაში! ხოლო შავმიწა ნიადაგებში ნაყოფიერესი ჰუმუსის ფენა ზოგჯერ [illegible] აღწევს. რამდენი ათასი წელი დასჭირდებოდა ბუნებას ნიადაგში ნეშომპალის ამ რაოდენობით დაგროვებისათვის... ტყუილად კი არ ამბობდა დიდი რუსი მეცნიერი-ნიადაგმცოდნე გ. ვ. დოკუჩაევი, რომ ჩვენი შავმიწები უფრო ძვირია, ვიდრე ქვანახშირი, ნავთობი, ოქრო. მასში არის სამარადისო, გამოულეველი სიმდიდრე, რომელსაც ფაქიზი მოპყრობა სჭირდება.

ნიადაგი, მიწა, როგორც ბუნებრივი რესურსების ნაირსახეობა, ხასიათდება უნიკალური თვისებით — ნაყოფიერებით. ამასთანავე მიწის ფართობის ხელოვნურად გაზრდა შეუძლებელია. ასე რომ, მიწა ბუნების ფასდაუდებელი საბოძვარი, ხალხის განუსაზღვრელი სიმდიდრეა. მიწა — ეს არის უძვირფასესი მონაპოვარი, რომელიც ხალხთა კულტურის ისტორიის დადგენა-ფორმირებაში უდიდეს როლს ასრულებს. მტკნარი წყლისა და მცენარეული თუ ცხოველური სამყაროსაგან განსხვავებით მიწა შეუცვლელი რესურსია. დაზიანებულ-დანგრეულ ადგილებზე, მართალია, შეიძლება ხელოვნური ნიადაგების შექმნა, მაგრამ ეს ძალიან რთულია და, რაც მთავარია, ძვირიც ჯდება.

რაციონალური, გონივრული მიწათმოქმედების პირობებში ნიადაგი განიცდის „გაკულტურებას" და ღებულობს იმგვარ თვისებას, რომელიც არ არის დამახასიათებელი ბუნებრივი ნიადაგებისათვის. მაგრამ არცთუ ისე იშვიათად, ნიადაგზე მასობრივი სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენება იწვევს თვით ნიადაგის არსებობის კანონებისა და დინამიკის შეცვლა-გაუარესებას. ნიადაგის გამოყენებაში თანამედროვე მეცნიერების მიღწევების უგულებელყოფის დროს იგი უმოწყალოდ იფიტება, განიცდის დეგრადაციას, იძენს უარყოფით თვისებებს, იშლება, ირეცხება ან სრულად ქრება (ეროზია, დამლაშება, დაწიდულობა, დაგვიანება და სხვა).

• • •

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და მიწის ნაყოფიერების ამაღლებას. „ზედმეტი", „თავისუფალი" მიწა არ გაგვაჩნია და ვცდილობთ გავაუმჯობესოთ, დავიცვათ და რაციონალურად გამოვიყენოთ ის, რაც გვაბადია,

მივიღოთ სულ უფრო და უფრო მაღალი და მყარი მოსავალი. გავატაროთ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია და მოდერნიზაცია, მოვახდინოთ აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი განვითარება. ესაა სსრ კავშირის 1990 წლამდე და უფრო შორი პერიოდის სასურსათო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი და გადაუდებელი ამოცანა.

საბჭოთა მეცნიერები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვებისა და სოფლის მეურნეობის განყოფილებასთან (ფაო) ურთიერთკავშირში იკვლევენ ჩვენი პლანეტის მიწის რესურსებს, რათა მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება საკვებზე და სხვა პროდუქტებზე მთლიანად დააკმაყოფილდეს. ფაოს შეფასებით, თანამედროვე გეოლოგიურ ეპოქაში მსოფლიოს მიწის რესურსების მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა — 70 პროცენტამდე წარმოდგენილია დაბალპროდუქტიული სავარგულებით, მთელი მიწის ფონდი კი ასეა განაწილებული: ძლიერ ცივ კლიმატურ პირობებში მოქცეულია 20 პროცენტი, ძლიერ გვალვიან კლიმატურ პირობებში — 20 პროცენტი, ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე — 20 პროცენტი, ძლიერ მცირე სისქის ნიადაგები არის 10 პროცენტი; სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული — 10 პროცენტი; საძოვრებით, ველებითა და ტყეებით — 20 პროცენტი.

ამჟამად მსოფლიოში იხვნება 15 მლრდ ჰა (150 000 000 კმ²) ფართობი, ანუ მიწის არსებული ფონდის ნახევარი; დაახლოებით 18 პროცენტი საძოვრებსა და სათიბებს უჭირავს, 60 პროცენტი პროდუქტიულ ტყეებს.

ფაოს მონაცემებიდან ჩანს, რომ მიწათმოქმედებისათვის პოტენციურად გამოსადეგი მიწების ფართობი მსოფლიოში შეადგენს 8.2 მლრდ ჰა-ს, ანუ 32 000 000 კმ²-ს. მაგრამ არის იმის საფუძველი, რომ მიწათმოქმედებისათვის გამოვიყენოთ 2-ჯერ მეტი ფართობი. ნაკარნახევია მოსახლეობის საერთო რაოდენობის ინტენსიური ზრდის (30-35 წელიწადში მოსახლეობა გაორკეცდება), ამავე დროს კი მიწის რესურსების ყოველწლიურმა დანაკარგმა მთელ მსოფლიოში უზარმაზარ სიდიდეს — 20 000 000 კმ²-ს მიაღწია, რაც პლანეტის თანამედროვე სახნავ ფართობს აღემატება. ყოველწლიურად ბრუნვიდან გამოდის 50 მლ ჰა სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო სავარგული, რაც ძირითადად გამოწვეულია ქალაქებისა და საწარმოების, გზებისა და სხვა ობიექტების მშენებლობებით, ეროზიით და დამლაშება-დაჭაობებით.

აშშ-ში ნიადაგის ეროზიის შედეგად დაახლოებით 430 მლნ ჰა ნაყოფიერი მიწის ფართობია მწყობრიდან გამოსული; ყოველწლიურად 800 000 ჰა ნაყოფიერი სავარგულები იკარგება; მიწის ფონდის 60 პროცენტამდე საჭიროებს მელიორაციას, პროდუქტიულობის შენარჩუნებასა და აღდგენას. საფრანგეთმა მარტო ქალაქებისა და სხვადასხვა სახის საწარმოს მშენებლობით დაკარგა 500 მლნ ჰა მიწა. [illegible] ინტენსიური ეროზიისაგან [illegible] ჭვა მეათედი.

მსოფლიოში ყოველწლიურად 5 მლრდ ტ სხვადასხვა მადნეულს იღებენ; 32 მლრდ მ³ წყალს იყენებს საწარმოები; ფაბრიკა-ქარხნების მიერ მტვრის სახით გამოიყოფა და ნიადაგებზე ილექება 250 მლნ ტ. მტვერი, 70 მლ. ტ. ტოქსიკური აირადი ნივთიერებები... ყოველივე ეს იწვევს ასეულობით, ათასეულობით და მილიონობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწების მწყობრიდან გამოსვლას. სამწუხაროდ, ეს არასასურველი პროცესი არცთუ მცირდება, იზრდება. დასავლეთის ექსპერტების აზრით, 2000 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოებას კიდევ 650-700 მლნ ჰა მიწა დააკლდება, ხოლო 100 წლის შემდეგ (თუ ეს ტემპი შენარჩუნებული იქნება) სავარგულების ფართობი კიდევ 3-ჯერ შემცირდება. პლანეტის მიწის რესურსების განადგურების ფაქტები მეტად საგანგაშოა და მას ჯეროვნად უნდა მიაქციოს ყურადღება ყველა სახელმწიფომ.

მსოფლიო მიწათმოქმედებაში მიწის რესურსების დაკარგვისა და ნიადაგების დეგრადაციის მკვეთრად გამოხატულმა ტენდენციამ, ახალი მიწების ათვისების სიძნელეებმა და, რაც მთავარია, სიძვირემ, წინ წამოსწია უკვე ათვისებული მიწების დაცვისა და მათი პროდუქტიულობის ძირეული გაუმჯობესების პრობლემა.

ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, რომ მჟავე ნიადაგების გაკირიანება, სხვადასხვა მელიორაციული ღონისძიებების გატარება, სასუქების მაღალი დოზებით შეტანა, კულტურული მცენარეების ახალი ჯიშების გამოყვანა იმდენად განავითარებს მიწათმოქმედებას, რომ ბევრად გაუსწრებს მოსახლეობის ზრდის ტემპებს.

მექსიკის, ინდოეთისა და ფინეთის გამოცდილებიდან ჩანს, რომ მარცვლოვანი კულტურების ახალი ჯიშების გამოყენებითა და სხვადასხვა აგრარული რეფორმის გატარებით შეიძლება უზრუნველვყოთ ათვისებული მიწების პროდუქტიულობის ზრდის ტემპების დაჩქარება. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ახალი მიწების დამატებითი ათვისების საჭიროება მაინც იქნება, რადგანაც აუცილებელია სახნავი მიწების იმ დანაკლისის კომპენსირება, რაც მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის, მოთხოვნილებებისა და ინდუსტრიალიზაციის საერთო დონის ამაღლების შედეგია.

თანამედროვე პირობებში ერთ სულ მოსახლეზე მოდის მიწის, დაახლოებით, 0,2 ჰა. ყოველწლიურად პლანეტის მოსახლეობა იზრდება 2,5-2,7 პროცენტით, ანუ 75-80 მლნ ადამიანით, ხოლო პერსპექტივაში იგი უნდა გაიზარდოს 100-120 მლნ-ით. აქედან უნდა ვივარა-

უდგოთ, რომ პლანეტაზე მიწის რესურსების დანაკარგი მარტო არაპირდაპირი (მხედველობაში გვაქვს ზემოთ მოყვანილი მაგალითები) გზით ყოველწლიურად შეადგენს 7,5-8 მლნ ჰა-ს, საუკუნის ბოლოსათვის იგი დაახლოებით 10-12 მლნ ჰა-ს მიაღწევს. ამჟამად ერთ სულ მოსახლეზე სასურსათო და სხვადასხვა ბიოლოგიური პროდუქციის წარმოებაზე საშუალოდ გამოიყენება მხოლოდ 0,4 ჰა სახნავი მიწა. ეს კი ნიშნავს, რომ თანამედროვე საშუალო მოსავლიანობის სტაბილურობის პირობებში აუცილებელია ყოველწლიურად მსოფლიოში ათვისებულ იქნეს დამატებით 20 მლნ ჰა-მდე ახალი მიწები, საუკუნის დასასრულისათვის კი — 25-30 მლნ ჰა.

ნათელი ხდება, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაორკეცებისა და გასამკეცების გარეშე მესამე ათასწლეულის დასაწყისისათვის შეიძლება თავი იჩინოს სახნავი მიწებისა და მიწათმოქმედების პროდუქტების დეფიციტმა. ამიტომ აუცილებელია ახლავე დაისვას საკითხი ათვისებული მიწების საშუალო პროდუქტიულობის 3-4-ჯერ გაზრდაზე. ამასთან ერთად დგება საკითხი ბიოლოგიური პროდუქციის მიღებისა და მიწათმოქმედების მეთოდებისა და ტექნოლოგიის ძირეული გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ. ცხადია, რომ ბიოსფეროს საკვები რესურსები, სხვადასხვა სახის სინთეზური პროდუქტები, მიწათმოქმედების ინდუსტრიული მეთოდები (ჰიდროპონიკა და სხვ.) გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც ბიოპროდუქციის, სურსათის, ნედლეულის მიღების ახალი რესურსები და წყაროები. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ბიოსფეროს ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელია ნიადაგური საფარის ნგრევისა და განადგურების პირობებში.

პირობები, რომელშიც ათასეული წლების მანძილზე ხდებოდა პლანეტის ნიადაგების ჩამოყალიბება, ამჟამად აღარ არსებობს. ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგად კატასტროფულად მიმდინარეობს ნიადაგური საფარის რღვევა-დაქუცმაცება. ხშირ შემთხვევაში იგი შეუქცევადია ანდა ძნელად გამოსასწორებელი. ამიტომ უკანასკნელ პერიოდში მთელ რიგ ქვეყნებში ნიადაგების ათვისებისა და შესწავლის საკითხებზე მომუშავე ნაციონალურმა სამეცნიერო ცენტრებმა ფართო მუშაობა გაშალეს ნიადაგის დეგრადაციის პროცესის შემცირების, აღდგენისა და უნაყოფო მიწების გაუმჯობესების რაციონალური მეთოდების შესწავლის დარგში.

* * *

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ერთი მეექვსედი ნაწილი უკავია. საბჭოთა კავშირის მიწის ფონდი 2227.5 მილიონ ჰექტარს უდრის. საერთო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ფართობის მიხედვით საბჭოთა კავშირს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. ნიადაგური და კლიმატური პირობების მიხედვით საბჭოთა კავშირი ნაკლებ ხელსაყრელ მდგომარეობაშია, ვიდრე მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყანა. ქვეყნის ტერიტორიის 50 პროცენტზე მეტი ცივ ზონაზე მოდის, დაახლოებით 18 პროცენტი უდაბნოებია, სადაც სითბოსთან ერთად უკიდურესად მცირე ნალექებია. ნაყოფიერი ნიადაგებისა და ხელსაყრელი კლიმატური პირობების მქონე რაიონებზე, სადაც განვითარებულია მიწათმოქმედება, მოდის ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 26 პროცენტი.

ამჟამად სსრ კავშირში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,82 ჰექტარი სახნავი მიწა. მივიღოთ, რომ მარცვლოვანების საშუალო მოსავლიანობის დონის (12-15 ც 1 ჰა-დან) და შემოსავლის შექმნილი დონით შემდგომში აუცილებელია ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდეს 1 ჰექტარი სახნავი მიწა. ჩვენს ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე საძოვრებისა და სათიბების ფართობი დაახლოებით 1,5 ჰექტარს შეადგენს. 2000 წლისათვის მიწების დამატებითი ათვისების მასშტაბები და ოდენობა დამოკიდებულია მოსახლეობის ზრდის ნამატზე, საერთო მოთხოვნილების დონეზე, მოსავლიანობის ზრდის ტემპებზე და, რაც მთავარია, ათვისებული მიწების ყოველწლიური დანაკარგის ოდენობაზე. ამჟამად სსრ კავშირში მიწის ფონდების დანაკარგი დაუშვებლად დიდია, ხოლო მისი აღდგენა ჯერ კიდევ არასაკმარისია. მაგ. 1958 წლიდან 1967 წლის ჩათვლით სხვადასხვა სახის წარმოებისათვის, სატრანსპორტო და ქალაქის მშენებლობისათვის გამოყოფილ იქნა 8 მილიონი ჰექტარი მიწა.

სსრ კავშირის აგროსამრეწველო სახელმწიფო კომიტეტის მასალები გვიჩვენებენ რომ სახნავი მიწების ფართობი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 25 წლის მანძილზე შემცირდა 1,06-დან 0,82 ჰექტარამდე. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიწის დანაკარგი ცალკეულ წლებში 1.5-2,0 მილიონ ჰექტარს შეადგენდა. ამასთანავე ყოველწლიური დანაკარგი სახნავი ფართობისა დაახლოებით 500 ათასი ჰექტარი იყო. უზომოდ დიდია პროდუქტიული მიწების დანაკარგები ეროზიით, სარწყავი მიწების მეორადი დამლაშებით, წყალსაცავების მიერ ახლომდებარე ტერიტორიების დატბორვით, მეწყერებით, კარიერებითა და სამთამადნო სამუშაოებით, ნავთობსაწარმოო და სხვა საწარმოო ანარჩენების დაბინძურებით.

პერსპექტივაში მიწის რესურსებით დაკარგვის ზუსტი და დამაჯერებელი მონაცემები ჯერ არ მოიპოვება. ერთი კი ნათელია, თუ არ მივიღეთ აუცილებელი და გადამჭრელი ღონისძიებები, 30-40 წლის შემდეგ ათვისებული და ამჟამად გამოყენებული მიწის სავარგულე-

ბის დეგრადაცია მომავალში 10-20 მილიონ ჰექტარს მიაღწევს.

თუ მივიღებთ მხედველობაში სამთამადნო და ნავთობის მეურნეობების განვითარების მოსალოდნელ ტემპებს, დავუმატებთ საქალაქო, ინდუსტრიულ და სასოფლო მშენებლობებს, მომავალი ჰიდროსადგურების და ქსელების ზომებსა და ტრანსპორტის აუცილებელ საჭიროებებს, მაშინ მიწების ადვილად გამოყოფის არსებული პრაქტიკის შენარჩუნებით სხვადასხვა კატეგორიის მიწის დანაკარგი გაცილებით უფრო დიდი აღმოჩნდება.

მოსახლეობის ზრდასთან ერთად მატულობს მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნამატზეც. თუ დავუშვებთ, რომ მეოცე საუკუნის ბოლოსათვის სსრკ-ს მოსახლეობა, დაახლოებით, 350 მილიონს მიაღწევს, ანუ 100 მილიონით გაიზრდება, სტაბილური მოსავლიანობის შემთხვევაში ყოველ 10 წელიწადში აუცილებელი იქნება 33 მილიონი ჰექტარი ახალი მიწების ათვისება, ხოლო 30 წელიწადში სახნავი მიწების საერთო ფართობის გაზრდა 100 მილიონ ჰექტარამდე, რაც არარეალურია. ამავე დროს დასაშვებია, რომ 30 წელიწადში პროდუქცია და სასოფლო სამეურნეო კულტურათა მოსავალი გაორკეცდება. სსრკ-ს პერსპექტივაში საშუალო მოსავალი ჰექტარზე ცენტნერობით შეადგენს: მარცვლეულების 28-30-ს, შაქრის ჭარხლის — 300-350-ს; სელისა — 35-40-ს, კარტოფილის — 200-300-ს და სხვა. ჰექტარზე საშუალო პროდუქტიულობის გაორკეცებისას სახნავის ნორმა ერთ სულ მოსახლეზე იქნება 0,5 ჰექტარი, მაშინ — 225 მილიონი ჰექტარი სახნავი ფართობი შესაძლებელს გახდის ქვეყნის მოთხოვნები 1970 წლის დონეზე დააკმაყოფილოს იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოსახლეობის რაოდენობა 450 მილიონი კაცი იქნება. ვინაიდან საუკუნის ბოლოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე ბევრად მაღალი იქნება 1970 წელთან შედარებით, სახნავის ფართობი, საშუალო მოსავლიანობის საერთო გაორკეცებასთან ერთად, შეიძლება დარჩეს თანამედროვე დონეზე. თითოეული ჰექტარისა და კულტურის პროდუქტიულობის რეალური გაორკეცება არ არის სრულად გარანტირებული ყველა ბუნებრივ ზონასა და რეგიონში; ამიტომ ცხადია, რომ მიწების დამატებით ათვისებაში ქვეყნის მოთხოვნილება 30 წელიწადში შეადგენს 25-30 მილიონ ჰექტარს.

ჩვენს ქვეყანას გააჩნია საკმარისი, პოტენციურად თავისუფალი მიწის რესურსები. გაანგარიშებულია, რომ მიწების შესაძლებელი სამელიორაციო რეზერვები საბჭოთა კავშირში დაახლოებით 70 მილიონი ჰექტარია. მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მიწის ფონდების საერთო რეზერვები, იმ პირობით, თუ განხორციელებული იქნება სხვადასხვა სახის სამელიორაციო სამუშაოები ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ი. ა. ჰერარდის წინასწარი გაანგარიშებით, 140 მილიონ ჰექტარს შეადგენს. ამგვარად, ამოცანა — ათვისებული მიწების ფართობის გაფართოებისა — დასაშვებია სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი სარეზერვო ტერიტორიების გამოყენების თვალსაზრისით, მას შემდეგ, როდესაც განხორციელდება მორწყვის, დაშრობის ქიმიური, ფიზიკური, ეროზიის საწინააღმდეგო და სხვა მელიორაციული სამუშაოები.

თანამედროვე პირობებში მოსავლიანობის გაზრდის (გაორკეცების) ამოცანა საბჭოთა კავშირში 30 წლის განმავლობაში სავსებით დასაშვები და რეალურია. პურეულისათვის ეს ნიშნავს ყოველწლიურად მოსავლის მხოლოდ 0,5 ცენტნერით ნამატს ჰექტარიდან. 35 წლის განმავლობაში მარცვლოვნების მოსავალი 7 ცენტნერიდან 14-15 ცენტნერამდე გაიზარდა. ამჟამად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდის შესაძლებლობანი საკმაოდ დიდია.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ ტერიტორია სხვა მოძმე რესპუბლიკებთან შედარებით დიდი არ არის (დაახლოებით, 70 ათასი კვ. კმ) იგი ბუნებრივი პირობების მხრივ მკვეთრად გამოხატულ მრავალფეროვნებითა და მნიშვნელოვანი კონტრასტებით ხასიათდება, რაც გამოწვეულია ტერიტორიის ძლიერ დანაწევრებული ზედაპირით და სხვადასხვა ნაწილში გეოლოგიური აგებულების ნაირფეროვნებით, კლიმატის, ჰიდროლოგიური რეჟიმის, მცენარეულობისა და სხვა დიდი განსხვავებით. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს ჰავის, მცენარეულობის, ნიადაგების და, ამის შესაბამისად, სოფლის მეურნეობისა და სხვა პირობების მრავალფეროვნებასაც.

საქართველოს სსრ ტერიტორიის 54 პროცენტი მთებს, 33 პროცენტი მთისწინებს, ხოლო 12 პროცენტი დაბლობებს უჭირავს, მუდმივ დასახლებულია ტერიტორიის 60 პროცენტი. დანარჩენი ტერიტორია კი გამოუსადეგარია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენი რესპუბლიკა ტერიტორიის მიხედვით, სსრ კავშირში მეათე, მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით კი მეოთხე ადგილზეა.

როგორც უკვე ითქვა, ამჟამად საბჭოთა კავშირში ერთ სულ მოსახლეზე 0,82 ჰექტარი სახნავი მიწა მოდის, მაშინ როცა საქართველოში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 0,15 ჰექტარს შეადგენს. საქართველოში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 67 კაცია. რაც საბჭოთა კავშირის საშუალო მაჩვენებელს 6,3-ჯერ აღემატება; ჰექტარ სავარგულზე სოფლის მოსახლეობა 4-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში,

ხოლო ჰექტარ დასამუშავებელ ფართობზე 4,6-ჯერ მეტი. ამრიგად, აქ სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ფართობის ყოველმა ჰექტარმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოთი და მატერიალური დოვლათით 4-4,6-ჯერ უფრო მეტი რაოდენობის ადამიანები, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში. ჩვენს რესპუბლიკაში ჰექტარ სავარგულზე საერთო პროდუქცია მიიღება 2,2-ჯერ უფრო მეტი, მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე ეს პროდუქცია 1,85-ჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში.

ერთ სულ მოსახლეზე და საერთოდ რესპუბლიკაში სახნავი მიწების ასეთი მცირე რაოდენობა გამოწვეულია არა მარტო მოსახლეობის ინტენსიური გამრავლებით, არამედ უფრო სერიოზული მიზეზებითაც.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდა, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ახლანდელი მოთხოვნილების თანახმად, უნდა მოხდეს ინტენსიფიკაციის გზით. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინტენსიფიკაცია შესაძლებელს ხდის მიწის ნაყოფიერება ყოველწლიურად გავზარდოთ 4-5 პროცენტით, 1-2 პროცენტით უფრო სწრაფად, ვიდრე მოსახლეობა მრავლდება.

მაგრამ ინტენსიურ სოფლის მეურნეობაზე გადასვლა სრულიად არ ნიშნავს სახნავი ფართობების გაზრდაზე ხელის აღებას. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალ-ახალი მიწების ჩართვა ახლაც ხდება და კვლავაც გაგრძელდება, ოღონდ ეს პროცესი მოითხოვს მეტ კაპიტალურ დაბანდებებს. უნდა გვახსოვდეს ეს რეზერვები ულევი როდია, შეიძლება უახლოეს დროში ამოიწუროს.

მიწასთან არის დაკავშირებული მთელი სახალხო მეურნეობის განვითარება, მაგრამ მისი მნიშვნელობა სხვადასხვა დარგისათვის სხვადასხვანაირია. ამოცანა ის არის, რომ მივაღწიოთ მიწის მიზანშეწონილად გამოყენებას, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.

მართალია, რესპუბლიკაში ბუნების დაცვის გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ამ სფეროში ჯერ კიდევ მრავალი სერიოზული ნაკლოვანება შეინიშნება, მეტი საგანგაშოა ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო ოთხმოციან წლებისათვის 1950 წელთან შედარებით, საქართველოს სსრ-ში სახნავი მიწის ფართობი თითქმის 40 პროცენტით შემცირდა. ასე თუ გაგრძელდა, XX საუკუნის დასასრულს თითქმის არც ერთი ჰექტარი სახნავი მიწა აღარ შეგვრჩება.

სახნავის შემცირების ერთ-ერთი მიზეზია ეკონომიკურად სუსტ კოლმეურნეობათა რაოდენობის შემცირება თუ სხვა მიზნით მთის სოფლის მოსახლეობის ბარის რაიონებსა და ქალაქებში გადმოსახლება; აგრეთვე მთის სოფლების 60-80 კილომეტრით დაშორებულ ბარის კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან შეერთება, რაც იწვევს მთის სოფლების გაუკაცრიელებას და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი ასეულობით და ათასეულობით ჰექტარი მიწის დაუმუშავებლობას. ამგვარ მოვლენებს აქვს ადგილი მთათუშეთში, ხევსურეთში, რაჭასა და სვანეთში.

მრეწველობის და ტექნიკის განვითარების არნახული მასშტაბები მოითხოვს სულ ახალ-ახალი ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა საწარმოო დაწესებულებების მშენებლობას, ხდება ახალი რაიონებისა და მხარეების სამრეწველო ათვისება, იქმნება ათობით და ასობით ახალ-ახალი დასახლებული პუნქტი, განუწყვეტლივ იზრდება სახმელეთო და რკინიგზის ტრანსპორტის გზათა ქსელი, მიმდინარეობს მრეწველობის გაადგილება პერიფერიებში, სოფლების გამსხვილება და სხვა. ყოველივე ეს, თავის მხრივ, მართალია, ახალ-ახალი მიწების გამოყოფას გულისხმობს, მაგრამ აუცილებელია ამ მიზნებისათვის, მიწების გამოყოფა ხდებოდეს ღრმა დაფიქრებით, ყოველმხრივ აწონ-დაწონვით, დიდი სიფრთხილით, გონივრულად, საქმის ღრმა ცოდნით, ბუნებრივი რესურსების მომჭირნეობით გამოყენებისა და ოპტიმალური დაცვის მაღალი შეგნებით.

ბევრი სამინისტრო და უწყება ვიწრო უწყებრივ მიდგომას იჩენს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოითხოვს ამა თუ იმ არა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბრუნვაში არსებული მიწების გამოყოფას, მაშინ როდესაც ხშირად შეიძლება ამ დანიშნულებით სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი მიწების გამოყენება,

მაგალითად, გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალაში, საცხოვრებელი მასივის გასაშენებლად ორ ასეულამდე ჰექტარი სარწყავი მიწა ჩამოწერეს, ბაღ-ვენახები, ბოსტნები და ბაღჩები გაანადგურეს. იქვე ქარხნის სარკინიგზო ჩიხის მშენებლობის დროს ზეზეულად დამარხეს რამდენიმე ჰექტარი ხეხილის ბაღი. ამას სჩადიოდნენ მაშინ, როცა ფონიჭალიდან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით შესაბამისი ორგანიზაცია ახორციელებს ბიცობიანი და დამლაშებული ნიადაგების მელიორაცია-ათვისებას და გასარწყავებას.

სხვადასხვა დროს მშენებლობისათვის გამოყოფილია ამა თუ იმ ზომით ნაყოფიერი მიწები: კოდის მეფრინველეობის კომპლექსისათვის დაახლოებით 45 ჰექტარი მიწა, მაშინ როცა სოფელ ბორბალოს კოლმეურნეობას ამგვარი იდეალური სწორი რელიეფის სავარგულები მეტად მცირე აქვს; ნეჯვრისხევის მეფრინველეობის კომპლექსის მშენებლობისათვის — 60

ჰექტარი; ოჩამჩირისათვის — 20, ნატახტრისათვის — 50 ჰექტარი და სხვა.

სიტყვამ მოიტანა და არ შეიძლება არ აღინიშნოს ქალაქის მშენებლობისათვის, ჩვენი აზრით, დაუსაბუთებლად მიწების გამოყოფა. არასწორად მიგვაჩნია ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების და მათ შორის თბილისის განუსაზღვრელად გაზრდის საკითხი. მარტო თბილისმა ამ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე შთანთქა რიგი მეურნეობები; გარეუბნის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა, კატასტროფულად შემცირდა კრწანისის საბჭოთა მეურნეობის, ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის, დიღმის, გლდანის და სხვა მეურნეობათა სავარგულები და ეს მაშინ, როცა არის საშუალება ქალაქის ფარგლებშივე უამრავი ქოხმახებისა და ამორტიზირებული შენობების და ფერდობების გამოყენების ხარჯზე გაიზარდოს ქალაქის განაშენიანება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქაგრომრეწვი, შესაბამისი სამსახურები ზღუდავენ მშენებლობისათვის ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყოფას, გასულ მე-11 ხუთწლედში რესპუბლიკაში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებითა და შიდა სამეურნეო მშენებლობისათვის მაინც გამოიყო 17,3 ათასი ჰექტარი მიწა, აქედან სახნავი და მრავალწლიანი ნარგავით დაკავებული 9,5 ათასი ჰექტარი; ამ ფართობის უმეტესი ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების გაფართოებასა და მეურნეობების შიგასამეურნეო მშენებლობაზე მოდის.

რესპუბლიკაში მიწების ეფექტიანად და გეგმიურად გამოყენებაზე მეტად უარყოფითად მოქმედებს ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელის, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა მიერ მიწის კანონმდებლობისა და დადგენილი წესების უგულვებელყოფა. რაიაღმასკომებისა და აგროსამრეწველო გაერთიანებათა სამიწათმომწყობო სამსახურების მიერ მე-11 ხუთწლედში გამოვლინდა ორგანიზაციადაწესებულებებისა და მოქალაქეთა მიერ მიწის კანონმდებლობის დარღვევის 9122 შემთხვევა;

* * *

როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის რელიეფი დიდად დანაკვთულია სხვადასხვა დახრილობის ფერდობებით, ხევებითა და ხრამებით. გაზაფხულსა და შემოდგომაზე კოკისპირული წვიმების შედეგად ვითარდება ძლიერი ეროზიული პროცესები, რის შედეგადაც ნიადაგის ნაყოფიერება ეცემა და მწყობრიდან გამოდის დიდძალი სასოფლო-სამეურნეო სავარგული.

ეროზიის ინტენსიურობაზე გავლენას ახდენს ფერდობების ექსპოზიცია და მასთან დაკავშირებული ინსოლაციის ინტენსივობა. რაც უფრო ძლიერია ინსოლაცია, მით უფრო მეტად შრება ნიადაგი, ფხვნადი ხდება და სხვა თანაბარ პირობებში უფრო ინტენსიურად განიცდის ეროზიას.

საქართველოში გავრცელებულია წყლისმიერი და ქარული ეროზია. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 3057 ათასი ჰექტარიდან ქარისმიერ და წყლისმიერ ეროზიას განიცდის 856 ათასი ჰა, აქედან 310 ათასი ჰა სახნავია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოში აღრიცხულია 10 000-მდე მოქმედი მეწყერი და მეწყერსაშიში უბანი, 1 500-ზე მეტი ღვარცოფის აუზი, რომლის საერთო ფართობი 2 მილიონ 300 ათას ჰა-ს აღემატება. მარტო სოფლის მეურნეობის ობიექტებისათვის მიყენებული საშუალო წლიური ზარალი 40 მილიონ მანეთს აღემატება. ამჟამად სტიქიურ გეოლოგიურ პროცესების საშიშ ზონაში იმყოფება 15 ათასზე მეტი კომლი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში რესპუბლიკაში 100 ათასი ჰექტარი სახნავი ფართობი გადაირიცხა ნაკლებად ინტენსიურ სავარგულებში და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიებში. მარტო აფხაზეთის ასსრ-ში და ზემო იმერეთის რაიონებში ამ ხნის განმავლობაში სახნავი ფართობი 30-40 პროცენტით შემცირდა.

ზედაპირული ეროზიის შედეგად იშლება ყველაზე ნაყოფიერი ჰუმუსიანი სახნავი ფენა, მნიშვნელოვნად უარესდება წყლიერი, აერობული და სითბური რეჟიმი, ხდება კოლოიდებისა და ხსნადი შენაერთების გამორეცხვა, იცვლება მექანიკური შედგენილობა, კლებულობს ნიადაგის ნაყოფიერება და სხვა. ეს უარყოფითი თვისებები მით უფრო მეტად მჟღავნდება, რაც მეტია ნიადაგის გადარეცხვის ხარისხი.

ეროზიის შედეგად წვიმისა და მდნარი თოვლის წყალს მდინარეებში ჩააქვთ ფერდობებიდან ჩამორეცხილი ნიადაგის ნაწილაკები. მაგ. მდინარე მტკვარი ჩვენს დედაქალაქთან წელიწადში 6,3 მილიარდ კუბურ მეტრ წყალს ატარებს. ყოველ კუბურ მეტრ წყალში კი 1686 გრამი მკვრივი ნაწილაკი ანუ ლექია, რაც წლიურად თითქმის თერთმეტ მილიონ ტონას შეადგენს. მდინარე ალაზნის თითოეულ კუბურმეტრ წყალში არის 1430 გრამი ლექი, რაც წელიწადში 6 მილიონ ტონა მკვრივ ნაწილაკს შეადგენს და სხვა.

პროფ. მ. დარასელიას გამოკვლევებით დადგინდა, რომ ჩაის პლანტაციებში, სადაც ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები არ ტარდება ყოველწლიურად წითელმიწებზე ეროზიისაგან . დაკარგული ნიადაგის რაოდენობა ჰექტარზე შეადგენს 100 ტონაზე მეტს, ხოლო თამბაქოს პლანტაციებში ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგისა, თითქმის, 200 ტონას. ტყის ყომრალ ნიადაგებზე ეს დანაკარგი 380 ტონაზე მეტს აღწევს. ძლიერი ქარის დროს, რო-

დესაც გამომშრალი ნიადაგის ნაწილაკებს არაფერი აკავებს, ხდება ჰუმუსიანი ფენის ალგვა და ხშირად ნიადაგის ნაწილაკებთან ერთად ალიგვება თესლი და ახლად გაღივებული ჯერ კიდევ ფესვგაუდგმელი ჯეჯილიც.

გაზაფხულზე, სამგორის ველზე დათესილი ჯეჯილიდან ძლიერმა ქარმა აზვეტა 4 სანტიმეტრი სისქის ნიადაგი, ხოლო მზრალად მოხნულიდან 6 სანტიმეტრი სისქისა. ასეთი ქარების შედეგად სამგორის ველზე გაშიშვლებული ხირხატიანი ნიადაგების დიდი ფართობია დარჩენილი.

რესპუბლიკაში ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის საქმეში არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წ. ივნისის № 876 და მის შემდგომ პერიოდში მიღებული მთელი რიგი დადგენილებები. წლების მანძილზე არ სრულდება სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებით გათვალისწინებული მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების, ეროზიის საწინააღმდეგო ნაპირსამაგრების, ღვარცოფსაწინააღმდეგო და მეწყერსაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა, ფერდობების დატერასების და კულტურტექნიკურ სამუშაოების ჩატარების დავალებები.

რესპუბლიკაში ტყის ზოლების გაშენება ხშირად ხდება პროექტების უხეში დარღვევით, გასაშენებელი ჯიშების და დარგვის სქემების თვითნებურად შეცვლით, სატყეო მეურნეობებში აუთვისებელი რჩება მინდორსაცავი ტყის ზოლების მოვლისათვის გამოყოფილი თანხები, რის შედეგად გასულ ხუთწლედებში დიდძალი მინდორსაცავი ტყის ზოლი, მარტო X ხუთწლედში დაიღუპა ფართობის 46 პროცენტი. აგროტექნიკური ღონისძიებების უხეში დარღვევების შედეგად მეტად დაბალია გაშენებული კულტურების საშუალოდ გახარება. ამ საკითხში დაშვებული შეცდომები ძნელად გამოსასწორებელია. ქარსაცავი ზოლები ხომ იგივე ნაგებობებია, რომლის ძირითადი სამშენებლო მასალა უშუალოდ ხე-მცენარეულობაა. ხის ჯიშების შერჩევის დროს დაშვებული შეცდომები კი ნიშნავს იმას, რომ აიგოს უხარისხო, დაბალნაყოფიერი, არასრულფასოვანი ნაგებობა-ქარსაცავი ზოლები.

10-12[0] დაქანების ფერდობების ათვისების ღონისძიებათა სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს ფერდობების დატერასებას. ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებით, ეს ღონისძიება მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს იძლევა გასამაგრებელი მოწყობილობების მშენებლობის დროსაც კი, ხოლო ტერასების მშენებლობისათვის გაწეული ხარჯები ანაზღაურდება არა უგვიანეს შვიდი წლისა.

ჩვენს რესპუბლიკაში ფერდობების დატერასებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა უკანასკნელ წლებში. ამჟამად დატერასებულია რამდენიმე ათასეული ჰა ფართობი, მაგრამ სამწუხაროდ, შესრულებული სამუშაო, რომელზედაც უამრავი თანხა დაიხარჯა, ხშირად მეტად უხარისხოა. არ განხორციელებულა პროექტით გათვალისწინებული მრავალი ღონისძიება, დაპროექტებისას სრულყოფილად არ ჩატარებულა დასატერასებელი ნაკვეთების აგრონიადაგური და ჰიდროლოგიური გამოკვლევები; ტერასების მშენებლობას კონტროლს არ უწევენ პროექტის ავტორები. სამუშაოები ტარდება ტექნიკური ზედამხედველობის გარეშე, დატერასებულ ფერდობებზე ნიადაგის საფარის გასამაგრებლად არ ითესება ბალახები; მაღალი მარკის ცემენტისა და ბეტონის ფილების უქონლობის გამო არ კეთდება წყალდამჭერი და წყალმრიდი კვლები; ყოველთვის არ იცავენ ტერასის ვაკისებზე ნიადაგის განოყიერების აგროტექნიკურ ღონისძიებებს; მოწყობილ ტერასებზე აჭიანურებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებას და სხვა. ყოველივე ამის გამო თითქოსდა მზა ტერასები პირველივე წვიმის შემდეგ ფუჭდება, ინგრევა და ირეცხება, უამრავი სახელმწიფო თანხა უნაყოფოდ იხარჯება. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა, მაგ., აფხაზეთის ასსრ, ზუგდიდის, ზესტაფონის, თერჯოლის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ვანისა და სხვა რაიონებში.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდ ზიანს აყენებს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას მთის ჩქარადმავალ მდინარეთა წყლისდინების რეჟიმის მოუწესრიგებლობა — ხშირი წყალდიდობები. მათი ადიდება ძლიერ აზიანებს სასოფლო სამეურნეო მიწის სავარგულებს; მაგ., მდინარე ალაზნის დინების მოუწესრიგებლობის გამო მარტო ახმეტის რაიონში სულ რაღაც ათი წლის განმავლობაში 200-ზე მეტი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული რიყედ იქცა. ანალოგიური მდგომარეობაა მტკვრის, იორის, არაგვის, რიონის, ენგურის, ცხენისწყლის და სხვა მდინარეების სანაპირო ზოლშიაც. სწორედ ამის შედეგია ის, რომ რესპუბლიკაში ბევრი მდინარისა და მათი შენაკადების კალაპოტი ძლიერ გაზრდილია, ასეულობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გადაქცეულია რიყედ.

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებით ჩვენს რესპუბლიკაში არც ერთი ინსტიტუტი არ არის დასაქმებული ცენტრალიზებულად. აღნიშნულ პრობლემის დამუშავებაში მონაწილეობას ღებულობს მრავალი სხვადასხვა პროფილისა და სპეციალიზაციის მქონე განყოფილება, ლაბორატორია ან ცალკეული ჯგუფები. ჩვენს რესპუბლიკაში ამ საკითხებზე მუშაობს თოთხმეტი სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი

ინსტიტუტი, რომელთა შორის სამი საკავშირო დაქვემდებარებისაა, ორი საკავშირო რესპუბლიკური, ექვსი მეცნიერებათა აკადემიის, ოთხი — საქართველოს სსრ აგრომრეწვის კომიტეტის და ერთი საქართველოს სსრ სატყეო სამინისტროს.

ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური თუ სხვა სახის ნაგებობების დაპროექტებას რესპუბლიკაში აწარმოებს ექვსი საპროექტო ინსტიტუტი, მათ შორის, სამი საკავშირო დაქვემდებარების, ორი საკავშირო-რესპუბლიკური და ერთი რესპუბლიკური.

დაახლოებით ანალოგიური სურათია მშენებლობის დარგშიც. აღნიშნულ სამუშაოს ოთხი სამინისტრო ახორციელებს. მათ შორის ერთი სამინისტრო საკავშირო, ერთი საკავშირო-რესპუბლიკური და ორი რესპუბლიკური. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული სამინისტროებს პროფილისა და მიმართულების გამო; ეროზიის საწინააღმდეგო ნაგებობების მშენებლობა მათი ძირითადი საქმე არ არის.

საექსპლოატაციო სამუშაოები თავმოყრილია ხუთ სამინისტროში, რომელთაგან სამი საკავშირო რესპუბლიკურია და ორი რესპუბლიკური დაქვემდებარებისაა.

რაც შეეხება რესპუბლიკაში ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოების დაგეგმვისა და დაფინანსების ე. წ. სქემას აქ რაიმე სერიოზული საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია, ვინაიდან საკითხის შეთანხმება და გადაწყვეტა დამოკიდებულია როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური დაქვემდებარების თორმეტ, თოთხმეტ უწყება-ორგანიზაციასთან. აქ კი საკითხის ოპერატიულ გადაწყვეტაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება რესპუბლიკაში ამგვარი გზებით, როგორც ხედავთ, შეუძლებელია, ვინაიდან მართვის ერთიანი კომპლექსური სისტემა რესპუბლიკაში თითქმის არ არსებობს. სწორედ ამიტომაა, რომ ეროზიის საწინააღმდეგო პროცესებისათვის გაწეული მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების ხარჯები და ზარალი არათუ მცირდება, არამედ იზრდება. ამ სფეროში უსისტემობასა და კოორდინაციის უსუსურობაზე მიგვანიშნებს ქვემოთ მოყვანილი ფაქტი. რვა წელიწადი გავიდა მას შემდეგ რაც ეროზიის საწინააღმდეგო — (ნაპირსამაგრი, მეწყერსაწინააღმდეგო, ღვარცოფსაწინააღმდეგო და სხვა ჰიდროტექნიკური მშენებლობის პერსპექტიული გეგმა დაისახა. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი ყოველწლიურად ამოწმებს ამ დადგენილების დავალებათა შესრულების მსვლელობას, დადგენილების მიღების დღიდან 1988 წლამდე ეროზიის საწინააღმდეგო ნაგებობების მშენებლობაზე უნდა შესრულებინათ 85,18 მილიონი მანეთის სამუშაოები, მაგრამ ამ პერიოდში გამოიყო მხოლოდ 19,41 მილიონი მანეთი (26 პროცენტი), ათვისებული იქნა 18,81 მანეთი, რაც მთლიანი სამუშაოს მოცულობის 22 პროცენტს შეადგენს. ამავე პერიოდში უნდა შედგენილიყო ჰიდროტექნიკური ნაგებობების 86 პროექტი, ფაქტიურად შედგა 80. ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

რესპუბლიკაში მიწების დაცვისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღომისძიებების ხარისხიანად და სრულფასოვნად გასატარებლად მართლაც საჭიროა პერსპექტივაში დაფინანსების გაზრდა. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ 1981-90 წლებისა და 2000 წლამდე საქართველოში ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გენერალური სქემის მიხედვით ყველა სამუშაოების ღირებულება 1,32 მილიარდ მანეთს შეადგენს. თუ ობიექტურად გავაანალიზებთ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიების დანიშნულებისათვის თანხების გამოყოფას უკანასკნელი წლების ტემპების მიხედვით, მაშინ გენერალური გეგმა რეალიზებული იქნება სადღაც 80-100 წლის შემდეგ და არა 2000 წლისათვის. უნებლიედ იბადება კითხვა, რა ფასი აქვს ასეთ სქემას, რომლის დამუშავებაშიც არა ერთი უძილო ღამე და უამრავი ფუჭი შრომაა გაწეული.

ამიტომ აუცილებელია რაც შეიძლება მოკლე ვადაში შეიქმნას ეკონომიკურად დასაბუთებული და მეურნეობრივად გამართლებული საორგანიზაციო-სტრუქტურული მწყობრი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობის მიერ ყოველმხრივ აპრობირებული და მეცნიერულად დასაბუთებული გენერალური სქემის შემუშავებას.

ზემოაღნიშნული მოთხოვნილების რეალიზაციის ყველაზე შესაფერ ფორმად გვესახება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება (რსსგ) „საქნიადაგდაცვა".

გაერთიანების საქმიანობამ უნდა უზრუნველყოს „კვლევა-წარმოება", ერთიანი ციკლის კომპლექსური სამუშაოების შესრულება. აღნიშნული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ძირითად ამოცანად უნდა იქნეს:

1) ეროზიისა და სტიქიური მოვლენების საწინააღმდეგო პროცესების მიზანდასახული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზე.

2) ეროზიისა და სტიქიური მოვლენების პროფილაქტიკა (აღმოფხვრა ან ინტენსიობის შესუსტება).

3) ნაპირსამაგრი, მეწყერ საწინააღმდეგო და ეროზიის საწინააღმდეგო სისტემების და სხვა ღონისძიებების ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირება.

4) ეროზიის საწინააღმდეგო ნაგებობების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობა და ღონისძიებების განხორციელება;

ზ) ეროზიის საწინააღმდეგო ნაგებობების ექსპლოატაცია და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება.

რსსგ „საქნიადაგდაცვა“ უშუალოდ უნდა დაექვემდებაროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

შემოთავაზებული ფუნქციონალური და ორგანიზაციული სტრუქტურა რესპუბლიკას შესაძლებლობას მისცემს ერთ მძლავრ ორგანიზაციაში მოუყაროს თავი მატერიალურ, ფინანსურ და სხვა სამუშაო საშუალებებს.

ახეთი სისტემის შექმნა და დანერგვა, ჩვენის აზრით, სავსებით პასუხობს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული გარდაქმნის დაჩქარების ამოცანების გადაწყვეტას.

გვინდა ერთხელ კიდევ შევახსენოთ ყველას, რომ მიწის რესურსების დაცვა და გონივრული გამოყენება მეტად აქტუალური, სადღეისო და საშვილიშვილო მნიშვნელობის საქმეა. ამიტომ დევიზი — გავუფრთხილდეთ მიწას, განუხრელად ვზარდოთ მისი ნაყოფიერება თითოეულმა მოქალაქემ გულთან ახლოს უნდა მიიტანოს, მისი განხორციელება ნებისმიერი ორგანიზაციებისათვის სავალდებულოა, იგი თითოეული ჩვენთაგანის მოქალაქეობრივი და პატრიოტული ვალია.

მაშ გავუფრთხილდეთ მიწას, ჩვენს მარჩენალს!

## ოტია პაჭკორია — 60

ბიბლიოთეკა

თედო ბექიშვილი

# ღიმილიანი, გულგახსნილი

ოტია პაჭკორიას ჟურნალ „ცისკრიდან“ „მნათობში“ სამუშაოდ გადასვლის შემდეგ მე მომიწია მის ოთახში, მის სამუშაო მაგიდასთან ყოფნა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია... უხვად გაიყოლა მეგობართა და ჭირისუფალთა გულწრფელი ცრემლი; თითქოს სიკვდილმა უფრო წარმოაჩინა მისი მწერლური და ადამიანური სახე, მისი უდროოდ წასვლით გამოწვეული სიცარიელის უსასოობა...

დღემდე იმ ოთახში, იმ მაგიდასთან მჯდარს, თვალწინ მიდგას მისი ნათელი სახე. უცნაურია, ზოგჯერ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს შემთხვევით სხვის სახლში შევედი, თითქოს კედლები, კარადები, მაგიდა — ყველა საგანი, რასაც მისი ხელი და მზერა შეხებია, საყვედურს მეუბნება, თითქოს რაღაცას ისე, ვერ ვაკეთებ, მას რომ მოეწონებოდა...

ეს გრძნობა იქნებ იმითაც იყოს გამოწვეული, რომ აქ, ამ ოთახში, ჟურნალ „ცისკარში“, მასთან ყოველთვის მოვდიოდი, როგორც შეგირდი ოსტატთან, მის მზერაში ვამოწმებდი ჩემი ნახელავის ავ-კარგს. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ღიმილ-სიცილით სახეგახსნილი შეგვეგებებოდა, მარჯვენას ენერგიულად გამოგიწვდიდა, უშუალო, შინაურულ ატმოსფეროს გიქმნიდა, რათა მოეხსნა ყოველგვარი უხერხულობა. მისი ხმამაღალი, გულიდან წამოსული სიცილი ხან რომელიმე ოთახიდან გამოვარდებოდა, დერეფნებს აავსებდა და კიბეზე მიგაცილებდა. თეთრი, ქათქათა პერანგიც გულგახსნილი, გაღეღილი ეცვა. ეს გულგახსნილობა იყო მისი თვალშისაცემი პიროვნული თვისება. ცხოვრების ისეთი გზები ჰქონდა გამოვლილი, მჭმუნვარებისა და მდუმარების, გულდახურულობის იმდენი მიზეზი ჰქონდა, თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო. მას კი ყველაფერი სიცოცხლის ხალისად გადაედნო და ამ ხალისს აფრქვევდა უხვად.

მე მახსოვს იგი შემკრთალ-შეძრწუნებულიც, ზოგიერთ თავხედ ლიტერატორთა მიერ ნერვებმოშლილი და აღშფოთებულიც...

მე მახსოვს იგი, მაშინ ჩემთვის ხელმიუწვდომელი, ძვირფასი წიგნებით იღლიაგამოტენილი, ამ ძვირფას წიგნთა შოვნით გახარებული, ჩუმი ნეტარებით აღსავსე. წიგნი, მწერლობა იყო მისი ცხოვრების სიხარული, ანი და ჰოე...

გამორჩეულად მახსოვს პროფესიული და ზნეობრივი თვალსაზრისით სანიმუშო მისი წერილი „შუადღის ილუზიები“. მუდამ ილუზიების გარეშე ცხოვრებას ცდილობდა, ცდილობდა, სიმართლის მკაცრი მშვენიერებისთვის გაესწორებინა თვალი, მწერლობასა და პირად ურთიერთობაში გაეტარებინა ეს უმთავრესი პრინციპი.

მოგეხსენებათ, ამ გზაზე ეკალი მეტია, ვიდრე ფიანდაზად გაშლილი ყვავილნარი.

მე მახსოვს მისი ერთი საოცრად გულახდილი ფრაზა, პირად საუბარში ნათქვამი. პოზაც კი მახსოვს: ხელები მაღლა ასწია, ჩვეულებრივად არ გაუღიმია, დაფიქრებული, სერიოზული სახით წარმოსთქვა: არა, ძმაო, პოეზიის არაფერი გამეგება, მე ამის შეუმცდარ განმსჯელად და შემფასებლად ნამდვილად არ გამოვდგებით. საუბარი იყო ჟურნალ „ცისკრის“ პოეზიაზე. მაშინ ეს სიტყვები გადამეტებული თავმდაბლობა მეგონა. მერე და მერე, ჟურნალში მუშაობის პრაქტიკამ დამარწმუნა, თუ რა ძნელია ამ მოზღვავებული ლექსებიდან, რედაქციაში რომ შემოდის, ნამდვილი, ჭეშმარიტი პოეზიის გამორჩევა. ძნელია, რადგან ნამდვილი და ჭეშმარიტი, არა მარტო იმიტომ, რომ ძალზე ცოტა იქმნება, მორიდებულიცაა, თავხედურად არ ყელყელაობს, თვალში არ გეჩხირება...

ახლა რომ ვფიქრობ, იმ სიტყვებში სხვა რამესაც გაუსვა ხაზი, კერძოდ იმას, რომ თავის ვიწრო პროფესიულ უბნად მაინც პროზა მიაჩნდა, მაინც აქ ეგულებოდა თავი უტყუარ ფაშნაგირად.

და ცხადია, მართალიც იყო.

აქ აღსანიშნავი კიდევ ისიც გახლავთ, რომ მე მაშინ „ცისკრის“ რიგითი ახალგაზრდა ავტორი ვიყავი და ჩემთან ამგვარი აღსარება, ალბათ არ „ევალებოდა“ ჟურნალის ერთ-ერთ ხელმძღვანელს.

ახლა, ოტია პაჭკორიას მაგიდასთან მჯდომი, ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს: შევძლებ თუ არა მეც ასეთივე მართალი და გულახდილი ვიყო იმ ახალგაზრდა ავტორებთან, დღეს რომ მოდიან „ცისკარსა“ და ქართულ მწერლობაში?

ცხოვრება კაცისა ხანმოკლეა და წარმავალი. წელი ათასი ვითარცა ერთი...

მითუმეტეს ცოდვაა კაცი, რომელსაც ბედისწერა იმ ათეულებსაც კი თითებზე უთვლის, ჩვეულებრივ რომ უნდა იცხოვროს ადამიანმა.

ოტია პაჭკორია ახლა სამოცი წლისა უნდა გამხდარიყო. გახდებოდა კიდეც, მწერლის ძნელი და ინტენსიური ცხოვრებით რომ არ ეცხოვრა, იმ მოუშორებელი ღიმილის მიღმა ათასი სატკივარით დაბზარული გული რომ არ ჰქონოდა...

ახლაც იმ თავისი გულიანი ღიმილით მიყურებს. მკვეთრი, ენერგიული მოძრაობით მხარზე ხელს მირტყამს და მამხნევებს.

თითქოს მეუბნება:

ძნელია ცხოვრება.

ძნელია, მაგრამ შეუძლებელი მაინც არაა. არაა, რადგან ცხოვრების მდინარე საკმაოდ სწრაფად მიიჩქარის თავის დაღმართზე, თავის მარადიულ შესაკრებელში...

ერთი კია:

ამ ასწრაფებული დინებისას კაცმა იმდენი მაინც უნდა შეძლოს, მართალი, წრფელი ღიმილით დაუქნიოს ხელი თავის სამეგობროს, თავის ქვეყანას...

ამ ღიმილით გაგვშორდა იგი.

ამ ღიმილით დარჩა იგი ჩვენს შორის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია არჩვაძე

# ოტია პაჭკორია

I

თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ შესანიშნავ პროზაიკოსს ჰკითხეს, თუ რა აზრისაა მწერლისა და კრიტიკოსის დამოკიდებულებაზე. მან აღნიშნა: „კრიტიკოსის პირველი თვისება მწერლისადმი ერთგულება უნდა იყოს! რასაკვირველია, ერთგულებაში მწერლის ქება-დიდებას კი არ ვგულისხმობ, არამედ მწერლის შესაძლებლობების რწმენას“ (თ. ჭილაძე). ამავე მწერალმა უფრო ადრე ოტია პაჭკორიას მისამართით გამოთქვა შემდეგი სიტყვები: „წერილი „შუადღის ილუზიები“ დაიწერა ათი წლის წინ და დღემდე რჩება ჩვენი კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად. არა, არ გეგონოთ, თითქოს კეთილშობილების ნიღაბს ვიფარებდე და ამიტომ ვაქებდე წერილს, სადაც ჩემი ორი პირველი მოთხრობა, იგულისხმება „გასეირნება პონის ეტლით“ და „შუადღე“, მაქსიმალური სიმკაცრითაა გაკრიტიკებული. მე ნამდვილად ასე მიმაჩნია. ესეც ობიექტურად არსებული სიმართლეა, რომელსაც ვერსად წაუხვალ“.

ეს ამონაწერი იმიტომ მოვიყვანე, რომ მეჩვენებინა, როგორი ურთიერთობაა შესაძლებელი და აუცილებელიც მწერალსა და კრიტიკოსს შორის. მხატვრული ლიტერატურის კრიტიკა ობიექტურად არსებული ფენომენია, და რა თქმა უნდა, მის ამინდს კრიტიკოსები ქმნიან. ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი მიღწევები მწერლისა და კრიტიკოსის ურთიერთობაზე ბევრადაა დამოკიდებული. არა და, ბოლო დროის პრესის ფურცლები სავსეა კრიტიკოსისა და მწერლის კინკლაობით, რაც ინტერესების ვიწრო სფეროთი განისაზღვრება და მკითხველის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ჩვენს პრესაში ვერსად შეხვდებით რომელიმე მწერლის ან კრიტიკოსის წერილს, გამონათქვამს, სადაც ეჭვქვეშ იქნება დაყენებული ოტია პაჭკორიას ნააზრევი. ყოველივე ეს ო. პაჭკორიასეული ანალიზის სიმართლის უტყუარი საბუთია.

ო. პაჭკორიას ცხოვრება და შემოქმედება საუკეთესო მაგალითია მწერლისა და კრიტიკოსის თანამშრომლობისა. ინტერესების ფართო სფერო განსაზღვრავდა ამ თანამშრომლობას, რადგან თავიდათავი მრავალჭირგამოვლილი ერის ლიტერატურა იყო, მისი დღევანდელი და ხვალინდელი დღე, რისი თავდაუზოგავი სამსახური ო. პაჭკორიას თავისი რწმენისა და სინდისის უპირველეს გამოხატულებად ესახებოდა. ახლა, როდესაც წიგნის თაროს შეემატა მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი „ხმა სინათლეა“, სერიოზული დაფიქრება გვმართებს მისი ავტორის ნაფიქრ-ნაღვაწზე, რადგან ო. პაჭკორიას სახით ქართულმა კრიტიკულმა აზროვნებამ მეტად მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა. ეს წიგნი თავისებურად ღიად იმედს გვინერგავს იმისა, რომ მწერლის ცხოვრება გრძელდება. ამის საკმაო საფუძველს წიგნთან ერთად თვით ო. პაჭკორიას საინტერესო და ღრმად განსწავლული პიროვნება იძლევა: „უკომპრომისობა მისი შინაგანი მოთხოვნილება, მისი ერთხელ და სამუდამოდ არჩეული პოზიცია იყო და ამ პოზიციისათვის მას არასოდეს არ უღალატია. ამის დასტურია ეს წიგნი — „ხმა სინათლეა“, რომლის წაკითხვის შემდეგ მიღებულმა შთაბეჭდილებებმა კიდევ ერთხელ გულისტკივილით გამახსენა მისი ავტორი, ოტია პაჭკორია — ქართული ლიტერატურის თავდადრეკილი და უანგარო მსახური, კოლორიტული პიროვნება, რომელმაც რთული და ძნელი გზით იარა ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც“ (ვ. ხარჩილავა).

„მის მიერ შექმნილ ყოველ სტრიქონს ახლდა პერსპექტივისა და მომავლის გრძნობა, ახალი სიღრმეებისა და ახალი სივრცეების ძიების ჟინი. ახლდა ჯერ გაუცხადებელი ოსტატობის უეჭველი ნიშანი. მე ამჯერად არ მსურდა მისი შემოქმედების განხილვა, მე ადრე დაღუპული შემოქმედის სახეს ვეძებდი და თვალწინ მედგა იგი — სიცოცხლით, წინააღმდეგობებით,

ნათელი, გულდი, პატიოსანი ლიმილითა და სიყვარულით სავსე" — ასე ამთავრებს ო. პა-ჭკორია გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ წერილს, ეს სიტყვები ახლა ბატონი ოტიას მი-მართ მინდა გავიმეორო. არ არის ძნელი ო. პაჭკორიას შემოქმედებისადმი იყო ობიექ-ტური, რადგან თვით იყო იგი ობიექტურობისა და პირუთვნელობის საუკეთესო მაგალითი. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო წიგნი „ჩემი სიმართლე" და არ დაფიქრდე მის ავტო-რზე, რომელმაც მართლაც მეტად საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. დღევანდელი ჩვენი წერილის მსჯელობის საგანი ბატონი ოტიას კრიტიკული წერილები, ესსეები და პორტრე-ტები იქნება, თუმცა მისი ნააზრევის სათანადო განხილვა ახლა და აქვე ჩვენი კრიტიკის გადა-უდებელი ვალია. შევეცდებით, მკითხველის პოზიციებიდან ვილაპარაკოთ მისი წიგნის ღი-რსებაზე, რადგან, ჩვენის აზრით, მისი ნააზ-რევი ისევე საინტერესოდ იკითხება, როგორც ცალკეული ლიტერატურული ნაწარმოები.

ო. პაჭკორია ცოტას წერდა და აქვეყნებდა. ალბათ არსებობდა სუბიექტური და ობიექტუ-რი მიზეზები ამისა, მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ხარისხი და აზრის სიცხადეა, რაც ასე დამახასიათებელია მისი ნააზრევისათვის. ოტია პაჭკორიასთან ვერსად ნახავთ ისეთ წერილს, სადაც ავტორი სათანადოდ ვერ წვდებოდეს გა-ნხილვის საგანს, არ აშუქებდეს მას ყოველმხრივ, არ გამოყოფდეს მთავარს, არ ავლენდეს მი-ზეზთა ფესვებს.

ო. პაჭკორიას პორტრეტებისა და ესსეების ერთი ნაწილი ეძღვნება ჩვენი დროის გამოჩე-ნილ ადამიანებს, უშუალოდ იმათ, ვისაც პი-რადად იცნობდა და ვისთანაც შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა. „ესსეები" პირობითად ვახსენე, რადგან ისინი უფრო ამ ადამიანთა სულიერი პორტრეტებია: „სიტყვა კონსტანტინე გამსახურდიას", „ნოდარ ჩხეიძე", „გიორგი შატბერაშვილი", „გურამ რჩეულიშვილი", „გი-ვი ძნელაძე", „თამაზ მელიავა". ო. პაჭკორიას ერთადერთი უმთავრესი მიზანი მათი სულიერი არსის ობიექტურად შემეცნებაა, მათი ბუნების მზის სინათლეზე გამოტანაა. ზემოთ ჩამოთვ-ლილი პორტრეტების წაკითხვა ცხადყოფს, როგორ უნდა წერო პიროვნებაზე, ადამიანზე, მეგობარზე, სათანადოდ ახსნა და შეაფასო მათ მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა. პორტრე-ტებში ო. პაჭკორიას საკუთარი გული, გრძნო-ბა, ოცნება ჩანს და ამით ქვეცნობიერად სა-კუთარი ბუნების გამომჟღავნებასაც შეუწყო ხელი. ო. პაჭკორია სწორედ იმ ადამიანებზე წერდა, რომელნიც მის ბუნებასთან განსაკუთ-რებით ახლოს იდგნენ, და ეს საოცარი სული-ერი ნათესაობა სრულიად არ უშლიდა ხელს დადებითთან ერთად უარყოფითიც დაენახა, ესსეებში, პორტრეტებსა და კრიტიკულ წერი-ლებში წმინდა, მართალი, ღირსეული, საქებარი მკაფიოდ, ღრმად და შთამბეჭდავად წარმოჩნ-დება და იკვეთება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გიორგი შატბერაშვილს [illegible] წიფებოდა და აუგის თქმაც. ყოველ ჩვენთა-განს, ვინც მაშინ იწყებდა თავისი ლიტერატუ-რული ცხოვრების ძნელ გზას, ერთი ახსოვს — იგი ყოველთვის იყო სამართლიანი, განუხ-რელად სამართლიანი. არ ერიდებოდა კაცის ნდობას, მაგრამ არც შეღავათიანი დაპირებების გაცემა შეეძლო. მასთან მიკრძალებით მისული ახალგაზრდის თავმოყვარეობასაც ურთხილდე-ბოდა, ოღონდ უფრო ქართულ მწერლობას, და მისი მრავლის მნახველი გული უცნაური სიც-ხადით განჭვრეტდა მომავალს. „საოცარი დამ-თხვევაა, განა იგივე არ შეიძლება გავიმეოროთ ო. პაჭკორიას მიმართაც. მის პორტრეტებში ქართველი კაცის სულის ფენომენია ნაჩვენე-ბი, მისი შესაძლებლობები და პოტენცია. ისინი თითქოს ჩვენს ირგვლივ ცხოვრობენ, იღვწიან, მოქმედებენ, სტკივათ და უხარიათ. გურამ რჩე-ულიშვილი — ამაყი, მეოცნებე, ფიქრიან-ხმაუ-რიანი, აღუვსებელი სიყვარული, ლეგენდა და სი-ნამდვილე. ო. პაჭკორიამ ლეგენდისა და სი-ნამდვილის შერწყმით შექმნა მისეული სახე გურამ რჩეულიშვილისა, რომელიც ჩვენთვისაც მისაღები და ახლობელი გახდა.

„მე მიზიდავდა მასში დიდი ადამიანური სი-ამაყე და ერთგვარი ზიზღი ნატურალისტური პასაჟებისადმი. მისი მოთხრობების მშვენიე-რება დიდი ადამიანური გულახდილობა იყო. მას ჭარბად ჰქონდა [illegible] ადამიანუ-რი ღირსების შეგნება. მისთვის არ არსებობდა კერპი და ჰქონდა ყველაფერში უმთავრესის მიგ-ნების უნარი". ო. პაჭკორიას განსაკუთრებით აღელვებდა ტრაგიკული ადამიანების ბედი, ხშირს ფიქრობდა მათზე, ცდილობდა აეხსნა ტრაგედიის მიზეზი.

„მე ახლა ვფიქრობ — ხომ არ იყო მასში რაღაც საბედისწერო, რაც წინასწარ განსაზ-ღვრავდა მის ტრაგიკულ ფინალს. მოჭარბებუ-ლი ენერგია, ჭაბუკური სითამამე და ზიზღი ხიფათის სიფრთხილისა მას ხშირად ბეწვის ხი-დზე გაატარებდა". ხოლო ნოდარ ჩხეიძის უცა-ბედი სიკვდილით დამწუხრებული ატყვის: „ჩვენზე ადრე ჩვენი ფესვები კვდებიანო", ო. პაჭკორია წუხილისა და ძიების კაცი გახლ-დათ, სხვისი ნიჭისა და უნარის დამფასებელი. მის პორტრეტებში ცოცხალი ადამიანის სახე-ები ნათლდება. მათ საკუთარი ზნეობრივი სამ-ყარო გაჩნიათ, სადაც იცით ნამდვილი პატი-ოსნების ფასი. „პოეზია არ არის პროფესია, პოეზია ბედისწერაა, — უაღრესად სწამდა ამ პრინციპის, რადგან იგი თავისთავად გამორიც-ხავდა ყოველგვარ სიყალბეს, მოგონილს და მოიცავდა მხოლოდ მოწამეობრივსა და ნამდ-ვილს" (ნ. ჩხეიძე).

„მოყვასი ჩემი" — ასე უწოდა პაჭკორიამ სევდიან ამბავს, რომელიც ლევ სოფიანიდის

ცხოვრებიდანაა აღებული. უსაზღვრო სითბოთი და თანადგომითაა გადმოცემული ამ კაცის სულიერი ბიოგრაფია. მიმწუხრის ფერები სჭარბობს მასში, მკითხველს შეიძლება ბევრს ქარაფერს უუბნებოდეს ეს სახელი და გვარი, რადგან, ისევ და ისევ ოტია პაჭკორიას თვისება გახლდათ, აღმოეჩინა მიუსაფრობის იქით ფარული სიამაყე, ყოველდღიურობისა და ჩვეულებრივობის იქით — არაჩვეულებრივი. მწერლის დაკვირვებული თვალითა და ღრმა მგრძნობელობითაა შექმნილი ამ კაცის სახე, რომელიც სისხლხორცეულად ახლობელი ხდება ჩვენთვის იმ ხელშესახები ტკივილის გამო, რომელსაც ფარულად დაატარებდა თურმე. ლევ ხოფიანიდის ცხოვრების წესი ბუნებრივად და თავისთავად მოიცავდა დახვეწილსა და ფაქიზს, რაც ასე შეესატყვისებოდა ო. პაჭკორიას ბუნებას. კითხულობ ამ ნაღვლიან სტრიქონებს და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ანალიტიკური აზროვნება სრულებითაც არაა საკმარისი იმისათვის, რომ მკითხველმა გულთან მიიტანოს შენი ნააზრევი. კარგი კრიტიკოსი უპირველეს ყოვლისა კარგი მწერალიცაა. ო. პაჭკორიას პიროვნებაში მწერალი და კრიტიკოსი განუყოფელია ერთმანეთისაგან. მის წერილებსა და ესსეებში გამჟღავნებულია ხატვის შინაგანი, ფსიქოლოგიური რეალიზმი. იგი შორდება მშრალ კრიტიკულ ანალიზს და მხატვრულობისა და ემოციურობის თვალსაზრისით თავის სულიერ ძმებს, ცნობილ ქართველ მწერლებს უტოლდება. მხოლოდ ნამდვილ მწერალს შეეძლო დაეწერა:

„რუხ კედელზე ნახშირით გამოხატულ ფიგურას ჰგავდა. მას არ გააჩნდა მოცულობა, ფერ-ხორცი... იყო მხოლოდ კონტური, მაღალი, გამხდარი, „მთვრალთვალება" და „თხელნაკვთებიანი..." მუდამ ჭუჭყიან კოსტუმში გამოწყობილი და მაინც დახვეწილი და ფაქიზი".

სიცოცხლის ბოლო წლებში ო. პაჭკორია მკითხველის წინაშე ნოველებით წარსდგა, რითაც, ჩემის აზრით, გამოამჟღავნა ფარული სურვილი იმ ზღვარის წაშლისა, რაც ბუნებრივად წარმოიშობა ხოლმე მწერალსა და კრიტიკოსს შორის.

ო. პაჭკორიას წიგნი „ხმა სინათლეა" მაგალითია ნამდვილი შემეცნების, კვლევის, სულიერი წრთობის, პრობლემებისადმი ინტელექტუალური მიდგომისა. მის კრიტიკულ წერილებში იგრძნობა გასაოცარი ლტოლვა ახლებური აზროვნებისაკენ; გონების აქტიურობა და ქმედითობა წარმართავს მის გემოვნებას. მისთვის უცხოა საკუთარი ინტელექტუალური თუ ემოციური ძალებით ტკბობა, სიტყვისა თუ აზრის თვითმიზნური თამაში. ამიტომაცაა, ყველაფერი ექვემდებარება იმას, რასაც ამტკიცებს. მისი კრიტიკა ყოველთვის კვლევის მისეული მეთოდია და ამკვიდრებს ამაღლებულსა და დახვეწილს. „ქმნიდე — დღენიადაგ ასამართლებდე საკუთარ თავს" — კნუტ ჰამუნსენის ეს სიტყვები [illegible] მიესადაგება კრიტიკოსის [illegible] წიგნ „ხმა სინათლეს" ავტორი, რაზეც უნდა წერდეს, მისდაუნებურად, ალბათ ქვეცნობიერად, თავის თავზე, თავის ცხოვრებაზე გვიყვება, ყველგან და ყველაფერში მის კვალს ვხედავთ და მისი ნათელი სახელის ექო გვესმის.

ოტია პაჭკორიასთვის, როგორც კრიტიკოსისათვის, უცხოა ადამიანის ბუნების შინაგან წინააღმდეგობათა ზერელე და ზედაპირული გადაჭრა. იგი, პირველ რიგში, იკვლევს პრობლემას, აინტერესებს თეზისისა და ანტითეზისის შინაგანი სინთეზის გზა. იგი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ახალი პროზის საფუძვლებით. მართალია, ამ საკითხზე ცალკე წერილი არ გამოუქვეყნებია, მაგრამ მისი კრიტიკული ნააზრევი ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო მასალას მოიცავს; იგი ვერ ეგუება სტილის ნიველირებას, გულგრილ დამოკიდებულებას ფრაზისადმი, იმას, რომ ზოგ მწერალთან სიტყვის პოეტური და ემოციური ენერგიის უგულებელყოფა თითქმის კონცეფციად გადაიქცა. მან სწორად განსაზღვრა ის ფაქტი, რომ ქართული პროზა ყოველთვის დიდ პატივს მიაგებდა ფრაზის პოეტურობას, სათქმელის დახვეწილი ფორმებით გამოხატვას. გავიდა ხანი და გავრცელებულმა ფორმებმა უნდობლობა გამოიწვია, შეჩვევამ უარყოფის გრძნობა წარმოშვა. მას დაუპირისპირდა სისადავე, ცივი, დაწურული ლოგიკური კონსტრუქციები, რამაც, თავის მხრივ, შექმნა საშიშროება გაპრიმიტივებული სისადავისკენ ლტოლვისა. ახალი პროზის (ეს ცნებაც პირობითია) ენაზე, ზოგიერთი ტენდენციის დაკვირვებული კვლევის საფუძველზე, კრიტიკოსი მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „საკმარისი როდია ცალკეული ნაწარმოების ანალიტური შესწავლა, საჭიროა ტიპოლოგიური ჯგუფების გამოყოფა, ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, სტრუქტურაზე ფიქრი. საამისოდ ჯერ ვერავინ მოიცალა, იქნებ იმის გამოც, რომ დღევანდელი პროზა თავისივე თავში ეძიებს ტრადიციების გაგრძელების, შინაგანი ეკლექტურობის, ორგანიზებისა და მოწესრიგების გზებს". დღევანდელი პროზა წინაარსებულთან უშუალოდაა დაკავშირებული, იგი მისი ახალი ყლორტია, რომელსაც ჰაერი და მზე სჭირდება, რათა გაიზარდოს. ქართული პროზის სიღრმეების ძიებისას ძირითადი აქცენტი გადააქვს აზროვნების სტილსა და ხარისხზე და არა მოცულობაზე. უარყოფა ო. პაჭკორიას აზრით, არამც და არამც არ ნიშნავს ახლის ძიებასა და დამკვიდრებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ენისა და სტილის ურთულეს პრობლემებს: „მხოლოდ უარყოფა არ კმარა ახლის დაფუძნებისათვის. სტილისა და ენის პრობლემა ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის სამსახურში იყო ჩამდ-

გარი და მისი ფუნქცია ორნამენტული მეტყველებისა თუ „სილამაზის“ არეს შორს სცდებოდა. და აქ სიფრთხილე გვმართებს — ფუფუნების საგნებს აუცილებელი სამკაული, სტილის სიყალბეს სტილის ჭეშმარიტი ღირებულება არ გადავაყოლოთ“.

ო. პაჭკორია დიდი ქომაგი იყო მრავალჭირგამოვლილი ქართული ლიტერატურისა. მწერლობა, მისი აზრით, მწერლისაგან მოწამებრივ სამსახურს მოითხოვდა და ჭეშმარიტი შემოქმედი მოძღვრისა და მარტვილის როლში ესახებოდა. ამიტომაც, უპირატესობას იმ შემოქმედს აძლევდა, რომელიც ჩუმად, ყოველგვარი ტრიბუნისა და ხმაურის გარეშე აკეთებდა თავის საქმეს. იგი ბევრჯერ დამდგარა პრობლემების უკიდურესი სირთულისა და სიძნელის პირისპირ, მაგრამ იშვიათი ნიჭი და უნარი გამოუმჟღავნებია შემოქმედებითი პროცესის წვდომისა. ნაწარმოებს, რომელსაც იხილავდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბოლომდე პატრონობდა. იგი განსაკუთრებით უკვირდებოდა ამა თუ იმ მწერლის თემის, სტილის, აზროვნებისა და მეტყველების საკითხებს, რაც ძალიან კარგად გამოჩნდა გურამ გეგეშიძის რომანის „ცოდვილის“ ანალიზის დროს. წერილი, როგორც ყოველთვის, ღრმა დაკვირვებულობით და სერიოზულობით გამოირჩევა „გურამ გეგეშიძე, უპირველეს ყოვლისა, ქმნის თავის გმირს (ამ გმირს თავისი რეალური და ლიტერატურული წარმომავლობა ახასიათებს), ქმნის მის ხასიათს და მისიას, მის ბედს, იგი არ ცდილობს, ამაოდ დაშვრეს რაღაც არგაგონილის და არნახულის ძიებით (საოცარია, ამ დროს სრულ თავისუფლებას ანიჭებს ფანტაზიას) იგი დიდად ენდობა ადამიანის სულიერ და ემოციურ გამოცდილებას და იქვე სრული თავისუფლებისაკენ ისწრაფვის“. ო. პაჭკორია საკუთარ შეხედულებებს არავის ახვევს თავს, მითუმეტეს, მწერალს, იგი უხსნის, უსაბუთებს და ურჩევს, რაც კრიტიკოსის უპირველესი თვისება უნდა იყოს. „კარგი ცხოვრება სჯობს ცუდს — დაახლოებით ამგვარია „ცოდვილის“ პერსონაჟთა მეტყველება (და არა აზროვნების) მანერა. მსგავსი ბანალობა სრულიადაც არ გამოხატავს გმირების ზნეობრივ და სულიერ მრწამსს, მით უმეტეს, აზროვნების დონეს, არადა, მკითხველი იბნევა. მკითხველი გრძნობს, ამგვარ მსჯელობათა სერიოზულად აღქმა უხერხულია, რომ ეს დისჰარმონიაა, ავტორის ირონიის უკუფენაა, მხოლოდ დაცინვაა, მაგრამ ძნელად აღსაქმელი, რადგან უჩვეულოა და, იქნებ, წრეგადასულიც. სწორედ ამის გამო „მედიტაციებს“ აზრის სიძაბუნედაც კი აღიქვამს. ვფიქრობ, ეს ვითარება მწერალმა ყურად უნდა იღოს“.

ოტია პაჭკორია თავის ნააზრევში ყოველთვის გულახდილია, მისგან შორსაა ირონია და სარკაზმი. მის ნააზრევს არა აქვს შეუვალი ჭეშმარიტების პრეტენზია. რადგან ისევ მისივე სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „ალმო[illegible]ვლეთში უთქვამთ: ერწმუნე მას, ვინ[illegible]ს ეძიებს, ნურაფერს ირწმუნებ[illegible] მოიძია იგი!“ საყურადღებოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ვითარება: ო. პაჭკორია ამა თუ იმ კონკრეტული ნაწარმოების განხილვისას საშუალებას გვაძლევს (ეს მისი ლიტერატურული მასალის აღქმისა და ცოდნის შესანიშნავი დასტურია) მთლიანად შევიმეცნოთ მწერლის შემოქმედებითი პროცესის მნიშვნელოვანი მომენტები. იგი ხშირად ავლებს პარალელს სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებთან, იშველიებს საინტერესო მოსაზრებებს. მისი სენტენციები ცხოვრების ღრმა გამოცდილებიდან მოდის და უჩვეულო სიღრმისეულ განზომილებას ანიჭებს ნააზრევს: „ტრადიციულად მხატვრული ფორმები თავისივე თავში მოიცავენ თვისობრივი განახლების დიდ შესაძლებლობებს, ოღონდ აუცილებელია აზროვნების ახალი, თანამედროვე სტილის დამუშავება“.

ო. პაჭკორია წერდა იმაზე, რაც უყვარდა, რაც თავისთავად მოიცავდა პერსპექტივას — ახლის ძიებას, განცდის სიმართლე უშუალოდ მაჩვენებელი იყო ამა თუ იმ მწერლისადმი მისი დამოკიდებულების, მას ჰყავდა თავისი საყვარელი მწერლები და ეს სიყვარული სრულიად არ უშლიდა ხელს ობიექტური ყოფილიყო, პირიქით, ეხმარებოდა, რათა უბრალო ანალიტიკოსის როლში არ გამოსულიყო. ქართული ლიტერატურის პრობლემებით დაფიქრებულ მკვლევარს, ო. პაჭკორიას, უზომოდ ახარებდა ქართველი მწერლების წარმატებები. ამ სიხარულს იგი თავის მკითხველს უზიარებდა. მწერლის ნიჭის უდიდესი ნდობა და პატივისცემა იგრძნობა წერილში, რომელიც მან არჩილ სულაკაურის შემოქმედებას, კერძოდ, „ლუკას“ უძღვნა. ა. სულაკაურის მოთხრობამ შესძრა მკითხველის გული და გონება, ააფორიაქა, დაამწუხრა, გულწრფელი ცრემლით ატირა და, ამავე დროს, დიდი იმედი ჩაუსახა ნამდვილი ადამიანების არსებობისა. წერილში ო. პაჭკორია ხსნის ადამიანების მორალურ სახეს, მის ნააზრევში წინა პლანზეა ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულებისა და ზნეობრივი მოვალეობის წმიდათა-წმიდა მცნებები, გვიმჟღავნებს იმ გზებსა და საშუალებებს, რასაც ისინი იყენებენ მიზნის მისაღწევად. ჩუღურეთი, თბილისის ეს ძველი უბანი, არჩილ სულაკაურის მხატვრული სამყაროს ცენტრად იქცა. პატარა სამყაროა ჩუღურეთი, მაგრამ, კრიტიკოსის აზრით (რაც სავსებით თანხვდება მკითხველი საზოგადოების აზრს), არჩილ სულაკაური დიდი ქართული ლიტერატურის ღირსეული გამგრძელებელია.

ყველას გვახსოვს, რა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია თავის დროზე რეზო ჭეიშვილის რომანმა „დალი“, რომელიც ქართულმა კრიტიკამ მწერლის აშკარა დამარცხებად მიიჩნია.

გამოვიდა ო. პაჭკორიას წერილი „კვლავ მანდიკორელთა გამო", რომელიც მკითხველისათვის აშკარად შვების ამოსუნთქვასავით იყო. მკვლევარმა ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა და თავისი სახელი დაარქვა. წერილი ავტორისადმი დიდი თანადგომითა და თანაგრძნობითაა დაწერილი და ამ დიდ ადამიანურ თვისებას სულაც არ შეუშლია ხელი ო. პაჭკორიასთვის დაენახა ის უარყოფითიც, რამაც აიძულა კრიტიკოსების ერთი ნაწილი, ეთქვათ: „დალი". მწერლის დამარცხებააო". წერილში თავი იჩინა კვლევის მისეულმა პრინციპმა: შედეგთან ერთად იკვლიოს მიზეზიც, ამიტომაცაა, რომ ო. პაჭკორია ნამდვილი შემფასებელი და მიმტევებელი იყო და არამც და არამც დამთმობი. მან მიუთითა იმ პრობლემაზე, რამაც დააწერინა რ. ჭეიშვილს ეს რომანი, ზუსტად მიანიშნა, რომ რომანის ნაკლი მისი სტილია. ნაწარმოების სტრუქტურამ „სხვა სტილით აზროვნება" მოითხოვა. „დამპყრობელს" წიგნში არა მარტო შემოაქვს „მანდიკორული მეტყველება", ელვის სისწრაფით ავრცელებს სხვებზეც და „დალის" გმირებიც „მანდიკორულად" ამეტყველდნენ: განურჩევლად იმისა, თუ რა ინტერესის, ფსიქიკის და, როგორც თვით ავტორს მოსწონს, რამდენიმე წყვილი ქრომოსომის პატრონნი არიან თავად". მთავარი მაინც კრიტიკოსის აზრით ისაა, რომ „დალი" თანაგრძნობის გარეშეა დაწერილი.

ო. პაჭკორიას კვლევის მეთოდი ყოველთვის განიხილავდა თვითმყოფადს, ეროვნულს, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ფართო პრინციპული საკითხების პარალელურად. იგი აკვირდებოდა ქართულ მწერლობას და შემოქმედებითად სწავლობდა. მან პირველმა აღნიშნა, რომ ო. ჭილაძის პროზას ახასიათებდა ის სიღრმე, რაც საშუალებას მისცემდა ქართულ მოთხრობასა და რომანს „ფართო სარბიელზე გასულიყო და თავი დაეღწია იმ გრძნეული გარსისათვის, რასაც ჩვეულებრივ პროვინციულს უწოდებენ".

ოტია პაჭკორიას თვალწინ ქართულ მწერლობას ემატებოდა ახალი სახელები, რომელთაც მოჰქონდათ ახალი სუნთქვა, ახალი ფერები. ო. პაჭკორია ერიდებოდა ნაჩქარევი დასკვნების გამოტანას, ის კალამს ხელში მაშინ იღებდა, როცა სათქმელი მომწიფებული იყო. თავის ესსეებსა და კრიტიკულ წერილებში მას ეპისტოლარული ხასიათის ელემენტები შეაქვს. ხორცს ასხამს იდეებს. ერთი შეხედვით პარადოქსული ხასიათის მსჯელობიდან გამოყოფს ზოგადს, აზერხებს განყენებული იდეების გადატანას მოქმედებასა და მოძრაობაში. მის წერილებს ახასიათებს „სიღრმისეული" ზრდა, რაც მასალის შინაგანი ფენების გამოაშკარავებისკენაა მიმართული. მისი ნააზრევის ტენდენცია ღრმად ფსიქოლოგიურია. აზროვნების სიძლიერე, შეფასების მისეული კრიტერიუმი განაპირობებს მისი კვლევის მეცნიერულ სფეროს. ის აიძულებს გონებას, იწამოს, დაეჭვდეს, მიიღოს, უარყოს. „ჩვენ მოვერიდებით სწრაფვას საბედისწერო სიზუსტისაკენ", ანუ დეკლარაციულ დასკვნათა გამოტანას, რომელთა შეუვალობაც თითქოსდა თვალნათლივი უნდა იყოს, არც მაინცდამაინც ფორმალურად მოწესრიგებული და ყოვლის მომცველი მოდელების აგებას შევეცდებით. რა თქმა უნდა, დარჩება უმნიშვნელოვანეს პრობლემათა წყება, რომელთა გამო მსჯელობაც მომავლის საქმეა".

ო. პაჭკორია ზოგჯერ შეგნებულად არ ამთლიანებს, არ კრავს, ბოლომდე არ აყალიბებს თავის შეხედულებას. ჩვენის აზრით, იყო რაღაც საბედისწერო, ტრაგიკული და გულისშემძვრელი მისი გამოკვლევების ფრაგმენტულობასა და დაუმთავრებლობაში. ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ რატომ ვერ მიაღწია მისმა ნააზრევმა მასშტაბურობას, როცა ამის საფუძველი საკმაოდ არსებობდა. იქნებ იმიტომ, რომ ნამდვილი ოსტატი იყო, თვით კი ეჭვის თვალით უყურებდა ოსტატობას, რადგან იცოდა, რომ ოსტატობა ზოგჯერ კონსერვატორულ ელემენტებსაც შეიცავდა. კაცს, რომელსაც ნამდვილი, ჭეშმარიტი ცოდნა ჰქონდა, მთელი ცხოვრება „დილეტანტიზმი" აწუხებდა, იქნებ იმიტომაც, რომ „ადამიანის მეხსიერებას აქვს ერთი თვისება — შერჩევისა და უარყოფის. იგი ივიწყებს შემთხვევითს, შეუფერებელს, მტკივნეულს, ზოგჯერ იმასაც, რისი დავიწყებაც არ შეიძლება.

თაობის მეხსიერება უფრო დაუნდობელია, იგი საკუთარი არსებობის მოკლე მონაკვეთზეც ივიწყებს ბევრ რამეს". ო. პაჭკორიას არ დასცალდა მთლიანობა მიენიჭებინა მასალისათვის. არა და სულ ის აწუხებდა, რომ მეთოდური თანამიმდევრობით ვერ გადმოსცემდა თავის შეხედულებებს. „ის აქტივობა, რაც საკმაოდ ახასიათებს ჩემს ემოციას და გონებას, ვერასოდეს ვერ გარდავქმენი რეალურ საქმედ, მონუმენტურ შრომად, რაღაც სისტემად". საბოლოოდ კი, მართლაც, რომ არაფერი ჰქონდა. მისი ნააზრევი რომელიღაც დიდებული შენობის ორნამენტებს მაგონებენ და სევდით ვჭვრეტ იმას, რაც ვერ დაასრულა.

ო. პაჭკორია მწერალი და შემოქმედი ყველაზე მეტად იქ იხსნება, იქ აჩენს პიროვნულ თვისებებს, სადაც ეროვნული და თვითმყოფადია მიგნებული, — ეს იქნება ადამიანის ხასიათი, ლიტერატურული ფაქტი თუ მოვლენა. აზრის სიღრმე, გრძნობის სიწმინდე, სტილის სინატიფე, ახასიათებს მის ნააზრევს. მწერლობა ხომ „დაუმთავრებელი სიყვარულია". იგი იყო მკაცრი, საქმიანი, ყოველგვარი უმნიშვნელო წვრილმანებისგან განტვირთული და მხოლოდ მთავარზე კონცენტრირებული. ლიტერატურაში ყველაზე მეტად ვერ იტანდა სტერეოტიპებს, საამოდ საკითხავ პროზას, გაზავე-

ბულს მახვილგონივრული დიალოგებით და იუმორით. მას სწამდა ერთი: თუ მწერალი ნიჭიერი იყო, იგი პრობლემებთან საკუთარი გამოცდილებით მივიდოდა.

„ლიტერატურამ იცის პრობლემათა რიგი, რომელთანაც მწიგნობრული გზით, გარეგნული ინფორმაციის შედეგად, ან გავრცელებული ტენდენციების პირდაპირი არეკვლით მიდიან. როგორც წესი, ეს არ არის გაშინაგნებული ბუნებრივი მოთხოვნილებით სულჩადგმული პრობლემა, ანუ, ეს არ არის დაგროვილი, მომწიფებული სათქმელის გამოთქმის გარდუვალი აუცილებლობა, სწორედ აქ იწყება ე. წ. „ლიტერატურშჩინა“.

პოლ ვალერი წერდა: „ადამიანი ყოველთვის ცდილობს უარყოს ის, რისი დამტკიცებაც არ შეუძლია“. ო. პაჭკორია არ იცნობდა ამ ჩვეულებრივ ადამიანურ სისუსტეს. იგი არასოდეს ექცეოდა გავრცელებული შეხედულებების ტყვეობაში. „ეთიკური პარადოქსის“ გადაჭრისას ჭეშმარიტ ლიტერატურასთან ზიარების ერთადერთი გზა და საშუალება მისთვის გონების თავგანწირული ძალისხმევა იყო, და ამავე დროს, ნაწარმოების ანალიზისას გონებასთან ერთად უშუალობასა და შინაგან სიცხადეს ანიჭებდა უპირატესობას, რომელთა მეშვეობითაც უკეთ სწვდებოდა ჭეშმარიტებას ზნეობისა და გრძნობელობის სფეროში. ნებისმიერი საგნის, ნებისმიერი მოვლენის სიმართლეს თუ სიყალბეს მხოლოდ თავისი ხედვის კუთხით და თვალსაზრისით არ განსაზღვრავდა. იგი იძლეოდა შემოქმედებითი პროცესის ერთობლივ სქემას, რომელიც, ამავე დროს, ბუნებრივად იყო დამოკიდებული კრიტიკოსის ინტუიციურ შემეცნებაზეც. ო. პაჭკორიასთვის შემოქმედების წყარო გონებასთან ერთად გულიცაა. ასე მივიდა იგი სტენდალამდე. იგი ღრმად განსწავლული პიროვნება გახლდათ, კარგად იცნობდა, როგორც ევროპულ, ისე ლათინური ამერიკის მწერლობას. სტენდალს მან შემოქმედის ახალი ტიპი უწოდა, რომლის აღმოცენება მჭიდროდ დაუკავშირდა ომსა და რევოლუციას. ანრი ბეილის ბავშვობასა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას თვითმხილველივით აღგვიწერს. გვიხსნის მის სულსა და მისწრაფებებს ეპოქის მოვლენებთან უშუალო კავშირში. სტენდალის რეალისტური წერის მანერა ხომ ნაპოლეონის შემდეგდროინდელი უკმაყოფილობიდან აღმოცენდა. „მან პირველმა დაუახლოვა მხატვრული აზროვნება, მხატვრული სახე ლოგიკურ (ცნებისეულ) კატეგორიებს, აღიარა გონების პრიმატი“. სტენდალში მას იზიდავს მრავალპლანიანობა, შინაგანი წონასწორობა და ჰარმონია, რომელსაც „უტყუარ ესთეტიკურ ალღოსთან ერთად მძაფრი სოციალური ინტუიციაც ახასიათებდა“.

ლათინური ამერიკის მწერლების შემოქმედებაში მან გამოძყო წარმოსახვის თავისუფლების, ლეგენდისა და ისტორიის სინთეზი. მსჯელობა მითისა და ანტიმითის შესახებ [illegible] თხით წარმართა და დაუკავშირა [illegible] რმოსახვის თავისუფლებას“. ოტია პაჭკორიამ სწორად აღნიშნა, რომ ახალგაზრდა ერების პროზის აღმასვლა გამოიწვია იმან, რომ მათში ეროვნული გაცილებით მეტს მოიცავდა, „ვიდრე კოლუმბიას, ბოლივიას, პერუს... შეიქმნა რეგიონი — ლათინური ამერიკის ლიტერატურა — ოღონდ საერთო ეროვნულ ფესვზე აღმოცენებული, საერთო ისტორიული ხვედრითა და თქმულებებით“. ლათინური ერების ლიტერატურაზე დაყრდნობით ო. პაჭკორია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ მოზღვავებული ინფორმაციის ხანაში, ეს ლიტერატურა იმის დადასტურებაა, თუ რამდენად შეუძლია წიგნს ერის ავტორიტეტის ამაღლება.

ო. პაჭკორიასთან სიტყვა და საქმე ერთმანეთს კარგად შეესატყვისებოდა. იგი მწერლობაში პატიოსნებას ამკვიდრებდა. რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, ჩვენ ხშირად საწინააღმდეგო ფაქტის მომსწრენიც ვყოფილვართ. იგი ყოველთვის იბრძოდა გამორჩენის ინსტიქტის, სარფიანი ძიების წინააღმდეგ და ზნეობრიობის ერთადერთ პირობად ისევ ზნეობისათვის მუდმივი ზრუნვა მიაჩნდა. იგი არ წერდა იმისათვის, რომ ვინმე „მაღლა მდგომი“ ესიამოვნებინა. იგი ნამდვილი ერისკაცი იყო ამ სიტყვის ფართო გაგებით. თავისი არსებობის ზნეობრივ გამართლებად თვლიდა მოწამებრივ დამოკიდებულებასა და მწერლურ ერთგულებას იმისადმი, რაც მის თვალწინ, თანაზრახვით და თანდასწრებით იქმნებოდა.

„და მაინც, ყოველთვის ელოდები ახალს, მოქმედს, ამაღლებულს... ესაა შენი რწმენა, მოლოდინი და მორჩილება... და ეს თუ ამართლებს, მთელი ცხოვრება სხვაგან, სხვის შემოქმედებაში რომ უნდა ეძიო შენი არსებობის მორალური საყრდენი, „სულიერი და ინტელექტუალური წონასწორობა“. ლიტერატურაში ეროვნული ფესვების ძიება მისთვის ხშირად გამხდარა სიახლის დასაწყისი, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა ქართველი ერის სულიერი ცხოვრების ტრაგიკულ აღმასვლას, წიგნში კ. გამსახურდიას სახელი ზარივით გაისმის და ო. პაჭკორია ათიათასობით ქართველის სახელით ამბობს სიტყვას დიდ მწერალსა და განსაკუთრებულ პიროვნებაზე. კ. გამსახურდიამ ქართული ენის წიაღიდან გამოუხმო სიტყვებს, რომლებიც მარგალიტებივით აახსა და მარადისობისა და უკვდავების შარავანდედით შემოსა. მან „ერთ-ერთმა პირველთაგანმა იზრუნა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ბედსა და მომავალზე“. სიტყვის და აზრის პოეტურობამ, ლიტერატურაში ეროვნულის დამკვიდრებამ კ. გამსახურდიას პროზას განსაკუთრებული მისია დააკისრა. ეს იყო ისტორიულ ფესვებთან თანაზიარი პოეტური პრო-

ზის აღმასვლა და როდესაც ო. პაჭკორია ეძებს ვინმესთან მწერლის მსგავსებას, აღმოაჩენს: „არავის არ ჰგავს მშვენიერად — იქნებ ცოტათი თავის სვეტიცხოველს".

ო. პაჭკორია ენდობოდა ადამიანს, თუმცა მრავალი ტკივილის გადამტანს, უფლებაც ჰქონდა უნდობლად მოქცეოდა მას. ზოგჯერ მისდაუნებურად სტრიქონებში გაკრთება ფარული სევდა ადამიანის სიმართლეზე, ისიც სხვაგან, სხვის გამო და ჩვენც უნებლიე მოწმენი ვხდებით დიდი ადამიანური ტკივილისა. „ძნელია მარტოობა, მამაკაცის მარტოობა, სულიერი განახლებისა და ზნეობის იდუმალი სამყარო, იგი არც გლოვაა და არც ასკეტური უარყოფა ცხოვრების სიამეთა. ყოველ ვაჟკაცს თან ახლავს და ამ მარტოობაში ეძიებს იგი საკუთარი თავის მოპოვების ნიჰს".

მე მჯერა, მკითხველის ყოველი ახალი შეხვედრა ო. პაჭკორიას წიგნთან „ხმა სინათლეა" ამაღელვებელი და დრამატული იქნება, რადგან ეს წიგნი მთლიანად გიპყრობს, გავსებს და გაჯერებს იმას, რომ მისი ავტორისათვის ერთადერთი სიხარული — ქართული ლიტერატურის უანგარო სიყვარულ[illegible]ურმე მიდიოდა და თან მიჰქონდა [illegible] სულისა, რომელიც სამუდამოდ დალექილიყო მის სულში, მაგრამ ვერ შეეცვალა, ვერ აემღვრია.

„მიმავალი მართლა შორს იყო: „ორ ზღვას შუა ძველისძველად სამარი იყო ლელო..." მაგრამ მაინც იყო, ნამდვილად იყო და მე მეჩქარებოდა უკვე მზით გაჩახჩახებულ ქვეყანაში, მზის იმედად დარჩენილ ქვეყანაში დაბრუნება. რადგან აღმოჩნდა, რომ კიდევ მახსოვდა, კიდევ შემეძლო ადამიანურ ენაზე ლაპარაკი (მაკა ჯოხაძის მოთხრობიდან „ფიჭვები უდაბნოში", — ეძღვნება ოტია პაჭკორიას ხსოვნას, — „მნათობი". 1987 წ. № 8).

ჩაიწვა კიდევ ერთი სანთელი, დამთავრდა კიდევ ერთი ადამიანის ცხოვრება... რაც მოასწრო და რაც გააკეთა მისი მხურვალე გულისა და ამაღლებული გონების ნაყოფია და ქართველი მკითხველი უზომოდ მადლიერია ო. პაჭკორიასი, კაცისა, რომელმაც პირნათლად მოიხადა თავისი ადამიანური ვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი მარგველაშვილი

# ორი ფრაგმენტი

## თავფურცელი და ბოლოფურცელი მონოგრაფიიდან „გიორგი ლეონიძე“

1.

დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის შემოქმედების სხვადასხვა პერიოდის შესახებ, გარკვეული თვალსაზრისით, მხოლოდ პირობითად შეიძლება ვილაპარაკოთ. რა თქმა უნდა, პოეტი იშვა პოეტად, ერთი ბიოგრაფიული თარიღი თუ ხანა ცვლიდა მეორეს, თხზულება თხზულებას ემატებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლეონიძე ჭეშმარიტად ლეონიძეობდა და თვითონაც თვლიდა თავს სწორედ ისეთ პოეტად, მშობლიური პოეზიის ისტორიამ და თვით ხალხის ბედმა რომ დააკისრა, იგი თითქოს ერთი მთლიანი ზოდისაგან გამოკვეთილ თუ ერთი მადნისაგან ჩამოსხმულ უმკვრივეს ქანდაკს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ლიტერატურულ დავთარში სხვადასხვა ხანის თუ ასაკის პორტრეტებით წარმოდგენილ პერსონაჟს კაზმული სიტყვიერების მატიანისა.

მიუხედავად მწერლის იდეური ევოლუციისა და მისი მხატვრული პალიტრის დინამიკისა — დროისა და ვითარების კარნახით (ორივე ეს ურთიერთშერწყმული პროცესი აშკარაა და საგანგებო საგანსაც წარმოადგენს განხილვისათვის, რასაც ჩვენ შეძლებისამებრ ვეცდებით), მის შემოქმედებაში ჭარბობს ისეთი საერთო ნიშნები, რაც მათი, ასე ვთქვათ, ფრჩხილებს გარეთ გატანის საშუალებას გვაძლევს და, უფრო მეტი, ამის აუცილებლობასაც განსაზღვრავს.

რა თქმა უნდა, გარდა ლეონიძის პოეტური ბუნებისა, რამაც შექმნა საფუძველი მისი ნიჭის და მისი შემოქმედების სწორედ ასეთი ჩამოყალიბებისა, არსებობდნენ ობიექტური სოციალურ-კულტურული მიზეზები და გარემოებანი, რომელთაც მოითხოვეს თვით ასეთი ყალიბი; არსებობდა ქართული სულიერი და მხატვრული კულტურის იმანენტური კანონზომიერებაც, რომელმაც გამოიწვია მეოცე საუკუნის სასტარტო ასპარეზზე, გარდა ისეთ უნივერსალურ ფენომენთა დაბადებისა, რომელთაც განასახიერებდნენ გალაკტიონის, ალექსანდრე აბაშელის და „ცისფერყანწელთა“ მუზები, კიდევ ერთი პოეტური სასწაულის მოვლინება. სქემა მუდამ და მაინც სქემაა და აქ უნდა გავურბოდეთ მის უკიდურესობამდე მიყვანას ანუ ბუნებით განსხვავებულ მოვლენათა შორის გადაულახავ ჯებირთა დამყარებას. კულტურის დინამიკის დიალექტიკა ბევრად უფრო რთული და მოუხელთებელიცაა. მაგრამ იმის მინიშნება მაინც საჭიროა, რომ გარდა იმ უდიდესი და სავსებით მომწიფებული ამოცანისა, რომლის გადაწყვეტა გულისხმობდა ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე ქართული კულტურის, ასე ვთქვათ, „ჰორიზონტალური“ კავშირების მორიგ გაფართოებას, მაშინდელი კულტურული მსოფლიოს სასუნთქავი ჰაერის შემოშვებას ქართულ თვალსაწიერში, არსებობდა მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და იქნებ პირველის გამაწონასწორებელი ამოცანაც „ვერტიკალური“ ბურღვისა, იმ სულიერი, კულტურული, მხატვრული, სიტყვიერი ან, მოკლედ რომ ვთქვათ, პოეტური მადნის მოპოვებისა, რომელიც მხოლოდ ქართულსავე ნიადაგში გვეგულებოდა, რარიგ მდიდარ და რთულ ფენათაგანაც არ უნდა შემდგარიყო საუკუნეთა მანძილზე თვით ეს ნიადაგი.

ხშირად, უცხო, გარეშე თვალი უფრო სხარტად დაიჭერს ხოლმე ამა თუ იმ კულტურული მოვლენის საცნაურ ნიშნებს, ვიდრე ეს ამ ნიშანთა ყოველდღიურ მზერას შეჩვეულ თვალსა ძალუძს. ასე მაგალითად, საგულისხმოა, რომ „ცისფერყანწელთა“ ლექსების, მათ შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის გიორგი ლეონიძის პოეზიის პირველმა შთაბეჭდილებამ უნაპირობამ, რიტმმა, პოეტმა თავი მონდომებამ, ასეთი საფიქრის სამიმზიდება ჰქონდა მისი მისწრაფებებში და ამ საფიქრის [illegible] ხანა — 1920-22 წლებში.

„ქართველური ლექსის გზები. წარმართობამდე ოთხის ბურუსიდან — ქვეყანაში იჩქარეს. აქ ეთნოგრაფი ის ქართული კულტურის პირველად სახე და ნახევრად — მიწამ შეინახა, შემოინახა და დაიცვა მის მხატვრული ტრადიციით და ქართული და კულტურული ფორმები, მიწამ ჭიქურებით, ჩარხით, ჩუქურით გულში ეს მათ-ლობელა სურნელით სავსე ქურჭელი... ამიტომ საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური თვითგამორკვევა საქართველოს გაბაზრების შემდეგ ქართული კულტურისა და ხელოვნების სფეროში უნდა ეგზისტირდეს თავის თავისებური ეროვნულობის ნიშნით და თავისებური სიმოკლე ამ ეროვნულობისა... ამიტომაც რუსული კულტურის აგენტები, რომელიც ხატულზე მიდის, რაც საყვარულით მიჩერებოდა საქართველოს, ანდა მეზღვაოთები ფუძრებს სანუკვარ მხარეს, რომელიც ბზაღაა ფლატის თავის კულტურულ მოწოდებას... ახლა საქართველოში გაისმის ძახილი: „მოის ადმინისტრაცია, წინ დასავლეთისაკენ, ჩვენ ევროპელები ვართ და არა აზიელები, ჩვენ არიელები ვართ!" რა გაუგონარი მოძღვნება! საქართველო აროსული არ გამოქვეყნა აღმოსავლეთზე, მაგრამ აზიურეტობა ის არა ეხება ლირიკულობით, არამედ მაღალმხატვრული და დახვეწილი ფორმებით... შემდეგ ქართული ეროვნული მხატვრული გამოხატვა და ღრმავსთ ძველი ქართული პორტრეტების... უახლოეს მხატვართა ეს ნამუშევრები ნამდვილი გამოჩენაა ქართული ხელოვნების აღმოსავლეთზე. გარდა ამისა, ქართული მხატვრული შემოქმედების ვაცწობის ხანძარის [illegible] ფორის-[illegible] ბელონები. ფრანგებმა რომ იცოდნენ მისი არსებობა — საქართველოს მოიწყვებოდნენ, რათა ეს წყვეტილა ეროვნული ხელოვნება... ახალი ქართული ხელოვნების მეორე დიდი მოვლენა, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა ენიჭება, ვაჟა-ფშაველას პოეზიაა... საქართველოში ახლა მისი კულტი მკვიდრდება, მაგრამ, ღმერთო, რაოდენ შეზღუდულია მისი უშუალო პირდაპირი გავლენა ახალგაზრდა ქართულ პოეზიაზე! ვაჟა რომ სიტყვის ნამდვილი ქართველი იყო, საქართველოს რომ გადაუარა და ბიც კი აღმოაჩინა!.. მისი პოეზიის ხატოვნება სტიქიური, თავის თითქმის შეუსაბამობებიც ეპიურ სილაღეში. მასში მძვინვარებს ღრუბლ საუნჯეთა, პოემებში სინათლე, ცეცხლები, არსებობა, [illegible], რასაც იგი ამბობს, უმალ მხატვრულ სახე-ხატად იქცევა.

მაგრამ მას მარტო სიტყვა არ ჰყოფნის, იგი [illegible] ბგერებში მას [illegible] იხვეცავს ქართული [illegible] ბარე ტემპერამენტს. ახალგაზრდა ქართული პოეზიის გამარჯვება ვაჟას [illegible] როგორც ქარიშხალი და ქარიშხალი, და არავინ იცის, რა უფრო მის მიმდევრობას [illegible] პოეზია კი ამჟამად უმთავრესად „ცისფერყანწელთა" ჯგუფითაა წარმოდგენილი. ისინი კი ფრანგულ მოდერნიზმს დიდყვანდენ... ლამპიტები, ჩხები, ზანგები, განზოგადებანი, ზღაპრი, ზმაური... და [illegible] ამაური მხატვრის ლიმბეკეურ მეფობა: თქვენ არც დასავლეთი ხართ და არც აღმოსავლეთი, არც პარიზი და არც ბაღდადი; თქვენი ხელოვნება, თქვენი მხატვრული ტრადიცია ღრმად, პარტიკულარულად შეჭრილა თქვენსავე ისტორიულ ნიადაგში. [illegible] — და აზიაა მისი მუდმივი; კულტურა ლეონიძის — [illegible] მისი მარადიული სიქველე. ამ გადაურჩებელლით თქვენს ხელოვნებას: მიწაში შენახული შეუბღალავი ძველი [illegible]".

ასეთი იყო რუსი მწერლის [illegible] ცნობილია, თუ რა მძვინვარე ბრძოლა გამოიწვია მან „ცისფერყანწელთა" წრეში. [illegible] ვი იმყო პოეტური [illegible] რომელიც ამ მოვლენებული შეხედულება და [illegible] ლების [illegible] გიორგი ლეონიძე ერთგვა სახელად. მანდელშტამმა მოახერხა უკვე მისი „ავტოპორტრეტის" თარგმნა და შეხედა ვიცის „გოეთეურ და აზიანსიანაფელ" შეხედულება. მაგრამ მან არ იცოდა, რომ ლეონიძეც ამ თვითმხატვრის სახელრებიც გადალახა უკვე. მისი წერილი 1922 წლის დასაწყისში, როდესაც 1928 წელს „რუბიკონში" გამოქვეყნებულ გრიგოლ რობაქიძის წერილში ჩვენ უკვე ვხვდებით ლეონიძის მოღვაწეობის ასეთ ახსნას:

„გიორგი ლეონიძეს არ ეპირება მიწასთან დაბრუნება. იგი თვითონ არის „მიწა". მის პოეზიაში ფეთქავს არის ვაჟა-ფშაველას ფესვი. ძველი ასეთი ჩახრუკიძე და [illegible]. „მიწა" მისთვის სრულია წამლეული და არისთვის „სახსოვარი". ეს „სისხლიანობას" იგი ლავის მის ლექსებში, რომ ზანდაზან იგი [illegible] ყველა მეფისა პოეტური ხატების.

მისი „ავტოპორტრეტი" ერთი მაგარი შედალეობთავანია მიწის ტანის ატრიბუტის. „ავლილი როგორც გაფახჭული შენი [illegible]", — ამბობს იგი ერთს თავის ვამოცემულ ლექსში. „სდევს როგორც სისხლის ტბასტავში [illegible] დარი ჰაერი". ეს მშვენივრა წაიქვამა. ამ ლექსმა ბევრი გაახელა. მე კი ვიტყვი თამამად:

ეს უძლიერესი განცდაა სისხლიანი მზის. გიორგი ლეონიძე კიდევ ბევრს იტყვის ახალს". („რუბიკონი", 1928, № 4).

და განა თითქმის მისტიკურად არ გამართლება ამ თვალსაზრისით ის ფაქტი, რომ ჩემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უმაწვილკაცმა გიორგი ლეონიძემ ერთი თავისი პირველი ლექსთაგანი ვაჟას უძღვნა და მისგან ლექსადვე ელირსა პასუხს? თითქოსდა იმ ესტაფეტის წინათგრძნობით, რომელიც მი-სი პოეზიისაგან უნდა მიეღო ლეონიძის პოე-ზიას, იმვა ვაჟას პოეტური დალოცვა. ალბათ ღირს კვლავ გავიხსენოთ გრიგოლ ზერზეულიძის მიერ თავის დროზე დამოწმებული მოგონება ლეონიძის მოწაფეობისდროინდელი ამხანაგისა — კ. ჭრელაშვილისა:

„გ. ლეონიძემ ერთ-ერთ ჩვენს ჟურნალში მოათავსა ლექსი, მიძღვნილი ვაჟა-ფშაველასადმი. ჟურნალი, გამოდიოდა რა ერთ ცალად, მისი წაკითხვა ხდებოდა ხელიდან-ხელში გადაცემით: ამიტომ ჟურნალი მე წავუღე ვაჟას წასაკითხავად. იგი ძალიან გაახარა ქართველ მოსწავლეთა ასეთმა თავგამოდებამ და განსაკუთრებით გოგლა ლეონიძის დიდმა ინიციატივამ. როდესაც ვაჟამ ოჯახის წევრთა თანდასწრებით წაიკითხა გოგლას ლექსი, მიძღვნილი მისდამი, აღფრთოვანებაში მოვიდა, რამდენიმეჯერ გადაიკითხა, დაამუშავა, შეხედა ყველას და თქვა: „ამ ბალღს ვეფხვის მომავალი აქვს! ვეფხვი იქნება, ვეფხვი!" მთხოვა ჟურნალი დამეტოვებინა მისთვის, ხოლო მეორე თუ მესამე დღეს ჩვენი ჟურნალის ახალ ნომერში მან თავისი ხელით ჩასწერა საპასუხო ლექსი ლეონიძისადმი, რომელშიც გამოსთქვამდა დიდ სურვილებს, მომავალს და ლოცავდა სამწერლო ასპარეზზე" (გ. ზერზეულიძე „გიორგი ლეონიძის პოეზია", 1959 წ. გვ. 85). ლეონიძის ლექსმა ჩვენამდის არ მოაღწია. აი თვით ვაჟას ლექსიც:

სიჭაბუკის დროს პირველად,
როს ვახელებდი თვალებსა
და ვუცქეროდი მტირალი
სამშობლოს განაწვალებსა —
ვეძებდი აქეთ იქითა
ქვეყნის დამხმარე ძალებსა,
არავინ უჩნდა დარაჯად,
ამ ჩვენ დაჩაგრულ მხარესა.
ვტიროდი უფრო ძალიან,
ცრემლებს ვაფრქვევდი მწარესა...
დღეს ვხედავ, გამრავლდებიან
მშობელ ქვეყანას შვილები,
მტერს არ მისცემენ სათელად
თავის სამშობლოს გმირები,
მირჩება წყლული გულისა,
ვყურდები ანატირები...

ასე მონათლა თვით ვაჟა-ფშაველამ ჭაბუკი გიორგი ლეონიძე ისევე, როგორც აკაკიმ დალოცა გზა გალაკტიონს, გრიშაშვილსა და აბაშელს.

2.

პოეტის არქივში აღმოჩნდა მთელი რიგი ლექსებისა, რომლებიც ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ტრაგედიას ეძღვნებიან. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ამ ტრაგედიის პერსონაჟთა-რისა და გამომწვევ სიტუაციასაც ანალოგიური, ჩვენთვის კი აშკარად მთავარია თვით გიორგი ლეონიძის პოზიცია და განწყობა ამ რთული და დაძაბული კომპლექსის მიმართ.

ერთი ამ ლექსთაგანი „უძოზე ისევ მღერის ბულბული" პირველად ჩვენ გამოვაქვეყნეთ ერთერთ ჩვენს წერილში და ამჟამად იგი უკვე საკმაოდ ცნობილია, გიორგი ლეონიძის ბოლო ერთტომეულშიცაა შესული, თუმცა განსხვავებული ვარიანტით. ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ დავუბრუნდებით. ახლა ერთ უფრო ზოგად მოსაზრებას გავაზიარებთ მკითხველს.

სიცოცხლის ზარზეიმული ტკბობისა და, ამავე დროს, ტრაგიკულ განწყობილებათა მოზღვავება-მოხეთქვის მონაცვლეობა გიორგი ლეონიძის პოეზიაში უშუალოდაა დაკავშირებული ქართული ეროვნული ხასიათის იმ ნიშანთვისებასთან, რომელსაც მეტად ღრმა და საინტერესო შეფასება მისცა გიორგი ლეონიძის უახლოესმა მეგობარმა და მისი ლექსების უბრწყინვალესმა მთარგმნელმა ბორის პასტერნაკმა, ოდეს ხაზი გაუსვა ერთ თავის წერილში „ქართული ცხოვრებისა და ქართული კულტურის ძირეულ და ძნელად მოსახელთებელ ელემენტს" და მისცა ამ ელემენტს ასეთი განსაზღვრა: „ესაა რაღაც საოცრად ცოცხალი და ცხოველი რამ, შეუდგარი თანამედროვე ქალაქური ცხოვრებისა და ბუნების თუ ბუნებრივი ტიპის, ხოლო რაც მთავარია, ორი რიგის მრავალსაუკუნოვან შრეთა შერწყმა-შეჭვარების შედეგად, რომელთაგან პირველი ავლენს გამარჯვებით თრობისა და ზეიმის, თითქმის ზეთელობის მიჯნამდე მისულ განწყობილებათა ფენას, ხოლო მეორე — შემაძრწუნებლად ტრაგიკულს, უსაზღვრო სიღრმეთა და სიმაღლეთა შემცველს, გამაოგნებელს, მდუმარე ქვრეტითა და წვდომით საცნაურს". (წერილი გ. მარგველაშვილისადმი 17.08, 1959 წ.) ეს განსაზღვრა ზედმიწევნით მორგებულია გიორგი ლეონიძის პოეზიაზე, სადაც გამარჯვებით თრობას, ხანდახან მართლაც რომ მიამიტური ალტკინების ზღვარამდე მისულს, ენაცვლება ხშირად გამაოგნებელი ტრაგიკული განცდა და ეს განცდა მხოლოდ წარსულს როდი წვდება, იგი თანამედროვე ეპოქის დრამატიზმშიც პოულობს საკვებს, რათა დროის მაგისტრალური დინების სიდიადესა და უძლეველობას ეთაყვანოს, ხოლო მისსავე ცალკეულ დახლართულ და ღვლარჭნილ ბილიკებს ვაჟკაცური ცრემლი აფრქვიოს. განა არ უნდა აღმოხდომოდა პოეტს შემაზრზენი ოხვრა იმ ტრაგიკულ დღეთა მოგონებისას, ოდეს ხალხის ჭეშმარიტ მტერთა ბოროტ ზრახვებს და უსინდისო მეცადინეობას ემსხვერპლენ, სხვა უმწიკვლო მამულიშვილთა და მოქალაქეთა შორის, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი — ლეონიძის თქმისა არ იყოს,

— „ორი ზვარაკი წიწამურული, ილიას შვილნი ნატყვიარობით“ და გიორგი ლეონიძემაც მიმართა მათს წმინდა აჩრდილთ იერემიას გოდებით:

უძოზე ისევ მღერის ბულბული,
ისევ მაისის ჩახჩახებს ღამე.
თქვენ კი, სადა ხართ გადაბუგულნი,
გადაფერფლილნი, ძმებო, ხმა გამეთ!
სისხლის წვიმაში ღმერთმა მიშველა,
ვწერ და თქვენს ნაცვლად თითქოს
მეწიროს!
თუ ღვინომ ყანწი ვერ გამისველა,
ცრემლით ავავსებ თქვენს სადღეგრძელოს!
ნეტავ, რა გქონდათ შესანდობარი,
და რად ვაწვეთებ მე პურზე ღვინოს!
ჰეი, ტიციან, სად ხარ მდუმარი?
ჰეი, პაოლო, რად ხარ ულხინოთ?

სადღაც შორიახლო ჟამს ტიციან-პაოლოზე გოდებას გიორგი ლეონიძემ კიდევ ერთი დიდოსტატის დატირებაც მიაყოლა. ასეთია „მიხეილ ჯავახიშვილის ხსოვნას“:

სად დავიტირო ნეშტი ძმებისა,
სად, რომელ ცრემლით დავიეურები...
წყება დაკაფულ ზღვის ლერწმებისა...
მათს ხსოვნას ჩოქით დავეშურები...

აქ, როგორც ვხედავთ, იმ „სისხლის წვიმაში“ ჩამხრჩვალი ყველა მეგობარი იგულისხმება, ტიციანისა და პაოლოს ჩათვლით, შემდეგ კი თვით მიხეილისადმი მიმართვაა წამოწყებული და მისი ფიგურაა გამოყოფილი:

გადავლილ წვიმის სიმღერას ვკითხავ
შენს ბედს, ვინა გყავს მეტი მოწამე?..
დაეცი, როცა გათელეს სიტყვა,
შხამით, სიკვდილით გული მოწამლეს!
სულ გუშინ იყავ და არც კი მჯერა,
მომავალიდან მებაასები.
გიყვარდა ფანქრით სიტყვების ჰერა
და მისთვის შრომა გამეტფასებით.
შენ საქართველოს ტრფობა იცოდი...
გიყვარდა განა? არა, იწვოდი!...
...მამულიშვილი,
ქართლის მხატვარი! —
სიტყვები ვარდით შესაკონია...
თუმც ხანგრძლივ გზაზე იყავ ნატარი,
წინ მომავალიც დიდი გქონია!
ვრცელი ცხოვრება წინ დაგრჩენია,
დაგბედდებია ბედი ამგვარი, —
იქნებ მიტომაც თვალსაჩენია,
კაცი აღარ ხარ, დარჩი მხატვარი!...
...ნუღარ იდგები მწუხარ აჩრდილად,
ალსდექი, წამო ნაცარბნელიდან.
გამოგიტაცებს ჩვენი არსენა
ფრთიანი რაშით გარესკნელიდან,

მარაბდას მოხვალთ, თუგინდა კახეთად,
დაგასხდებიან მხრებზე [illegible]
მოდით იქ, სადაც უ[illegible]
და სადაც გიყვართ თავგამეტებით!

მაგრამ დავუბრუნდეთ „უძოზე ისევ მომღერალ ბულბულს“. ამ ლექსის მიმართ აქ დავძენთ მხოლოდ, რომ დასტამბულ ვარიანტში, რომელიც პოეტის 1980 წლის საიუბილეო ერთტომეულში შევიდა, მისი მეორე სტროფი ძირითადი ვარიანტისაგან განსხვავებულად ჟღერს. აი ეს დასტამბული ვარიანტი:

თქვენმა წამებამ გული დასერა
და უთქვენობა ვით არ მეძნელოს.
თუ ღვინომ ყანწი ვერ გაასველა,
ცრემლით ავავსებ თქვენს სადღეგრძელოს.

ჩვენს მიერ დამოწმებულ ძირითად ვარიანტში კი იგივე სტროფი კიდევ მეტის ტრაგიკული ხიმწვავით ჟღერს, პირადი მოტივიც უფრო აქცენტირებული და განზოგადოების არეც უფრო ფართოა და ღრმა:

სისხლის წვიმაში ღმერთმა მიშველა,
ვწერ და თქვენს ნაცვლად თითქოს მეწეროს!
თუ ღვინომ ყანწი ვერ გამისველა,
ცრემლით ავავსებ თქვენს სადღეგრძელოს!

იქვეა დაუმთავრებელი მინაწერი:

ჩემი პაოლო და ტიციანი,
ჩემი ძმები და მოალერსენი...

მაგრამ, რაც მთავარია, ტრაგიკული ვარიაციები ამ თემაზე პოეტის არქივში დაცულ ლექსებში ამაზე არ წყდება, კვლავ გრძელდება და, როგორც ვნახავთ, ილია ჭავჭავაძის წიწამურულ ტრაგედიას ენასკვება. ეს ლექსები დაუმთავრებელ და ბოლომდე დაუმუშავებელ ფრაგმენტებად შემოგვრჩა, მათი ტექსტოლოგიური რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ მომავლის საქმეა, მაგრამ ჩვენი კვლევის საგნის გასაშუქებლად ზოგიერთი ამ ფრაგმენტთაგანი მაინც დიდ სამსახურს გაგვიწევს:

აი თუნდაც პირველი გაელვება ილიას ბედთან პარალელისა:

ორი ზვარაკი წიწამურული,
ილიას შვილნი ნატყვიარობით.

ამას მოსდევს ოთხიოდე მეტნაკლებად დაუსრულებელ-დაუმუშავებელი სტროფი:

ვისაც სათქმელი არაფერი აქვს,
ადვილი არის მისთვის ლექსობა,
მე სიტყვა ცრემლში დამიფერია,
ძველს წყლულში დანა ფხით გამესობა.
. . . . . . . . . . . . . .
ჰზიდეს ერთგულად სამშობლოს ტვირთი,

ბრწყინავდნენ ლექსის ოქრომკედებით,
ერთი — ლირიკის ქარიშხლის ზვირთი,
მეორე — ოქროს ზოდის მკვეთელი.

**და ამის შემდეგ:**

სისხლი შერიეს მიწის შრეებში,
ვარსკვლავებს შერთეს ცხელი სურვილი...

**და კიდევ:**

უმაძღარია მათში ოცნება,
მწველ კოცონივით ისევ ბრიალებს...

**შემდეგ კი:**

არ მჯერა იქაც არა მღერიან
წამონაქროლი ლექსის ნამქერით...

**ამას მოსდევს მეგობრებისადმი უკვე პირდაპირი მიმართვა:**

არ გაცვეთილა, რაც ქვეყნად დაგრჩათ
ცრემლის ალმასი, ოცნების ფარჩა!
უთქმელ სინათლეს ეძებდით ძმებო,
ვინ, ვინ დააშრობს თქვენს წყალდიდობას,
რა ბევრი დაგრჩათ თქვენ საოცნებო...

**და მერე:**

თქვენი ლექსები შევარდნებივით
სულ თან დამდევენ ფრთების თარეშით...

**აქ კვლავ აკლია სტროფს სტრიქონი, და აი სტროფის ბოლოც:**

ისევ ჩაგხედოთ მინდა თვალებში...

**და კვლავ აზრის ახალი შემობრუნება, თან ასეთი საყოყმანო ვარაუდიც:**

იქნებ არა ხართ გულდაშხამული,
დადინჯდა გული, ხანში შეხვედით?
იქნებ მოგწყინდათ თქვენი მამული,
აღარც პოეტის გხიბლავთ სახელი?

**ამ ვარაუდის უარყოფაც:**

ვიცი, გიყვარდათ თბილისის ღამე,
ბროწეულყვავილგადანაყარი.
სალხინო დღენი დაგიბალღამეს,
როცა იყავით ლექსის მაყარი.

**და თავისებურ დასკვნასავით ჩალაპარაკებული:**

თქვენ გეკუთვნოდათ მხოლოდ რიონი
და არა ხევი სოლანლუღისა...

. . . . . . . .

**ცალკე კი კვლავ ილიას ბედთან შეხმიანება:**

წამილებს სევდა წიწამურული...

**წიწამურის სიმბოლური ლაიტმოტივი მეორე დაუმთავრებელ ლექსში უკვე საკუთარ პოეტურ ხვედრთან და მგოსნურ მისიასთან აქვს გიორგი ლეონიძეს გადაკვანძული — აკი ითქვა მანამდე ტიციან-პაოლოსადმი მიმართვაში — „სისხლის წვიმაში ღმერთმა მიშველა, ვწერ და თქვენს ნაცვლად თითქოს მეწეროსო“. აქ საკუთარსავე პოეტურ სტარტს უკავშირებს იგი „წიწამურულ“ „დაზვარაკებას“:**

წიწამურში რომ არაგვის პირად
ალმართა ხელი ერის იუდამ,
ერთი ურემი სალამურებით
მაშინ თბილისში შემოდიოდა.
იმ ურემს მოვყე, იორს შემოვყე,
შემოვეტანე სამგორის ნი[illegible]
დავეზვარაკე ქართულ [illegible]
მას აქეთია პოეტი მქვიან.
იმ დროდან ვმღერი ლხინით თუ სევდით,
მიწა ვიყავ და ცაი შევიქენ,
უკანასკნელი ვნახე მემწვანე,
უკანასკნელ რაშს ძლივს შემოვახტი
და სულ ბოლო ტივს ძლივს მივუსწარი,
მაგრამ არ წავყე — ვარ დარჩენილი:
გავცე პასუხი თანამედროვეს.
რა ვიმღერე და რა გავაკეთე,
რა უნდა გითხრა, რა უნდა ითქვას,
მიწა ვიყავ და ცაი შევიქენ,
ქართული მიწის ზეცა შევიტკბე,
სჯობს უხმო საქმე უსაქმო სიტყვას...
შენ დაიმღერე ცისფერთვალებავ,
მაგ შენ ფანდურზე ჩემი ქართული,
სამშობლოს მიწის გუგუნს ჩართული.

**გიორგი ლეონიძემ გასცა, რაღა თქმა უნდა, პასუხი თავის თანამედროვეს, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ „წიწამურული სევდის“ მომძლავრებისას მას ასეთი გმინვაც აღმოხდომია ხოლმე გულის სიღრმიდან:**

რა ლექსი გინდა, ჩემო დროებავ,
გამაგებინე, რა ლექსი გინდა,
რომ არ მომეცი მე მყუდროება,
არც წყალი მასვი მე გემოწმინდა.
რად დამიგრიხე ხორხზე საბელი
და ფრთაში წყლული რად გამიჩინე,
რად აკვლევინე კაენს აბელი,
რომ ერთი ძმაც კი არ შემირჩინე...

**ეს მცირე ლექსი სავსებით სრულქმნილია და „უძოს ბულბულთან“ ერთად შესულია პოეტის უკანასკნელ ერთტომეულში. „წიწამურული სევდა“ კი კვლავ იჩენს თავს გამოუქვეყნებელ ხელნაწერებში და „ილიას ძვალიც ტყვიაგასული“ კვლავ „დღევანდელი დღის წყლულად“ ეხატება პოეტს:**

წვიმაა... ნისლი... ვერასა ვხედავ,
თითქოს მე ვიყო გადაკარგულზე.
მამულის სევდა — წარსულის სევდა,
ქანდაკად მდგარი ილიას გულზე,
ილიას ძვალი ტყვიაგასული
მთაწმინდის ფსკერში მწარედ კვნესოდა,
და თუმცა იგი იყო წარსული —
დღევანდელი დღის წყლულად მესმოდა:
მემუდარება ბნელში დანთქმული,
ნაიდუმალევ წყლულის ტკივილით,
ძირს კი დგრიალებს ცეცხლით სადგური
მატარებლების გაბმულ კივილით.
მაგრამ არ სძინავთ სამარის წყლულებს,
გაფანტულ ძვლების სევდას არ სძინავს,
უმწყურვალესად ის შურს იწყურებს,

გმინავს ქვესკნეთში, ფრინავს არწივად —
იხლაკნება და კედლებს ეხლება,
ცეცხლადდაშლილი ვერ იკლავს წყურვილს,
თითქოს მზადდება ასაფეთქებლად
ვით ქალაქგარეთ ნაგდები ჭურვი...

ეს მეტად სახასიათო განცდაა გიორგი ლეონიძისათვის: თანადროულ ტკივილებს იგი „წარსულის სევდის" გაგრძელებად თუ სახესხვაობად განიცდის, როგორც ადრე (იგივ „ქართლის ცხოვრების" რკალში) წარსულის კაეშანს დღევანდელ ტკივილად იტკივებდა. აი, ახლაც, კიდევ ერთ დაუმთავრებელ და დაუსტამბავ ლექსში იგი ასეთ ღაღადისს გვანდობს ან უფრო სწორად აპირებდა განდობას, რომ მოესწრო:

როცა ჯვარიდან მცხეთას დავყურებ —
მთელ საქართველოს გულში ჩავიკრავ.
ვამოწმებ სინდისს, მაღლა ავდივარ,
ავბრიალდები მე ყივჩალურებ.
თითქოს ახალი ცა წინ გადირღვა —
მთელ საქართველოს დიდებას ვხედავ.
მე ახლა მესმის — ერთხელ ღირს
მოვკვდე,
რათა გავიგო ვცხოვრობდი ვისთვის.
თუ მე არწივის ჩრდილი თან მომდევს,
იგი ალმასის ფრთებს შიგნით მიზრდის.
როცა ჯვარიდან მცხეთას დავყურებ —
წარსულის ხილვა შემაზრიალებს.
აყუდებულ ხმლებს, სისხლის გალავნებს
გმირთ ნამუხლარებს ვხედავ და ვმღერი,
ვარსკვლავთა ცრემლი გულზე გადამდის
და მამა პაპის მარილის მტვერი.
გამოფშვნეტილი ქვიშაში ძვლები
გადიქცევიან უცბად კალმებად
და სწერენ ქართლზე ათასწელობით.
რაცა ჯვარიდან მცხეთას დავყურებ —
მსურს მოვეხვიო მთლად საქართველოს,
ორივე მკლავით გულში მივიკრა,
მინდა გავეკრა, მიწას ვემთხვიო,
მზეს ვემადლები, . რომ ვარ ქართველი!

ამ სტრიქონებს შეხმიანებული კიდევ რამდენიმე ბწკარი ჟღერს დამოწმებულ ხელნაწერთა წიაღიდან, მაგალითად:

ჩამავალ მზეში ქართლის უბე
ამობრწყინდება
და გაგლეჯილი არწივივით დგას ნარიყალა,
თვისი წყლულებით ნიშანდებული...

ან:

ეს ციხეები დამსკდარ კედლებით
აქ ისტორიას გაუბნევია,
სისხლის წვიმებზე ჩუმი ვედრებით
მე უნებლიეთ მეუბნევიან.

ეს ბოლო სტროფი, როგორც ვხედავთ, ეხმიანება „უძოს ბულბულის" ჩვენთვის ნაცნობ მოტივს — „სისხლის წვიმაში ღმერთმა მიშველაო".

წარსულსა და აწმყოს [illegible] პოეტის შეგნება-შეგრძნებაში [illegible] შეიძლება ითქვას, სანუკვარ-ინტიმური კავშირის გაბმა — ნიშნეულია საერთოდ გიორგი ლეონიძის პოეზიისათვის, ხოლო აქ მითითებული ლექსების რკალის აწ გამოქვეყნებულ ნაწილში იგი ასედაც ჟღერს:

დარიალის კლდემ არ იცის ხავსი,
და საქართველოს ვაზმა სიბერწე!
ქართველი ხალხის სინათლის თასი
შოთას გულიდან გამოვიძერწე!
ქართველი ხალხის სიმაღლის ფასი
მე იალბუზის ვიგრძენ კიბეზე!

აქ შეიძლება ჩაემატოს პუბლიკაციაში გამოტოვებული ერთი სტროფიც:

როცა დავხედე მღელვარ ცხოვრებას,
მატიანეთა გაშლილ ეტრატებს,
იერიშებზე სისხლის ცხროებას —
ქართლის დიდება ვიგრძენ მეტადრე.

ამას კი მოსდევს კვლავ დასტამბული ტექსტი:

როგორც ორაგულს კასპიის ზღვაში
არაგვის ჩქერი მოეწყურება,
ნაპირს ასკდება დაჭრილი ქვაში,
დე, შეულებონ მკერდი წყლულებმა, —
ისე ვისწრაფვი შენდა მარადღე,
მამულო, დაჭრილ სულისკვეთებით,
მომეცი ბინა, გინდ შენს შარაზე,
გინდ შენს წინწკალშიც კი დავეტევი!

დროა ხაზი გაესვას იმ გადამწყვეტ გარემოებას, რომ ჩვენ უკვე პირისპირ მივუახლოვდით ფენომენს, რომელსაც გიორგი ლეონიძის შემოქმედების უკანასკნელი ათწლეული წარმოადგენს. ჩვენს მიერ დამოწმებული საარქივო ლექსების და პოეტური ფრაგმენტების ზუსტი დათარიღება, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ უეჭველია, რომ ისინი 1958-56 წელთა ზღურბლს იქით ქაღალდზე ფიქსირებულნი და პოეტის, ასე ვთქვათ ხაწერ მაგიდაში დაცულნი ვერ იქნებოდნენ. ეს ჭეშმარიტება მტკიცებას არ საჭიროებს. სხვაა, რომ ამ ლექსებში გამოხატული განცდა-განწყობილებანი იშვნენ ბევრად ადრე და მეოთხედი საუკუნის მანძილზე თანასდევდნენ პოეტს, რათა ორმოცდაათიან-სამოციანი წლების მიჯნაზე პოეტის რვეულში მოენახათ თავშესაფარი. მაგრამ ეს არქივში დაცული ლექსები გარშემორტყმულია იმავე ათწლეულის მანძილზე დასტამბული ან პოეტის გარდაცვალების შემდეგ თანდათანობით გამოქვეყნებული ზღვა პოეტური მასალით,

სადაც ჭეშმარიტი მარგალიტებისა და პოეტური შედევრების სიჭარბე ლეონიძისავე ოცდაათიანი წლების მიჯნის ათწლეულის მართლაც რომ ვულკანურ ამოხეთქვას თუ შეედრება. საკმარისია ითქვას, რომ, თუნდაც რაოდენობრივად, გიორგი ლეონიძის იმავე უკანასკნელ საიუბილეო ერთტომეულში ამ ბოლოჟამინდელი ლექსების წიგნის ლირიკული ნაწილის (ე. ი. პოემების გამორიცხვით) თითქმის ნახევარი უპყრია. ამას შეიძლება დაემატოს, რომ 1970 წელს „მერანში" გამოცემულ გიორგი ლეონიძის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ ლექსთა მხოლოდ ნაწილის მომცველ კრებულში ჩვენ ვხედავთ ორმოცდაათამდე ლექსს, რომელთა დიდი ნაწილი ნამდვილი ლირიკული შედევრია. ამის სამაგალითოდ სათაურთა დასახელებაც კი ჭირს, რადგან აქ ამ წიგნის მთელი სარჩევის გადმოწერა დაგვჭირდებოდა.

მთავარი კი მაინც ისაა, თუ რამ შვა ასეთი პოეტური, ან უფრო ზუსტად, შემოქმედებით-ბიოგრაფიული ფენომენი. რა თქმა უნდა, ისევ და ისევ იმ საზოგადოებრივმა ძვრებმა და განახლებამ, რამაც განაპირობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მთელი შემდგომი განვითარება, რა ობიექტური თუ სუბიექტური სიძნელეებიც არ უნდა წარმოჩენილიყვნენ ამ გზაზე. ამ ნიადაგზე მოხდა სწორედ გიორგი ლეონიძის სულიერი, ზნეობრივი და პოეტური აღზევება, თითქოს „მეორედ დაბადება", ყოველგვარი წინადლინდელი თუ გუშინწინდელი არტახებისაგან განთავისუფლება. სწორედ იმ 1956 წელს აგუგუნდა ჩვენს მიერ ადრე გახსენებული ნიაღვრიანი სტრიქონებიც:

ალარ მსურს ნაკადულის
მყუდროული ცხოვრება,
ვაშლის ფერფლი მათოვდეს,
მეცემოდეს გვირილა;
ალარც ერთი ძველი ხმა
ალარ მემახსოვრება,
როცა გული გაგლიჯა
ნიაღვარის ყვირილმა.
მე მიყვარს ლაჟვარდების
დარაია შრიალა,
ზედ ლრუბელი — ნაფოტი
ჯეირანის ჯოგებად;
მირჩევნია ვიარო
თავშიშველა მშიერმა,
ვიდრე მე ცხოვრებასთან
მომიხდეს დაჩოქება!

საკმარისია შევადაროთ ეს პოეტური და სამოქალაქო მანიფესტი თუნდაც სულ რამდენიმე წლით ადრე შეთხზული უნგრეთის ციკლის ან მის შორიახლო მიმწკრივებული ლექსების დიდ უმრავლესობას, რომ ვიგრძნოთ პოეტის ახალი სულიერი აღზევების და აღმაფრენის ფასი და წონა. მართლაც რომ „ელვათა ცეცხლში იჭედებოდა" გიორგი ლეონიძის ახალი წიგნი და განა ამავე სიტყვებით დასათაურებულ ლექსში არ გადაგვიშალა თვით პოეტმა ამ ახალი გზაჯვარედინის ლაღი პანორამა? გავიხსენოთ — თითქოს ყველაფერი რიგზე იყო და გზაც სავსებით ნათელი:

მე გამოვაბი ჩემს ვენახს ცხენი,
ბევრი დავთელე გზები ტრიალი,
მე თავს მიხრიდნენ ქართლის ციხენი,
მატიანეში ნახეტიალი.
მესალმებოდნენ მწვანე წნორები,
სამამულე რქას ცრემლი სდიოდა,
მე ხელს მიქნევდნენ ჩემი სწორები,
სუფრა გაშლილი ჰქონდათ იორთან.
მამათა სახლის ნაცარის სითბო,
რაც ვინაჩუქრე, სულში ღვიოდა;
თითქოს იმ ყრმობის სუმბულის სიტკბოს
ნაზი სურნელი მე მომდიოდა...

ასე იყო, დიდხანს იყო ასე, მაშ რაღამ ააფორიაქა მგოსნის სული, რამ შეაკაზმვინა ეს ბედაური —

და რას ეძებდა სული მღვიძარი,
რატომ მტკიოდა გულის ფიცარი?

მართლაც, რატომ ტკიოდა გულის ფიცარი თითქოს ბედნიერ ვარსკვლავზე შობილ პოეტს, მან ხომ მოიხადა თითქოს სავსებით თვისი ვალი ქვეყნის წინაშე, სამაგალითო ასკეტიზმიც გამოიჩინა:

ჩამოვაშორე აკი მიჯნური,
მისი სიტკბო და მისი სიავეც,
ჩემი გულიდან გამონიჩბული
ცრემლების ხვავიც გავანიავე, —
დიდ ნანგრევების ჩამონაფშვენი
ნაცარი აკი თავს დავიყარე;
და სამშობლოში, რაიც კი ჰშვენის
მშვენიერებით ხომ შევიყვარე!

დიახაც, მაგრამ დახეთ თითქოსდა მოულოდნელ უცნაურობას:

თითქოს ვაზებმაც ფეხი აიდგეს,
დამდევნებოდნენ უკან მტევნებიც...
სად მივდიოდი, ვისკენ, საითკენ,
რა მქონდა გულში დაუტევნელი?...
...ელვით მოსილი მთის მწვერვალები,
მაშ, რას მეძახდნენ, რას მიმღეროდნენ?
და მეგობართა ხმა მღელვარებით
რად ადიოდა არწივთ ჩერომდე?
იქნებ ძველ სევდას ვეთხოვებოდი,
იქნებ სამშობლოს ჩემი გულნებით?
არ ვიცი, არა, რით ვიწვებოდი,
და რა წყურვილის ვიყავ მწყურნები?

აქ წუთით შევწყვიტოთ ლეონიძის ამ სტრიქონთა დინება და გავიხსენოთ, რომ ამავე წლებში (ეს ლექსი კი 1957 წელსაა შექმნილი) გიორგი ლეონიძემ თავის სიცოცხლისჟამინდელ უკანასკნელ კრებულში („მუხის ფოთოლი") შეიტანა „1925 წლის ერთი დილის სახსოვა-

რი“, რომელიც 1929 წელს პაოლოსა და ტიციანს უძღვნა და სადაც „ადიოდა“ სწორედ „არწივთ ჩერომდე“ „მეგობართა ხმა მღელვარებით“, თვით ეს მოგონება კი ასე სხივოსნობდა:

...გრიალებდნენ ჩანჩქერები,
აზელილი მარჯნის სხივით.
ხმა მყივარი ჯიბრაილი
აყრუებდა ჩანჩქრის შხივილს...
...ჩვენ კი ლექსით ცასა ვხევდით,
ვერ გვიძლებდა ვერაფერი,
დაგვდებოდა იმ ოქროში
გადამდნარი დილის ფერი...

ეს მოგონება ახლა ამ 1957 წლის ლექსში აღსდგა, ხოლო „არწივთ ჩერომდე“ ასულმა „მეგობართა ხმამ“ აქ ახალივე, ჯერ დაუმთავრებელი, ჩვენთვის უკვე ნაცნობი ლექსის სტრიქონებიც დაიმეზობლა ფარული შეხმიანებით, ოდეს „სამშობლოსთან“ და „ძველ სევდასთან“, ესე იგი თვით მგოსნის მოწოდებასთან, სავარაუდო, თუნდაც წამით დაშვებული „გამოთხოვება“ ახსენა. გავიმეოროთ კვლავ ის, არქივში დროებით მიძინებული, სტრიქონებიც, ცოტა ზემოთ რომ ამოვიკითხეთ:

იქნებ არა ხართ გულდამხამული,
დადინჯდა გული, ხანში შეხვედით?
იქნებ მოგწყინდათ თქვენი მამული,
აღარც პოეტის გხიბლავთ სახელი?

მაგრამ, როგორ გეკადრებათო, გვეუბნება ორივე შემთხვევაში გიორგი ლეონიძე — იქ, არქივის წიაღში, „ლექსის მაყართა“ — „პაოლოსა და ტიციანის — სახელით, „სალხინო დღენი“ რომ „დაუბალღამეს“, და აქაც, აწ დასტამბულ ლაღადიში — „ელვათა ცეცხლში იჭედებოდა“. სწორედ ამ სათაურშივე აგიზგიზებული მეტაფორის დამტევ სტროფით იძლევა პოეტი პასუხს თავისსავე აღტყინებულ და ალგზნებულ საკითხავზე—„სად მივდიოდი, ვისკენ, საითკენ, რა მქონდა გულში დაუტევედი“ ანუ „რით ვიწვებოდი და რა წყურვილის ვიყავ მწყურნებიო“. აი ეს დასკვნითი, ახალ ჰორიზონტთა მანიშნებელი, შუქმფინარი და გზამჩინარი სტროფიც:

მხოლოდ ვხედავდი,
სივრცეში, იქით,
ელვათა ცეცხლში იჭედებოდა
ის გზა სავალი,
იგი ბილიკი...
და ქარიშხალი ყალყზე დგებოდა...

მგოსნის წინასწარჭვრეტა და წინასწარმეტყველება ზედმიწევნით ახდა. როგორც ვთქვით, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ბოლო ათწლეულმა თვით ამ „ყალყზე ამდგარ ქარიშხალს“ გადააჭარბა. „მუხის ფოთოლი“, „ნატვრის ხე“, „ახლოს მოიწი სამშობლოს გულო“, ერთტომეულში შესული გამო[illegible] ლექსები, ორი პოემა ფირო[illegible] მლვიმელზე, სხვა პოემებიც, არქივში დაცული დღის სინათლის მომლოდინე ლექსები და ცალკე სტროფები, მემუარულ, მეცნიერულ და ესსეისტურ ნარკვევებს და წერილებს რომ თავი დავანებოთ, — მხოლოდ ეს ერთი დიდი მწერლის საასპარეზოდ იკმარებოდა და მის შემოქმედებითს ბიოგრაფიას შეავსებდა. ამიტომაც იყო, რომ ზარე ოთხნახევარი ათეული წლის მანძილზე არა მარტო საკავშირო, თვით მსოფლიო ასპარეზზე ფალავნად გაჭრილმა დიდმა ქართველმა პოეტმა ერთერთ ბოლო ლექსთაგანში მშობლიურ კულტურას ისევ და ისევ მსოფლიო ასპარეზი დაულოცა და თვით ამ პროგრამულ, საანდერძო ლექსს სწორედ „მოწოდება“ უწოდა:

უნდა გადავჭრათ კავკასის მთები,
შეჯიბრებისთვის გავიჭრათ გარეთ,
იქ ვიპაექროთ ქართული ფრთებით,
გამარჯვებულნი იქ დააჩქარეთ!
. . . . . . .
ლექსი, ჩუქურთმა, ფრესკო, ზარნიში,
აზრი, სიმღერა, გულის ოცნება
უნდა ავილოთ დღეს იერიშით,
მივცეთ ახალი ასხივოსნება!
...სიტყვის მჩარხველნო, გულის
მსიტყველნო,
ბაგეთა ოქროს მადინებელნო,
ცის საიდუმლოს ამომკითხველნო,
სირინოზებო,
ფუნჯის მეფენო!
გეყოთ!
აეშვით, ვით ამირანი,
აიმჩქეფარეთ, დაიდანდგარეთ...
დაკურთხებული ძველი მირონით,
შოთას შვილებო,
გავიდეთ გარეთ!

ასე მოუწოდებდა გიორგი ლეონიძე ქართველ ხელოვანთ, ხოლო ამავე ლექსის სხვა ვარიანტში ბოლო სტროფებად ამ მომავალ „ასხივოსნებაში“ საკუთარი წვლილიც იგულისხმა:

და სიყვარულით დამდნარმა შხივად;
სამშობლოვ, შენთვის რაღა ვინატრო?
მინდა, რომ სიმი გადმექცეს სხივად,
სადღაც ორწოხი ამოგინათო!
მინდა ვიყიდო ქვეყნის წამლები,
რათა შევესწრო იმ დღის დანახვას,
რომ მომძახოდნენ შთამომავლები:
— იცოცხლე, გოგლა,
შენ ჩვენთანა ხარ!

ცოცხლობს გოგლა! ჩვენთან არის კურთხეული გოგლა!

1981 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერი ინაძე

# ეშერის ბერძნული წარწერის გაგებისათვის

ამ ბოლო ხანებში კოლხეთის არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ქართულ საისტორიო მეცნიერებას უძვირფასესი ეპიგრაფიკული ძეგლები შემატა, სახელდობრ, ელინისტური ხანის ორი ბერძნული წარწერა, რომლებიც ვანისა და ეშერის ძველ ნაქალაქარებზე იქნა გამოვლენილი. ახლადაღმოჩენილმა წარწერებმა თავიდანვე მიიპყრო მკვლევარ-სპეციალისტთა ყურადღება, რადგან აღნიშნულ ძეგლებში დაცული ცნობები მრავალმხრივ ცვლის მეცნიერებაში ადრე დამკვიდრებულ შეხედულებებს და მათ, როგორც საიმედო წყარომ, დიდი სამსახური შეიძლება გაგვიწიოს კოლხეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიისა და კულტურის არაერთი, ჯერ კიდევ გაურკვეველი საკითხის შესწავლის საქმეში.

ახლადაღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლებიდან ეშერის წარწერას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პოლიტიკური მოვლენებით მდიდარ ელინისტურ ხანაში შავიზღვისპირეთის ქვეყნებს (კოლხეთი, პონტო) შორის არსებული ურთიერთობისა და აქ მდებარე საქალაქო ცენტრებში შექმნილი ვითარების კვლევა-ძიებისათვის.

როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, დიდია ეშერის წარწერის მნიშვნელობა ქართულ ნარატიულ წყაროებში დაცული ზოგიერთი უძველესი საისტორიო ტრადიციის უტყუარობის დადგენის თვალსაზრისითაც.

წინამდებარე წერილში ჩვენი საგანგებო შესწავლის საგანი სწორედ ეშერის ბერძნული წარწერა და მის გაგებასთან დაკავშირებული საკითხებია.

ეშერის ძველი ნაქალაქარი სოხუმის დასავლეთით, მისგან 10-ოდე კმ-ის დაშორებით მდებარეობს. წარწერა აღმოჩნდა 1975 წელს, ხანძრისაგან განადგურებული მონუმენტური შენობის ნანგრევების არქეოლოგიური გათხრების დროს. წარწერა შესრულებული ყოფილა ბრინჯაოს ფირფიტაზე. ძლიერი ცეცხლის ზემოქმედების გამო იგი ჩვენამდე ფრაგმენტების სახით არის მოღწეული. წარწერის ფრაგმენტების აღმოჩენა ერთდროულად არ მომხდარა; თავდაპირველად არქეოლოგთა მიერ შეიკრიბა 19 ფრაგმენტი. საბოლოოდ კი ფრაგმენტების რიცხვი 22-მდე აღწევს (ყველაზე დიდი ფრაგმენტის ზომაა 5,7 სმ × 6,8 სმ. დანარჩენები უფრო მცირე ზომისაა, ასოთა სიმაღლე 0,5-დან 0,8 სმ-მდეა). წარწერის ფრაგმენტებთან ერთად, ნაქალაქარზე აღმოჩენილია არქიტექტურული დეკორის რამდენიმე დეტალი, რომელთა მიხედვით ვარაუდობენ, რომ ადრე წარწერა მხატვრულად იყო გაფორმებული (Г. К. Шамба. Эшерское городище, Тбилиси, 1980 წ., გვ. 54). წარწერის 19 ფრაგმენტს თავდაპირველად გაეცნო მკვლევარი ი. გ. ვინოგრადოვი (სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელი, მოსკოვი). ძეგლის წინასწარულმა შესწავლამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ჩვენს წინაშეა დეკრეტის ტიპის მნიშვნელოვანი დოკუმენტი ან ისტორიული ქრონიკა, რომელშიც ლაპარაკი იყო რაღაც საბრძოლო მოქმედებაზე.

უკანასკნელ წლებში ეშერის ბერძნული წარწერის ფრაგმენტები საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ეპიგრაფიკის ცნობილმა სპეციალისტმა თინათინ ყაუხჩიშვილმა, რომლის კვლევა-ძიების შედეგები გამოქვეყნდა 1985 წელს (იხ. მისი Греческая надпись Эшерского городища, Источниковедческие разыскания, 1982, Тбилиси, 1985).

თ. ყაუხჩიშვილმა დაადგინა, რომ წარწერაში სრულიად უდავოდ იკითხება შემდეგი სიტყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი: ძალა (აქ სამხედრო), შეძლება (შესაძლებელის მნიშვნელობით), ხამეფო (სახელმწიფო, სამეფო ხელისუფლება), ალება (დაუფლება), სალაშქრო წყობა (ან რაზმის უფროსი), გამოსვლა (წარმართვა), კარდაპირი, (სწორი, ნამდვილი), მამაცი (დაუდგრომელი).

წარწერის შესწავლის შედეგად თ. ყაუხჩიშვილმა შეძლო აღედგინა შემდეგი სიტყვები: მრავალრიცხოვანი, დიდი ფლოტი, ნავსადგური, უბედურება, გასახლება (განადგურება, ან დასახლება), ქალაქი. მის მიერვე სავარაუდოდ აღდგენილია სიტყვები — კარიბჭე (შესასვლელი), კოშკი (სიმაგრე), ცეცხლი, ჰერაკლეა (ან ჰერაკლეელები).

თ. ყაუხჩიშვილი შეეცადა, აგრეთვე, აღედგინა წარწერის ტექსტი (თარგმანი რუსულად არის შესრულებული).

აღდგენილი სიტყვების საფუძველზე თ. ყაუხჩიშვილი გვთავაზობს წარწერის ასეთ გაგებას: გარკვეული სამხედრო აქციის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობენ ძლიერი ფლოტი, სამეფო ფუნქციონერი (?), მამაცი მეომრები, რაზმები ან რაზმის უფროსები, აღებულია გარკვეული საზღვაო პუნქტი (ეშერის ნაქალაქარი), ანდა, პირიქით, ეშერის მოქალაქეთა მიერ აღებულ იქნა რომელიღაც პუნქტი. შემდეგ აღდგენილი იყო ქალაქი, ან მისი ნაწილი — კოშკი, ციხესიმაგრე, კარიბჭე.

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, სავსებით ნათელი არ არის ჰერაკლეის (ან ჰერაკლეელთა) როლი — იბრძოდნენ ისინი ეშერელთა წინააღმდეგ თუ მონაწილეობდნენ საზღვაო ბრძოლაში ეშერელებთან ერთად. მკვლევარი დასაშვებად მიიჩნევს კიდევ ერთ ვარიანტს: ეშერელთა დახმარებისათვის ჰერაკლეელებს ეძლევათ გარკვეული უფლებები. ამრიგად, დაასკვნის იგი, წარწერა ისტორიული ხასიათისაა, სამშენებლო წარწერების და დეკრეტ-პროქსენიების ელემენტებით. ასოთა მოხაზულობისა და საერთო სტილის მიხედვით თ. ყაუხჩიშვილი წარწერას ძვ. წ. III ს-ით ათარიღებს (Греческая надпись..., გვ. 28).

ასეთ მდგომარეობაშია დღეს ეშერის ბერძნული წარწერის კვლევა.

წარწერის ფრაგმენტულობისა და ძლიერი დაზიანების გამო, რა თქმა უნდა, ძნელია კატეგორიული მსჯელობა ამ ძეგლის შინაარსის შესახებ, მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისგან გადარჩენილი და აღდგენილი ცალკეული სიტყვა და წინადადების ნაწყვეტი შეიძლება დასაყრდენი გახდეს ტექსტის შემდგომი შესწავლა-ინტერპრეტაციისათვის.

ჩვენ შევეცდებით გამოვთქვათ ზოგიერთი სავარაუდო მოსაზრება იმ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შესახებ, რომლებიც ასახული უნდა იყოს წარწერაში. თუმცა გვინდა ისიც აღვნიშნოთ, რომ წარწერის ჩვენს მიერ წარმოდგენილი გაგება წინასწარულია და მომავალში მან შეიძლება გარკვეული [illegible] განიცადოს.

ჩვენი აზრით, ტექსტის [illegible] ციისთვის, მასში [illegible] ალური შინაარსის დადგენისთვის უნდა მოვიშველიოთ არქეოლოგიური მასალა, რომელიც გამოვლენილია ძველი დიოსკურიისა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიაზე. გარდა ამისა, აუცილებელია გავითვალისწინოთ ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი ანალოგიური შინაარსის ბერძნული წარწერები, ოფიციალური დოკუმენტები. მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, ის პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე იქმნება ადრეელინისტურ ხანაში.

ვიდრე უშუალოდ ეშერის წარწერის განხილვაზე გადავიდოდე, მინდა შევნიშნო შემდეგი: წარწერის № 1 ფრაგმენტზე სავსებით დამაჯერებლად იკითხება სიტყვა „პოლის" — „ქალაქი". ძნელია დავეჭვდე იმაში, რომ ამ სიტყვაში („ქალაქი") რეალურად იგულისხმება ელინისტური ხანის ის გამაგრებული საქალაქო დასახლება, რომელიც არქეოლოგიური გათხრებით არის გამოვლენილი დღევანდელ ეშერაში. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ნაქალაქარზე, ძვ. წ. III ს-ის სხვა მასალასთან ერთად, ელინისტური ხანის საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტის აღმოჩენა, როგორიცაა წყალსადენის სისტემა. ეს აღმოჩენა თავისთავად იმის საბუთია, რომ ამ ხანაში ეშერის საქალაქო დასახლება თავისი მნიშვნელობით უტოლდებოდა ელინისტური სამყაროს საკმაოდ კეთილმოწყობილ ქალაქებს (Г. К. Шамба, დასახ. ნაშრ.).

ნაქალაქარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით ისიც ირკვევა, რომ გამაგრებული ქალაქი, რომელიც ეშერის ადგილას არსებობდა ძვ. წ. III ს-ში, დიოსკურიის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაში (მის „ქვეყანაში") შედიოდა და წარმოადგენდა ამ ქალაქისადმი დაქვემდებარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს (მ. ინაძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბ. 1982, გვ. 175). არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები ნათელს ხდიან იმ გარემოებასაც, რომ ამ ქალაქში თავიდანვე მწვავედ იგრძნობოდა მტრის თავდასხმის საშიშროება და ელინისტური ხანის მთელ მანძილზე ქალაქი განუწყვეტლივ საჭიროებდა დაცვას. ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ საფორტიფიკაციო ნაგებობათა (თხრილების, კოშკებისა და სხვ.) მთელი სისტემის მშენებლობა III-II სს-ის ეშერაში, აქვე ადგილობრივი და სკვითურ-სარმატული ტიპის საომარი იარაღის აღმოჩენა, არამედ თვით ქალაქის განლაგება ბუნებრივად დაცულ ბორცვზე (Г. К. Шамба, დასახ. ნაშრ.).

ზემომოტანილი არქეოლოგიური მონაპოვარის

მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ მთავარი საბრძოლო მოქმედება თვით ქალაქ ეშერაში ხდებოდა, იქ, სადაც ეს წარწერა აღმოჩნდა.

ეპიგრაფიკის წარწერის ინტერპრეტაციაზე, როგორც ვიცით, წარწერის ტექსტის აღდგენილ ნაწილში (ფრაგმენტები № 1, 3, 7, 10) ლაპარაკია ცენტრალურ პოლიტიკურ აქციაზე, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა „უბედურება", „დაღუპვა", „გაჩანაგება", ხოლო შემდეგ, რაღაც სამხედრო ძალების და ღმერთის შეწევნით, აღუდგენიათ მშვიდობა. ამასთან დაკავშირებით გასაკვირია და უდავოდ წარწერაც. ამდენად, წარწერის შინაარსის დადგენისას უპირველესად საჭიროა გაირკვეს, რომელ მტრულად განწყობილ ძალას შეეძლო გამოეწვია ქალაქ ეშერის ნგრევა და ათხრება ძვ. წ. III ს-ში, რომელი თავდამსხმელი ძალები მოქმედებდნენ იმ დროს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს იმ რეგიონში, სადაც ეს ქალაქი მდებარეობდა.

ბერძენი ავტორების (არისტოტელეს, დიოდორე სიცილიელის) გადმოცემების შუქზე სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია შენიშნულია, რომ ძვ. წ. IV ს-ის დასასრული და III საუკუნე ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე შფოთიანი ხანაა. ძვ. წ. IV ს-ის დასასრულიდან ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე შესამჩნევად ძლიერდება ტავრების შემოტევები, ხშირდება, აგრეთვე, მეკობრე ტომთა — გენიოხებისა და აქეველების მძარცველური თავდასხმები კავკასიის ზღვისპირეთის ქალაქებსა და აქ გამავალ სავაჭრო ხომალდებზე. მართალია, მეკობრეთა თარეშმა ბოსფორის მეფის ევმელოსის ხანმოკლე მეფობის დროს (ძვ. წ. 310-304 წწ.), მის მიერ მიღებული ზომების შედეგად, შედარებით მცირდება, ევქსინის პონტოზე ნაოსნობა თითქოს უფრო უხიფათო ხდება, მაგრამ ევმელოსის სიკვდილის შემდეგ მათი უჩვეულო თავდასხმები კვლავ ახლდება.

მეკობრეთა გააქტიურებას ელინისტურ ხანაში ხელს უწყობს ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობაში მომხდარი დიდი ეთნიკური ძვრები: ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან სამხრეთ რუსეთის სტეპებში სარმატული ტომების მოძლიერება, რასაც თან ხლდა სკვითების განდევნა ძველი საცხოვრისიდან და მათი დიდი ნაწილის თავმოყრა ყირიმში. აქ ისინი საშიშროებას უქმნიან ქალაქებს, მათ შორის ქერსონესს, რომელიც თავდაცვის მიზნით (ძვ. წ. 179 წ.) სამხედრო კავშირს ჰკრავს თავის მეტროპოლია-პონტოს ჰერაკლეასთან და მისი მეშვეობით დახმარებას ეძებს პონტოს მეფე ფარნაკესთან.

ძვ. წ. III ს-ში, როგორც ჩანს, შფოთიანი ვითარება იქმნება ჩრდილოეთ კოლხეთშიც, სადაც, გარდა შავი ზღვის სანაპიროზე (დღ. ბიჭვინტის ჩრდილოეთით) მოსახლე მეკობრე ტომების — გენიოხთა და აქეველთა თარეშისა, შეინიშნება სარმატთა ერთი ნაკადის შემოჭრა-ჩამოსახლება. ეს ტომები დიოსკურიის (სოხუმის) ზემოთ (ჩრდილოეთით) იდებენ ბინას. ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი ძვ. წ. I ს-ში ამ ადგილებში იხსენიებს მრავალ წვრილ ტომს, რომელთა დიდ ნაწილს, მისი სიტყვით, სარმატები შეადგენდნენ, ხოლო ყველანი ერთად კავკასიელებად იწოდებოდნენ. დიოსკურიის მახლობლად, კავკასიის მთებში ათავსებს ერთ-ერთ სარმატულ ტომს — ეპაგერიტებს ახ. წ. I ს-ის რომაელი ავტორი პლინიუსიც.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, ძალიან საგულისხმოდ გვეჩვენება ეშერის ნაქალაქარზე სკვითურ-სარმატული ტიპის ძვ. წ. III-II სს-ის საბრძოლო იარაღის აღმოჩენა. ასე რომ, ის ძალა, რომელიც მუდმივ საფრთხეს უქმნიდა ქალაქ ეშერას (ისევე როგორც ჩრდილოეთ კოლხეთის ქალაქებს — დიოსკურიას, პიტიუნტს), შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, როგორც ადგილობრივი, მეკობრე ტომები, ისე გარედან შემოჭრილი სარმატები; არ არის გამორიცხული, რომ ნადავლის ძიებისას სარმატები ზოგჯერ ერთიანდებოდნენ ადგილობრივ მეკობრე ტომებთან, სარგებლობდნენ მათი ნავებით და სხვ. მსგავსი ვითარება დასტურდება მომდევნო ხანაშიც, წერილობითი წყაროებით (პლინიუსი, ზოსიმე) და დიოსკურიის ტერიტორიის არქეოლოგიური გათხრებით. კერძოდ, ძვ. წ. I ს-ის პირველ ნახევარში, ეშერის ნაქალაქარზე მეკობრე ტომების თავდასხმას მოწმობს აქ დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ადგილობრივი საბრძოლო იარაღი და საერთო ნგრევის კვალი.

საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებით ეშერის წარწერაში, როგორც ვთქვით, იხსენიება რომელიღაც „სამეფო" (ან „სამეფო ხელისუფლება") და „ჰერაკლეა" (უნდა ვიგულისხმოთ სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქ-სახელმწიფო ჰერაკლეა ან მისი მოქალაქენი — ჰერაკლეელები), რომელთა სამხედრო ძალები და ძლიერი ფლოტი მონაწილეობენ ქალაქის დაცვაში მოთარეშე ტომთა შემოსევისაგან. ჰერაკლეელთა ასეთი აქტიური ჩარევა ჩრდილოეთ კოლხეთის უმთავრესი ქალაქის — დიოსკურიისა და მის გავლენის სფეროში მყოფი „ქვეყნის" (ხორას) ცხოვრებაში, ცხადია, არ ატარებდა შემთხვევით ხასიათს. მათ სამხედრო აქციას ეშერაში სავსებით რეალური ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა. ეს სამხედრო დახმარება წარმოადგენდა იმ სავაჭრო პოლიტიკის ნაწილს, რომელსაც ჰერაკლეა და სამხრეთ შავიზღვისპირეთის სხვა დიდი სავაჭრო ცენტრები ატარებდნენ ძვ. წ. IV ს-ის შუახანებიდან კოლხეთისა და ბოსფორის საზღვაო ბაზრების მიმართ.

სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია შენიშნულია, რომ შავიზღვისპირეთში ათენის მიერ დომინირებული მდგომარეობის დაკარგვის შემდეგ (ძვ. წ. IV ს-ის შუახანებიდან), ბოსფორი-

სა და კოლხეთის ქალაქებთან ვაჭრობაში მთავარ ადგილს იკავებს სამხრეთ პონტოს ორი უდიდესი ცენტრი — ჰერაკლეა და სინოპე. ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი სატრანზიტო ტარის — ამფორების დამღების მიხედვით, მკვლევართა მიერ დადგენილია ძვ. წ. IV ს-ის დასასრულიდან ჰერაკლეის ხელისუფალთა სავაჭრო ინტერესების განსაკუთრებული ზრდა ბოსფორის ქალაქების მიმართ. ანალოგიურ კურსს ატარებენ ჰერაკლეის მმართველი წრეები კოლხეთის ქალაქ-ახალშენებთან, სახელდობრ, დიოსკურიასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების მიზნით. ამავე დროს, მნიშვნელოვნად ძლიერდება საკომერციო კონტაქტები სინოპესა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს შორის. როგორც ცნობილია, სინოპესა და ჰერაკლეას დიოსკურიასა და მის ხორაში შემოაქვთ ზეითუნის ზეთი. შესაძლებელია ღვინო, სინოპედან შემოდის კრამიტიც. გააქვთ სპილენძი, რკინა, ძვირფასი ჯიშის ხე-ტყე, სელი, ცვილი და სხვ. სამხრეთ პონტოს ცენტრების — ჰერაკლეის და სინოპეს დიდი გავლენა დიოსკურიის ეკონომიკასა და მეურნეობაზე თავის გამოხატულებას ჰპოვებს ამფორების ადგილობრივ დამზადების ტექნიკასა და მათთვის დამღის დადების ორგანიზაციაშიც.

შენიშნულია, რომ ერთი ჯგუფი დიოსკურიის ამფორებისა, რომელთა ყურებზე დასმულია ბერძნული ასოებით გამოსახული დამღა — დიოსკუ (ანუ დიოსკურია) დამზადების ტექნიკით დიდ სიახლოვეს იჩენს ჰერაკლეისა და სინოპეს ამფორებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამფორების დამზადება დიოსკურიაში ელინისტური ტექნიკის ბაზაზე წარმოებს და ამ ტექნიკის დანერგვაში თავდაპირველად დიდ როლს ასრულებენ ჰერაკლეისა და სინოპეს ხელოსნები.

გაცვლა-გამოცვლის გაფართოება ჰერაკლეასა და სინოპესთან ხელსაყრელი იყო დიოსკუსიის სავაჭრო წრეებისთვისაც. ამდენად, ამ ქალაქების მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ემყარებოდა მათი მმართველი ზედაფენის ორმხრივ დაინტერესებას. სწორედ ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული ის სამხედრო დახმარებაც, რომელიც, ჩვენი აზრით, წარწერის თანახმად, უნდა გაეწიათ ეშერელთათვის ჰერაკლეის მოქალაქეებს.

ჰერაკლეის ასეთი ჩარევა დიოსკურიის საქმეებში მით უფრო ბუნებრივი გვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აქ, დიოსკურიისადმი დაქვემდებარებულ „ქვეყანაში“, ძვ. წ. III ს-დან სავარაუდებელია სინოპესა და ჰერაკლეის მიერ სავაჭრო ფაქტორიის დაარსება, მცირეაზიელ ბერძენ ხელოსანთა მოსახლეობით (მ. ინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 184, 172).

ამრიგად, სავსებით მართებული უნდა იყოს ეშერის წარწერის ფრაგმენტზე სწორედ პონტოს ჰერაკლეის (ან ჰერაკლეელთა) წაკითხვა. წარწერის ასეთი წაკითხვა ადასტურებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას შავიზღვისპირეთის დიდი ცენტრების — ჰერაკლეისა და სინოპეს განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ დიოსკურიის ცხოვრებაში.

ეშერის წარწერა უფლებას გვაძლევს ისიც ვიფიქროთ, რომ ადრეელინისტურ ხანაში ჰერაკლეამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შავიზღვის სამხრეთ სანაპიროს სხვა რეგიონებთან დიოსკურიის ურთიერთდამოკიდებულებაშიც:

ზემოთ ჩვენ შევნიშნავდით, რომ წარწერიდან შემორჩენილი ერთ-ერთი ფრაგმენტის მიხედვით, ჰერაკლეის (ანუ ჰერაკლეელთა) გარდა, ქალაქში მომხდარ მოვლენებში მონაწილეობს კიდევ ერთი პოლიტიკური ერთეული, რომელიღაც „სამეფო“. ზოგიერთი მკვლევარი ამ პოლიტიკურ ერთეულში ვარაუდობს ადგილობრივ ანუ კოლხეთის სამეფოს, რომლის ურთიერთობა დიოსკურიის მოახალშენეებთან წესრიგდებოდა საკანონმდებლო გზით. ასეთივე აზრისა ვიყავით ადრე ჩვენც (მ. ინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 175-7), მაგრამ მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა და გაიშიფრა წარწერის სხვა ფრაგმენტები, რამაც გამოავლინა ჰერაკლეელთა განსაკუთრებული როლი ქალაქ დიოსკურიის ცხოვრებასა და ეშერაში მომხდარ ამბებში, ამასთან წარწერა ძვ. წ. III ს-ით დათარიღდა, მასში მოხსენიებულ „სამეფოში“ კოლხთა სახელმწიფოს დანახვა ჩვენ ნაკლებ დამაჯერებლად გვეჩვენება. ამ ერთეულის კოლხეთის სამეფოდ გააზრებას გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის ის გარემოებაც, რომ ოდესღაც ვრცელი კოლხეთის პოლიტიკური გაერთიანება ძვ. წ. III ს-ის დასაწყისიდან მნიშვნელოვნად მცირდება და სუსტდება. იმ ხანის კოლხეთში შექმნილი ვითარების შესახებ საყურადღებო ცნობას გადმოგვცემს სტრაბონი, რომლის თანახმად, კოლხეთის მეფეები მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის დამორჩილების წინა ხანაში (ე. ი. ძვ. წ. III-II სს-ში) არ გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ძალით (უფრო ზუსტად — „სარგებლობდნენ ზომიერი ძალაუფლებით“). აქვე უნდა გავითვალისწინოთ ქართველი მემატიანის—ლეონტი მროველის მიერ შემონახული საისტორიო ტრადიციაც, რომლის მიხედვით, ფარნავაზის მეფობის ხანაში (ძვ. წ. III ს) ეგრისის მბრძანებლის — ერისთავი ქუჯის სამფლობელო (ანუ კოლხეთის სამეფო) ტერიტორიულად ძალზე დამცრობილი ჩანს და ახლად წარმოქმნილი ძლიერი ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენის სფეროშია მოქცეული (ქც, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24). ქართველი მემატიანის ცნობით, ამ დროს ეგრისის (იმავე კოლხეთის) პოლიტიკური ერთეულის ჩრდილო საზღვარი აღწევს მდინარე ეგრისწყლამდე (იგულისხმება ან მდ. ენგური, ან ერისწყალი, ან მათ შორის რომელიმე მდინარე), სამხრეთით კი მისი მიწაწყალი მხოლოდ რიონამდე ვრცელდება („და

მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვათაგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი...“ ქც, I გვ. 24). ასეთ ვითარებაში სამეფო ხელისუფლება კოლხეთში ძნელად თუ შესძლებდა პროტექტორატის განხორციელებას დიოსკურიასა და მის „ქვეყანაზე“, იქ არსებულ სასიმაგრო პუნქტებში თავის ჯარის ჩაყენებას, ზრუნვას მათ დაცვაზე, ქალაქის უზრუნველყოფას ფლოტით და ა. შ.

ნაკლებად დასაშვებად გვეჩვენება, აგრეთვე, ეშერის წარწერაში მოხსენიებულ „სამეფოში“ დავინახოთ ბოსფორის სახელმწიფო, რადგან ძვ. წ. III ს-ში თვით ბოსფორს მეზობელი სკვითების სახით დიდი საფრთხე ემუქრება.

ზემოთქმულის გამო უფრო სარწმუნოა და დასაშვები, ამასთან მეტი საფუძველიც გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეშერის წარწერაში მოხსენიებულ „სამეფოში“ იგულისხმება კოლხეთის მეზობლად, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან მდებარე ძლიერი ახლადწარმოქმნილი პონტოს სახელმწიფო, ტექსტის ასეთი გაგების სასარგებლოდ შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი ფაქტები: უკვე პონტოს პირველი მეფე — მითრიდატე II კტისტი ამყარებს ურთიერთობას სამხრეთ შავიზღვისპირეთის დიდ ცენტრებთან; ამასთანავე, სხვადასხვა პრეტენდენტთა, უმთავრესად კი სელევკიდთა სამეფოს ხელყოფისაგან მათი დაცვის მიზეზით, ცდილობს დაეუფლოს ამ ქალაქებს. მითრიდატე II და მისი მომდევნო მეფე არიობარზანი (ძვ. წ. III ს-ის პირველ ნახევარსა და შუახანებში) იკავებენ ქალაქ ამასტრიას და პროტექტორატს აწესებენ ამისოზე. (М. И. Максимова, Античные города Юго-Восточного Причерноморья, М. Л., 1956, с. 179).

მითრიდატე უთანხმდება ჰერაკლეას, რომელიც სელევკიდების სახელმწიფოს თავდასხმის შიშით, თავის მხრივ, პონტოს სამეფოში ეძებს მოკავშირეს. ამიერიდან პონტო და ჰერაკლეა მოკავშირეებად გამოდიან საერთო მტრის წინააღმდეგ, მოქმედებენ გაერთიანებული ძალებით და თავიანთ გავლენას ავრცელებენ სამხრეთ შავიზღვისპირეთის სხვა ცენტრებზე. ერთად მოქმედებენ პონტოს სამეფო და ჰერაკლეა მომდევნო ხანებში ჩრდილო შავიზღვისპირეთის მიმართაც (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკვითების თავდასხმის საფრთხეში მოქცეული ქერსონესი სწორედ ჰერაკლეელთა მეშვეობით ითხოვს შემწეობას პონტოს მეფე ფარნაკესაგან და სდებს მასთან დახმარების ხელშეკრულებას ძვ. წ. 179 წ.).

თავიდანვე მჟღდროდ ენასკვება პონტოს საგარეო პოლიტიკას შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ბედიც. ამ რეგიონში, მისი დაცვის საბაბით (იასონიის კონცხის დასავლეთით, ფარნაკიასა და ამისოს შორის), პონტო ადგილობრივი სამოსახლოების ადგილას ქმნის რამდენიმე გამაგრებულ ქალაქს (სიდე, ხაბაკტა, ფაბდა (М. И. Максимова, [illegible]).

ეს ადგილობრივი სამოსახლოები, ცენტ-ქალაქებად გადაქცევის შემდეგ, ინტენსიურად მონაწილეობენ პონტოს სამეფოს მიერ ამ მხარის ეკონომიკურ ათვისებაში. სახელდობრ, ისინი უზრუნველყოფენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე რკინის მოპოვების ორგანიზაციას და მის გადაგზავნას დიდ ნავსადგურებში, საიდანაც ეს ლითონი ვრცელდება სხვა ქვეყნებში.

მას მერე, რაც პონტოს სამეფომ განიმტკიცა პოზიციები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, გაიფართოვა აქ თავისი ტერიტორია, აღნიშნული მხარე იქცა მისი პოლიტიკის გატარების დასაყრდენად კოლხეთის ზღვისპირეთში.

ამაზე ადრე პონტოს ინტერესები წარიმართა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მიწებისკენ, როგორც აკად. გ. მელიქიშვილმა დაადგინა, აქ პონტო აქტიურად ერევა ქართლის საქმეებში და დიდ მონაწილეობას იღებს ქართულ გაერთიანებათა ჭიდილში პირველობისათვის, სახელდობრ, ფარნავაზისა და სამხრეთ-ქართული გაერთიანების („მოქცევაი ქართლისა“-ს მიხედვით — არიან-ქართლის) მეფის ძის აზოს ბრძოლაში სამეფო ტახტისათვის. ქართულ წყაროებში დაცული საისტორიო ტრადიციის საფუძველზე მკვლევარი სავსებით მართებულად ვარაუდობს, რომ ამ წყაროებში (ლეონტი მროველის თხზულება, „მოქცევაი ქართლისაი“) ფარნავაზისა და აზოს ბრძოლასთან დაკავშირებით მოხსენიებულ „ბერძნებში“, რომელნიც აზოს უჭერენ მხარს და „საბერძნეთში“ ამ დროს ჩამოყალიბებული პონტო უნდა იგულისხმებოდეს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბ., 1970, გვ. 442)[1]. ამდენად, ქართულ წყაროებში წარმოდგენილი „საბერძნეთის“ (პონტოს) და სელევკიდების დაპირისპირება („საბერძნეთი“ აზოს უჭერს მხარს, სელევკიდები [ანტიოქოსი] კი ფარნავაზს) კარგად შეესაბამება ძვ. წ. III ს-ის პირველ ნახევარში ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთით რეალურად შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ „მოქცევაი ქართლისაი“-ში დაცულ საისტორიო ტრადიციასთან საკმაოდ ახლოს დგას V ს. სომეხ ისტორიკოსთან, მოსე ხორენელთან შემონახული მეტად საყურადღებო გადმოცემა, რომელშიც პონტოს სამეფოს დამაარსებელი, მისი სამეფო დინასტიის დამწყები მითრიდატე I იბერთა სამხრეთ სამთავროს „გუგარქის“ მმართველთა საგვარეულოს წინაპრად, ფუძემდებლად არის დასახელ-

---

1 ძვ. წ. III ს-ის დასაწყისში ეს მხარე პონტოს კაპადოკიად იწოდება და ნომინალურად ლიზიმაქეს ექვემდებარება.

ებული (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 448).

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს პონტოს სამეფოს პოლიტიკური ზრახვების დასადგენად მის მეზობლად მდებარე სხვა ქვეყნების, კერძოდ, კოლხეთის მიმართ. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ პონტო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თავის დასაყრდენი სასიმაგრო პუნქტების (ციხე-ქალაქების) დაარსების შემდეგ (რის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი), გადამწყვეტ ნაბიჯებს დგამს ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროზედაც. აქ მოთარეშე ტომთა თავდასხმისაგან დიოსკურიისა და მისი „ქვეყნის" დაცვის საბაბით, ნამდვილად კი ლითონის (რკინის, სპილენძის, ოქროს) და სხვა ძვირფასი ბუნებრივი რესურსების ათვისების მიზნით, თავის მოკავშირე ჰერაკლეასთან შეთანხმებით და მისი საზღვაო ძალების მხარდაჭერით, ქმნის დასაყრდენ პუნქტებს ეშერასა და სხვა ადგილებში (შესაძლებელია პიტიუნტშიც). მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე იმ ხანაში ჩრდილოეთ კოლხეთის მიმართ პონტოს მხოლოდ ეკონომიკური მიზნები არ ამოძრავებს. დიოსკურიის საქმეებში აქტიური ჩარევით, მისი „ქვეყნის" გამაგრებით პონტოს მეფეს უთუოდ სურდა თავისი პოლიტიკური პოზიციების განმტკიცება ამ მხარეში, ამასთან, აქ ერთგვარი პლაცდარმის შექმნა მომავალში კავკასიის სანაპიროსა და ბოსფორისკენ თავისი გავლენის გავრცობისათვის. მომდევნო ხანაში მომხდარი ფაქტების, კერძოდ ჯერ ქერსონესის და მერე კი ბოსფორის საქმეებში ჩარევიდან ჩანს, რომ პონტოს მეფეები ამ სანაპიროს მიმართაც ფართო დაპყრობით გეგმებს ისახავდნენ.

ზემოთქმული გვაფიქრებინეს, რომ ეშერის წარწერაში მოხსენიებული „სამეფო" სავსებით შესაძლებელია მართლაც პონტოს სამეფო იყოს. ტექსტის ამგვარ ინტერპრეტაციას კი მივყავართ ძალიან საყურადღებო დასკვნამდე. სახელდობრ, გამოდის, რომ პონტოს სამეფოს მიერ კოლხეთის სანაპიროზე ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების მოპოვება და დასაყრდენი პუნქტების გაჩენა იწყება გაცილებით ადრე, ვიდრე ის ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქალაქების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერეოდა. კერძოდ, დიოსკურიაში ფეხის მოკიდების ცდა პონტოს მხრივ უშუალოდ უნდა მოჰყოლოდა მის მიერ ტერიტორიის გაფართოებას სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, აქ დასაყრდენი ციხე-ქალაქების შექმნას და მის ჩარევას ქართლის საქმეებში.

ყველაფერი ეს, ეშერის ნაქალაქარზე აღმოჩენილ პონტოს სამეფოს (ძვ. წ. III-II სს-ის) მონეტებთან და აქვე გამოვლენილ მცირეაზიური ტიპის წყალსადენის სისტემასა და ამავე წარმოშობის (სინოპე, ჰერაკლეა და სხვ.) მრავალრიცხოვან კერამიკულ პროდუქციასთან ერთად, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეშერის სამოსახლოს გადაქცევა გამაგრებულ ციხე-ქალაქად ხდება ძვ. წ. III ს-ში და ამაში დიდ როლს ასრულებენ როგორც სამხრეთ შავიზღვისპირეთის დიდი სავაჭრო ცენტრები (ჰერაკლეა, სინოპე), ისე პონტოს სამეფო.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ეშერის წარწერაში მოხსენებულ „სამეფოში" შესაძლებელია იგულისხმებოდეს პონტო, რომელსაც ადრიდანვე (ძვ. წ. III ს-ის პირველი ნახევარი) ფართო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები უჩნდება როგორც ქართლის, ისე კოლხეთის, კერძოდ მისი ჩრდილო სანაპიროს მიმართ. თავის მოკავშირე ჰერაკლეასთან ერთად, იგი მონაწილეობს ეშერის მოსახლეობის დაცვაში ზღვაზე მოთარეშე ტომთა შემოსევისაგან, ასევე მის გამაგრებაში მსგავსი აქციების განმეორების თავიდან აცილების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ პოლიტიკას ატარებდა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დაახლოებით ერთნახევარი საუკუნის შემდეგ პონტოს მეფე მითრიდატე ევპატორი. როგორც არქეოლოგიური მონაცემები და წერილობითი წყაროები მოწმობენ, ძვ. წ. II ს-ის დასასრულს მითრიდატე VI ეშერის ტერიტორიაზე აგებს საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელ სისტემას, მეორე მხრივ, ქალაქ დიოსკურიის მმართველ სავაჭრო წრეებთან შეთანხმებით ახორციელებს ქვეყნიდან ძვირფასი რესურსების (რკინა, ოქრო და სხვ.) გატანას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, პონტოს ადრინდელ მეფეთა ანალოგიურად, მითრიდატე VI მიერ დიოსკურიის „ქვეყანაში" ჩატარებული ღონისძიებები ნაკარნახევი იყო არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მოსაზრებითაც. მისი მისწრაფებით დაუფლებოდა ჩრდილოეთ კოლხეთის უმთავრეს ცენტრებს, რაც პონტოს მბრძანებელს უქმნიდა დიდ სტრატეგიულ უპირატესობას მცირე აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებზე ბატონობისათვის, რომთან მოსალოდნელ ომში. ამდენად, პონტოს მეფეთა პოლიტიკაში ჩრდილოეთ კოლხეთის ქალაქების მიმართ შეიძლება დავინახოთ გარკვეული მემკვიდრეობითობა ელინისტური ეპოქის მთელ მანძილზე. როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კოლხეთის ძირითად დასაყრდენ პუნქტებზე მითრიდატე ევპატორის მბრძანებლობისათვის ნიადაგი მზადდება გაცილებით ადრე და ამაში დიდ როლს ასრულებს ჯერ კიდევ ძვ. წ. III ს-ში პონტოს მეფეთა მიერ აქ გადადგმული პირველი ნაბიჯები, ადრე დამყარებული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობანი.[2]

2 წერილობითი წყაროების კვლევის შედეგად დაახლოებით ასეთივე დასკვნამდე მივიდა დ. ბ. შელოვი (Колхида в системе понтийской державы Митридата VI. Кавказ и Средиземноморье, Тбилиси, 1980).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ჩვენ მიერ განხილული წარწერა, რომელიც ძვ. წ. III ს-ში არქიტექტურულად გაფორმებული დაუდგამთ ეშერაში, თავის ადგილზე რჩებოდა მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის დამორჩილების დროსაც (ძვ. წ. II ს-ის დასასრ.), ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც პონტოს მბრძანებელი ქალაქსა და მის ირგვლივ მდებრე ტერიტორიაზე დიდ სასიმაგრო მშენებლობას ეწეოდა.

ჩანს, ეს წარწერა მითრიდატეს მიერ ხელუხლებლად იქნა დატოვებული გარკვეული მოსაზრებით, კერძოდ, როგორც მისი წინაპრების, პონტოს ადრინდელ მეფეთა ოფიციალური დოკუმენტი, დიოსკურიასა და მის ქვეყანაზე მათი უფლებების დამადასტურებელი საბუთი. ამის შემდეგ, წარწერა დაახლოებით 50 წლის განმავლობაში (ძვ. წ. I ს-ის შუახანებამდე) ეშერაში რჩებოდა, ე. ი. რჩებოდა იმ დრომდე, ვიდრე რომაელთაგან დევნილი მითრიდატე ევპატორი დიოსკურიიდან ბოსფორში არ გადაიხვეწებოდა, ხოლო ხანძარში წარწერა უნდა მოხვედრილიყო მითრიდატეს მოწინააღმდეგეთა ან, შესაძლებელია, მეკობრე ტომთა მიერ ქალაქის აღებისა და განადგურების დროს.

ეშერის წარწერის ინტერპრეტაციაზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა წყარომ, სახელდობრ, ახ. წ. I ს-ის რომაელი ისტორიკოსის პომპეუს ტროგოსთან დაცულმა მეტად საინტერესო ცნობამ, რომელსაც აქამდე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება (ეს ცნობა შემოუნახავს უფრო გვიანდელ ავტორს — იუსტინეს თავის ნაშრომში, რომელიც პომპეუს ტროგოსის თხზულების ეპიტომას ანუ შემოკლებას წარმოადგენს. (იხ. ამ ნაწარმოების ა. ა. დეკონსკისა და მ. ი. რიჟსკის მიერ შესრულებული რუსული თარგმანი, **ВДИ**, 1955, № 1). ტროგოსის ცნობიდან ირკვევა, რომ კოლხები, ისევე როგორც პაფლაგონიელები და ბოსფორელები, მითრიდატე ევპატორმა პონტოს სამეფოს შეუერთა კანონიერი გზით, მემკვიდრეობით, შეთანხმებით, ხელშეკრულებით (იუსტინე, XXXVII, I, 7, 10, იხ. აგრეთვე დასახ. ნაშრ., გვ. 200).

რა თქმა უნდა, არავითარი საფუძველი არა გვაქვს პომპეუს ტროგოსის ცნობაში ასახული სიტუაცია, სახელდობრ, მითრიდატეს მიერ პონტოს სამეფოსთან კოლხების შეერთება, რაც მემკვიდრეობის წესით, ე. ი. მის წინაპართა მიერ ადრე დადებული ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე მომხდარა, მთელ კოლხეთზე გავავრცელოთ (მით უმეტეს, რომ პომპეუს ტოგოსის ცნობაში ლაპარაკია მითრიდატეს მიერ არა მთელი კოლხეთის, არამედ მხოლოდ კოლხების შეერთებაზე). გარდა ამისა, არსებობს სტრაბონისა და მემნონის საკმაოდ სარწმუნო ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ კოლხეთის დაპყრობისას მითრიდატეს სხვადასხვა გზისათვის მიუმართავს, ე. ი. ხან მშვიდობიანი ხერხით, ხან ომებით დაუმორჩილებია იგი. მაგრამ, სავსებით დასაშვებია, რომ პომპეუს ტროგოსის ცნობაში ასახული იყოს მითრიდატეს მიერ ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროს იმ რეგიონის მოსახლეობის მშვიდობიანი შეერთება, რომლის ბედი ადრიდანვე (ძვ. წ. III ს-დან) პოლიტიკურად და ეკონომიკურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული პონტოს სამეფოსა და სამხრეთ შავიზღვისპირა ქალაქებთან, რის საბუთსაც ეშერაში დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს. ერთი სიტყვით, პომპეუს ტროგოსის ცნობაში შესაძლოა აირეკლა ის ფაქტი, რომ პონტოს მეფეებს რაღაც შეთანხმების ძალით ადრიდანვე გარკვეული იურიდიული უფლებები ჰქონდათ ჩრდილოეთ კოლხეთის მიწა-წყალზე ან მის ნაწილზე (დიოსკურიის „ქვეყანაზე"), რამაც თავი იჩინა მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის შეერთების დროსაც (ამასთან დაკავშირებით შესაძლოა შემთხვევითი არ იყოს, რომ ეშერის წარწერა ისეთივე მხატვრული ხერხით და ტექნიკითაა შესრულებული, როგორიც ფართოდ გამოიყენებოდა ძვ. წ. IV ს-ის ათენსა და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში იურიდიული დოკუმენტების გაფორმებისას).

აქვე უნდა გავიხსენოთ ქართველი მემატიანის ლეონტი მროველის ერთი ფრიად საყურადღებო საისტორიო გადმოცემა, რომელიც, ჩვენი აზრით, კარგად ეხმაურება პომპეუს ტროგოსის ზემოგანხილულ ცნობას და ეშერის წარწერის მონაცემებს. ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ აზოს საბოლოოდ დამარცხების შემდეგ ფარნავაზი ქართლში მობრუნდა და დაიწყო ადმინისტრაციული რეფორმების გატარება. ფარნავაზმა ქუჯის, საერისთავოდ დაუმტკიცა ეგრისწყალსა (როგორც ზემოთ აღინიშნა, იგულისხმება დღ. ენგური, ან ერისწყალი, ან მათ შორის რომელიმე მდინარე) და რიონს შუა ტერიტორია, „ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ (ე. ი. მის ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალი, -მ. ი.) დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა" (ქც, I, გვ. 24).

ქართლის ცხოვრებაში დაცული ეს გადმოცემა ჩვენთვის საყურადღებოა იმის გამო, რომ მასში ასახული ვითარება ახლოს დგას ეშერის წარწერისა და პომპეუს ტროგოსის ცნობის მიხედვით შექმნილ სურათთან. სახელდობრ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფარნავაზისა და აზოს ბრძოლის მონაწილე „საბერძნეთსა" და „ბერძნებში" პონტო უნდა იგულისხმებოდეს, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ ზემოთ მოტანილი ცნობის „ბერძნებშიც", რომელთაც დარჩათ ეგრისწყლის ჩრდილოეთით მდებარე კოლხეთის სანაპირო, ე. ი. დაახლოებით დიოსკურიის „ქვეყანა" და მისი მეზობელი მხარე, პონტოს სამეფო ვივარაუდოთ; ამდენად სავსებით შესაძლებელია, ამ ცნობაში ასახული იყოს ფარნავა-

ზის მეფობის ხანაში (ძვ. წ. III ს-ის პირველ ნახევარში) ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროზე შექმნილი პოლიტიკური ვითარება, რომელიც შედეგად მოჰყვა პონტოს მეფეთა ფართო ინტერესების განხორციელებას ამ მხარეში. როგორც ჩანს, თუ კი ამ დროს პონტოს მესვეურთა მიზნებმა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან აქ მათ მისწრაფებებს წინ აღუდგა ახლადშექმნილი, ერთიანი და ძლიერი ქართლის სახელმწიფო და მისი მოკავშირე სელევკიდების სამეფო, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც კოლხეთის სამეფოსაგან ცალკე არსებობდა მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი — დიოსკურია ბერძნულ — ადგილობრივი მოსახლეობით და მისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიით („ქვეყნით"), ამის განხორციელება შედარებით ადვილი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული მხარის პონტოს გავლენის სფეროში მოხვედრას განაპირობებდა არაერთი ფაქტორი: მისი დაცვის აუცილებლობა მეკობრე ტომთა გამუდმებული თარეშისაგან, რაც მხოლოდ საკუთარი (დიოსკურიისა და მისი ხორას) ძალებით ვერ ხერხდებოდა, კოლხეთის სამეფო ხელისუფლების შედარებითი სისუსტე და ქვეყნის დაქუცმაცებულობა, მეორე მხრივ, დიოსკურიის „ქვეყანაში" მცხოვრები როგორც ბერძნული, ისე ადგილობრივი მოსახლეობის დაინტერესება სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებთან, ჰერაკლეასა და მის მოკავშირე პონტოს სამეფოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით, აქ სინოპესა და ჰერაკლეადან გადმოსახლებულ ბერძენ ხელოსანთა და ვაჭართა ფაქტორიის არსებობა და მათთან სამეურნეო კონტაქტი. ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ, სავსებით გასაგები ხდება ლეონტი მროველის გადმოცემაში დაცული გამოთქმის რეალურ-ისტორიული შინაარსი, კერძოდ, რატომ „არა ინებეს" ქუჯის სამფლობელოს ქვემოთ, ე. ი. მისი საზღვრების ჩრდილოეთით მცხოვრებმა „მკვიდრთა მის ადგილისათა" „განდგომა ბერძენთა", რატომ არჩიეს მათ პონტოს სამეფოს მფარველობაში ყოფნა. რაც შეეხება საკითხს, თუ სახელდობრ ვინ არიან ეს „მკვიდრნი მის ადგილისანი", ჩვენი აზრით, მათში ძირითადად იგულისხმება დიოსკურიისა და მის ირგვლივ მდებარე „ქვეყნის" ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელსაც აქ მცხოვრებ ბერძენ მოახალშენეებთან მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე დამყარებული ხანგრძლივი თანაარსებობა აკავშირებდა.

როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველის ზემოთ განხილული გადმოცემა სავსებით ეთანხმება ეშერის წარწერის, ასევე პომპეუს ტროგოსის ცნობის ჩვენს მიერ შემოთავაზებულ გაგებას. ხოლო ყველა ამ მონაცემის ერთობლიობა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეშერის წარწერის შედგენის [illegible] იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური [illegible], რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩრდილოეთ კოლხეთის (დიოსკურიის „ქვეყნის") შემდგომ ცხოვრებაში, მის ურთიერთობაში სამხრეთ შავიზღვისპირეთთან (პონტო) და იქ არსებულ ქალაქებთან.

ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, ეშერის წარწერა წარმოადგენს პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტს, სახელდობრ, ხელშეკრულებას, შეთანხმებას, რომელიც დადებული იყო ერთი მხრივ, დიოსკურიის (ეშერა), ხოლო, მეორე მხრივ, სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქის (ჰერაკლეა) და პონტოს სამეფოს შორის, აღნიშნული შეთანხმებით დიოსკურია მიისწრაფოდა უზრუნველეყო მის ირგვლივ მდებარე, მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორია მეკობრე ტომთა თავდასხმისაგან ამ სახელმწიფოთა (ჰერაკლეა, პონტო) სამხედრო დახმარებით (საზღვაო ფლოტით, ციხე-სიმაგრეთა აგებით და სხვ.). ამავე დროს, ამ ხელშეკრულების დადება მიზნად ისახავდა განემტკიცებინა დიოსკურიის ეკონომიკური კონტაქტები სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებთან. ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ დავეყრდნობით წარწერის ფრაგმენტებზე შემორჩენილ თ. ყაუხჩიშვილის მიერ წაკითხულ და აღდგენილ სიტყვებსა და ფრაზების ნაწყვეტებს, ამასთან, გავითვალისწინებთ ჩრდილო შავიზღვისპირეთის ანალოგიური ხასიათის წარწერებს (ქერსონესის 179 წლის შეთანხმება პონტოს მეფე ფარნაკესთან და სხვ.), უნდა ვიფიქროთ, რომ ეშერის წარწერა-ხელშეკრულებაში აღწერილი იყო მტრის, მეკობრე — მოთარეშე ტომთა შემოჭრა და ქალაქ ეშერის აოხრება-დანგრევა. აქვე ლაპარაკი იყო ჰერაკლეელთა და პონტოს სამეფოს სამხედრო ძალების მონაწილეობაზე მის დაცვაში, შემდეგ ქალაქის აღდგენაზე. ამას ერთვოდა შეთანხმება, პირობა ამ სახელმწიფოთა მხრივ სამხედრო დახმარების შესახებ იმ შემთხვევაში თუ ასეთი თავდასხმები ქალაქზე კვლავ გამეორდებოდა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეშერის წარწერის შემდგომი კვლევა სხვა დამატებითი მონაცემების მოშველიებას მოითხოვს, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ახალმა აღმოჩენებმა ეშერაში შესაძლოა გარკვეული ცვლილება შეიტანოს წარწერის ტექსტის იმ გაგებაში, რომელსაც დღეს ჩვენ გთავაზობთ, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ამ წარწერის კვლევა-ძიებას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოლხეთის სანაპიროს ქალაქების ძველი ისტორიისა და ელინისტურ ხანაში სამხრეთ შავიზღვისპირეთთან მათი ურთიერთდამოკიდებულების შე-

სწავლისათვის. გარდა ამისა, ეშერის წარწერის კვლევა-ძიებას არქეოლოგიური მასალისა და ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობების მოშველიებით არაპირდაპირი გზით მივყავართ იმ საყურადღებო დასკვნამდე, რომ ლეონტი მროველთან დაცულ საისტორიო ტრადიციაში, რომელიც ერთიანი ქართლის პირველი მეფის — ფარნავაზის ცხოვრებას (მეფობას) შეეხება, ძირითადად სწორად არის ასახული ძვ. წ. III ს.-ის პირველ ნახევარში საქართველოსა და მის სამხრეთ მეზობელ ქვეყნებს (პონტოს) შორის არსებული პოლიტიკური დამოკიდებულება. სახელდობრ, ამ დროს როგორც ქართლის, ისე კოლხეთის საგარეო ურთიერთობათა სფეროში უთუოდ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს პონტო (ქართლის ცხოვრების „ბერძნები"), რომელიც თავიდანვე ილვწის ამ მიმართულებით ტერიტორიის გაფართოებისაკენ, აქტიურად ერევა მათ ცხოვრებაში და, ჩრდილო[illegible]ში შექმნილი ხელსაყრელი ვით[illegible], აქ მისთვის სასურველ შედეგებსაც აღწევს.

თავის მხრივ, ეს დასკვნა უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ მეფე ფარნავაზის ცხოვრების აღწერილობაში შემონახული ზემოგანხილული საისტორიო ტრადიცია შეიცავს საყურადღებო მონაცემებს, რომლებიც სანდო წყაროებიდან უნდა მომდინარეობდეს. ამის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ლეონტი მროველის თხზულების ამ ნაწილის (ფარნავაზის ცხოვრების აღწერილობის) წყაროთმცოდნეობითი კვლევის, მისი, როგორც საისტორიო წყაროს, მეცნიერული ღირებულების შეფასების თვალსაზრისით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ლომთათიძე

# ექსპედიცია ხვამლის ქვაბულებში

საქართველო მთა-გორიანი, კლდოვანი ქვეყანაა, აქ მრავლად არის ლეგენდებისა და იდუმალების ბურუსით მოცული ადგილები, „ცასა და მიწას შუა დაკიდული", დღევანდელი ქართველებისათვის თითქოს მიუვალი. ისინი უკვე დიდი ხნის განმავლობაში ახაზრდოებენ ჩვენი ხალხის ფანტაზიას. არა ერთი და ორი გაბედული ვაჟკაცი გაუტაცია მათი დაპყრობისა და საიდუმლოს ამოცნობის სურვილს. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს ალპური კლუბის გარკვეული წვლილი მეცნიერებაში. მან მკვლევართათვის მისაწვდომი გახადა ცნობილი „კაცხის სვეტი" ჭიათურის რაიონში და ამგვარად შეასრულა ის საქმე, რაც ვახუშტის განუხორციელებლად მიაჩნდა — „...არამედ ვერვარა ავალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება ადგომისა". ასეთივე ძნელმისავალი ძეგლი იყო ხვამლის კლდე და მისი ლეგენდარული ქვაბულები იმერეთ-ლეჩხუმის საზღვარზე, რიონის ხეობაში. ამ ქვაბულებს ჯერ კიდევ „ქართლის ცხოვრება" იხსენიებს. მემატიანის ცნობით საქართველოს მეფეებს ავბედობისა და შიშიანობის დროს სახელმწიფო განძის ერთ-ერთი საიმედო საცავი ეგულებოდა ამ ციხიალო კლდის „ქვაბებში". კერძოდ, ჩანს რომ XIII საუკუნეში, როდესაც მონღოლთა შემოსევის გამო მეფის ადგილსამყოფელმა დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლა, საუნჯე სწორედ ამ კლდეში შეუნახავთ ერთ-ერთ გამოქვაბულში, როგორც უფრო საიმედო და მტრისთვის მიუვალ სიმაგრეში. ძირითადად ამგვარ წყაროებს ემყარება ვახუშტიც, როდესაც წერს, რომ „ხომლის კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები.[1] ვახუშტის ცნობითვე 1259 წელს ორი (V და VI) დავითის მიერ საქართველოს სამეფოსა და მისი საშურჭლის ურთიერთ შორის განაწილებისას „...ხვამლის ქვაბსა შინა რაცა იყო, მეორესა განიყვეს და დაუტევეს მუნვე".[2] აქვე უნდა გავიხსენოთ მ. ბროსეს ცნობა, რომ XIX საუკუნის ხუთიან წლებში ვინმე დადიანს გაუთხრია ხვამლის ქვაბი, მაგრამ არაფერი აღმოუჩენია. ამ მეცნიერულ ცნობებს ემატებოდა რაჭა-ლეჩხუმის და იმერეთის მოსახლეობაში გავრცელებული მრავალი თქმულება.

ყოველივე ამან დააინტერესა მთამსვლელები გამოერკვიათ, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს წერილობითი და ზეპირი ცნობები, მოიპოვება თუ არა ქვაბულებში რაიმე ნივთიერი საბუთი, თუნდაც შემთხვევით აღმოჩენილი. ამ ინტერესს ცხადია სპორტული ინტერესიც ამძაფრებდა. მთავარ ქვაბულებში ასასვლელად აუცილებელი იყო საკმაოდ რთული ალპინისტური ტექნიკისა და მოწყობილობის გამოყენება, სიმამაცისა და გულადობის გამოჩენა.

სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ასეთი საქმიანობის მონაწილეობა იკისრა საქართველოს ალპურმა კლუბმა და კერძოდ მისმა თავმჯდომარემ, ალექსანდრე ჯაფარიძემ, ჩვენი დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ალპინისტმა მთამსვლელმა და, ამასთანავე, ნიჭიერმა საბჭოთა ინტელიგენტმა, ქართული კულტურის დიდმა პატრიოტმა.

---

* ქვაბულების დაწვრილებითი აღწერილობა და ჩანახატები ინახება გიორგი ლომთათიძის არქივში.

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 157.

2 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციითა და შენიშვნებით, 1885. გვ. 244-245.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ჩემი მონაწილეობის შესახებ ჯერ კიდევ შარშან ვიყავით მე და ალიოშა ჯაფარიძე შეთანხმებული, ოღონდ მაშინ შემოდგომაზე აპირებდა წასვლას, ბარემ მაჭრობასაც შევესწრებითო.

1939 წელს იგი ქუთათურებთან, ა. იაშვილთან და ნ. ობოლაძესთან, ერთად ასულა მექვენა-ტვიშის რამდენსამე ქვაბულში და კერძოდ ხვამლისაშიც. დიდხანს ვერ დარჩენილან, ბევრი ვერაფერი უნახავთ, მაგრამ ალიოშას ერთი მტკიცე რწმენა კი ჩამოუტანია თან: ქვაბულის იატაკზე დიდძალი ქვა-ლორღია დაზვინული და რომ თუ „საგანძურის" ვერავითარი ნიშანი ვერ ნახეს, ეს იმიტომ, რომ გათხრები არ უწარმოებიათ. 1948 წლის შემოდგომაზე, სხვა ალპინისტებთან ერთად რომ ჩამოვიდა ჩვენთან არმაზის გათხრების დასათვალიერებლად, პირველად მაშინ მესაუბრა ხვამლში გათხრების წარმოების შესახებ. წელს თვითონ მოვიდა სიმონ ჯანაშიასთან და სთხოვა საამისოდ ჩემი მივლინება ხვამლში. სიმონი შემეკითხა და როდესაც ვუპასუხე, რომ თავადაც მოწადინებული ვარ, გზა დამილოცა. „ოღონდ, გეთაყვა, არსად გადაიხადოთ, სადა გვყავს დასადუპავი ხალხიო".

წლევანდელი, მეტის მეტი გრილი და სველი ზაფხულის ამბავი რამდენადმე მაინც ანელებს მოსალოდნელი მგზავრობის სიამოვნებას. ახლაც თითქმის მთელ საათს განუწყვეტლივ წვიმს და, ჩანს, მთელ ღამეს აპირებს იწვიმოს, თუმცა ობსერვატორია ხვალ სიმშრალეს გვპირდება... დაეჯერება კი?

საბოლოოდ ექსპედიციის შემადგენლობა ასეთი იყო: ხელმძღვანელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე ჯაფარიძე, მწერალი-დრამატურგი და თან მთამსვლელი ლევან გოთუა, მხატვარი-მთამსვლელი ვერა ბელეცკაია, გეოგრაფიის მასწავლებელი (ამჟამად „წითელი ჯვრის" თანამშრომელი) ელიკო აბაშიძე, როსტოვის მხრიდან ევაკუირებული და აქ ჩარჩენილი ახალგაზრდა რუსი მთამსვლელი ვალია ნასონოვა, მთამსვლელი თბილისელი ბიჭი სიმონ მხვაცაბაია, ლეჩხუმელი (ტვიშელი), ისტორიის ნამასწავლებლარი ალექსანდრე ანუ ალე ნემსიწვერიძე (ჩვენს ეთნოგრაფებთან ჰქონია ურთიერთობა, მათი მეშვეობით დამიკავშირდა მე, ხოლო შემდეგ ჩემი მეშვეობით ალიოშას; ძალიან მოწადინებული იყო ამ ექსპედიციაში მონაწილეობას და დიდი მოთმინებით ელოდა თბილისიდან მის დაძვრას; ეტყობა, კარგა იცნობს თავის კუთხეს, ქვაბულებსაც და ბევრ სხვა ამბებსაც და, მგონი, ძალიან გამოადგება ექსპედიციას), უკრაინელი პალეონტოლოგი და საერთოდ ბუნებისმეტყველი, ნიშნოსანი მთამსვლელი, საქართველოს მუზეუმთან კარგახანს მჭიდროდ დაკავშირებული ნიკოლოზ ბურჩაკ-აბრამოვიჩი, შოფერი-მექანიკოსი, ალიოშას [illegible] ამჟამად აგრეთვე მთასვლის ბილიკზე ფეხშედგმული გოგი ჯაფარიძე, არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე, საქკინოქრონიკის ოპერატორი აჯიბეგიშვილი და ნინო ლოლობერიძე-ლომთათიძისა — ექსპედიციის თანამგზავრი ქუთაისამდე.

ექსპედიცია ალპური კლუბის ავტობუსით გაემგზავრა თბილისიდან 1945 წლის 20 ივნისს. ავტობუსი მთლად სავსე არ იყო და ზოგიერთი ლაღად გაწოლასა და წუხელ გატეხილი ღამის ანაზღაურებასაც კი აპირებდა. ალიოშა შოფერს უჯდა მხარმარჯვნივ, გადაუარა გამომგზავრების წინა ფუსფუსით მოგვრილმა ალერილობამ, ხშირ-ხშირად იბრუნებდა თავს და ექილიკებოდა ბუმბერაზულად მონებიერე ლევან გოთუას.

მატარებელთან შედარებით ღია ავტობუსის უპირატესობა თბილისიდან ორმოციოდე კილომეტრის მანძილზედვე შეიქნა საგრძნობი — წეროვნის აბიბინებულ მინდორზედ რომ ვასაუზმეთ, მანქანის პირველივე ხუშტურის საბაბით — ხოლო შემდეგ მრავალგზის ბრწყინვალედ დადასტურდა, ასე, მაგალითად, თითქმის ერთი საათის განმავლობაში ვათვალიერებდით სამთავისის მშვენიერ ტაძარს და დიდად კმაყოფილებმა განვაგრძეთ გზა... „და მერე თუნდაც დაუგვიანდეს, იგი ამისთვის არდა დალონდეს..."

ურბნისის ულელტეხილზედაც გაგვიჩერდა მანქანა, მაგრამ არც ეს დაგვრჩენია სანანურად. ვეება სივრცეზე ღელავდა და ტალღა-ტალღა ირწეოდა მაღალი, ხშირი, მწვანე-ლურჯად შემწიფებული პურის ყანა, ძლიერი ნიავის ქროლას აყოლილი. „აი, ამაზეა ნათქვამი, ქარი კურდღლაობსო", წამოიძახა აღტაცებულმა ლევანმა და მართლაც ღირდა აღტაცებად ეს სილამაზე. თვალმოუწყვეტლივ ვუყურებდით და მგონი აღარც კი გაგვხარებია მანქანის დაძვრა.

ოსიაურის დაბლობზე პაპანაქება დაგვაცხრა თავზე, ნამდვილი კბენია სიცხე და საავდრო ბუღი. მაგრამ ავდარი, ეტყობოდა, უკან ქართლში მოვიტოვეთ და სურამის თუ რიკოთის ულელტეხილი სიმშრალით გადმოვიარეთ. გამართლდა ჩვენი ობსერვატორიის გუშინდელი წინასწარმეტყველება: დასავლეთში არ იწვიმებს, ხოლო აღმოსავლეთში საღამოს იქნება დიდი წვიმაო.

...განსაკუთრებით ულელტეხილზე დავაფასეთ ჩვენი მანქანის ჭაბუკი მესაჭის გულდინჯი და შეუკრთომელი ოსტატობა. რიკოთის ტყეში ერთი ოთხმოც წელს გადაბიჯებული გლეხი, ტიპიური ზემოური გლეხი გლეხიშვილი შემოგვევედრა, ჩავისვით მანქანაში და სანამ თავის სოფელთან ჩამოვიდოდა, იყო განუწყ-

ვეტლივ ჩვენს ლოცვა-კურთხევაში. როცა გამოვესვით, ერთი იმერულად მიგვიპატიჟა: „შორ რომ არ მქონდეს სახლი, დაგპატიჟებდითო'' და გულიანად გაგვაცინა ყველანი.

ძირულას რომ ჩამოვუყევით, გამახსენდა გ. გვაზარიასთან და გ. ჯაფარიძესთან ერთად ჩხერიმელას ხეობიდან აქეთკენ მომართული გეოლოგიური მარშრუტი (ბაზალეთი-ქროლილორეშა-ბორითი-უბისა-სამაშუკეთი-შროშა-ძირულა) და გამახსენდა, კერძოდ, ის გარემოებაც რომ უბისის ცნობილი ფრესკებიანი საყდარი სწორედ ჩვენს გზაზე დგას. დიდი აგიტაცია არც დამჭირვებია მანქანის გაჩერებისათვის.

...უკვე კარგა მოსაღამოვებული იყო, უბისიდან რომ დავიძარით. სადგ. ძირულაში კიდევ ერთი გაჭირვებულის მადლი მოვიხვეთ ხელში ნემსშესობილი ქალიშვილი და მამამისი ჩამოვაქროლეთ ზესტაფონამდე. ზესტაფონის შემდეგ უკვე ნამდვილად ჩამოგვიღამდა, ლამენატეხობამ და მთელი დღის ნჯღრევა-რწევამ თავისი გაიტანა და თითქმის ყველამ თვლემა დაიწყო. არ გვეძინა მხოლოდ ორ გოგის: მესაჭესა და მე, მაგრამ ერთმა მცირე შემთხვევამ ყველა გამოაფხიზლა, საქმე იმაშია, რომ ზესტაფონ-ქუთაისის გზატკეცილი თურმე სულ არ მიჰყვებოდა რკინიგზას და ამიტომ სულ სხვა მხრიდან უვლის ქალაქს, დიდხანს მოაჭენებდა გოგი მანქანას სრულიად უდაბურსა და უკაცრიელ გზაზე და ბოლოს დაეჭვდა. გავაღვიძეთ ალიოშა და ლევანი, წამოჰყვეს თავი სხვებმაც და შეიქნა უთავბოლო გეოგრაფიული მსჯელობა ამ უკუნ ღამეში. ისევ ლევანმა იკისრა კოლუმბობა: შედგა რაღაც ბექობზე და გამოგვიცხადა, რომ ხელმარცხნივ, ე. ი. ჩრდილო-დასავლეთით ქალაქის სინათლე მოჩანს, სადღაც მაზლობლად ძაღლი ჰყეფს და საერთოდ სახიფათო არაფერია — მივდივართ არა ჩხარისაკენ, როგორც ბევრს გვეგონა, არამედ სწორედ იქით, საითაც საჭიროა, ე. ი. ქუთაისისაკენ... მართლაც, ნახევარი საათის შემდეგ უკვე საფიჩხიის დაღმართზე მოვრახრახებდით და მეთორმეტე საათი იყო, სასტუმრო „ქუთაისთან'' რომ დავდექით.

ასე დასრულდა ჩვენი მოგზაურობა იბერიიდან კოლხეთში.

სასტუმროში, რა თქმა უნდა, ადგილი არ აღმოჩნდა, ჭომასაკენ ვქენით პირი. აქ ალიოშას უფროსი და ივტიდორა, სიძე იოველ საყვარელიძე და დისწული ბუჭუ (ქუთაისის თეატრის მსახიობი) ცხოვრობენ საკუთარ სახლში. ...წამოვყარეთ ლოგინიდან ნამძინარევი მასპინძლები. მესამე საათი იყო დაწყებული, როდესაც ნავახშმევი მივწექით — ზოგი იქვე სახლში, ზოგი ბაღში, მშვენიერ მოლზე, და ზოგიც თავაზიანი მეზობლის ოჯახში. უკვე გამოვიყენეთ მთამსვლელთა [illegible], ჩემი ორი ნაბადი და გოლიათურ ძილს მივეცით თავი.

21. VI ქუთაისი. ჭომა.

..დილით ბაგრატის ტაძარზე ვიყავით ყველანი: ექსპედიცია არ ღალატობს იმთავითვე აღებულ ისტორიულ-არქეოლოგიურ გეზს. მთამსვლელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს ამბები ყველას გულწრფელად და თითქოს შეგნებულად აინტერესებთ. ალიოშაზე და ლევანზე მე, რა თქმა უნდა, აღარც ვლაპარაკობ... დიდი ღვაწლი ამგვარი სულისკვეთების შექმნაში სწორედ ალიოშას მიუძღვის, ნამდვილ პატრიოტსა და ინტელიგენტს ქართველ კაცს, ძველ ქუთათურს.

წყალტუბოდან სათაფლიის სტალაქტიტებიანი გამოქვაბულისა და „იგუანოდონის ნაკვალევის'' სანახავადაც გვინდოდა წასვლა (ამაზე უკვე ბურჩაკმა გამოიდო განსაკუთრებით თავი), მაგრამ პეტრე ჭაბუკიანს ვერსად წავაწყდით ქუთაისში და გამოქვაბულის ჭიშკრის გასაღები კი მასა ჰქონია.

...ნასადილევს ჩვენი ავტობუსით მესხიშვილის თეატრში მივგრიალდით და „ყვარყვარეს'' ბოლო ორი მოქმედება ვნახეთ. დროებითი მთავრობის კომისარს თამაშობდა (და საცხებით რიგიანადაც თამაშობდა) ბუჭუ საყვარელიძე, მან წინასწარ გაგვაფრთხილა, წარმოდგენა მოძველებული და ძალიან მოშლილიაო. ჩემს გარდა ყველამ დაიწუნა, მე კი ზოგი რამ მოსაწონით დავინახე (არაფერი არ უშავდა თუნდაც ყვარყვარე-კაკუტა-ქუჩარას სამეულს — აბესაძეს, გვენცაძესა და ბვიჩიას). რა გაეწყობა, გემოვნების საქმეა და თანაც იმისი, რომ „პროვინციალურ'' თეატრში ბევრს აუცილებლად მიაჩნია ტუჩის აბზუება.

22. VI. ვანი.

დილას თბილისის მატარებელს ჩამოჰყვნენ ალექსანდრა და დედა მათი. დავუხვდით „საკუთარი'' ავტობუსით, ალიოშა ჭომაში გველოდებოდა. ბავშვივით შეჰლიმა დედას (რომელსაც მხოლოდ გუშინწინ დაშორდა). დაეყრდნო მანქანის ნაპირს, თვალებში შეაჩერდა და თავისებურად, ალერსიანად „შეჰბუზღუნა'', „რავა ბრძანდები, ხო არ დეიღალე?'' ერთი წუთით შევასწარი ამ სურათს თვალი და რაღაცა ძალიან მესიამოვნა... ზოგჯერ ასეთ წუთებში თავითფეხამდე შეიცნობ ადამიანს კაცი, რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო მომწონს ეს სიმპატიური, ნამდვილი ქართული ოჯახი, მისი ყოველი წევრი და განსაკუთრებით კი

---

1 გიორგი ლომთათიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიური ფაკულტეტი, შემდეგ კი განაგრძო მოღვაწეობა ისტორია-არქეოლოგიაში.

1 ამჟამად, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ტარიელ საყვარელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი „დიდი ბავში" — სიბერემდე რომ ბავში იქნება და თანაც მუდამ ფულადიანი ვაჟკაცი — ალიოშა. ოჯახში უფროსი ძმის, სიმონის კულტია გამეფებული: ყოველ კედლიდან იმზირება მისი ლია, ვაჟკაცურად ლამაზი ქართული სახე (ალიოშა არა ჰგავს, სიმონი მართლა ლამაზი კაცი ყოფილა). წარმომიდგენია, ისიც რომ ცოცხალი იყოს, რა სანახავი იქნებოდა ეს და-ძმა?

ალექსანდრა, ჩანს, წამოგვყვება ხვამლში: დედა მოკეთებულია და შეიძლება რამდენიმე დღის შემდეგ მისი ჭომაში დატოვება. ეს კიდევ უკეთესი. ალექსანდრა სულ სხვა სტილის ქალია, თითქმის რომ არაფრითა ჰგავს ალიოშას (მხოლოდ სიმარჯვითა და უშიშროებითაო, ამბობენ) და მით უფრო კარგად ავსებენ ისინი ურთიერთს. ნათელი გონებითა და სრული სიდინჯით მხიბლავს კაცს ალექსანდრა და თავისი დაუდეგარი, ხშირად დაუდევარი უმცროსი ძმისადმი უსაზღვრო, თითქმის დედობრივი, სიყვარულითა და მზრუნველობით...

...თითქმის 8 საათი იყო, ქუთაისიდან რომ გამოვედით. წამოსვლის წინ ვინახულეთ რაიკომის მდივანი გაბრიაძე, რომელიც თითქოს ძალიან დაინტერესდა ჩვენი ექსპედიციის მიზნით და გვთხოვა ასვლის დღე ვაცნობოთ — „მოვალ და შემოგხვდებითო". ქუჩაში შეგვხვდა ალიოშა იაშვილი — ერთი იმ ქუთათურ მთამსვლელთაგანი, რომელნიც 1939 წელს ახლდნენ ალიოშას და ახლაც უნდა წამოგვყოლოდნენ ხვამლში. გამოირკვა, რომ ვერცერთი ვერ მოდის და ამრიგად ჭერჭერობით თბილისიდან წამოსული ათეული ვრჩებით...

...სვენებ-სვენებით, თითქმის ყოველ წყაროსთან შეჩერებით მოვდიოდით; მექვენაში რომ ამოვედით, მზე უკვე კარგა იყო გადაწვერილი (სხვათაშორის, იმ ადგილს, სადაც დუქნები და ფოსტაა, სადაც ყოველთვის ყველა მანქანა ჩერდება (ჩემი ორგზის რაჭაში მოგზაურობა გამახსენდა) და ჩვენც ჩამოვხტით, თურმე „ვანის ქალა" რქმევია და არა მექვენა, სოფელი მექვენა კარგა მოშორებითაა, ქვემოთ, ფერდობზე შეფენილი).

...მანქანა შევაყენეთ კოლმეურნეობის საწყობში და ბარგი გადმოვტვირთეთ, ნაწილი ნაქირავებ ოთახში დავტოვეთ დროებით, უმეტესობა კი ორ ჩოჩიალა ურემზე დავაკარით, დიდრონ-დიდრონი ზურგჩანთები წამოვიკიდეთ და ყიჟინითა და სახრეების ტლაშუნით შემოვუდექით დაკიდებულსა, ძლიერ დაკეცილს, ვიწროსა და ოღროჩოღრო, გოხიან-ლორღიან გზას. სოფელი ვანი არსებითად თურმე მექვენის ერთერთ გარეუბანს წარმოადგენს, შარაგზიდან იგი თითქოს ახლოს (თუმცა კი საკმაოდ მაღლა) გვეჩვენა და დარწმუნებული ვიყავით, რომ, ბევრი, ბევრი, საათნახევარში ამოვიდოდით იქა, მაგრამ „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო". ისეთი გასაჭირი დაადგათ საცოდავად გაქუცულ ხარებს, რომ ყოველ მოსახვევზე ვჩერდებოდით და ვისვენებდით, ურმის თვლებს წარამარა ვეძებდით (განსაკუთრებით ბუმბერაზმა ლევანმა და ძარღვიანმა ალემ ისახელეს ამ საქმეში თავი: მე ჩემი „ჭაჭებისაგან" დაშინებული ისე ვეღარ „ვბუმბერაზობდი", როგორც გიოლოგობის დროს მჩვეოდა), ყვირილით ვაქეზებდით და ამრიგად საათში ხუთას მეტრს თუ გავდიოდით, მეტს ვერა. ჩვენი ყრმა მეურმე, ფრიადოსანი მოწაფე ჟორჟიკა ნემსაძე თავგამოდებით დაჰკიჟინებდა თავის „ნისლასა" და „წიქარას", მაგრამ ამაოდ. რაღაცა ჯოჯოხეთური გზა გამოდგა — გაზაფხულის ნიაღვრის ნადენს უფრო ჰგავდა, ვეება ლოდებით მოფენილი. კიდევ ჩვენი ბედი, რომ მთვარე დაგვკაშკაშებდა თავზე, თორმეტ საათს ბევრი აღარა უკლდა რა, როცა ჩვენი ამალამდელი მასპინძლის, ალიოშას ძველი ნამასპინძლარის, თეთრულვაშა და წელწვრილი ლეჩხუმელი „აზნაურშვილის" ივანე ნემსაძის ჭიშკარი შემოვაჭრიალეთ, ორმოციოდე ნაბიჯი გამოვიარეთ მშვენიერი მოლით დაფარულს, ულორლო და ვაკე ეზოში და სული ამოვითქვით. ნაბდებსა და საძილე ტომრებს ფასი დაედო. ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა ხვამლის კირქვების სამეფოსთან, თითონაც მკაცრად დაგვყურებდა მთვარისაგან თეთრად გაქათქათებული და ოდესლაც მისგან ჩამონაზვავი ლოდები, რომლებიც ოფლს გვადენდა, გვაბორძიკებდა და ფეხებს გვიბეგვავდა, შეიძლება ითქვას, რომ უკვე ჩავებით ხვამლთან ბრძოლაში.

გემრიელად კი დაგვეძინება!... ივანემ, აშკარა ხელმოკლეობის მიუხედავად, ხაჭაპურებითა და თეთრი ღვინით დაამშვენა ჩვენი „ამერიკული" სუფრა და, სწორე ითქვას, დიდად გვაამა, სამაგიეროდ, ისიცა და მისი წვრილშვილიც მადიანად შეექცნენ „ჰორიკს" და ტკბილ გალეტებს.

28. VI. ხვამლი. ქვედა ქვაბული.

დილას ალიოშა და გოგი ქუთაისს გაემგზავრნენ მანქანით... ჩვენ უიმათოდ გამოვემართეთ ხვამლისაკენ. ამ დილას ალე ნემსიწვერიძემ ითავა საორგანიზაციო საკითხების გაძღოლა: სათავისოშია და ისაა უკვე მთავარი „მასპინძელი". აქამდე ჩუმად იყო, ახლა კი უკვე ფხაც გამოიჩინა და ხშირად ნაპერწკალსაც ჰყრის, გადაიცვა თავსა და ხელებზე მეფუტკრის ბადე-ხელთათმანები, ნაჩვევი კაცის სიმარჯვით დაუარა ივანეს „ბუკებს" და, იცოცხლე, ჩავიკოკლოზინეთ დილის ჩაიზე ყელი ფიჭიანი თაფლით; ისეთი მშვენიერი ყვავილოვანი მინდვრები ბიბინებენ ხვამლის კალთებზე, რომ სრულიად არაა გასაკვირი აქაური თაფლის სურნელი, გემო და სიტკბო...

ბარგი ახლა უკვე „ფრჩხილიან" მარხილებზე

დავაკარით, ერთი კეხიანი ცხენიც დავტვირთეთ, თავადაც ულმობლად დავიზურგეთ და შემოვუდექით მთის გზას, თითქმის გამუდმებული მარწყვის კრეფა-ჭამით ამოვედით „ვაკე-ხარიჭირაზე, გადმოვლახეთ ქორენიშლების მიერ შემოღობილი საყანე ახო და დავადექით სოფ. ტვიშიდან იქაური კოლმეურნეობის ფერმისაკენ, ხვამლის კლდის ძირს გასწვრივ მაღალ ბუჩქნარში მიმავალს, თითქმის საურმე გზას. ჩვენს სანუკვარ ქვაბულებს რომ გავუსწორდით, გავჩერდით ზემოდან მოგლეჯილი ერთ-ერთი უზარმაზარი ლოდის ძირში, გადმოვტვირთეთ ბარგი, გავისტუმრეთ ცხენ-ურემი და დიდხანს ვისვენებდით, დიდხანს ვიმზირალებდით ულმერთოდ ჩამოღვარულ ოფლს. მერე ლონეზე მოსასვლელად სამ-სამი შოკოლადი მივირთვით, თითოეულმა ჭიანჭველისებური ბარგი წამოვიკიდეთ, ღმერთი ვახსენეთ და შემოვუდექით აღმართს. ნაცად ალპინისტებს მაინცდამაინც თითქოს არ გასჭირებიათ ჭიანჭველობა და მე კი — ცოდვა გამოტეხილი სჯობს — დამძალა ტვირთმა და თითქმის ორ საათს მოვბობღავდი — ხან შქერის ბუჩქებს ვებღლაძუნებოდი და ხან კი სრიალა ბალახით დაფარულ კლდეზე ვცოდვილობდი.

...ქალებს უკვე „მოეწყოთ" ჩვენი ბინა თუ ბუნაგი და რომ ამოვედი, ხის ქერქის ღარს უდგამდნენ წყაროს, მე ხმელი შეშის მოგროვება და ცეცხლის ანთება ვიკისრე. საამისოდ, მადლობა ღმერთს, შორს არსად დამჭირებია წასვლა და არც როდის დაგვჭირდება, თუნდაც ერთ წელიწადს დავრჩეთ აქ. საღამოს რვა საათისათვის უკვე ყველა ამოსული იყო და ვინაიდან წამოღებული ბარგიც ამოზიდული (ცარვები და ზოგიც სხვა რამ ივანეს დავუტოვეთ — ხვალ ჯაფარიძეები ამოვლენ და წამოიტანენ). ასე რომ „დავივანეთ" მღვიმეში, გავზდით ტროგლოდიტები და ესაა!...

ჩვენი ბუნაგი წარმოადგენს კარსტულ ქვაბულს, რომელიც მდებარეობს ჩვენს საბოლოო მიზნის ამოშენებულ ქვაბულის ქვემოთ (ორმოცდაათიოდე მეტრით), ცოტა უფრო აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან დაახლოებით 1670 მეტრის სიმაღლეზე. სწორედ აქ ტყდება მკვეთრად ხვამლის კლდის რელიეფი და რუკაზე თავდება იზოჰიფსების ბატონობა. აქამდე გაჭირვებისას ცხენსაც კი ამოიყვანს კაცი, ამაზე მაღლა კი — ნურას უკაცრავად — ხვლიკის მეტი ველარაფერი ივლის. შვეულად დაყუდებულა 800 მეტრის სიმაღლეზე, ალაგ-ალაგ გამოზნექილი შიშველი მასივი და, რაც არ უნდა გადაიგდო კისერი, ძირიდან თავამდე ვერ შეგიწვდება თვალი — ასიოდე ნაბიჯით თუ განზე არ გადექი (მე მგონია, ამ კედელზე აცოცება მთამსვლელებსაც გაუჭირდებათ, ძალიან (რომ მოინდომონ. ალიოშა ამასაც მოახერხებს, საქმე რომ იყოსო, მეუბნებიან, მაგრამ თანაც დასძენენ, ის ხომ კაცისშვილი არ არისო), სწორედ ამ მასივში, უფრო ქვემო, ვიდრე ზემო ნაწილში, [illegible] რამდენიმე მეტ-ნაკლები ზომის ქვაბული და უდიდესი მათგანი ამოუშენებიათ ჩვენს მოუსვენარს თუ არმოსვენებულ წინაპრებს. იქითკენ რბის ჩვენი გონება, იქ ჩავწერ ალბათ ამ დღეებში ჩემს დღიურს. ვნახოთ, რას გამოიმეტებს ჩვენთვის ბედი. ისე კი უნდა გამოვტყდე: მე, როგორც უკვე საკმაოდ გაძაღლებული არქეოლოგი, ძალიან ცოტას რასმე მოველი და თუმცა ძალიან ვცდილობ გარშემო არავის მოვუწამლო ჩემი სკეპსისით გუნება (განსაკუთრებით მერიდება ცეცხლივით ანთებული და დიდი ამბების მოლოდინში ხმალივით შემართული ალიოშასი), მაინც შიგადაშიგ ყვავსავით გავჩხავი. თავად ასვლის პროცესისა და იქიდან ცქერის პერსპექტივა უფრო მხიბლავს — ჩვენ შორის დარჩეს!...

ასე და ამგვარად: ჩვენი ქვაბული უსწორმასწორო მოყვანილობის, შიგნით საკმაოდ სწრაფად, ბრტყელ-ძაბრისებრ შევიწროვებულ სიღრუეს წარმოადგენს. ძირითადად იგი ბუნებრივი, კარსტულია, მაგრამ თან აქა-იქ უთუოდ განზრახ გაფართოებულიც. ჭერზე კარგად ეტყობა ადამიანის ხელით აზლეჩილი, აწერაქვებული ფენები, გასაგებიცაა: ჯერ ახლა ძლივს ვიმართებით შიგ (ისიც მხოლოდ შესავალის ახლოს) და გაუფართოვებლად ხომ უფრო გაჭირდებოდა. ეს პირველი ნიშანია იმისა, რომ ამ ქვაბულში დიდხნობით უცხოვრია ადამიანს. ქვაბულს წინ ხ ვეებერთელა ლოდი აფარია, ისინი რამდენადმე აბნელებენ ბინას, მაგრამ თან ქარის სუსხისა და ალმაცერი წვიმა-თოვლისაგან კარგად დაიცავენ მას, ქვაბულის ჭერს ალაგ-ალაგ კირქვის ნაღვენთი ქერქი აკრავს, თუმცა ამჟამად წყალი არსაიდან ჟონავს და სიმშრალეა. იატაკი მოფენილია კირქვის (მაგარისა და მკვრივის — ტიპიური „უნგონული ფაციესის" მეიფე ქანის) ბრტყელი უსწორმასწორო ნაგლეჯებით, რომელნიც ნაწილობრივ ჩაფლული არიან მოშავო ნიადაგის საკმაოდ სქელ ფენაში, ბლომად ჰყრია (ზედაპირზე მოუჩიჩქნავად) ცხოველების — ღორის, ცხვრის და სხვ. ძვლები (ახალი) და ცხვრისა თუ თხის დენგრა. კარგა ხანს დასჭირდათ ჩვენს ქალებს იატაკის გვაცხადია, ისტორიასა და არქეოლოგიასაც რომ მოვეშვათ, ქვაბული ამჟამადაც ხშირად უწევს თავშესაფრობას მწყემსებსა და მათ ფარებს ავდარში, ცეცხლის ნანთები და შებოლილი ქვებიცაა რამდენსამე ადგილას...

საფიქრებელია, რომ ამ ქვაბულში ის ხალხიც ივანებდა თავის დროზე, რომელსაც ჩვენსავით ზედა ქვაბულებში საძრომად ჰქონდა საქმე (ამოშენება, დასამალავი საუნჯის აზიდვა და სხვ.).

სანოვაგის გასაშლელი ადგილისათვის მიწის მოსწორებისას წერაყინებმა მრავლად ამოყარა, სულ ზედაპირულივე ფენიდან, აგურისა და წითელი კერამიკის ნატეხები, კერამიკაში ყურადღებას იპყრობს მოზრდილი ქოცოს თუ პატარა ქვევრის ყელის ნაწილები, რომელთაგანაც ყელის მთლიანად აღდგენა შეიძლება (d 25-მდე სანტ.; ნაპირის სისქე —6—7 სანტ.). არის „თოკისებრი" სარტყულებისა თუ პირსირგვლივი ორნამენტის მქონე ფრაგმენტებიც. აგურები მთელი ჯერჯერობით არცერთი არა ჩანს. ყველა ნატეხი მეტნაკლებად ნაგორებ-გარშემოლესილია (წყლისაგან, მაგრამ სად უნდა ეგორებინა ისინი წყალს ამოდენა მანძილზე?).

როგორც ჩანს, ყველაფერი თუ არა, ეს აგურები მაინც ზედა ამოშენებული გამოქვაბულიდან უნდა მომდინარეობდნენ. და აი, ნაგორებობის მიზეზიც.

დავბანაკდით. ცეცხლი დავანთეთ და გემრიელად შევექეცით ჩვენ პირველ სამთო ვახშამს. ჩვენი „წყარო" სწორედ ნაშენი გამოქვაბულიდან გადმოწანწკარებს, უფრო სწორედ, გადმოშხეფს და ამ ადგილას კლდის ძირში გავლა სიცხეში საკმაოდ საამურსა და ხანგრძლივ შხაპს წარმოადგენს. ჩვენ უკვე საკმაოდ მაღლა ვიმყოფებით და საკმაოდ ხშირად ეხვევა ჩვენი კლდისძირი ხვამლის ცნობილ ნისლში (თუ ხვამლმა სალამოს ბური დეიხვია, მეორე დღეს კაი ამინდი იცისო, ამბობს ალე ნემსიწვერიძე), მაგრამ როცა ნისლი გაიფანტება, ჩვენ თვალწინ მომხიბლავი სანახაობა იშლება: ვიწრო რაღაცა სარტყელივით მიიკლაკნება მღვრიე რიონი და მის აქეთ-იქით ტყიან, ვენახიან ფერდობებზე ლეჩხუმისა და იმერეთის სოფლები, შორს ქუთაისი მოჩანს.

მშვენიერი მთვარიანი ღამე დადგა. ჩვენზე გაცილებით დაბლა მკვრივი ქულა ღრუბლები დალაგდნენ და სავსებით დაფარეს ვაკე ადგილები. სრული შთაბეჭდილებაა იმისა, რომ ზღვის სანაპიროს გადავყურებთ მაღლიდან, მოზვავებულ ზვირთებს და ნაპირის კლდეებზე აქაფებულ წყალს. ერთიღა გიკვირს კაცს: რატომაა ასეთი სიჩუმე, რატომ არ ბრდღვინავენ და არ ბობოქრობენ ამოდენა ზვირთები?.. საოცარი სილამაზე იყო და დიდხანს ველარ მოვწყდით, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დაქანცულები ვიყავით და თითქოს ძილმორეული.

24. VI. ქვედა გამოქვაბული.

მშვენიერი ამინდია. თანახმად ალიოშას დანაბარებისა, ჩვენ დროს არა ვკარგავთ და შევუდექით მოსამზადებელ მუშაობას. ალე, ლევანი, სიმონი და ბურჩაკი კლდის დასავლეთიდან გარშემოვლით ავიდნენ ხვამლის მთის თავზე, აიტანეს თოკები და დაიწყეს ზემოდან ჩამოშვება. ძირს დარჩენილნი შევკივინებდით მთაზე ასულებს და გაფაციცებით შევყურებდით პიტალო კლდეს — ან ახლა ჩამოცოცდება თოკი, ან ახლა, თვით ამხანაგებს კი ვერ ვხედავდით, რადგან კლდე [illegible]მად გადმომფარებოდა თავზე ჩვენს [illegible]ფელს. ხმასაც ვერ ვაწვდენდით, სანამ ერთი ჩვენგანი ძირს, ბუჩქნარში არ ჩავიდა, ჩვენგან ძლიერ მოშორებით, განზე მდებარე კლდის ნაგლეჯზე არ შეძვრა და ამრიგად „საჰაერო კავშირგაბმულობა" არ მოაწყო.

მათი წასვლიდან 3-4 საათის შემდეგ ჩვენი გამოქვაბულის წინ ატყდა 300 მეტრის სიმაღლიდან ჩამოცვენილი ქვების ზუზუნი და შხუილი, ეს იყო იმის ნიშანი, რომ ზემოთ ასულებმა დაიწყეს თოკის ჩამოშვება. გამოვედით გამოქვაბულიდან და დავიკავეთ ქვემოთ სხვადასხვა ადგილები, რათა დაგვენახა თოკის მიმართულება და ქვევიდან შეძახილებით გაგვესწორებინა თუკი იგი სწორე არ ივლიდა, დაიწყო გაუთავებელი და თითქმის უშედეგო კივილი, ქარი ფანტავდა ხმას და ზევითურებს ჩვენი არაფერი ესმოდათ, თოკი არსად გამოჩნდა. დავეჭვდით, რომ თოკი სადღაც გაჭედილა და ქვემოთ ველარ მოდის. სალამოს ყველანი მოღლილ-მოქანცული ჩამობრუნდნენ. თოკი გადმოეგდოთ, მაგრამ იქვე, სულ ახლოს გაჭედილიყო კლდის ნაპრალში და რამდენსამე საათს მის გამოძრობასა და უკვე აზიდვას მონდომებოდნენ.

ჩვენც ჩვენს გამოქვაბულში შემოვრგეთ თავი.

სალამოს ამოვიდნენ ალიოშა, ალექსანდრე და გოგი. ალიოშა დიდად შემოსწყრა მარცხის გამო მეთოკეებს, მაგრამ მალე დაშოშმინდა. საერთოდ, იგი ხშირად ფიცხდება, მაგრამ სწრაფად ნელდება ხოლმე. სულ უფრო და უფრო მომწონს ეს კაცი, უაღრესად თავისებური, დიდი შინაგანი დაძაბულობისა, ცეცხლისა და ბევრ რამეში ბავშვური გულის მქონე, მაგრამ თან სრულიად დაულაგებელი, თითქმის ქაოტურია. ალექსანდრა მისი შემავსებელია და მხარდამამშვენებელი — დინჯი, გამოზომილი პრაქტიკული და გულთბილი. მშვენიერი ქართველი და-ძმის წყვილია. გადაუჭარბებლად შეიძლება ამის თქმა.

25. VI. ქვედა ქვაბული.

ამინდი აირია. დასავლეთიდან, ხვამლის კლდის გარშემოვლით შემოგვესია ჯერ ბურუსი, მერე სქელი ღრუბელი და დაიწყო წვიმა. მოვემწყვდიეთ ქვაბულში. ცეცხლი გუშინ გარეთ გვენთო და ახლა კი შიგ ქვაბულში დავაგუზგუზეთ. გაჩაღდა ჭადრაკის თამაში, ლევანის ხელნაწერი პიესების კითხვა-განსჯა და სხვა წიგნების კითხვა. ქალები დიასახლისობდნენ. იყო სხვადასხვა ამბების მოყოლა და მსჯელობა. რასაკვირველია, ყველაზე საინტერესო ექსპედიციის ხელმძღვანელის ნაამბობი იყო ხოლმე — კავკასიისა თუ პამირის მწვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვალების დაპყრობისა და ჩვენი მთამსვლელების შეუპოვრობისა და ხშირად არაჩვეულებრივი გულადობის ამბები. მიუხედავად მისი სიტყვა-ძუნწობისა და გადამეტებული თავდაბლობისა, მაინც სულგანაბული ვუსმენდით ალიოშას. არ შეიძლებოდა ამ ძლიერი ადამიანისადმი დიდი პატივისცემით არ გამსჭვალულიყავით. მისი და მისი თანამებრძოლების საოცარი თავგადასავლის მოსმენის შემდეგ ჩვენი მომავალი თავგადასავალი უკვე ბავშვურ თამაშობადღა გვეჩვენებოდა და კიდევ უფრო მოგვდიოდა გული გაჭიანურებული უამინდობისა და იერიშის დაგვიანების გამო.

ერთი საღამო „ვეფხისტყაოსნის“ კოლექტიურ კითხვას მოვანდომეთ. ხვამლის ციხის ძირას უჩვეულო სიმძლავრითა და გულში ჩამწვდენი სიცხოველით გაისმოდა ქაჯეთის ციხის იერიშის ამბავი. ხშირად ასეთ გარემოცვაში განსაკუთრებით აფასებს კაცი ბავშვობიდანვე ნაცნობსა და შესისხლხორცებულ სტრიქონებს დიდი მწერლისა.

...ნაშუადღევს ცოტა გამოიდარა და ალიოშა, ალექსანდრა, გოგი და ალე ავიდნენ ხვამლის თავზე. ალიოშას მოუხდა გადმოგდებულ-გაჭედილ თოკზე ჩამოცოცება და თოკის გათავისუფლება...

26. VI. ქვედა ქვაბული.

ისევ ბურუსიანი ნოტიო დღეა, შუა დღეს თითქმის ყველანი წავედით „პირლია“ ქვაბულის დასათვალიერებლად, რომელიც მდებარეობს ჩვენი ამჟამინდელ ბინისა და თვით ნაშენი ქვაბულის ალმოსავლეთით, ორასიოდე მეტრის მანძილზე და თითქმის იმავ სიმაღლეზე, რაც ნაშენი ქვაბული. იგი მართლაც ვეება დაფჩენილ პირსა და ხახასა ჰგავს. ქვაბულში ზამთრის სუსხი სუფევდა. ჩვენმა მეგზურებმა გვითხრეს, რომ მახლობელ სოფლებში თუ ვისმეს დიდსიცხიანი ავადმყოფი ჰყავს ზაფხულში, ამ „პირლია“-დან მიაქვს ხოლმე შუბლის გასაგრილებელი ყინული. ქვაბულის ჭერზე კირქვის ნაწვეთი და ნალვენთი ქერქი იყო აკრული, ხოლო აქა-იქ მოზრდილი სტალაქტიტებიც ეკიდა. გარდა მთავარი, ყველაზე ღრმად მდებარე ქვაბულისა, მის აქეთ-იქით არის უფრო მომცრო ქვაბულებიც და მათ შორის აქა-იქ აშკარად ხელოვნურად გამონაკვეთი ბილიკ-საფეხურები საქონლის (თხის და სხვ.) თავშესაფარიც არა ერთხელ ყოფილა. მთავარ ქვაბულში დაგვხვდა ყინულის ორი მოზრდილი სტალაგმიტი. ერთი წესიერი წოწოლა კონუსი, ხოლო მეორე — სიგრძივ სანახევროდ და ზუსტად ჩამოთლილი კონუსი. ყინულის სტალაქტიტები არ ჩანს. ბევრგან ჟონავს ჭერიდან წყალი, მაგრამ კირქვის სტალაქტ-სტალაგმიტებიც არსადაა აშკარად გამოსახული, მხოლოდ დანაოჭებულ-კბილოვანი ქერქი აქვს აკრული ჭერსაცა და იატაკსაც, სპელეოლოგიურად ქვაბული საინტერესო ჩანს, მაგრამ არქეოლოგიურად კი ვერაფერია.

საათნახევარში მოვბრუნდით „შინ“. ისევ გაწვიმდა და გაჩაღდა წიგნის კითხვა და ჭადრაკის თამაში. განსაკუთრებით ერკინებიან ერთმანეთს ალიოშა და ლევანი. აზარტს აძლიერებს და საყოველთაო ყურადღებასაც სჭიმავს ის, რომ შოკოლადზე არიან დანაძლევებული და ლევანი (რომელიც აშკარად სჯობნის) პატიოსნად უნაწილებს ყველას მოგებულს. საერთოდ შოკოლადი დიდად პოპულარულია ექსპედიციის წევრთა შორის და ცნობილია „ტრადიციის“ სახელით (ლევანმა აქცევინა ტრადიციად ალიოშას ყოველი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნა შოკოლადით პირის ჩატკბარუნებით). არის ერთი ხუმრობა-ყიჟინი ყუთის ყოველ გახსნაზე და კამათი დასარიგებელი რაოდენობის შესახებ.

27. VI. ქვედა ქვაბული.

მოთმინების ფიალა აგვევსო და თანაც ალექსანდრამ ამინდის შედარებით გამოსწორება გვიწინასწარმეტყველა. ნაშუადღევს გოგი და ალე გაემართნენ ხვამლის თავზე, რათა საბოლოოდ მოაგვარონ თოკის გადმოშვების საქმე. საათნახევარში უკვე ზედ ნოექცნენ. ორივე საოცრად მარდია და შეიქნა ისევ შეყვირილ-ჩამოყვირილი. თან წაიღეს რკინის დიდი ჭალი, რომელიც ალიოშამ ქუთაისში გამოართვა ამ მიზნით რომელიღაც დაწესებულებას და რომელიც გზად მდებარე ტვიშის ფერმაში გვქონდა მიბარებული. ისე მოსაღამოვდა, რომ თოკს არაფერი ეშველა. მისაშველებლად გავუგზავნეთ ჩვენი ერთ-ერთი მუშა, ვანელი რეზო ბანძელაძე. ეტყობა, მოიქანცნენ და დაანებეს თავი. ქვების ცვენაც შეწყდა და ძახილიც. ეტყობა, ღამეს ხვამლის თავზე გაათევენ. ასედაც ჰქონდათ განზრახული.

...ალიოშამ სისხამ დილას წამოგვყარა ყველანი საძილე ტომრებიდან, რადგან გამოდარებული იყო და ადრევე ელოდა ზევითურების ნიშანს. მართლაც, მალე ისევ შეიქნა შეყვირილ-ჩამოყვირილი. ქვემოდან შეძახილებით ცოტა კიდევ გადავანაცვლებინეთ თოკის ჩამოშვების ადგილი და ისევ დაიწყო ხანგრძლივი ლოდინი. ბოლოს, დაახლოებით 9 საათზე, გათხელებულსა და სანახევროდ გაფანტულ ბურუსში, როგორც იქნა, გამოჩნდა სანუკვარი თოკი. გამოჩნდა, როგორც ღვთის მიერ ბოძებული რამ. დინჯად და ზუსტად ჩამომავალი. ეცნენ ალიოშა, სიმონი და ლევანი, ჩაებღაუჭნენ, ჩამოსწიეს მიწამდე და ამრიგად დასრულდა პირველი სტადია ჩვენი „ციხე-ქვაბულთან“ დაკავშირებისა. თოკის კიბეები წუხელისავე, სანთლის შუქზე დავჭიმეთ. შევამოწმეთ, სადაც საჭირო იყო, გავამაგრეთ, ზოგან საფეხურები დავამოკლეთ, შუაში სათადარი-

გო თოკი ჩავაყოლ-ჩავაგრიხეთ, ორი ცალკე კიბე ერთმანეთს გადავაბით და ამრიგად უკვე მზადა გვქონდა. ახლა ეს კიბე მივათრიეთ ჩამოშვებულ თოკთან და მაგრად ჩამოვაბით ზედ, შემდეგ შევძახეთ და ზევითურებმა ნელ-ნელა ისევ ასწიეს თოკი, მანამ, სანამ კიბის თავი თაროს არ დაუსწორდა და კიბე მთლად არ დაიჭიმა... თურმე კიბის აწევაზე რომ მიმდგარიყო საქმე, მთაზე მყოფი მეჯოგეებიც დაეხმარებოდნენ და თურმე ხუთი ვაჟკაცი ძლივს ეზიდებოდა, ისეთ ტვირთად ქცეულიყო თვალშეუწვდენელ კლდეზე ჩამოკიდებული საბელი და ზედ მიბმული საჯამბაზო კიბე.

დავუწყეთ ლოდინი ხვამლის თავზე მყოფ ამხანაგებს. წარმატებით ფრთაშესხმულნი (მიუხედავად იმისა, რომ წინა საღამოს იყვნენ მთაზე ასული და იქვე ნამდვილ „ალპურ" სიცივეში ლამენათევი), ისინი ერთ საათში გამოგვეცხადნენ ქვედა ქვაბულში. ასე იყო თუ ისე, შუადღისათვის უკვე გაიმართა გზა, რომლითაც საბოლოოდ უნდა შევსულიყავით „მთავარ ციხეს", მისი შემხედვარე კაცი ძალაუნებურად დაფიქრდებოდა იმაზე, თუ რა ძნელი და თითქმის შეუძლებელიც უნდა ყოფილიყო ამ ციხის აღება ძველად, როდესაც შიგ ალბათ მართლაც ინახებოდა საქართველოს „მეფეთა საგანძური", რომელსაც რჩეული რაზმი ეყოლებოდა მიჩენილი. მტერი ახლოსაც ვერ მიეკარებოდა საგანძურს, ბუნებისაგან ნაბოძებს შეუვალ საფარს რომ მარჯვე და უშიშარი ვაჟკაცების თავდადებაც დაემატებოდა.

— ჩვენ თუ ამ კიბეზე ავედით, ვითომ ნახევარი ცხოვრების გზა გაგვივლია! — ხმადაბლა გადმომილაპარაკა ექსპედიციის ერთერთმა ყველაზე უფრო ახალგაზრდა წევრმა გეოგრაფიის მასწავლებელმა ელიკო აბაშიძემ. მთელს ექსპედიციაში მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით სამთამსვლელთა ჯამბაზობაში გამოუცდელნი და ამიტომ სწორედ მე გამიზიარა მან ქალიშვილისათვის სავსებით ბუნებრივი შეშფოთება. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ, როცა მისი რიგი მოვიდა, იმ ქალიშვილმა მშვენივრად დასძლია ყოველგვარი „თუ" და საუკეთესოდ ჩააბარა გულადობის გამოცდა.

...ჩვენი ბანაკი უკვე აწრიალებული იყო... ხალხი შეფრთხიალდა და დაიძაბა. ჩამოიშორა ნესტიანი ქვაბულის ატმოსფერო. მერე ალიოშა და ლევანი ისევ ჭადრაკს ჩაუსხდნენ, სანამ ზევითურები ჩამოკლდებოდნენ ასე გასტანა შუადღემდე. 12 საათს რომ გადასცილდა, ზევითურებიც ჩამოვიდნენ, ვისაუზმეთ და ალიოშამ დაიწყო მზადება. პირველმა, რა თქმა უნდა, ალიოშამ შედგა კიბეზე ფეხი. ის კვლავინდებურად აჯაც ავის უყოყმანო გაბედულებას, სიმარჯვესა და სიხხარტეს დაენდო, თორემ 300 მეტრის სისქე თოკით ჩამოკიდებულ კიბეს, რომელიც იალქანივით ქანაობდა და თრთოდა (მიუხედავად იმისა, რომ კლდის ვეება ნაგლეჯზე იყო დამაგრებული [illegible] მაშაკაცი ვეჭიდებოდით და [illegible]) სამწუხაროდ ზოგი რამ მოულოდნელი თუ მოსალოდნელი მარცხი მოეტანა ზედ მავალისათვის... ალიოშამ დინჯად, ერთნაირად დაძაბული ნაბიჯით, საფუძვლიანი ხვენებ-ხვენებით აათავა კიბე, ერთხანს მოეფარა გადმოშვერილ კლდეს და მერე კი ამ კლდეზედ ალმართული დიდი ურთხელის ხის გვერდით გამოჩნდა; ხელი წაავლო ხის ტოტს, გადმოიზნიქა და სახემომღიმარმა გადმოგვხედა.

— აბა, ამოდით, ვისაც გული გერჩით! — ჩამოგვძახა მან, როდესაც წელზე შემორტყმული და ამრიგად თან ატანილი თოკი შემოიხსნა და ურთხელის ჯმუხ ტანს შემოახვია რამდენჯერმე — ნუ აჩქარდებით, ხშირად დაისვენეთ, შორს ცქერას ნუ დაიწყებთ... ეს თოკი მაგრა შეიბით წელზე და მეც დაგეხმარებით აქედან.

ალიოშას ხმა სუსტად გვესმოდა, სიტყვების გარჩევა გვიჭირდა, თითქოს ქარს მიაქვსო. არც იყო გასაკვირი: კისერგადაგდებულნი შევცქეროდით, ვინაიდან მის მიერ ავლილი ნაწილი კლდისა სიმაღლით თუ აღემატებოდა, თორემ არ ჩამოუვარდებოდა თბილისის რომელსამე 7-8 სართულიან სახლს (მაგალითისათვის გავიხსენოთ გმირთა მოედანზე მდგარი დიდი, ასბინიანი სახლის კოშკი).

დავიწყეთ ნელ-ნელა ასვლა. ამსვლელთა რიგს ალიოშა აწესებდა ზემოდან. აქ იგი იმასაც უწევდა ანგარიშს, რომ პირველად უფრო ღონივრები, კაცები ამძვრალიყვნენ, რათა მომდევნოთათვის სვლის შესამსუბუქებლად მაშველი თოკის აზიდვა არ გასჭირვებოდათ, საერთოდ კი, ალიოშას შემდეგ ასვლა გაცილებით უფრო ადვილი და ნაკლებ საშიში გახდა, რადგან კიბის თავი მან საიმედოდ მიაბა ურთხელის ძირს და ამიტომ კიბე ნაკლებად ქანაობდა. მაშველი თოკიც დიდ შეღავათს გვაძლევდა. დანამდვილებით ვიცოდით, რომ თუნდა სულაც დაგვსხლტომოდა ხელ-ფეხი, არ გადმოვვარდებოდით, წელით მაინც დავეკიდებოდით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კიბის დაძლევა, რასაკვირველია, ადვილი არ იყო და ხანგრძლივსა და ფრიად დაძაბულ შრომას მოითხოვდა.

სადილობისას უკვე ათივენი ამოვუდექით მხარში ალიოშას და მან კმაყოფილებით გადახედა თავის რაზმს, რომელმაც ყველაზე მძიმე „ბრძოლა" ღირსეულად მოიგო. მერე ნელ-ნელა ავზიდეთ ჩვენი არც თუ მცირერიცხოვანი ტვირთი, რომელსაც სათითაო ცალობით გვიბამდნენ თოკზე ვანელი ახალგაზრდა ბიჭები, დამხმარედ წამოყვანილი...

მოვწყდით ქვეყანას, პატარა ჟორჟიკა ნემსაძე-და დაგვრჩა თავისი წკრიალა ხმით ამ

ქვეყანასთან დამაკავშირებელი, დაუზარელი „მალემსრბოლი“ .

28. VI.

ბინდ-ბუნდი იწყება. ვწერ უკვე ახალ ადგილას. როგორც იქნა, დავაღწიეთ თავი ჩვენს საბოლოოდ დამბალს, „ქვედა ქვაბულს“ და ზემოთ, სიმშრალეში და სუფთა გაშლილ ჰაერზე ამოვინავარდეთ. იქიდან გადახედვა მეგონა საამური და აქედან კიდევ უფრო დიდებული. რა შორეული სანახაობა იშლება ჩვენ თვალწინ. მეორე დღეს, როგორც იქნა, გამოიდარა და მოწმენდილ ცასა და თბილ საღამოს ძალიან უხდება „საორბედან“ თვალისათვის წყლის დალევინება. სრული უფლება მაქვს „საორბე“ ვუწოდო, ვინაიდან თეთრფრთიანები ხშირად ჰკრავენ ირაოს ჩვენს გასწვრივ და ჩვენზე უფრო დაბლაც. ფრთებგაუნძრევლად გასცურავენ ჩვენს გვერდით, ალმაცერად გადმოგვხედავენ, მერე ერთს მძაფრად შეტრიალდებიან და თვალს მოეფარებიან ხოლმე. თითქოს არაფრად ეპაშნიკათო ჩვენი აქ ამოცოცება.

თავზედ მაინც 250-მდე მეტრის სიმაღლე კლდე გვაფარია, მძიმე, შვეული, ალაგ-ალაგ ბერიკაცის მოჭუხნული შუბლივით და წარბებით გამოზნექილი. ახლა ჩვენ ვიმყოფებით კლდეში გამოკვეთილ (თუ ბუნებრივსა და შემდეგ რამდენადმე გაფართოებულ) ძირმოსწორებულ ბაქანზე, რომლის სიგრძე 85 მეტრს, ხოლო სიგანე 2,5-3 მეტრს უდრის.

ალიოშამ 1939 წლის გამოცდილებით იცოდა ეს ამბავი და ამიტომ ქვემოთ ყოფნისასვე შეუკვეთა ჩვენი ქვაბულის შორიახლოს, ტყეში, საზაფხულო ბინაზე მყოფ ტვიშელ მეჯოგესა თუ მწყემსებს სათანადო სიმაღლის კიბის გაკეთება. ისინი ხალისით დაგვპირდნენ ამგვარ დახმარებას, მაგრამ, ეტყობა, თავიანთი ჯოგის მოვლა-პატრონობაში ვერ გამონახეს თავისუფალი დრო. სანამ ამ კიბეს არ ამოგვიგზავნიდნენ, მაღლა ასვლაზე და მუშაობის დაწყებაზე ფიქრი ამაო იყო. ამიტომ გულდაგულ მოვეწყეთ ბაქანზე, ძალიან სწრაფად შევაჩვიეთ თვალი უფსკრულს, ავაგუზგუზეთ ცეცხლი ახალ ადგილას და ისე გემრიელად ვისადილეთ, როგორც მანამდე არც გვესადილა. ეს თარო იმეორებს კლდის პროფილს, მის შემდგომ ზედა სართულს წარმოადგენს უკვე ის ქვაბული (და მის წინ აგრეთვე არსებული მცირე თარო), რომელიც უნდა წარმოადგენდეს ხვამლის ქვაბულთა კომპლექსის ძირითად ობიექტს — საკუთრივ განძსაცავს. ლევანმა მას უკვე „ციხე-ქვაბული“ დაარქვა და ძალზე კმაყოფილია ამ თავისი გამოგონილი ტერმინით.

ულრუბლო დღეს ისეთივე ღამე მოჰყვა და, მრავალი ფვალსასიერო შთაბეჭდილებით ისედაც განებივრებულებს, ნამდვილად ზღაპრული სანახაობა გადაგვეშალა, თვალწინ, თითქმის მთელი იმერეთი ხელისგულივით მოჩანდა სავსე მთვარის შუქზე. ქუთაისისა და წყალტუბოს ნათურები ციცინათელებივით ციმციმებდნენ, რიონი ვერცხლისფერი თევზივით მიიკლაკნებოდა. მერე ნელ-ნელა დაბალი ღრუბელი გაჩნდა, მისმა ხუჭუჭა ქულებმა საცსებით დაფარეს ყველაფერი და ამრიგად თითქოს სულ სხვა სამყაროში გადავედით: თეთრად აქაფებული, მაგრამ სრულიად უხმო ზღვის ტალღები აბობოქრდნენ და ჩვენი კლდე თითქოს ამ ზღვის მაღალ ნაპირად იქცა, იმ ღამეს დიდ ხნობამდე ვერ დავიძინეთ... .

მეორე დღეს ბაქნის მოსუფთავებას, აზომვა-ჩახატვას, აღწერას და მის იატაკზე აქა-იქ დაფენილი მიწის ათხრას მოვანდომეთ. სრულიად უეჭველი გახდა, რომ ამ ბაქანს თავის დროზე მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა ქვითკირის სქელი კედელი და რომ ეს სივრცე გადახურულიც ყოფილა და კლდისეულივე ტიხრებით (6-7) სენაკებად დაყოფილიც (ყველა ტიხარიც აღარ შემორჩენილა). ზედა, მთავარი ქვაბის თითქმის მთლიანად შემონახული კედლის მიხედვით (რომელსაც აქვს კარი, სხვადასხვა დონეზე დატანებული სამი სარკმელი — სამი სართულის შესაბამისი და ოთხიც მცირე საჭვრეტი), სენაკებიან შენობასაც ექნებოდა კარ-სარკმლები და საჭვრეტები.

ერთი სიტყვით, კარგა მოზრდილი შენობა საკმაოდ გულდაგულ გაუმართავთ ამ თითქმის მიუვალ და მიუკარებელ კლდის შუაგულში, ამ „ორბის ბუდეში“ შესაძლოა XIII საუკუნეში ჯერ კიდევ ყოველმხრივ ძლიერ, მაგრამ უკვე შეშფოთებულ-დადარაჯებულ საქართველოს მესვეურებს.

ყოველივე ამის გამო სრული უფლება გვაქვს ხვამლის ძეგლსაც მივუყენოთ ძველი ქართული კარგი ტერმინი (გვიანფეოდალური ხანის საბუთებში დამოწმებული) — „ციხე-ქვაბი“.

ერთი ყველაზე უფრო ყურადსაღები რამ ხვამლის ციხე-ქვაბის არქეოლოგიაში არის ამ შენობის უკანა კლდოვან კედელზე შემორჩენილი (დაახლოებით 5X2 მ ფართობზე) წითელი სალებავებით გამოყვანილი, ფრიად პრიმიტიული, არაპროპორციული ნახაზები. ამ მოხატული ნაწილის საერთო სიგრძე უდრის თითქმის 5 (4,82) მეტრს, სიმაღლე — 1,55-1,85 მეტრს. ნახატებში გამოირჩევა: 5 ცხენოსანი და მშვილდოსანი მონადირე, რომლებიც ისარს სტყორცნიან მიმრბენალ ნადირებს (ამათგან ერთიღა შემორჩენილა). არის თითქოს სარკმლის (?) გამოხატულებაც. ჩვენი დაკვირვებით, ნახატები სვანური „ლიფანალის“ (მიცვალებულთან და-

კავშირებულის) საწესო ნახატებს მოგვაგონებს.[1-2] ლიფანალის რეპერტუარისადმი მიმსგავსება არ უნდა იყოს შემთხვევითი: ბუნებრივი იქნებოდა, თუ ლეჩხუმის მიჯნაზე კლდეში მოწყობილი საჭურჭლის საზიზარის დაცვას ხელისუფალნი ხვანებს — იმ მხარეში უებრო მთამსვლელებსა და საქართველოს მეფეთა ერთგულ მეომრებს დააკისრებდნენ.

ეტყობა, ხანგრძლივ უნთიათ ცეცხლი, ამიტომ მთელი კედელი მაგრადაა შებოლილი. მურს ნახატებიც მაგრად მიუბუნდოვანებია და მიუჩქმალავს. ეს კარგად ჩანს ნახატზედაც.

ვერ ვეთანხმებით ლ. მარუაშვილს, რომლის აზრითაც „კედელზე გამოსახულია ჩრდილოეთის ირემი (მშვილდი მიუჩნევიათ ირმის „ჩრდილოურ“ რქებად! გ. ლ.), რაც უნდა მიგვითითებდეს პალეოლითურ მხატვრობაზე (ამ უკანასკნელის ნიმუში ჯერჯერობით კავკასიაში სხვაგან არსად არ არის ნაპოვნიო (ლ. მარუაშვილის წინასიტყვაობა ნ. კასტერეს, წიგნისადმი „ათი წელი მიწის ქვეშ“, ქართული თარგმანი, თბ., 1957, გვ. 12).

ეს შეუძლებელია, ვინაიდან ხელოვნურად მოჭრილ კლდის ზედაპირზე გამოხატული არიან მშვილდოსანი (ე. ი. არა უადრეს ნეოლითისა) და ცხენოსანი (ე. ი. არა უადრეს გვიანი ბრინჯაოს ხანისა) მონადირენი. ამასთანავე, ნახატზე „ჩრდილოეთის ირემი“ კი არ არის, არამედ ცხენის ყურები და მშვილდის მხრები. და, ბოლოს, კლდის გათლა პალეოლითში წარმოუდგენელია. აქ, ჩვენი აზრით, სწორედ იმდროინდელი მეციხოვნეების (შესაძლოა ხვანების) ნახატები უნდა ვიგულისხმოთ, როცა ხვამლის ბუნებრივი მღვიმე „კეთილმოაწყვეს“, ქვეშ მეციხოვნეთა სადგომი გამართეს და ეს უკანასკნელი მუდმივად მიუჩინეს საშიშროებისას დამალულ საჭურჭლეს.

იატაკზე, მიწის ფენებში აქა-იქ თიხის ჭურჭლის ნამტვრევები და ნახშირიც გამოერეოდა, ქვაბში შესვლა იმხანად მოხერხდებოდა მხოლოდ ზემოდან, ფლაგის თხემიდან ჩამოკიდებით, ხოლო მის გულადსა და მარჯვე მცველებს ჩასვლის მცდელი ცოცხალი თავით ვერავინ გადაურჩებოდა და შეეპარებოდა. ამრიგად, ვახუშტის თქმა „მტრისაგან შეუვალიო“, სრულიადაც არ არის გაზვიადებული: ქვაბში დამალულ საგანძურს თვით დამმალავები თუ გამოიღებდნენ, და მოიხმარდნენ, მოძალადეს იგი არ ჩაუვარდებოდა ხელში, ამ მხრივ ხვამლის საცავს ვერაფრით ვერ შეედრებოდა [illegible] მისაწვდომი ციხე-დარბაზი, [illegible] გი მესამეს საგანძური მოუწყვია მოჭარბებული ნაალაფევი ქონების შესანახავად, არაბთა მიერ დანგრეულის აღდგენა-გადაკეთების შემდეგ.

ერთი უაღრესად საყურადღებო გარემოებაა კიდევ, რომელსაც ალიოშამ ჩემი ამოცოცებისას მიაქცია ჩემი ყურადღება. ძირითადი თაროდან 6 მ 40 სანტ. სიღრმეზე (იქ, სადაც თოკის კიბე თავდება და კლდოვანი რელიეფის გარდატეხა ხდება) ერთ ადგილას ძველებური, დიდრონი ქართული აგურები ეწყო: ვიღაცას დაურღვევია კირის დუღაბით მკვიდრად ნაშენი კედელი და მონარღვევი მასალის ნაწილი რატომღაც მზრუნველობით დაულაგებია კუთხეში. მაშ ვიღაც ყოფილა აქ „განძისმცველებზე“ უფრო გვიან და დღევანდელ მთამსვლელებზე უფრო ადრე? ვინ იცის, რამდენად უფრო ადრე და რა მიზნით? ან, ვინ იცის, ხელცარიელი წასულან აქედან თუ მიუგნიათ რაიმე საყურადღებო ნაშთისათვის? აგერ, ერთი ლპობაშეპარული ხეც გდია. ამონაკოდებზე ეტყობა, რომ თავის დროზე იგი წარმოადგენდა ისეთივე მისადგმელი კიბის ერთ-ერთ ძელს, როგორსაც მეჯოგეები ჩვენ გვიკეთებენ ეხლა. მაშ ზედა ქვაბულშიც ისევე ასულან ჩვენი წინამორბედნი, როგორც ჩვენ ვაპირებთ. საერთოდ, ეტყობა, დაახლოებით მაინც ვიმეორებთ მათ მიერ განვლილ გზასა და ხმარებულ ხერხებს?!

ასეთმა ფიქრებმა, ცოტა არ იყოს შეანელა ჩვენი სიხარული და სიამაყე. მაგრამ ერთიც უნდა ითქვას: უსიამოვნო როდი იყო იმის წარმოდგენა, რომ საქართველოში ევროპული ალპინისტური ტექნიკისა და მთასვლის ოსტატების მოვლინებამდეც ყოფილან თავზე ხელაღებული ვაჟკაცები, რომელთაც საკუთარი ძალით მოუხერხებიათ ქვაბულში შეძრომა, რათა შეემოწმებინათ ხალხში მოარული თქმულებანი (ბევრის სიმდიდრის მაძიებელს რომ უფრთხობდნენ ძილს): შეუცნიათ ხვამლის საიდუმლო და გული დაუჯერებიათ...

მთავარ ქვაბულში მხოლოდ 30 ივნისს შევედით. დიდი ჭაპანწყვეტით ავზიდეთ თოკით ხუთმეტრიანი, ტლანქად შეკრული კიბე, როგორც იქნა, გავმართეთ იგი არც თუ ძალიან განიერ ბაქანზე და მივაბჯინეთ კლდის გამონაშვერს, რომლის ზემოთ უკვე მთავარი ქვაბულის ძირი იყო.

ქვაბული ქვითკირის სქელი, მკვიდრი, წესიერად ჯერაც დაუნგრეველი კედლითაა წინიდან შეზღუდული. იმ კედელს დიდრონი კარფანჯრები და პატარა საჭვრეტები თუ სათოფურები (?) აქვს დატანებული. შიდა სივრცე, ეტყობა, ორსართულიანი ყოფილა. ქვაბულის იატაკი და სამი კედელი სრულიად უსწორ-

1 ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნება, თბ., 1953.

2 ერთი მათგანის გადმონახატი გამოქვეყნებული აქვს გ. ჩიტაიას, ლეჩხუმის ექსპედიციის ანგარიშში (საქ. სახ. მუზეუმის მოამბე ტ. XII—B, 1944, გვ. 261). ჩანს, ალ. ჯავახიძეს მიუწოდებია მისთვის იგი, 1939 წ. ექსპ. შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახწორო ბუნებრივ კლდეს წარმოადგენს, აქაიქ კალციტის კრისტალებ-ასხმულს. ქერიდან კარსტული წყარო მოჩბრიალებს. იატაკი თეთრ ტალახში აზელილი ლორლით იყო დაფარული. სწორედ ამ ლორლისაგან უნდა გაგვეწმინდა ქვაბული. ვვეწარმოებინა არქეოლოგიური თხრა, რათა გვენახა, მის ქვეშ ხომ არაფერი იმალებოდა.

ეს თხრა 4 დღეს გაგრძელდა. ვინაიდან იატაკი ძალზე დაქანებული იყო, კლდის ნაპრალში შერჭობილ პალოში გაყრილ თოკს ვებმოდით რიგრიგობით და ისე ვიქნევდით წერაქვს. მოთხრილი ლორლი თავისთავად მიხრიალებდა კარისაკენ, საშინელი შხუილით ცვიოდა უფსკრულში და ზღართანით ლეწავდა თბილის ბუჩქებს. იმ ადგილას ოთხ დღეში უშველებელი ბორცვი დაიზვინა.

თხრამ სრულიად უშედეგოდ ჩაიარა, ლარს ქვემოთ დაგვხვდა უსწორმასწორო და ციცაბო პიტალო კირქვა და სხვა არაფერი. ეს ალარც თუ ძალიან გაგვაკვირვებია, კიდევაც რომ დარჩენოდათ რაიმე ჩვენს ძველებს, ამ გზახსნილსა და წყლის მუდმივ სადინარ ქვაულ დაქანებულ ღარზე დიდი ხნით ვერაფერი მოიკიდებდა ფეხს — ადრე თუ გვიან ქვემოთკენ ჩაშვავდებოდა.

მთავარ ქვაბულში ასვლის მეორე დღეს თბილისის კინოსტუდიიდან მოვლინებული ოპერატორი ა. აჯიბეგაშვილი გვეწვია და თოკით ავიყვანეთ მაღლა თავისი აპარატურით, მან შეადგინა გადაღების სქემა, გაანაწილა „როლები" და დაიწყო გადაღება. ამრიგად, ექსპედიციის მუშაობა კინოქრონიკაშიც აღიბეჭდა.

ამით დასრულდა ხვამლის ექსპედიციის ძირითადი საქმიანობა. ექსპედიციამ ფიქსაცია უყო მრავალ საინტერესო დაკვირვებას და წამოიღო ზოგიერთი ისეთი ნივთი, რომელნიც, მართალია განძეულს არ წარმოადგენენ, მაგრამ შეიძლება ჩაითვალონ ღირსეულ სამუზეუმო ექსპონატებად, როგორც აქ სრულიად უნიკალური ნაგებობის და ფრიად თავისებური ძეგლის დეტალები. ჩვენი თანამოძღვრების ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს ბევრი რამ ექნებათ დაფიქრებით გასარკვევი.

4 ივლისს საბოლოოდ ავიბარგეთ „ორბის ბუდიდან" და საოითაოდ ჩამოვეშვით ძირს, ჯერ გოგი ჯაფარიძე ჩავიდა, მერე ოთარ ნემსაძე და რეზო ბანძელაძე, მერე — დიდი ზავთითა და ხუმრობა-ხმაურით და ლეიკით გადაღებით ბუმბერაზი ლევანი, მერე მე, მერე ელიკო, მერე ალე და სულ ბოლოს კაპიტანი ალიოშა. ის უკვე დასაცავი თოკის მოხსნის შემდეგ ჩამოვიდა.

ერთ კვირას „ცასა და მიწას შორის" ნაცხოვრები, გალაღებული, დიდებულ სანახაობას მიჩვეული ვიყავით და ძალიან გვეუცხოვა დაბლა ყოფნა, თითქოს ჰაერიც კი აღარ გვყოფნიდა, სული გვიხუთებოდა — მივიჩქაროდით, რომ მკათათვის ბული და სიცხე [illegible] მთაში.

ამიტომ ყველანი სიამოვნებით დავეთანხმეთ ალიოშას წინადადებას ხვამლის მთაზე გარშემოვლით ასვლისა და იქ ღამის თევის შესახებ, ბარგი ვანელ ბიჭებს ჩავაბარეთ, ცოტაოდენი საგზალი და ჩაფები გავიყოლეთ და წავედით. მზის ჩასვლისას უკვე მთაზე ვიყავით. რა ყოფილა ეს ხვამლი, რა ყოფილა? რაღაც სალოცავი, ზღაპრულ კუნძულივით აღმართული სივრცეში. ჩამოშვეწილი ფრიალო კედლები დაუყუდებია ოთხივსაკენ და თავი ზეცისთვის მიუბჯენია.

ქვემოდან რატომღაც ისე ჰგონია კაცს, რომ სრულიად დაბრტყელებული ვაკე უნდა იყოს, მაგრამ ნამდვილად კი ერთი რაღაცა მოუხვენარი აბობოქრებული და აჩეხილ-დაჩეხილი ზედაპირი მქონია. კლასიკური, პირდაპირ სახელმძღვანელოში ჩასახატავი კარსტული ტოპოგრაფია: ამ მკათათვეშიც კი, თოვლიან კალთებზე ბარტყებივით ჩამსხდარი პატარ-პატარა ქვაბულები, კარსები, გამოქვაბულ-გაჩვრეტილი კლდეები, „გაპარული თუ მოპარული წყაროები" და სხვ. მთავარი კი ისაა, რომ მშვენიერი ტყეა (ნაძვი-წიფელი) დიდ ნაწილზე მოდებული, ალაგ-ალაგ კი ძალიან პირქუში, ტიტველი კლდეებია ამოჩრილი, გრძელი და მაღალი ნაპრალებით დახერილი, გამოქარულ-გამორეცხილი...

ვიდექით მთაზე და ხარბად ვისუნთქავდით მთის ნიავს. ზღვის დონიდან 2.000-ზე მეტი მეტრის სიმაღლეზე ვიდექით და თითქმის შავ ზღვამდე უწევდა ჩვენი თვალი. განსაკუთრებით კარგად ჩანდა ირგვლივ ყველაფერი მეორე დილას, მზის ამოსვლის წინ. კავკასიონის ბუმბერაზებს თვალი ვეღარ მოვაშორეთ. ჩავსხედით აბიბინებულ, ყვავილოვან მოლზე და თითქმის შუადღემდე ვეღარ ავიშალეთ. მედიდურად ამოსდგომოდნენ თავთოვლიანები ერთმანეთს გვერდში, თითქოს სალაშქროდ გამზადებული, შეაბჯრული და შემჭიდროებული რაზმიაო, ალიოშამ ისე ჩამოგვითვალა სათითაოდ ყველა მწვერვალი, როგორც დიდი ჯოგის მზრუნველი და თავმომწონე პატრონი ჩამოთვლის თავის საყვარელ ხარ-კამეჩს, რომელთა სახელები, ფერი, წლოვანება თუ ზნე არასოდეს არ შეეშლება. თვითონაც გაიტაცა თავისი თავგადასავლის გახსენებამ. ჩვენი ხვეწნა აღარ დასჭირებია, დაწვრილებით გვიამბო თეთნულდის, უშბის, შხელდის, შხარისა და სხვა მრავლის დაპყრობისას განცდილი ტანჯვა თუ სიხარული, თავმოწონება...

მეორე მხარეს კლდის გარშემოვლის შემდეგ გადავხედეთ ცხენისწყალს. სოფელ ოყურეშთან მომცრო ტბაა, ერთმა ლოჭეფუტელმა მწყემსმა დომენტი უგრეხელიძემ გვაცნობა (ტვი-

შის ფერმაში), რომ ამ ტბას წმინდა გიორგის ტბა ჰქვია და რომ გვალვის დროს მახლობელი სოფლებიდან მიჰყავთ ნასთან ძაღლი, დაჩეხავენ, ჩაჰყრიან შიგ და გაავდარდება ბოლოს, უკანასკნელად ასეთი რამ ამ სამიოდე წლის წინ უქნიათ.

მესამე დღეს უკვე ქუთაისში ვიქავით. თოკი და კიბე ალიოშამ განზრახ დატოვა კლდეზე გადმოკიდებული: ახლა ქუთაისის სკოლათა უფროსი კლასების მოწაფეები წაიქეზა, დარაზმა და წაიყვანა ხვამლის კლდეზე. თხუთმეტიოდე ყმაწვილი გაჰყვა მას და თითქმის ყველამ თამამად შედგა ფეხი თოკის კიბეზე.

მათ არასოდეს დაავიწყდებათ ხვამლის ციხე-ქვაბულში მიღებული მძაფრი განცდა, საქართველოს ბუნებისა და ქართული კულტურის ამ ულრესად თავისებური ძეგლის ამბები არაფერი არ ამოშლის მათი მეხსიერებიდან, იმ დაუდეგარი და სულით მარად [illegible] სახეს, რომელიც ასე [illegible] ჩვენს მოზარდ თაობაში ყოველთვის არსებული ვაჟკაცური სულისკვეთების გაღვივებას და რომელიც ასე უყვარდა ახალგაზრდობას გაწივრული სიბამაცისა და შეუპოვრობის წრფელ თაყვანისმცემელს.

ჩვენც მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოში ბევრია საინტერესო და ძნელმისავალი ძეგლი, რომელთა უმეტესობა არ გამოეპარა ვახუშტის მახვილ თვალს. ეს ძეგლები მოელიან გამბედავი მთამსვლელებისა და დაუდეგრომელი მკლევარების თვალსა და ხელს.

8. III. 1946.
ქ. თბილისი.

1986 წელს „ხომლად" წოდებულმა ახალგაზრდების ჯგუფმა (რეზო შალიბაშვილი, რამაზ კორშია, ლერი გაბელია, გია ნადარეიშვილი), ხვამლიდან ჩამოიტანა გიორგი ლომთათიძის ხელით დაწერილი წერილი, რომელშიც გადმოცემული იყო 1945 წლის ექსპედიციის შემადგენლობა, ასვლის დრო და ექსპედიციის შედეგები. წერილს ხელს აწერდნენ: ალექსანდრე ჯაფარიძე, ლევან გოთუა, გიორგი ლომთათიძე. ამ წერილმა განაპირობა გიორგი ლომთათიძის ფონდში დაცული დღიურების გამოქვეყნება. მასალა დასაბეჭდად მოამზადა ნინო ლოლობერიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აფხაზი ხალხის სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან—„აბიფარა“

მსოფლიო ხალხთა ნათესაობის სისტემების კვლევა, მათი განვითარების ზოგადი კანონზომიერებისა და ლოკალური თავისებურებების ეთნიკური ისტორიის შუქზე დახასიათება ეთნოგრაფიული მეცნიერების ტრადიციული პრობლემაა. ჯერ კიდევ გასული საუკუნისათვის ლ. მორგანისა და მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებმა არსებითი გავლენა მოახდინეს აღნიშნული საკითხების კარდინალური ასპექტების კვლევაზე და სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე შეძლეს მთელი რიგი სპეციფიკური მიმართულების ახლებურად წარმოჩენა. დიდი წვლილი მიუძღვით ნათესაობის სისტემების შესწავლაში შემდეგდროინდელ საბჭოთა და უცხოელ მეცნიერებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი წყობა მ. კოვალევსკისა და მისი მიმდევრების მიერ მიიჩნეოდა გვაროვნულად ან ხშირ შემთხვევაში ისინი აღიარებდნენ კავკასიის ხალხებში სოციალური ინსტიტუტების პირდაპირ კავშირს გვაროვნულ ორგანიზაციებთან. მითუმეტეს, რომ უკვე მოგვიანებით მ. კოსვენის მიერ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანილმა პატრონიმიის ცნებამ, რომელიც თავდაპირველი ფუნქციით მიჩნეული იქნა პატრიარქალური გვაროვნული საზოგადოების ორგანულ ნაწილად, ხოლო კავკასიაში მის გადმონაშთად, მთელ რიგ მკვლევარებს მისცა იმის საშუალება, რომ მოცემულ რეგიონში გვაროვნული წყობის ან მისი რელიქტების არსებობა ემტკიცებინათ. მოგვიანებით, ამ თეორიის დაძლევის გზაზე შემუშავდა თეზისი იმის თაობაზე, რომ პატრონიმია იმ ფორმით, როგორადაც იგი ფიქსირებული იქნა კავკასიის მთიანეთში წარმოადგენდა არა გვარის განაყოფს, არამედ დიდი ოჯახის სეგმენტაციის პროდუქტს (ალ. რობაქიძე). შემდეგ თითქმის ანალოგიური მოსაზრება განავითარა ა. დავიდოვმა. აღნიშნულ დებულებათა ჩამოყალიბებისას ქრონოლოგიური საფეხურები არაა დაცული ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ ეთნოგრაფიულ კითხვა-ლექსიკონში და ამ მხრივ ისინი თანაბარ სიბრტყეზეა განხილული. საერთო შედეგებით პატრონიმია ადრეკლასობრივი საზოგადოებისა და გვარისაგან (gens) სტადიალურად განსხვავებული ახალი სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის პროდუქტად იქნა აღიარებული ამ ფორმულირების სისწორეს კიდევ ერთხელ უნდა გვიდასტურებდეს აფხაზური ა ბ ი ფ ა რ ა-ს გენეზისის, სტრუქტურისა და ტიპოლოგიისადმი მიძღვნილი 1986 წელს გამომცემლობა „მეცნიერების“ მიერ გამოქვეყნებული ისტ. მეცნ. კანდ. ს. ბახიას საინტერესო ნაშრომი „აფხაზური „აბიფარა“ — პატრონიმია“, რომელიც ახალ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით წარმოადგენს აფხაზური პატრონიმიული ორგანიზაციის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას.

ნაშრომის ძირითად სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ასევე პირველად პატრონიმია შესწავლილია ყველა ძირითადი კომპონენტის გათვალისწინებით, როგორიცაა პატრონიმიის გენეზისი და მისი სოციალური ბუნება: სტრუქტურა, დასახლების ფორმა, ერთობლიობა სამეურნეო ინტერესების სფეროში და სოციალურ ურთიერთდამოკიდებულებაში: პატრონიმიის წევრთა უფლება-მოვალეობანი: ქონებრივ-უფლებრივი ნორმები; საერთო სალოცავები და დღეობა-დღესასწაულების ერთობლივად აღნიშვნა და ა. შ. ავტორს გაანალიზებული აქვს კავკასიის ხალხთა, მათ შორის ქართველთა ყოფაში წარმოდგენილი მდიდარი შედარებითი მონაცემები, რის საფუძველზეც მან შეძლო დაედგინა ზოგიერთი კონკრეტულ-ლოკალური თავისებურება. ნაშრომში უხვად მოტანილი პარალელები ამ ინსტიტუტის შესახებ და მთელი ამ მასალის გააზრება ზოგადი ლიტერატურის მონაცემების შუქზე შესაძლებლობას აძლევს ავტორს ახალი შუქი შეიტანოს პატრონიმიის შესწავლის საკითხში. ქართულ-აფხაზური პარალელების შუქზე კვლევის აღნიშნული მიმართულება შესაძლებლობას იძლევა შემდგომში ზოგადკავკასიურ ასპექტში

---

**სალომე ბახია — აფხაზური „აბიფარა“ — პატრონიმია. „მეცნიერება“, 1986 წ.**

წარმატებით იქნეს შესწავლილი აფხაზი ხალხის სოციალური ისტორიის საკითხები.

ს. ბახიას მონოგრაფია შედგება ექვსი თავისაგან. ნაშრომს თან ერთვის წიგნის რედაქტორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ. კ. პროფესორ ალ. რობაქიძის წინასიტყვაობა. სათანადო მეცნიერული აპარატურა (გენეალოგიები, დასახლების სქემები) და გამოყენებული ლიტერატურა.

ნაშრომში დახასიათებული აფხაზური აბიფარა წარმოადგენდა მამის ხაზის სისხლით ნათესაობაზე დამყარებულ სოციალურ გაერთიანებას. აბიფარა, რომელიც ალწერილობით ხასიათს ატარებს, აფხაზურში სიტყვასიტყვით აღნიშნავს მამაშვილობას (ა ბ — მ ა მ ა, ი ფ ა — შვილი; რ ა — მრავლობითობის აფიქსი). ანალოგიური მნიშვნელობის სახელწოდებები ფართოდაა გავრცელებული მთელ კავკასიაში, სადაც ისინი აფხაზური აბიფარას მსგავსად განვითარების გარკვეულ სტადიაზე წარმოქმნილი პატრონიმიული ტიპის სოციალურ ორგანიზაციას აღნიშნავდნენ. ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვის აფხაზური აბიფარას წევრებს ახასიათებდათ სამეურნეო ინტერესებში თანხვედრილობა, მამისეულ ფუძე სახლთან კომპაქტური მოსახლეობა, ნათესაურ კატეგორიებად დიფერენცირებულ უფლება-მოვალეობათა სისტემა ქონებრივ და სოციალურ ურთიერთობათა სფეროში, ნათესაობის სტრუქტურაზე აგებული რელიგიურ წეს-ჩვეულებათა ერთად შესრულების ზოგიერთი თავისებურება და სხვ. აფხაზურ აბიფარას ს. ბახია მართებულად განიხილავს, როგორც ერთიან და მთლიან სოციალურ ინსტიტუტს, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ეგზოგამია. მის შემადგენლობაში მამაკაცებთან ერთად შედიოდნენ დები და ქალიშვილები, რომლებიც გათხოვების შედეგად, მართალია, ტოვებდნენ მამისეულ ოჯახს და წყდებოდნენ ნათესაობას ტერიტორიულადაც, მაგრამ მიუხედავად ამისა ინარჩუნებდნენ კავშირურთიერთობას მათთან და სიკვდილის ბოლომდე ითვლებოდნენ აღნიშნული ორგანიზაციის წევრებად. ცოლები აბიფარას სრულფასოვან წევრებად არ მიიჩნეოდნენ, თუმცა კი ისინი გაერთიანებული იყვნენ საოჯახო კერიის ირგვლივ და ფაქტიურად ჩაბმული იყვნენ ნათესაური გაერთიანების სამეურნეო ცხოვრებაში. ს. ბახიას დაკვირვებით, აფხაზი ცოლები პატრონიმიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში — თავყრილობებზე — რელიგიურ დღესასწაულებზე მონაწილეობას არ ღებულობდნენ (ს. ბახია. დასახ. ნაშ., გვ. 5-6). ამ ფაქტის სისწორეზე უშუალოდ მიუთითებს ა ჟ ი ი რ ა-სთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებათა თავისებურებები აფხაზეთში, რომლის არსი აბიფარას სამეურნეო-ნათესაური ჯგუფის წევრებსა და მის შემადგენელ ოჯახებს შორის არსებული იდეოლოგიური [illegible]ფიკიდან გამომდინარეობდა.

აფხაზეთში სოციალურ-ორგანიზაციათა სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგარ სხვადასხვა რიგისა და ზომის პატრონიმიულ ჯგუფებს. ს. ბახიას აზრით დიდი ოჯახის ანუ ა თ ა ა ც ვ ა დ უ-ს სეგმენტაციის შედეგად წარმოიქმნებოდა აბიფარა, რომელიც გაცილებით ფართო ნათესაურ ერთობაში ე. წ. ა ე შ ა რ ა-ში (საძმო) გადაიზრდებოდა, რაც საბოლოოდ აყალიბებდა ა ჟ ვ ლ ა-ს, ანუ საგვარეულოს „ფამილიის“ მნიშვნელობით. პატრონიმიული ტიპის საზოგადოებრივ ფორმათა მსგავსი სტრუქტურული საფეხურები დამოწმებულია კავკასიის არაერთ კუთხეში. ოჯახისა და პატრონიმიის განვითარებით საგვარეულოს ჩამოყალიბების ფაქტი დღეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში არსებული დებულების საწინააღმდეგოდ არსებობს სხვა თვალსაზრისი პატრონიმიის სტრუქტურულ იერარქიაში საძმოს ადგილისა და როლის თაობაზე.

აფხაზური აბიფარას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტს საკუთრების თავისებური ფორმა წარმოადგენდა. მას საფუძვლად ედო ათააცვა დუ-სათვის დამახასიათებელი ქონებრივი ნორმები. ავტორის მიერ შეკრებილი მასალებითა და ლიტერატურული მონაცემებით ირკვევა, რომ აფხაზური ოჯახის გაყოფისას საკარმიდამო ეზო რჩებოდა ძმების საერთო სარგებლობაში. ძმები ცხოვრობდნენ კომპაქტურად ერთმანეთის გვერდით საკარმიდამოს ფარგლებში. კარმიდამოში მოთავსებული ხეხილი განაყარ ოჯახებზე თანაბრად ნაწილდებოდა. ხშირად მიწის გარკვეული ნაწილიც (საძოვარი, ტყე, სათიბი, ბაღი) საერთო სარგებლობაში რჩებოდა. ასევე ზოგჯერ საზიარო სარგებლობას ექვემდებარებოდა წისქვილი, გუთანი, ურემი, ცხენი, ფუტკარი, მუშასაქონელი, საოჯახო სარგებლობის ნივთები: ხის საქსოვი დაზგა, აჯიკის დასამზადებელი ქვა, გარკვეული რაოდენობის ღვინის ჭურჭელი, სპილენძის დიდი ქვაბი და სხვ. (ს. ბახია. ნაშრ., გვ. 17-18), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური ურთიერთობის პირობებში პატრონიმიის სამეურნეო ფუნქცია მაინც სუსტი იყო. უკვე XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ყველა ძირითადი საოჯახო ქონება (მიწა, საქონელი და სხვ.) უმეტესად მოწილეთა შორის თანაბარ გაყოფას ექვემდებარებოდა. ბარში მიწის ყიდვა-გაყიდვის ინტენსიური პროცესი და სხვადასხვა ხასიათის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, მთიან რეგიონებთან შედარებით პატრონიმიული საკუთრების ფორმებზე შესა-

მჩნევ ზეგავლენას ახდენდა. ამდენად, პატრონიმიული საკუთრებისა და სათემო ნორმების შესახებ მასალების ფიქსაცია ფეოდალური სტრუქტურის საზოგადოებაში სპეციფიკურ და ფრთხილ მიდგომას საჭიროებს, აფხაზეთის მთისა და ბარის სოფლებში ამ რიგის მონაცემების გამოვლენა და მათი როლისა და ადგილის სათანადო განსაზღვრა აბიფარას წევრთა ქონებრივ-უფლებრივი ურთიერთობების სფეროში უთუოდ ს. ბახიას დამსახურებაა და იმ დიდი და ხანგრძლივი შრომის შედეგია, რაც მუდამ თან ახლავს საველე-ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებას.

ს. ბახიას მონოგრაფია დაწერილია მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე. გათვალისწინებულია შესადარებელი მონაცემები კავკასიის ხალხთა ყოფიდან და საფუძვლიანადაა გამოყენებული ზოგადი ეთნოგრაფიის მიღწევები, რაც ნაშრომს საინტერესოსა და მრავალმხრივს ხდის.

ამ მხრივ აფხაზური მასალა განსაკუთრებულ სიახლოვეს ტერიტორიულად მის მომიჯნავე მეგრულ მონაცემებთან ავლენს, რაც მეგრული თ უ რ ი-ს სტრუქტურასა და ეტიმოლოგიაშიც აისახა. თური პატრონიმიაა და მისი გენეზისი დაკავშირებულია ოჯახთან. ამაზე უნდა მოწმობდეს თურში გამოყოფილი მეგრულ-ჭანური ძირი — თი, რაც ოჯახს აღნიშნავს. როგორც სპეციალური გამოკვლევები გვიჩვენებენ, — თი) (— თა ფორმანტები სრულად შეესატყვისება აფხაზურ ა-თა-ა-ცვა-ს ოჯახი) მნიშვნელობას (ს. ბახიას დასახ. ნაშრ., გვ. 9-12). თი-ს ოჯახისა და შთამომავლობის მნიშვნელობით ახსნის პროცესში გასათვალისწინებელია თვალსაზრისი, რომელიც მას მრავლობითობის ფუნქციას ანიჭებს. ასევე, ბუნებრივია სასურველი იქნებოდა მოცემულ საკითხებთან კავშირში განხილულიყო ზენითის, ჯუმათის, გურიანთას, ნიგოითის, თეკლათის და სხვა ამ ტიპის ტოპონიმები, განსაზღვრულიყო მათში — თ-ს არსი. საერთოდ კი ოჯახი (შთამომავლობა, ოჯახის წევრთა ერთობა), ისევე როგორც თური (მონათესავე ოჯახთა ერთობლიობა) არ გამორიცხავს კრებითობას, მრავლობითობას და ისინი ერთმანეთთან სრულ შესატყვისობაში არიან. ამავე ფაქტზე უნდა მიგვანიშნებდეს საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული პატრონიმიულ სახელწოდებათა წარმოების თავისებურებებიც (ოთარაანთი, შაქირდედიენთი და სხვ.).

ნაშრომში კონსტრუქციისა და ფორმის მიხედვით დადგენილი და კლასიფიცირებულია აფხაზური საცხოვრებელი ნაგებობის განვითარების საფეხურები, ცვლილებები სოციალურ ფორმათა დასახლების ჩამოყალიბებასთან კავშირურთიერთობაში. გაშუქებულია ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ამსახველი თავისებურებები. რაც ვლინდება [illegible]ლოგეგმარება-კონსტრუქციაში, პატრონიმიული დასახლების განვითარების დონეში და სახელწოდებათა მსგავსებაში. მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე ავტორი აფხაზურ საცხოვრებელ კონსტრუქციისა და ფორმის გათვალისწინებით ორ ტიპად ჰყოფს: 1. მრგვალად და 2. ოთხკუთხად. მათგან კი ევოლუციის მიხედვით გამოყოფს 8 ქვეტიპს. ტრადიციული აფხაზური სოფელი გაფანტული სახითაა წარმოდგენილი. დასავლეთ საქართველოს მსგავსად დასახლების ტიპი აფხაზეთშიც ხუტორულია. ყველა აღნიშნული მონაცემებისა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე ს. ბახია საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ კავკასიის ხალხთა პატრონიმიული დასახლების რამდენიმე ვარიანტი, სადაც მეხუთე ვარიანტში გაერთიანებულია აფხაზური აბიფარას დასახლების თავისებურებები, რომელიც იმეორებს საერთო წესს, მაგრამ გამოირჩევა საქორწინო სახლის ე. წ. ამჰარის არსებობით (ს. ბახიას დასახ. ნაშ., გვ. 22-31). პატრონიმიულ დასახლებათა აღნიშნული კლასიფიკაცია მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ, ბუნებრივია, მას არ გააჩნია სისრულის პრეტენზია და იგი მოითხოვს არა მხოლოდ ტერიტორიული ფარგლების გაზრდას, არამედ ზოგიერთი დამახასიათებელი ტიპოლოგიური ნიშნის კონკრეტულ განსაზღვრას.

აბიფარას სოციალური ბუნებისა და არსის ახსნა გარკვეულწილად დაკავშირებულია საკულტო რიტუალებისა და რელიგიური წესჩვეულებების მრავალმხრივ შესწავლასთან. ს. ბახია სათანადო საველე მასალებისა და ლიტერატურული მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ახასიათებს აბიფარას იდეოლოგიური ერთობის ისეთ ძირითად კომპონენტებს, როგორიცაა წინაპრის კულტი, საერთო სალოცავი, სასაფლაო და სხვ. კავკასიის მოსახლეობაში სოციალურ ორგანიზაციათა საკულტო რიტუალები ნათლად ასახავს საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპებსა და საფეხურებს. იმ რეგიონებში, სადაც მართლმადიდებლურ და კათოლიკურ საეკლესიო ნორმებს ყოფაში სათანადო საფუძველი გაჩნდა, ქრისტიანობა მეტად ორიგინალური ფორმით დაუკავშირდა სოჯახო-პატრონიმიულ და საგვარეულო წესჩვეულებებსა და წინაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებს. რელიგიათა ასეთი სინკრეტიზმი უმთავრესად თავის გამოხატულებას პოულობდა ქრისტიანული დღეობების (აღდგომა, შობა, გიორგობა და სხ.) რიტუალური ცერემონიალის შესრულების პროცესშიც. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ქრისტიანობის ელემენტები თავს იჩენდა არა მარტო საზო-

გადოებრივ ფორმათა სალოცავებთან და ცალკეულ რწმენა-წარმოდგენებთან ურთიერთმიმართებაში, არამედ სათემო ჯვარ-ხატთა დღეობებშიც. პატრონიმიული და საგვარეულო სალოცავების არსებობა შეინიშნება მუსლიმანურ მოსახლეობაშიც, თუმცა საქართველოს ისტორიულად ქრისტიანულ პროვინციებში ისლამის გავრცელების არეალში (აჭარა, ნაწილობრივ სამცხე-ჯავახეთი) სოციალურ ორგანიზაციათა სალოცავები ან მათთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების შესახებ არსებული მონაცემები შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი (ძირითადად იგი აჭარაში გამოვლინდა კინტრიშისა და ჩაქვისწყლის ხეობებში, თუ რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ საოჯახო და სათემო ურთიერთობათა ნორმებს. ეს საკითხები დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს. ამასთან, აფხაზთა ისტორიულ წარსულთან მათი შედარება არსებული ვითარების რეალური სურათის გამოკვეთის საშუალებას მოგვცემს. ეს გასაგებიცაა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის გარკვეულმა ნაწილმა შეინარჩუნა ქრისტიანობა, ხოლო ნაწილმა მიიღო ისლამი, ორივე ამ ფენამ განსხვავებით სხვა ამ ტიპის რეგიონებისაგან (მხედველობაში გვყავს ისლამიზირებული რეგიონები) შემოინახეს საოჯახო, პატრონიმიული და საგვარეულო სალოცავები სამივე დონეზე ყველა ეთნიკური დამახასიათებელი თავისებურებებით. ეს ფაქტი ახსნასა და აბიფარას წევრთა საერთო სალოცავისა და რწმენა-წარმოდგენების სხვადასხვა ასპექტში გაანალიზებას მოითხოვენ კავკასიის ხალხთა შესადარებელი მონაცემების შუქზე ერთი მხრივ ოჯახთან, ხოლო მეორე მხრივ აყვლასთან და აფხაზურ თემთან მიმართებაში, რაც განსახილველი მონოგრაფიის ავტორს სამომავლო ამოცანად უნდა დაესახოს.

ს. ბახიას მონოგრაფიაში სანიმუშოდაა მიმოხილული პატრონიმიის სტრუქტურისა და გენეზისისადმი მიძღვნილი წინამორბედ ავტორთა შეხედულებები, დასმულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ძირითადი ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, ზოგადი ლიტერატურის მიმოხილვის [illegible]ბული ავტორისეული დას[illegible] როგორც გარკვეული საზოგადოებრივი ფორმა, წარმოადგენდა უნივერსალურ მოვლენას არა მარტო კავკასიის, არამედ მსოფლიოს ხალხთათვისაც. იგი იყო ოჯახისა და გვარისაგან განსხვავებული განსაკუთრებული ტიპის სამეურნეო-ნათესაური ჯგუფი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად პატრონიმია, როგორც სამეურნეო, ნათესაური და საზოგადოებრივი გაერთიანება, წარმოადგენდა სამხედრო-პოლიტიკურ ერთეულსაც. ადრე იგი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი სამხედრო-პოლიტიკური ბირთვი, ხოლო მოგვიანებით სათემო სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზმის ფარგლებში მცირე სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია. თანდათანობით ტერიტორიულ-სამეზობლო თემის სტატუსის ზრდასთან დაკავშირებით პატრონიმია კარგავს სამხედრო-პოლიტიკურ დანიშნულებას, სუსტდება სამეურნეო და ტერიტორიული კავშირები, ხოლო წინა პლანზე იწევს იდეოლოგიური და სოციალური ერთობის განმაპირობებელი ფაქტორები. ამდენად, სასურველი იქნებოდა ს. ბახიას აფხაზური აბიფარა განვითარების პროცესში აღნიშნული მიმართულებითაც წარმოეჩინა, ყურადღება გაემახვილებინა მის ისტორიულ- გენეტიკურ ასპექტზე, სხვადასხვა სტადიურ დონეზე მოცემული ტიპის სოციალური ორგანიზაციის სტრუქტურისა და ფუნქციების ტრანსფორმაციაზე.

ასეთია ს. ბახიას მონოგრაფიის ძირითადი პოზიტიური მხარე და შენიშვნები, რომლებიც დაგვებადა სარეცენზიო ნაშრომის გაცნობისას. ნაშრომში თავმოყრილია ახალი და მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, რომელთაც უკვე პირველწყაროს მნიშვნელობა აქვთ. ს. ბახიას მონოგრაფია „აფხაზური აბიფარა-პატრონიმია" კავკასიის ხალხთა სოციალურ ურთიერთობათა შესახებ არსებულ გამოკვლევათა შორის უსათუოდ ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიჭერს.

ნუგზარ მგელაძე

# ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ

საზღვარგარეთულ მეცნიერებაში კავკასიის მოსახლეობა და მათ რიცხვში ქართველები „მიწათმოქმედების პატრიარქებად" იხსენიებიან. ასეთი მოხდენილი და ჩვენთვის სასიამოვნო ზედწოდება კიდევ ერთხელ გვაფერებინებს რომ ძველი ბერძნებისაგან შერქმეული სახელი, შინაარსობრივად მიწათმოქმედებასთან მჭიდრო კავშირის მიმანიშნებელია.

რა თქმა უნდა, პირველობის დაჩემებას არავინ აპირებს (მხოლოდ ერთი რომელიმე ეთნიკური ჯგუფისათვის მიწათმოქმედების წარმოშობა-განვითარების მიკუთვნების პატივი უაზრობა იქნებოდა), მაგრამ გამომხვეურება — წვლილისა, რომელიც ქართველ მეურნეს უდევს

---

გ. ჯალაბაძე, „მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში", გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1986 წ.

ამ დიდ საკაცობრიო საქმეში ყოველთვის დარჩება, როგორც ერთ-ერთი საინტერესო საკვლევი საკითხთაგანი.

მიწათმოქმედების, სამიწათმოქმედო იარაღებისა და კულტურების შესახებ დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევა, რომელნიც საკითხის ცალკეულ ასპექტებს ეხებიან და დამაჯერებლად ცხადყოფენ სამეურნეო ურთიერთობის ტრადიციულობას, მაგრამ სხვაა საკითხის რეგიონალურ-კომპლექსური შესწავლა, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასალათა ურთიერთმიმართებას, შეჯერებას და საერთო ხაზის დადგენას. ამიტომ დიდია ინტერესი, რომელსაც აღძრავს გამომცემლობა „მეცნიერების" მიერ ახლახან დასტამბული წიგნი „მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში", რომლის ავტორი გახლავთ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ჯალაბაძე.

ვინც საკითხის აქტუალობით დაინტერესებულია მისთვის შეხსენება არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ გ. ჯალაბაძის მიერ ამ მხრივ ჩატარებული მუშაობა განსაკუთრებით შთამბეჭდავია. ცალკეულ მეცნიერულ გამოკვლევებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამის საილუსტრაციოდ იკმარებდა მისი ცნობილი მონოგრაფია აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების შესახებ, სადაც ნაჩვენებია სამიწათმოქმედო იარაღთა გენეზისის პრობლემები ქართველ მეურნესთან ურთიერთკავშირში. უნდა ითქვას, რომ წინამდებარე ნაშრომი გაგრძელებაა იმ გეგმიური კვლევისა, რომელიც ავტორის მეთოდოლოგიის ძირითად საყრდენს წარმოადგენს. ერთმანეთს თუ შევუდარებთ ძველსა და ახალ მონოგრაფიას ნათელი გახდება იმ თანმიმდევრული კვლევის შედეგიანობა, რომელიც აუჩქარებლად იქმნებოდა წლების განმავლობაში. ასეთი შრომა, სპეციალისტებზე რომ არაფერი ვთქვათ, უაღრესად საჭირო ინფორმაციას აწვდის მკითხველთა ფართო აუდიტორიასაც.

ცნობილია, რომ ისტორიის ძირითად დანიშნულებას წარსული ცხოვრების ნამდვილი სურათის დადგენა წარმოადგენს, ხოლო ისტორიკოსისათვის საკითხის საბუთიანობაა უმთავრესი. ამ მხრივ გ. ჯალაბაძის ნაშრომი სამაგალითოდაა შესრულებული. წიგნში თავმოყრილია ათეული წლების განმავლობაში შეკრებილი მასალა აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო კულტურების შესახებ. შესაძლებელია ითქვას, რომ ესაა საბუთების კორპუსი — მოძიებული მოსახლეობის საუკუნოვანი, ემპირიული შემეცნების თავისებურ არქივში — გაანალიზებული ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში.

მკითხველი დამეთანხმება, რომ სამიწათმოქმედო ურთიერთობებთან დაკავშირებული სამეურნეო ფორმებისა და კულტურების გამოკვლევა ითვალისწინებს: შრომის იარაღების, შრომის ორგანიზაციის, მოსავლის აღება-დაბინავების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების შესწავლას, ამასთანავე მიწის მფლობელობისა და მიწით სარგებლობის თავისებურებებს და სხვა ისეთი მეორე რიგის საკითხებსაც, რომელნიც კვლევის ობიექტის სრულფასოვან წარმოჩენას უწყობენ ხელს. მონოგრაფიის 307 გვერდზე ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა გავეცნოთ: თუშეთის, ფშავის, ხევსურეთის, თერგის ხეობის, მესხეთ-ჯავახეთის, კახეთისა და ქართლის მემინდვრეობის კულტურას და მასთან დაკავშირებულ სამეურნეო საქმიანობის მთელ ციკლს. ვიდრე სამიწათმოქმედო კულტურების დაწვრილებით განხილვას შეუდგებოდეს, ავტორი გვთავაზობს ისტორიულ ექსკურსს საერთოდ მიწათმოქმედების განვითარების შესახებ. დღეს მეცნიერებაში ფეხმოკიდებულია აზრი იმის შესახებ, რომ მიწათმოქმედების აღმოცენება-განვითარების ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ კერას წარმოადგენს წინა აზია კავკასიითურთ, რომლისთვისაც სხვა ცენტრებთან შედარებით დამახასიათებელია ცხოველის გამწევ ძალად გამოყენება და ენდემური ხორბლის სიუხვე. „სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ხორბლეულის 17 სახეობიდან საქართველოს ტერიტორიაზე დამოწმებულია 12, რომელთაგან მახა და ზანდური წარმოადგენენ იშვიათ ენდემებს. მათ მოყვანას გვიანდლამდე მისდევდნენ რაჭასა და ლეჩხუმში". ხორბლეულის ენდემური ჯიშების დადასტურება საქართველოს ტერიტორიაზე ესაა მოვლენა უნიკუმი —დაგვირგვინებული სელექციური ემპირიის შთამბეჭდავი შედეგით — სადაც საინტერესოდ იკვეთება მრავალპლანიანი სამეურნეო ცხოვრების გრძელი გზა.

ამ მოვლენის სასარგებლოდ ლაპარაკობს არქეოლოგიური მასალაც, რომელიც განსაკუთრებული სიმდიდრითაა წარმოდგენილი საქართველოს ენეოლითურ ძეგლებში. დასტურდება, რომ V-IV ათასწლეულში საქართველოს ბინადარ მოსახლეობას გააჩნდა მარცვლეულის შესანახი ორმოები და მის დასამუშავებელ იარაღსაც იცნობდა. შეუძლებელია მარცვლეულ კულტურაზე ისაუბრო და აქვე არ ახსენო მისი დასამუშავებელი ხელსაწყო-იარაღები, რომლებიც თითქმის ყველა ადრეული არქეოლოგიური კომპლექსის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. პირველ რიგში ესაა განსაკუთრებული ქვის ჯიშისაგან დამზადებული სასრევ-სანაყები, ხელწისქვილები, რომელთაც დიდი ხნის ნამუშევარის კვალი ატყვიათ და დანის სალესავივით არიან ხოლმე [illegible]. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს

იულონ გაგოშიძის მიერ შიდა ქართლში — ორგანოზე მიკვლეული შესანიშნავად გათლილი ხელსაფქვავები. მართალია ეს იარაღები მიწათმოქმედების განვითარების საკმაოდ გვიან პერიოდს ეკუთვნიან, მაგრამ მათი განვითარებული ფორმები უდაოდ იმ არქაული ხელსაფქვავების საწყისებიდან მოდის, რომლებითაც ასე მდიდარია უძველესი ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ეს მასალები გენეტიკურ კავშირში იმყოფებიან წინა აზიაში აღმოჩენილი შესაბამისი ხასიათის ნიმუშებთან. ასეთი ნიშნების დაფიქსირება ხდება ეთნოგრაფიულ ყოფაშიაც და ისინი არქეოლოგიურ მონაცემებთან შეჯერებისას კიდევ უფრო ამყარებენ ჩვენს წარმოდგენას საქართველოს, როგორც უძველესი სამიწათმოქმედო გენცენტრის შესახებ.

ხშირად ეთნოგრაფიული ფაქტის უქონლობის გამო ძნელი წარმოსადგენია ის მასშტაბები, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა მიწათმოქმედებაში სულ ცოტა ხნის წინათ. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ინტერესი თუ რითი არსებობდა საქართველოს მოსახლეობა თუნდაც შუა საუკუნეებში, რა სახის სამეურნეო საქმიანობას ფლობდა ან როგორი სტრუქტურისა უნდა ყოფილიყო ეს საქმიანობა, რომ ამოდენა ხალხის დაპურება შესძლებოდა საკუთარი რესურსებით ყოველგვარი იმპორტის გარეშე. უნდა ითქვას, რომ განვითარებული შუა საუკუნეების ხანაში ჩვენში გაცილებით მეტი სახნავ-სათესი უნდა ყოფილიყო, ვიდრე დღესაა. ამასთან მიწის ნაკვეთის რაციონალური გამოყენებას — სამეურნეო ყოფის აუცილებელ პირობას — კარგად იყო დაუფლებული ქართველი მეურნე და არა მარტო გაშლილ ველებსა და ხოდაბუნებს იყენებდა სავარგულად, არამედ მთის ფერდობებსა და გორებზეც ახერხებდა პატარ-პატარა საყანეების მოწყობას. ამ მხრივ სამაგალითოა სამხრეთ საქართველოში გავრცელებული ტერასული მიწათმოქმედება, რომლის მეშვეობით ჯავახეთისა და ფარავნის მტკვრის ხრიოკ ხეობებში მწვანე ლაქებადაა ჩაფენილი სიცოცხლის მაუწყებელი ოაზისები.

ტექნიკის ინტენსიურმა დამკვიდრებამ, სამეურნეო ურთიერთობაში ძირეული ცვლილებები შეიტანა, წლების განმავლობაში შექმნილი უძველესი სამიწათმოქმედო წესები თანდათანობით შესუსტდა. გულახდილად რომ ითქვას, შეიცვალა ქართველი მეურნის ტიპი. რასაკვირველია დღევანდელ სოფელში გლეხი კვლავაც რჩება ძირითად მწარმოებლად, მაგრამ მის მიწის ნაკვეთს საგრძნობლად მოაკლდა რაციონალური გამოყენების მადლი, ზოგან კი უპატივცემულობაც იგრძნობა ამ მართლაც ჩვენი დამპურებელი დედა მიწისადმი. მიუხედავად ამისა ეთნოგრაფს თავისი სპეციალობის გამო არცთუ იშვიათად ეძლევა საშუალება იხილოს ტიპიური ქართველი მეურნე, რომელსაც თავის ბაღ-ვენახი ისე მისხალ-მისხალ, გეგმურად და გონივრად აქვს გამოყენებული, რომ გულგატეხილობას უმალ ოპტიმიზმი შეენაცვლება ხოლმე.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს მთიანეთის, კერძოდ: დუშეთის, ფშავის, ხევსურეთისა და თერგის ხეობის მემინდვრეობის კულტურის შესწავლას.

საქართველოს მთიანეთში მოპოვებულ მასალას თავისი სპეციფიური ხასიათი გააჩნია, რაც პირველყოვლისა მის არქაულობაში მდგომარეობს. მთიანეთის სავარგული მიწების სიმცირემ განაპირობა მიწათმოქმედების უძველესი ფორმების კონსერვატიული ხასიათი და მათი გვიანდლამდე შემორჩენა, რომელთა შესწავლა-წარმოჩინება გარკვეულად უწყობს ხელს სამიწათმოქმედო მეურნეობის სრული სურათის დადგენას. მხოლოდ ასეა შესაძლებელი მიწათმოქმედების აღმავალი ხაზის დადგენა მარტივიდან რთულისაკენ, ანუ პრიმიტიული კავიდან რკინის გუთნამდე.

საქართველოს მთიანეთი მუდამ განიცდიდა მიწის სიმცირეს, რის გამოც აქ შეუძლებელი იყო განვითარებულიყო მიწაზე კერძო საკუთრების ისეთი კლასიკური ფორმა, როგორიც ახასიათებდა ბარის მეურნეობას. მთიანეთის მიწისმფლობელობა გარემოებასთან არის შეთანხმებული და მისი ფორმები სახატო და სათემო უფლებების ზემოქმედებებითაა ჩამოყალიბებული. აქ საყანე მიწების გამრავლება ძირითადად საახოვე სისტემის ხარჯზე ხდებოდა. თავისებური ბუნებრივი პირობები შესაფერის დასამუშავებელ იარაღს საჭიროებს. ხევსურეთის მიწამ მოირგო კავწერა. გ. ჩიტაიას აზრით ამ ტიპის სახვნელის გამოყენება შეპირობებული იყო მთის ზოლის მეურნეობისა და მისი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით. ხევსურული კავწერა, რომელიც ფორმით ყველა სახვნელზე მარტივია და დიდი ზომის წერაქვს წააგავს — ავტორის აზრით — შესაძლებელია მიჩნეული იქნეს ხელით სამუშაო იარაღიდან სახვნელისაკენ გარდამავალ ფორმად. მსგავს მიზეზებს ემორჩილება ხორბლეული კულტურების გავრცელებაც, მკაცრი ბუნებრივი პირობები ზოგიერთი ჯიშის განვითარების არავითარ პერსპექტივას არ ქმნიდა და ამიტომ აქ შერჩევა-სელექციას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს იყო არსებობის საკითხი და თავისი სიმწვავით იგი ყველანაირ საზრუნავს აჭარბებდა, „ენდემურ ხორბალთან დაკავშირებულმა რთულმა სამეურნეო საქმიანობამ კლიმატურ-გეოგრაფიულ და ისტორიულ ვითარებასთან ერთად საქართველოში მიკროლოკალური ავტონომიური ერთეუ-

ლების წარმოქმნას შეუწყო ხელი" და უფრო მრავალფეროვანი გახადა საქართველოს მემინდვრეობის კულტურა.

გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში, სადაც თურქებისაგან ქართველებზე შეწერილი გადასახადებია აღნუსხული, დიდი ადგილი აქვს დათმობილი მესხეთ-ჯავახეთის მემინდვრეობის საკითხებს. დავთარში აღნიშნულია, რომ გარდა სხვა გადასახადებისა სოფ. პტენას უნდა გადაეხადა 1000 ქილა ქერი, მურჯიკანს 500, როკეთს 350, ჩუნჩხას 300, აწყვიტას 300, გოკიას 600, კოთელიას 500, ბარალეთს 1500, ეს იყო პერიოდი, რომლის განმავლობაშიაც, ნ. ბერძენიშვილის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მესხეთ-ჯავახეთი ოსმალთა მფლობელობისაგან მიყრუებულ ბუნაგად იყო გადაქცეული. თუ ასეთ პირობებში ეს მხარე კიდევ ახერხებდა სამეურნეო სიცოცხლის შენარჩუნებას, მაშინ როგორი უნდა ყოფილიყო მისი მემინდვრეობის მასშტაბები, ვთქვათ, IX-XII საუკუნეებში, როცა იგი წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაწინაურებულ რეგიონს 250 ცოცხალი სოფლითა და დაახლოებით 75000 მოსახლეობით (ნ. ბერძენიშვილი). დღეს მესხეთს თავისი ისტორიული ძეგლების წყალობით საკმაოდ მოუმრავლდა გულშემატკივარი და დამფასებელი, ხოლო ჯავახეთი, სადაც სოფელი კი არა ნასოფლარიც არაა უეკლესიოდ და კულტურული ძეგლის გარეშე, მოკლებულია ამ პატივს. საკმაოდ არაპოპულარულია ჩვენში ჯავახეთის საექსკურსიო მარშრუტი. ეს მხარე უჩვენობითაა დადუმებული. გადავიწყებას მიეცა ის წეს-ჩვეულებანი, რომელნიც საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ სფეროს განეკუთვნებოდნენ, მის წიაღში წარმოიშვნენ, გავვითარდნენ, ისტორიული ბედ-უკუღმართობისაგან გასხვისდნენ და ჩვენ ცოტა ხანში იქნებ კიდეც დავკარგოთ უფლება მათი წარმოშობის პრიორიტეტზე, თუ არა ისეთი სახის გამოკვლევანი, როგორიც ეს მონოგრაფიაა. ჯავახეთის მემინდვრეობის შესახებ წარმოდგენილი მასალები ბევრ საკითხს კვლავინდებურად სვამს თავის ადგილას. ეს ყველაფერი დამტკიცებულია არა წინასწარგანზრახული სურვილისამებრ, არამედ მოპოვებული მასალის სიმდიდრითა და მიუკერძოებელი ანალიზით, რაც საერთოდაა დამახასიათებელი გ. ჯალაბაძის სამეცნიერო საქმიანობისათვის.

მემინდვრეობის ყველაზე მძლავრ კერას ბუნებრივია, საქართველოს ბარი წარმოადგენდა ხოლო ქართლი და კახეთი ის რეგიონები იყო, სადაც სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებამ დასაბამი მისცა ქვეყნის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ძლიერების აღმავლობასაც „პურის მოსავალი ქართლის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში ყველაზე მეტი ზრუნვის ობიექტს წარმოადგენდა. ამის გამოხატულებას წარმოად[illegible] კიდევ ძველი დროიდან მოყოლებული [illegible] დიდი სარწყავი არხების მშენებლობა". მიწის გამოყენების რაციონალურმა მიდგომამ აქ დასახლების ტიპზედაც კი იქონია გავლენა. მემინდვრეობის კულტურის მაღალგანვითარებული დონე და მიწის ბარაქიანობა მოსახლეობას სხვა ადგილებიდანაც იზიდავდა, როგორც ნაშრომში ვკითხულობთ „იმერეთიდან ქართლისკენ გარე სამუშაოზე გასვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო..., იმერეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ამჟამადაც შემონახულია ტერმინი „ნაქართლი", რომლის ქვეშაც იგულისხმება ის კაცი, რომელიც ქართლში სამუშაოდ დაიარებოდა ხოლმე". ეს ფაქტი განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია მიგრაციათა პირობების გასათვალისწინებლად, არა მარტო საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის, არამედ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ძველ ქართულ მიწებზე დამკვიდრების თვალსაზრისითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშრომში გამოვლენილია შრომის ორგანიზაციის უძველესი ფორმები. მდიდარი მასალაა წარმოდგენილი რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესახებ. ცნობილია, რომ რაც უფრო ძველია მემინდვრეობის კულტურა, მით უფრო მეტი მაგიური ქმედებანია მასთან დაკავშირებული. მაგიური ქმედების უძველესი ფორმები შემოინახა ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის ემპირიამ. რაც თავისთავად მიუთითებს სამიწათმოქმედო ურთიერთობის უძველესობაზე. ამ მხრივ სანიმუშოა ჰობარეთში დადასტურებული სამი მავედრებელი მოხუც ქალისაგან შესრულებული წვიმის გამოწვევის რიტუალი. ავტორის აზრით, წვიმის გამოწვევის ლაზარეს ძველი რიტუალი ცეკვის ელემენტებსაც შეიცავს, ლაზარობის ჰობარულ წესში ცეკვა სამაიას ილეთები იყო წარმოდგენილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ცეკვა საკულტო ხასიათის უნდა ყოფილიყო.

აღმოსავლეთ საქართველოს მემინდვრეობის კულტურის შესახებ ასეთი სრული მონოგრაფიის გამოცემა გვაფიქრებინებს, რომ ავტორს არც დასავლეთ საქართველო დარჩება უყურადღებოდ და მომავალში საქართველოს მემინდვრეობის მთლიან და სრულყოფილ სურათს წარმოგვიდგენს.

დასასრულს ვიტყვით, რომ ეთნოგრაფების, ეკონომისტების და სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის ეს წიგნი სამაგიდო მნიშვნელობისაა, ხოლო ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის საინტერესო მოთხრობა ქართველი ხალხის სამეურნეო ცხოვრების შესახებ.

ელდარ ნადირაძე

# ყინულის ქალი და სიყვარულის უკვდავება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც დრო გადის, მით უფრო მნიშვნელოვანი ნიმუშები ემატება ქართულ ზეპირსიტყვიერებას; ჩამწერებს მზის სინათლეზე ნელინელ გამოაქვთ დროთა განმავლობაში უნებლიედ მივიწყებული ხალხური ტექსტები, რითაც ჩვენი ფოლკლორული საუნჯე თანდათან ივსება და მდიდრდება. ერთი ასეთი მნიშვნელოვანი შენაძენია გუდამაყრული ზეპირგადმოცემების მომცრო კრებული „ყინულის ქალი", რომელიც მიმდინარე წელს გამოსცა „ნაკადულმა".

წიგნის შემდგენელი ილია წიკლაური ანოტაციაში წერს: „ახალმა დრომ მთლიანად შეცვალა გუდამაყრელი ხალხის ყოფაცა და ცხოვრებაც, მაგრამ ის ძველი ამბები, თქმულებები, ზღაპრები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა ხოლმე და ხშირად მსმენია ჩემს ბავშვობაში ხნიერთაგან, დღესაც ძველებურად ცოცხლობს ხალხში. ზოგიერთი მათგანი ღრმად ჩამრჩა ხსოვნაში და ხანდახან ვაქვეყნებდი კიდეც პერიოდულ პრესაში. ახლა ამ პატარა კრებულად თავმოყრილს ვთავაზობ მკითხველს".

წიგნის ერთი გადაკითხვითაც შესამჩნევი ხდება, რომ შემდგენელს თავის მშობლიურ მხარეში გავრცელებული გადმოცემები გადამუშავებული სახით მიუწვდია მკითხველისათვის. მისი ჩარევა უფრო სტილისტურ-ფრაზეოლოგიური ხასიათისაა, ერთ-ერთი ნიმუში კი ამგვარი „პოეტური წიაღსვლით" იწყება: „მშვენიერი და თვალწარმტაცია მთა ზაფხულში. ნელი სიო ფერად ყვავილებს საამურად რომ აალიკლიკებს ხოლმე, მაშინ მთის ნახვას არაფერი სჯობია.

მთის ყვავილებსა და მათ შორის გვირილაზე ბევრი ლამაზი თქმულებაა ხალხში შემორჩენილი.

აი, ერთი მათგანი (და იგი გვიამბობს თქმულებას „მთის გვირილა")...

ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობის თანამედროვე პრინციპების დაცვით, ხალხურ ტექსტში რაიმეს ჩამატება არ შეიძლება. ჩამწერმა უნდა ჩაიწეროს ზუსტად ისე, როგორც მთქმელი უამბობს მას, ხოლო ბავშვობაში გაგონილი ამბავი გადმოსცეს ხალხური ენის სისადავით.

სარეცენზიო წიგნში დაბეჭდილ აქამდე უცნობ მასალას არა აქვს პასპორტი — თუ ვისგან, სად ან როდის მოისმინა და ჩაიწერა მან ესა თუ ის ფოლკლორული ტექსტი.

დასახელებულ კრებულში შესული თქმულებები მხატვრული ღირებულების თვალსაზრისითაც ფასეულია და სწორედ ამიტომაა დასანანი, რომ მათი მთხრობელების შესახებ არაფერი ვიცით.

ზოგი თქმულების გადმოცემისას ჩამწერი რატომღაც არ ასახელებს შემოქმედების ზუსტ ადგილსა და გარემოს, რაც ხალხური თქმულებისათვის დამახასიათებელია. ხშირად იგი ზოგადი ფრაზებით იწყებს თხრობას: „გუდამაყრის ერთ სოფელში ერთი დიდი ხავსმოდებული კლდე არის, ამ კლდეს მთელ სიგანეზე გამუდმებით ცრემლივით წვეთავს წყალი („მტირალი კლდე"), „მთის კალთაზე, ერთ მოვაკებულ ადგილას, ერთი დიდი ხავსმოდებული ლოდი გდია, ამ ლოდს ხალხი „სიყვარულის ქვას" ეძახის („სიყვარულის ქვა"), ანდა: „გუდამაყრის ერთ-ერთ მთაზე ციხის ნანგრევებია შემორჩენილი" („ლოდების ჯაჭვი").

ჩამწერს აუცილებლად უნდა მიეთითებინა, რომელ სოფელში დგას „მტირალი კლდე", რომელი მთის კალთაზე გდია „სიყვარულის ქვად" სახელდებული ლოდი, ან რომელი მთის წვერზე დგას ციხე (თუ ციხის ნანგრევი), ოდესღაც ლოდების ჯაჭვით რომ ყოფილა ქალასთან დაკავშირებული. ზუსტი მისამართის მიუთითებლად ნაკლებად ირწმუნებს მკითხველი, ეს გადმოცემები ნამდვილად გუდამაყრის ხეობაშია შექმნილი თუ არა.

მართალია, ზოგიერთი თქმულება იმდენად ძველია, რომ მისი ლოკალურ ჩარჩოებში მოქცევა არ ხერხდება, მაგრამ ზოგიერთი ნიმუში ხომ მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოსთან. ჩვენი მხცოვანი მთქმელები ყოველ ბორცვზე და ნასახლარზე რაიმე გადმოცემას ყვებიან, ყოველ ტოპონიმს თავისი დაუვიწყარი ისტორია აქვს.

ქართული მითოლოგიური პერსონაჟების — კოპალას, იახსრის, ფუძისანგელოზის შესახებ გავრცელებულ გადმოცემებში მუდამ დასახელებულია მათი ბრძოლების ადგილები (კართანა, ირემთ კალო, ციხეგორი, ავისგორი, ნინახი, აბუდელაურის ტბა, უკანახო, ფხიტური, საკერპო...). იგივე ტრადიცია გრძელდება საგმირო-საისტორიო ხასიათის გადმოცემებშიც. ტერიტორიის ზუსტი დასახელება უნდა ყოფილიყო თქმულებების („ლოდების ჯაჭვი", „მტირალი კლდე", „ლომკაცის ხელი", „სიყვარულის ქვა") თავდაპირველ ვარიანტებშიც და მათი გადამუშავების დროს შემდგენელს ეს წესი უნდა დაეცვა. თქმულება, ზღაპრისაგან განსხვავებით, რეალურობის ნიშნებს ატარებს და მასში აღწერილი მოქმედების ადგილის ზუსტ დასახელებას დიდი მნიშვნელობა აქვს ფოლკლორისტიკის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ტოპონიმიკის და, სა-

---

**ყინულის ქალი. შემდგენელი ილია წიკლაური, „ნაკადული".**

ერთოდ, ჩვენი ერის ისტორიული წარსულის შესწავლის თვალსაზრისით.

ზეპირსიტყვიერი ნიმუშების შემკრებთათვის კვლავაც სახელმძღვანელოდ რჩება აკაკი წერეთლის მითითება, რომელიც მან შესანიშნავად ჩამოაყალიბა თავის წერილში „როგორ შევკრიბოთ ზეპირ-გადმონაცემები". ამ წერილში აკაკი წერს: „ზოგიერთები მეკითხებიან: როგორ უნდა შევკრიბოთ ზეპირ-გადმონაცემები? და, აი, ჩემი პასუხი: ჩვენ ძველებს არც ერთი უმნიშვნელო და ცხოვრებაში გამოუსადეგარი ჩვეულება არა ჰქონიათ — ასე გაშინჯეთ, რომ სათამაშოებიც კი შესანიშნავები იყვნენ თავის პედაგოგიური მნიშვნელობით. მაგალითად: „ანზე ვისი ყმა ხარ?" „აჩიტი", „ბერი ჩამოხტა" და სხვანი. ამ „ბერი ჩამოხტას" კვალობაზეა შედგენილი ივანე ბატონიშვილის „კალმასობა". ჩვენც სწორედ ამ გვარსვე გზას უნდა დავადგეთ და სიტყვიერი სათამაშოები გავახორციელოთ. არჩეულ პირებს, რადგანაც შრომისათვის სასყიდელი ექნებათ გაჩენილი, უნდა დაევალოსთ, რომ სხვა საქმეს აღარას მისდიონ და სწორედ „ბერი ჩამოხტასავით" გაიარონ თავისი მაზრა, ანუ ხეობა სოფლითი-სოფლათ. აგვიწერონ: რა გვარის კაცები ცხოვრობენ ამა-და-ამ სოფელში და ან რა თქმულობაა დარჩენილი მათში იმათ ძველებზე? დაგვისახელონ, რა და რა ფრინველები, ანუ მხეცები შენობენ იქ? რა და რა მცენარე ბალახები იზრდებიან და რა თვისებისა არიან ზოგიერთი მათგანი? რომელი მათგანი გამოდგება საღებავათ, საწამლავათ, სამკურნალოთ და სხვანი? რამდენი ნანგრევი ციხე-კოშკ-დარბაზ ტაძრებია და რა არის მათზე თქმულობა? რა და რა მდინარენი ჩამოდიან, ტბები თუ აქვს? წყაროები? ღელეები და სხვანი? შეკრიბონ აქვე ზეპირ-გადმონაცემების ყოველგვარი ზღაპრები, შაირები, ლექსები, ანდაზები, ზმები და სხვანი...

...ესეები ყველა რომ შეიკრიბება, მაშინ შევიტყობთ ჩვენი ქვეყნის ფასს და ჩვენ ფასსაც გავიცნობთ" (აკაკი წერეთელი, ტ. XIII, 1961, გვ. 165-167).

განსახილველი თქმულებების უმრავლესობა სიყვარულის თემაზეა შექმნილი. ზოგი თქმულება ტრაგიკულ სიყვარულზე მოგვითხრობს. დაუვიწყარია „ყინულის ქალი". ამ თქმულების მიხედვით, საქართველოს ერთ-ერთი მთავრის შვილი გულში ჩაუვარდება ერთ მწყემს გოგონას. იგი დღე და ღამ ნატრობს მის ცოლობას. რა ღონეს არ მიმართა შეყვარებულმა გოგომ, თავისი გულისწადილი რომ აესრულებინა, ბოლოს კი სოფლის მკითხავთან წავიდა რჩევისათვის.

„კუდიანმა დედაბერმა კი საწყალ გოგოს აი, რა ურჩია: თუ წახვალ, ამა და ამ კლდის გამონაშვერის ქვეშ დადგები და მთელი ღამის განმავლობაში კლდიდან წვეთ-წვეთად ჩამოდენილ წყალს თავს შეუშვერ, ჭაბუკი მაშინ შეგირთავსო...

სიცივისაგან აკანკალებული, მაგრამ იმედით გამხნევებული გოგო იდგა ცივ ზამთარში ჩამონაწვეთი წყლის ქვეშ, ხმამაღლა იმეორებდა:

ამალამა ცივი წყლის ქვეშ
სიცივე და ბაბანება,
ხვალ კი ლამაზ საქმროსთანა
სიცილი და გახარება.

კლდიდან ჩამონადენი წყალი მთელ ღამეს ზედ დასდიოდა გოგოს და ყინულის სქელ ფენებად ედებოდა თანდათან, ბოლოს ის სულაც ყინულის სვეტად აქცია.

ის თეთრი სვეტი, რომელზედაც ეს თქმულებაა ხალხში შემორჩენილი, ისევე დგას კლდის ძირას და მთიულები დღესაც „ყინულის ქალს" ეძახიან".

ზემოთ დასახელებული თქმულებების მიხედვით, სიყვარულმა დიდი მსხვერპლი შეიწირა: მისმა ყოვლისშემძლე ძალამ ყინულის სვეტად აქცია მთიული გოგონა, სიყვარულის ქვამ დაიტანა მზექალას მოტრფიალე ჭაბუკი, მათი ფიქრები და ოცნებები შეუერთდა უსასრულობას, მათი სიყვარული კი დარჩა უკვდავი, როგორც სიყვარული იმ უსახელო მგოსნისა, რომლის ლექსებსაც თურმე ყველა მღერის დედამიწის ზურგზე.

სიყვარულის უკვდავებაზე ფიქრი გასდევს ამ პატარა კრებულს თავიდან ბოლომდე. სიყვარულით შესდგომია საქმეს მისი შემდგენელიც, მაგრამ მას რომ მეტი გულისხმიერება გამოეჩინა და ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობის პრინციპებიც დაეცვა, გამოცემა უფრო სრულყოფილი იქნებოდა.

**ტრისტან მახაური**

**რედაქციის მისამართი:**
**თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.**

**ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, მთ. პ/მგ მდივნის — 93-55-13, და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17. 93-55-20.**

გადაეცა ასაწყობად 5. XII. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. 1. 88 წ. ანაწყობის ზომა 7¼X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 11166. ტირაჟი 30.000. შეკვ. 2856. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ